თამაზ ჯოლოგუა

ქართული ჟურნალისტიკის ისტორია

(XIX საუკუნე)

თბილისი
2013

სარჩევი

შესავალი..... 3

I ნაკვეთი

პირველი ქართული გაზეთი 7

„ტფილისის უწყებანი“..... 17

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ 27

ქართული პრესის გამოცემის ცდები 1831-1855 წლებში 41

„კავკასიისა მხარეთა უწყებანი“ 49

გიორგი ერისთავის „ცისკარი“ 53

ივანე კერესელიძის „ცისკარი“ 73

„გუთნის-დედა“ 97

II ნაკვეთი

„საქართველოს მოამბე“ 104

გაზეთი „დროება“ 126

ჟურნალი „მნათობი“..... 146

ჟურნალი „კრებული“..... 157

ილია ჭავჭავაძის „ივერია“..... 175

გაზეთი „კვალი“..... 194

საძიებლები:

პირთა 206

პერიოდულ გამოცემათა 258

თხზულებათა 263

გეოგრაფიულ სახელთა 278

შესავალი

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაზე მსჯელობისას ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავდა: „ჩვენ პირდაპირ 1800 წლიდან შეგვიძლიან დავიწყოთ ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოთხრობა, რადგან ჩვენი ერის ცხოვრებაში ეს წელი უღელტეხილია. იმის იქით დარჩა სხვა საქართველო, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად, აქეთ კი ახალი ქვეყანა გადაიშალა, რომელსაც პოეტები საქართველოს უწოდებდნენ, ოფიციალური პოლიტიკოსები კი – რუსეთის ორ გუბერნიას“.

ყველაფერი, რაც კი XIX საუკუნის საქართველოში ხდებოდა, თავისი ბუნებით, ხასიათითა და მიზანდასახულობით სწორედ ვ. კოტეტიშვილის მიერ ნახსენები „ორი საქართველოს“ არსებობით იყო განსაზღვრული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ჩვენ ვხედავთ ანტაგონიზმს ქართველთა ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის – საქართველო, ერთი მხრივ, როგორც მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და გამოცდილებაზე დაფუძნებული ნაციონალურ-კულტურული ორგანიზმი და, მეორე მხრივ, როგორც რუსეთის ვრცელი იმპერიის ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ ორი გუბერნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ერთმანეთში გადაჯაჭვული (უფრო ზუსტად – შერწყმული) რუსული სახელმწიფოებრივ-მმართველობითი პოლიტიკითა და იდეოლოგიით, რომელიც თავისი ხასიათით ასიმილაციური ბუნებისა იყო. თანაც, ეს „ასიმილაციური ბუნება“, იშვიათი გამონაკლისის გარდა (გამონაკლისში ვგულისხმობთ ე. წ. „ვორონცოვის ხანას“), მეტ-ნაკლებად აგრესიული ფორმებით იყო გამოვლენილი.

ამგვარ პირობებში ერს, როგორც კონკრეტული (სპეციფიკური, სხვათაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული) კულტურული (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) სახისა და ინდივიდუალობის მქონე სოციალურ პიროვნებას, ჩვეულებრივ, სამი გზა აქვს დარჩენილი:

1. დანებდეს დამანგრეველ პროცესებს, შეერწყას მპყრობელ ერს და გაქრეს საკაცობრიო ცხოვრების ასპარეზიდან როგორც საკუთარი ისტორიისა და კულტურის შემოქმედი ინდივიდუუმი (ასე ვთქვათ, „ჩარჩეს“ ისტორიაში).

2. შეიარაღებული აჯანყების გზით სცადოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და სუვერენული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობა.

3. შეეგუოს არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, როგორც გარდაუვალ მოცემულობას და მის ფარგლებშივე შეიმუშაოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ფართო და საფუძვლიანად ჩამოყალიბებული პროგრამა, რომლის განხორციელებაც მოუპოვებს ეთნიკური, ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული თვითმყოფობისა და თვითარსებობის შენარჩუნება-განვითარების საშუალებას; ამისათვის კი აუცილებელია: ა) შეინარჩუნოს და განავითაროს მშობლიური ენა, როგორც ეროვნული თვითშემეცნების (იდენტობის) განმსაზღვრელი და საზოგადოებრივი ცხოვრების მაორგანიზებელი ფაქტორი; ბ) საკუთარი ისტორიული წარსულისა და კულტურული მონაპოვრების შესწავლა-პოპულარიზაციით საზოგადოებაში ჩამოაყალიბოს ისტორიული ერთობის („საერთო ისტორიის“) შეგნება; გ) შექმნას ეროვნული თვითდამკვიდრებისათვის აუცილებელი, ახალი დროისა და ეპოქის შესაფერისი კულტურულ-ინტელექტუალური ღირებულებები, „ააღორძინოს საზოგადოების თვითმოქმედებითი ძალი და ხალისი თვითცნობისა“ (ი. ჭავჭავაძე), მოამზადოს საზოგადოებრივი შეგნება ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული პროგრესული კულტურული და მენტალური (ღირებულებითი) ტრანსფორმაციებისათვის.

ერთი სიტყვით, საქართველოში ოფიციალურ (რუსიფიკატორულ-ანტიქართულ) პოლიტიკურ-მმართველობით კურსსა და იდეოლოგიას უნდა წარმოეშვა საწინააღმდეგო (ნაციონალურ-ქართული) კულტურულ-იდეოლოგიური სისტემის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა და, საბედნიეროდ, ეს ასეც მოხდა – მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება პოლიტიკური მიზანდასახულობის კულტურულ-იდეოლოგიური შეჯახების ასპარეზად იყო ქცეული და ამ, – არსებითად სასიცოცხლო მნიშვნელობის, – ორთაბრძოლაში განმსაზღვრელი როლი ქართულმა ჟურნალისტიკამ იტვირთა.

სწორედ ქართულმა პრესამ, მწერლობასა და საზოგადოებრივ ინიციატივებზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციებთან ერთად, შეძლო დასავლური სამყაროსაგან მრავალსაუკუნოვან იზოლაციაში ნამყოფი, კულტურულად დაქვეითებული, პარტიკულარიზმის უმძიმესი სენით დაავადებული და, ამდენად, დაქსაქსული და დაწრეტილი ეროვნული ნებისა და თვითშეგნების აღორძინება, გამთლიანება და გაძლიერება (შემთხვევით არ წერდა არჩილ ჯორჯაძე – „[გაზეთი] „დროება“ თავისი კულტურულის მნიშვნელობით საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების გამაერთიანებელ ორგანოდ გახდა“); დასავლური სამყაროსაგან ზემოხსენებული იზოლაცია კი გამოიწვია XV საუკუნეში კონსტანტინოპოლის დაცემით გამოწვეულმა კატასტროფამ, რომელმაც საქართველო არსებითად მისდამი აგრესიულად განწყობილ ისლამურ ალყაში მოაქცია, მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თვითარსებობას და, ამასთანავე, გადაჭრა ის კულტურულ-საგანმანათლებლო არტერიები, რომლებითაც საქართველო ისტორიულად იყო ევროპასთან დაკავშირებული.

ვითარების სიმწვავეს ადვილად წარმოვიდგენთ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართული კულტურა ტიპოლოგიურად იმთავითვე ევროპული კულტურული სივრცის ნაწილი იყო და, ამდენად, „ხელახალი ევროპეიზაციის“ (რ. სირაძე) პროცესი, რომელიც სისტემური სახით თავიდან ე. წ. „გარდამავალი ხანის“ ქართულ მწერლობაში გამომჟღავნდა და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ცხოვრების ყველა სფეროში გაიშალა, არსებითად იყო არა საზოგადოებრივ-კულტურული ვექტორის საკითხი, არამედ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის დაბრუნება მშობლიურ წიაღში, მშობლიურ საარსებო და სააზროვნო სივრცეში.[1]

ცნობილია, რომ თავის დროზე რუსეთთან პოლიტიკური კავშირის მომხრეთა ერთ-ერთი არგუმენტი (უნდა ითქვას, დიდად ანგარიშგასაწევი არგუმენტი) სწორედ ისლამური ალყის გარღვევა და ევროპულ სამყაროში გაღწევა იყო, მაგრამ შემდგომში ქართველთა არა ერთი და ორი თაობის სასიცოცხლო ინტერესებისა და მიზნების განხორციელების გზაზე ძლიერ შემაფერხებელ ბარიერად აღიმართა რუსეთის იმპერიის ე. წ. „კავკასიური პოლიტიკა“. ამ პოლიტიკას ჰქონდა მკაფიოდ გამოხატული აგრესიული იდეოლოგიური ხასიათი. კერძოდ, რუსეთის მიერ კავკასია განიხილებოდა ასიმილაციური მანიპულაციების სარეალიზაციო ერთიან ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სივრცედ და იგნორირებული იყო ის არსებითი მნიშვნელობის გარემოება, რომ ეს ახალდაპყრობილი „მხარე“ (Край) სინამდვილეში **სხვადასხვა** ისტორიის, კულტურის, მეტ-ნაკლებად **განსხვავებული** ნაციონალური ინდივიდუალობის მქონე ერების სამშობლო იყო. ამიტომაც რუსეთმა კავკასიასა და, პირველ რიგში, საქართველოში სცადა ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ მის მიერ შემოტანილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო და იდეოლოგიური სისტემები დაემკვიდრებინა და ამით ხელსაყრელი ნიადაგი მოემზადებინა თავისი ასიმილაციური ზრახვების განსახორციელებლად. სწორედ ამას დაუპირისპირდნენ

[1] fridrix nicSes mixedviT, `evropa, rogorc kulturis aRmniSvneli termini, gulisxmobs im xalxebs, romlebsac aqvT saerTo warsuli berZnuli da romauli samyaroebis, bibliisa da qristianobis saxiT...~

ქართველი მოღვაწეები, რომლებმაც უპირველესი რიგის ამოცანად დაისახეს არა უშუალოდ რუსული, არამედ დასავლეთევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო პროცესების შესწავლა-ათვისება და ქართულ ნიადაგზე გადმოტანა; ოღონდ არა მექანიკურად, არამედ ადგილობრივი ტრადიციების, თანადროული პირობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით („ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესობისა და წარმატების წყარო ჯერ-ჯერობით დასავლეთი ევროპა არის... ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ დასავლეთი ევროპის ცხოვრების წაბაძვა და იქიდან პირდაპირ მეცნიერების გადმოტანა ათას წილათ უკეთესი არ იქნება ჩვენთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდან? განა ყოველთვის იმ წყაროს წყალი არ სჯობია, რომელიც პირდაპირ მიწიდან ამოჩუხჩუხებს?..“ – სერგეი მესხი).

თუ მოვლენები თავიდან სტიქიურად და არათანამიმდევრულად ვითარდებოდა, XIX საუკუნის შუახანიდან ზემოაღნიშნულმა პროცესმა სისტემური, მიზანმიმართული ხასიათი შეიძინა, რაც ეროვნული თვითარსებობის გადარჩენასა და განვითარებაზე ორიენტირებული იდეოლოგიის ჩამოყალიბებითა და ფართო საზოგადოებრივი ფენების თვითშეგნებაში დამკვიდრებით დასრულდა. ყოველივე ეს კი, მიუხედავად უმძიმესი საცენზურო პირობებისა, ძირითადად ქართული პრესის მეშვეობით განხორციელდა.

პირველ ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველოში გაზეთის გამოცემაზე უფიქრიათ, ვხვდებით იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს შემუშავებულ და გიორგი მეთორმეტისათვის წარდგენილ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმის პროექტში („სჯულდება“). პროექტის ერთ-ერთ თავში („შემოსავალთათვის“) იოანე ბატონიშვილი მსჯელობს ხაზინის შევსებისათვის საჭირო ღონისძიებებზე და სხვა ღონისძიებათა შორის ამასაც ასახელებს: „იბეჭდებოდეს გაზეთი თვეში ორჯელ. აქედამაც იქმნება შემოსავალი და ხალხნიც შეეჩვევიან“. მაშინდელ საქართველოში გაზეთისათვის ასეთი ფუნქციის დაკისრება იმაზე მეტყველებს, რომ თვით თავისი დროის კვალობაზე დიდად განათლებულ იოანე ბატონიშვილსაც კი, რბილად რომ ვთქვათ, მეტისმეტად გულუბრყვილო წარმოდგენა ჰქონია პრესისა და მისი არსებობისათვის აუცილებელ საზოგადოებრივ გარემოზე – მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თითებზე თუ ჩამოითვლება ქართული პერიოდული გამოცემა, რომელსაც საკუთარი შემოსავლით თავის შენახვა შეეძლო, ხოლო XIX საუკუნის I ნახევრის უკლებლივ ყველა ქართული გაზეთი თუ ჟურნალი საზოგადოების გულგრილობამ, ხელის მომწერთა სიმცირემ და, აქედან გამომდინარე, უსახსრობამ იმსხვერპლა.

იოანე ბატონიშვილის პროექტი არ განხორციელებულა, მაგრამ 1800-იანი წლების დასაწყისის საქართველოში, ჩანს, მაინც არსებობდნენ პრესით დაინტერესებული ცალკეული პირები. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ ერთი ასეთი ფაქტი: ჩვენთვის უცნობ პირს ქართულ ენაზე უთარგმნია რუსული ჟურნალის „Собеседник любителей российского слова“-ს 1784 წლის მეთხუთმეტე ნომერი (ჟურნალს თარგმანში ჰქვია „თან-მესაუბრე მოყუარულთა როსსიელთა ლექსისათა“; თარგმანი დათარიღებულია 1814 წლის 16 დეკემბრით; დაცულია თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).

ასეთი ცალკეული ფაქტები, ვფიქრობთ, ნაკლებად იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, თითქოს XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებობდა სერიოზული ინტერესი და სათანადო პირობები ეროვნული პრესის დასაფუძნებლად. ამდენად, სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური ჩანს ის გარემოება, რომ პირველი ქართული გაზეთი 1819 წელს არა

ქართველი საზოგადოების, არამედ რუსული ხელისუფლების ინიციატივით, ძალისხმევითა და მისივე საჭიროებებისათვის დაარსდა.[2]

XIX საუკუნის ქართული გაზეთებისა თუ ჟურნალების დაარსების ისტორიის, ცალკეულ პერიოდულ გამოცემათა ხასიათის, მიმართულებისა თუ მიზანდასახულობის, მათ მიერ ქართული ჟურნალისტიკის, – ზოგადად საზოგადოებრივი აზრისა და კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრების, – ისტორიაში დატოვებული კვალის შესახებ ჩვენ შეძლებისდაგვარად თავ-თავის ადგილას ვიმსჯელებთ, ამჟამად კი დავიმოწმებთ პაატა გუგუშვილის შეხედულებას XIX საუკუნის ქართულ ჟურნალისტიკასთან დაკავშირებულ ერთ არსებითი მნიშვნელობის გარემოებაზე: „ქართული... ბეჭდური სიტყვის ისტორიაში პერიოდულ გამოცემებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში ქართველ ხალხს, არ ჰქონდა რა საკუთარი სახელმწიფოებრიობა, არც მისი ენა იყო სახელმწიფოებრივი და, მაშასადამე, ოფიციალური ენა. ადმინისტრაციის აპარატსა და თვით სკოლებშიც ქართული არსებითად აკრძალული იყო. ასეთ პირობებში ქართულ სამეცნიერო წიგნებზე – ერთდროულ გამოცემებზე – აუცილებელი მოთხოვნილებაც ძლიერ მცირე იყო და ყოველგვარი მეცნიერული ცნობიერების შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე უპირატესად ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა და, მაშასადამე, ცხადია, ჟურნალისტიკის სახით უნდა გავრცელებულიყო. სწორედ ამიტომ... ქართული ბეჭდვითი სიტყვა ბევრად უფრო დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს და, მაშასადამე, დიდ ყურადღებას იმსახურებს, ვინემ იმ ნაციების ჟურნალ-გაზეთები, რომელთაც თავიანთი სახელმწიფოები ჰქონდათ და მეცნიერული ცნობიერება, საერთოდ ლიტერატურა, მათ შორის სასკოლო სახელმძღვანელოები და სამეცნიერო წიგნებიც მათს სახელმწიფოებრივ ენაზე, ოფიციალურ ენაზე, კანცელარიების ენაზე იბეჭდებოდა...“

XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის **სისტემურ** კვლევას დაახლოებით ერთი საუკუნის ისტორია აქვს. ამ სფეროში ნაყოფიერად მუშაობდნენ და მუშაობენ: ა. ჯორჯაძე, ზ. ჭიჭინაძე, დ. კარიჭაშვილი, ა. ღვინიაშვილი, პ. გუგუშვილი, ს. ხუნდაძე, გ. ბაქრაძე, მ. გოცაძე, ა. აბრამიშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ი. ბოცვაძე, შ. რატიანი, ნ. ტატიშვილი, ს. ხუციშვილი, ალ. კალანდაძე, ნ. ტაბიძე, დ. ჩიკვილაძე, მ. წერეთელი, მ. შამილიშვილი და სხვ.; გამოქვეყნებულია არა ერთი და ორი საფუძვლიანი მონოგრაფიული გამოკვლევა თუ სამეცნიერო სტატია, დაბეჭდილია წყაროები, გამოცემულია ანოტირებული და ანალიტიკური ბიბლიოგრაფიები (ამ მხრივ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შესანიშნავი ბიბლიოგრაფის, თამარ მაჭავარიანის, ღვაწლი)...

ქართული ჟურნალისტიკის ისტორია ისწავლება საქართველოს არაერთ უმაღლეს სასწავლებელში. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, სტუდენტებს გაუადვილოს მეტისმეტად ვრცელ მასალაში ორიენტირება. ავტორს, რასაკვირველია, არა აქვს პრეტენზია XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ყოველმხრივი დახასიათება-ანალიზისა. სახელმძღვანელო, ბუნებრივია, ძირითადად ეყრდნობა წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებს, თუმცა მასში დამოუკიდებელი კვლევის შედეგებიცაა ასახული.

წიგნი სტუდენტობისთვისაა განკუთვნილი და მისი ხასიათიცა და შედგენილობაც ამ უკანასკნელი გარემოებითაა განსაზღვრული. თუმცა, შესაძლებელია, იგი XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკით, საზოგადოებრივი აზრის ისტორიით, კულტურულ-

[2] saqarTveloSi presis aRmocenebis winapirobebze ix.: **maqs. berZniSvili.** masalebi XIX saukunis pirveli naxevris qarTuli sazogadoebriobis istoriisaTvis, I. Tb.: 1980, gv. 26-28; **m. gocaZe.** qarTuli Jurnalistikis istoria, I. Tb.: 1954, gv. 29-43; **al. kalandaZe.** qarTuli Jurnalistikis istoria, I. Tb.: 1977, gv. 3-15; **n. tabiZe.** qarTuli presis aRmocenebis safuZvlebi. wignSi: **n. tabiZe.** etiudebi. Tb.: 1986, gv. 377-395.

საგანმანათლებლო და სალიტერატურო ცხოვრებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს გამოადგეს.[3]

პირველი ქართული გაზეთი

(1819-1821)

იდეა პირველი ქართული გაზეთის დაარსებისა 1818 წელს დაიბადა, 1819 წლის იანვარში კი ამ საქმის ინიციატორებმა და ორგანიზატორებმა დაბეჭდეს და გაავრცელეს განცხადება („გამოცხადება“) ყოველკვირეული ქართული გაზეთის გამოცემის შესახებ.

„გამოცხადებაში“, რომელიც არსებითად საპროგრამო ხასიათისაა, ჩამოყალიბებულია გამოცემის მიზანდასახულობა („სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის მცხოვრებთა ამის ქვეყანისათა“), პირველი ნომრის გამოსვლის თარიღი („მარტის თვის პირველის რიცხვთაგან“), გაზეთის ენა („ქართულსა ენასა ზედა“), გამოცემის ადგილი („თფილისსა შინა“), სახელწოდება („საქართველოს გაზეთი“), თემატურ-შინაარსობრივი აგებულება (ოფიციალური ცნობები მოხელეთა დაწინაურება-დაჯილდოების, დასჯა-დაქვეითებისა თუ გადაყვანა-გადმოყვანის შესახებ, სხვადასხვა ხასიათის განკარგულებები და სხვ.; ინფორმაცია საქართველოსა თუ მის მოსაზღვრე მხარეებთან დაკავშირებულ განსაკუთრებით საინტერესო ფაქტებსა და მოვლენებზე, ცნობები ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მომხდარი სიახლეებისა და ახალი აღმოჩენების შესახებ, გასართობ-„შესაქცევი“ ამბები, რუსული ჟურნალ-გაზეთებიდან გადმობეჭდილი მასალა...), გამოცემის ხანგრძლივობა („ჩყკ [1820] წლის იანვრის თვემდის“), პერიოდულობა და მოცულობა („თვითოს კვირაში თვითო დაბეჭდილი ფურცელი“), ფასი (ორი მანეთი თბილისში მცხოვრებთათვის, რასაც დაემატებოდა ფოსტის ხარჯებისათვის საჭირო 20 კაპიკი რეგიონებში მცხოვრებთათვის), ხელის მოწერის პირობები [„სრული რიცხვი თეთრისა (თანხისა – თ. ჯ.) შემოტანილ იქმნას ჟამსავე ხელისმოწერისასა“], ხელმომწერთა საჭირო რაოდენობა („ხუთას კაცამდის მაინც“), ხელმოწერის გაფორმების დრო („ფებერვლის პირველის რიცხვითგან“) და გაზეთის ბეჭდვის ადგილი („[სამხედრო] კორპუსის შტაბის სახლსა შინა, სადაცა გამართულ არს სტამბა“).

---

[3] winamdebare saxelmZRvanelosTan dakavSirebiT moxda erTi, rbilad rom vTqvaT, Znelad asaxsneli faqti _ I nakveTis umetesi nawili gamoqveynebamde ucvlelad (skrupulozuri sizustiT) moxvda istorikos maia maWavarianis wignSi `Jurnalistikis istoria~ (Tb.: saqarTvelos universitetis gamomcemloba, 2009). m. maWavarianma amis gamo presaSi gamoaqveyna ganmarteba: `...Jurnalistikis skolis dakveTiT Seiqmna saswavlo kursi, romelSic sxva mraval mopovebul masalaTagan TiTqmis ucvlelad iqna gamoyenebuli monakveTebi baton Tamaz jologuas mier Sedgenili da jer gamoucemeli saleqcio kursidan. kerZod, XIX saukunis qarTuli Jurnalistikis istoriidan (nakv. I), romelic Cvens saxelmZRvaneloSi moicavs mexuTe nawilis meore Tavs (gv. 255-303, 316-324). Cven imedi gvqonda, rom moeswreboda T. jologuas wignis gamocema, magram moxda winswreba _ jer gamovida Cveni saxelmZRvanelo. moxda samwuxaro faqti _ T. jologuas saxelmZRvanelos gamoyeneba avtoris nebarTvis gareSe, risTvisac bodiSs vuxdiT baton Tamazs~ (m. maWavariani. ganmarteba. `saqarTvelos respublika~, 25 maisi, 2010, #96).

გაზეთის გამოცემის ინიციატორთა მიზნებზე მიუთითებს „გამოცხადების“ ასეთი მონაკვეთიც: განათლების მხრივ ეს მხარე როგორმე უნდა დავუახლოოთ ისეთ ქვეყნებს, რომლებშიც ადრიდანვე განვითარდა განათლება და ყოველწლიურად იბეჭდება ასეულობით პერიოდული გამოცემა („რაოდენნიმე ასნი ამის მსგავსნი გაზეთნი და ჟურნალნი“).

საყურადღებოა ტექსტის ის მონაკვეთიც, რომელშიც აღნიშნულია – ხელის მომწერთა რაოდენობა გვაჩვენებს, თუ რამდენადაა აქაურ მოსახლეობაში განვითარებული სურვილი, გაეცნონ და დაუახლოვდნენ თანამედროვე განვითარებულ ერებსო („...დააახლოვონ თავნი თვისნი ჩვეულებათა შინა ერთა თანა ადრით ჟამითგან განათლებულთა“). ეს სიტყვები, უნდა ვიფიქროთ, ერთი მხრივ, საზოგადოების წახალისებასა და გაზეთზე ხელის მომწერთა მომრავლებას ისახავს მიზნად და, ამასთანავე, ამჟღავნებს „საქართველოს გაზეთის“ ინიციატორთა სურვილსაც, მოსინჯონ ნიადაგი, თუ რამდენადაა მომზადებული ქართველი საზოგადოება ამ ახალი საქმისათვის.

ერთი სიტყვით, „გამოცხადება“ მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო დოკუმენტია და აშკარად ავლენს პირველი ქართული გაზეთის ინიციატორთა არა მხოლოდ ინფორმაციულ, არამედ კულტურტრეგერულ ინტერესებსაც. თუმცა, აქვე უნდა ითქვას: როდესაც საქართველოში რუსეთის იმპერიის კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებსა და ამოცანებზეა საუბარი, პირველ რიგში უნდა ვიგულისხმოთ მაინცდამაინც რუსეთიდან შემოტანილი სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემა და ასიმილაციური მიზანდასახულობის კულტურული გავლენები.

მთავარი და არსებითი კი მაინც ისაა, თუ რა ფორმითა და რამდენად სრულფასოვნად შეძლეს „საქართველოს გაზეთის“ მესვეურებმა ამ საპროგრამო ტექსტში ჩამოყალიბებული მიზნებისა და ამოცანების (უნდა ითქვას, იმ დროისათვის საკმაოდ მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მიზნებისა და ამოცანების) პრაქტიკული განხორციელება.

პირველ რიგში, პასუხი უნდა მოეძებნოს კითხვებს: რა გარემოებებით იყო განპირობებული თბილისში გაზეთის დაარსების საჭიროება, რა ძალები მონაწილეობდნენ ამ საქმეში, ვის რა მიზანი ამოძრავებდა და ა. შ.

ამ საკითხებზე მსჯელობისას „საქართველოს გაზეთის“ ერთ-ერთი პირველი მკვლევარი ევგენი ვეიდენბაუმი აღნიშნავდა – თბილისში გაზეთის დაარსების ფაქტში ასახულია მთავარმართებელ ერმოლოვის შორსმჭვრეტელური ხედვა იმ მიზნებისა და ამოცანებისა, რუსულ ხელისუფლებას რომ უნდა განეხორციელებინა ახალშემოერთებულ მხარეშიო.

ვეიდენბაუმის ეს შეხედულება არსებითად სწორია. მართალია, სავსებით არც კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესების მქონე ადგილობრივი წრეების სურვილისა თუ ინიციატივის გამორიცხვა შეიძლება, მაგრამ „ახალშემოერთებულ მხარეში“ ხელისუფლების მიერ დაარსებული გაზეთი, პირველ რიგში, ხელისუფლების ინტერესებსვე უნდა მომსახურებოდა: „ამ დროს რუსული ენა ჯერ საკმაოდ არ იყო ყველასათვის გასაგები. ახალი სახელმწიფო სტრუქტურა, კანონები, დადგენილებანი განმარტებას მოითხოვდნენ. ამ გარემოებაში საქართველოში ცარიზმის განმტკიცების საუკეთესო საშუალება ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემა იქნებოდა“ (ტ. კასრაძე).

ამას გარდა, ხელისუფლებას უთუოდ ექნებოდა უფრო შორსგამიზნული მიზანიც; კერძოდ, საქართველოს შეყვანა საერთო-საიმპერიო საინფორმაციო სივრცეში, იმ საინფორმაციო-იდეოლოგიერი პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრებასა და განმტკიცებას, საქართველოს შერწყმა-ასიმილაციას რუსეთის იმპერიასთან. მით უმეტეს, პირველი ქართული გაზეთის გამოცემის სათავეში იდგა (ყოველ შემთხვევაში, მისი სურვილისა და ნებართვის გარეშე ეს ვერ განხორციელდებოდა) საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის ცალკე

კორპუსის მთავარსარდალი, ინფანტერიის გენერალი ალექსი ერმოლოვი, რომელსაც რუსეთის განათლებულ წრეებში პროგრესისტ-ლიბერალის სახელი კი ჰქონდა დაგდებული (რამაც, სხვათა შორის, შეიწირა კიდევაც მისი შთამბეჭდავი სამხედრო კარიერა), მაგრამ საქართველოში განსაკუთრებული სისასტიკითა და ჩვენი ქვეყნის რუსიფიკაციის უკიდურესი ძალადობრივი მეთოდებით გამოირჩეოდა.

კავკასიაში ყოფნისას ა. ერმოლოვის მთავარი და სახელმძღვანელო პრინციპი იყო: „არ იარსებებს საქართველო და აღარც კავკასიის საკითხი იარსებებს“. დავიმოწმებთ ორიოდე მაგალითს მისი კერძო ხასიათის მიმოწერიდან: „ქართველი ხალხი ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათნო მმართველობისა. მას რკინის კვერთხი ესაჭიროება. სხვა აქაური ხალხები უკეთესები არიან. მათ შეგნებული მაინც აქვთ თავიანთი უმეცრება და ადამიანობაზე პრეტენზიასაც არ აცხადებენ... თანდათან ვრწმუნდები, რომ უდიდესი გმირობაა საჭირო, იღვწოდე ისეთი ხალხის სასარგებლოდ, რომლის დამახასიათებელი თვისებაა უმადურობა და რომელსაც რუსეთისადმი მიკუთვნება ბედნიერებად არ მიაჩნია, მრავალჯერ უღალატნია რუსეთისათვის და მზადაა, კიდევ არაერთხელ უღალატოს მას“. იგივე ერმოლოვი, – 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებით აღშფოთებული, – ერთ თავის მეგობარს სწერს: „აქაური მეფეებისა და მთავრების მთელი ჯილაგი ერთ ცოფიან ძაღლადაც კი არ ღირს“.

ბუნებრივია, საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი ასეთი ზიზღითა და სიძულვილით გაჟღენთილი მთავარმართებელი არ დააარსებდა ისეთ გაზეთს, რომელშიც ქართველთა ეროვნული ინტერესები იქნებოდა გათვალისწინებული, ხოლო დაპირებები „სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის მცხოვრებთა ამის ქვეყანისათა“ და ა. შ., უნდა ვიფიქროთ, ერთგვარი „დიპლომატიური მანევრი“ იყო და პოტენციური მკითხველის კეთილგანწყობის მოპოვებისათვის იქნებოდა საჭირო.

რაც შეეხება გაზეთის **ქართულ** ენაზე გამოცემას, ეს ბუნებრივი იყო იმდენად, რამდენადაც, რუსული ენის მცოდნე ქართველები ძირითადად სახელმწიფო სამსახურში იდგნენ და ისედაც ლოიალურად იყვნენ განწყობილნი არსებული რეჟიმის მიმართ, ხოლო დანარჩენ მოსახლეობაში რუსული წერა-კითხვის მცოდნენი იშვიათად თუ მოიპოვებოდნენ, განსაკუთრებით, თბილისიდან დაშორებულ ადგილებში. ე. ვეიდენბაუმის თქმით, „საქართველოს უმაღლესი მთავრობის ექსპედიციებში[1] მოსამსახურე ქართველი თავადაზნაურობის უმეტესმა ნაწილმა რუსულ ენაზე საკუთარი გვარის დაწერაც კი არ იცოდა... ამდენად, გაზეთს თავისი მიზნის მიღწევა შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენის მეშვეობით, რომელიც გაბატონებული იყო ყოფილი ქართული სახელმწიფოს სოფლებსა და ქალაქებშიც“.

ა. ერმოლოვმა გაზეთის გამოცემის უშუალო ხელმძღვანელობა დააკისრა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს (სხვათა შორის, თავის ნათესავს), გენერალ-მაიორ რომან ხოვენს, რომელმაც, თავის მხრივ, ენერგიული მიმოწერა გააჩაღა ხელქვეითებთან გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში...

რ. ხოვენი ხელქვეითებს ავალებდა გაზეთისათვის ხელის მომწერთა მოპოვებას. მანვე წერილობით სთხოვა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლს („მარშალს“) კონსტანტინე მუხრანბატონს, რომ ამ უკანასკნელს იმავე თხოვნით მიემართა მაზრების წინამძღოლებისათვის; ამასთანავეო, – სწერდა რ. ხოვენი კ. მუხრანბატონს, –

[1] ruseTis xelisuflebam qarTl-kaxeTis samoqalaqo mmarTvelobis gansaxorcieleblad 1800-iani wlebis dasawyisSive Camoayaliba `saqarTvelos umaRlesi mTavroba~, romelic dayofili iyo oTx `eqspediciad~ (ganyofilebad) _ aRmasrulebel, samoqalaqo saqmeTa, sisxlis samarTlis saqmeTa da saxazino qonebis eqspediciebad.

სასურველია, გაზეთისათვის მოგვაწოდონ „ყოველგვარი ცნობა მათ მაზრაში მომხდარ ისეთ ამბებზე, რომლებიც საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს და ამით ხელი შეუწყონ გაზეთის წარმატებით გამოცემას. ეს ცნობები შეიძლება ქართულ ენაზე გამოიგზავნოს“.

კ. მუხრანბატონმა, თავის მხრივ, მაზრის წინამძღოლებს დაუყოვნებლივ აუწყა:

„გთხოვთ, რათა უეზდისა თქვენისა კეთილშობილნი შეკრიბოთ და გამოუცხადოთ ესე და ამაზედ ხელი მოაწერინოთ და რომელნიცა მოაწერენ, მიუვათ მათ ამბავი ესე დაბეჭდილი ქართულად ყოველს კვირაში ერთხელ“.

მიუხედავად მმართველობისა და თავადაზნაურობის წინამძღოლთა ერთობლივი მოწადინებისა, ხელმოწერების საჭირო რაოდენობა (500 კაცი) მაინც ვერ შეგროვდა და ამის გამო გაზეთი წინასწარ გამოცხადებულ დროს (1 მარტს) ვერ გამოვიდა.

საჭირო რაოდენობამდე ხელის მომწერთა გაზრდას დიდად შეუწყო ხელი სომხეთის გრიგორიანული ეკლესიის საქართველოს ეპარქიის არქიეპისკოპოსმა, თბილისში სომხური სასულიერო სემინარიის დამაარსებელმა, შემდგომში (1843 წლიდან) სრულიად სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქმა ნერსესმა, რომელმაც სომეხ სამღვდელოებაში სახელდახელოდ ასზე მეტი ხელის მომწერი იშოვა და ამით გამომცემლებს საქმე გაუადვილა („საშუალებითა მისის ყოვლად სამღვდელოებისათა მხოლოდ სომეხთ სამღუდელოთ ხელი მოუწერიათ უმეტეს ასის გაზეთის ფურცლის აღებასა ზედა“ – „საქართველოს გაზეთი“, 1819, №3).

არქიეპისკოპოს ნერსესის ამგვარი თავგამოდება გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: ნერსეს V (აშტარაკეცი) აქტიურად იღვწოდა მუსლიმთა უღლისაგან სომხეთის გათავისუფლებისათვის, ამ საქმეში მთელი თავისი იმედი და სასოება რუსეთზე ჰქონდა დამყარებული და, შესაბამისად, მოწადინებული იყო ხელი შეეწყო უკლებლივ ყველა იმ ღონისძიებისათვის, რომელიც კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას ხელს შეუწყობდა.

ასე იყო თუ ისე, 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა პირველი ქართული პერიოდული გამოცემა **„საქართველოს გაზეთი“**. იგი თაბახის ფურცლის ზომისაა (35X21) და შეიცავს 4 გვერდს (პაგინაციის გარეშე – გვერდები არ არის დანომრილი). მასალა განლაგებულია ორ სვეტად.

გაზეთს აქვს შემდეგი განყოფილებები:

1. სანკტ-პეტერბურღს.
2. უმაღლესნი ბრძანებანი.
3. გამოცხადებანი.
4. უცხოს ქვეყანის ამბავი.
5. შერთული (შერეული – თ. ჯ.) ამბავი.

მასალის დალაგების მხრივ „საქართველოს გაზეთს“ არსებითი ხასიათის ცვლილებები არც შემდგომში განუცდია. 1819 წელს გამოვიდა გაზეთის 43 ნომერი, 1820 წელს – 51, ხოლო 1821 წლის ჩვენამდე მოღწეული კომპლექტი ნაკლულია და დაბეჯითებით თქმა იმისა, თუ რამდენი ნომერი გამოვიდა ამ წელს, ჯერჯერობით შეუძლებელია. გაზეთი იბეჭდებოდა სამხედრო კორპუსის შტაბში, სადაც გამართული იყო თბილისში იმ დროს არსებული ერთადერთი ქართული სტამბა. იქვე მუშაობდა გაზეთის რედაქციაც.

„საქართველოს გაზეთი“ გამოდიოდა პარასკეობით, რაც იმ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ რუსეთიდან ფოსტა (მათ შორის, რუსული პრესა) ჩამოდიოდა პარასკეობით და პარასკეობითვე ნაწილდებოდა საქართველოს რეგიონებში.

გაზეთი თავიდან დაბეჭდილი იყო რუსულ ენაზე („Грузинская газета“), რაც, პირველ რიგში, საცენზურო პირობებით იყო გამოწვეული (ხელმძღვანელობას უნდა შეემოწმებინა გამოსაქვეყნებლად მომზადებული მასალა), ხოლო შემდეგ ეს მასალა ითარგმნებოდა

ქართულად. უნდა ვივარაუდოთ, ქართულად შედგენილი და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი ცნობები იბეჭდებოდა დედნის მიხედვით, თუმცა მისი რუსულად თარგმნა და ხელმძღვანელობისათვის შესამოწმებლად წარდგენა მაინც აუცილებელი იქნებოდა.

1820 წლის შუახანებისათვის გაზეთს შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა **„ქართული გაზეთი“**, ამასთანავე, პირველ გვერდზე გაჩნდა ურჩხულთან მებრძოლი წმ. გიორგის გამოსახულება, რომელიც რუსული ხატწერის პრინციპებითაა შესრულებული (სხვათა შორის, გაზეთში წმინდა გიორგის გამოსახულებამ ზაქარია ჭიჭინაძეს აფიქრებინა, ეს სხვა გაზეთიაო და მას „წმინდა გიორგი“ უწოდა, რაც, რასაკვირველია, სწორი არ არის), მნიშვნელოვნად დაიხვეწა გაზეთის ენა და სხვ.; ზემოაღნიშნული ცვლილებები იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ რედაქციაში მივიდა ახალი, უფრო გამოცდილი და დაოსტატებული მთარგმნელ-თანამშრომელი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები გაზეთის იდეოლოგიასა და თემატიკაში არ შეინიშნება. ეს არცაა გასაკვირი – „საქართველოს გაზეთის“ ხასიათსა და მიმართულებას ხელისუფლების წარმომადგენლები განსაზღვრავდნენ და ახალი მთარგმნელი, თუნდაც უფრო პატრიოტულად განწყობილი, გაზეთში არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანას, რასაკვირველია, ვერ შეძლებდა.

რაც შეეხება სახელწოდების შეცვლის მიზეზს, არსებობს მოსაზრება, რომ „ქართველი მკითხველისათვის პირველი სახელწოდება [„საქართველოს გაზეთი“] უკეთესი იყო, ვინაიდან იგი მასში უფრო პოლიტიკურ შინაარსს აქსოვდა. აქ გაერთიანებული საქართველოს აზრი და იდეა მოჩანდა... სახელწოდება „საქართველოს გაზეთი“ საქართველოს ერთიანობის მაუწყებლად გამოიყურებოდა“ (მ. გოცაძე). არსებობს მეორე ვარაუდიც: „ახლად მოწვეულმა და თანაც უფრო გამოცდილმა და განსწავლულმა მთარგმნელმა ამ გაზეთის რუსულ სახელწოდებას გამოუნახა უკეთესი ქართული შესატყვისი, რომელიც, მისი აზრით, და სამართლიანადაც, იყო „ქართული გაზეთი“ (პ. გუგუშვილი). ეს უკანასკნელი თვალსაზრისი ძირითადად გაზიარებულია მკვლევართა მიერ (ნ. ტაბიძე, ა. კენჭოშვილი, ალ. კალანდაძე, შ. რატიანი...).

რედაქციის თანამშრომელთა და მთარგმნელთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია. ნ. ტაბიძის ვარაუდით, შესაძლებელია, იგი ყოფილიყო ვინმე ნაზაროვი (ნაზარიშვილი), რომელიც კავკასიის სამხედრო კორპუსის შტაბში თარჯიმნად მუშაობდა. ნ. ტაბიძე ასახელებს იმ პირებსაც, რომლებიც იმ დროს მთარგმნელებად მსახურობდნენ სხვადასხვა უწყებაში: გიორგი ჩიქოვანი (აღმასრულებელი ექსპედიცია), თომა ყორღანაშვილი (სასამართლო პალატა), აგრეთვე, მიხეილ ფალავანდიშვილი, რომელმაც თარგმნა და „საქართველოს გაზეთში“ (1819, №2) გამოაქვეყნა „ნაკაზი ხელმწიფა იმპერატრიცა ეკატერინე მეორისა მიცემული კომისიისადმი ჰსჯულისა“ (მიხეილი, სხვათა შორის, ძმა იყო 1832 წლის შეთქმულების გამცემის, იასე ფალავანდიშვილისა).

შალვა რატიანის მოსაზრებით, „საქართველოს გაზეთის“ მთარგმნელ-რედაქტორი, შესაძლებელია, ყოფილიყო თვალსაჩინო ფიგურა ქართული კულტურის ისტორიაში ნიკოლოზ (ნიკო) ჩუბინაშვილი – ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ქართული სიძველეების მკვლევარი. 1815-1825 წლებში ნ. ჩუბინაშვილი მსახურობდა თბილისის სანოტარო კანტორის მდივნად, დაახლოებული იყო როგორც სამოხელეო, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესების მქონე წრეებთან, ითვლებოდა დახელოვნებულ მთარგმნელად, ამასთანავე, მისი მამა – დავით ჩუბინაშვილი – იყო თავისი დროის ცნობილი მესტამბე და ახალგაზრდებს (ადვილი შესაძლებელია, საკუთარ შვილებსაც) ასწავლიდა სასტამბო საქმეს. ამდენად, არ არის გამორიცხული, ის „ახალი თანამშრომელი“, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელთანაც „საქართველოს

გაზეთში“ განხორციელებული ზოგიერთი სიკეთეა დაკავშირებული (განსაკუთრებით, ენის დახვეწა-გაუმჯობესება), ნიკოლოზ (ნიკო) ჩუბინაშვილი ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, „საქართველოს გაზეთის“ რედაქტორისა თუ მთარგმნელ-თანამშრომელთა ვინაობის საკითხი დოკუმენტური მასალის უქონლობის გამო ბურუსითაა მოცული და ყველა ის მოსაზრება, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, დღემდე ვარაუდების სფეროში რჩება.

რაც შეეხება ცენზურას (იგი სავალდებულო იყო ნებისმიერი ნაბეჭდი ტექსტისათვის), არც ამ საკითხზე შეგვიძლია დარწმუნებით საუბარი. ვარაუდით კი იმის თქმაღა შეიძლება, რომ, როგორც ჩანს, გაზეთის საერთო ხელმძღვანელობასა და ცენზურას ერთი და იგივე ოფიციალური პირები ახორციელებდნენ და ეს ოფიციალური პირები (სახელისუფლებო ფენის წარმომადგენლები), რასაკვირველია, სპეციალურად გამოყოფილი პირის გარეშეც არ დაუშვებდნენ გაზეთში ისეთი მასალის გამოქვეყნებას, რომელიც რაიმე უხერხულობას შეუქმნიდა პოლიტიკურ რეჟიმს.[2] ამ მხრივ, იშვიათ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ინფორმაცია:

„მაისის იგ [13] რიცხვსა გარდაიცვალა აქ (პეტერბურგში – თ. ჯ.) შემდგომად მოკლე ჟამიერისა სნეულებისა, უფალი ღენერალ-ლეიტენანტი და სენატორი საქართველოს მეფის გიორგის ძე დავით – დამარხვა გვამისა მისისა იყო კბ [22] რიცხუსა შესაბამითა პატივითა“ (1819, №18).

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ინფორმაცია ქართველი მკითხველის საგანგებო ინტერესის საგანი გახდებოდა. ცნობა ეხება ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ძეს – სამეფო ტახტის მემკვიდრეს, რომელსაც მოვლენათა საბედისწერო განვითარებამ ტახტზე ასვლის შესაძლებლობა მოუსპო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქართლ-კახეთში სახელმწიფოებრიობის განადგურებას ზედიზედ მოჰყვა კახეთის თავადაზნაურობის ჩაშლილი შეთქმულება, შემდეგ კი აჯანყებები და სისხლისღვრა, ცნობა რუსეთში გადასახლებული დავით ბატონიშვილის გარდაცვალების შესახებ მკითხველს, პირველი რიგში, დააფიქრებდა იმ ეროვნულ კატასტროფაზე, რომელიც 1801 წელს საქართველოს თავს დაატეხა იმ სახელმწიფომ, რომლის ინტერესების განხორციელებასაც ცდილობდნენ „საქართველოს გაზეთის“ მესვეურები. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, გაზეთის ხელმძღვანელებს ამ ინფორმაციის გამოქვეყნებისას იმით ეხელმძღვანელათ, რომ დაკარგული თავისუფლების აღდგენაზე მეოცნებე ქართველებისათვის ტახტის კანონიერი მემკვიდრის გარდაცვალება ბედთან და ვითარებასთან შეგუების კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდებოდა – კითხულობდნენ გაზეთს თუ არ კითხულობდნენ (საერთოდ, იცოდნენ წერა-კითხვა თუ არა), „საქართველოს გაზეთში“ გამოქვეყნებული ცნობა დავით ბატონიშვილის გარდაცვალების შესახებ, უნდა ვიფიქროთ, სწრაფად გავრცელდებოდა საზოგადოების ფართო ფენებში.

ერთი სიტყვით, ეს ის იშვიათი შემთხვევათაგანია, როცა „საქართველოს გაზეთში“ გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ შესაძლებელია აზრთა სხვადასხვაობა (განსხვავებული ინტერპრეტაციები) გამოიწვიოს. სხვა მხრივ, გაზეთი ბეჯითად ემსახურებოდა საქართველოში რუსული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გავრცელებასა და დამკვიდრებას და ამ მხრივ საგულისხმოა პირველ ქართულ გაზეთში დაბეჭდილი **პირველივე** ინფორმაცია:

---

[2] specialuri samsaxuri _ `sacenzuro komiteti~ _ saqarTveloSi maSin ar arsebobda da igi mogvianebiT, 1848 wels, Seiqmna (praqtikulad 1849 wlidan amoqmedda).

„ახალწლის დღეს საზამთროს სასახლის ეკკლესიაში საღმრთოს ჟამის წირვის შემდგომად, სადაცა სხ სა შორის დაესწრნენ უცხოს ქ ყნის მინისტრნიცა, მათ დიდებულებად ელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა და მათ იმპერატორებითთ სიმაღლეთ დიდმა მთავარმა ნიკოლაოზ პავლეს ძემ და დიდმა მთავრინამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ინებეს მილოცვის მიღება ყოველთა სასახლეში მხიარულთა ორივსავე სქესის გვამთაგან. მწუხრად სრულლიადი ქალაქი განათლებულ იყო ჩირაღღვანთა“.

ეს ცნობა საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც წარმოდგენას იძლევა პირველი ქართული გაზეთის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ტენდენციაზე, რომელიც გასდევს გაზეთს მთელი მისი არსებობის განმავლობაში – „საქართველოს გაზეთში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რუსეთის საიმპერატორო კარის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ამბებს (მიღებები თუ სხვა ცერემონიალები, როგორ ხვდება იმპერატორი და მისი უავგუსტოესი ოჯახი საერო თუ საეკლესიო დღესასწაულებს და სხვ.). მეფის სასახლის ბრწყინვალება წარმოდგენილია როგორც ფანტასტიკური, საოცნებო რამ, როგორც ამქვეყნიური სამოთხე, იმავდროულად, როგორც სიმბოლო რუსეთის იმპერიის სიდიადისა და ძლევამოსილებისა. შეუძლებელია, რუსი იმპერატორისადმი გქონდეს სხვა გრძნობა, გარდა მოწიწებისა და მორჩილებისა, მით უფრო, იგი სიკეთისა და საკუთარ ხალხზე ღვთიური ზრუნვის განსახიერებაა და სხვ.

„საქართველოს გაზეთი“ ცდილობს, მკითხველს ჩაუნერგოს იმის შეგნება, რომ საქართველოს დედაქალაქი ამჟამად პეტერბურგია, სადაც მეფობს ქართველთა ახალი მეფე-პატრონი და მისი ძლევამოსილი სკიპტრის ქვეშ ცხოვრება განგებისაგან მონიჭებული ბედნიერებაა და არა ბოროტება ან უსამართლობა, როგორც, შესაძლოა, ზოგ-ზოგნი ჯერ კიდევ ფიქრობენ რუსეთის დიად იმპერიასთან შეერთებით გაბედნიერებულ ახალ გუბერნიაში. ამ მხრივ, მრავლისმთქმელია თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის ბუკრინსკის მიერ მოწაფეებისა და მათი მშობლების წინაშე საჯაროდ წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც ალექსანდრე I-ის აპოლოგიაა მოცემული და ამ სიტყვას „საქართველოს გაზეთი“ (1819, №20) ვრცელ ადგილს უთმობს:

„შენ, რომლისაცა სკიპტრასა ქვეშე ესეოდენნ მილიონნი მოკვდავთანი ნეტარებენ, რომლისაცა სახელსა ჩრდილოეთი და სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი აკურთხებენ – შენგან, ვითარცა წყაროსაგან ყოველთა წყალობათა მოეფინების ყოველივე კეთილი ამათ ყრმათა ზედა, რომელნიცა წინაშე მდგომარე არიან ღვთაებრისა შენისა გამოხატულებისა (პორტრეტისა – თ. ჯ.) და უღრმესითა კეთილმოწიწებითა მიმხედველნი მას ზედა შენდამი მხოლოსა შესწირვენ გონებათა და გულთა თვისთა ვიდრე საფლავადმდე“ და ა. შ.

ანალოგიურ ვითარებას ვხედავთ იმ საგაზეთო მასალაშიც, რომელშიც საერთაშორისო ცხოვრებაა ასახული და რომელსაც გადმობეჭდავდნენ ხოლმე რუსული პრესიდან („სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“, „მოსკოვსკიე ვედომოსტი“, „სევერნაია პოჩტა“ და სხვ.).

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ ქართველი მკითხველისათვის საერთაშორისო ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის მიწოდება თავისდათავად პოზიტიური მოვლენა იყო. ევროპული სივრცისაგან მოწყვეტილი, მრავალსაუკუნოვან იზოლაციაში ნამყოფი საზოგადოებისათვის საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა თუნდაც მწირი ცნობების გაგება იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მაშინდელ მსოფლიოში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა მკითხველის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის პუბლიკაციებშიც შეინიშნება ტენდენცია რუსეთის დომინანტური როლის გამოკვეთისა საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენებსა თუ პროცესებში:

„რუსეთის დროშები მსწრაფლად გაიშალნენ თვისის მამულის სამძღვარს გარეთ. რუსნი სამძღვარს გარეთ გავიდნენ არა ბრძოლით დაპყრობისათვის ქვეყნისა, არამედ გამოხსნისათვის ევროპიისა, რომელიც კვ [26] წელი იყო ვნებასა შინა ფრანცუზთ მძლავრებისაგან“ (1819, №4) და სხვ.

იბეჭდებოდა აგრეთვე სხვადასხვა ტიპის მასალა რუსეთის წარსულზე (ეპიზოდები პეტრე I-ის ცხოვრებიდან, მისი სახელოვანი გამარჯვება პოლტავის ბრძოლაში და სხვ.), რაც ქართველ მკითხველში რუსეთის ისტორიისადმი ინტერესისა და პატივისცემის გაღვივებას ისახავდა მიზნად.

ადგილობრივი ცხოვრება გაზეთში მწირად და ზერელედაა ასახული – ძირითადად ჭარბობს ქრონიკა: ოფიციალური მასალა მოხელეთა დაჯილდოება-დაწინაურების შესახებ, აგრეთვე, სხვადასხვა ხასიათის განცხადებები და მოკლე-მოკლე ცნობები არაპოლიტიკური ხასიათის ცალკეულ შემთხვევებსა თუ სტიქიურ უბედურებებზე. „საქართველოს გაზეთში“ იგნორირებულია იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება, თუმცა, მოგვიანებით გაზეთის ერთ-ერთ ნომერში (1821, №12) ქვეყნდება ხელმწიფისაგან დაჯილდოებულ იმ პირთა ვრცელი სია (გურიელები, დადიანები, ერისთავები, აბაშიძეები და სხვ.), რომლებმაც თავი გამოიჩინეს იმერეთის აჯანყების ჩახშობისას.

საპირისპირო ვითარებაა ე. წ. „კავკასიის ომებთან“ დაკავშირებით. ამ დროს რუსეთს უკვე დაწყებული ჰქონდა (1817 წლიდან) სისხლისმღვრელი ომი ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად (ჩრდილოკავკასიელ ხალხთა წინააღმდეგობა თითქმის ნახევარ საუკუნეს გაგრძელდა და რუსების გამარჯვებით დასრულდა 1864 წელს). „საქართველოს გაზეთი“ ფართოდ აშუქებს ამ ომთან დაკავშირებულ ფაქტებს (სოფლების გადაწვა, მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა, ტყეების გაჩეხვა, მოსავლის განადგურება...) და ვითარებას ისე წარმოაჩენს, თითქოს რუსეთი იძულებულია, იარაღი იხმაროს მუხანათი და ველური ჩრდილოკავკასიელი მთიელების წინააღმდეგ და მათივე სარგებლობისა და კეთილდღეობისათვის დაამყაროს იქ სიმშვიდე და წესრიგი. ამასთანავე, გაზეთის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება ცნობები რუსეთის სასარგებლოდ მებრძოლი ჩრდილოკავკასიელების დაჯილდოება-დაწინაურების შესახებ, რასაც, ბუნებრივია, „წამახალისებელი“ ფუნქცია აქვს დაკისრებული (ვინც რუსეთისადმი განსაკუთრებულ ერთგულებას გამოიჩენდა, იმას უბოძებდნენ „ოქროს ხმალს ალმასითა და თვალით მოოჭვილს ზედა წარწერით: „მხნეობისათვის“ და სხვ.).

„საქართველოს გაზეთში“ შეხვდებით ცნობებს იმდროინდელი თბილისის ცხოვრებაზე (ძირითადად, მრეწველობის, ვაჭრობისა და საქალაქო მეურნეობის შესახებ) და ეს მასალა საინტერესოა თბილისის ისტორიის შესასწავლად: „თბილისის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარს 1819-1821 წლების ქართულ გაზეთში საყურადღებო და მრავალმხრივი მასალის ამოკრება შეუძლია“ (მ. გოცაძე).

„გამოცხადებაში“ ნათქვამი იყო – მკითხველს გასართობ ამბებსაც („შესაქცევთა მუხლთა“) შევთავაზებთო და აქა-იქ მართლაც გვხვდება „შესაქცევი“ საგაზეთო მასალა; ვთქვათ, ასეთი ანეკდოტი:

„ძუნწმა კაცმა უთხრა თავის მოსამსახურეს, რომელიც სწრაფად და მრავალს სჭამდა და თავის თანამდებობას დაყოვნებით აღასრულებდა უმეტესად გაგზავნ-გამოგზავნის დროს, თუ შენ გინდა ჩემთან სამსახური, ფეხებით ჭამე და კბილებით იარეო“ (1819, №25).

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ „საქართველოს გაზეთი“ სათანადო ყურადღებას უთმობდა განათლების („ყრმათა აღზრდის“) საკითხს. გაზეთის მესვეურთა დამოკიდებულება განათლებისადმი ამგვარი იყო: „კაცსა საშუალებითა განათლებისათა არა თუ ოდენ უპოვნია ღონე შრომათ აღმსუბუქებისა, არამედ უპოვნიაცა შემძლებლობაი აღმსუბუქებად ხვედრისაცა“ (1820, №11).

ცალკეულ პუბლიკაციებში გვხვდება გამონათქვამები თუ მსჯელობანი როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების განვითარებისათვის ევროპული განათლების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. იბეჭდება ინფორმაცია თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელთან დაკავშირებულ საკითხებზე...

ერთი შეხედვით შეიძლება უცნაური ჩანდეს განათლებისადმი ასეთი გამახვილებული ყურადღება ხელისუფლების მიერ საკოლონიზაციოდ აღქმულ ქვეყანაში. თუმცა, გაზეთის ხელმძღვანელობის ამგვარი თავგამოდება, ვფიქრობთ, გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ ზოგადად რუსეთის ხელისუფლების „საგანმანათლებლო“ ინტერესებს ახალდაპყრობილ ქვეყნებში. კერძოდ, განათლების რუსულენოვან კერებს (ჩვენს შემთხვევაში, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს) უნდა გამოეზარდა სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამსახურების ჩინოვნიკები, სასამართლო დაწესებულებათა მოხელეები, თარჯიმნები და ა. შ.; ერთი სიტყვით, ადგილობრივ მოსახლეობაშივე უნდა შეექმნა ისეთი ფენა, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოში (მთლიანად კავკასიაში) რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული სისტემის შეუფერხებელ და წარმატებულ საქმიანობას და, ამასთანავე, იქნებოდა ოფიციალური პოლიტიკურ-იდეოლოგიური კურსის დასაყრდენიცა და გამტარებელიც (თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დაარსების ინიციატორი პავლე ციციანოვი სწერს იმპერატორ ალექსანდრე პირველს: „აქაური თავადაზნაურობის უკიდურესმა უვიცობამ... მაიძულა, შევდგომოდი საქართველოში განათლების პირველი სხივების შეტანას თუ მთელი ხალხისათვის არა, თავადაზნაურობისათვის მაინც, რათა თაობა, რომელიც ამჟამად ყრმობის ასაკშია, ეზიაროს იმ ნეტარებას, რომელსაც რუსული მართებლობა უმზადებს“).

„საქართველოს გაზეთში“ გამოქვეყნდა რამდენიმე პროზაული თხზულება (ყველა თარგმანია): „მოთხრობა ქალის მარიამისა“, „ამბავი უფლისა დელამოტისა (თხზულებათაგან პაღოლებრუნისათა)“, „იშვიათი ცოლი“ და კიდევ ორიოდე მოთხრობა. ისინი ძირითადად სანტიმენტალური პროზის ნიმუშებია და არც ერთ მათგანს არავითარი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება არ გააჩნია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გაზეთის მესვეურები სათარგმნელად ძირითადად ევროპულ ლიტერატურას არჩევენ და თავისდათავად ეს პოზიტიური ტენდენციის გამომხატველია.

გაზეთში საერთოდ არ ასახულა ქართული ლიტერატურა: არც თანადროული, არც – ადრინდელი. საკმარისია ითქვას, რომ „საქართველოს გაზეთში“ (ყოველ შემთხვევაში, დღემდე მოპოვებულ ნომრებში) არც ერთი ქართული ლიტერატურული ნაწარმოების სათაურიც კი არ არის ნახსენები.

პირველი ქართული გაზეთი **ინფორმაციული** ხასიათის **ოფიციოზი**[3] იყო და, შესაბამისად, ჟანრობრივი თვალსაზრისით აქ გამოქვეყნებული მასალაც ძირითადად ინფორმაციული ხასიათისაა.

„საქართველოს გაზეთის“ ენა მძიმეა და არქაიზებული, სავსეა რუსიციზმებით, („ისპოლნიტელნი ექსპედიცია“, „უეზდის სუდი“, „ოკრუჟნი“, „კოროლი“, „სეკრეტარი“ და სხვ.), კალკებით (რუსულიდან თარგმნის შედეგი), ჭარბადაა ქართულისათვის არაბუნებრივი სიტყვათწარმოება და სინტაქსური კონსტრუქციები და ა. შ.; რედაქცია ცდილობდა, რუსულის გავლენით დაემკვიდრებინა სქესის მაწარმოებელი **ა** [მეფა, ხელმწიფა, უფალა და სხვ.; უნდა ითქვას, რომ ამგვარი ტენდენცია მომდევნო ქართულ გაზეთსაც („ტფილისის უწყებანი“) გადაჰყვა]. 1820 წლის შუახანებიდან, როგორც ზემოთ ითქვა, გაზეთის ენას გაუმჯობესება დაეტყო და ეს გარემოება რედაქციაში ახალი მთარგმნელის მისვლით უნდა იყოს გამოწვეული.

1821 წლის ბოლოს პირველი ქართული გაზეთი დაიხურა. მიუხედავად ხელისუფლების მორიგი მცდელობისა, მომავალი წლისათვის უკვე ვეღარ მოხერხდა საჭირო რაოდენობის

[3] **oficiozi** _ beWdviTi organo (gazeTi, Jurnali), romelic mTavrobis oficialur organod ar iTvleba, magram mTavrobis Tvalsazriss gamoxatavs (qarTuli enis ganmartebiTi leqsikoni. arn. Ciqobavas saerTo redaqciiT. t. VI. Tb.: 1960, gv. 78).

ხელის მომწერთა მოპოვება („გამოცხადებაში“, როგორც ზემოთ ითქვა, 500 ხელმოწერა გაზეთის გამოცემის აუცილებელ პირობად იყო დადებული). 1822 წლის მარტისათვის თბილისში მხოლოდ და მხოლოდ 19 ხელმოწერა შეგროვდა და ამის შემდეგ ხელისუფლებამ, დარწმუნდა რა ამ საქმის უპერსპექტივობაში, შეწყვიტა გაზეთის განახლებაზე ფიქრი.

ასე რომ, ვიმეორებთ, პირველი ქართული გაზეთი საზოგადოების გულგრილობამ და, აქედან გამომდინარე, ხელის მომწერთა სიმცირემ იმსხვერპლა.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: თუკი „საქართველოს გაზეთი“ ოფიციოზი იყო და იმ საინფორმაციო-იდეოლოგიური პოლიტიკის გატარება ევალებოდა, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრებასა და განმტკიცებას, მაშინ რატომ მიაგდო ხელისუფლებამ გაზეთის ბედი ხელის მომწერთა ნებასა თუ სურვილზე და რატომ თვითონ არ დააფინანსა იგი ხაზინის ხარჯზე?

აქაც ძნელია დარწმუნებით ითქვას რაიმე და მსჯელობა ისევ და ისევ ვარაუდების სფეროში უნდა გადავიტანოთ. დასმულ კითხვაზე მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი პასუხის გასაცემად კი უნდა გავიხსენოთ „გამოცხადების“ ის მონაკვეთი, რომელშიც ნათქვამია: „რიცხვი ამ გაზეთზე ხელისმომწერთა აღმოაჩენს, თუ რაოდენ შორს განვრცელდება აქაურთ მცხოვრებთ წადილი, რათა დააახლოვონ თავნი თვისნი ჩვეულებათა შინა ერთა თანა ადრით ჟამითგან განათლებულთა“. ანუ, ხელისუფლებას უნდოდა ნიადაგის მოსინჯვა – მზად იყო თუ არა საზოგადოებრივი აზრი ამ ახალი საქმისათვის და მოხერხდებოდა თუ არა იმ მიზანდასახულობის პრაქტიკული განხორციელება, რისთვისაც „საქართველოს გაზეთი“ ფუძნდებოდა. გაზეთის სამწლიანმა არსებობამ კი დაადასტურა, რომ ხელისუფლების ეს ახალი წამოწყება არაეფექტური და უშედეგო აღმოჩნდა – გაზეთს მკითხველი არ ჰყავდა და, შესაბამისად, მასზე ფულისა და ენერგიის ხარჯვაც არ იქნებოდა გამართლებული.

„საქართველოს გაზეთს“ ქართულ საზოგადოებრივ აზრზე რამდენადმე შესამჩნევი კვალი რომ არ დაუტოვებია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ თანდათანობით დავიწყებას მიეცა გაზეთის თვით არსებობის ფაქტიც კი – 1869 წელს ნიკოლოზ ბერძნიშვილმა „კავკაზსკი კალენდარში“ გამოაქვეყნა „ქართულ პერიოდულ გამოცემათა მიმოხილვა დღიდან მათი დაარსებისა“ („Обзор грузинских периодических изданий с начала их основания“) და ამ „მიმოხილვაში“ „საქართველოს გაზეთი“ საერთოდ არ არის ნახსენები. მოგვიანებით სერგეი მესხი წერდა: „1820 წლებში გამოდიოდა რაღაც გაზეთი, რომელშიაც იბეჭდებოდა თურმე მმართებლობის განკარგულება. ამის სრულიად არა ვიცით რა“ („დროება“, 1872, №2). რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნდა ცნობა პირველი ქართული გაზეთის ერთ-ერთი ეგზემპლარის აღმოჩენის შესახებ: „ჩვენ მოგვივიდა ქუთაისიდამ იოსებ ჯანოვისაგან ერთი ნომერი იმ პირველი გაზეთისა, რომელიც მე-50 ნომერში იყო მოხსენებული. ამ გაზეთს ჰრქმევია სახელად „ქართული გაზეთი“. ჩვენ რომ მივიღეთ, ის ნომერია 1821 წ. 16 სექტემბრისა“ („დროება“, 1875, №56-57). 1887 წელს კი უკვე „ივერია“ (№156) აქვეყნებს ცნობას, რომ აღმოჩენილია „საქართველოს გაზეთის“ პირველი ნომერი, რომელიც სოფიო დოდაშვილს შეუწირავს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“ (სოფიო იყო მეუღლე ივანე სოლომონის ძე დოდაშვილისა).

მართალია, 1870-იან წლებამდე ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი არ იყო პირველი ქართული გაზეთის არც ერთი ნომერი, მაგრამ, როგორც ჩანს, „გამოცხადების“ ტექსტი, რომელიც 1819 წლის დასაწყისში ცალკე ფურცლებად გავრცელდა, ხელთ ჰქონია ივანე კერესელიძეს – 1850-იან წლებში იგი ყოველგვარი მითითების გარეშე „ცისკარში“ რამდენჯერმე აქვეყნებს „სარედაქციო განცხადებას“, რომელშიც სიტყვასიტყვითაა გამეორებული „გამოცხადების“ ერთ-ერთი მონაკვეთი:

„შესაძლებელ არს თქმა, პირველისა და ჩინებულისა გამოცემისა ესოდენ განშორებულს ქვეყანასა ადგილთა მათგან, სადაცა ადრით ჟამითგან არსებს განათლება და სადაც ყოველს წელს გამოიცემიან რაოდენნიმე ასნი ამის მსგავსნი გაზეთნი და ჟურნალნი“ („გამოცხადება“).

„შესაძლებელ არს თქმა, პირველისა და ჩინებულისა გამოცემისა ესოდენს განშორებულს ქვეყანისა ადგილთა მათგან, სადაცა ადრით ჟამთაგან არსებს განათლება და სადაც ყოველს წელს გამოიცემიან რაოდენიმე ასნი ამის მსგავსნი გაზეთნი და ჟურნალნი“ (ი. კერესელიძე).

პირველი ქართული გაზეთის დანიშნულებისა და მნიშვნელობის შეფასებისას უპირველესად ის უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, იგი არსებითად საქართველოში ახალდამკვიდრებული რუსული რეჟიმის ინტერესებს გამოხატავდა, მაგრამ იმავდროულად მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ჟურნალისტიკას და, ამდენად, ისტორიული თვალსაზრისით „საქართველოს გაზეთი“ საგანგებო მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ქართული პრესის, არამედ ზოგადად ახალი ქართული კულტურის ისტორიაში.

„საქართველოს გაზეთმა“ საფუძველი ჩაუყარა კავკასიურ პრესასაც, რამდენადაც მანამდე კავკასიაში არც ერთი გაზეთი თუ ჟურნალი არ გამოცემულა [სხვათა შორის, 1819 წლისათვის რუსეთის იმპერიაში, გარდა პეტერბურგისა და მოსკოვისა, გაზეთები მხოლოდ ყაზანში, ხარკოვსა და ასტრახანში იბეჭდებოდა; ხოლო რაც შეეხება სომხურ პრესას, მართალია, მას უფრო ძველი ისტორია აქვს (XVIII საუკუნის დასასრული), მაგრამ სომხური პრესა თავიდან საზღვარგარეთ (მადრასი, კალკუტა, ვენეცია და სხვ.) გამოიცემოდა. 1816 წელს გაზეთი სომხურ ენაზე რუსეთშიც (ასტრახანში) დაარსდა („არეველიან ცანუცმუნკ“), ხოლო კავკასიაში პირველი სომხური გაზეთი – „კოვკას“ – 1846 წელს თბილისში დაიბეჭდა].

„საქართველოს გაზეთი“ („ქართული გაზეთი“) პირველი ქართული გაზეთია და, ბუნებრივია, საქართველოში პირველმა დაამკვიდრა საგაზეთო ენა; მართალია, მწირი და ნაკლოვანი, მაგრამ მაინც საგაზეთო ენა და ამით ქართულ სალიტერატურო ენას განვითარების ახალი გზა და პერსპექტივები შესძინა. გაზეთის უდავო ღირსება და დამსახურებაა აგრეთვე მისი ევროპული ორიენტაცია და პიროვნებისა თუ საზოგადოების განვითარებაში განათლების პრიორიტეტული მნიშვნელობის აღიარება.

ლიტერატურა:

ბოცვაძე ი. პრესა და მწერლობა. თბ.: 1976, გვ. 3-14.

გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I. თბ.: 1954, გვ. 44-77.

გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), ტ. I. თბ.: 1941, გვ. 45-64.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I (1819-1853). თბ.: 1977, გვ. 48-73.

კარიჭაშვილი დ. ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. „წიგნის მეგობარი“, 1925, №1-2, გვ. 93-97.

კენჭოშვილი ა. „საქართველოს გაზეთის“ („ქართული გაზეთის“) პროფილისა და პოზიციის საკითხი. კრბ. „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“ (VII, 1976, გვ. 3-17).

კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს). წიგნში: **ვ. კოტეტიშვილი**. რჩეული ნაწერები (ორ წიგნად). **დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით. წგნ. I. თბ.: 1965, გვ. 50-54.

ლეონიძე გ. პირველი ქართული გაზეთის 120 წლისთავი. გაზ. „კომუნისტი“, 1939, №66.

რატიანი შ. ქართული ჟურნალისტიკის საწყისებთან („ქართული გაზეთის“ მთარგმნელ-შემდგენელი). კრებ. „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (I, 1977, გვ. 201-219).

ტაბიძე ნ. პირველი ქართული გაზეთი. თბ.: 1969.

ჭიჭინაძე ზ. ქართულ გაზეთის ასი წლის ისტორია. ტფ.: 1916, გვ. 10-21.

ჯანაშვილი მ. პირველი ქართული გაზეთი. „ივერია“, 1900, №3.

Ватейшвили Д. Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века. М.: 1973, с. 86-100.

Вейденбаум Е. Первая грузинская газета. ვიგნ'ში: **Е**. **Вейденбаум**. Кавказские этюды, т. I. Тиф.: 1901, с. 298-303.

ბიბლიოგრაფია იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945). შედგენილი **გ. ბაქრაძის** მიერ, **ვ. ეგნატაშვილის** რედაქციით. თბ.: 1947, გვ. 1-2.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია იხ. პირველი ქართული გაზეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. შედგენილი **ტ. კასრაძის** მიერ. თბ.: 1942.

„ტფილისის უწყებანი“

(1828-1832)

გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ისტორიული გარემო, რომელშიც დაიბადა და გამოიცემოდა ეს გაზეთი.

XIX საუკუნის პირველი ოცწლეულის ცნობილი ავჯანყებების სისხლში ჩახშობამ შედეგად ის გამოიღო, რომ 1820-იანი წლების დასაწყისში არსებითად დაშრეტილი ჩანს ქართველი ერის პოლიტიკური ნება, მისი ფიზიკური თუ ინტელექტუალური ენერგია, რამაც, თავის მხრივ, რუსეთის მონარქიას საშუალება მისცა, უფრო თავისუფლად განეხორციელებინა ახალდაპყრობილი ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და საეკლესიო ცხოვრების გარდაქმნა იმპერიული ინტერესებისა და მიზნების სასარგებლოდ; მით უმეტეს, ამ დროისათვის ქართლ-კახეთსა და იმერეთში (ცოტა მოგვიანებით – გურიაშიც) ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემის რუსიფიკაცია არსებითად დასრულებული იყო და საქართველო, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ფაქტობრივად აღარც არსებობდა. ქართული ენა, – ეროვნული თვითშემეცნებისა და კულტურის განმსაზღვრელი ფაქტორი, – კარგავდა ფუნქციებს, შეიცვალა განათლების ტრადიციული სისტემა და მიზანდასახულობა, საკანონმდებლო და სასამართლო ცვლილებები უცხო და შეუთავსებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ და მორალურ ნორმებთან (უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის ჩვენში ჯერაც არ არსებობდა მართლმსაჯულების ერთიანი სისტემა და ქაოსურად იყო ერთმანეთში აღრეული რუსულ და ქართულ კანონმდებლობათა ზოგადი პრინციპები თუ ცალკეული ნორმები).

რუსი ჩინოვნიკების უმრავლესობისათვის საქართველო მორიგი სათარეშო ასპარეზი იყო. აქ ძირითადად იგზავნებოდნენ ლოთი და უნიჭო, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა დანაშაულისათვის დასჯილ-ჩამოქვეითებული მოხელეები, რომელთა ძირითადი მიზანი იყო გამდიდრება, რასაც ახერხებდნენ კიდევაც ძარცვა-გლეჯით, მექრთამეობით, ჯაშუშობით, ხაზინის ქურდობით... ყოველივე ეს იწვევდა საზოგადოებრივი მორალის გახრწნასა და გადაგვარებას. მმართველ ფენებს ეზიზღებოდათ ყოველივე ქართული და აგრესიული მეთოდებითა და ფორმებით ცდილობდნენ, აღმოეფხვრათ ყველაფერი, რასაც კი ეროვნული თვითმყოფობის კვალი აჩნდა.

პოლიტიკური და სოციალური დასაყრდენის შექმნისა და ქვეყნის სრული ასიმილაციის მიზნით რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო საქართველოს ტერიტორიის გამალებული კოლონიზაცია, რაც 10-15 წელიწადში იმით დასრულდა, რომ ჩვენში შეიქმნა გერმანელთა, რუს სექტანტთა, ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთა და ბერძენთა კომპაქტური დასახლებები... აქა-იქ და ცალკეულ პირთა კერძო ინიციატივითღა თუ ფეთქავდა კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრება. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, როგორც ეს წინა თავში ითქვა, იმისათვის იყო მოწოდებული, რომ გამოეზარდა სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამსახურების ჩინოვნიკები, სასამართლო დაწესებულებათა მოხელეები, თარჯიმნები და ა. შ. და ამ გზით მკვიდრ მოსახლეობაშივე შეექმნა ისეთი საზოგადოებრივი ფენა, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოსა და მთელს კავკასიაში სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული სისტემის შეუფერხებელ საქმიანობას და, ამასთანავე, იქნებოდა ოფიციალური პოლიტიკურ-იდეოლოგიური კურსის დასაყრდენიცა და გამტარებელიც.

ახალმა სოციალურ-პოლიტიკურმა და მორალურმა ვითარებამ ხალხში ჯერ დაბნეულობა, შემდეგ კი აპათია გამოიწვია. იმდროინდელი საზოგადოებრივი გარემო და განწყობილება მკაფიოდაა დახასიათებული პეტერბურგიდან ახალდაბრუნებული სოლომონ დოდაშვილის წერილებში იონა ხელაშვილისადმი. დავიმოწმებთ ერთ-ერთი წერილის ფრაგმენტს:

„ვერცა ერთსა ვიხილავ [თანა]მემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისასა, მხოლოდ თავის თავის გამოზრდას სცდილობენ დღიურად... არა მოყვარენი არიან შრომისა, უკანონოდ და უწესოდ და ფრიად შერევნილად მდგომარეობენ. მზად არიან ვნებისათვის რომლისამე პირისა უბედურებისათვის და სხვათა... მე გახლავარ ესე ვითარსა სიმგრგვალესა შინა საზოგადოობისასა, სადაც ვერა რაისა ღირსებასა ვიხილავ; არა არს მათსა სულსა შინა ჭეშმარიტება, არამედ დანერგილ არს ყოველი ვნება, არა არს მიდრეკა მათ შორის სიბრძნისადმი, არა არს მეცადინეობა, არა არს სიყვარული სწავლისა და სწავლულთა, არამედ ყოველი სიძულვილი და მტერობა... ქართველნი ცუდ მოშურნეობასა შინა არიან...“

არსებითად იმავეს ამბობდა გენერალი ივანე აბხაზი:

„აწინდელი ჩვენი საზოგადოობა არს მკვდარ მამულისათვის. ჰსცხოვრობენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა: ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებელად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა და არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენან. ანგაარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება“.

სწორედ 1820-იანი წლების საქართველოში შექმნილი ვითარება ჰქონდა მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როცა წერდა:

„მეთვრამეტე საუკუნის ვაივაგლახმა და მეცხრამეტის პირველ წლების წეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის თავის იმედი დააკარგვინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქო მოსვენებას მისცა: გაუყუჩდა და თითქმის ხმაამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა და გარემოებას“.

ეროვნული დეგრადაციის ეს პროცესი უნდა დაესრულებინა ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციულ რეფორმას, რომლის პროექტი 1830 წელს შეადგინეს მთავარმართებელ ი. პასკევიჩის ინიციატივით პეტერბურგიდან საქართველოში მოვლინებულმა სენატორებმა: ე. მეჩნიკოვმა და პ. კუტაისოვმა. სინამდვილეში მათ მიერ ჩაფიქრებული რეფორმა შორს გასცდა ადმინისტრაციულ-მმართველობით სფეროებს და საბოლოო მიზანი პროექტში ასე ჩამოყალიბდა:

„სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით გადავაქციოთ ამიერკავკასია და რუსეთი ერთ მთლიან ორგანიზმად, ვაიძულოთ ადგილობრივი მოსახლეობა, ილაპარაკონ, იაზროვნონ და გარემოებები აღიქვან რუსულად“.

ასეთი იყო ის ზოგადი ვითარება, რომლის ფონზეც დაარსდა გაზეთი „ტფილისის უწყებანი“.

გაზეთის გამოცემას, ცხადია, წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი. კერძოდ, 1827 წლის 31 ივლისს ახალი მთავარმართებელი ივანე პასკევიჩი, რომელსაც, დოკუმენტური მასალის მიხედვით, ეკუთვნის „ტფილისის უწყებანის“ დაარსების ინიციატივა, თბილისიდან პეტერბურგში ოფიციალურად სწერდა რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას – სასარგებლოდ მივიჩნევ, ახლო მომავალში თბილისში გამოიცეს რუსული გაზეთი, რომელსაც დროთა განმავლობაში მისი ქართული თარგმანიც დაერთვებაო. ეს იდეა მალევე დაიხვეწა და გადაწყდა რუსული გაზეთისა და მისი ქართული თარგმანის პარელელურად გამოცემა. ამაზე მეტყველებს იმავე პასკევიჩის მიმართვა რუსეთის სახალხო განათლების მინისტრისადმი, რომელსაც, თავის მხრივ, ბეჭდვით სიტყვაზე მეურვეობა ჰქონდა დაკისრებული. ეს მიმართვა, პირველ რიგში, იმითაა საყურადღებო,

რომ მასში ჩამოყალიბებულია „ტფილისის უწყებანის“ გამოცემის მოტივაცია და გაზეთის მიზანდასახულობა (ვიმოწმებთ პ. გუგუშვილის წიგნიდან – „ქართული ჟურნალისტიკა“):

„ირანთან ომის განმავლობაში ხშირად იქმნებოდა აუცილებლობა, რომ მიგვეცა კავკასიის მხარის მცხოვრებთათვის ცნობები იმ ამბების შესახებ, რომელშიაც ისინი ღებულობენ ყველაზე ახლობელ და ცხოველ მონაწილეობას. ამ უკანასკნელმა გარემოებამ შემაძლებინა მე ნებართვა მიმეცა სამხედრო გუბერნატორისათვის, რომ მას გამოეცა ამ ამბების შესახებ ყველასათვის გასაგებად სხვადასხვა სახის განმარტებანი ყველა ადგილობრივ ენაზე. მაგრამ ჩემ მიერ მიღებული ზომები არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და აგრეთვე მიუღებელი, ვითარცა მომავალშიაც მუდმივად გამოსაყენებელი ღონისძიება. ამ გარემოების შესახებ მე მივიტანე უმაღლესობის (იმპერატორ ნიკოლოზ I-ის – თ. ჯ.) ყურადღებამდე მისივე უმაღლესობის მთავარი შტაბის უფროსის მეოხებით და წარვადგინე, თუ რამდენად აუცილებელია და სასარგებლო, რომ შევუდგეთ ტფილისში პერიოდული ორგანოს გამოცემას, რომელიც განთავისუფლებული იქნება ყოველგვარი პოლიტიკური მიზნებისაგან და უნდა შეიცავდეს მხოლოდ ოფიციალურ ცნობებს, სხვადასხვა განცხადებებს, უმთავრეს ახალ ამბებს, რომელნიც ამ მხარისათვის უფრო საინტერესოა და საერთოდ ყოველგვარ ცნობებს, რომლებიც ეთანხმებიან მთავრობის შეხედულებებს.

მე მხედველობაში მქონდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ეს წამოწყება ხელისუფლებას მისცემს კარგ საშუალებას, რათა ადგილობივ მცხოვრებთა შორის შეუმჩნევლად გაავრცელოს ისეთი ცნობები და აზრები, რომლებიც შეჰფერის განათლებული ხალხების შეგნებას და ამით ხელი შეუწყოს ადგილზე უფრო მისანდობი განათლების გავრცელებას. გაზეთის გამოცემა განსაკუთრებით კიდევ იმ სარგებლობას მოიტანს, რომ გააქარწყლებს იმ ცრუ და არაკეთილსასურველ ცნობებს, რაც ხშირად ვრცელდება აქ ხალხში და იწვევს საზიანო გავლენას...“ (სწორედ ეს ტექსტია გამოყენებული ნიკოლოზ I-ის მიერ 1828 წლის 2 მარტს დამტკიცებულ ნებართვაში: „უმაღლესად ვამტკიცებ ბ-ნი მთავარმართებლის მიერ წარმოდგენილ წინადადებას, რომ ტფილისში დაარსებული პერიოდული გამოცემა თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური მიზნებისაგან და მასში უნდა დაიბეჭდოს ოფიციალური ცნობები, სხვადასხვა ხასიათის განცხადებები, ადგილობრივი მოსახლეობისათვის განსაკუთრებით საინტერესო ახალი ამბები და მთავრობის შეხედულებებთან თანხვდენილი ყოველგვარი მასალა“).

როგორც ირკვევა, „ტფილისის უწყებანის“ დაარსების მთავარი მოტივაცია ყოფილა ის ინტენსიური საომარი მოქმედებები, რომლებიც კავკასიაში გაიშალა 1820-იან წლების მეორე ნახევარში და მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა საზოგადოებრივი ცხოვრება. კერძოდ, ესაა რუსეთ-ირანის 1826-1828 წლებისა და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომები. ამ მოვლენებმა დააახლოვა რუსთა და ქართველთა ინტერესები. თუ, ერთი მხრივ, რუსები იფართოებდნენ დაპყრობილ ტერიტორიებსა და მტკიცედ იკიდებდნენ ფეხს ამიერკავკასიაში, მეორე მხრივ, ქართველთათვის ეს იყო ისტორიულ მტრებზე გამარჯვება, მათი გამანადგურებელი თავდასხმების აღკვეთა და, რაც მთავარია, ოსმალეთის დამარცხებაზე ქართველები ამყარებდნენ დიდი ხნის იმედისა და ოცნების ასრულებას – მტრის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას. ამიტომაც, ათასობით ქართველი სხვადასხვა ფრონტზე თავგანწირვით იბრძოდა და მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა, რომ მათი იმედები არ იყო საფუძველს მოკლებული – რუსებმა ქართველთა აქტიური თანამონაწილეობით ოსმალებს ზედიზედ გამოსტაცეს ჯერ ფოთი, ხოლო შემდეგ: ახალქალაქი, ახალციხე, ასპინძა, აწყური, აბასთუმანი და ისტორიული სამცხე-საათაბაგოს კიდევ რამდენიმე ნაწილი.

მთელს ამ საომარ ეპოპეაში რუსეთის მთავარი პლაცდარმი და დასაყრდენი იყო საქართველო და მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის

არა მარტო სამხედრო და მატერიალურ, არამედ მორალურ მხარდაჭერასაც. ამიტომაც მმართველობა ქართულ და საქართველოში მცხოვრებ არაქართველთა ენებზე პერიოდულად ბეჭდავდა და მოსახლეობაში უფასოდ არიგებდა ფურცლებს („განცხადებებს“), რომლებშიც გამოქვეყნებული იყო მთავრობის განკარგულებები, ცნობები საომარი ვითარებისა და რუსეთის ჯარის ცალკეული გამარჯვებების შესახებ. ამ „განცხადებებით“ ხელისუფლება მოსახლეობაში ნერგავდა ოპტიმისტურ განწყობილებებს და იუწყებოდა ომის მალე და ძლევამოსილად დამთავრებას. იმავდროულად, ხელისუფლება ამგვარი საშუალებებითაც ებრძოდა კავკასიის მოსახლეობაში შემოგზავნილ მტრის აგენტურასა და მის აქტიურ პროპაგანდას რუსული მმართველობის წინააღმდეგ.

როგორც ი. პასკევიჩის ზემოთ დამოწმებული მიმართვიდან ჩანს, „განცხადებების“ ბეჭდვა-გავრცელება არ აღმოჩნდა საკმარისი. მთავარმართებელი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო პერიოდული გამოცემის, – კერძოდ, გაზეთის, – დაარსება. გაზეთი კი, თავის მხრივ, გარდა ომის სასურველი რაკურსით გაშუქებისა, საქართველოში (ზოგადად კავკასიაში) არსებული პოლიტიკური რეჟიმის განმტკიცების საქმესაც მოემსახურებოდა.

უნდა ვიფიქროთ, მშობლიურ ენაზე გაზეთის გამოცემის სურვილი ქართველ საზოგადოებასაც ექნებოდა. ამ დროს თბილისში უკვე არსებობს შეთქმულთა წრე, რომელსაც ესმის პრესის მნიშვნელობა საზოგადოების ფართო ფენებთან ურთიერთობაში და, რაც მთავარია, თბილისში აქტიურად მოღვაწეობს სოლომონ დოდაშვილი – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, განმანათლებელი და 1832 წლის შეთქმულების იდეოლოგი (საგულისხმოა, რომ 1830 წლის დასასრულს, როცა „ტფილისის უწყებანის“ გამოცემა დროებით იყო შეჩერებული, ს. დოდაშვილისათვის დახმარება შეუთავაზებიათ შეთქმულების სათავეში მყოფ პირებს: ალექსანდრე ორბელიანსა და ელიზბარ ერისთავს). პეტერბურგიდან დაბრუნებული ს. დოდაშვილის სამოქმედო გეგმაში, – როგორც ამ გეგმის ორგანული ნაწილი, – ქართული პრესის განვითარებაც შედიოდა.

რაც შეეხება ი. პასკევიჩის ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელშიც ნათქვამია, რომ „პერიოდული ორგანო... გათავისუფლებული იქნება ყოველგვარი პოლიტიკური მიზნებისაგანო“, ეს, ცხადია, არ იყო გულწრფელი სიტყვები, რამდენადაც ის ამოცანები, რომლებიც გაზეთს იმთავითე ჰქონდა დაკისრებული, თავისთავად გულისხმობდა პოლიტიკურ მიზანდასახულობას – პოლიტიკური რეჟიმის გაძლიერებასა და განმტკიცებას.

გაზეთი უნდა დაარსებულიყო სახელმწიფო სახსრებით, თუმცა შემდეგი აუცილებელი პირობით: დროთა განმავლობაში, როცა გაზეთს ხელის მომწერები გაუმრავლდებოდა, რუსული „ტიფლისსკიე ვედომოსტისა“ და მისი ქართული თარგმანის გამოსაცემად დახარჯული ფული ხაზინას უკანვე უნდა დაჰბრუნებოდა.

1828 წლის 24 აპრილს გავრცელდა „განცხადება“, რომელშიც ნათქვამია, რომ თბილისში ფუძნდება ყოველკვირეული რუსული გაზეთი **„ტიფლისსკიე ვედომოსტი“ („Тифлисские ведомости“)** ქართული თარგმანითურთ. „განცხადებაშივე“ ჩამოყალიბებულია გაზეთის მიზანდასახულობა:

„ამ პერიოდული გამოცემის მეოხებით იხსნება ახალი საშუალება, გაეცნონ და დაუახლოვდნენ აქაური მცხოვრებნი ევროპელთა ცნობიერებას, ადგილობრივი მკვიდრნი გაეცნონ სასარგებლო აღმოჩენებს, რომელთა წარმატებით გამოყენება შეიძლება ამ მხარეში. გარდა ამისა, აქედან სხვადასხვა ცნობებს მიიღებს ევროპა და პირუკუ, რითაც მიეცემა უფრო მეტი ცხოველმყოფელობა ურთიერთშორის კავშირს“. „განცხადების“ მიხედვით, გაზეთი საისტორიო მასალებსაც გამოაქვეყნებდა, რითაც ხელს შეუწყობდა კავკასიისმცოდნეობის განვითარებას.

გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ პირველი ნომერი გამოიცა 1828 წლის 4 ივლისს (ნომერს შეცდომით 4 **ივნისი** აწერია). თავიდან (№№1-3) ქართულ გაზეთს ერქვა

„ტფილისის ვედომოსტები“, მაგრამ მალევე სახელწოდების თარგმანი დაიხვეწა და ამის შემდეგ იგი „ტფილისის უწყებანის“ სახელწოდებით გამოდიოდა [ქართულის პარალელურად 1829 წლიდან გამოდიოდა რუსული „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ კიდევ ერთი თარგმანი ფარსულ (ირანულ) ენაზე, რომელიც იმ დროისათვის აზერბაიჯანელთა სალიტერატურო ენას წარმოადგენდა].

გაზეთს ჰქონდა შემდეგი განყოფილებები:

1. უმაღლესნი ბრძანებანი.
2. შინაგანნი ცნობანი რუსეთისა და განსაკუთრებით კავკასიისა.
3. სამზღვარ გარეთნი ახალნი ამბავნი.
4. აწინდელი დროის ისტორია.
5. ბიბლიოგრაფია.
6. განცხადება: კერძო და სახელმწიფო.
7. ფულის კურსი ტფილისსა შინა.
8. მხატვრული ნაწილი.

გაზეთის არსებობის განმავლობაში მასალის განლაგების იმთავითვე განსაზღვრულ წესს არსებითი ხასიათის ცვლილებები არ განუცდია.

„ტფილისის უწყებანის“ გამომცემელი იყო „ტიფლისსკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტი“, რომელშიც ძირითადად შედიოდნენ ადგილობრივი წარმოშობის სახელმწიფო მოხელეები [ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, პოდპოლკოვნიკი ბებუთოვი (საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიის მთარგმნელი), შტაბს-კაპიტანი სუმბათაშვილი (თბილისის სამხედრო გუბერნატორის ადიუტანტი), პორუჩიკი ჭილაშვილი და სხვ.; აგრეთვე: გაერთიანებული გაზეთის რედაქტორი პავლე სანკოვსკი, რომელიც დროთა განმავლობაში „კომიტეტის“ ცენტრალურ ფიგურად იქცა, სოლომონ დოდაშვილი და სხვ.]. „კომიტეტი“ კვირაში ორჯერ იკრიბებოდა. იგი განიხილავდა გაზეთში გამოსაქვეყნებლად მომზადებულ მასალას, მსჯელობდა თითოეული ტექსტის მნიშვნელობასა და მისი გამოქვეყნების მიზანშეწონილობაზე, შინაარსზე, სტილსა თუ ენაზე და ა.შ., ხოლო ამის შემდეგ დასაბეჭდად გამზადებულ ნომერს საბოლოო ნებართვისათვის წარუდგენდა სამხედრო გუბერნატორს, გენერალ ნიკოლოზ სიპიაგინს, რომელიც, თავის მხრივ, ასრულებდა ცენზორის ფუნქციას. იგივე ნ. სიპიაგინი გაზეთთან დაკავშირებულ საკითხებზე ანგარიშვალდებული იყო მთავარმართებლის წინაშე.

ნ. სიპიაგინი, რომელსაც, სხვათა შორის, ჟურნალისტური გამოცდილებაც ჰქონდა (თბილისში ჩამოსვლამდე, – 1817-1819 წლებში, – რუსეთში სამხედრო ჟურნალს რედაქტორობდა), 1828 წელს გარდაიცვალა და იგი ჯერ სტეფანე სტრეკალოვმა შეცვალა, შემდეგ – ნიკიტა პანკრატიევმა, თუმცა, ეს უკანასკნელი განუწყვეტლივ ბრძოლის ველზე იმყოფებოდა და ამიტომ გაზეთზე მეურვეობა დაეკისრათ სამოქალაქო გუბერნატორებს: ჯერ პეტრე ზავილეისკის და ბოლოს – სამოქალაქო გუბერნატორად დანიშნულ და ამის გამო „საგამომცემლო კომიტეტიდან“ გასულ ნიკოლოზ ფალავანდიშვილს. მათვე ევალებოდათ გაზეთზე საცენზურო ზედამხედველობა.

„ტიფლისსკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტი“ საორგანიზაციო საკითხებზეც ზრუნავდა, მათ შორის, გაზეთის შეუფერხებელ გავრცელებაზე. გაზეთში ხანგამოშვებით იბეჭდებოდა ხოლმე ასეთი სარედაქციო „განცხადებები“: „კომიტეტმა გამოცემისა ტფილისის უწყებათისა მიიღო ყოველნი ზომანი, რაითამცა მომწერნი გვამნი მიიღებდნენ მარჯვედ გამოცემასა ამას და უმორჩილესად გთხოვსთ, რათა უკუეთუ ვინმემ არ მიიღოს თვისსა დროსა რომელიმე ნომერი, აცნობოს მის ჟამსვე ამისთვის კომიტეტს“.

„კომიტეტს“ ჰქონდა თავისი სტამბა, რომელიც 1829 წელს ხელისუფლებამ კომერციული პირობებით ხუთი წლის ვადით გადასცა პ. სანკოვსკის და ამ სტამბაში იბეჭდებოდა გაზეთი როგორც რუსულ, ისე ქართულ და ფარსულ ენებზე, აგრეთვე,

სხვადასხვა ტიპის განცხადებები, აფიშები, ბარათები რუსულ, ქართულ, სომხურ, ფარსულ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე. ჩანს, სტამბა გამართულად მუშაობდა და ს. დოდაშვილი ცდილობდა, ეს გარემოება განათლების გასავრცელებლადაც გამოეყენებინა: „კომიტეტსაც აქვს უმთავრეს საგნად ესეცა, რათამცა შემოსავლისა გამო განავრცოს საშუალება სტამბისა და მით დაბეჭდოს ყოველნი საჭირონი და სასარგებლონი წიგნნი კეთილშობილთა აღსაზრდელათა ყრმათათვის საქართველოისათა“.

„ტფილისის უწყებანი“, რომლის ხელის მომწერთა მოპოვებაზე ერთობლივად ზრუნავდნენ ხელისუფლებაცა და ქართული სათავადაზნაურო ორგანიზაციებიც, ვრცელდებოდა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში (გორი, თელავი...). გაზეთს ხელის მომწერები ჰყავდა რუსეთშიც (მოსკოვი, პეტერბურგი...).

პირველ წელს რუსული დედნის („ტიფლისსკიე ვედომოსტი“) ტირაჟი იყო 1200 ეგზემპლარი და, ამ მხრივ, გაზეთს არც შემდეგ შეჰქმნია დაბრკოლებები (მომდევნო წლებში ტირაჟი არათუ იკლებდა, პირიქით, იზრდებოდა და 1500 ეგზემპლარს მიაღწია). ქართული გაზეთისათვის კი ხელის მომწერთა სიმცირე საბედისწერო პრობლემად იყო ქცეული (თავიდან „ტფილისის უწყებანი“ გამოდიოდა 400 ცალი, 1829 წელს გაზეთმა მხოლოდ ორმოციოდე ხელის მომწერი იშოვა, 1831 წელს – ოციოდე, რის გამოც ამ წელს გაზეთი საერთოდ არ დაბეჭდილა...).

„ტფილისის უწყებანი“, როგორც ითქვა, ყოველკვირეული გამოცემა იყო და სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა დღეს გამოდიოდა (თავიდან – ოთხშაბათობით, 1829 წელს – ორშაბათობით, შემდეგ – სამშაბათობით). რუსული გაზეთი გამოქვეყნებული მასალისათვის იძლეოდა ჰონორარს, ქართულ ვარიანტს კი საამისო სახსრები არ ჰქონდა.

გაზეთი ოთხგვერდიანი იყო. ამ მხრივ გამონაკლისია 1830 წლის ზოგიერთი რვაგვერდიანი ნომერი. მასალა იბეჭდებოდა ორ სვეტად.

თავიდან „ტფილისის უწყებანის“ პირველ გვერდზე გამოსახული იყო ურჩხულთან მებრძოლი წმ. გიორგი, რომელსაც გარს შემოვლებული ჰქონდა ყვავილებით მორთული არშია, ზემო ნაწილში აღბეჭდილი იყო სამეფო გვირგვინი, ხოლო ქვემო ნაწილში – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ინიციალი ( ). 1830 წლიდან წმ. გიორგის გამოსახულებაცა და გვირგვინიც რატომღაც მოხსნილია.

ხანგამოშვებით გამოიცემოდა გაზეთის დამატებებიც, რომელთა „მნიშვნელობა ამჟამად თვით გაზეთის ზოგიერთ ნომერზე უფრო დიდია. თუ ქართული გაზეთის ზოგიერთი ნომერი აქვეყნებს მხოლოდ ისეთ ოფიციალურ ცნობებს, რომელთა მიგნება დღეს სხვა [არაქართულ] გაზეთებშიც ადვილია, „დამატებაში“ მოთავსებულ ცნობათა უმრავლესობა ძირითადად საქართველოს სინამდვილეს შეეხებოდა და ზოგიერთ მათგანს სხვაგან ვერსად ვერ ვიპოვით“ (მ. გოცაძე).

ენა „ტფილისის უწყებანისა“ ძლიერ დაშორებულია ქართულ სასაუბრო მეტყველებას. საგაზეთო მასალების მთარგმნელ-რედაქტორი ს. დოდაშვილი მიმდევარი იყო ძველი, – ე. წ. „მწიგნობრული“, – ენისა თავისი ხელოვნურად გართულებული ორთოგრაფიითა და ფრაზეოლოგიური კონსტრუქციებით. ამ მხრივ, სავსებით მართებული იყო გაზეთ „ივერიის“ (1877, №26) შენიშვნა – „ტფილისის უწყებანის“ მართლწერა ანტონ კათალიკოზის კანონების მიმართულებისაა“. ამასთანავე, ხშირად გვხდება რუსიციზმები და რუსული ენის კალკები.

„ტიფლისსკიე ვედომოსტის“ გაერთიანებული რედაქციის რედაქტორი იყო პავლე სანკოვსკი – უკრაინული წარმოშობის ლიტერატორი, ჟურნალისტი და ჩინოვნიკი, რომელიც 1823 წელს სამსახურებრივმა ვალდებულებამ ჩამოიყვანა თბილისში და აქვე დარჩა სამუდამოდ (განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ მუშაობდა საქართველოს მთავარმართებლობის სამოქალაქო ნაწილში). „სანკოვსკი თავისი გაზეთის ფურცლებზე ინტერესს აღვივებდა საქართველოს წარსული კულტურისადმი, მან შემოგვინახა

თბილისის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებების აღწერა და სხვ. სანკოვსკის მასალებით სავსეა 1828-1832 წლების თბილისის პერიოდიკა“ (მ. გოცაძე). უნდა ითქვას, რომ „ტფილისის უწყებანის“ ზოგიერთი ნომერი მთლიანად სანკოვსკის ტექსტებს აქვს დათმობილი.

პ. სანკოვსკის მოადგილეობას უწევდნენ: რუსულ ნაწილში ისტორიკოსი ვასილ სუხორუკოვი, ხოლო ქართულ ნაწილში – სოლომონ დოდაშვილი. 1830 წელს დეკაბრისტებთან კავშირში ეჭვმიტანილი სუხორუკოვი დააპატიმრეს და ფინეთში გადაასახლეს, ს. დოდაშვილი კი ბოლომდე შერჩა გაზეთს.

ს. დოდაშვილი, როგორც „საგამომცემლო კომიტეტის“ წევრი, თავიდანვე იყო ჩართული გაზეთის გამოცემის საქმეში. ამის თაობაზე იგი იონა ხელაშვილს სწერს თბილისიდან პეტერბურგში: „დროსა მოსვლისა ჩემისასა ტფილისს, ღუბერნატორმან დამნიშნა გამოსაცემად ვედომოსტებისა ანუ გაზეთებისა... ჩვენ ვიწყეთ გამოცემა ამ ივლისის თვეში...“. ხოლო იმაზე, თუ რამდენად იყო ქართული გაზეთის არსებობა დამოკიდებული ს. დოდაშვილის შრომაზე, მეტყველებს მისი კიდევ ერთი – 1828 წლის 10 აგვისტოს – წერილი იმავე იონა ხელაშვილისადმი: „ორი მრთელი კვირა მოუთმენელთა სიცხეთა შინა გახლდი ფრიად ავათ... და აწ, მადლობა ღმერთსა, განვთავისუფლდი, გარნა საქმენი დაშთომილნი მას დროსა შინა არიან გარემოს ჩემსა და „ტფილისის უწყებანიცა“ დარჩნენ ორ კვირას გამოუცემელად და ამის მიზეზისა გამო მათს უგანათლებულესობას ბაგრატ ბატონის შვილს დაუგვიანდა და არა მიერთო“ [წერილის ამ ფრაგმენტიდან ისიც ირკვევა, რომ „ტფილისის უწყებანი“ გამოწერილი ჰქონია რუსეთში (პეტერბურგში) იძულებით გადასახლებულ ბაგრატ გიორგი XII-ის ძე ბატონიშვილს. პეტერბურგსა და მოსკოვში სხვა ბატონიშვილებიც იყვნენ გადასახლებულნი და, უნდა ვიფიქროთ, ერთადერთი ქართული გაზეთი მათ და მათი ამალის წევრებსაც ექნებოდათ გამოწერილი].

თავიდან „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ ქართული თარგმანისათვის რედაქტორის თანამდებობა არ იყო დაწესებული და ამიტომ ს. დოდაშვილის როლი არსებითად რუსული ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნით შემოიფარგლებოდა. 1829 წლის თებერვალში ასეთი თანამდებობა გაჩნდა და ამ ადგილზე ს. დოდაშვილი დაინიშნა. მართალია, ქართული გაზეთის რედაქტორობა ფაქტობრივად მაინც გაერთიანებული რედაქციის რედაქტორის, პ. სანკოვსკის, მოადგილეობას ნიშნავდა, მაგრამ მეტ უფლებებს იძლეოდა, ვიდრე მთარგმნელის თანამდებობა. ჩანს, ს. დოდაშვილს ამით უსარგებლია კიდევაც: ქართულ გაზეთში თანდათანობით იწყება ერთი მნიშვნელოვანი გარემოების გამოკვეთა და გაძლიერება – „ტფილისის უწყებანი“ უკვე რუსული დედნის ქართული ასლი კი არ არის, არამედ მის ფურცლებზე თანამიმდევრულად მჟღავნდება „ტიფლისსკიე ვედომოსტისაგან“ დაშორების ტენდენცია და ეს ტენდენცია ქართველთა საზოგადოებრივი ინტერესებითაა ნაკარნახევი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „ტფილისის უწყებანი“ მაინც ვერ გახდებოდა ეროვნული იდეოლოგიის პოპულარიზატორი – იგი ოფიციალური გამოცემა იყო და ეს გარემოება, რასაკვირველია, გაზეთის წინასწარგანსაზღვრული იდეოლოგიური მიმართულებისა და ზოგადი ხასიათის დარღვევის შესაძლებლობას იმთავითვე გამორიცხავდა.

„ტფილისის უწყებანში“ გამოქვეყნებულ მასალაზე ზერელე დაკვირვებაც კი ცხადყოფს – მართალია, აქაც იბეჭდება მთავრობის განკარგულებები თუ სხვადასხვა ტიპის ოფიციალური ცნობები და სხვ., მაგრამ, ჯერ ერთი, პირველ ქართულ გაზეთთან შედარებით აქ გაცილებით უფრო გამოკვეთილია ორიენტაცია ადგილობრივ ცხოვრებაზე და, რაც მთავარია, ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი მასალა გაცილებით უფრო მრავალფეროვანი, აქტუალური და საფუძვლიანია.

გაზეთის ფურცლებზე უხვადაა წარმოდგენილი მასალები საქართველოში მრეწველობის განვითარების, სასარგებლო წიაღისეულის ათვისების, ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების, მეაბრეშუმეობის დანერგვის, სოფლის მეურნეობის

უფრო რაციონალურად განვითარების, სამეურნეო სიახლეების დანერგვისა და სასოფლო-სამეურნეო საქმის შესასწავლად რუსეთში ახალგაზრდების გაგზავნის შესახებ; ხშირადაა მსჯელობა ვაჭრობის განვითარების აუცილებლობაზე. გაზეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ე. წ. „იარმარკობების“ (ბაზრობების) მოწყობას; ასე, მაგალითად, სიხარულით აუწყებს მკითხველს 1828 წლის სექტემბერში გამართული პირველი „იარმარკობის“ შესახებ: „ერევნის მეიდანსა ზედა საკეთილშობილო სასწავლებლის სახლსა შინა დანიშნულ იყო ვრცელი დარბაზები დატევნისათვის გასასყიდად წარმოდგენილის საქონლისა. ოთახნი ესე მორთული იყვნენ მშვენივრად, იყო აქა საქონელი რუსეთიდან, ლეიპციგიდან და სპარსეთიდან“.

გაზეთი სისტემატურად ბეჭდავს ცნობებს თბილისში ფულის კურსის შესახებ. ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობისას აშკარად იკვეთება ხელისუფლების სურვილი საქართველოს შერწყმისა საერთო-რუსულ ეკონომიკურ სივრცეში.

„ტფილისის უწყებანის“ საგანგებო ყურადღების საგანია რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომი. „შინაგანი ცნობანი“ ხშირად ასე იწყება: „ვისწრაფვით უწყებად მკითხველთა ჩვენთა ახალთა დიდებათათვის როსსიის მხედრობათა“. გაზეთი ქართველი მკითხველის შეგნებაში ამკვიდრებს იმ აზრს, რომ ამ ომის შედეგებს, პირველ რიგში, სწორედ ქართველი ხალხის აწმყოსა და მომავლისათვის აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა. იბეჭდება ცნობები და მიმოხილვები როგორც ფრონტზე შექმნილი საერთო ვითარების, ისე ცალკეული ბრძოლების შესახებ: „დროშანი რუსეთის იმპერატორისა ფრიალებენ შტურმითა აღებულის ყარსის გალავანზედა...“ (1828, №14); აღებული და მტრისაგან გაწმენდილია ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი და ა. შ.; აღწერილია ცალკეულ სამხედრო პირთა გმირობანი და დიდებითაა შემკული მათი სახელები. მოთხრობილია ქართველთა საგმირო საქმეები, მათი სიმამაცე და თავდადება. ამ თემაზე გამოქვეყნებულ მასალას საგანგებოდ და ხაზგასმით გასდევს ის აზრი, რომ ეს არის რუს-ქართველთა ერთობლივი ომი და გამარჯვებაც საერთო ინტერესების გამომხატველი უნდა იყოს:

„დროსა ფოთის დამორჩილებისასა ფრიად მრავალი მოქმედება ჰყვეს მეგრელიის მთავარმა, ღენერალ ლეიტენანტმა, თავადმა [ლევან] დადიანმან და ღენერალ მაიორმან, თავადმა ნიკოლოოზ დადიანმან, რომელნიცა თვით იმყოფებოდნენ ჯარითა თვისითა დროსა ციხის დაპყრობისასა და უჩვენეს მხედართა თვისთა მაგალითი უშიშროებისა და სამხედროისა დისციპლინისა – მეგრელთ, სულით შეწირულთა როსსიის მთავრობისადმი, მიიღეს გულს მოდგინებითა მონაწილეობა ამას წინა მიღებასა შინა და ნაცვლად ავათ გამხდართა ამხანაგთა წარგზავნიდნენ ახალთა გამაგრებისათვის მხნისა თვისისა ჯარისა“ (1828, №4), „გავიდა ღენერალ-მაიორი, თავადი [ალექსანდრე] ჭავჭავაძე... ბაიაზეთის ციხიდგან და გაიარა ას ორმოცდაათი ვერსტი და... გამოცხადდა ზღუდეთა ოსმალოს ციხის ტოპრაკ-კალესა“, რასაც მოულოდნელობის გამო მტრის რიგში სრული არევ-დარევა შეუტანია („მიიქცნენ ლტოლვად“ – 1828, №15) და სხვ.

გაზეთში მოცემულია მთავარმართებლისა და მთავარსარდლის, ივანე პასკევიჩის, ნამდვილი აპოლოგია, აღმატებული ეპითეტებითაა წარმოჩენილი მისი სამხედრო და პოლიტიკური ნიჭი, იგი შედარებულია სუვოროვთან და ა. შ.; ერთი სიტყვით, გაზეთის ფურცლებზე პასკევიჩის სახელი დიდი მხედართმთავრის შარავანდითაა შემკული. ამასთანავე, გაზეთი რიგითი რუსი ჯარისკაცის თავდადებასაც წარმოაჩენს. ერთ-ერთ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი ჯარისკაცის უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „მომიტევეთ ძმებო და ქალაქი კი აიღეთ“ (1829, №2). ზოგჯერ ხდება რუსი ჯარისკაცის ამა თუ იმ თვისების განზოგადება და იდეალიზაცია. ასე, მაგალითად, პ. სანკოვსკის ერთ-ერთ თხზულებაში („ჩამჩა საუკუნეთის წყაროისა“, 1829, №5) აღწერილია ასეთი ამბავი: აწყურსა და ახალციხეს შორის რუსი ჯარისკაცები ჩამჩით წყაროს წყალს სვამენ. წყურვილი რომ მოიკლეს, ერთ-ერთმა თქვა, ჩამჩა კიდევ დაგვჭირდება და თან წავიღოთო, რაზეც ჭაღარა

ჯარისკაცმა „პატრიარხის ხმით“ უპასუხა: „დაეხსენით, ბიჭებო... ნივთი ესე არს ქვეყნიერი; ვინც გაჰბედავს ქვეყნიერსა რასამე ზედა, იგი კეთილად ვერ დააბოლოებს“. „ესე არს სახე ზნეობათა რუსის ერისათა!“ – დაასკვნის თხზულების ავტორი.

გაზეთში შიგადაშიგ იბეჭდება ისტორიული მასალა საქართველოს უახლესი წარსულიდან, როცა ქართველი ხალხი თავგანწირვით კი ებრძოდა შემოსეულ მტერს, მაგრამ ამ ბრძოლებში მას არა ჰყავდა დამხმარე და მოკავშირე და მარტოდმარტო იყო დარჩენილი მრისხანე დამპყრობლის წინაშე [„მოსვლა საქართუელოსა ზედა ავარი[ი]სა ომარხ[ა]ნისა და ომი იორზედ, ნოემბრის ზ[7]-სა ჩყ[1800] წელსა“ (1828, №№1, 2) და სხვ.]. იგრძნობა ქვეტექსტი: ამჟამად საქართველო დაცულია გარეშე მტერთა თარეშისაგან და, შესაბამისად, დაცულია მისი მომავალიც, რადგანაც საქართველო ნაწილია ძლევამოსილი რუსეთისა, ხოლო „საშუალებანი რუსეთისანი განულეველნი არიან“ (1829, №10).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც, ისევე როგორც პირველ ქართულ გაზეთში, თვალსაჩინოა ინტერესი განათლებასთან დაკავშირებული საკითხებისადმი – თანამიმდევრულადაა გაშლილი ევროპული განათლებისა და კულტურის პოპულარიზაცია. რაც მთავარია, „საქართველოს გაზეთისაგან“ განსხვავებით, „ტფილისის უწყებანში“ გამოჩნდა პუბლიკაციები საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობის, მატერიალური კულტურის ძეგლების, ქართველთა ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების შესახებ. იბეჭდება ინფორმაცია ბიბლიოთეკებზე, ახალგამოცემულ წიგნებზე, ახალ სასწავლებელთა დაარსების საჭიროებაზე: „ჩუენ ეგრეთვე ვუწყით, რომელ აქაური მთავრობა უდიდებულესითა კმაყოფილებითა თანახმა იქნების, რათა აჩვენოს შემწეობა გვამსა მას, რომელიცა თავს იდებს განწესებასა ტფილისსა შინა სასწავლებლისასა კეთილშობილთა ქალწულთათვის“ (1828, №12) და სხვ.

იბეჭდება ლიტერატურული ნაწარმოებებიც, მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძის თარგმანი ა. პუშკინის ლექსისა „ძილი“ (1830, №2; მთარგმნელის ვინაობა არ არის მითითებული. ხელნაწერში თარგმანს სხვა სათაური აქვს – „განღვიძება“), თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი ლიტერატურული ცხოვრება მაინც მეტისმეტად მწირადაა წარმოჩენილი.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ წერილს **„რაიმე რუსთაველისათვის“**, რომელიც ინიციალებით (**ლ. ა.-ძ**) დაიბეჭდა (1829, №3) და ქართულ ენაზე გამოქვეყნებული პირველი საგაზეთო წერილია რუსთველის (ზოგადად, ძველი ქართული მწერლობის) შესახებ. ავტორის ინიციალები დიდხანს იყო გაუხსნელი და ზოგი წერილის ავტორად ს. დოდაშვილს მიიჩნევდა (ა. აბრამიშვილი), ზოგიც – ლავრენტი არდაზიანს (ა. გაჩეჩილაძე), თუმცა, როგორც შემდეგ გამოირკვა (ა. აბრამიშვილი, მაქს. ბერძნიშვილი), წერილი რუსულ ენაზე დაუწერია და შემდეგ თვითონვე უთარგმნია თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეს ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვს (ს. დოდაშვილის მოწაფეს). უნდა ვიფიქროთ, რომ წერილი თავიდან „ტიფლისსკიე ვედომოსტი“ში გამოსაქვეყნებლად დაიწერა, მაგრამ რატომღაც მხოლოდ გაზეთის ქართულ ნაწილში გამოქვეყნდა. წერილს დართული აქვს ს. დოდაშვილის ბოლოთქმა (რედაქციის შენიშვნა), რომელშიც აღნიშნულია, რომ ეს თხზულება ერთმა ახალგაზრდა კაცმა რუსულად დაწერა, შემდეგ კი, – ჩემ მიერ წახალისებულმა, – თარგმნაო: „სასურველ არს, რათა სხუანიცა შეუდგნენ მაგალითსა მისსა და აღანთონ გონებათა შინა თვისთა სანთელი მეცნიერებისა დიდებისათვის მამულისა და ბედნიერებისათვის თავისა თვისისა, რომელთაცა შრომანი დაშთებიან უკვდავად შთამოებისათვის“ (სამწუხაროდ, ლ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ვერ გაამართლა მასწავლებლის იმედი – თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სახელმწიფო მოხელის გატკეპნილ გზას გაჰყვა).

წერილი „რაიმე რუსთაველისათვის“, იმ სულისკვეთებითაა დაწერილი, რომ რუსთველსა და მის პოემას, – ვთქვათ, ჰომეროსისაგან განსხვავებით, – არა აქვს ის სახელი და დიდება, რომელსაც იმსახურებს. ავტორი წერს, თითქოს თამარ მეფეს რუსთველი სხვა ჭაბუკებთან ერთად სასწავლებლად გაუგზავნია საბერძნეთში („ათინასა შინა“), სადაც ჩვენს პოეტს საფუძვლიანად შეუსწავლია ძველი ბერძნული ლიტერატურა, მათ შორის, ჰომეროსის შემოქმედება და „ღომერის მიერ განხურვებულმან შესწირა თავი თვისი აღმკობილსა პოეზიასა...“. რუსთველი, ავტორის აზრით, „მისწუდა საიდუმლოსა ილლიადისასა და სხუა და სხუა გვაროვნობისაგან კერძოთასა შექმნა მან იდიალი აღმკობილისა ყოველადისა. განწმედილი ზნეობა განათლდების თვითოეულსა სტიხსა შინა უკვდავისა ქმნილებისა მისისაგან... შუა კაცობასა შინა რუსთაველი მიტაცებულ იყო მედროეთაგან, ვითარცა მოქალაქე, გარნა დაშთების სიცოცხლე მისი შთამომავლობისათვის, ვითარცა ნიჭი, რომლისაცა მამული არს ყოვლადი განათლებული სოფელი“. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს რუსთველის წარუშლელი მნიშვნელობის ღვაწლს ქართული სალიტერატურო ენის გარდაქმნა-გამშვენიერებაში და წუხს, რომ „წელთა გარემოებათა გამო აწინდელი თქმაობა ჩვენი განაშორებს ჩვენგან უმეტეს და უმეტეს სიცხადესა და სიწმიდესა აზრისასა რუსთაველის ენისას“.

თვალში საცემია ის გარემოება, რომ თვითონ ლ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ენა დიდადაა „განშორებული“ რუსთველის ენის „სიცხადესა და სიწმინდეს“, ამასთანავე, წერილში გვხვდება დაუჯერებელი მონაცემები (ვთქვათ, რუსთველის დაბადების თარიღად უყოყმანოდაა დასახელებული 1229 წელი და სხვ.), მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ „რაიმე რუსთაველისათვის“ „შიგ ჩაქსოვილი აზრებით უდავოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის“ (მაქს. ბერძნიშვილი).

ერთი სიტყვით, „ტფილისის უწყებანი“ მრავალმხრივ საინტერესო პერიოდული გამოცემაა და, ქართული ჟურნალისტური აზრის განვითარების თვალსაზრისით, უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს პირველ ქართულ გაზეთთან შედარებით. მიუხედავად დამაარსებელთა მიერ იმთავითვე განსაზღვრული მიზანდასახულობისა (ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის ინფორმაციულ-იდეოლოგიური უზრუნველყოფა) გაზეთმა, – ძირითადად, ს. დოდაშვილის ძალისხმევით, – შეძლო, დაახლოებოდა ქართველი საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებს.

ზემოთ ითქვა, რომ ს. დოდაშვილმა თანდათანობით მოახერხა „ტფილისის უწყებანის“ შინაარსობრივ-თემატური დაშორება „ტიფლისსკიე ვედომოსტისაგან“. ამგვარმა ტენდენციამ ყველაზე გამოკვეთილი სახე 1832 წელს მიიღო. აქედან თითქოს სულ სხვა პერსპექტივა უნდა გადაშლილიყო, მაგრამ ქართულ გაზეთს, რუსული დედნისაგან განსხვავებით, თავიდანვე დაჰყვა ქართული პრესის „ქრონიკული ავადმყოფობა“ – ხელმოკლეობა. ამ მიზეზით „ტფილისის უწყებანის“ გამოცემა რამდენჯერმე შეწყდა და ისევ განახლდა. კერძოდ, ქართული გაზეთი 1828 წლის ივლისიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდულად გამოდიოდა, დეკემბერში კი მისი არც ერთი ნომერი არ გამოცემულა. 1829 წელს გაზეთს, როგორც ზემოთ ითქვა, ორმოციოდე ხელის მომწერი ჰყავდა, ამიტომაც, მხოლოდ 12 ნომრის გამოცემა მოხერხდა და აპრილში მისი ბეჭდვა შეწყდა. 1830 წელს „ტფილისის უწყებანის“ გამოცემა ივლისში აღდგა და ნოემბერში ისევ შეწყდა. 1831 წელს გაზეთის არც ერთი ნომერი არ გამოსულა. 1832 წლის იანვარში გაზეთის გამოცემა კიდევ ერთხელ განახლდა და იმავე წლის სექტემბერში საბოლოოდ შეწყდა.

ასე რომ, მეორე ქართულ გაზეთსაც პირველის ბედი ეწია – იგი საზოგადოების გულგრილობამ, კერძოდ, ხელის მომწერთა სიმცირემ იმსხვერპლა.

ლიტერატურა:

აბრამიშვილი ა. ლ. ა.-დ და მისი მივიწყებული წერილი შოთა რუსთაველზე. წიგნში: **ა. აბრამიშვილი.** ლიტერატურული წერილები. თბ.: 1968, გვ. 114-126.

აბრამიშვილი ა. „ტფილისის ვედომოსტები“ („ტფილისის უწყებანი“). „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1948, №4-5, გვ. 237-261.

აბრამიშვილი ა. ძველი ქართული პრესის ისტორიიდან (დავიწყებული წერილი შოთა რუსთაველის შესახებ). „ლიტერატურული ძიებანი“ (IX, 1955, გვ. 397-400).

ბერძნიშვილი მაქს. წერილი „რაიმე რუსთაველისათვის“ და მისი ავტორი ლ. ა.-დ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“ (IV, 1973, გვ. 117-126).

ბოცვაძე ი. პრესა და მწერლობა. თბ.: 1976, გვ. 14-22.

გოცაძე მ. სოლომონ დოდაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ.: 1955, გვ. 162-197.

გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I. თბ.: 1954, გვ. 78-170.

გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), ტ. I. თბ.: 1941, გვ. 65-78.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I (1819-1853). თბ.: 1977, გვ. 74-95.

მახარაძე ნ. რუსული პერიოდული პრესის სათავეებთან საქართველოში. კრბ. „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (**დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, 1. 1968, გვ. 171-190).

რატიანი შ. გაზეთი „ტფილისის უწყებანი“. კრბ. „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები“ (IV, 1973, გვ. 72-98).

ხუციშვილი ს. სოლომონ დოდაშვილის ჟურნალისტურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა. კრბ. „სოლომონ დოდაშვილი“ (თბ.: 1986, გვ. 132-152).

Ватейшвили Д. Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века. М.: 1973, с. 114-448.

ბიბლიოგრაფია იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945). შედგენილი **გ. ბაქრაძის** მიერ, **ვ. ეგნატაშვილის** რედაქციით. თბ.: 1947, გვ. 3.

Абрамишвили А. Грузинская периодика (1819-1917). Тб.: 1968, с. 33-34.

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“

(1832)

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ ქართულ ენაზე გამოცემული პირველი ჟურნალია. იგი პირველი ქართული პერიოდული გამოცემაა, რომლის დაარსების ინიციატივა ქართველ მოღვაწეებს ეკუთვნით, დაარსდა ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ და გამოცემის ხასიათიცა და მიზანდასახულობაც ამ ინტერესებითვეა განსაზღვრული.

ჟურნალი პირდაპირ უკავშირდება ცნობილ შეთქმულებას, რომელსაც 1832 წლის დასაწყისში უკვე ჰქონდა შეიარაღებული აჯანყების გზით ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი და გეგმა. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ წინა პერიოდის შეთქმულებისა (მხედველობაში გვაქვს კახელი თავადების 1802 წლის შეთქმულება) და აჯანყებებისაგან განსხვავებით, 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორებმა „რუსეთის ანექსიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა პოლიტიკური პროგრამის დონემდე აიყვანეს... [მათ] მოქმედების წინასწარგანზრახული პროგრამა ჰქონდათ“ (კ. კაციტაძე) და, როგორც ირკვევა, ეროვნული კულტურის აღორძინება ამ პროგრამის აუცილებელი და ორგანული ნაწილი იყო (საინტერესოა მ. პოლიევქტოვის შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც, 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორები საზოგადოების „მორალურ განახლებას“ მიიჩნევდნენ „როგორც მოსამზადებელ საფეხურს პოლიტიკური განთავისუფლებისათვის“ და ამ პროცესის ნაწილად განიხილავდნენ „ლიტერატურულ პროპაგანდას“).

შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით თბილისში (მოგვიანებით – პეტერბურგშიც) შეიქმნა სპეციალური საგამომძიებლო კომისია და ამ კომისიისათვის შეთქმულთა მიერ მიცემული ჩვენებები ცხადყოფს – „ფარული საზოგადოების“ ინიციატორებსა და ორგანიზატორებს გააზრებული ჰქონდათ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წმინდა წყლის პოლიტიკური და სამხედრო მოქმედებების პარალელურად ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების ჩამოყალიბებასა და წინასწარგანსაზღვრული კალაპოტით წარმართვასაც ნიშნავს.

განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი ამგვარი დამოკიდებულება გასაგებიც იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ შეთქმულების ინიციატორები, – რუსეთში გადასახლებული დიმიტრი იულონის ძე და ოქროპირ გიორგი XII-ის ძე ბატონიშვილები, – გარდა იმისა, რომ თავისუფლებისა- და მამულისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ, კარგად იცნობდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის კულტურულ ცხოვრებას და იმ დროის ევროპულ პროგრესულ-ლიბერალურ იდეებშიც საფუძვლიანად იყვნენ გარკვეულნი. მათ გარს შემოიკრიბეს რუსეთში სასწავლებლად მყოფი ქართველი ახალგაზრდები, რომელთაც მიღებული ჰქონდათ საუნივერსიტეტო (სოლომონ დოდაშვილი) თუ სამხედრო (ელიზბარ ერისთავი, დავით ჯორჯაძე, ზაქარია და ალექსანდრე ჩოლოყაშვილები და სხვ.) განათლება, ხოლო საქართველოში დაბრუნებულთ აქ დახვდათ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (1830 წელს გიმნაზიად გადაკეთებულში) გამოზრდილი პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდები (დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, იოსებ მამაცაშვილი და სხვ.; თვით ისეთი ოდიოზური პირიც კი, როგორიც შეთქმულების გამცემი იასე ფალავანდიშვილი იყო, სასწავლებელში ნიჭიერებითა და სიბეჯითით გამოირჩეოდა). ასე რომ, „ეს იყო შეთქმულება საზოგადოების განათლებულის წრისა“ (კ. აბაშიძე).

შეთქმულთა დიდი უმეტესობის ადგილს „ფარულ საზოგადოებაში“ განსაზღვრავდა არა სოციალური მდგომარეობა (გვარიშვილობა), არამედ ინტელექტუალური შესაძლებლობები და განათლებულობის ხარისხი. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საკმარისია ითქვას, რომ ერთ-ერთი ხელმძღვანელი შეთქმულებისა აწ უკვე უფლებააყრილ სამეფო ოჯახის წევრებთან, დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებთან, ერთად გლეხური წარმოშობის ს. დოდაშვილიც იყო (სოლომონის პაპა ქიზიყელი გლეხი იყო, მამა – სოფლის მღვდელი). უფრო მეტიც, ს. დოდაშვილი იყო კულტურულ-ინტელექტუალური მეთაური 1832 წლის შეთქმულებისა და სწორედ მის პოლიტიკურ, ლიტერატურულ და საგანმანათლებლო მოღვაწეობას უნდა შეექმნა შეთქმულთა აზრით (და სინამდვილეშიც ასე იყო) აჯანყებისა და ზოგადად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის საჭირო კულტურულ-იდეოლოგიური ნიადაგი.

შეთქმულთა წიაღში დაიწყო ფორმირება ქართველი ინტელიგენციის ფენისა და ეს პროცესი დასრულდა 1860-იან წლებში, როცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სალიტერატურო-ჟურნალისტური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების სადავეები საკუთარ ხელში „თერგდალეულებმა“ („სამოციანელებმა“) აიღეს (მართალია, ტერმინი „ინტელიგენცია“ მოგვიანებით, – 1860-1870 წლების მიჯნაზე, – რუსეთში გაჩნდა, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს თვითონ ცნებას და არა იმას, თუ როდის „გაფორმდა“ ეს ცნება ტერმინოლოგიურად. ინტელიგენციაში კი ვგულისხმობთ ხალხის განათლებულ ფენას, რომელიც ხელმძღვანელობს მაღალი ეთიკურ-მორალური პრინციპებით, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და შეუძლია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება).[1]

ს. დოდაშვილს შესანიშნავად ესმოდა, რომ ზოგადად ქართული ჟურნალისტიკის უპირველესი დანიშნულება, – და მისი არსებობის გამართლებაც, – იყო არა მარტო აქტუალური ინფორმაციის შეკრება-გავრცელება, არამედ შესაძლებლობების ფარგლებში განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება და, რაც მთავარია, ამ პრინციპების დამკვიდრება ფართო საზოგადოებრივი ფენების შეგნებაში: ქართული ენის, როგორც ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელი ფაქტორის, შენარჩუნება და გაძლიერება; ქართველი ერის ისტორიისა და კულტურული მონაპოვრების პოპულარიზაცია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურის დემოკრატიზაცია, როგორც მძლავრი სტიმული დენაციონალიზაციის მომაკვდინებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად; განათლების გავრცელება; ლიტერატურული ცხოვრების აღორძინება; მეცნიერული აზრის ჩამოყალიბება; საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ევროპეიზაცია. ხოლო კონკრეტულად მოცემულ შემთხვევაში, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ისეთი საჟურნალო მასალის გამოქვეყნება, რომელიც არაპირდაპირი გზებით (მათ შორის, პატრიოტული გრძნობების გაღვივებით) ხელს შეუწყობდა მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის საზოგადოებრივი აზრისა და განწყობის მომზადებას.

ამ დროს გამომავალი გაზეთი „ტფილისის უწყებანი“, რომელიც დამაარსებელთა მიერ რუსული „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ ქართულ დუბლიკატად (თარგმანად) იყო ჩაფიქრებული, ს. დოდაშვილის ძალისხმევით თანდათანობით კი შორდებოდა რუსულ დედანს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. იმ დროის ერთადერთი ქართული გაზეთი, როგორც ეს წინა თავში („ტფილისის უწყებანი“) გვაქვს აღნიშნული, ხელისუფლების ოფიციალურ კურსს ემსახურებოდა, რაც, თავის მხრივ, იმთავითვე გამორიცხავდა წინასწარგანსაზღვრული და ცენზურის მიერ მკაცრად კონტროლირებული იდეოლოგიური

[1] **intelligens** (**inteligenti**) laTinuri sityvaa da niSnavs **mcodnes**, **moazrovnes**. inteligenciis raobasa da qarTvel inteligenciasTan dakavSirebul sakiTxebze ix. **m. naneiSvili**. qarTveli inteligencia: ras warmoadgens igi dRes? gaz. `Sansi~, 1995, ##15,16,18.

მიმართულების შეცვლის შესაძლებლობას. ამიტომაც იყო საჭირო ახალი გზებისა და საშუალებების ძიება.

დოკუმენტური მასალის მიხედვით, ჟურნალის დაარსებაზე საუბარი შეთქმულთა წრეში ჯერ ფენებისკიდევ 1830 წლიდან მიმდინარეობდა და ამ საქმეში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა „ფარული საზოგადოების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ელიზბარ ერისთავი. იგი ს. დოდაშვილს დაბეჯითებით სთხოვდა ისეთი პერიოდული გამოცემის დაარსებას, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი აჯანყებისათვის უნდა მოემზადებინა. „მე გიშოვი შენ ხელის მომწერლებს, შენ კი გამოითხოვე ნებართვა ჟურნალის გამოსაცემად და ვეცადოთ გავანათლოთ ქართველები, რათა ამათაც როდისმე პოლონელების მსგავსად რუსებისაგან განთავისუფლება იფიქრონო და წამიყვანა ალექსანდრე ორბელიანოვთან, რომელმაც აგრეთვე მთხოვა ჟურნალის ან გაზეთის გამოცემა“ – წერს ს. დოდაშვილი შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში. სხვა ჩვენებაში კი იგივე ს. დოდაშვილი აღნიშნავს: „1831 წელს 20 ხელმომწერიც ვერ იშოვეს და ამიტომ გაზეთის გამოცემა არ დამიწყია. იმავე წელიწადს ისინი ჩამაცივდნენ, რათა მოვამზადო წერილები, უთუოდ 900-ზე მეტ ხელისმომწერს ვიშოვითო. ისინი ცდილობდნენ სამშობლოს სიყვარულის გავრცელებას და მეც ამის მოხარული ვიყავი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მე ეს ჩემი თანამემამულეებისათვის სასარგებლოდ მიმაჩნდა, მეორეც იმიტომ, რომ ვფიქრობდი გამოვასწორებდი ჩემს უმწეო მდგომარეობას, რადგან ჩემს ჯამაგირს მუდამ წინასწარ ვართმევდი ოჯახის გამოსაკვებად. გენერალ-მაიორმა, თავადმა ჭავჭავაძემაც აღმითქვა დახმარება და ხელის შეწყობა, და თუმცა დავიწყე გაზეთის [„გაზეთს“ („Газета“) იმ დროს ზოგადად „პრესის“ (მათ შორის, „ჟურნალის“) მნიშვნელობითაც ხმარობდნენ – თ. ჯ.] გამოცემა, მაგრამ რადგანაც ხელის მომწერლები ვერ ვიშოვე, ამიტომ ხელი ავიღე. გამოვცემდი 1832 წელს“.

განცხადება – მომავალი წლიდან ქართულ გაზეთს ლიტერატურული დამატება ექნებაო – 1831 წლის დასასრულს გავრცელდა. 1832 წლის 1 იანვარს კი გამოვიდა ჟურნალ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ პირველი ნომერი [უკანასკნელი მეხუთე ნომერი გამოიცა 15 მარტს. ზოგიერთი მოსაზრებით (პლატონ იოსელიანი, მოსე ჯანაშვილი...), ჟურნალის მეექვსე ნომერიც დაიბეჭდა, მაგრამ ამ მოსაზრების ავტორებს რამდენადმე ანგარიშგასაწევი არგუმენტები არ წარმოუდგენიათ და, რაც მთავარია, მეექვსე ნომრის არსებობა დოკუმენტურად არ დასტურდება].

ჟურნალი იბეჭდებოდა იმავე სტამბაში, რომელშიც „ტფილისის უწყებანი“ გამოიცემოდა და ცენზურასაც საერთო წესით გადიოდა (იხ. წინა თავი). თითოეული ნომერი 24-გვერდიანია, პაგინაცია ნომრიდან ნომერში უწყვეტად გრძელდება და, ამდენად, ხუთივე ნომერი 120 გვერდისგან შედგება.

რედაქტორი პირველი ქართული ჟურნალისა იყო სოლომონ დოდაშვილი, ხოლო რაც შეეხება გამომცემელს, ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. კერძოდ, მკვლევართა ერთი ნაწილის (მ. გოცაძე, ი. ბოცვაძე...) აზრით, ჟურნალის გამომცემელი იყო ს. დოდაშვილი, ხოლო მეორენი (ნ. ტაბიძე, შ. რატიანი...) ფიქრობენ, რომ ჟურნალს გამოსცემდა „ტიფლისსკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტი“.

ჟურნალს ჰქონდა შემდეგი განყოფილებები:

1. სიტყვიერება.
2. აღმოსავლეთის ლიტერატურა.
3. სტიხთ ქმნილება.
4. პოემა.
5. ქართული ისტორია.
6. კრიტიკა.
7. ალეჟორია.

„სალიტერატურო ნაწილის...“ ერთ-ერთი დანიშნულება, როგორც ითქვა, მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის საზოგადოებრივი აზრისა და განწყობის მომზადება იყო და, ამდენად, იგი შეიძლება 1832 წლის შეთქმულების პერიოდულ გამოცემად ჩაითვალოს. ამ მხრივ, საგულისხმოა ს. დოდაშვილის მიერ საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემული კიდევ ერთი ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „1831 წელს მოვიდნენ ჩემთან თავადები ალექსანდრე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი და მთხოვეს დამეწერა აღმგზნები წერილები გაზეთში დასაბეჭდად და აგრეთვე სხვა თხზულებანი, რომელთაც შეეძლოთ მკითხველის აზრზე გავლენა მოეხდინათ“.[2] გამოცემის ამგვარი მიზანდასახულობა, რასაკვირველია, ღიად ვერ გამოცხადდებოდა, ხოლო გაცხადებულად ჟურნალის მიზანი ს. დოდაშვილის მიერ ასეა ჩამოყალიბებული: „მისცემოდა ეს გუარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩუენისა და მიახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა...“ (№5, გვ. 119).

ჟურნალს ხელის მომწერები აკლდა და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ ეს გახდა მისი დახურვის ძირითადი მიზეზი. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ „სალიტერატურო ნაწილის...“ გავრცელების გეოგრაფიული არეალი საკმაოდ ფართო იყო. დოკუმენტურად დასტურდება, რომ, გარდა თბილისისა, ჟურნალს იწერდნენ და კითხულობდნენ მოსკოვში, პეტერბურგში, გორში, მუხრანში, ქვათახევში, შუამთაში...

სულ „სალიტერატურო ნაწილის...“ ფურცლებზე გამოქვეყნდა რვა ავტორის ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებები და ეს მასალა ჟურნალში ასეა განაწილებული:

№1. 1832 წელსა. იანვრის 1-სა

---

[2] mTavarmarTebel grigol rozenis mier Sedgenil erT-erT sabuTSi vkiTxulobT: `solomon dodaevi borotganmzraxvelTa winadadebiT Seudga qarTul enaze gazeTis (unda iyos: **Jurnalis** _ T. j.) gamocemas, raTa iq Tavisufali azrebis gamomxatveli Txzulebebi ebeWda ajanyebisaTvis sazogadoebrivi azris mosamzadeblad. Tumca, sinamdvileSi aseTi Txzulebebi iq ar dabeWdila~.

bunebrivia, daismis kiTxva: ras unda mivaweroT rozenis aseTi `miuxvedreloba~?

ruseTis umaRles xelisuflebasTan gamarTul miwer-moweraSi aSkarad SeiniSneba gr. rozenis mcdeloba, gaaubraloos da daakninos `faruli sazogadoebis~ saqmianobis mizandasaxuloba da masStabi. jer erTi, amiT mas surs, rogorme gamarTleba mouZebnos Tavis ugergilobas (marTalia, ajanyebisTvis mzadeba ufro adre daiwyo, magram zed rozenis cxvirwin grZeldeboda TiTqmis weliwad-naxevars); amasTan, rac mTavaria, SeTqmulebisadmi amgvari damokidebuleba TviT imperator nikoloz I-is mier iyo nakarnaxevi _ ruseTis umaRlesi xelisufleba cdilobda, mieCqmala qarTvelTa SeTqmulebis namdvili buneba da mizani. saqme isaa, rom xelisuflebisaTvis ar iyo sasurveli, saqveynod gamJRavnebuliyo arsebuli saxelmwifoebriv-politikuri reJimisadmi aseTi sayovelTao ukmayofileba `nebayoflobiT SeerTebul~ qveyanaSi. meorec, ruseTs gaCaRebuli hqonda sisxlismRvreli dampyrobluri omi CrdiloeT kavkasiaSi da, cxadia, ar surda seriozuli konfliqti am omis placdarmad qceul saqarTveloSi. amas garda, evropis sazogadoebrivi azri jer kidev ar iyo Cawynarebuli ruseTis mier poloneTis 1830-1831 wlebis ajanyebis CaxSobisa da ajanyebul patriotTa xocva-Jletis gamo. usaTuodaa gasaTvaliswinebeli fsiqologiuri faqtoric _ ruseTis monarqias ganzraxuli hqonda, saqarTveloSi (saerTod, kavkasiaSi) Tavisi politikis dasayrdenad qarTveli aristokratia gadaeqcia da misTvis, rasakvirvela, ufro advili da mosaxerxebeli iqneboda, urTierToba hqonoda ara **dasjil**, aramed **Sewyalebul** fenasTan. SesaZlebelia, swored es ukanaskneli faqtori iyo kidevac mTavari mizezi nikoloz I-is `gulmowyalebisa~ [xelisuflebam 1835 wlidan daiwyo SeTqmulTa TandaTanobiTi dabruneba saqarTveloSi da mxolod ramdenimes (s. dodaSvili, s. razmaZe, i. falavandiSvili, mola zamana...) ver eRirsa samSoblos xilva].

ase rom, roca mTavarmarTebeli rozeni werda, _ JurnalSi `Tavisufali azrebis gamomxatveli Txzulebebi~ ar dabeWdilao, _ amiT igi, unda vifiqroT, mZime da misi karierisaTvis saSiSi viTarebidan Tavis daZvrenas cdilobda.

ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ა

ჟინევრა 1-19
ს. დოდაევი, მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა (დასრულება შემდგომს ნომერში) 20-24

№2. 1832 წელსა. იანვარი
ს. დოდაევი, მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა (დასრულება) 25-35

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვევულება 35-38
[ს. დოდაშვილი], განცხადება („გამომცემელი ვალად ჰრაცხს...“) 38

ს ტ ი ხ თ ქ მ ნი ლ ე ბ ა

ა. [ორბელიანი], მთოვარე 39

პ ო ე მ ა

გ. დ. ერისთავი, ოსური მოთხრობა [დასაწყისი] 40-42
[სტ. დოდაშვილი], მოწერილი ს. პეტერბურღიდამ ტფილისს ძმასთან 44
ს. [დოდაშვილი], პასუხი ტბილისიდამ 45-48
[ს. დოდაშვილი], განცხადება („განცხადებასა შინა წარსულსა წელსა...“) 48

№3. 1832 წელსა. თებერვალი

ქ ა რ თ უ ლ ი ი ს ტ ო რ ი ა

ს. დ[ოდაშვილი], მეფობა ირაკლის მეორისა (დასაწყისი) 49-58

ს ტ ი ხ თ ქ მ ნი ლ ე ბ ა

გ. [ი.] ერისთოვი, მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს სამძღუართა შინა 59-64

პ ო ე მ ა

[გ. დ. ერისთავი], ოსური მოთხრობა (გაგრძელება) . 64-67

კ რ ი ტ ი კ ა

ს. დ[ოდაშვილი], შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა, რომელიცა დაბეჭდილიყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთთასა 1832-სა ამას წლისა 68-72
[ანეკდოტები] 72

№ 4. 1832 წელსა. თებერვალი

ქ ა რ თ უ ლ ი ი ს ტ ო რ ი ა

[ს. დოდაშვილი], მეფობა ირაკლის მეორისა (დასასრული) 73-80
4 [ს. დოდაშვილი], ელენა. ანეგდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვევულება ათრუამეტისა საუკუნოისა (დასრულება შემდგომს ნომერსა შინა) 80-89

ს ტ ი ხ თ ქ მ ნი ლ ე ბ ა

დ. მა[ჩაბელი], თოვლი 89-92

პ ო ე მ ა

[გ. დ. ერისთავი], ოსური მოთხრობა (გაგრძელება) 92-96

ა ლ ე ღ ო რ ი ა

დ. მაჩ[აბელი], აღთქმის სარკე. ყრმებრივი უმანკოება (თარგ[მნილი] რუსულ[იდან]) (დასრულება შემდგომს ნომერსა შინა) 96

№5. 1832 წელსა. მარტი

4 [ს. დოდაშვილი], ელენა. ანეკდოტი ათრუამეტისა საუკუნოისა (დასრულება) 97-105
სამი ინდის ხურმა 105-109

ა ლ ე ღ ო რ ი ა

დ. მაჩ[აბელი], აღთქმის სარკე. ყრმებრივი უმანკოება თარგ[მნილი] რუსულ[იდან]) (დასრულება) 110-114

ს ტ ი ხ თ ქ მ ნ ი ლ ე ბ ა

ს. რაზმაძე, მელოდია (ღიშპანური სიმღერა) (თარგ[მნილი] რუსულ[იდან]) 115-116
ს. რაზმაძე, ლხინი (თარგ[მნილი] რუსულ[იდან)].....116
თ. გურამოვი, საყვარელო მამულო 116-118
უმანკოება 119
[ს. დოდაშვილი], განცხადება („ბრძანებითა მთავრობისათა...“.....119-120

მოკლედ ჟურნალში გამოქვეყნებული თხზულებების ავტორთა თუ მთარგმნელთა საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობასა და მათ მიერ „სალიტერატურო ნაწილში...“ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე:

გურამიშვილი თადეოზ ზაალის ძე (გარდ. 1875) – საგურამოელი მემამულე, ილია ჭავჭავაძის მეუღლის, ოლღა გურამიშვილის, მამა, რომლის ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ლექსი „საყვარელო მამულო“ გამოქვეყნდა „სალიტერატურო ნაწილის...“ მე-5 ნომერში.

„საყვარელო მამულო“ გამოხმაურებაა ს. დოდაშვილის წერილზე „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა“. თ. გურამიშვილის ლექსს ახლავს წინასიტყვა, რომელშიც ავტორი ეჭომაგება ს. დოდაშვილს („...მოვისწრაფი შენდა წერილითა ამით, რათა ბოროტმეტყველთაცა ჰსცნან, რომელ არა ძალუძთ მათ არა რომლითამე სახითა განმართლება და დამტკიცება შენზედა ცრუმეტყველებისა თვისისა“). ამას მოსდევს (წინასიტყვაობაშივე) რუსეთის იმპერატორის ქება-დიდება: „არსმან ყოველთა დამაარსმან მოგფინა შენ ნათელი, საყვარელო მამულო, და წიაღთა შენთა ცხადად ჰსჩანან მრავალნი ღვაწლნი დიდისა იმპერატორის ნიკოლოზ პირველისანი, რომელისა უხვთა მოწყალებათა მიერ ნათლდებიან ძენი შენნი და განგიახლებენცა დროსა ძველთა ჩინებულთა მწერალთა შენთასა“ და ა. შ.; საკუთრივ ლექსში კი გამოხატულია სიამაყე იმის გამო, რომ საქართველოს მთელს მსოფლიოში სცემენ პატივს: „ქება შენია, არ მარტო ვსთქვია; მოსთქმენ იანგნი ფრინველნიც ღლაპით. / ოსმალნი, სპარსნი, ბერძენთა დასნი; და ევროპელნი მოხდილის შლაპით“ და სხვ.

„საყვარელო მამულო“ მოგვიანებით გაზეთ „დროებაშიც“ გამოქვეყნდა (ვარიანტული სხვაობით). „დროების“ პუბლიკაციას ახლავს სარედაქციო შენიშვნა: „უფ[ალმა] ი. ჭავჭავაძემ გადმოგვცა შემდეგი ნაწერი სოლომონ დოდაევისა და რადგან ამ კაცის (დოდაშვილის – თ. ჯ.) ყოველი ნაწერი, სხვა არა იყოს რა, ჩვენი ლიტერატურის

ისტორიისთვის მაინც უნდა იყოს საინტერესო, ამიტომ აქ ვბეჭდავთ“ („დროება“, 1875, №73).

როგორც ირკვევა, ლექსის ხელნაწერი, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ჰქონია და „დროების“ რედაქციისათვის გადაუცია, ხელმოუწერელი ყოფილა და მის ავტორად ს. დოდაშვილი მიუჩნევიათ, თუმცა ლექსის პირველ პუბლიკაციაში („სალიტერატურო ნაწილში...“) გარკვევითაა მითითებული ავტორის ვინაობა – **თ. გურამიშვილი**.

თადეოზ გურამიშვილს დამთავრებული ჰქონდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი და თავის წრეში კარგ ორატორად ითვლებოდა, მსოფლმხედველობით კი ეკუთვნოდა იმ კატეგორიას, რომელთა შეგნებაში ჰარმონიულად თანაარსებობდა გულწრფელი პატრიოტიზმიცა და რუსეთის მონარქიული ტახტისადმი ურყევი ერთგულებაც. სწორედ ამაზე მეტყველებს გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ (1849, №20) რუსულ და ქართულ ენებზე გამოქვეყნებული მისი ვრცელი და მაღალფარდოვანი სიტყვა, წარმოთქმული ზედაზნის მონასტერში ეგზარქოს ისიდორეს სტუმრობის დროს: „დასაბამთა ყოველთა დასაბამთაგან მოგვცა ჩვენ ნუგეშათ დიდი იმპერატორი **ნიკოლოზ პავლეს ძე პირველი**, რომლისაგანაც წარმოგზავნილ ხარ შენ მადლშემოსილო მწყემსმთავარო (ეგზარქოსს მიმართავს – თ. ჯ.) აღმადგინებლად ეკკლესიათადმი ივერიისათა... განცვიფრდი ივერიავ, რასა იხილავ წიაღთა შინა შენთა!.. ყოველი პატივი ჩვენისა დიდებისა გეკუთვნის შენ, როსიავ. ამისთვის მიიღე უმწვერვალესი მადლობა ჩვენი, არა თუ ხოლოდ ბაგეთა მიერ ჩვენთა გამოხატული, არამედ ჩვენ ერთ მამულეთასა გულთა შინა მტკიცედ დამყარებული“.

თ. გურამიშვილმა ხანდაზმულობაშიც შეინარჩუნა ინტერესი ლიტერატურული ცხოვრებისადმი – 1859 წელს იგი მატერიალურ შემწეობას აძლევს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემელ ივ. კერესელიძეს სტამბის გასაუმჯობესებლად და 1860-იან წლებში „ცისკრის“ ხელის მომწერთა შორისაც იხსენიება.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ თადეოზ გურამიშვილის ლექსი „საყვარელო მამულო“ მოკლებულია ყოველგვარ ლიტერატურულ-ესთეტიკურ ღირებულებას.

დოდაშვილი სტეფანე ივანეს ძე (1808-1845) – ძმა სოლომონ დოდაშვილისა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. 1828-1836 წლებში სტეფანე დოდაშვილი ცხოვრობდა და დაბალი რანგის მოხელედ (სენატის ერთ-ერთი დეპარტამენტის კანცელარისტად) მსახურობდა პეტერბურგში. „სალიტერატურო ნაწილში...“ გამოქვეყნებულია მისი „მოწერილი ს. პეტერბურღიდამ ტფილისს ძმასთან“ და სოლომონ დოდაშვილის „პასუხი ტბილისიდამ“. სტეფანეს წერილში აღწერილია პეტერბურგის მშვენიერება:

„ესე არა არს ქალაქი, არამედ შუენიერი და სრული ქუეყანა, სადაცა ყოველივე ქმნილ არს სხუა გვარად, ვიდრეღა მანდ... განლიგებულვარ ესეოდენთა დიდ შუენიერთა აღმკობილებათაგან შენებულებათა, წყობილებათა მათთა და სხუათა. რაიცა შეეხება აქაურსა განათლებასა, გონება ჩემი იწრო არს ამისთვის, რათა მოგწერო...“

სოლომონ დოდაშვილი ძმის წერილს იყენებს საიმისოდ, რომ ქართველ საზოგადოებას აუხსნას განათლების საგანგებო მნიშვნელობა პიროვნების, საზოგადოებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ:

„ყოველმან [თანა]მემამულემან ჩუენმან ჰსცნა, რომელ განათლება არს უმტკიცესი და უსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა, ყოველმან უწყის, საზოგადოობა შემდგარი კეთილაღზრდილთა წევრთაგან, შეიქმნების განწმენდილს წყაროდ საეროთა კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შემძლებლობისა, მას შინა ჰსცნობს წმინდა ეკლესია ჭეშმარიტთა ძეთა, მოქალაქოობა მამულის მოყვარეთა, ხოლო მშობელნი თვისსა ნუგეშსა“.

სტეფანე დოდაშვილი თავისი წერილის დასაწყისში აღნიშნავს: „სიმრთელით მოვაწიე პეტრეს ქალაქს“. არადა, ამ დროს იგი პეტერბურგში დაახლოებით ოთხი წლის ჩასულია.

სოლომონმა, ჩანს, სტეფანეს ძველი წერილი გამოაქვეყნა, თუმცა, გამორიცხული არც ისაა, ეს ყველაფერი ლიტერატურული ხერხი იყოს – სტეფანეს მიერ პეტერბურგიდან „ძმისადმი გამოგზავნილი წერილი“ სინამდვილეში სოლომონის მიერვე იყოს შედგენილი, რათა მასზე დაყრდნობით ჟურნალის რედაქტორს მკითხველისათვის გაეცნო საკუთარი შეხედულებები განათლების სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ.

სტეფანე დოდაშვილი სიცოცხლის მიწურულს ყვარელში მსახურობდა მსაჯულად (Заседатель) და 1845 წელს ყვარელშივე ლეკების თავდასხმას შეეწირა. დაკრძალულია სოფელ მაღაროში, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში.

ერისთავი გიორგი დავითის ძე (1813-1864) – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი (საგამომძიებლო კომისიამ იგი მიაკუთვნა „დამნაშავეთა“ მესამე კატეგორიას – „...რომელნიც ქმედითად მონაწილეობდნენ შეთქმულებაში და მხარს უჭერდნენ აჯანყების იდეას“). გ. ერისთავი გაგზავნეს ქალაქ ვილნოში, სადაც, სხვათა შორის, იგი წერდა: „...არ ძალმიძს დავივიწყო მხარე მშობელი / და სიხარულად მიმაჩნია, ვიტირო მისთვის!“.

გიორგი ერისთავმა ქართულ მწერლობაში პირველმა შენიშნა, რომ ახალმა წესწყობილებამ ქართულ არისტოკრატიას გამოაცალა სახელმწიფოებრივი და სოციალური ფუნქციები და ამის გამო იგი პოლიტიკური და მორალური დეგრადაციის გზას დაადგა (პიესები: „გაყრა“, „დავა“ და სხვ.). ისიც უნდა ითქვას, რომ გ. ერისთავი „უფრო მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფიგურაა, როგორც ახალი გზების მაჩვენებელი და გამკვლეველი, ვიდრე როგორც მხატვარი“ (გ. ქიქოძე).

გ. ერისთავი, როგორც ლიტერატურული ფიგურა, საინტერესოა აგრეთვე თავისი თარგმანებით (ა. მიცკევიჩი, ა. პუშკინი, ვ. ჰიუგო, პ. ბერანჟე და სხვ.). მის სახელთანაა დაკავშირებული პროფესიული ქართული თეატრის დაფუძნება 1850 წელს და დაარსება ჟურნალ „ცისკრისა“ (1852-1853), რომლის რედაქტორ-გამომცემელიც თვითონ იყო.

რაც შეეხება „სალიტერატურო ნაწილში...“ გამოქვეყნებულ პოემას „ოსური მოთხრობა“,[3] იგი გაგრძელებებით დაიბეჭდა სამ ნომერში, მაგრამ არ დასრულებულა. სრულად ავტორმა იგი გადამუშავებული სახითა და სხვა სათაურით („ზარე და ყანიმათ“) მოგვიანებით დაბეჭდა „ცისკარში“ (1853, №4).

„ოსურ მოთხრობაში“ ასახულია ჩვენს ისტორიაში (და ლიტერატურაშიც) კარგად ცნობილი ბახტრიონის ბრძოლა. პოემა პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული და უდავოდ ეხმაურება შეთქმულთა მიზნებსა და განწყობილებას. გ. ერისთავის ნაწარმოებს საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოუწვევია და, უნდა ვიფიქროთ, ამის გამო ცენზურამ რედაქტორს მისი ბეჭდვა შეაწყვეტინა.

გიორგი ერისთავი 1854 წელს დაუბრუნდა მშობლიურ სოფელ ხიდისთავს. დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში.

ერისთავი გიორგი იასეს ძე (1759-1863) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი, უმამაცესი მეომარი და შესანიშნავი ორატორი, მონარქისტი, რომელმაც საფლავში ჩაიტანა რუსეთის მონარქიული ტახტისადმი განუზომელი ერთგულება (1855 წელს, „ყირიმის ომის“ დროს, თითქმის 100 წელს მიღწეული გ. ი. ერისთავი კავკასიის მეფისნაცვალ ნ. მურავიოვს სთხოვდა – რიგით ჯარისკაცად ჩამრიცხეთ, რათა სამშობლოს დაცვაში მივიღო მონაწილეობა, დავდგე ძლევამოსილი რუსეთის დროშასთან და მხურვალე მოწოდებებით გავამხნევო ბრძოლის ველზე გასული მამაცი რუსული მხედრობაო).

[3] სიტყვა „მოთხრობა“ აქ „ამბავის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული.

გ. ი. ერისთავი ავტორია ლექსებისა და თეოლოგიურ-მორალისტური ხასიათის თხზულებისა – „მამისაგან შვილის დარიგება“ („ცისკარი“, 1862, №10). ერთ-ერთ ლექსში („კავკასიის მთასა“) იგი ადანაშაულებს უკვე ჩაშლილი შეთქმულების მონაწილეებს, თუ რატომ ენდნენ ისინი „დოდაევს გვარით სისხლამღვრეულს, უგვარკუდოსა“.

„სალიტერატურო ნაწილში...“ გამოქვეყნებულ გ. ი. ერისთავის ლექსში „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის...“ შერწყმულია, ერთი მხრივ, საქართველოს გმირული წარსულით აღძრული სიამაყე („მტერთა რისხვით დაცემა, ორგულთ შეიწრებანი, / სიმხნე და ვაჟკაცობა, აქვნდათ ვითა მცნებანი...“) და მომავლის რწმენა („ყოვლის ცუდის საქმისა, გაქვნდეთ დავიწყებანი, / იქმნას შვება, დიდება, ურაა მრავალხმობანი...“), ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის იმპერატორის აპოლოგია („მე თქვენ გთხოვთ ჩემო ძმანო, მსახურეთ იმპერატორს, / აჩრდილი არის ღთისა, აწ უსმინეთ სენატორს, / ესრეთ დასწერეს ძველად, საღმრთოსა და საეროს, / მაშინ განათლდეს ქართლი, თქვენ მიიღოთ შვებანი“).

ერთი შეხედვით, უცნაური ჩანს „სალიტერატურო ნაწილში...“ რუსეთის იმპერატორისადმი აღვლენილი ქება-დიდების გამოქვეყნება, მაგრამ, ჯერ ერთი, შესაძლებელია, ეს ცენზურის თვალის ასახვევად ყოფილიყო გამოყენებული და, ამას გარდა, ს. დოდაშვილი ლექსის დაბეჭდვაზე უარსაც ვერ ეტყოდა ხელისუფლების მიერ უაღრესად დაფასებულ, დიდი ავტორიტეტისა და გავლენის მქონე მემამულესა და გენერალს.

გ. ი. ერისთავი დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში.

მაჩაბელი დავით ბარძიმის ძე (1814-1873) – პოეტი, მთარგმნელი, ბიბლიოფილი, ს. დოდაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე თბილისის გიმნაზიაში. დ. მაჩაბელი დაახლოებული იყო შეთქმულთა წრესთან, თუმცა შეთქმულებაში მისი უშუალო მონაწილეობა დოკუმენტურად არ დასტურდება. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი ერთხანს სამოხელეო გზას გაჰყვა, მაგრამ 1839 წელს თავი დაანება სამსახურს, დაბრუნდა მშობლიურ თამარაშენში და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა (1873 წლის 10 ოქტომბერს მოკლეს საკუთარ სახლში, შემდეგ კი მისი ცხედარი დაწვეს. მკვლელობის მიზეზზე ორი ძირითადი ვერსია არსებობს: ძარცვა და მიტოვებული ცოლის შურისძიება).

დ. მაჩაბელი ლექსებს ძირითადად ჟურნალ „ცისკარში“ აქვეყნებდა. მასვე ეკუთვნის პოემა „მთიული“, რომელშიც რუსების მიერ 1837 წელს ადლერის კონცხის აღებაა აღწერილი. დ. მაჩაბელს გამოქვეყნებული აქვს წერილი „ქართული ზნეობანი. I. გალობა“ („ცისკარი“, 1864, №5), რომელშიც ჩამოყალიბებულია საყურადღებო მოსაზრებები ქართული გალობის მრავალხმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

„სალიტერატურო ნაწილში...“ გამოქვეყნებულია დ. მაჩაბლის ორიგინალური ლექსი „თოვლი“ და თარგმანი რუსულიდან – უცნობი ავტორის მორალისტური ხასიათის მოთხრობა „აღთქმის სარკე. ყრმებრივი უმანკოება“. „თოვლში“ აღწერილია თოვლისა და ზამთრის სუსხისაგან დათრგუნვილი ბუნება („ყვავილნი მთათა და ველთა მოსძრა, მოსწუა და გალია; / დაჰფარა, დაჰშხო მწუანენი, მანკი აღაგო სალია...“), თუმცა ავტორი ლექსს ოპტიმისტური განწყობით ამთავრებს („თოვლი იცვლების მზისაგან; ჩვენ კაცნი მხოლოდ ღუთისაგან“).

„აღთქმის სარკე“, როგორც აღინიშნა, მორალისტური ხასიათისაა. აქ გადმოცემულია თავგადასავალი ყმაწვილისა, რომელსაც პატივმოყვარეობამ დააკარგვინა ცხოვრებისეული ბედნიერება და სულის სიმშვიდე, თუმცა გულწრფელი მონანიებით გამოისყიდა თავისი დანაშაული და ამის შემდეგ „არცა ვნებანი, არცა ბიწნი აღარ შეეხებოდნენ მას...“.

ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე (1802-1869) – მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟი), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური [შეთქმულებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ალექსანდრეს დედა, მეუღლე (ეკატერინე ბარათაშვილი) და ძმები: ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანები]. საგამომძიებლო კომისიამ ალექსანდრე

მიაკუთვნა „დამნაშავეთა“ მეორე კატეგორიას და მიუსაჯა გადასახლება ორენბურგის გუბერნიაში, საიდანაც 1838 წელს „კავკასიის ხაზზე“ გადმოიყვანეს, ხოლო სამშობლოში 1840 წელს დააბრუნეს („დარიელის ხიდს ქვემოთ თერგის პირზე ჩავედი... იქ დავიჩოქე, ერთს ქვას მოვეხვიე და იმას კოცნით მოვლოკამდი, რომელსაცა მიხაროდა და ღმერთს მადლობას შევსწირავდი: კიდევ ვნახე ჩემი მშობელი მამულის სამძღვრის პირიო“ – წერდა მოგვიანებით ამ ბედნიერი დღის გახსენებაზე ალექსანდრე ორბელიანი).

სამშობლოში დაბრუნებულმა ალ. ორბელიანმა, ყოფილი თანამებრძოლებისა და თანამოაზრეების უმრავლესობისაგან განსხვავებით, არ ისურვა სახელმწიფო სამსახურში შესვლა და კარგა ხანს საზოგადოებრივ-კულტურულ სარბიელსაც იყო გარიდებული. მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, სახელი ძირითადად დაკავშირებულია ივანე კერესელიძის „ცისკართან“, რომლის დაარსებასა და გამოცემაში ალ.ორბელიანს არსებითი ხასიათის წვლილი აქვს შეტანილი (იქვე აქვეყნებდა ლექსებს, დრამატულ ნაწარმოებებს, საისტორიო თხზულებებს, რეცენზიებს, ნაშრომებს ქართული სასაუბრო თუ სალიტერატურო ენის საკითხებზე, მემუარებს...).

რუსეთისა და რუსებისადმი თავისი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი მიმართება სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე დაწერილ „აღსარებანში“ ალ. ორბელიანს ასე აქვს ჩამოყალიბებული: „მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მინდა აქედგან ისე გადაიკარგნენ, რომ საქართველოს სუნიც იმათ ვეღარ მიედინოს და რუსეთში კი ბედნიერად იყვნენ“.

ალ. ორბელიანი გარდაიცვალა 1869 წლის 28 დეკემბერს. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში.

„სალიტერატურო ნაწილში...“ გამოქვეყნებული ლექსი „მთოვარე“ ალეგორიული ხასიათისაა – მთვარეში იგულისხმება სამშობლო, რომელიც შავ ღრუბელს დაუფარავს: „გარდიყარა შემდეგ, დროთა ღრუბელი, / ვნახე მთვარე მოშლილ, იყო სულ ბნელი, / მელეოდა მშვენი, სახე ნათლ მსვლელი...“ და ა. შ.

რაზმაძე სოლომონ გივის (ივანეს) ძე (1797-1860) – პოეტი, მთარგმნელი (ა. პუშკინი, ა. მიცკევიჩი, ფ. მარმონტელი...); ბავშვობიდანვე იზრდებოდა პეტერბურგში, თეიმურაზ ბატონიშვილის ოჯახში. ს. რაზმაძე, როგორც აღმოსავლური ენების მცოდნე, 1831 წელს ირანში რუსეთის სრულუფლებიან მინისტრად დანიშნული გენერლის, გრაფ ივანე სიმონიჩისთვის, გამოუყოლებიათ. პეტერბურგიდან თავრიზს მიმავალი ს. რაზმაძე ამ გზით მოხვდა თბილისში, სადაც გაიცნო შეთქმულნი, დაუახლოვდა მათ და ირანში გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან მეკავშირეობაც იკისრა. შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ ს. რაზმაძე თავრიზში დააპატიმრეს, თბილისში ჩამოიყვანეს, გაასამართლეს და მიუსაჯეს გადასახლება პენზაში, სადაც იგი ოჯახს მოეკიდა და იქვე გარდაიცვალა.

„სალიტერატურო ნაწილში...“ გამოქვეყნებულია ს. რაზმაძის ორი თარგმანი: ა. პუშკინის „მელოდია (დიშპანური სიმღერა)“ და მისივე „ლხინი“. „სოლომონ რაზმაძის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად, პირველად აგრძნობინა ქართველ მკითხველს დიდი რუსი პოეტის ნიჭის ძალა და მისი შემოქმედების გასაცნობად გზა გაუკაფა თავის თანამემამულე პოეტებს“ (ი. გრიშაშვილი).

დასასრულ, ჟურნალის სულისჩამდგმელსა და აქ გამოქვეყნებული ტექსტების ძირითად ავტორზე – სოლომონ დოდაშვილზე.

სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი (1805-1836) იყო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მეცნიერი (ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, გრამატიკოსი), ჟურნალისტი, პედაგოგი (ნ. ბარათაშვილის, დიმ. ყიფიანის, ვ. ორბელიანისა და სხვათა მასწავლებელი), ბიბლიოფილი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური და

იდეოლოგი, უთვალსაჩინოესი ფიგურა XIX საუკუნის ქართული კულტურისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ს. დოდაშვილი დაბრუნდა სამშობლოში (1827) და სათავეში ჩაუდგა პატრიოტული მიზანდასახულობის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას. მისი მოღვაწეობის ძირითადი მიზანი იყო, ერთი მხრივ, მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადება, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების ევროპეიზაცია („არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვჰმუშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალებითა წერილთა სარწმუნოთა“).

ს. დოდაშვილის ღვაწლსა და, კერძოდ, მის როლს შეთქმულების ორგანიზებასა და წარმართვაში ვრცლად აქ, რასაკვირველია, ვერ შევეხებით, თუმცა ჩვენი დიდი მამულიშვილის სულისკვეთების წარმოსადგენად ვიმოწმებთ მის მიერ შედგენილი პროკლამაციის ტექსტს, რომელიც შეთქმულებს აჯანყების დაწყებისთანავე უნდა გაევრცელებინათ:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ მათგან. ხოლო აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთა შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა? რაისათვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი? ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა? ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენ მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?

მაშა რაისათვის ვცოცხალვართ?“

საგამომძიებლო კომისიამ ს. დოდაშვილი მიაკუთვნა შეთქმულთა მეორე კატეგორიას („ვინც შეთქმულების წამომწყები იყო და სხვებსაც უბიძგებდა შეთქმულებისა და თვით აჯანყებისაკენ“). მას მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება და 1834 წლის 24 ივნისს შორეული ვიატკის გზას გაუყენეს. გადასახლებაში, სადაც ს. დოდაშვილი საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიაში მსახურობდა გადამწერად, მას თან გაჰყვა მეუღლე ელენე კობიაშვილი ორ მცირეწლოვან ვაჟიშვილთან ერთად (გადასახლებაში ქალიშვილიც შეეძინათ – ანა, რომელიც სოლომონის სიკვდილის შემდეგ მალე გარდაიცვალა ვიატკაშივე). ს. დოდაშვილის ორგანიზმმა ვერ გაუძლო ჩრდილოეთის მკაცრ კლიმატს, მძიმე და რუტინულ შრომას, სამშობლოზე განუწყვეტელ დარდს და ჭლექით დაავადდა. 1835 წლის ივლისში იგი ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორს, კირილ ტიუფიაევს, სთხოვს შუამდგომლობას „რომელიმე თბილ გუბერნიაში“ გადასაყვანად. მისი ეს თხოვნა საბოლოოდ მოხვდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველთან, მაგრამ, როგორც ეს რუსეთის სამხედრო მინისტრის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ კონფიდენციალურ მიმართვაშია აღნიშნული, „დოდაევის თხოვნის დაკმაყოფილება მისმა უმაღლესობამ არ ინება“. მომდევნო წელს კ. ტიუფიაევმა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს იმპერატორთან საშუამდგომლოდ კიდევ ერთხელ მიმართა ოფიციალური თხოვნით, მაგრამ ს. დოდაშვილი სწორედ ამ თხოვნის გაგზავნის დღეს, 1836 წლის 20 აგვისტოს, გარდაიცვალა და იქვე, ვიატკაშივე, ემარხა 1994 წლამდე (ამჟამად მისი ნეშტი მთაწმინდის პანთეონშია გადმოსვენებული).

რაც შეეხება სოლომონ დოდაშვილის ოჯახს, სასოწარკვეთილი და არას მქონე ელენე კობიაშვილი გუბერნატორ კ. ტიუფიაევის მზრუნველობით 1836 წლის შემოდგომაზე სამშობლოსაკენ გამოემგზავრა თავის ორ ვაჟიშვილთან ერთად, თუმცა, დოკუმენტების მიხედვით, უმცროსი ვაჟი – კონსტანტინე – იმავე 1836 წელსაა გარდაცვლილი. გამორიცხული არაა, 4 წლის კონსტანტინემ ვერ გაუძლო გზის სიმძიმეს და ვიატკიდან საქართველომდე გზაშივე გარდაიცვალა. 1838 წელს ელენე კობიაშვილიც აღესრულა და, ამდენად, სოლომონ დოდაშვილის ოჯახიდან სასტიკ ბედისწერას მხოლოდ უფროსი ვაჟი – ივანე (1829-1864) – გადაურჩა.

„სალიტერატურო ნაწილში...“ გამოქვეყნებულია ს. დოდაშვილის ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებები: სანტიმენტალური მოთხრობა „ელენა“, რომელიც „აგებულია სოციალურად და ეკონომიკურად ერთმანეთს დაცილებულ ფენათა ტრაგიკული დაპირისპირების ფონზე“ (ს. ხუციშვილი); მოთხრობა „ჟინევრა“, რომელიც ს. დოდაშვილს უთარგმნია, თუმცა ჯერჯერობით არც ამ მოთხრობის ავტორის ვინაობაა გარკვეული და არც ის, თუ რომელი ენიდან აქვს მთარგმნელს ეს ტექსტი გადმოღებული.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ ს. დოდაშვილის ნარკვევებს:

„მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ ქართული ლიტერატურის ქრონოლოგიური მიმოხილვის პირველი ცდაა. უნდა ითქვას, რომ, გარდა მეცნიერული ინტერესისა, ავტორს სხვა მიზანიც ამოძრავებდა, კერძოდ, მას სურდა, ეჩვენებინა ქართველი საზოგადოებისათვის, რომ იგი მემკვიდრეა დიდი ლიტერატურული ტრადიციისა და ამით მკითხველში ეროვნული სიამაყის გრძნობა გაეღვივებინა. ამასთანავე, ს. დოდაშვილს სურდა, დაესაბუთებინა ქართველი თუ არაქართველი დილეტანტებისა თუ ნიჰილისტებისათვის საკაცობრიო მნიშვნელობა ქართული მწერლობისა, „რომელიცა აქამომდე წყვდიადსა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულის ევროპიისათა“.

„მოკლე განხილვაში“ ს. დოდაშვილი ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზეც მსჯელობს. იგი წინააღმდეგია არაქართული ლექსიკის მექანიკური გადმოღებისა და ასაბუთებს ეროვნული ლექსიკური საგანძურის მაქსიმალურად ათვისებისა და გამოყენების აუცილებლობას. აქვე ავტორი ეხება ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხს, მიიჩნევს, რომ ქართული ანბანი შექმნილია ფარნავაზის დროს და ამ ფაქტს ძვ. წ. 327 წლით ათარიღებს; საგანგებო ყურადღებას უთმობს უსაფუძვლო თვალსაზრისს ქართული ენის სომხურისაგან მომდინარეობის შესახებ და დასძენს: „ჩვენ არა ძალგვიძს ბაასი სომეხთ თანა, ვინაიდგან იგინი უბნობენ, რომელ თვით ადამ ლაპარაკობდა სომხურს და სომხურის ენიდამ იწარმოა ყოველი ენა, ესე იგი, ფრანციული, ნემეცური, რუსული და სხუანი“.

ს. დოდაშვილის „მოკლე განხილვა...“ გამოქვეყნდა აგრეთვე „ტიფლისსკიე ვედომოსტიში“ (1832, №1), საიდანაც გადაიბეჭდა გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტიში“ (1832, №10), ხოლო შემდეგ დამატებად დაერთო ჟარი დე მანსის წიგნის „ძველი და ახალი ლიტერატურის, მეცნიერებათა და ნატიფი ხელოვნების ისტორიის“ რუსულ თარგმანს (1836, ნაწ. II; მთარგმნელი ი. მიკლაშევიჩი).

თხზულებაში „მეფობა ირაკლის მეორისა“ ავტორი აღნიშნავს, რომ ერეკლე II-ის მეფობა დაემთხვა ჩვენი ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც ქართლ-კახეთი იტანჯებოდა, ერთი მხრივ, „ლეკიანობისა“ და, მეორე მხრივ, „სპარსთა და ოსმალთაგან შეიწროებისა და მწუხარებისაგან“; მოკლედაა გადმოცემული ერეკლე II-ის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები (აღზრდა-განათლება, ცხოვრების წესი, მისი კეთილმორწმუნეობა, ნადირ-შაჰთან ერთად ინდოეთში ლაშქრობა და შაჰის კეთილგანწყობის მოპოვება, კახეთის ტახტზე ასვლა, გივი ამილახვართან დაპირისპირება და მასზე გამარჯვება და სხვ.); ყურადღება გამახვილებულია ერეკლე II-ის ლაშქრობათა ისტორიაზე ზოგადად და, კერძოდ, აზატ-

ხანის წინააღმდეგ 1751 წელს ერევნის მახლობლად გამართულ ბრძოლასა და შთამბეჭდავ გამარჯვებაზე (ს. დოდაშვილი მთლიანად ეყრდნობა ერეკლე II-ის კარის ისტორიკოსის, ომან ხერხეულიძის, თხზულებას „მეფობა ირაკლი მეორისა“).

სამწუხაროდ, ს. დოდაშვილის „მეფობა ირაკლის მეორისა“ დაუმთავრებელია. აქ არაფერია ნათქვამი ავტორის პოზიციის შესახებ ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკასთან, რუსულ ორიენტაციასა და გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებასთან დაკავშირებით (ავტორი უთითებს კიდეც – „შემდგომი მეფის ირაკლის ისტორია დასასრულამდე იქმნების დაბეჭდილი სხუა დროსო“, თუმცა დაასრულა თუ არა ს. დოდაშვილმა „ირაკლის ისტორია“, ამის შესახებ სარწმუნო ცნობები არ მოგვეპოვება).

პოლემიკური ოსტატობის ნიმუშია ს. დოდაშვილის „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა“, რომლითაც ავტორმა უპასუხა თბილისში მცხოვრები რუსი მწერლისა და ჟურნალისტის, გრიგოლ გორდეევის, წერილს – „საქართველოს უკანასკნელ მეფეთა დამარხვის წესები“ („ტიფლისსკიე ვედომოსტი“, 1832, №1). გრ. გორდეევის მიერ გაყალბებულია საქართველოს სამეფო კარის ისტორიულად ჩამოყალიბებული ეტიკეტი. „უფალი ღარდეიევი, არა მცოდნე ქართულისა ენისა და არცა ზნეობათა და ყოფაქცევათა საქართველოს ერთასა, ჰსწერს მრავალსა ტყუილსა და გამოჩენილსა სიცრუესა...“ – აღნიშნავს ს. დოდაშვილი და დამაჯერებლად ასაბუთებს გრ. გორდეევის უვიცობასა და თაღლითობას, რითაც, სხვათა შორის, ს. დოდაშვილმა მაშინ ბევრს დაუკარგა ქართულ საისტორიო წყაროებში ხელის ფათურისა და ჩვენი ისტორიის ფალსიფიკაციის სურვილი.

შემთხვევითი არ არის, რომ მოგვიანებით, 1876 წელს, გაზეთ „დროების“ დაარსების 10 წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმზე წარმოთქმულ სიტყვაში, ილია ჭავჭავაძემ ქართული ეროვნული ჟურნალისტიკის ფუძემდებელთა შორის პირველ რიგში სოლომონ დოდაშვილი დაასახელა: „სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეწყოს... იმ დროშაზედ, რომელზედაც უფ. [სერგეი] მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავისი მიმართულება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდაევისაგან, გიორგი ერისთავისაგან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“ („დროება“, 1876, №24).

„მემკვიდრეობითობასთან“ დაკავშირებით, ვფიქრობთ, ასეთი ფაქტის აღნიშვნაც არ იქნება ინტერესს მოკლებული – 1835-1836 წლებში თბილისელმა გიმნაზისტებმა (ს. დოდაშვილის მოწაფეებმა: მ. თუმანიშვილმა, ნ. ბარათაშვილმა, დ. მაჩაბელმა და სხვ.) რუსულ ენაზე გამოუშვეს ხელნაწერი ჟურნალი „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ („Цветок Тифлисской гимназии“), რომელშიც, გარდა საკუთარი ნაწარმოებებისა, ს. დოდაშვილის ორი თხზულებაც შეიტანეს: „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ და „მეფობა ირაკლის მეორისა“. ს. დოდაშვილის თხზულებათა გამოქვეყნება მაშინ, როცა ავტორი „სახელმწიფოებრივი დანაშაულის“ გამო შორეულ ვიატკაში იყო გადასახლებული, ერთი მხრივ, მიუთითებს მოწაფეთა (რომელთაც, სხვათა შორის, ს. დოდაშვილი „საქართველოს სასოებას“ უწოდებდა) გაბედულებაზე და, რაც მთავარია, „იდეურ სოლიდარობაზე მადლიერ მოწაფეობასა და ღირსეულ ნამასწავლებლარს შორის, ამ ხანებში მომაკვდინებელ სენს რომ ებრძოდა ცივ ვიატკაში და გვიდასტურებს იმას, რომ ყაზარმელთა (შეთქმულთა – თ. ჯ.) ფიქრ-ზრახვანი კვალწმინდად არ წარხოცილა მოზარდი თაობის გულში. აშკარად ჩანს, რომ სოლომონის სახე და საქმე მტკიცედ აღბეჭდილა მოწაფეობის ხსოვნაში“ (მაქს. ბერძნიშვილი).

მართალია, ს. დოდაშვილს ჟურნალში არ ჰყოლია თანამშრომლები, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული მწირი დოკუმენტური მასალის მიხედვით ირკვევა, რომ არსებობდა ლიტერატურული ინტერესების მქონე ჯგუფი, რომელიც განიხილავდა ჟურნალში დაბეჭდილ თუ დასაბეჭდ მასალას. კერძოდ, დიმიტრი ყიფიანის მიერ საგამომძიებლო

კომისიისათვის მიცემული ერთ-ერთი ჩვენებით ირკვევა, რომ ამ ჯგუფს (ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი დავითის ძე ერისთავები, სოლომონ რაზმაძე და სხვ.) ს. დოდაშვილთან ერთად განუხილავს გ. ი. ერისთავის „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის...“, გ. დ. ერისთავის „ოსური მოთხრობა“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისი“ – ქართულ ენაზე თარგმნილი ს. რაზმაძის მიერ. გ. დ. ერისთავი ერთ-ერთ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ საუბარი ჰქონიათ აგრეთვე იოსებ მამაცაშვილის თხზულებაზე – „მამულისადმი სიყვარული“...

საინტერესო ისტორია აქვს გრიგოლ ორბელიანის „აღსარებას“ – კონდრატი რილეევის პოემა „ნალივაიკოს“ ფრაგმენტს, რომელიც ჩვენს პოეტს ქართულად გადმოუკეთებია და შეთქმულთა წრეში ეს თხზულება პოპულარული ყოფილა (გრ. ორბელიანის ხელნაწერი შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ ს. დოდაშვილის ქაღალდებში აღმოაჩინა).

კ. რილეევის „ნალივაიკო“ ეძღვნება XVI საუკუნეში ანტიფეოდალური სულისკვეთებისა და მართლმადიდებლობის დასაცავად უკრაინელ კაზაკთა მიერ მოწყობილი აჯანყების ბელადს სევერინ ნალივაიკოს (აჯანყების მიზანმა ნალივაიკო სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირისპირა პოლონეთის მეფესთან, სიგიზმუნდ III-სთან. პოლონეთის არმიით გარშემორტყმული ნალივაიკო საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით თანამებრძოლებმა გასცეს – მტერს ჩააბარეს. დატყვევებული მეამბოხე პოლონელებმა ჩაიყვანეს ვარშავაში, სადაც ორწლიანი ტყვეობისა და წამების შემდეგ 1597 წლის 11 აპრილს სიკვდილით დასაჯეს – ოთხად განკვეთეს). გრიგოლ ორბელიანს გადმოკეთებული აქვს კ. რილეევის პოემის ფრაგმენტი – ნალივაიკოს აღსარება, რომელშიც გადმოცემულია გმირის დაუოკებელი სწრაფვა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ (დეკაბრისტული მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური და ამის გამო ჩამოხრჩობილი კ. რილეევი იმ დროს აკრძალული ავტორი იყო და კვალის დაფარვის მიზნითა და გიორგი დ. ერისთავის რჩევით, მთარგმნელ-გადმომკეთებელმა თხზულებას „გივი ამილახვრის აღსარება“ უწოდა, თუმცა კვალი მაინც არ დაიმალა და გრ. ორბელიანი იძულებული შეიქნა, შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის წინაშე თავისი „შეცდომა“ მოენანიებინა).

გრ. ორბელიანის „აღსარება“, ჩანს, „სალიტერატურო ნაწილში...“ უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ ეს ვერ მოხერხებულა, უნდა ვიფიქროთ, საცენზურო პირობების გამო.

„სალიტერატურო ნაწილში...“ საგანგებო ყურადღება ექცევა განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამ მხრივ ჟურნალი აგრძელებს და ავითარებს პირველ ქართულ გაზეთშივე გამოკვეთილ პოზიტიურ ტენდენციას. რაც მთავარია, განათლება აქ დაკავშირებულია არა მარტო პიროვნულ ბედნიერებასთან, არამედ სამშობლოს აყვავებასა და კეთილდღეობასთან: „აწ ზედმიწევნით ჰსცნეს [თანა]მემამულეთა ჩუენთა, რომელ უკეთუ განათლებულ იყვნენ, მიაღწევენ უმაღლესს ხარისხამდე ბედნიერებისა, ამის გამო მიიქცნენ მის საშუალობისადმი, რომელიცა აწარმოებს აღყვავებასა სამშობლოისა ჩუენისასა“ (ს. დოდაშვილი, პასუხი ტბილისიდამ).

ჟურნალის ფურცლებზე გამოჩნდა ცნობა თეატრის შესახებ: „ჩუენს ქალაქში წარსულს კვირას იყო თეატრი ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა, საკურველად წარმოადგინეს...“ (№2, გვ. 47). ს. დოდაშვილს აქ მხედველობაში აქვს გენერალ რომან (რევაზ) ბაგრატიონის სალონში 1832 წლის 21 იანვარს წარმოდგენილი პიესა ა. გრიბოედოვისა „ვაი ჭკუისაგან“.

„სალიტერატურო ნაწილის...“ დაარსების ინიციატორები თავიდან დიდ ენთუზიაზმს იჩენდნენ და ს. დოდაშვილს ყოველმხრივ დახმარებასაც ჰპირდებოდნენ, მაგრამ შემდეგ მათ თავიანთი სიტყვა საქმედ ვერ აქციეს – ჟურნალს თანდათანობით ხელის მომწერებიც აკლდებოდა და ლიტერატურული ტექსტებიც (საკმარისია ითქვას, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალის დაახლოებით 3/4 ს. დოდაშვილს ეკუთვნის). რედაქტორი დაბეჯითებით სთხოვდა როგორც საქართველოში, ისე რუსეთში მცხოვრებ

თანამემამულეებს, მიეწოდებინათ მისთვის ლიტერატურული თხზულებები ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.

ჟურნალის მესვეურისათვის საბედისწერო პრობლემად მაინც ხელის მომწერთა ნაკლებობა იქცა. 1832 წლის თებერვალში ს. დოდაშვილი შეთქმულების აქტიურ წევრს ფილადელფოს კიკნაძეს სწერს: „ცოტანი არიან ხელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა. თუ დადგეს დაბეჭდვა მთავრობისაგან, ქართველთათვის სირცხვილია. როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქმე. გთხოვ ეცადნეთ ათიოდე მსურველი იშოვოთ... ნურვინ დაჰზოგავს რვა მანეთს. ყოველთავე ურჩიე...“.

საქმეს რომ არაფერი ეშველა, ს. დოდაშვილმა ჟურნალში სპეციალური „განცხადებაც“ გამოაქვეყნა: „მიმღებთა ამისთა ვჰსთხოვთ უმორჩილესად, რათა მიიღონ შრომა, რათამცა არა სარცხვინელიქმნას საქართველოს საზოგადოება, განუცხადოთ ყოველთა [თანა]მემამულეთა, განაღვიძოთ მათ შორის სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისა, მოაწერონ ხელი და შეძლებისაებრ თვისისა მოსცენ შემწეობა განმრავლებისათვის ღონისძიებათა და საშუალებათა, რათამცა ზემოხსენებული გამოცემა განგრძელდეს საქებელად მამულისა და განმართლდესცა მოლოდება ბრძნისა მთავრობისა“ (№5, გვ. 120).

ბედის ირონიით ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომელიც ჟურნალში დაიბეჭდა – „სალიტერატურო ნაწილის...“ შემდეგი ნომერი უკვე აღარ გამოსულა.

მიუხედვად ყველაფრისა, ჟურნალმა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ შესამჩნევი კვალი დატოვა ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. მისი მნიშვნელობა კი ძირითადად შემდეგი გარემოებებით უნდა განისაზღვროს:

ა) ესაა პირველი ჟურნალი – გამოცემული ქართულ ენაზე.

ბ) იგი პირველი პერიოდული გამოცემაა, რომელიც საკუთრივ ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საჭიროებებისა და კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების განვითარებისათვის დაარსდა.

გ) სისტემური სახით აქ ჩაეყარა საფუძველი პრესის საშუალებით ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სასიცოცხლო ინტერესთა დაცვასა და შესწავლა-პოპულარიზაციას, საერთოდ, ახალი დროის შესაფერისი ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება-გავრცელებას, რის გამოც იგი XIX საუკუნის II ნახევრის ქართული ჟურნალისტიკის („საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“...) წინამორბედად უნდა ჩაითვალოს.

დ) ჟურნალი ქართული პრესის პირველი ორგანოა, რომელმაც XIX საუკუნის საქართველოში სისტემური სახე მისცა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ევროპეიზაციის პროცესს.

ლიტერატურა:

ბოცვაძე ი. პრესა და მწერლობა. თბ.: 1976, გვ. 23-35.

გოცაძე მ. პირველი ქართული ჟურნალი. „საისტორიო მოამბე“, [ტ.] 6. თბ.: 1952, გვ. 229-315.

გოცაძე მ. სოლომონ დოდაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ.: 1955, გვ. 198-239.

გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I. თბ.: 1954, გვ. 171-211.

გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), ტ. I. თბ.: 1941, გვ. 79-97.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I (1819-1853). თბ.: 1977, გვ. 96-107.

კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). წიგნში: **ვ. კოტეტიშვილი**. რჩეული ნაწერები (ორ წიგნად). **დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, წგნ. I. თბ.: 1965, გვ. 54-58.

რატიანი შ. ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. კრბ. „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები“ (III, 1973, გვ. 96-124).

ტაბიძე ნ. პირველი ქართული ჟურნალი. „მწიგნობარი – 1993-94“. თბ.: 1995, გვ. 27-47.

ჩხეიძე რ. ალექსანდრე ორბელიანი. თბ.: 1996, გვ. 163-175.

ხუციშვილი ს. სოლომონ დოდაშვილის ჟურნალისტურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა. კრბ. „სოლომონ დოდაშვილი“ (თბ.: 1986, გვ. 132-152).

„სალიტერატურო ნაწილში...“ გამოქვეყნებული ტექსტები იხ. **ხუციშვილი ს.**, **ტატიშვილი ნ.** „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (ლიტერატურულ-ანოტირებული ბიბლიოგრაფია წინასიტყვაობით, საძიებლებითა და შენიშვნებით). „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, [ტ.] 1. თბ.: 1940, გვ. 65-98.

ბიბლიოგრაფია იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945). შედგენილი **გ. ბაქრაძის** მიერ, **ვ. ეგნატაშვილის** რედაქციით. თბ.: 1947, გვ. 3.

Абрамишвили А. Грузинская периодика (1819-1917). Тб.: 1968, с. 34.

ქართული პრესის გამოცემის ცდები 1831-1855 წლებში[1]

1831 წელს თბილისში უნდა გამოეცათ გაზეთი **„კავკასიის ოლქის უწყებანი“** („Кавказские областные ведомости“). განზრახვა ამ გაზეთის დაარსებისა გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: 1830 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ დამტკიცდა სპეციალური დებულება, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ყველა გუბერნიაში უნდა დაბეჭდილიყო ოფიციალური „გუბერნიის უწყებანი“ („Губернские ведомости“). გამოცემისათვის ზედამხედველობა უნდა გაეწია ადგილობრივ სამოქალაქო გუბერნატორს. საქართველოში ამ საქმის ორგანიზაცია დაევალა „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორ პავლე სანკოვსკის. მან შეიმუშავა კიდევაც გაზეთის პროექტი და ამ პროექტის მიხედვით, ახალდაარსებული პერიოდული გამოცემის სახელწოდება უნდა ყოფილიყო **„კავკასიის ოლქის უწყებანი“**. „ახალი გაზეთი უნდა გამოსულიყო სამ ენაზე: ქართულს, რუსულსა და თათრულ ენებზე“ (მ. გოცაძე) და მას ხელი არ უნდა შეეშალა „ტფილისის უწყებანის“ გამოცემისათვის. როგორ განვითარდა მოვლენები ამის შემდეგ და რატომ ჩაიშალა ეს წამოწყება, ცნობილი არ არის.

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში ს. დოდაშვილს უწერია: „ბიბლიოთეკარ კოტოვის თხოვნით ვაგროვებდი მასალებს ძველი წეს-ჩვეულებების, საქართველოს სიძველეების, აგრეთვე, ერეკლე II-ის დროს მომხდარი მოვლენების შესახებ, რათა შემდეგ ეს ყველაფერი გამოქვეყნებულიყო იმ ალმანახში, რომელსაც კოტოვი სცემდაო“ („...в издаваемой Котовым альманахе“).

რა ალმანახს სცემდა კოტოვი ან სცემდა თუ არა საერთოდ რამეს, ეს წყაროებში არ ჩანს. რაც შეეხება თვითონ „ბიბლიოთეკარს“, მიჩნეულია, რომ იგი უნდა იყოს ეკატერინე კოტოვა, რომელსაც 1830-1831 წლებში თბილისში გახსნილი ჰქონდა კომერციული

[1] 1829 wels vinme barteneevi `tfilisis uwyebanis~ redaqtoris moadgiles, vasil suxorukovs, quTaisidan TbilisSi swers: `oCkinma mTxova, mivawodo masala **`qarTuli almanaxisaTvis~** (`Грузинский альманах~). ra Sinaarsis gamocema unda yofiliyo es, unda gamocemuliyo Tu ara maincdamainc qarTul enaze, an kidev, ra mizeziT CaiSala es wamowyeba, Cven amaze darwmunebiT verafers vityviT.

ბიბლიოთეკა და წიგნის მაღაზია. შესაძლებელია, ეს აზრი სწორი იყოს, მაგრამ გამორიცხული არც ისაა, ს. დოდაშვილს თავის ჩვენებაში ეგულისხმა არა ეკატერინე, არამედ მისი მეუღლე – თბილისის გიმნაზიის ბიბლიოთეკის გამგე კოტოვი, მით უმეტეს, თვითონ ს. დოდაშვილი ამ დროს გიმნაზიაში მსახურობდა მასწავლებლად და, უნდა ვიფიქროთ, სასწავლებლის ბიბლიოთეკართანაც ახლო ურთიერთობა ექნებოდა [სხვათა შორის, წყაროთა ერთ ნაწილში (რუსულშიც, ქართულშიც) ეკატერინეს გვარის დაწერილობა არის **კოტოვი** და არა **კოტოვა**, როგორც ამას რუსული ენის წესი მოითხოვს]. საკითხის შემდგომი კვლევისათვის საინტერესო ცნობას იძლევა მაქს. ბერძნიშვილი: „ეკატერინე კოტოვა... აპირებდა 1831 წელს თბილისში გამოეცა ისტორიული, სტატისტიკური, ეთნოგრაფიული და თანამედროვე ცნობები ამიერკავკასიის მხარის შესახებ“.

ვინაიდან ჩვენი ინტერესის საგანი ქართული **ბეჭდვითი** პრესის ისტორიაა, აღარ შევჩერდებით თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა მიერ 1833 წელს შედგენილ ხელნაწერ ალმანახზე (შემორჩენილ ეგზემპლარს თავფურცელი აკლია და ამიტომაც მისი სახელწოდება არ არის ცნობილი) და მათ მიერვე 1835-1836 წლებში გამოშვებულ რუსულ ხელნაწერ ჟურნალზე **„თბილისის გიმნაზიის ყვავილი“** („Цветок Тифлисской гимназий“. სულ გამოვიდა ხუთი ნომერი). აქ იმის აღნიშვნითღა შემოვიფარგლებით, რომ ლიტერატურული ინტერესების მქონე გიმნაზიელთა ჯგუფს მიხეილ თუმანიშვილი ხელმძღვანელობდა. ალმანახსა და ჟურნალში შესულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით მაჩაბლის, ლევან მელიქიშვილის, იასე ანდრონიკაშვილის, მირიან ჭყონიასა და სხვათა ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებები, აგრეთვე, შემდგენელ-ავტორთა მასწავლებლის, იმ დროისათვის ვიატკაში გადასახლებული ს. დოდაშვილის ორი თხზულების – „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ და „მეფობა ირაკლის მეორისა“ – რუსული თარგმანები.[2]

---

[2] Tbilisi gimnaziis mowafeTa mier gamoSvebul xelnawer almanaxsa da Jurnalze ix.: **berZniSvili maqs.** masalebi XIX saukunis pirveli naxevris qarTuli sazogadoebriobis istoriisaTvis, I. Tb.: 1980, gv. 48-49; **balaxaSvili i.** literaturuli wreebi da salonebi saqarTveloSi (XIX saukunis pirveli naxevari). Tb.: 1940, gv. 112-133; **balaxaSvili i.** Zveli Tbilisi. Tb.: 1951, gv. 176-182; **gawerelia a.** nikoloz baraTaSvili. wignSi: **a. gawerelia.** rCeuli nawerebi (sam tomad), t. II. Tb.: 1978, gv. 124-127; **gocaZe m.** qarTuli Jurnalistikis istoria, I. Tb.: 1954, gv. 248-262; **xelTubneli m.** saliteraturo-sazogadoebrivi warsulidan (mixeil TumaniSvilis cxovreba da moRvaweoba). Tb.: 1938, gv. 180-183.

vfiqrobT, qarTul xelnawer Jurnalebsa Tu almanaxebze saubrisas saintereso iqneba erT aseT faqtsac davuTmoT yuradReba:

1841 wlis 15 dekembers poeti, memuaristi, nikoloz baraTaSvilis siyrmis megobari da qarTuli Jurnalistikis istoriaSi avadsaxsenebeli cenzori luka isarliSvili quTaisidan TbilisSi swers mixeil TumaniSvils: `mwerdi, rom raime literaturuli wvlili Semetana cnobil almanaxSi. ver movaswari gadamewera bestuJevis `gamocda~ (igulisxmeba al. bestuJev-marlinskis leqsis qarTuli Targmani _ T. j.), romelic TiTqmis damTavrebuli maqvs. miuxedavad amisa, dimitri ivanes Zes (yifians _ T. j.) mainc gadaveci elegiuri xasiaTis ori leqsi. ar vici, ergo Tu ara am leqsebs almanaxSi moxvedris pativi. dimitri ivanes Zes vTxove kidevac, saTanado msjavri gamoetana am leqsebisaTvis, magram igi ufro mniSvnelovani saqmeebiT aris dakavebuli da, Cans, CemTvis ver moicala. Txovnis gameorebisac merideba misi mouclelobis gamo. rodesac `gamocdas~ sabolood movrCebi, imasac aucileblad gamovgzavni~.

l. isarliSvilis werilidan irkveva, rom: a) 1840-iani wlebis dasawyisSi TbilisSi surT literaturuli almanaxis Sedgena; b) am saqmis organizaciaSi Cabmulni arian mix. TumaniSvili da dim. yifiani. garda l. isarliSvilis am werilisa, sxva ram cnoba zemoxsenebul almanaxze Cven ar mogvepoveba.

cnobilia, rom 1840-iani wlebis dasawyisSi qarTvel mwerlebs manana orbelianisaTvis miuZRvniaT xelnaweri literaturuli krebuli. amis Taobaze mogvianebiT dim. yifiani Tavis Svils, nikoloz yifians, swers: `is wre, romelSic igi (n. baraTaSvili _ T. j.) trialebda... Sesdgeboda mTlad poetebisgan, magram maTi nawarmoebebi ar Senaxula, an Senaxula erTaderT wignakSi, sadac es maT Casweres da aCuqes, rogorc krebuli, manana orbelians~. manana orbelianis salonis wevrebi ki sxvebTan erTad iyvnen dim. yifiani, mix.

პერიოდული გამოცემის დაარსება სურდა სახელმწიფო მოხელე ლიუბავსკის, რომელმაც საამისოდ 1835 წლის ივნისში შეადგინა კიდევაც პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, თბილისში უნდა დაფუძნებულიყო ყოველკვირეული გაზეთი **„საქართველოს გუბერნიის უწყებანი“** („Грузинские губернские ведомости“). იგი უნდა დაბეჭდილიყო რუსულ ენაზე და შემდეგ თარგმნილიყო ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე. გაზეთს უნდა ჰქონოდა ოფიციალური ნაწილი და „დამატება“ (არაოფიციალური ნაწილი). მიუხედავად იმისა, რომ საქმეს თავიდან თითქოს კარგი პირი უჩანდა, გაზეთი „საქართველოს გუბერნიის უწყებანი“ არ გამოცემულა.

შემდეგი ცდა ქართული პერიოდული გამოცემის დაარსებისა ეკუთვნით თბილისში მცხოვრებ სომეხ მოღვაწეებს, ძმებს დავით და იაკობ არზანოვებს, რომლებსაც 1838 წელს სურდათ არაოფიციალური (კერძო) ჟურნალის დაარსება ქართულ და სომხურ ენებზე (თვეში ორი ნომრის პერიოდულობით). ქართული ჟურნალის სახელწოდება უნდა ყოფილიყო **„აღმოსავლეთის ფუტკარი“** [პეტერბურგში გამომავალ ჟურნალ „ჩრდილოეთის ფუტკარის“ („Северная пчёла“) ანალოგიით]. პროგრამა ჟურნალისა საკმაოდ ფართო იყო და მას უნდა ჰქონოდა როგორც საინფორმაციო, ისე სალიტერატურო ნაწილი.

არზანოვები თავის დროზე ცნობილი ლიტერატორები იყვნენ. იმ დროისათვის მოსკოვში უკვე გამოცემული იყო მათი წიგნი სომხეთის ისტორიაზე (Арзановы. Опит начертания истории царства Армянского. М.: 1827) და შედგენილი ჰქონდათ სომხური ენის გრამატიკა (დავით არზანოვი დამფუძნებელი წევრი იყო დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“). რაც მთავარია, არზანოვებმა 1837 წელს თბილისში დააარსეს საკუთარი სტამბა და ეს გარემოება ჟურნალის შეუფერხებელი გამოცემის გარანტია უნდა ყოფილიყო, მაგრამ, მიუხედავად არზანოვების მონდომებისა, მათ ხელისუფლებისაგან ჟურნალის გამოცემის ნებართვა ვერ მიიღეს (სხვათა შორის, არზანოვების სტამბაშია დაბეჭდილი იოანე შავთელის „აბდულმესიანისა“ და ჩახრუხაძის „თამარიანის“ 1838 წლის პლატონ იოსელიანისეული გამოცემები).

1838 წლის 29 დეკემბერს პლატონ იოსელიანი თბილისიდან პეტერბურგში სწერს ფრანგ ორიენტალისტსა და ქართველოლოგს მარი ბროსეს: „თუ ღმერთსა ნებავს, მსურს, გარნა არა ეხლა, ვითხოვო ნება ჟურნალისა რასამე გამოცემისა. შემწენი აქა არა იპოებიან და ცოტად მიმძიმს“ [სხვათა შორის, საინტერესოა იმავე წერილში გადმოცემული პ. იოსელიანის აზრი ს. დოდაშვილის შესახებ: „გაზეთსა (იგულისხმება ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ – ა. აბრამიშვილი) 1832 წ. აბეჭდინებდა ს. დოდაევი და უბედურსა ამას მოუხდა ცუდად, რომ თურმე საამბოხოდ ერისა ყოფილა და ექუსს თოუეზედ აღკრძალეს.[3] თვით იგი წარგზავნეს ვიატკას და მუნ გარდაიცვალა. მეცადინება მისი იყო ფრიად კეთილი, მაგრამ შეაცდინეს სხუათა უთუოდ და დაჰკარგა თვისი პატივი“].

TumaniSvili da l. isarliSvili. aseTi viTareba gvafiqrebinebs, rom zemoaRniSnul `almanaxSi~, SesaZlebelia, igulisxmebodes is xelnaweri literaturuli krebuli (almanaxi), romelic qarTvel mwerlebs manana orbelianisaTvis miuZRvniaT da romelic dRes dakargulad iTvleba [ufro vrclad am sakiTxze ix. **T. jologua**. dimitri yifiani (1830-1860 wlebi). Tb.: 2002, gv. 101-105].

[3] p. ioseliani aq cdeba. sinamdvileSi `saliteraturoni nawilni tfilisis uwyebaTani~ xelisuflebas ar aukrZalavs. igi manam daixura, sanam 1832 wlis SeTqmulebis ambavi gamomJRavndeboda da s. dodaSvils daapatimrebdnen. Jurnalis gamocema sxva garemoebaTa gamo Sewyda (ix. Tavi _ `saliteraturoni nawilni tfilisis uwyebaTani~).

მოგვიანებით, 1840 წლის თებერვალში, პ. იოსელიანი მარი ბროსესადმი მიწერილ კიდევ ერთ წერილში ისევ უბრუნდება ამ თემას: „მინდა თვისსა დროსა პანსიონისა გახსნა, სტამბისა გამართუა, ჟურნალისა ბეჭდუა და სხვა“.

ბუნებრივად დაისმის კითხვები: რა ჟურნალზე საუბრობს აქ პლატონ იოსელიანი, რა სახელწოდებით უნდა გამოსულიყო, რა შინაარსისა უნდა ყოფილიყო და სხვ.?

სამწუხაროდ, ამ საკითხის გარშემო რამდენადმე სანდო წყარო არ მოგვეპოვება და, შესაბამისად, ზემოდასახელებულ კითხვებზეც პასუხის გაცემა შეუძლებელი ხდება. უნდა ვიფიქროთ, რომ წამოწყებული საქმის სირთულის გამო პ. იოსელიანს ხელისუფლების წინაშე ოფიციალურად ეს საკითხი საერთოდ არ დაუყენებია. მოგვიანებით კი (1844 წელს) პ. იოსელიანი გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორად დანიშნეს და მას, ცხადია, ახალი პერიოდული გამოცემის არც დრო ექნებოდა და არც საშუალება.

1842 წლის 24 მარტის წერილობითი თხოვნით პეტერბურგში მცხოვრებმა პოეტმა და ლიტერატორმა იპოლიტ ბარტდინსკიმ საქართველოს მთავარმართებლის წინაშე ოფიციალურად დასვა საკითხი ქართული ჟურნალის, **„ივერიის ტელეგრაფის“**, გამოცემის შესახებ [სახელწოდებაში აშკარად ჩანს მოსკოვში ადრე გამომავალი „მოსკოვის ტელეგრაფის“ („Московский телеграф“) ანალოგია]. ჟურნალს უნდა ჰქონოდა ხუთი განყოფილება (კაზმული სიტყვიერება, მეცნიერება და ხელოვნება, მრეწველობა, მეურნეობა, ნარევი). ი. ბოგომოლოვის აზრით, ჟურნალი უნდა გამოცემულიყო პეტერბურგში. ამასთანავე, იგივე მკვლევარი ვარაუდობს, რომ ი. ბარტდინსკი საქართველოს ისე კარგად არ იცნობდა, რომ ქართულ ჟურნალს გასძღოლოდა და, ამდენად, შესაძლებელია, იგი ყოფილიყო ცრუმაგიერი (подставной) პირი, ხოლო სინამდვილეში ჟურნალის გამოცემის სურვილი ჰქონოდა პეტერბურგში მცხორებ ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს, შემდგომში პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგეს, პროფესორ დავით ჩუბინაშვილს.

დ. ჩუბინაშვილს ამ დროისათვის დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური სიტყვიერების ფაკულტეტი, გამოცემული ჰქონდა „ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი“ (1840), პერსპექტიულ მეცნიერად ითვლებოდა და ფართო სამეცნიერო-ლიტერატურული ინტერესებითაც გამოირჩეოდა. ამდენად, შესაძლებელია, მას მართლაც ჰქონოდა ქართული ჟურნალის გამოცემის ან, უკიდურეს შემთხვევაში, რედაქტორ-გამომცემელთან თანამშრომლობის სურვილი, თუმცა ამ საკითხზე დოკუმენტური მასალა არ ჩანს და, შესაბამისად, ი. ბოგომოლოვის ვარაუდიც ჯერჯერობით ვარაუდადვე რჩება (სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „საქართველოს არცთუ ისე კარგად მცოდნე“ ი. ბარდტინსკი ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი სპეციალისტის, დ. ჩუბინაშვილის, თანამშრომლობის პერსპექტივაზე თავის ოფიციალურ თხოვნაში უთუოდ მიუთითებდა და ეს გააადვილებდა კიდევაც ჟურნალის გამოცემაზე თანხმობის მიღებას. ამდენად, ჩვენი აზრით, ამ საქმეში დ. ჩუბინაშვილის მონაწილეობის ალბათობა მცირეა).

ასე იყო თუ ისე, ი. ბარტდინსკის თხოვნას რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია და „ივერიის ტელეგრაფის “ გამოცემის საქმეც ჩაიშალა.

რაც შეეხება თვითონ იპოლიტ ბარტდინსკის, მას გარკვეული დამსახურება მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე. კერძოდ, გრიგოლ დადიანისა (კოლხიდელის) და დავით ჩუბინაშვილის დახმარებით მან თარგმნა და პეტერბურგის ჟურნალ „ილუსტრაციაში“ („Иллюстрация“, 1845, №6-7) გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ მონაკვეთი (142 სტროფი – როსტევან მეფის ამბავიდან ტარიელის ძებნად ავთანდილის წასვლამდე) სათაურით „Тариель. Барсова кожа“ (თარგმანი მეტისმეტად სუსტია და მისი ლიტერატურული

ღირებულება იმითდა ამოიწურება, რომ იგი რუსთველის პოემის უადრეს თარგმანად ითვლება).

1840-იანი წლების დასაწყისში, როდესაც „უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა“ (ა. ჯორჯაძე), პირველი გადასახლებიდან (ვოლოგდიდან) ახალდაბრუნებული დიმიტრი ყიფიანი აყალიბებს „ეროვნული ხსნის პროგრამას“, რომელსაც საფუძვლად უდებს თავადაზნაურულ-ლიბერალური განმანათლებლობის იდეოლოგიას. დიმ. ყიფიანის შეხედულებით, შექმნილ ვითარებაში საჭირო, – და სასიცოცხლოდ აუცილებელიც, – იყო არსებული პოლიტიკური სისტემის ფარგლებშივე ეროვნული მიზანდასახულობის ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლა და ამ გზით, ერთი მხრივ, საერთო-ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება, ხოლო მეორე მხრივ, ქართველთა კულტურულ-ინტელექტუალური დაწინაურება. „განათლებაღა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი“ – ამ სიტყვებით „გაფორმდა“ მოგვიანებით (1860-იან წლებში) ის უნივერსალური მოდელი, რომელსაც ეყრდნობა დიმ. ყიფიანისეული პროგრამა და რომელშიც ზედმიწევნით იყო გათვალისწინებული იმდროინდელი პოლიტიკური რეალობები და კულტურულ-იდეოლოგიური საჭიროებანი.

დიმ. ყიფიანი თვითონვე ჩაუდგა სათავეში ზემოაღნიშნული პროგრამის პრაქტიკულ განხორციელებას – 1840-1850 წლებში იგი (რასაკვირველია, თანამოაზრეებთან ერთად) ზრუნავდა საქართველოში მწიგნობრული ინტერესების გაღვივებაზე, ეროვნული ჟურნალისტიკის აღორძინებაზე, პროფესიული ქართული თეატრის დაარსებაზე, განათლების სისტემის მოწესრიგება-გაუმჯობესებაზე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე, მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებაზე, იცავდა მშობლიური ენის ინტერესებს, იღვწოდა სალიტერატურო ქართულის დემოკრატიზაციისათვის და სხვ.

პირველი ნაბიჯი, რომელიც დიმ. ყიფიანმა თავისი პროგრამის სარეალიზაციოდ გადადგა, იყო „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ დაარსება 1842 წელს (დიმიტრი იყო ამ თავისი დროის მნიშვნელოვანი მწიგნობრულ-სალიტერატურო კერის დაარსების ინიციატორიც, ორგანიზატორიცა და ძირითადი ხელმძღვანელიც).

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ თავი მოიყარა იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-შემოქმედებითმა ავანგარდმა (ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. და ვ. ორბელიანები, მიხ. თუმანიშვილი, ზ. ფალავანდიშვილი და სხვ.). „ბიბლიოთეკის“ წესდების ზოგიერთი პუნქტისა და წევრთა მიმოწერიდან ირკვევა, რომ დიმ. ყიფიანსა და მის თანამოაზრეებს საბიბლიოთეკო ცენტრის დაარსებაზე უფრო დიდი და შორს გამიზნული ამოცანები ჰქონდათ დასახული: ძველი ქართული ხელნაწერების მოძიება, თავმოყრა და დაცვა, მათი შესწავლა და პუბლიკაცია, მთარგმნელობითი და საკვლევაძიებო საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და სხვ.; ერთი სიტყვით, ჩაფიქრებული იყო ფართო პროფილის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სალიტერატურო კერის ჩამოყალიბება.

სამწუხაროდ, მაშინ ვერ მოხერხდა ამგვარი „ცენტრის“ შენარჩუნება (თანდათანობით წევრთა ენთუზიაზმი განელდა, ხოლო 1848 წელს „ბიბლიოთეკამ“ საერთოდ შეწყვიტა არსებობა) – საზოგადოება მოემზადებელი აღმოჩნდა ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციისა და ეროვნული იდეოლოგიის შესაქმნელად მიზანმიმართული საქმიანობისათვის. მაგრამ ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს არა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ ადგილისა და როლის გარკვევა XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში, არამედ მხოლოდ ერთი ასპექტი „ბიბლიოთეკის“ მესვეურთა საქმიანობისა. კერძოდ, მათ სურვილი ჰქონიათ პერიოდული გამოცემის დაარსებისა – ზაქარია ფალავანდიშვილი, „ბიბლიოთეკის“ ერთ-ერთი დირექტორი, 1843 წელს თბილისიდან

პეტერბურგში სწერს მარი ბროსეს: „თქვენთვის ახალი ამბავი ისა მაქვს, რომ ბიბლიოთეკამ, რომლის წესდებაც კავკასიის მთავარმართებელმა დაამტკიცა, უნდა შეიძინოს ქართული ხელნაწერები და გააცნოს იგი საზოგადოებას. **შესაძლებელია, პატარა გაზეთიც ვიქონიოთ** (ხაზი აქ და სქოლიოში ჩვენია – თ. ჯ.)“[15]

როგორც ირკვევა, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ მესვეურებს ეს სურვილი ვეღარ განუხორციელებიათ.

1840-იან წლებში გორელ (უფრო ზუსტად, გორის მაზრაში მცხოვრებ) მოღვაწეებს გადაუწყვეტიათ ჟურნალის გამოცემა და საამისოდ პროგრამაც (**„გამოცხადება“**) შეუდგენიათ (მაქს. ბერძნიშვილი „გამოცხადების“ ტექსტს „პოლიტიკურ დეკლარაციას“ უწოდებს და მას 1844 წლის მეორე ნახევრით ათარიღებს. ხოლო ხელის მომწერებს უწოდებს „ქართლელ კულტურტრეგერებს“). უნდა ითქვას, რომ ასეთ ფართო, თემატურად და შინაარსობრივად მრავალფეროვან და საფუძვლიან პროგრამას XIX საუკუნის I ნახევრის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ჩვენ არ ვიცნობთ. ამიტომაც დავიმოწმებთ „გამოცხადების“ მოზრდილ მონაკვეთებს:

„აწინდელი საქართველო-იმერეთის[16] ღუბერნია ოდესმე ყვავილოვნებდა ჰსწავლითა და ხელოვნებითა. ღვაწლი დიდებულთა აქაურთა ავქსონთა (ავტორთა, შემოქმედთა – თ. ჯ.) ხმამაღლად ჟღერდა კეთილგონიერებასა და გარდიცემოდა საუკუნიდგან საუკუნოთა შინა, ჰსდევნიდა სიბნელესა უმეცრებისასა. საშუალ ბარბაროსთა მძვინვარებისა ქართველთა ჰქონდათ თვისი მოქალაქეობა, სამხედრო განწყობა და შეუბრყვილებელი უწმინდესი რელიგია.

აწ განათლებულნი საუკუნენი მოიწივნენ. ევროპამან შეიმოსა შვენიერი მეწამული უმაღლესისა განვითარებისა და მოუჭრდილებელნი სხივნი განუტევნა ყოველთა კიდეთა სოფლისათა, ყოველნი ველურნი ერნი წარემატნენ სწავლათა შინა.

ხოლო საქართველო-იმერეთი, რომლისაცა განათლებაზედ ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ჩვენი არა ჰრიდებს არავითარსა წარსაგებელსა, ჰსდგას კვლავ მისვე განათლების ხარისხსა ზედა, ვითარსაცა იპოვებოდა ჟამსა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უადრესსაცა (უზრუნველობისა გამო ჩვენისა)... ყოველივე დრომან მიჰფარა და სიბრძნეცა ქართველთა, ვითა აჩრდილნი, წარხდნენ... აწინდელი ელვარე დრო ესე გვაქვს დამწარებული უმეცრებითა, სიბნელისა ფარდა გვიმრუმებს მხედველობასა...

თვით ამ ღუბერნიაშიც მხოლოდ ძირეულნი ქართველნი არიან უკან დარჩენილნი... მხოლოდ ქართველნი ვართ მოკლებულნი ჩვენსა ყოველსავე აღმკობილებასა და სასარგებლოთა შემეცნებათა. სომეხნი გრიგორიანთ სარწმუნოებისანი და კათოლიკნი მოურულებელად მეცადინეობენ სწავლითა. პირველთ აქვსთ საკუთარი სასწავლებელი, სადაცა ყოველნივე საგანნი გარდმოიცემიან სომხურსა ენასა ზედა; აქვსთ საკუთარი კონსისტორია,[17] საპატრიარქო საყდარი და აქვსთ განვითარებული ვაჭრობა. ხოლო უკანასკნელი არიან დამწყსნილნი ქართულსა ენასა ზედა პატრთა მიერ კაპუცინის ორდენისათა. აქვსთ გალობანი იტალიანურს ნოტზე – ფსალმუნნი, შეწყობილნი მათს

---

[15] z. falavandiSvilis werili rusul enazea. CvenTvis saintereso monakveTs maqs. berZniSvili ase Targmnis: `iqneba patara **Jurnalic** gaviCinoT~. dedanSi ki **gazeTi** weria (`Быть может, у нас будет небольшая газета~).

[16] **`saqarTveloSi~** aq igulisxmeba **qarTl-kaxeTi**.

[17] **konsistoria** _ administraciuli da sasamarTlo funqciebiT aRWurvili saeparqio organo.

[18] `gamocxadebis~ sruli teqsti pirvelad gazeT `kvalSi~ (1896, #35) gamoqveynda.

ორღანოზედ, მათთა ყრმათა მიერ გრგვინვენ ღვთისადმი... მხოლოდ ქართველნი ვართ მოკლებულნი ჩვენსა ყოველსავე აღმკობილებასა და სასარგებლოთა შემეცნებათა...

ჟურნალი ანუ ყოველდღიური (ე. ი. **პერიოდული** – თ. ჯ.) გამოცემა არს ღონე ჩვენის განვითარებისა, გამდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილმდგომარეობაში მოყვანებისა. ამისათვის აწცა ჰსურთ რომელთამე გონიერთა ქართველთა, რათა გამოსცენ ესევითარი ჟურნალი, რომლისთვისაცა განუცხადებენ უპატივცემულესთ ჰსწავლისა და ბუნების ენის მოყვარულთა გვამთა, რათამცა ამ წინათგანზრახვაში იქონიონ თვითეულმა შეძლებისამებრ თვისი მონაწილეობა.

ჟურნალსა ამას ეწოდების **ს ი ნ ა თ ლ ე**. გამოცემა მისი დაიწყების მაისის პირველიდგან მომავლის წლისასა, თვეში გამოვა თვითო წიგნი, რომელშიაც იქნებიან უცხო ენათაგან თარგმნილნი უკეთესნი მუხლნი ყოველთა საგანთათვის, ესე იგი: სამხედროთა და სამოქალაქო ზნეთათვის, ვაჭრობისათვის, წყაროებისათვის გამდიდრებისა, შინაურთა ეკონომიათათვის და მმართველობისათვის ყმათა და მამულთა აწინდელთა კანონთა და ჩვეულებათათვის, რომელნიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში; აგრეთვე იქმნებიან ქართველთა ჩვეულებანი, ზნენი და თვისებანი; ქართლის ცხოვრებიდგან გამოკრებილნი ნაწყვეტნი და ქართული ლიტერატურა (აღმკობილი პროზა), სტიხნი და ღარმონიათა ნოტნი; სამუსიკოთა ხმათა და საეკლესიოთა საგალობელთა, მეტოდა (მოძღვრება) სხვადასხვა სწავლათა და ხელოვნებათა, ზეგარდავლით რაოდენიმე ცნობანი ევროპიული სხვადასხვა სამეფოთა სამხედროთა ხელოვნებათა და სწავლათა, აგრეთვე ხელოვნებათა სამუსიკოთა, მხატვრობათა, მხაზველობათა და გამოქანდაკებათა და სხვათა...“.[18]

„გამოცხადებას“ ხელს აწერს 27 პირი: გიორგი დავითის ძე, ალექსანდრე, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები, დავით და მიხეილ მაჩაბლები, დიმიტრი მაღალაშვილი, გივი ამილახვარი, ელისაბედ ჯავახიშვილი და სხვ.

„გამოცხადების“ ავტორები ერთგან შეფარვით ახსენებენ 1832 წლის შეთქმულებას, უწოდებენ მას უნებლიე შეცდომას („შეცდომა ჩვენი, უმეტეს უნებლიეთი, ვიდრე ნებსითი...“) და აღნიშნავენ, რომ სწორედ ეს შეცდომაა მიზეზი, რის გამოც მოკლებულნი ვართ იმპერატორის მფარველობასო („შეცდომა ჩვენი... ყოველსავე მფარველობასა უაღრესტესისა ჩვენისა ერთმთავრისასა გვიხშავს...“). ტექსტის ეს პასაჟი, უნდა ვიფიქროთ, თავისებური დიპლომატიური „მანევრი“ ან ეტიკეტით გათვალისწინებული ჟესტია, ხოლო თვითონ ხასიათი და მიზანდასახულობა „გამოცხადებისა“ კი სულ სხვას გვაფიქრებინებს – აშკარად ჩანს ჟურნალის დაარსების ინიციატორთა ჯგუფის იდეური კავშირი შეთქმულთა **კულტურულ-საგანმანათლებლო** მიზნებსა და ამოცანებთან. ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ „გამოცხადებას“ ხელს აწერს რამდენიმე ისეთი მოღვაწე, რომლებიც წევრები იყვნენ „ფარული საზოგადოებისა“ და ამის გამო სამშობლოდან გადასახლების სიმწარეც ჰქონდათ გამოვლილი. ამ საკითხზე საფუძვლიანი მსჯელობის შემდეგ მაქს. ბერძნიშვილი დაბეჯითებით ამბობს: „იდეური ნათესაობა „სინათლელებისა“ ყაზარმელებთან[19] უეჭველი და უდავოა“.

ერთი სიტყვით, 1840-იანი წლების დასაწყისში პატრიოტულად განწყობილი ქართველი მოღვაწეების ერთ ჯგუფს განზრახული ჰქონია ფართო პროფილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სალიტერატურო-სამეცნიერო, სახელოვნებო და საგანმანათლებლო ჟურნალის დაარსება. სამწუხარო ისაა, რომ ეროვნული მნიშვნელობისა და მასშტაბის ამ

[19] 1832 wlis SeTqmulebis monawileebi gasamarTlebamde avlabris samxedro yazarmebSi hyavdaT gamomwyvdeulni. amitomac, 1832 wlis SeTqmulebis aRmniSvnel terminad xalxSi **`yazarmoba~** damkvidrda, Semdeg ki es termini wyaroebsa da literaturaSic gadavida.

უაღრესად საჭირო და სასარგებლო წამოწყების პრაქტიკული განხორციელება ვერ მოხერხდა, ხოლო რა იყო ხელისშემშლელი გარემოება თუ გარემოებები, ჩვენ დარწმუნებით ამაზე ვერაფერს ვიტყვით სათანადო წყაროების არარსებობის გამო.

1852 წელს „ცისკარში“ (№7) გამოქვეყნდა გრიგოლ დადიანის (კოლხიდელის) ლექსი „არეს ეწოდა აწღა ცისკარი...“, რომელსაც დართული აქვს რედაქტორის (გიორგი ერისთავის) შენიშვნა: „პეტერბურღში ჰსურდათ გამოცემა ქართულს ენასა ზედა ჟურნალისა, რომლისათვისცა უნდა ეწოდებინათ არე“.

ამ ცნობას მკვლევართა ერთი ნაწილი (პ. გუგუშვილი, მ. გოცაძე, ალ. კალანდაძე...) სანდოდ მიიჩნევს, მაგრამ ვერც ერთმა მათგანი ვერ მოიძია ამ ფაქტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტური მასალა და დღესაც ჩვენი წარმოდგენა უცნობი პეტერბურგელი ინიციატორების სურვილზე „ცისკარში“ გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული ცნობითღა შემოიფარგლება.

1850-იან წლებში მიხეილ თუმანიშვილს განუზრახავს ყოველთვიური სალიტერატურო გამოცემის დაარსება „საქართველოს ჟურნალის“ სახელწოდებით (პირველი ნომერი უნდა გამოსულიყო 1855 წლის 1 იანვარს). შემორჩენილია ჟურნალის პროგრამა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ფართო პროფილისა და სერიოზული მიზანდასახულობის მეტად საინტერესო საზოგადოებრივ-სალიტერატურო („სიტყვიერებით“) გამოცემასთან. „საქართველოს ჟურნალს“ უნდა ჰქონოდა 5 განყოფილება:

I. სიტყვიერება (ორიგინალური და ნათარგმნი პოეტური და პროზაული ნაწარმოებები).

II. მეცნიერებანი და ხელოვნებანი (სტატიები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე და საისტორიო საბუთები საქართველოს წარსულის შესასწავლად).

III. თანადროული ქრონიკა (ინფორმაცია პოლიტიკური და სამხედრო ცხოვრების სიახლეებზე, მათი მიმოხილვა, აგრეთვე, მთავრობის განკარგულებები).

IV. კრიტიკა (საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ლიტერატურული პროცესებისა და ცალკეული ქართული თუ არაქართული ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვა).

V. ნარევი (ლიტერატურული შინაარსის წვრილ-წვრილი მასალა, ანეკდოტები, ანდაზები და სხვ.).

პროგრამას დართული აქვს „შენიშვნა“: „ჟურნალის თვითეული წიგნის ბოლოს, დანართის სახით, იქნება განსაკუთრებული განყოფილება სახელწოდებით **„**ძველი ქართული მწერლობა“, განკუთვნილი მარტოოდენ ძველი ქართველი მწერლების ყოველგვარ ნაწარმოებთა დასაბეჭდად როგორც ლექსად, ისე პროზად, მათი ნამდვილი სახით“.

სამწუხაროდ, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ინიციატივა ვერ განხორციელდა, ხოლო „მიზეზი მიხ. თუმანიშვილის მარცხისა საკუთარი ჟურნალის გამოცემის საქმეში უნდა ვეძიოთ იმდენად არა მატერიალური ხასიათის სიძნელეებში, რამდენადაც იმ, თითქმის გადაულახავ, დაბრკოლებებში, რითაც მთავრობა გზას უღობავდა ყველას, ვინც კი განიზრახავდა გაზეთის ან ჟურნალის გამოცემას“ (მიხ. ხელთუბნელი).

ლიტერატურა:

აბრამიშვილი ა. ძველი ქართული პრესის ისტორიიდან (გაზეთი „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“). „ლიტერატურული ძიებანი“ (IX, 1955, გვ. 404).

ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I. თბ.: 1980, გვ. 75-88, 71-72, 75.

ბერძნიშვილი მაქს. ჟურნალ „სინათლის“ განცხადება. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1948, №4-5, გვ. 80-108.

ბოცვაძე ი. პრესა და მწერლობა. თბ.: 1976, გვ. 37-39.

გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I. თბ.: 1954, გვ. 212-247, 315-316.

გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), ტ. I. თბ.: 1941, გვ. 106-107.

თავზიშვილი გ. სახალხო განათლება და პედაგოგიური იდეები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში. წიგნში: **გ. თავზიშვილი**. რჩეული ნაწერები. **ი. ბოცვაძის** რედაქციით, ტ. I. თბ.: 1974, გვ. 179-180.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I (1819-1853). თბ.: 1977, გვ. 22-23.

ხელთუბნელი მ. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ.: 1938, გვ. 135-137.

Богомолов И. Роль и значение русской периодики, издававшейся в Грузии, в развитии русско-грузинских литературных взаимоотношений (Первая половина XIX века). წიგნში: **Богомолов И.** Тропою дружбы (Литературные очерки). Тб.: 1984, с. 164.

Буачидзе Г. Мари Броссе. Тб.: 1983, с. 134.

„კავკასიისა მხარეთა უწყებანი“

(1845-1846)

კავკასიის მთავარმართებლის, ბარონ გრიგოლ როზენის, ინიციატივითა და იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ 1836 წლის 12 ივნისს დამტკიცებული დებულებით თბილისში უნდა გამოცემულიყო საგუბერნიო გაზეთი „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“ („Закавказский вестник“), რომელიც კავკასიის მოსახლეობას გააცნობდა მთავრობის განკარგულებებსა და სხვა ოფიციალურ ცნობებს, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის განცხადებებს, ანუ იგი უნდა ყოფილიყო ოფიციოზი და მომსახურებოდა რუსეთის ხელისუფლების ინტერესებსა და კავკასიის ადგილობრივ ადმინისტრაციულ-მმართველობით რეჟიმს. ვინაიდან კავკასიის მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა არ იცოდა რუსული ენა, გადაწყდა „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ პარალელურად გაზეთის დუბლიკატების (თარგმანების) გამოცემა ქართულ, სომხურ და თათრულ (აზერბაიჯანულ) ენებზე.

გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ გამოცემა დაიწყო 1838 წელს და აქედან მოკიდებული, იგი ყოველკვირეულად გამოიცემოდა 1855 წლამდე (1846 წელს თბილისში დაარსდა ფორმალურად კერძო, მაგრამ სინამდვილეში ოფიციალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო რუსულენოვანი გაზეთი „კავკაზი“ („Кавказ“), რომელთან კონკურენციასაც „ზაკავკაზსკი ვესტნიკმა“ ვერ გაუძლო – 1850-იანი წლებიდან ჯერ მისი არაოფიციალური ნაწილი გაუქმდა, შემდეგ იგი „კავკაზის“ დამატებად იქცა, ხოლო 1855 წელს „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“ საბოლოოდ შეერწყა „კავკაზს“).

1844 წლის 23 დეკემბერს „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორად დაინიშნა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, ფილოლოგი, ჟურნალისტი, გამომცემელი, ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე პლატონ იოსელიანი, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გაზეთის ორგანიზაცია-გამოცემის საქმე და, რაც მთავარია, მას მეტი მრავალფეროვნება შესძინა. მართალია, „ზაკავკაზსკი ვესტნიკს“ დამატების სახით თავიდანვე უნდა ჰქონოდა არაოფიციალური ნაწილი, მაგრამ ამგვარი დამატება იშვიათად გამოიცემოდა და ისიც – მშრალი და უინტერესო. 1845 წლიდან კი არაოფიციალური ნაწილი გამოდიოდა რეგულარულად და, რაც მთავარია, პ. იოსელიანის ძალისხმევით მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი მიზანდასახულობა და თემატურ-შინაარსობრივი მხარე – აქ იბეჭდებოდა საისტორიო და სალიტერატურო ხასიათის თხზულებები საქართველოს ძველი და ახალი ისტორიის, ლიტერატურის, ისტორიული გეოგრაფიის, ეკლესია-მონასტრების, ქართველთა წეს-ჩვეულებებისა და სხვ. საკითხების შესახებ, აგრეთვე, კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის წერილები განათლებაზე, საბიბლიოთეკო საქმეზე, თეატრალურ ხელოვნებაზე... (ავტორები: პ. იოსელიანი, მ. ბროსე, დიმ. ყიფიანი, ნ. ბერძნიშვილი, ი. სლივიცკი და სხვ.).

რაც შეეხება გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ ქართულ დუბლიკატს, **„კავკასიისა მხარეთა უწყებანს“**, მისი გამოცემის საქმე კარგა ხანს შეფერხებული იყო და პირველი ნომერი ახალი მთავარმართებლის, გენერალ ალექსანდრე ნეიდგარტის, განკარგულების საფუძველზე მხოლოდ 1845 წლის 4 იანვარს გამოვიდა. ქართული გაზეთის აქამდე გამოუცემლობის მიზეზად ხელისუფლება სასტამბო ბაზის მოუგვარებლობას ასახელებდა.

„ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ აზერბაიჯანული თარგმანი გამოვიდა იმავე 1845 წელს, ხოლო სომხური გაზეთის არც ერთი ეგზემპლარი არ არის ჯერჯერობით ნაპოვნი და, შესაბამისად, ძნელია თქმა, გამოიცა თუ არა იგი საერთოდ.

გაზეთს „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“ არაოფიციალური ნაწილი არა ჰქონია. საქმე ისაა, რომ მთავარმართებელი ალ. ნეიდგარტი მიიჩნევდა – ქართველი მკითხველი არაა

იმდენად განვითარებული, რომ მას კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო მასალის გაცნობის მოთხოვნილება ჰქონდესო. უნდა ითქვას, რომ იმ დროის ერთადერთი ქართული გაზეთის მიმართ არც ქართველ საზოგადოებას გამოუჩენია სათანადო ყურადღება (როგორც ჩანს, მეტ-ნაკლებად განვითარებული ქართველი მკითხველი ადგილობრივ და რუსეთიდან გამოწერილ, სხვადასხვა ხასიათის მასალებით მდიდარ რუსულსა და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებს უფრო ეტანებოდა). შორს რომ არ წავიდეთ, ნათქვამის საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება დავიმოწმოთ თვითონ რედაქტორის (პ. იოსელიანის) მიერ მარი ბროსესადმი მიწერილი ერთი ბარათის ფრაგმენტი: „ეხლა რედაქციაში წარსულის დროებისა ნომრები სულ აღარ არის და არც 50 მეტსა ჰვებეჭდავდი, რადგანაც მკითხველი არავინ იყო. ქართველთ არა ჰსურთ კითხვა საუბედუროდ მათდა. და ამის მიზეზისათვის არა იბეჭდებოდა რა რიგიანი ამბავი, გარდა სასამართლოების ამბებისა და გამოცხადებათა. დღესაც ასევე არის და მეც ყურს არ უგდებ და არცა დრო მაქვს“.

„კავკასიისა მხარეთა უწყებანი“ ყოველკვირეული გაზეთი იყო და მისი პირველი ნომერი, როგორც ითქვა, 1845 წლის 4 იანვარს გამოიცა. გაზეთი რვაგვერდიანია (მასალა ორ სვეტადაა დაბეჭდილი. პაგინაცია ნომრიდან ნომერში უწყვეტია). მასში მხოლოდ ოფიციალური მასალაა გამოქვეყნებული და ეს მასალა რუსული დედნის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს. ჩვენთის ცნობილია გაზეთის მხოლოდ ორი ნომერი: №№1 და 11 (ეს უკანასკნელი 1845 წლის 11 მარტითაა დათარიღებული). წყაროების მიხედვით, გაზეთმა წელიწად-ნახევარი იარსება და 1846 წლის ივლისის დასაწყისში არსებობა შეწყვიტა.

გაზეთის (როგორც რუსული, ისე ქართული და აზერბაიჯანული თარგმანების) გამომცემელი იყო „აღმასრულებელი ექსპედიცია“, 1846 წლიდან კი მას კავკასიის მთავარმართებლობის კანცელარია გამოსცემდა; იბეჭდებოდა იმავე მთავარმართებლობის სტამბაში. სტამბას ზედამხედველობდა თბილისში მცხოვრები სომეხი პედაგოგი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე იაკობ არზანოვი.

იმისათვის, რომ წარმოდგენა შევიქმნათ გაზეთში გამოქვეყნებული მასალის ხასიათსა და შინაარსზე, დავიმოწმებთ პირველი ნომრის სარჩევს:

1. უქაზი მმართებულის სენატისა. შეტყობისა და ხელთ მძღვანელობისათვის [გზაზე დაღუპულ ტუსაღთა დამარხვის შესახებ].

2. განკარგულებანი კავკასიის მხარეთა უპირველეს მთავრობისანი. საქონელთათვის, რომელნიც უნდა უბაჟოთ მოიტანებოდენ ტამოჟნის ადგილებში შავი ზღვის აღმოსავლეთის პირზე, მდინარეთა ყუბანსა და ინგურს შუა.

3. მამულების შეკვრისათვის.

4. მამულის ახსნა.

5. შეტყობინება ფულის მიღებისათვის.

6. მამულების გაყიდვა.

7. ტორგი და ფოდრატები.

გაზეთის რედაქტორად მითითებულია პ. იოსელიანი, მთარგმნელად – ზაქარია ფალავანდოვი.

„ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ გაერთიანებულ რედაქციას 1845-1855 წლებში რედაქტორობდა პლატონ იოსელიანი, ხოლო მოადგილეები იყვნენ: ჯერ სახელმწიფო მოხელე გრიგოლ მორთულაძე (ამ თანამდებობაზე დაინიშნა 1844 წლის 1 დეკემბერს), ხოლო შემდეგ – ასევე სახელმწიფო მოხელე (სხვათა შორის, 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი) ზაალ (ზაქარია) ავთანდილოვი (1845-1846), რუსი პოეტი იაკობ პოლონსკი (1846-1851) და ქართველი ისტორიკოსი და ლიტერატორი ნიკოლოზ ბერძნიშვილი (1852-1855). რაც შეეხება საკუთრივ გაზეთს „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“, მას მხოლოდ მთარგმნელის შტატი

ჰქონდა და ამ თანამდებობას თავიდან ასრულებდა ზაქარია ფალავანდიშვილი (1845), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – ვახტანგ გურამიშვილი.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ **ზაქარია მიხეილის ძე ფალავანდიშვილს** (1818-1845). მამით ადრე დაობლებული, იგი გაზარდა ბიძამ, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა და გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტის“ წევრმა ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა, 1832 წლის შეთქმულების გამცემის იასე ფალავანდიშვილის ძმამ. ზაქარია არ გაჰყვა ბიძების კვალს – ხანმოკლე სიცოცხლე უშურველად შესწირა ქართული კულტურის აღორძინების საქმეს.

თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ზ. ფალავანდიშვილმა სწავლა განაგრძო მოსკოვში, ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში, საიდანაც გადავიდა ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტში, შემდეგ – პეტერბურგის უნივერსიტეტში და დაამთავრა იგი 1840 წელს. რუსეთში ზ. ფალავანდიშვილმა გაიცნო ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე და შემდეგ მათი ნაცნობობა მეგობრობასა და მჭიდრო თანამშრომლობაში გადაიზარდა. კერძოდ, თბილისში დაბრუნებული ზ. ფალავანდიშვილი მ. ბროსეს სისტემატურად ატყობინებდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სიახლეებს, აწვდიდა მასალებს საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის საკითხებზე. იგი ფრანგ ქართველოლოგს დაეხმარა ვახუშტი ბაგრატიონის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის დაზუსტება-დადგენაში, აღუწერა ვახუშტის ხელნაწერი კრებული და სხვ.

ზ. ფალავანდიშვილი მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილთან ერთად არის „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი („ვეფხვის ტყაოსანი. რუსულად Барсова кожа. პოემა დაწერილი შოთა რუსთველის მიერ. ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა. სანკტ-პეტერბურღს“. რუსთველის პოემა დაიბეჭდა 1841 წელს და ეს „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ბეჭდური გამოცემაა 1712 წლის ე. წ. ვახტანგ მეექვსისეული გამოცემის შემდეგ). ზ. ფალავანდიშვილს განზრახული ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ფრანგულ ენაზე, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიისა“ („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) – რუსულ ენაზე (ეს უკანასკნელი საქმე მას პრაქტიკულად დაწყებულიც ჰქონდა). იგი იყო დამფუძნებელი წევრი და ერთ-ერთი დირექტორი დიმიტრი ყიფიანის ინიციატივითა და მეთაურობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და სხვ.; რაც შეეხება „კავკასიისა მხარეთა უწყებანს“, მართალია, აქ ფალავანდიშვილის გვარი მითითებულია როგორც მთარგმნელისა, მაგრამ სინამდვილეში იგი გაზეთის ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო. ამაზე მეტყველებს პ. იოსელიანის მიერ დაწერილი და „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ (1845, №15) გამოქვეყნებული ნეკროლოგი, რომელშიც ნათქვამია: „ამ წლის დასაწყისიდან გამომავალი ქართული გაზეთი „უწყებანი“ მთლიანად მისი (ზ. ფალავანდიშვილის – თ. ჯ.) შრომის ნაყოფია“ [სხვათა შორის, ზ. ფალავანდიშვილი მეგობრებმა გაზეთ „კავკაზშიც“ (1846, №7) გამოიგლოვეს – ჩვენ დავმარხეთ გამორჩეული წევრი საზოგადოებისა. ვინ იცის, რამდენი იმედი დაიმარხა მასთან ერთად და სწორედ ამიტომ მოვრწყეთ ცრემლით მისი საფლავიო].

ზაქარია ფალავანდიშვილი სრულიად ახალგაზრდა, 27 წლისა, გარდაიცვალა 1845 წლის 10 ივლისს. დაკრძალეს მთაწმინდის სასაფლაოზე, ხოლო 1930-იან წლებში, ამ სასაფლაოს პანთეონად გადაკეთების შემდეგ, ზ. ფალავანდიშვილის საფლავი დაიკარგა.

როგორც ჩანს, „კავკასიისა მხარეთა უწყებანის“ ხასიათისა და მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ზ. ფალავანდიშვილმა ვერ შეძლო საგაზეთო საქმის წარმართვა თავისი ნიჭისა და უნარის შესაფერისად, მით უმეტეს, ვერ მოხერხდა არაოფიციალური ნაწილის დაარსება. შესაბამისად, გაზეთი მშრალი და უფერული გამოვიდა და ვერ დააკმაყოფილა მკითხველის ინტერესი (არ იბეჭდებოდა მასალა განათლებისა და კულტურულ-

სალიტერატურო საკითხებზე, იგნორირებული იყო საერთაშორისო ცხოვრება და სხვ.). ამიტომაც, გაზეთს 1845 წელს ორად-ორი ხელის მომწერი გამოუჩნდა (თუმცა 50 ეგზემპლარად იბეჭდებოდა). ენა გაზეთისა არქაიზებულია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, წინამორბედი ქართული გაზეთებისაგან განსხვავებით, შესამჩნევადაა განტვირთული რუსიციზმებისაგან.

გაზეთს „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“ რამდენადმე შესამჩნევი კვალი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში არ დაუტოვებია და მისი მნიშვნელობა იმითდა შემოიფარგლება, რომ ეს გაზეთი 1832 წლიდან („ტფილისის უწყებანის“ დახურვიდან) 1852 წლამდე (გიორგი ერისთავის „ცისკრის“ გამოცემამდე), – ე. ი. მთელი ოცწლეულის განმავლობაში, – ერთადერთი ქართული პერიოდული გამოცემა იყო.

ლიტერატურა:

აბრამიშვილი ა. ძველი ქართული პრესის ისტორიიდან (გაზეთი „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“). „ლიტერატურული ძიებანი“ (IX, 1955, გვ. 401-408).

ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II. თბ.: 1983, გვ. 185-189.

ბოცვაძე ი. პრესა და მწერლობა. თბ.: 1976, გვ. 35-40.

გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I. თბ.: 1954, გვ. 263-311.

გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), ტ. I. თბ.: 1941, გვ. 98-101.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I (1819-1853). თბ.: 1977, გვ. 108-111

Барамидзе А., Ватейшвили Д. П.И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности. Тб.: 1978, с. 52-153.

Буачидзе Г. Мари Броссе. Тб.: 1983, с. 129-143.

Махарадзе Н. Платон Иоселиани в „Закавказском Вестнике“. კრბ. „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (**დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, III. 1974, გვ. 366-388).

Махарадзе Н. К вопросу о русских газетах на Кавказе в первой половине XIX века. კრბ. „ჟურნალისტიკის საკითხები“ (**დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, 7-8. 1981, გვ. 421-452).

გიორგი ერისთავის „ცისკარი“

(1852-1853)

1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ ჩვენში საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების პარალიზება გამოიწვია – ამ დროიდან მოკიდებული ვიდრე 40-იან წლებამდე საქართველოში არ არსებობდა არც ერთი მეტ-ნაკლებად ორგანიზებული საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულება. იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ინტელექტუალური დაქვეითებისა და ინერტულობის წარმოსადგენად აქ მხოლოდ ორიოდე მაგალითით შემოვიფარგლებით: 1832 წლიდან 1838 წლამდე საქართველოში არც ერთი ქართული წიგნი არ დაბეჭდილა; 30-იან წლებში თვით ხელისუფლების მცდელობითაც კი ვერ მოხერხდა თბილისში საგუბერნიო ბიბლიოთეკის დაარსება, რამდენადაც არ აღმოჩნდა თუნდაც რამდენიმე ათეული პირი, რომლებსაც ბიბლიოთეკით სარგებლობის სურვილი და მოთხოვნილება ექნებოდა და სხვ.

1830-1840 წლების მიჯნის ქართული საზოგადოებრივ-კულტურული წრეების ინერტულობასა და აპათიურ მდგომარეობაზე მკაფიო წარმოდგენას იძლევა კონსტანტინე მამაცაშვილის სიტყვა, რომელიც მან 1876 წელს „დროების“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე წარმოთქვა: „სამი-ოთხი თუ შევერთდებოდით და კრძალვით დავიწყებდით საზოგადო საქმეებზე თუ ლიტერატურაზე ლაპარაკს, ისიც დიდ ბედნიერებათა და გაბედვათ მიგვაჩნდა“.

ქართულმა არისტოკრატიამ დაიჯერა მითი იმპერატორ ნიკოლოზ I-ის „ლმობიერი“ და „კეთილი“ გულის შესახებ და ერთგულქვეშევრდომული გრძნობით მიიღო ის „მოწყალება“, რომელიც იმპერიული ინტერესების სასარგებლოდვე გაიღო ნიკოლოზ I-მა შეთქმულთა მიმართ (იხ. თავი – „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“). ამას დაერთო 1837 წლის ოქტომბერში თვითონ იმპერატორის სტუმრობა, რომელიც გრანდიოზულ დღესასწაულში გადაიზარდა. ამ საკითხზე სამხედრო ისტორიკოსი ვასილ პოტო წერს: „1837 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ გააბედნიერა კავკასია თავისი აქ ყოფნით... ქართველი თავადები ასი და ორასი ვერსის სიშორიდან მოდიოდნენ ტფილისს, თან ახალგაზრდა შვილები მოჰყავდათ, რომ ხელმწიფისთვის ეჩვენებინათ და მონაწილეობა მიეღოთ დიდს სახალხო დღესასწაულში“. ლუკა ისარლიშვილის ერთი მოგონების მიხედვით, „ხელმწიფე-იმპერატორის ხილვის ბედნიერებას რომ ღირსებოდნენ, ტფილისს მოაწყდა ყველა წოდების მოსახლეობა კავკასიის ყველა კუთხიდან... მთელი ამ ურიცხვი, სუნთქვაშეკრული ხალხის მოწიწებული მზერა მხოლოდ და მხოლოდ მისკენ – ხელმწიფე-იმპერატორისაკენ! – იყო მიპყრობილი...“ და ა. შ.

თავის მხრივ, იმ გულწრფელმა აღტაცებამ და მოწიწებამ, რომელიც იმპერატორმა საქართველოში იგრძნო, იგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ შექმნილი იყო ხელსაყრელი პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ვითარება ქართველი თავადაზნაურობის, – რაც მთავარია, მისი ფრონდირებული ნაწილის, – იმპერიის სამსახურში ჩასაყენებლად. ნიკოლოზ I-მა ქართველ არისტოკრატიას ფართოდ გაუღო სახელმწიფო-ადმინისტრაციული და სამხედრო სამსახურის კარი, რაც ჩვენებურმა თავადაზნაურობამ დიდი სიხარულით მიიღო: ზოგმა მატერიალური კეთილდღეობისა და პატივის მოხვეჭის მიზნით, ზოგისათვის კი სამოხელეო თუ სამხედრო კარიერა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვითდამკვიდრების ერთადერთი საშუალება იყო.

ერთი სიტყვით, გამოიკვეთა როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების, ისე საზოგადოებრივი სინდისის უჩვეულოდ სწრაფი დეგრადაციის სურათი. დაიწყო

ელიტარული არისტოკრატიული ფენების ნებაყოფლობითი რუსიფიკაციის პროცესი და საქართველო თანდათანობით დენაციონალიზაციის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამ მხრივ, საყურადღებოა აღნიშნული პერიოდის არჩილ ჯორჯაძისეული ერთი შეხედვით მეტისმეტად მკაცრი შეფასება: „ქართველ საზოგადოებას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ეროვნულად გარკვეული ფიზიონომია აღარ ჰქონდა. ძველ დროში თუ იყო რაიმე კულტურის ნასახი, თითქოს წაშლილიყო. პოლიტიკურად დასნეულებული ეროვნული სხეული დასნეულდა ზნეობრივად და გონებრივადაც...“

ოფიციალურმა სახელმწიფოებრივმა (რუსიფიკატორულ-ანტიქართულმა) იდეოლოგიამ თავისდათავად წარმოშვა საწინააღმდეგო (ნაციონალურ-ქართული) იდეოლოგიის ჩამოყალიბება-განვითარების სასიცოცხლო აუცილებლობა და ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება კიდევ ერთხელ გადაიქცა მძაფრი იდეოლოგიური ორთაბრძოლის ასპარეზად.

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ნიკოლოზ I-ის ზემოთ ნახსენებ სტუმრობას საქართველოში და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს ერთი პოზიტიური შედეგიც მოჰყვა. კერძოდ, ქართველი არისტოკრატიის სერვილური განწყობილებით გულდამშვიდებულმა იმპერატორმა შესაძლებლად ცნო, დაეჩქარებინა საქართველოს (ზოგადად, ამიერკავკასიის) მმართველობითი სისტემის გარდაქმნა და მისი გადაყვანა სამხედრო რეჟიმიდან სამოქალაქო ცხოვრებაზე. ეს კი, თავის მხრივ, ობიექტურად უკეთეს პირობებს ქმნიდა საზოგადოებრივ-კულტურული ვითარების მოწესრიგებისა და მისი ეროვნული მიმართულებით წარმართვისათვის, რაც გამოიყენა კიდევაც პატრიოტულად განწყობილ მოღვაწეთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა დიმიტრი ყიფიანის მეთაურობით.

ჩვენ ადრე (თავი – „ქართული პრესის გამოცემის ცდები...“) მოკლედ შევეხეთ დიმიტრი ყიფიანის მიერ ჩამოყალიბებულ „ეროვნული ხსნის პროგრამას“, რომლის პრაქტიკული განხორციელებისათვის შესანიშნავი გარემო შეიქმნა 1845 წლიდან, როცა საქართველოში ჩამოვიდა კავკასიის ახალი მმართველი, მეფისნაცვალი („ნამესტნიკი“) მიხეილ ვორონცოვი (ნიკოლოზ I-მა ამ თანამდებობაზე იგი 1844 წლის დეკემბერში დანიშნა). მ. ვორონცოვი საქართველოში ფართო რეფორმისტული გეგმით ჩამოვიდა და ამ გეგმის პრაქტიკული რეალიზაციისას თავის უახლოეს თანამშრომლად შეარჩია დიმიტრი ყიფიანი – ახალგაზრდა, მაგრამ დიდად ნიჭიერი და უნარიანი სახელმწიფო მოხელე, რომელიც „მაშინდელი ადმინისტრაციული მოღვაწეობის ერთი უმთავრესი ღერძთაგანი იყო“ (ნ. ნიკოლაძე).

ბრიტანულ დიპლომატიაზე აღზრდილი, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი მიხეილ ვორონცოვი მიიჩნევდა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება იმპერიის ძლიერების წყარო იყო და არა – მისი სისუსტის მაჩვენებელი. ამიტომაც მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კურსი მიმართული იყო, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური შერწყმა-ასიმილაციისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, რუსი მეფისნაცვალი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას, მის ევროპეიზაციას. ცნობილია ის დიდი ამაგი, რომელიც მ. ვორონცოვმა დასდო გიორგი ერისთავის პროფესიული თეატრის დაარსებას (1850; სხვათა შორის, ქართული თეატრის დაარსებამ ეროვნული დრამატურგიის განვითარებასაც მისცა სტიმული – გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, გ. დვანაძე და სხვ.). ამას გარდა, მ. ვორონცოვის სახელთანაა დაკავშირებული არაერთი მეტად მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზება. კერძოდ, მისი ინიციატივით, დავალებითა თუ აქტიური ხელშეწყობით დაარსდა თბილისში საჯარო ბიბლიოთეკა (1846), „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება“ (1850), კავკასიის მუზეუმი (1852), თბილისში გაიხსნა წიგნის მაღაზიები, საქართველოში პირველად ჩატარდა ისტორიული ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა (უფლისციხეში) დიმ. მეღვინეთუხუცესიშ-

ვილის ხელმძღვანელობით (1852), გამოიცა ძველი ქართული თხზულებები (ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა“, იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ და სხვ.), რეალური შინაარსი შეიძინა ყველა ტიპის სასწავლებლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლებამ, ახალგაზრდებისათვის ხაზინის ხარჯზე დაარსდა სტიპენდიები რუსეთში განათლების მისაღებად (მ. ვორონცოვის მმართველობის პერიოდში კავკასიიდან რუსეთის სასწავლებლებში გაგზავნილ სტიპენდიანტთა რიცხვმა ხუთიდან 160-ს მიაღწია), დაარსდა სხვადასხვა ტიპის სასწავლებლები (ქუთაისი, თიანეთი, ჯავა, ბიჭვინთა, ქვეშეთი...) და სხვ.; საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ვორონცოვს საქართველოს აღორძინების გზად მიაჩნდა ქართული საზოგადოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო ცხოვრების ევროპეიზაცია, რაც არსებითად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიურ პოლიტიკას – მართალია, თვითონ რუსეთის მონარქიასაც სურდა ჩვენში ცხოვრების ევროპულ გზაზე დაყენება, მაგრამ იგი საქართველოში ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ მმართველობის რუსულ სისტემას, რუსულ კულტურას, ცხოვრებისა და აზროვნების რუსულ წესს მიიჩნევდა.

მ. ვორონცოვი ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების მიმართ. ამის გამო მისი „კავკასიური პოლიტიკისადმი“ დამოკიდებულება არც მეფისნაცვლის სიცოცხლეში, არც მისი სიკვდილის შემდეგ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში არ ყოფილა ერთგვაროვანი. ასე, მაგალითად, დიდად გავლენიანი ფიგურა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში და არსებითად რუსული დიდმპყრობელურ-შოვინისტური იდეოლოგიის მეთაური 1860-1880 წლებში მიხეილ კატკოვი (სხვათა შორის, დედით ქართველი – თულაშვილი) ვორონცოვს უწოდებდა ლიბერალიზმის სახელით რუსეთის ნაციონალური ინტერესების უგულებელმყოფელს, არარუსული თვითშეგნებისა და კავკასიაში სეპარატიზმის წამახალისებელ მმართველს და პირდაპირ სდებდა ბრალს რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატში; ამასთანავე, ამტკიცებდა – სწორედ ვორონცოვის პოლიტიკამ აქცია კავკასიაში რუსი დამცირებულ და შეურაცხყოფილ, არსებითად მეორეხარისხოვან ადამიანადო.

ასე იყო თუ ისე, „ვორონცოვის დანიშვნა კავკასიის ნამესტნიკად ფრიად სასარგებლო და გამოსადეგი გახდა ქართულ ახალ კულტურის აღორძინებისათვის. მიძინებული ერი გამოფხიზლდა და დეზორგანიზაციაში მოყვანილი საზოგადოებრივი სხეული გამრთელების და განკურნების იმედმა შეიპყრო“ (ა. ჯორჯაძე). ასეთი ვითარება კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული მიზანდასახულობის ნებისმიერ წამოწყებას და სწორედ ამ ისტორიული ფონის გათვალისწინებით უნდა იქნეს განხილული ჟურნალ „ცისკრის“ ადგილი და მნიშვნელობა არა მხოლოდ ქართული ჟურნალისტიკის, არამედ საერთოდ ახალი ქართული კულტურის ისტორიაში.[1]

იდეა ჟურნალ „ცისკრის“ (ისევე, როგორც ქართული თეატრის) დაარსებისა 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, მანანა ორბელიანის, ლიტერატურულ სალონში ჩამოყალიბდა.

[1] m. voroncovis `kavkasiuri politikis~ Sefaseba qarTul samecniero, publicistur Tu memuarul literaturaSi mkveTrad gansxvavebulia _ uaRresad pozitiuridan (gr. orbeliani, dim. yifiani, p. ioseliani, a. jorjaZe, i. meunargia da sxv.) ukiduresad negatiuramde (vaxt. kotetiSvili, n. avaliSvili, s. gersamia, al. kalandaZe da sxv.; sakiTxisadmi winaaRmdegobrivi damokidebuleba hqondaT al. orbelians da n. nikolaZes). Cveni azriT, m. voroncovis `kavkasiuri politika~ yvelaze sworad da lakoniurad Sefasebulia akaki wereTlis mier _ **voroncovi momavlis saqarTvelos ganixilavda rogorc `politikurad garusebuls, magram Tavis sarwmunoebiT, eniT da erovnul elferiT~** da amas igi akeTebda `**saevropio sworis gziT**~.

aqve unda davimowmoT a. jorjaZe, romlis mixedviTac, `voroncovi ver Sehqmnida CvenSi verc Teatrs, verc periodul presas, TviT sazogadoebaSi rom ar yofiliyo amisaTvis saWiro elementebi~ (a. jorjaZe). sakiTxisadmi analogiuri damokidebuleba hqonda maqs. berZniSvilsac.

1840-იან წლებში ამ სალონში იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და მსჯელობდნენ ქართული კულტურის აწმყოსა თუ მომავალზე, მისი აღორძინების გზებზე. სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ ლიტერატურით დაინტერესებული უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეები და, მათ შორის, მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი, აგრეთვე, თბილისში სხვადასხვა მიზნით ჩამოსული სტუმრები. მანანასთან „იკრიბებოდნენ და კითხულობდნენ ლექსებს: ტატო (ბარათაშვილი ნიკო), გიორგი ერისთავი, ისარლიშვილი, ბირთველიჩი (მიხეილ თუმანიშვილი), მაღალაშვილი, ხანდახან ყიფიანი და სხვა... მანანა ორბელიანის სალონში იყო, რაც ცისკრის გამოცემას და თეატრს მიეცა დასაწყისი. ერთ საღამოს თქვეს – მოდი ერთი, გამოვცეთო და ის იყო. ვორონცოვი მანანასთან ხშირად დადიოდა. აქ შეიტყო გიორგი ერისთავზე, მოიწონა, შემწეობა მისცა ჟურნალის გამოცემისათვის, თეატრისათვის“ (ლ. ისარლიშვილი).

უნდა ითქვას, რომ „ცისკრის“ გამოცემასთან დაკავშირებული მოვლენები ლუკა ისარლიშვილის მოგონებაში ერთობ გაიოლებულადაა წარმოდგენილი („ერთ საღამოს თქვეს – მოდი ერთი, გამოვცეთო და ის იყო“). სხვა მხრივ, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მემუარისტის მონათხრობში და, ისედაც, სხვა დოკუმენტური მასალა საკითხის გარშემო არც მოგვეპოვება (ამ თემის შესახებ უმაღლეს ხელისუფლებასთან მ. ვორონცოვის მიმოწერაში, გარდა გიორგი ერისთავისა, სხვა სახელი არ ჩანს). ზეპირგადმოცემებზე დაფუძნებული ტრადიცია „ცისკრის“ გამოცემაში მნიშვნელოვან წილს დიმ. ყიფიანსაც უდებს: „[ვორონცოვმა და ყიფიანმა] დაიბარეს გ. ერისთავი. მთავარმართებელმა გასცა ბრძანება... უნდა გამოიცეს ჟურნალი და შენ იკისრო მისი რედაქტორობაო“ (ა. წერეთელი), „რედაქტორობა „ცისკრისა“ ვორონცოვმა დიმიტრი ყიფიანის რჩევით მიანდო გიორგი ერისთავს (გლუხარიჩს)“ (ნიკ. ყიფიანი), „დიმიტრი ყიფიანის შუამდგომლობით დაარსდა პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“ (ნ. მაჭარაშვილი), „დიმიტრი ყიფიანის მეცადინეობით დაარსდა ქართული ჟურნალი „ცისკარი“ (თ. სახოკია) და სხვ.

არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი, გავიზიაროთ ზემოაღნიშნული ტრადიციული შეხედულება, განმტკიცებული დასახელებულ და სხვა ავტორთა კონკრეტული ცნობებით?

ა) დიმ. ყიფიანი უაღრესად დაინტერესებული იყო ქართული ჟურნალისტიკის აღორძინებით და 1840-იანი წლების დასაწყისში თვითონაც ცდილობდა პერიოდული გამოცემის დაარსებას.

ბ) იგი ძალზე დაახლოებული თანამშრომელი იყო მეფისნაცვალ მ. ვორონცოვისა. ასე რომ, ქართველ მოღვაწეთაგან თუ ვინმეს შეეძლო მეფისნაცვლისათვის დაესაბუთებინა ქართული ჟურნალის გამოცემის მიზანშეწონილობა, ეს, პირველ რიგში, სწორედ დიმ. ყიფიანი უნდა ყოფილიყო და, შესაბამისად, „ცისკრის“ დაარსებით დაინტერესებული წრე მ. ვორონცოვთან საშუამდგომლოდ მასზე უკეთეს კანდიდატს ვერ იპოვიდა.

გ) დიმიტრი ყიფიანი თვითონაც იმ წრეში ტრიალებდა, რომელშიც დაიბადა და ჩამოყალიბდა იდეა ლიტერატურული ჟურნალის გამოცემისა და იგი მანანა ორბელიანის სალონის ხშირი სტუმარი იყო („რომეო და ჯულიეტას“ თარგმანი, – პირველი ქართული თარგმანი უილიამ შექსპირის შემოქმედებისა, – დიმიტრი ყიფიანმა სწორედ მანანა ორბელიანს მიუძღვნა).

დ) დიმ. ყიფიანს გიორგი ერისთავთან ყმაწვილობიდანვე ახლო მეგობრობა (ერთად მონაწილეობდნენ 1832 წლის შეთქმულებაში) და საერთო ლიტერატურული და თეატრალური (ზოგადად, საზოგადოებრივ-კულტურული) ინტერესები აკავშირებდა.

ასე რომ, ტრადიციული შეხედულება გიორგი ერისთავის „ცისკრის“ დაარსებაში დიმიტრი ყიფიანის არსებითი ხასიათის მონაწილეობის შესახებ სარწმუნო და გასაზიარებელი ჩანს.

1851 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში გიორგი ერისთავმა მეფისნაცვალ მ. ვორონცოვს ოფიციალურად სთხოვა ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემის ნებართვა. ვინაიდან პერიოდული გამოცემის დაარსება რუსეთის იმპერატორის ნებართვის გარეშე ვერ მოხერხდებოდა, მ. ვორონცოვმა, თავის მხრივ, იმავე წლის 12 თებერვალს იმპერატორთან საშუამდგომლოდ წერილობით მიმართა რუსეთის სამხედრო მინისტრ ა. ჩერნიშოვს, რომელიც იმავდროულად პეტერბურგში 1840 წელს დაარსებული „კავკასიის კომიტეტის“ თავმჯდომარეც იყო:

„ჩემთან საგანგებო დავალებათა მოხელედ მსახურობს თავადი გიორგი ერისთავი, რომელმაც სურვილი გამოთქვა, წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ თბილისში ქართულ ენაზე გამოსცეს ლიტერატურული ჟურნალი „ცისკარი“. ჟურნალში უპირატესად უნდა დაიბეჭდოს ქართული, რუსული და უცხოური ლიტერატურის ნიმუშები, აგრეთვე, ცნობები სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ. ერისთავის ამგვარ, თავისთავად ქების ღირს, განზრახულებას მეც სიამოვნებით ვუერთდები, მით უმეტეს, აქამდე საქართველოში ქართულ ენაზე არც ერთი პერიოდული ორგანო არ გამოცემულა („В Грузии не издавалось до сих пор ни одного периодического издания на этом языке“).[2] თვითონ ერისთავს აქაურ სალიტერატურო ასპარეზზე ნიჭიერი მწერლის სახელი აქვს მოპოვებული თავისი შესანიშნავი კომედიებით, რომლებიც მან დადგა კიდევაც სცენაზე და საამისოდ ქართული თეატრალური დასიც ჩამოაყალიბა“.

როგორც მ. ვორონცოვის მიმართვიდან ჩანს, განზრახული იყო:

ა) ქართულ ენაზე ლიტერატურული („სიტყვიერებითი“) **ჟურნალის** დაარსება.

ბ) ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი უნდა ყოფილიყო გიორგი ერისთავი.

გ) ჟურნალის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „ცისკარი“.

დ) იგი უნდა დაარსებულიყო წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ.

ლოგიკური ჩანს ინიციატორთა განზრახვა – გამოეცათ ჟურნალი და არა გაზეთი. ჯერ ერთი, რამდენიმე წლით ადრე მათ ვერ შეინარჩუნეს ერთადერთი ქართულენოვანი გაზეთი „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“ და, შესაბამისად, მ. ვორონცოვისათვის ახალი გაზეთის დაარსების თხოვნა არც დამაჯერებელი იქნებოდა და არც – გამართლებული. რაც შეეხება ლიტერატურულ ჟურნალს, მისი არსებობისათვის საჭირო „ძალა“, – იონა მეუნარგიას თქმით, – „საკმაოდ იყო ამ დროს თბილისში. ხშირად ერთი და იგივე ოჯახი, ერთსა და იმავე დღეს, ხედავდა ერთად შეყრილად ისეთ მწერლებს, როგორნიც იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვ. ალექსანდრე ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი თუმცა ცოცხალნი არ იყვნენ ამ დროს, მაგრამ მათი ნიჭიერი ქმნილება, სიკვდილით განწმენდილი, ხელდახელ დადიოდა... ამათ გარდა, ბევრი სხვა უცნობი მწერლებიც იყვნენ, რომელთაც საკმაო „ორიგინალები“ ეწყოთ შინ სტამბისათვის. სამკალი მოსული იყო, მომკელნიც იყვნენ; საჭირო იყო მხოლოდ ერთი გამბედავი მესვეური, რომ რიგი დაეწყო და პირველი სვე გაეტანა. ამისთანა მესვეურად აღმოჩნდა თეატრის დირექტორი გ. დ. ერისთავი“.

---

[2] `ciskars~ m. voroncovi, unda vifiqroT, pirvel damoukidebel (araoficialur, kerZo) qarTul gamocemad miiCnevda da amitom ambobda _`aqamde saqarTveloSi qarTul enaze arc erTi perioduli organo ar gamocemulao~. winaaRmdeg SemTxvevaSi gaugebari iqneboda mis oficialur mimarTvaSi aseTi uxeSi Secdomisa Tu siyalbis daSveba. sxvas yvelafers Tavi rom davaneboT, swored voroncovis mefisnacvlobis dros qarTul enaze gamodioda gazeTi `kavkasiisa mxareTa uwyebani~ _ nikoloz I-is mierve nebadarTuli `zakavkazski vestnikis~ qarTuli dublikati. xolo Tvalsazrisi, TiTqos m. voroncovisaTvis `mniSvneloba imas hqonda, rom misi saxeli gaedidebinaT da rac ki ram kavkasiaSi kargi keTdeboda, misTvis mieweraT~ (m. gocaZe), damajerebeli ar Cans _ mixeil voroncovi ar iyo iseTi martivi adamiani da mmarTveli, sakuTari saxelis gandidebis mizniT sruliad aSkara faqtebis miCqmalva an gayalbeba ecada.

ინიციატორთა მიერ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლად გიორგი ერისთავის კანდიდატურაზე შეჩერება ბუნებრივი და ლოგიკური ჩანს. გ. ერისთავი ამ დროისათვის უკვე იყო დიდად დაფასებული მწერალი (პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი), ხელმძღვანელობდა მის მიერვე ჩამოყალიბებულ ქართულ თეატრს, ახალგაზრდობიდანვე თანამშრომლობდა ქართულ პრესაში: იყო ს. დოდაშვილის ჟურნალთან არსებული ლიტერატურული წრის წევრი, იმავე ჟურნალში გამოქვეყნებული ჰქონდა ნაწილი პოემისა „ზარე და ყანიმათ“ (სათაურით – „ოსური მოთხრობა“), დაინტერესებული იყო ქართული ჟურნალისტიკის აღორძინებით (შედიოდა ჟურნალ „სინათლის“ ინიციატორთა ჯგუფში); და კიდევ ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოება – გიორგი ერისთავის ტალანტზე მაღალი აზრისა იყო კავკასიის მეფისნაცვალი (მ. ვორონცოვმა თბილისში ჩამოსულ დიდ მთავარს, რუსეთის მომავალ იმპერატორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს, გ. ერისთავი საგანგებოდ წარუდგინა როგორც „ქართველების მოლიერი“, რაც, ცხადია, აშკარა გადაჭარბება კი არის, მაგრამ უდავოდ მეტყველებს ქართველი დრამატურგისადმი მეფისნაცვლის პატივისცემასა და მის მიმართ გამოვლენილ კეთილგანწყობაზე).

რაც შეეხება ჟურნალის **სახელწოდებას**, ამით ინიციატორებს ქართული ლიტერატურის აღორძინების სურვილისა და მომავლის იმედის გამოხატვა სურდათ („ახალ ჟურნალს, რომელსაც უნდა გაეთენებინა ახალი ბრწყინვალე დღე ქართული მწერლობისათვის, გიორგი ერისთავმა დაარქვა „ცისკარი“ – ი. მეუნარგია).

ჟურნალ „ცისკრის“ დაარსება წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის „სასარგებლოდ“ შემთხვევითი არ ყოფილა. ეს სასწავლებელი (მოგვიანებით იგი ქალთა გიმნაზიად გადაკეთდა) 1846 წელს დააფუძნა „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ და მას უშუალოდ ხელმძღვანელობდა მეფისნაცვლის მეუღლე ელისაბედ ბრანიცკაია-ვორონცოვა (სხვათა შორის, პოეტ ა. პუშკინის ტრფობის საგანი. დაქვრივებული ე. ვორონცოვას ოჯახში სტუმრობას „ჩემ თავგადასავალში“ ძალზე თბილად იგონებს ა. წერეთელი). „საქველმოქმედო საზოგადოების“ მთავარი მიზანი იყო საქართველოში (ზოგადად კავკასიაში) ქალთა განათლებისათვის ხელის შეწყობა, ამ საქ-მის კოორდინაცია და სპეციალურად ქალებისათვის განკუთვნილი სასწავლებლების დაარ-სება. „საზოგადოების“ წევრები იყვნენ იმდროინდელი ქართველი არისტოკრატიის გამორჩეული წევრები: ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვა, მანანა ორბელიანი, ელენე ერისთავი, ნინო ჭილაშვილი-ყიფიანი და სხვ.

რაც შეეხება უშუალოდ წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელს, იგი, წესდების მიხედვით, დაფუძნდა „კეთილი ცოლებისა და და ოჯახის კარგი დედების მოსამზადებლად“ და მას საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტი და უმწიკვლო რეპუტაცია ჰქონდა მოპოვებული. შესაბამისად, „ცისკრის“ დაკავშირება ამ სასწავლებლის სახელთან, ჯერ ერთი, გააადვილებდა ჟურნალის დასაარსებლად საჭირო ნებართვის მიღებასა და, ამას გარდა, ახალდაარსებულ გამოცემას იმთავითვე შესძენდა საზოგადოებრივ მხარდაჭერას.

1851 წლის 1 მარტს მ. ვორონცოვმა მიიღო ა. ჩერნიშოვის ოფიციალური პასუხი, რომლის მიხედვითაც, იმპერატორი ნებას რთავდა გ. ერისთავს, გამოეცა ლიტერატურული ჟურნალი „ცისკარი“, მხოლოდ იმ პირობით, რომ რედაქტორ-გამომცემელს აუცილებლად და ზედმიწევნით უნდა შეესრულებინა კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიერ დაწესებული მოთხოვნები: „ჟურნალში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიბეჭდოს პოლიტიკური ხასიათის სტატიები, ცნობები და მსჯელობანი. მისი უდიდებულესობა [იმპერატორი ნიკოლოზ I] ამ მხრივ უშუალო ზედამხედველობის პასუხისმგებლობას აკისრებს კავკასიის საცენზურო კომიტეტსა და, განსაკუთრებით, იმ ცენზორს, რომელსაც „ცისკარში“ გამოსაქვეყნებელი მასალის წინასწარი შემოწმება დაეკისრება“.

უმაღლესი ნებართვის მიღებისთანავე გ. ერისთავმა გაავრცელა ნაბეჭდი განცხადება:

„ამა ჩყნა[1851] წლისათვის, თანახმად უმაღლესისა ნებისა იქმნება გამოცემული სასარგებლოდ წმ. ნინას ზაუედენიისა ქართულს ენაზედ სიტყვიერებითი ჟურნალი „ცისკარი“ ყოველს თვეში თითო წიგნათ, რომელსა შინაცა იქნების შეცულ: ქართული სიტყვიერება, თარგმანი, სწავლა, ხელოვნება და სახლის პატრონობა. ფასი წელიწადში ე[5] მანეთი, ხოლო გაგზავნით ვ[6] მანეთი, თეთრი ფული. მსურველთა ამა ჟურნალისა ძალუძსთ მიიქცნენ თავიანთის თხოვნითა დროზედ ამა ჟურნალის რედაქციაში, თფილისს, სახლსა შინა [წმ.] ნინას ზაუედენიისასა კუკიაში, რათა რედაქციამ ძალიდუას დაბეჭდუა მისი საჭიროს რიცხვით ეკზემპლიართა. ამასთანავე რედაქციას აქუს პატივი დაუმატოს, რომელ მსურველთა ამა ჟურნალში სტატიის დაბეჭდვისა, ძალუძსთ გამოგზავნონ ესე ვითარი ამა რედაქციაში.

რედაქტორი, თ[ავადი] **ერისთავი“.**

ეს განცხადება რუსულ და ქართულ ენებზე „კავკაზსა“ და „ზაკავკაზსკი ვესტნიკშიც“ გამოქვეყნდა, თუმცა ვერც ამ უკანასკნელ გარემოებასა და ვერც რედაქტორის მოწოდებას, მკითხველნი დროზე უნდა „მიიქცნენ“ ჟურნალის გამოსაწერადო, საზოგადოებაში დიდი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია – ხელის მომწერთა სიმცირის გამო (საკუთარი სტამბის უქონლობის გამოც) 1851 წელს „ცისკრის“ გამოცემა ვერ მოხერხდა.

„ცისკრის“ ხელის მომწერთა რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, მერყეობდა 150-დან 300-მდე. საქმე რომ არ შეფერხებულიყო, მ. ვორონცოვმა წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ ჟურნალის ასი ნომერი გამოიწერა და ამით რედაქტორ-გამომცემელს საქმის მატერიალური მხარეც მოუგვარა. გარდა თბილისისა, „ცისკარი“ გამოწერილი ჰქონდათ ქუთაისში, თელავში, გორში, ზუგდიდში... აგრეთვე რუსეთში (მოსკოვი, პეტერბურგი...).

„ცისკარს“ თავიდან, როგორც ითქვა, საკუთარი სტამბა არ ჰქონდა, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელს ხდიდა ჟურნალის დროულსა და ხარისხიან გამოცემასა და, ამასთანავე, ისედაც ხელმოკლე რედაქტორ-გამომცემლისაგან დამატებით ხარჯსაც მოითხოვდა. ამიტომაც 1852 წლის 28 იანვარს გ. ერისთავმა მეფისნაცვალს ოფიციალური თხოვნა წარუდგინა: „ვინაიდან ქართული ჟურნალის კერძო სტამბაში ბეჭდვა დიდ თანხასთანაა დაკავშირებული, უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის სახელზე და იმავე სასწავლებლის სასარგებლოდ გავხსნა ქართული სტამბა“.

მ. ვორონცოვმა არა მარტო სათანადო ნებართვა გასცა, არამედ გ. ერისთავს ჟურნალის გამოსაცემად მეფისნაცვლის კანცელარიის ძველი სტამბაც აჩუქა. ეს ვორონცოვის მხრიდან არსებითად ქველმოქმედება იყო, რამდენადაც ამ სტამბას არ ჰქონდა კომერციული მიზანი და დანიშნულება, არ იღებდა შეკვეთებს და მისი საქმიანობა მხოლოდ „ცისკრის“ ბეჭდვა-გამოცემითღა შემოიფარგლებოდა. ამდენად, სტამბა მოგებას არ იძლეოდა და, შესაბამისად, მატერიალურად ვერც წმ. ნინოს სასწავლებელს შეეწეოდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული სტამბა ძველი იყო, გამართულად ვერ მუშაობდა და ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელს ზოგჯერ სხვა კერძო თუ სახელმწიფო (მეფისნაცვლის კანცელარიის) სტამბაში უწევდა ჟურნალის ბეჭდვა. ამის თაობაზე მოგვიანებით ივანე კერესელიძე წერდა: „ცისკარს“ პატარა სტამბა ჰქონდა. მას იგი მთავარმართებლის სტამბიდან აჩუქეს. შიგ იდგა ხის დაზგა, რომელიც ძველებურად იყო ნაკეთები“.

როგორც ჩანს, სასტამბო ვითარების მოუგვარებლობაც იყო იმის მიზეზი, რომ „ცისკარი“ დროზე არ მიეწოდებოდა მკითხველს. ასე, მაგალითად, 1853 წლის სამი ნომერი (№№1-3) ერთდროულად გამოიცა ივნისში, იმავე წლის რამდენიმე ნომერი კი საერთოდ 1854 წელს დაიბეჭდა და ა. შ.

გ. ერისთავის ქართული სტამბაცა და ჟურნალის რედაქციაც წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის შენობაში (კუკიაზე) იყო მოთავსებული.

რაც შეეხება ცენზურას, ამ დროს უკვე არსებობდა „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ (დაარსდა 1848 წლის დეკემბერში, პრაქტიკულად 1849 წლიდან შეუდგა მუშაობას). იგი შედიოდა მ. ვორონცოვის ინიციატივით შექმნილ „კავკასიის სასწავლო ოლქის“ უწყებაში, ჰქონდა ცენზორის სამი შტატი (მოგვიანებით თავმჯდომარის მეოთხე შტატიც დაემატა), ცენზორობა თბილისის გიმნაზიის მასწავლებლებიდან შერჩეულ პირებს ეკისრებოდათ, ხოლო „კომიტეტის“ მუშაობას საერთო ზედამხედველობას კავკასიის მეფისნაცვალი უწევდა.

„ცისკრის“ პირველი ოთხი ნომრის ცენზორი იყო ივანე ყაითმაზოვი (ყაითმაზაშვილი), ხოლო შემდეგ – თბილისის გიმნაზიაში ქართული ენისა და საღვთო სჯულის მასწავლებელი, სასულიერო პირი, პოეტი და მწიგნობარი (სხვათა შორის, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე) ეფრემ ალექსი-მესხიშვილი. „ცისკარი“ წმინდა წყლის ლიტერატურული („სიტყვიერებითი“) გამოცემა იყო, მას პოლიტიკური შინაარსისა თუ მიზანდასახულობის მასალის გამოქვეყნება იმთავითვე ჰქონდა აკრძალული და ამ აკრძალვის დარღვევა გიორგი ერისთავს არც შეეძლო და არც უცდია. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, აადვილებდა რედაქტორის ურთიერთობას ცენზორებთან. როგორც ი. ყაითმაზოვი, ისე ე. ალექსი-მესხიშვილი სიცოცხლის ბოლომდე მსახურობდნენ „საცენზურო კომიტეტში“ და სხვა დროს არაერთი მასალის გამოქვეყნება შეუფერხებიათ ან აუკრძალავთ კიდევაც (აკაკი წერეთელი ი. ყაითმაზოვს უწოდებდა „კარგ კაცს“, თუმცა „აუტანელ ცენზორს“), მაგრამ ასეთი რადიკალური ჩარევა ცენზორებს გ. ერისთავის „ცისკრის“ საქმეებში არ დასჭირვებიათ. ამდენად, თვალსაზრისი, თითქოს „მკაცრი საცენზურო პირობები რომ არ ყოფილიყო, „ცისკარი“, ცხადია, გაცილებით უკეთესი შინაარსისა იქნებოდა“ (მ. გოცაძე), გადაჭარბებული გვგონია; ყოველ შემთხვევაში, „მკაცრი საცენზურო პირობების“ დამადასტურებელი უტყუარი ფაქტები ჩვენ არ მოგვეპოვება.

„ცისკარს“ 4 განყოფილება ჰქონდა:

1. მხატვრული ლიტერატურა [„ლექსთ-თხზულება“, „პროზა“. იბეჭდებოდა როგორც ორიგინალური ქართული (ძირითადად, ლექსები), ისე რუსული და უცხოური ლიტერატურის თარგმანები. გამოქვეყნდა აგრეთვე ერთი ქართული ხალხური ლექსი „სოფლური სიმღერა“].

2. მეცნიერება და ხელოვნება („ჰსწავლა და ხელოვნება“. იბეჭდებოდა დიდაქტიკურ-მორალისტური და შემეცნებითი ხასიათის ტექსტები, აგრეთვე, საისტორიო მასალები).

3. საოჯახო მეურნეობა [რჩევა-რეკომენდაციები საოჯახო მეურნეობის განვითარებისათვის, თუმცა, საკითხი რატომღაც მხოლოდ გასტრონომიული თემატიკით შემოიფარგლება].

4. ნარევი [„სხუა და სხუა ანბავი“. იბეჭდებოდა სხვადასხვა ხასიათის ოფიციალური თუ არაოფიციალური ცნობები, ხალხური სიტყვიერებს ნიმუშები (ძირითადად, ანდაზები), თავშესაქცევი ამბები].

„ცისკარში“ გამოქვეყნებული ლიტერატურული პროდუქციის სრულად წარმოდგენისათვის აქვე დავიმოწმებთ ჟურნალის ოცდაოთხივე ნომრის შინაარსს:

1852 წელი

№1 (იანვარი)

ლექსთ-თხზულება

[გიორგი ერისთავი]:

მოგონება 1

მტკურისადმი 2
გულს 3
თოული 4
ფრანჩესკო პეტრარკა, კურთხევა (თარგმანი გ[იორგი] ე[რისთავისა]) 4-5
ვიქტორ ჰიუგო, ერთის მინუტის სიჭაბუკე (თარგმანი გ[იორგი] ერისთავისა) 5-6
გაზაფხული 6-7

რუსული სიტყვიერება

[ალექსანდრე ბესტუჟევ-]მარლინსკი, მოლა ნურ (ყოფილი ანბავი) (თარგმანი გ. ერისთავისა) 8-52

ჰსწავლა და ხელოვნება

საბა ორბელიანოვის მოგზაურობა ევროპაში 1-16

სოფლიური სახლის პატრონობა

გაკეთება ღვინისა ევროპიულ გვარად .....[17-18]
წამხდარი ღვინის გაკეთება .....[18]

სხუა და სხუა ანბავი

გიორგი ერისთავი, „ახალ ამბავად უსასიამოვნოესი...“ [გიორგი ერისთავისა და პლატონ იოსელიანისათვის მ. ვორონცოვის მიერ მიცემული დავალება ქართული წიგნების გამოცემის შესახებ] .....[19]

№2 (თებერვალი)

ლექსთ-თხზულება

გიორგი ერისთავი, კნეინა სოფ[იო] ერ[ისთავისადმი] 1
გრიგოლ ორბელიანი, კნიაჭნა ეკატერინა ჭავ[ჭავაძისადმი] 2
გიორგი ერისთავი, („მითხარ, ტურფავ...“) 2-3
ალექსანდრე ჭავჭავაძე, გოგჩის ტბა 3-4
ალექსანდრე პუშკინი, ოცნება (თარგმანი ა. ჭავჭავაძისა) 5
გრიგოლ ორბელიანი, („ჰე საყუარელო ვის მიერ...“) 5
[გრიგოლ ორბელიანი], ღამე 6
გიორგი ერისთავი, გაქსუებული 7
ალექსანდრე ჭავჭავაძე, ლოდინი 7
გრიგოლ ორბელიანი, გამოსალმება 8
[გიორგი ერისთავი]:
ე. წ. 9
თავ. სვ. მაჩაბელს [„გახსოვს, როს, ძმაო...“] 10
სატირა: დედა და ქალი 11
თ. ს. მაჩაბელს („ბედმან მე კუალად...“) 12
კნიაჭნა დარია ბეგთაბეგოვისას ლეკურის თამაშობაში 12

პროზა

[ალექსანდრე ბესტუჟევ-]მარლინსკი, მოლა ნურ (თარგმანი გ. ერისთავისა) (გაგრძელება) 13-52

ჰსწავლა და ხელოვნება

საბა ორბელიანოვის მოგზაურობა ევროპაში (გაგრძელება) 17-31

სოფლიური სახლის პატრონობა

გაკეთება ღვინისა ევროპიულ გვარად .....[32-33]

სხუა და სხუა ამბავი

„სასიქადულოდ ქართულისა ენისა...“
[მ. ვორონცოვის ნებართვით პ. იოსელიანის მიერ
იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ გამოცემა]....34-36

№3 (მარტი)

ლექსთ-თხზულება

[ადამ მიცკევიჩი]:
ბაღჩი-სარაია (თარგმანი გიორგი ერისთავისა) 1
პატოცკას საფლავი (თარგმანი გიორგი ერისთავისა) ...2
გარემისა საფლავნი (თარგმანი გიორგი ერისთავისა) 2-3
გიორგი ერ[ისთავი], სიმღერა მაზურკის ხმა[ზე] 3
დიმიტრი ბაგრატიონი, სოფლის მდურვა სიბერისათვის 3-5
ვახტანგ მეფე [VI], „მე უმცირესმან ძმათაგან...“ 5-6
თეიმურაზ მეფე [I], „ძუელთა და ახალთ
საქართუელოს მელექსეთ...“ 6-7
ალექსანდრე ახვერდოვი, პეტრე ბაგრატიონისათვის
სიტყვა 7-10

პროზა

[ალექსანდრე ბესტუჟევ-]მარლინსკი, მოლა-ნურ
(თარგმანი გ. ერისთავისა) (დასასრული) 11-38

ჰსწავლა და ხელოვნება

საბა ორბელიანოვის მოგზაურობა ევროპაში
(გაგრძელება) 32-65

სოფლური სახლის პატრონობა

მურაბის და ჟელეს გაკეთება 66-68

სხუა და სხუა ცნობანი

უმაღლესი რესკრიპტი სახელსა ზედა კავკასიის ნამესტნიკისა
[ნიკოლოზ I-ის მიერ „უგანათლებულესობის“ ტიტულით
მ. ვორონცოვის დაჯილდოების შესახებ] 69-70
„ბრძანებითა უგანათლებულესის კნიაზის
მ. ს. ვორონცოვისა...“ [პ. იოსელიანის წინასიტყვაობა
ტიმოთე გაბაშვილის წიგნისა „მოხილუა წმინდათა და
სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“] 70-73

№4 (აპრილი)

ლექსთ-თხზულება

ალექსანდრე ჭავჭავაძე:
„მიკვირს რად ჰსძრახუენ...“ 1-2
მუხანბაზი 2-3
გაფი („აჯას ვამრავლებ მე შენდა...“) 3-4
დავით მაჩაბელი, ვარდი 4-7
ე[ლისაბედ] წ[ერეთელი], უსტარი თ[ავად] გ. ერ[ისთავს] 8-9
ნიკოლოზ ბარათაშვილი:
ბულბული ვარდზედ 9-10
ჩემი ლოცუა 10-11
ქალი („რად ჰყვედრი კაცსა...“).....11-12
„სულო ბოროტო...“ 12-13

გიორგი ერისთავი, თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის
ბარათოვის გარდაცვალებაზედ 13
კნიაზ მამიკონი [მიხეილ თუმანიშვილი], ტეატრი 14

პროზა

[ალექსანდრე ბესტუჟევ-]მარლინსკი, ამალათ-ბეგ
(თარგმანი გიორგი და ივანე ერისთავებისა) 15-44

ჰსწავლა და ხელოვნება

საბა ორბელიანოვის მოგზაურობა ევროპაში
(დასასრული) 45-81

სოფლიური სახლის პატრონობა

დამარილება ხორცთა 73
ლორის გაკეთება 73
ბატი ძმრით 74

სხუა და სხუა ანბავი

„რედაკცია ამა ჟურნალისა...“ [რედაქცია მადლობას
უცხადებს დავით მაჩაბელს ჟურნალში
თანამშრომლობის გამო[3]] .....[75]

№5 (მაისი)

ქართული ლექსთ-თხზულება

ფრიდრიხ შილერი, განყოფა სოფლისა
(თარგმანი გიორგი ერისთავისა).....1-2
[ადამ მიცკევიჩი], პილიგრიმი
(პოლონურიდან თარგმნა გიორგი ერისთავმა).....2
[ივანე კრილოვი]:
ყორანი და მელია (თარგმანი ლუკა ისარლიშვილისა) 3-4
მგელი და ბატკანი (თარგმანი ლუკა ისარლიშვილისა) 4-5
მათხოვარი და ძაღლი (თარგმანი ლუკა ისარლიშვილისა) 5-6
[ლუკა ისარლიშვილი]:
ს... („სხვანიც იცი ყოფილან...“) 6
ოცნებას[4] 6-7
განსაცდელი.....7-8
ელეგია 8-9
სიზმარი 9-10
„რათ მკითხავ, რომე რად მიყუარს...“ 10
„მიხედე კეკლუცს როს თვის სახესა...“ 11
„საბრალო არს გულ-მოკლული...“ 11
„ნეტარ არს იგი, ვისა თუალებსა...“ 11

პროზა

[3] redakcia ama Jurnalisa ganucxadebs guliTad madlobas Tavads daviT barZimes Zes maCabels, romelmanc ganaSvena Jurnali ese ciskari, marTlad ganciskrovanebulisa da brwyinvalisa leqsebiT, kualad imedulobs romel siyvarulisaTvis Tvisis mSobliuris enisa, warmogzavnis TvisTa SromaTa. **r[edaqcia]**

[4] am leqsis avtorad aleqsandre WavWavaZea miCneuli (ix. **a. WavWavaZe**. Txzulebebi. Seadgina, redaqcia gaukeTa, winasityvaoba, SeniSvnebi da leqsikoni daurTo **i. kenWoSvilma**. Tb.: 1986, gv. 168, 303-304).

[ალექსანდრე ბესტუჟევ-]მარლინსკი, ამალათ-ბეგ
(თარგმანი გიორგი და ივანე ერისთავებისა)
(გაგრძელება) 12-38

ჰსწავლა და ხელოვნება

ვარლამ მიტროპოლიტი [ერისთავი], თქმული ვარლაამისა
საკატოლიკოზოსა საყდარსა ზედა აღსლუასა და
ნიშნების მირთმევასა ანტონ ირაკლი მეფის
ძისასა (წელსა 1797) 39-41

სხუა და სხუა

ჟოკო (ფრანციცულით თარგმნილი სარდიონ
ალექსეევისაგან [ალექსი-მესხიშვილისაგან] 42-86

№6 (ივნისი)

ქართული ლექსთ-თხზულება

ალექსანდრე ჭავჭავაძე:
კავკასია 1-3
თეჯნისი („არ ვის ჰმართებს...“) 3-4
„ამად მემდური კინამო...“ 4-5
მემთვრალისადმი 5
„ღიმილმა ლალთ კარ განღებით...“ 5
„როს ბულბული საამოვნოდ...“ 5
„ჰე მთვარეო შემწყნარეო...“ 6
„ვიდრემდის გქონან ღვთისაგან...“ 6
„სიყუარულო, ძალსა შენსა...“ 6
ყმაწვილი ქალის საფლავზედ წარწერილება 6-7
„როს ვჭვრეტ შენსა სიკეკლუცეს...“ 7
„ერთგზის ხელმან შემბრალემან...“ 7
ერთი ყმაწვილი ქალს თაიგულის მირთმევაში ეუბნება
(„აჰა ესე ვარდ ზამბახნი...“) 7-8
„თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ...“ 8
თეიმურაზ I, მაჯამა ბატონის თეიმურაზისაგან თქმული 9-16

პროზა

[ალექსანდრე ბესტუჟევ-]მარლინსკი, ამალათ-ბეგ
(თარგმანი გიორგი და ივანე ერისთავებისა)
(გაგრძელება) 17-45

ჰსწავლა და ხელოვნება

თეიმურაზ II, დღისა და ღამის სამართლის
ამბავი ქართველთ ზნეობაზე.....46-72
ა. ა., მედიატორთ ძიება 73-74

№7 (ივლისი)

ქართული ლექსთ-თხზულება

რაფიელ ერისთავი:
დარიგება 1-3
ყუავილს 3
ალექსანდრე ჭავჭავაძე:
ლაჯარამ 4
„გვეღების კარი გაზაფხულისა...“ 5-6
ბაიათი ალექსანდრესი: „ვიწყო წერა მაჯამით...“ 6-7
მუხამბაზი („მოვედ ამ არედ შესამკობელად...“) 7-10

პროზა

[ალექსანდრე ბესტუჟევ-]მარლინსკი, ამალათ-ბეგ
(თარგმანი გიორგი და ივანე ერისთავებისა)
(გაგრძელება) 11-56, 59-82

ჰსწავლა და ხელოვნება

ვარლამ მიტროპოლიტი (ერისთავი), მილოცვა
იესოს ქრისტეს შობის დღესასწაულისა მეფის
ირაკლისადმი მიტროპოლიტის ვარლამ ქსნის
ერისთოვისაგან დღესა შობისასა 57-58
გ[რიგოლ] დ[ადიანი], „არეს ეწოდა აწღა ცისკარი...“ 83-84

№8 (აგვისტო)

ქართული ლექსთ-თხზულება

ალექსანდრე ჭავჭავაძე:
„უწყალოვ სიყუარულო რათ მკოდე ესდენ ძნელად...“ ..1-3
„შენთან არს გული მნათობო...“ 3-4
„ჟამნი რბიან, შენცა მელტვი...“ 4-6

პროზა

[ალექსანდრე ბესტუჟევ-]მარლინსკი, ამალათ-ბეგ
(თარგმანი გიორგი და ივანე ერისთავებისა) (დასასრული) 6-86

ჰსწავლა და ხელოვნება

თეიმურაზ II, დღისა და ღამის სამართლის ამბავი
ქართველთ ზნეობაზე (გაგრძელება) 59-79

№9 (სექტემბერი)

ქართული ლექსთ-თხზულება

ოთარ ქობულოვი [ქობულაშვილი]:
„ეჰა სიცოცხლე მკლებია...“ 1-2
„ბრწყინავს მნათი მზებრ ნათობ...“ 2-3
თამაზ ქობულოვი [ქობულაშვილი],
„ხელმწიფა წიგნს იწერება...“ 4
ბარამ ბარათოვი [ბარათაშვილი],
„შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული...“.....4-5

პროზა

ბერნარი, სიძე ამისთანა უნდა
(ფრანგულიდან თარგმნა ივანე ერისთავმა).....6-80

№10 (ოქტომბერი)

ქართული ლექსთ-თხზულება

[დავით გურამიშვილი], საწუთრო სოფლის მდურვა 1-10
სოფლური სიმღერა [ჩაწერილი გიორგი ერისთავის მიერ][5] 10-13

[5] leqss darTuli aqvs SeniSvna: `aragvelT SeTvla mefe iraklisadmi, rodes aRa mahmaTxan Semoadga tfiliss, aragvSi Caagdes mociquli, rom viTom ufro Cqara mividoda, da es umReres~. TviTon leqsSi ki gadmocemulia TuS-fSav-xevsurTa mimarTva erekle meorisadmi:

siberem ar SegaSinos,
ismine queynis yvedreba,
vaidi valali valalo...
xmali kidev moiqnie,

პროზა

ქორწილი სახრჩობელაზედ (ფრანციცულიდგან
თარგმანი ი[ვანე] ე[რისთავისა]).....14-66

ჰსწავლა და ხელოვნება

[დავით გურამიშვილი], რუსთ ხემწიფეთაგან ქართველ
მეფის ვახტანგისა მიპატიჟება თავისთან 66-80

№11 (ნოემბერი)

პროზა

ფრანცუზი ხანის არამ ხანაში
(თარგმანი ივანე ერისთავისა) 1-37

ჰსწავლა და ხელოვნება

[დავით გურამიშვილი]:
ჰსწავლა მოსწავლეთა ათთა სახმართა
საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის.....37-50
დავით გურამის შვილის ლეკთაგან დატყუება 50-90

№12 (დეკემბერი)

ქართული ლექსთ-თხზულება

დავით გურამიშვილი, „ზუბოვკიდან მომავალმან
ვნახე ერთი ქალი...“ 1-3

პროზა

ბერნარი, სიძე ამისთანა უნდა (ფრანგულიდან
თარგმნა ი[ვანე] ე[რისთავმა]) (დასასრული) 4-50

ჰსწავლა და ხელოვნება

[დავით გურამიშვილი]:
რუსთ ხელმწიფეთაგან ქართველ მეფის
ვახტანგისა მიპატიჟება თავისთან (დასასრული) 51-80
დავით გურამის შვილის ლეკთაგან დატყუება
(დასასრული) 81-90

1853 წელი

№1 (იანვარი)

ქართული ლექსთ-თხზულება

დარ[ია] ერისთავი, წინათ გრძნობა 1-3
ალექსანდრე ორბელიანი, რუსთაველი 3-5
დიმიტრი ბაგრატიონი:
„ელისაბედიანი, შეთხზვით ვარდნი, იანი...“ 6-8
ნანინა 8-9
სხუა გვარი („ჩემო მთუარეო...“) 9-10
კიდევ სხუა („ვაქო პირად ბადრია...“) 10-12
შაირი („ღმერთო, რომელმან...“) 13-24
იგივე ელისაბედიანი ჩახრუხაულად 24-30
ალბომზედ სახსოვრად მინაწერი ელისაბედს 30-31

---

moxucs kidev mogixdeba,
vaidi valali valalo...
TuSi, fSavi da xevsuri,
Sen sul Tav Semogevleba da a.S.

ჩემი მეორის ქალის შობაზედ თვალადობა ეკითხნა
კნეინა მახიას და იმას მივსწერე პეტერბურხს ..32-34
„ვით აღგიწერო არ ძალ მიძს, მე ჩემი ანასტასია...“ 34-35
ალბომზედ სახსოვრად მინაწერი ანასტასიას 35-36
ანბანთ ქება 37-39
„წალკოტს მეწადა მოვლა მორება...“ 39
„მდურვა სოფლისა ძაგნაკლულად
ქართლით წამოსულს...“ 39-47
სევდით ბაღს შეველის ხმა 48-51
თქმული კნიაზ პეტრე ბაგრატოვანზედ 51-52
ბაგრატ ბატონის შვილის ქალის დაბადებაზედ თქმული.. 52
ფარნავაზ ბატონის შვილის ქალზედ თქმული 53
კნეინა მახიასთან მიწერილი 53
შესაქმეთა გალექსული დიმიტრი ბაგრატიონის
მიერ მოკლედ 54-62
გოდება ადამისა ძაგნაკორულად დიმიტრის მიერ 63-83

№2 (თებერვალი)

ქართული ლექსთ-თხზულება

დიმიტრი ბაგრატიონი, წამება ქეთევან დედოფლისა ...1-21

[პროზა]

დიმიტრი ბაგრატიონი, ღამის ალერსი 22-42

სხუა და სხუა ანბავი

სხუა და სხუა ანდაზანი ხმარებულნი ხალხთაგან 43-58
[თეიმურაზ I], მაჯამა თქმული დიდის
მეფის თეიმურაზისა 59-81

№3 (მარტი)

პროზა

[ალექსანდრე ბესტუჟევ-]მარლინსკი, ღამე ხომალდში
(თარგმნა ლუკა ისარლოვმა) 1-25

ჰსწავლა და ხელოვნება

ძუელი სხუა და სხუა [ა]ნეგდოტნი,
შეკრებილნი ერასტი თურქისტანოვის მიერ 25-42

სხუა და სხუა ანბავი

ი. ე., ქორწილი ლისტისა 42-52
ნადირ-შაჰისაგან მოწერილი წიგნი შვილთან 52-62
ყენისაგან მიწერილი თავის სპასალართან
ოდეს ყანდაარი დაიჭირა 62-65
ხვანთქრისაგან მიწერილი ყენთან 65-69
ქართველთ მეფეთა მოკითხვის წიგნის ფორმა:
მეფე ვახტანგთან კახ ბატონისაგან 70-72
მეფისაგან მიწერილი კათალიკოზთან 73-75
მეფისაგან მიწერილი ეპისკოპოსთან 75-76
თამარ დედოფლისაგან მიწერილი მეფე ალექსანდრესთან 77-78
დედოფლისაგან მიწერილი ვეზირთან 79-80

№4 (აპრილი)

ქართული ლექსთ-თხზულება

დავით მაჩაბელი:

ლოცუა ტრფიალისა 1-2
ალერსი 2-3
უმანკოება 3-5
გიორგი ერისთავი, ზარე და ყანიმათ (პოემა) 6-26

პროზა

მღვიმე სასაფლაოს იქით (თარგმანი რუსულით გიორგი ბარათოვისა) 27-56

ჰსწავლა და ხელოვნება

მოკლე სიტყვის გება **სოგრატისაი**. ჰსწავლა პირველი. თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანის შვილისაგან და ლექსად ნათქუამი მეფის ვახტანგისაგან 57-80

№5 (მაისი)

[პიერ კორნელი], ცინნა, ტრაღედია გადათარგმნილი ფრანციცულიდან ა[ლექსანდრე] ჭავჭავაძისაგან 3-80

№6 (ივნისი)

[პიერ კორნელი], ცინნა, ტრაღედია გადათარგმნილი ფრანციცულიდან ა[ლექსანდრე] ჭავჭავაძისაგან (დასასრული) 1-50

ჰსწავლა და ხელოვნება

მოკლე სიტყვის გება **სოგრატისაი**. ჰსწავლა პირველი თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანის შვილისაგან და ლექსად ნათქვამი მეფის ვახტანგისაგან (დასასრული) 51-80

№7 (ივლისი)

პროზა

დე-ბოვოარ როჟე, საფია (რუსულით გადმოღებული ქართულად სარდიონ ალექსიევ-მესხიევისაგან) (მთარგმნელის წინასიტყვაობით) 3-80

№8 (აგვისტო)

პროზა

დე-ბოვოარ როჟე, საფია (თარგმანი რუსულით, გადმოღებული ქართულად სარდიონ ალექსეევ-მესხიევისაგან (გაგრძელება) 1-80

№9 (სექტემბერი)

პროზა

დე-ბოვოარ როჟე, საფია (თარგმანი რუსულით, გადმოღებული ქართულად სარდიონ ალექსეევ-მესხიევისაგან (დასასრული).....1-55

ქართული ლექსთ-თხზულება

სვიმონ მაჩაბელი, საპყრობილესა შინა უცრად ფრინველის შეფრენა და პყრობილისაგან ლაპარაკი 56-60

თარგმნილი ლიტერატურა

რაფაელ ზოტოვი, კალიოსტრო ღერცოღ რიშელიოსთან (რუსულით გარდმოღებული გიორგი ერისთავისა) 61-80

№10 (ოქტომბერი)

რაფაელ ზოტოვი, კალიოსტრო ღერცოღ რიშელიოსთან (რუსულით გარდმოღებული გიორგი ერისთავისა) (დასასრული) 1-38
მასკარადის შეცთომილება (თარგმანი გ[რიგოლ] რჩე[ულიშვილისა]) 39-80

№11 (ნოემბერი)

მასკარადის შეცთომილება (თარგმანი გ[რიგოლ] რჩე[ულიშვილისა]) (დასასრული) 1-18
გიორგი ერისთავი, ყვარყვარე ათაბაგი. ტრაღედია ხუთ მოქმედებაში 19-80

№12 (დეკემბერი)

გიორგი ერისთავი, ყვარყვარე ათაბაგი. ტრაღედია ხუთ მოქმედებაში (დასასრული) 1-34
სასიამოვნო ამხანაგი. უბნობა ერთის მოთხრობა ანგლიჩანისა (თარგმნილი რუსულით ალექსანდრე სავანლისაგან) 35-76

სხუა და სხუა ანბავი

ბრძანება ახალციხის ატრიადისადმი, მიცემული ღენერალ-ლეიტენანტის ანდრონიკოვისა 5 დეკენბერს 1853 წელს 77

ქართველი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც კულტურულ-სალიტერატურო ინტერესები ჰქონდა, თავიდან დიდი სასოებითა და აღფრთოვანებით შეხვდა „ცისკრის“ გამოსვლას. ამგვარი აღტაცებისა და იმედების გამომხატველია თავის დროზე ცნობილი პოეტისა და გენერლის, გრიგოლ დადიანის (კოლხიდელის), ლექსი „არეს ეწოდა აწღა ცისკარი...“ – ჟურნალ „ცისკრის“ ნამდვილი აპოლოგია:

შეფრფინვით გეტრფი, ჩემო ცისკარო,
სულ-წასულობით, შენდა სულ მნთები
აცისკროვანე, სახე ნარნარო,
ნისლოვან დღენი, ბორცვნი და მთები.
საღმრთო ნათელნი შენნი დაბწინლნი,
განგებისაგან, შარავანდედით,
ჩვილ-სხივ შუქითა გარდმოდენილნი,
ბნელში მდგომართა, აღადგენ მკუდრეთით...

პრაქტიკულად კი გიორგი ერისთავი მალევე წააწყდა იმ პრობლემებს, რომლებმაც უკლებლივ ყველა ადრინდელი ქართული პერიოდული გამოცემა იმსხვერპლა: ხელის მომწერთა სიმცირე და ამით გამოწვეული მატერიალურ-ფინანსური პრობლემები, ლიტერატურული მასალის ნაკლებობა და სხვ.; რედაქტორისათვის განსაკუთრებით მძიმე სწორედ ლიტერატურული მასალის სიმწირე შეიქნა – ზოგიერთი ნომერი ერთი-ორი ავტორის თხზულებებითაა შევსებული (მაგალითად, 1853 წლის მე-5 ნომერი მთლიანად პ. კორნელის „ცინნას“ ალ. ჭავჭავაძისეულ თარგმანს უჭირავს; იმავე წლის მე-7 და მე-8 ნომრებშიც ერთადერთი ავტორის ერთადერთი ნაწარმოებია დაბეჭდილი – როჟე დე ბოვუარის „საფია“; მთელი რიგი ნომრებისა ერთი ან ორი განყოფილებითაა წარმოდგენილი და სხვ.).

„ცისკრის“ გამოცემის ზემოაღნიშნულ შემაფერხებელ გარემოებებს (მატერიალური სივიწროვე, ლიტერატურული მასალის ნაკლებობა...) რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წლების (ე. წ. „ყირიმის“) ომიც დაემატა. ფრონტის ხაზი საქართველოს ტერიტორიაზეც გადიოდა და ამან მხარის (მათ შორის, თბილისის) საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში დაძაბულობა და გარკვეული დეზორგანიზაცია შეიტანა. შესაძლებელია, ესეც ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ერთადერთი ქართული ჟურნალის გამოცემა შეწყდა, თუმცა რედაქტორ-გამომცემელს მის დახურვაზე განცხადება არ გამოუქვეყნებია. ჩანს, გ. ერისთავს უკეთეს დროთა მოლოდინში თავისი ჟურნალის აღდგენის იმედი ჰქონდა, მაგრამ ყველა იმედსა თუ განზრახულებას წერტილი დაუსვა „ცისკრის“ გულშემატკივრისა და მოამაგის, მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის, კავკასიიდან წასვლამ – 1854 წლის დამდეგს მძიმედ დაავადებულმა მ. ვორონცოვმა დატოვა საქართველო, ხოლო კავკასიის ახალ მეფისნაცვლად ქართული კულტურისადმი მტრულად განწყობილი გენერალი ნიკოლოზ მურავიოვი დაინიშნა. ნ. მურავიოვმა პირველი რიგის ამოცანად თავისი წინამორბედის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მმართველობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის რადიკალურად შეცვლა განიზრახა. იგი საერთოდ ფიქრობდა კავკასიაში ნახევრად გასამხედროებული მმართველობითი რეჟიმის აღდგენას და, მართალია, ეს მან ვერ მოასწრო (1856 წელს პეტერბურგში გადაიყვანეს, ხოლო მის ადგილზე ალ. ბარიატინსკი დანიშნეს), მაგრამ, სანამ მეფისნაცვლის თანამდებობა ეჭირა, ნ. მურავიოვმა გააუქმა ქართული თეატრი, მ. ვორონცოვის მიერ დაარსებული იტალიური ოპერა და სხვ.

მანამდე კი (1854 წლის ნოემბერში) გ. ერისთავმა დატოვა ქართული თეატრი, ხოლო როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „ცისკრის“ ბეჭდვის განახლებას ვეღარ შეძლებდა, ჟურნალის გამოცემის უფლება ქართული თეატრის ახალ ხელმძღვანელს, ივანე კერესელიძეს, გადასცა, თვითონ კი მშობლიურ ხიდისთავში (გორის მაზრა) დაბრუნდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა.

1857 წელს (№12) ივ. კერესელიძის „ცისკარში“ „მოლაყბე“ ასეთ შეფასებას აძლევდა გიორგი ერისთავის დამსახურებასა და „ცისკრის“ დახურვასთან დაკავშირებულ გარემოებებს:

„უალაგო არ იქმნება ვსთქვა: რა გრძნობით ვუყურებდით გ. ერისთავს, რომელმანცა დააფუძნა **„ცისკარი“**, აღადგინა დაცემული ქართული ენა, მრავალი კეთილი შესძინა საქართველოს და უფრო მეტს შესძინებდა, უკეთუ ჩუენ გარდაგვეხადნა მადლობა დამფუძნებლისათვის. მაგრამ რა მაგოდენი სინიდისი არის ჩუენში! ნაცვლად მადლობისა, ხშირად დამდურება ისმოდა ამგვარ კაცზედ, რომლისაცა ტალანტი და შრომა ღირსი არის შენიშვნისა და რომლისა წყალობითაც ახლაც გამოდის ჟურნალი. გ. ერისთავი რომ არ ყოფილიყო, აქამდინც დაძინებულნი ვიქნებოდით. რა ნახა ქართველთა პოეტმან, რომ ვეღარ გააწყო თავისი გრძნობა ჩუენზედ... ამოოხვრით დაანება თავი ჟურნალსა და სთქუა: როგორც გიწირავთ, ისე ჰსწირეთო! ჩუენც მაგის მეტი კი არ გვინდოდა. აი, რა ფასი აქუს ჩუენში ჭეშმარიტსა ტალანტსა და ამასთანავე შრომას“.

„ცისკარს“ იმთავითვე ხარვეზები დაჰყვა:

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში იმ დროს არა ერთი და ორი თვალსაჩინო მწერალი ცხოვრობდა (რაზეც მიუთითებდა ი. მეუნარგია ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებულ ციტატაში), გ. ერისთავმა ვერ შეძლო მათი ჩართვა საჟურნალო საქმიანობაში. დღეს ჭირს იმის ახსნა, თუ რატომ არ დაიბეჭდა გ. ერისთავის „ცისკარში“ ვახტანგ ორბელიანის, ზურაბ ანტონოვის, ნიკოლოზ ბერძნიშვილის, დიმიტრი ყიფიანის არც ერთი თხზულება; ალექსანდრე ორბელიანი და მიხეილ თუმანიშვილი თითო-თითო პოეტური ნაწარმოებით, გრიგოლ რჩეულიშვილი ერთადერთი თარგმანით, ხოლო გრიგოლ ორბელიანი და რაფიელ ერისთავი ორი-სამი ლექსით არიან წარმოდგენილნი. სამაგიეროდ, ჟურნალში უხვად

იბეჭდება დიმიტრი ბაგრატიონისა და ლუკა ისარლიშვილის საეჭვო ლიტერატურული ღირსების თხზულებები.

„ცისკრისა“ და მისი მესვეურის განსაკუთრებული მნიშვნელობის დამსახურებად ითვლება (და ეს ასეცაა!) ის, რომ პირველად აქ გამოქვეყნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, თუმცა გაუგებარია, რატომ შემოიფარგლა რედაქტორი პოეტის მხოლოდ ოთხი ლექსით [სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმ დროს ნ. ბარათაშვილის მეგობართა და ნათესავთა წრეში პოეტის რამდენიმე ხელნაწერი (ავტოგრაფული) კრებული მოიპოვებოდა].

რუსული ლიტერატურა ძირითადად ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკის პროზით შემოიფარგლება. მართალია, მარლინსკის თხზულებებს 1820-1830 წლებში გატაცებით კითხულობდნენ რუსეთში, მაგრამ მწერლის დიდება მალევე ჩაქრა, ხოლო 1850-იან წლებში იგი არსებითად საკუთარ სამშობლოშიც კი აღარ ახსოვდათ. ამ მხრივ, გასაგებია თვით ჟურნალის დიდი მეხოტბის გრ. დადიანის (კოლხიდელის) გულისწყრომა: „ცისკარში“ რაღაებსაც გაუგებელს ამალათ ბეგსა ბეჭდუენ. რატომ აფუჭებენ ქაღალდს და დროს კარგუენ. განა ძუელი ლექსები და უცხო-უცხო მოთხრობა არ იშოვება საქართველოში?“. უნდა ვიფიქროთ, რედაქტორი ამ შემთხვევაში მარლინსკის თხზულებათა კავკასიურმა თემატიკამ დააინტერესა.

აღარას ვამბობთ იმაზე, თუ როგორ მოხერხდა, რომ იმ დროის უმდიდრესი რუსული ლიტერატურიდან სათარგმნელად მაინცდამაინც უმნიშვნელო ლიტერატურული ფიგურის, რაფაილ ზოტოვის, თხზულება (უფრო ზუსტად, რომანის ნაწყვეტი) შეერჩიათ.

„ცისკრის“ ლიტერატურულ პროდუქციაში არ ჩანს ერთიანი ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი და ენობრივი პოზიცია, რაც იწვევს ლიტერატურულ და ენობრივ ეკლექტიზმს, არ დაბეჭდილა არც ერთი კრიტიკული ხასიათის წერილი და სხვ.

გიორგი ერისთავის „ცისკრის“ ნაკლი იყო ისიც, რომ იგი არ ასახავდა თანადროულ ცხოვრებას. მართალია, ჟურნალს იმთავითვე ჰქონდა აკრძალული პოლიტიკურ თემებზე წერა, მაგრამ, სათანადო ინტერესი რომ ყოფილიყო, განყოფილება „სხუა და სხუა ანბავი“ რედაქტორს, ალბათ, მაინც მისცემდა შესაძლებლობას, მკითხველს ცხოვრების თუნდაც სუსტი მაჯისცემა ეგრძნო. ამ მხრივ, საგულისხმოა ჟურნალის ერთი შეხედვით მკაცრი, მაგრამ არსებითად სწორი შეფასება: „ცისკარს“ არა ჰქონდა ახლანდელი ჟურნალის ხასიათი; ის არ ეხებოდა დღის ვარამს, არ არჩევდა თანამედროვე საერო და საპოლიტიკო კითხვებს, არ იყო წარმომადგენელი არც ერთი თაობისა, არც ერთი პარტიისა, არც ერთი საზოგადო აზრისა. ის უბრალო, ყოველთვიური კრებული[6] იყო“ (ი. მეუნარგია).

უფრო შემწყნარებელი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც საერთოდ დიდად აფასებდა გ. ერისთავის ღვაწლს ქართული კულტურის განვითარებაში და მას ს. დოდაშვილთან ერთად ქართული ჟურნალისტიკის მამამთავრადაც მიიჩნევდა, ხოლო საკუთრივ „ცისკარზე“ წერდა: „მართალია, მაშინდელი „ცისკარი“ მეტად ფეხმოკლე და ხელმოკლე იყო, მაგრამ ეს ეპატიება როგორც ახალს საქმეს, ჯერ უჩვეულოს და უასაკოს...“

მართლაც, თეატრის საქმეებით ისედაც უკიდურესად დატვირთული გ. ერისთავი საზოგადოების მხრიდან გამოჩენილი უყურადღებობისა და გულგრილობის გამო მარტოდმარტო შერჩა ჟურნალის შედგენა-გამოცემის მძიმე საქმეს: იგი იყო ლიტერატურული მასალის მომპოვებელიც, ძირითადი ავტორიცა და მთარგმნელიც, ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემკრებიც, სასტამბო საქმის მომგვარებელიც, კორექტორიც... მასვე უნდა ეწერა მკითხველთა ერთი ნაწილისათვის საინტერესო და

[6] samecniero literaturaSi aRniSnulia, rom Tavisi struqturiTa da SinaarsiT `ciskari~ Jurnals ki ara hgavs, aramed `yovelTviur krebuls~, `almanaxs~, `almanaxismagvar periodul gamocemas~ da sxv.

გამოსადეგი „გაკეთება ღვინისა ევროპიულ გვარად“, „მურაბის და ჟელეს გაკეთება“, „ბატი ძმრით“... გარდა ხელმოკლეობისა, ჩანს, რედაქტორ-გამომცემლის უკიდურესი გადატვირთულობა და მოუცლელობაც იყო იმის მიზეზი, რომ სუსტია „ცისკრის“ ტექნიკურ-პოლიგრაფიული გაფორმება, უხვადაა კორექტურული შეცდომები და ა. შ.

გ. ერისთავის „ცისკრის“ გარშემო შექმნილ ვითარებას ზუსტად შეესაბამება ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი – გამოთქმული სხვა დროს და სხვა გარემოების გამო: „ნურავინ იფიქრებს, რომ ჟურნალი მარტო ერთისა კაცის ნებით იბადება. არა, თვითონ ცხოვრებავე გვაჩვენებს ხოლმე იმის საჭიროებას, კაცი კი მხოლოდ მიხვდება ამ საჭიროებას და ჟურნალის გამოცემით პასუხს აძლევს. რაც ცხოვრება უფრო ძლიერია, უფრო ჯანიანი და ღონიერია, იმოდენათა იმის მოთხოვნილებანი და საჭიროებანი დიდნი არიან“.

ვინაიდან იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება ვერ აღმოჩნდა „ჯანიანი და ღონიერი“ და, შესაბამისად, სუსტი აღმოჩნდა მისი „მოთხოვნილებანი და საჭიროებანიც“, ერთი ადამიანის (რედაქტორ-გამომცემლის) ძალისხმევა არ ეყო საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდვე „ცისკრის“ შენარჩუნებას.

ყოველივე ზემოთქმული, რასაკვირველია, სრულებით არ ნიშნავს ზოგადად გიორგი ერისთავისა და მისი ნაამაგარი ჟურნალის ნეგატიურ შეფასებასა და ამით „ცისკრის“ მნიშვნელობის დაკნინებას. გიორგი ერისთავის „ცისკარზე“ მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ი. ჭავჭავაძის კიდევ ერთი შეხედულება: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს... და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“.

და თუ ვითარებას ამ კუთხით შევხედავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ „ცისკარმა“, მიუხედავად არაერთი ნაკლისა, პოზიტიური როლი შეასრულა ქართული ჟურნალისტიკისა და მწერლობის, – ზოგადად ქართული კულტურის, – ისტორიაში. მან გამოაცოცხლა იმდროინდელი ქართველი საზოგადოების კულტურულ-სალიტერატურო ინტერესები, გააღვივა ინტერესი ნაბეჭდი ლიტერატურული ტექსტისადმი, შეძლო ძველი და თანადროული ქართული მწერლობის პოპულარიზაცია – აქ გამოქვეყნდა პირველად თეიმურაზ I-ის, თეიმურაზ II-ის, ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებები, ალექსანდრე ჭავჭავაძის ორიგინალური ლექსები... ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა (თუნდაც სუსტი და არასრულფასოვანი თარგმანის მეშვეობით) ქართულ ენაზე პირველად გაცნობოდა ფ. პეტრარკას, პ. კორნელის, ფ. შილერის, ვ. ჰიუგოს, ა. მიცკევიჩის საკაცობრიო მნიშვნელობის შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს, რაც აფართოებდა ქართველი მკითხველის ლიტერატურულ თვალსაწიერსა და ხელს უწყობდა ლიტერატურული აზროვნებისა და ინტერესების ევროპეიზაციას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ „ცისკარი“ იყო პირველი ქართული პერიოდული გამოცემა, რომლის ფურცლებზეც ქართველი ქალების თხზულებები დაიბეჭდა (დარია ერისთავი, ელ. წერეთელი) და ამით საზოგადოების თვალში, თეატრალური ხელოვნების კვალდაკვალ, ახალი სტიმული მიეცა ქართველ ქალთა მოღვაწეობას კულტურულ-სალიტერატურო ასპარეზზე...

ერთი სიტყვით, გიორგი ერისთავის „ცისკარმა“, თავისი დროის ერთადერთმა ქართულმა პერიოდულმა გამოცემამ, ააღორძინა და გააგრძელა ს. დოდაშვილის მიერ დანერგილი, ეროვნული ინტერესებისა და მიზანდასახულობის გამომხატველი ჟურნალისტური ტრადიცია და „1852 წლიდან დაუდო დასაბამი იმ საჟურნალო (ჟურნალისტურ – თ. ჯ.) ცხოვრებას, რომელიც მესამოცე წლებიდან არაჩვეულებრივად გაიზარდა და იქცა ქართული საზოგადოებრივი განვითარების მთავარ ფაქტორად“ (ვახტ. კოტეტიშვილი).

ლიტერატურა:

ბალახაშვილი ი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბ.: 1940, გვ. 181-190.

ბოცვაძე ი. პრესა და მწერლობა. თბ.: 1976, გვ. 41-53.

გაბედავა ვ. ა. ბესტუჟევის მოთხრობების თარგმანები „ცისკრის“ ფურცლებზე. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1977, №4, გვ. 112-128.

გამეზარდაშვილი დ. გიორგი ერისთავი. წიგნში: **დ. გამეზარდაშვილი**. ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან. თბ.: 1953, გვ. 224-231.

გაჩეჩილაძე ა. ჟურნალი „ცისკარი“. წიგნში: **ა. გაჩეჩილაძე**. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I. თბ.: 1952, გვ. 308-316.

გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I. თბ.: 1954, გვ. 312-372.

გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), ტ. I. თბ.: 1941, გვ. 113-137.

კალანდაძე ალ. გვაქვს საგანძური... (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა). თბ.: 1986, გვ. 291-330.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I (1819-1853). თბ.: 1977, გვ. 237-392.

კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). წიგნში: **ვ. კოტეტიშვილი**. რჩეული ნაწერები (ორ წიგნად). **დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, წგნ. I. თბ.: 1965, გვ. 174-176.

მეუნარგია ი. გიორგი დავითის ძე ერისთავი. წიგნში: **ი. მეუნარგია**. ქართველი მწერლები. **სოლ. ცაიშვილის** რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით, I. თბ.: 1954, გვ. 267-271.

ჭიჭინაძე ზ. ქართულ გაზეთის ასი წლის ისტორია. თფ.: 1916, გვ. 27.

ჭუმბურიძე ლ. ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა პუბლიკაცია ჟურნალ „ცისკარში“. კრბ. „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (**დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, III. 1974, გვ. 111-124).

ჯოლოგუა თ. მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ. კრბ. „აკაკი წერეთელი – 170“ (თბ.: 2011, გვ. 121-145).

ჯორჯაძე ა. მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის. წიგნში: **ა. ჯორჯაძე**. წერილები. შემდგენელი **ა. ბაქრაძე**. თბ.: 1989, გვ. 103-110.

Берзенов Н. Обзор грузинских периодических изданий с начала их основания. „Кавказский календарь“, 1869, с. 55-64.

ბიბლიოგრაფია იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945). შედგენილი **გ. ბაქრაძის** მიერ, **ვ. ეგნატაშვილის** რედაქციით. თბ.: 1947, გვ. 4.

Абрамишвили А. Грузинская периодика (1819-1917). Тб.: 1968, с. 35-37.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია იხ. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. I (1852-1877). **გ. აბზიანიძის** რედაქციითა და წინასიტყვაობით, ბიბლიოგრაფიული რედაქცია და საძიებელი **თ. მაჭავარიანისა**. თბ.: 1940.

ივანე კერესელიძის „ცისკარი“

(1857-1875)

გიორგი ერისთავის „ცისკრის“ დახურვის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოება საკუთარი პერიოდული გამოცემის გარეშე იყო დარჩენილი. ივანე კერესელიძემ, რომელსაც გიორგი ერისთავმა „ცისკრის“ აღდგენა-გამოცემის უფლება გადასცა, გადაწყვიტა არა ძველი ჟურნალის აღდგენა, არამედ – ახლის გამოცემა, მაგრამ ამ მიმართულებით გადადგმული მისი ყველა ნაბიჯი წარუმატებელი გამოდგა. ზაქარია ჭიჭინაძე იმოწმებს ივ. კერესელიძის ნათქვამს: „1855 წელს ერთს კრებაზე გარდავწყვიტეთ ჟურნალის გამოცემაო.[1] მერე სთქვესო, თუ რა გამოვცეთო. ზოგმა სთქვა, „ცისკარი“ განვაახლოთო, ზოგმა სხვა ახალი ჟურნალის სახელი დაასახელაო... ბოლოს გარდავსწყვიტეთ, რომ ისევ „ცისკრის“ გამოცემის, ანუ განახლების ნებართვა ვითხოვოთო, თორემ ვაი თუ სხვების გამოცემის ნებართვა არ მოგვცენო. შემდეგი, ანუ მეორე კრება, ალ. ორბელიანის სახლში მოხდა. სხვათა შორის, იქ დაესწრო დიმ. ყიფიანიც. საუბრის შემდეგ პროგრამის შედგენა დიმ. ყიფიანს მიანდეს“.

1854 წელი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის, მის თანაშემწე მაქსიმოვიჩსა და დიმ. ყიფიანს შორის გამართულ ოფიციალურ მიმოწერაში გაილია. კერძოდ, 1854 წლის 26 აგვისტოს ალ. ნიკოლაიმ წერილობით მიმართა დიმ. ყიფიანს:

„ჟურნალი „ცისკარი“ კერესელიძეს გადასცა წინანდელმა გამომცემელმა, თავადმა ერისთავმა... კერესელიძის განცხადებით, თქვენ მზად ხართ, სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღოთ ხსენებული ჟურნალის გამოცემაში... მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ, მოწყალეო ხელმწიფეო, მომაწოდოთ თქვენი შეხედულება კერესელიძის ლიტერატურულ შესაძლებლობებზე, აგრეთვე, მის მიერ გამოსაცემად განზრახულ ჟურნალ „ცისკარზე“.

იმავე წლის 16 ოქტომბერს უკვე მაქსიმოვიჩი სწერს დიმ. ყიფიანს:

„თბილისის საგუბერნიო სასწავლებელთა დირექტორი მატყობინებს, რომ ბ-ნ კერესელიძეს ჟურნალის პროფილის გაფართოება გადაუწყვეტია და, ერთი მხრივ, ამგვარ საქმეში გამოუცდელობისა და, მეორე მხრივ, ნაკისრი მოვალეობის უკეთ განხორციელების მიზნით თქვენთვის უთხოვია, იკისროთ ჟურნალში დასაბეჭდი სტატიების (მასალების – თ. ჯ.) შერჩევასა და მათს ღირსებაზე მეთვალყურეობა. კერესელიძის თქმით, თქვენ ამაზე თანხმობა მიგიციათ. მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ... დაუდასტუროთ განათლების მზრუნველს, რომ კისრულობთ კერესელიძის ქართულ ლიტერატურულ ჟურნალზე მთავარი მეთვალყურის ფუნქციას“.

ფაქტობრივად ამით ხელისუფლება დიმ. ყიფიანს „ცისკრის“ საერთო ხელმძღვანელობას აკისრებდა.

დიმიტრი ყიფიანი, თავის მხრივ, აუცილებლობად მიიჩნევდა ჟურნალის პროფილის გაფართოებასა და თემატურ-შინაარსობრივ გამრავალფეროვნებას, განსაკუთრებით, საისტორიო-სამეცნიერო განყოფილების შემოღებას. იგი, მსგავსად ივ. კერესელიძისა, მხარს უჭერდა არა ძველი „ცისკრის“ აღდგენას, არამედ ახალი ჟურნალის დაარსებას (სხვათა შორის, ახალი ჟურნალის დაარსების ინიციატორები გამოცემის სახელწოდებად სხვადასხვა

[1] aq an ambis mTqmels eSleba, an ambis gadmomcems: dokumenturad dasturdeba, rom mzadeba Jurnalis gamosacemad ufro adre, 1854 wlidan, dawyebula.

ვარიანტს განიხილავდნენ, თუმცა რატომღაც ძირითადად ასტრონომიული „თემატიკით“ შემოიფარგლებოდნენ: „მზე“, „ვარსკვლავი“, „ხომალი“, „მნათობი“ და სხვ.).

დიმ. ყიფიანს ისიც მკაფიოდ ჰქონდა გააზრებული, რომ ხელის მომწერთა იმედზე დარჩენილ ჟურნალს საქართველოში, უკეთეს შემთხვევაში, არსებობის მეტისმეტად სუსტი პერსპექტივა თუ ექნებოდა. ამიტომაც, მან ჟურნალის საერთო ხელმძღვანელობა იმ პირობით იკისრა, თუ ხელისუფლება დააკმაყოფილებდა მის მიერ წარდგენილ პროექტს. ამ პროექტის მიხედვით კი ახალი ჟურნალის სახელწოდება, ნაცვლად „ცისკრისა“, უნდა ყოფილიყო „ქართული ჟურნალი“ ან „თბილისის ჟურნალი“. მის ფურცლებზე, გარდა ორიგინალური თუ ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურისა, უნდა გამოქვეყნებულიყო „ჩვენი ძველი და თანამედროვე ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალა, გამოკვლევები, გუჯრები, სიგელები და საერთოდ ჩვენი ძველი აქტები და ყოველგვარი არქეოლოგიური მონაცემები. აგრეთვე, ძველი თხზულებები... საქმიანი კრიტიკა, რა საკითხსაც არ უნდა შეეხებოდეს იგი“.

ამასთანავეო, განაგრძობს დიმ. ყიფიანი ალ. ნიკოლაისადმი 1854 წლის 10 ნოემბერს გაგზავნილ ოფიციალურ პასუხში: „ხელისუფლების ყველა განკარგულება, განცხადება, გამოძახება, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს მათი შესრულების ან საპოლიციო თუ სასამართლო წესით პიროვნული და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით, არსებითად, უცნობი რჩება ქართველი მოსახლეობისათვის. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ქართულ ენაზე არ არსებობს არც ერთი პერიოდული გამოცემა. ამიტომაც ფრიად სასარგებლო იქნება, თუ ქართულ ჟურნალს მიეცემა ოფიციალური მნიშვნელობა და დაკანონდება, რომ აქ, ისევე, როგორც საგუბერნიო უწყებებში, გამოქვეყნდება ხელისუფლების ყველა განკარგულება, განცხადება თუ გამოძახება“. მე მზად ვარ, – განაგრძობს დიმ. ყიფიანი, – ვიკისრო ჟურნალის საერთო ხელმძღვანელობა, თუ ზემოაღნიშნული პირობები დაკმაყოფილდება და ყოველივე ამას ისიც დაემატება, რომ „ჟურნალი იქნება ამიერკავკასიის მთავარმმართველობის მფარველობის ქვეშ“.[2]

---

[2] dim. yifianis survilma, JurnalisaTvis mfarveloba xelisuflebas gaewia, warmoSva mosazreba, TiTqos es programa `maamebluri~ da `reaqciuli~ iyo (`dim. yifianis Zvirfasi xsovnisadmi usazRvro mokrZalebis miuxedavad, gadaWriT unda vTqvaT, rom mis mier wardgenili proeqti ara marto utopiuri, aramed reaqciulic iyo; mas mefis moridebuli biurokrati moxelis beWedi azis... mTavrobisaTvis miuRebeli aRmoCnda dim. yifianis maamebluri programac ki, romelic Jurnalis naxevrad oficialur organod gadaqcevas gulisxmobda~ _ al. kalandaZe).

darwmunebiT unda iTqvas, rom mfarvelobaSi yofna ar gulisxmobda kavkasiis mTavarmmarTvelobisadmi daqvemdebarebas. saerTod, dim. yifiani aseT sakiTxebs realisturad uyurebda. igi darwmunebuli iyo, rom xelisuflebis mxridan materialuri xelSewyobis gareSe darCenil periodul gamocemas saqarTveloSi didi dRe ar ewera. swored xelis momwerTa simcire da, aqedan gamomdinare, usaxsroba iyo ZiriTadi mizezi imisa, rom mis Tvalwin daixura uklebliv yvela qarTuli gazeTi Tu Jurnali. TviTon al. kalandaZis marTebuli SeniSvniT, im dros `araTu qarTul gamocemebs, xelismoweris TanxiT rusul Jurnal-gazeTebsac ki uWirdaT Tavis gatana... maT saxelmwifo uwyeba, akademia, universiteti an sxva sazogadoebebi inaxavda~. saqarTveloSi ki am droisaTvis qarTuli presis gamocemiT dainteresebuli `sazogadoebebi~ praqtikulad ar arsebobda. amitomac, swored xelmokleoba iyo mTavari mizezi imisa, rom SemdgomSi iv. kereseliZis `ciskars~ Tvidan Tvemde Zlivs gahqonda Tavi. xSirad saqme iqamdec ki midioda, rom xelis momwerTa dakargvis SiSiT redaqtor-gamomcemeli iZulebuli xdeboda, uniWo da uwignur avtorTa xelidan gamosuli literaturuli makulatura ebeWda JurnalSi da amiT misda uneburad mkiTxvelis gemovnebis daqveiTebisaTvis Seewyo xeli, rac araerTxel aRuniSnavT `ciskris~ maSindel Tu Semdgomi xanis kritikosebs (sxvaTa Soris, Tuki saamiso SesaZlebloba miecemoda, iv. kereseliZe arc xelisuflebis finansur daxmarebaze ambobda uars. ase, magaliTad, al. orbelianis mier `ciskarSive~ gamoqveynebuli cnobis mixedviT, `grigol orbelianma uSuamdgomla Cvens Jurnals kniaz namestnikTan... fulebi eboZebina Cvenis `ciskrisaTvis~).

როგორც ვხედავთ, დიმ. ყიფიანს ჩაფიქრებული ჰქონდა ფართო პროფილის სოლიდური, ქართველი საზოგადოებისათვის უაღრესად საჭირო და სასარგებლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სალიტერატურო და სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაარსება.

დიმ. ყიფიანის მიერ ჩამოყალიბებულმა საფუძვლიანმა და შორს გამიზნულმა პროგრამამ ივ. კერესელიძე და მისი თანამოაზრეები (ალ. ორბელიანი, რაფ. ერისთავი, ლ. არდაზიანი, გრ. რჩეულიშვილი, ალ. სავანელი და სხვ.), ცოტა არ იყოს, დააფრთხო. ზ. ჭიჭინაძე იმოწმებს ივ. კერესელიძის ნაამბობს: „[დიმიტრი ყიფიანმა პროგრამის შედგენა] იკისრა და შემდეგის კრებისათვის წარმოადგინა. კრებაზე წესდება განიხილეს, მაგრამ სასარგებლოდ ვერ სცნეს, რადგანაც პროგრამაში მოხსენებული იყო პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეკონომიური და სხვა ამგვარი ნაწილებიცაო. ყველამ სთქვეს, რომ ამ პროგრამით ჟურნალის გამოცემის ნებას არ მოგვცემენო. ამიტომ ეს პროგრამა დასტოვეს და მერე სხვა შეადგინეს, უბრალო პროგრამა, ისევე, როგორც წინეთ შეედგინათ...“.

უნდა ითქვას, რომ არც იმდროინდელი ხელისუფლებისათვის იქნებოდა მისაღები ისეთი პერიოდული გამოცემის დაარსება, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენი საზოგადოების კულტურულ-ინტელექტუალურ დაწინაურებას მკაფიოდ გამოკვეთილი ეროვნული ნიშნით. ამიტომაც ხელისუფლებამ საკითხი კატეგორიულად დასვა – ახალი ჟურნალი კი არ უნდა დაარსდეს, არამედ ძველი უნდა აღდგეს ადრინდელი პერიოდულობით, ძველივე პროგრამითა და ოთხი განყოფილებით (პოეზია, პროზა, სწავლა და ხელოვნება, სხვადასხვა) და მაინცადამაინც „ცისკრის“ სახელწოდებითო. მართალია, ფორმალურად ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ **ფაქტობრივად ივ. კერესელიძის „ცისკარი“ თავისი სტრუქტურით, შინაარსითა და მიზანდასახულობით ახალი (წინამორბედისაგან დამოუკიდებელი) პერიოდული გამოცემაა:** „ყოველმხრივ მართებული იქნება, მას (ივ. კერესელიძის „ცისკარს“ – თ. ჯ.), გიორგი ერისთავის „ცისკრისაგან“ განსასხვავებლად, „ახალი ცისკარი“ ვუწოდოთ. ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ა. ფურცელაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე და სხვ. მას სრულიად ახალ, დამოუკიდებელ

---

rac Seexeba informaciuli Tu SemoqmedebiTi Tavisuflebis xarisxs, am mxriv, ramdenadme SesamCnevi sxvaoba ver iqneboda imis miuxedavad, iqneboda Tu ara Jurnali xelisuflebis mfarvelobaSi _ cenzura yvela SemTxvevaSi mkacrad gaakontrolebda JurnalSi gamosaqveynebel masalas da oficialuri kursisaTvis miuRebel teqstebs, rasakvirvelia, mis furclebze ar dauSvebda. ase rom, rodesac `mTavarmmarTvelobis mfarvelobaze~ laparakobs, dim. yifiani uTuod pragmatuli mosazrebiT xelmZRvanelobs da surs, Jurnals normaluri arsebobisaTvis aucilebeli materialuri pirobebi moupovos.

dim. yifianis programa marTlac `mefis moridebuli biurokrati moxelis~ xeliT rom yofiliyo dawerili, xelisufleba mas, rasakvirvelia, uyoymanod miiRebda da praqtikuladac ganaxorcielebda Jurnalis gamocemas swored am programiT. `reaqciuloba~ da `maamebloba~ (rac, sxvaTa Soris, isedac warmoudgeneli iyo dim. yifianis bunebis adamianisaTvis) ki ara, dim. yifiani Tavis proeqtSi TviTonve ukarnaxebs xelisuflebas Tavis pirobebs da am pirobebSi asaxulia im periodis qarTuli sazogadoebriv-kulturuli cxovrebis meTauris mkafio da mtkiced Camoyalibebuli principebi. am mxriv, didad sagulisxmoa dim. yifianis survili da ganzraxva, JurnalSi dabeWdiliyo samecniero-saistorio xasiaTis masalebi. saqme isaa, rom dim. yifianis SexedulebiT, saqarTvelos istoriis Seswavlasa da popularizacias, garda mecnierul-istoriografiuli mniSvnelobisa, patriotuli mizandasaxulobac hqonda: jer erTi, amiT mas surda rusi saxelmwifo da administraciuli moxeleebisaTvis daemtkicebina, rom maT saqme hqondaT ara uwarsulo da umomavlo, nacionaluri individualizmiT aRbeWdili kulturis armqone xalxTan (arada, qarTvelTa mimarT swored amgvar Tvalsazriss nergavda saxelmwifoebriv-oficialuri ideologiaca da am ideologiiT nakvebi rusuli mecniereba-Jurnalistikac), aramed xalxTan, romelsac, sxvas yvelafers Tavi rom davaneboT, im droisaTvis saxelmwifoebriobis mravalsaukunovani istoria hqonda. xolo meore mxriv, istoriuli warsulis warmoCenas dim. yifiani ganixilavda saqarTveloSi fexmokidebuli erovnuli nihilizmis daZlevis, daTrgunvili nacionaluri TviTSegnebis gamococxlebisa da aRorZinebis efeqtur saSualebad.

გამოცემად თვლიდნენ. ამიტომ სწორი არ არის ზოგიერთი ავტორის გამოთქმა, რომ გ. ერისთავის შემდეგ „ცისკრის“ გამოცემა ივ. კერესელიძემ განაგრძოო“ (ალ. კალანდაძე).

მანამდე კი, წესისამებრ, გაიმართა ოფიციალური მიწერ-მოწერა. მაშინდელი კანონით, თუ პერიოდული გამოცემა თუნდაც ერთი წლით შეწყდებოდა, მის აღდგენას რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების ხელახალი ნებართვა სჭირდებოდა. კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა (მ. ვორონცოვის შემცვლელმა), გენერალმა ნიკ. რეადმა, 1855 წლის 18 თებერვალს წერილობით მიმართა პეტერბურგში არსებულ „კავკასიის კომიტეტს“, რომელმაც კავკასიის ხელისუფლების თხოვნა იმპერატორს წარუდგინა და ეს ყველაფერი 1855 წლის 30 ნოემბერს ალექსანდრე II-ის ოფიციალური თანხმობით დასრულდა, თუმცა „ცისკრის“ გამოცემა 1857 წლამდე მაინც ვერ მოხერხდა: „ჟურნალის რაზრეშენიე მომივიდა, მაგრამ ვერა გამიგია რა, თუ რა ვქნა? დავიწყო თუ არა? პირველი ამაზედ მეშინიან, რომ ხელის მომწერელნი ვაი თუ ვერ ვიშოვნოო“, – სწერს ივ. კერესელიძე 1856 წლის 14 იანვარს რაფიელ ერისთავს.

როგორც ჩანს, ივ. კერესელიძემ პრობლემები მოაგვარა და „ცისკრის“ პირველი ნომერი 1856 წლის სექტემბრისათვის მას უკვე მზად ჰქონდა, თუმცა ჟურნალის ტირაჟის დაბეჭდვა მოგვიანებით მოხერხდა – პირველი ნომერი 1857 წლის იანვარში გამოვიდა. ასე რომ, ივ. კერესელიძის „ცისკრის“ გამოცემას სამი წელიწადი დასჭირდა – საქმე დაიწყო მ. ვორონცოვის შემცვლელის, გენერალ ნიკ. რეადის, ხელში, გამოიარა გენერალ ნიკ. მურავიოვის მეფისნაცვლობის პერიოდი და დასრულდა მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის მმართველობისას. შინაარსი კი პირველი ნომრისა ასეთი იყო:

პოეზია

ივანე კერესელიძე, ცისკარი 1-2
ვახტანგ ჯამბ[აკურ]-ორბ[ელიანი], ბულბული 2-3
ვოლტერი, აღსარება
(თარგმანი ალექსანდრე ჭავჭავაძისა) 3-4
სალომე მაყაევი, ოცნება 5
ალექსანდრე პუშკინი, რომანსი (თარგმანი დიმიტრი მგალობელოვისა) 5-6
ილია ჭავჭავაძე, ჩიტი 7

პროზა

ჟან ფრანსუა მარმონტელი, მეუდაბნოენი (ქართულად გარდმოღებული სარდიონ ალექსიევ-მესხიევისაგან) 9-44

ჰსწავლა და ხელოვნება

სოლომონ მსაჯული [ლიონიძე], მოთქმით ტირილი საქართველოს მეფისა ღერკულეს ნეტარებისა ღირსისა 45-52

სხუა და სხუა ანბავი

ივანე კერესელიძე:
კბილის ჰაქიმი 53-61
ცოლისაგან ქმრის ღალატი 61
ქურდის ენა-მეტყველობა 61
„რედაქცია ქართულის სალიტერატურო ჟურნალისა...“ [რედაქცია მკითხველს წინასწარ უხდის ბოდიშს მოსალოდნელი ხარვეზების გამო] 62

როგორც ვხედავთ, „ცისკრის“ პირველი ნომერი იხსნება ივ. კერესელიძის ლექსით „ცისკარი“, რომელიც არსებითად პროგრამული ხასიათისაა და მასში პოეტური ფორმით ჩამოყალიბებულია ახალდაარსებული ჟურნალის ძირითადი მიზანდასახულობა – ერში განათლების გავრცელება და დამკვიდრება:

მზე აღმოვალს და ერს განანათლებს,

ღამესა იგი მსწრაფლ განასანთლებს...
დილის ცისკარო, გვეჩვენე მარად,
რადგან შექმნილხარ დღის წინამძღვარად!
რა გჭვრეტ, არ ვკარგავთ ივერნი იმედს,
განათლება სურს ჩვენიც შემოქმედს!..

ჟურნალის შემეცნებით და საგანმანათლებლო მიზანდასახულობას გამოხატავს ეპიგრაფად წამძღვარებული ბიბლიური შეგონებაც: **„თუ შეიყვარო სმენად, მიითვალე, და თუ უკეთუ მიუპყრა ყური შენი, ბრძენ იქმნე!“** (სიბრძნე ზირაქისა, VI. 33).

თავიდან ივ. კერესელიძემ შეძლო კარგად დაეყენებინა ტირაჟის გავრცელების საქმე. მას რეგიონებში ჰყავდა ჟურნალის გამავრცელებლები, რომლებიც იმავდროულად ადგილებიდან საინტერესო ცნობებსა თუ სხვა სახის საჟურნალო მასალებს აწვდიდნენ „ცისკრის“ რედაქტორს. ჟურნალი ვრცელდებოდა აგრეთვე პეტერბურგში, ხოლო ზოგიერთი ნომერი საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების ხელშიც კი ხვდებოდა.

„ცისკრის“ რედაქცია ჯერ ალექსანდრე ორბელიანის სახლში (ანჩისხატის უბანში) იყო მოთავსებული, საიდანაც 1858 წელს გადავიდა კუკიაზე, პოეტისა და თბილისის თვითმმართველობის მოხელის, დიმიტრი ბერიევის (ბერიშვილი), ბინაში, შემდეგ კი (1870-იან წლებამდე) – კერესელიძის საკუთარ სახლში, ალექსანდრეს (ამჟამად ეგნატე ნინოშვილის) ქუჩაზე.

ივ. კერესელიძის „ცისკრის“ პირველი ნომრის გამოსვლას მოჰყვა უჩვეულო მოვლენა ქართულ სალიტერატურო-ჟურნალისტურ ცხოვრებაში – ჟურნალს რეცენზენტი გამოუჩნდა. ეს იყო **ნიკოლოზ ბერძნიშვილი (ბერძენოვი)**, რომელმაც გაზეთ „კავკაზში“ (1857, №4) გამოაქვეყნა წერილი „რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ (ქართული ლიტერატურული ჟურნალის „ცისკრის“ პირველი წიგნაკის გამოცემის გამო)“ („Несколько слов о грузинской литературе (По поводу выхода в свет I-ой книжки грузинского литературного журнала „Заря“)“. ავტორმა მიმოიხილა „ცისკარში“ გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაწარმოებები და მოგვცა მიუკერძოებელი ანალიზი ჟურნალის როგორც ღირსებებზე, ისე – ნაკლზეც. ამასთანავე, ნ. ბერძნიშვილმა მოკლედ და ლაკონიურად ჩამოაყალიბა თვალსაზრისი ჟურნალისტიკის რაობაზე, მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე საზოგადოდ და საკუთრივ ქართული საზოგადოებრივი და კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრებისათვის.

„განუწყვეტელი მოძრაობითა და წინმსვლელობით აღბეჭდილ ჩვენს ეპოქაში ჟურნალისტიკამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. არ არის დარჩენილი ადამიანური მოღვაწეობის არც ერთი სფერო, რომელზეც თანამედროვე ჟურნალისტიკა არ ახდენდეს პირდაპირ თუ ირიბ ზეგავლენას. მისი საშუალებით გამოიხატება და მკვიდრდება მძლავრი პოლიტიკური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სამრეწველო იდეები – ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რითაც თანამედროვე განათლებული მსოფლიოა გამსჭვალული, რაც განაპირობებს კაცობრიობის გონებრივ განვითარებას და რამაც, თავის მხრივ, ჩვენს დროში მანამდე არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. ნუღარაფერს ვიტყვით ისეთ იშვიათ გამონაკლისებზე, როდესაც ჟურნალისტიკა გარკვეული პარტიების ხელში არაკეთილსინდისიერი პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გადაიქცევა ხოლმე, მაგალითად, ინგლისში და თვალი მივაპყროთ ე. წ. „ახალ სამყაროს“ ანუ ამერიკას. ყველამ, ვინც კი რამეს კითხულობს, იცის, თუ როგორი სისწრაფით აღმოცენდებიან იქ ქალაქები, მივარდნილ-მიყრუებული ადგილები გადაიქცევიან დასახლებებად და სიცოცხლე დუღს და გადმოდის იქ, სადაც ცოტა ხნის წინ უშენი ტერიტორიები და გაუვალი ტყეები იყო.

და რითი იწყებენ იქ ახალი ქალაქის დაარსებას?

ხეთა ტოტებისაგან სახელდახელოდ შეკოწიწებულ ქოხმახში დადგამენ საბეჭდ დაზგას და იწყებენ ჟურნალისა თუ გაზეთის გამოცემას. მერე რა, რომ ამ ჟურნალებისა თუ გაზეთების მკითხველთა წრე თავიდან მხოლოდ მისივე თანამშრომლებით (შესაძლოა, შემთხვევით შემოხეტებული თავგადასავლების მაძიებლებითაც...) შემოიფარგლება?! გაივლის რამდენიმე თვე და სწორედ ამ ქოხმახის ირგვლივ ჩნდება ჯერ ქუჩები, შემდეგ – უბნები, ხოლო ორ-სამ წელიწადში შენდება მთელი ქალაქი, რომელიც სულ მოკლე ხანში იძენს სავაჭრო, სამრეწველო, სალიტერატურო და სხვ. მნიშვნელობას. ასე და ამგვარად, ამერიკაში გაზეთი ან ჟურნალი იქცევა იმ შუქურად, რომლის გარშემოც შემოიკრიბება მოსახლეობა, იწყებს მრავალმხრივსა და მრავალფეროვან საქმიანობას, ხოლო ეს საქმიანობა დაფუძნებულია განუწყვეტელ მოძრაობასა და წინმსვლელობაზე...

ჟურნალისტიკა განსაკუთრებით ლიტერატურის განვითარებაზე ახდენს პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას. პირველი მეორისათვის თავისებური ბირჟაა, რომელსაც ევროპაში სამართლიანად უწოდებენ საზოგადოებრივი განვითარების გამომხატველ მაჯისცემას. ჟურნალისტიკით განისაზღვრება მოცემული ეპოქის გონებრივი მიმართულება, ნიშანდობლივი ხასიათი, ღირსებები თუ ნაკლოვანებანი, მოძრაობაში მოდის სიტყვიერებითი კაპიტალი ამა თუ იმ ქვეყნისა, ამა თუ იმ ხალხისა. ამასთანავე, ჟურნალისტიკა ყველაზე სანდო, ყველაზე ერთგული წინამძღვარია ახალ-ახალ იდეათა წარმოშობისას, აზრთა გაცვლა-გამოცვლისას. იგი გადაშლის სივრცეებს განსხვავებულ აზრთა შეჯახებისათვის, რომლის გარეშეც ვერ წარმოიშობა ჭეშმარიტება, როგორც ამას მართებულად ამბობდა ერთი მოაზროვნეთაგანი“.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს „ცისკრის“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართული ლიტერატურული აზროვნების აღორძინებაში და, ამასთანავე, ხაზგასმით მიუთითებს იმაზეც, რომ ჟურნალმა პირველ რიგში უნდა იზრუნოს მშობლიური ლიტერატურის წარმოჩენა-პოპულარიზაციაზე („დროა, საერთო ძალისხმევით ხელი მოვკიდოთ ჩვენს მშობლიურ ლიტერატურას, მივცეთ ბიძგი და ავიყვანოთ განვითარების იმ საფეხურზე, რომელსაც იგი იმსახურებს თავისი სიძველისა და შედარებითი სიმდიდრის გამო... ამასთანავე, გავბედავთ და ვურჩევთ ჟურნალის გამომცემელს – უპირატესობა მიანიჭოს ორიგინალურ თხზულებებს, რომლებშიც აისახება ადგილობრივი ცხოვრება, ასე მდიდარი და მრავალფეროვანი პოეტური თავისებურებებით“).

ნ. ბერძნიშვილმა საგანგებო მსჯელობის საგნად აქცია მთარგმნელობითი პრინციპების საკითხი და ამ კუთხით განიხილა ფრანგი მწერლის ჟან ფრანსუა მარმონტელის „მეუდაბნოენის“ სარდიონ ალექსი-მესხიშვილისეული თარგმანი. რეცენზენტის შეხედულებით, ქართველმა მწერლებმა უნდა თარგმნონ ისეთი უცხოური ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც უპასუხებს ქართველი მკითხველის ლიტერატურულ-ესთეტიკურ და ზნეობრივ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, ხელს შეუწყობს საქართველოში სამწერლობო პროცესების მხატვრულ და იდეურ გამდიდრება-გამრავალფეროვნებას და, ამ მხრივ, – ნ. ბერძნიშვილის თვალსაზრისით, – სრულებით არ იყო საჭირო თარგმნა და ერთადერთ ქართულ ჟურნალში გამოქვეყნება იმ უცხოელი ავტორისა, რომელიც საკუთარ სამშობლოშიც კი ძლივს ახსოვთ („მარმონტელი ლუდოვიკო XV-ის ეპოქის მწერალია და, – ამას დაბეჯითებით ვამბობთ, – არ იმსახურებს იმას, მკითხველისათვის საზღვარგარეთული ლიტერატურის გაცნობა მისი შემოქმედებით დავიწყოთ. ბევრი მისი ნაწარმოები მოკლებულია ზნეობრიობას და ამ მხრივაც იგი ვერ უძლებს კრიტიკას“).

დასასრულ, ნ. ბერძნიშვილი კიდევ ერთხელ ურჩევს ჟურნალის რედაქტორს, „პირველ რიგში, ხელი მოკიდოს მშობლიური ცხოვრების ასახვას, ჩვენი დიდი პოეტების: რუსთაველის, ჩახრუხაძის შესწავლას, ჩვენი ისტორიის, ეთნოგრაფიის დამუშავებას და სწორედ ეს მოუტანს უეჭველ გამარჯვებას მის მიერვე არჩეულ ასპარეზზე“.

ნ. ბერძნიშვილს მხოლოდ ამ წერილით არ ამოუწურავს თავისი ინტერესი „ცისკრისადმი“. იგი პერიოდულად განიხილავდა ჟურნალში გამოქვეყნებულ ლიტერატურულ მასალას და გაზეთ „კავკაზსა“ თუ „ცისკარშივე“ აქვეყნებდა კრიტიკულ-ლიტერატურულ მიმოხილვებს: „ჟურნალ „ცისკრის“ თებერვლის წიგნაკი“ („Февральская книжка журнала „Заря“), „ჟურნალ „ცისკრის“ რვა წიგნაკი (მარტიდან ოქტომბრის ჩათვლით)“ [„Восемь книжек (С марта по октябрь) журнала „Заря“], „ჟურნალ „ცისკრის“ 1858 წლის 12 წიგნაკის გაკვრით მიმოხილვა 1858 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით“ („Беглый обзор 12 книжек журнала „Заря“, с января по декабрь 1858 г.“), „პასუხისგება უ[ფალ] არდაზიანის კრიტიკაზედა“, „უ[ფალ] „ცისკრის“ რედაკტორს“...

ამ თხზულებებში ავტორი „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე დაყრდნობით მსჯელობს სინამდვილის რეალისტურად ასახვის, მწერლობის საზოგადოებრივი დანიშნულების, ეროვნული თემატიკისა და პრობლემატიკის პრიორიტეტულობის, ტიპურობის, აღმოსავლური (კერძოდ, სპარსული) პოეზიის პირდაპირი და ზედაპირული გავლენის აღმოფხვრისა და ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციის აუცილებლობის, ქართული პროზის ჩამორჩენილობისა და სხვა არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე.

საინტერესოა ნ. ბერძნიშვილის თვალსაზრისი ძველ ქართულ ლიტერატურაში დრამატურგიის არარსებობის მიზეზზე:

„ქართულ ენაზე პირველ ლიტერატურულ შრომებად უნდა ჩავთვალოთ საღვთო წერილისა და წმინდა მამათა ცხოვრების თარგმანები. ასე რომ, ქართველთა განათლებულობის ქვაკუთხედად სასულიერო მწერლობა უნდა მივიჩნიოთ. ცოდნისა და განათლების გავრცელების მხრივ თავდაპირველი მეთაურები სასულიერო წრეების წარმომადგენლები იყვნენ – მოძღვარნი და ეკლესიის მამანი. მათვე დაამკვიდრეს ხალხის ცხოვრებაში საეკლესიო სიბრძნე და აქციეს იგი უმთავრეს ელემენტად. იმდროინდელი გაგებით, უქმი იყო ყველა სხვა დანარჩენი ცოდნა მისი ცოდვილიანი ბუნების გამო. დაშვებული იყო გამონაკლისები წარმართულ-კლასიკური ხანის ზოგიერთი ისეთი ავტორის მიმართ, რომელნიც ბელეტრისტულ და ზნეობრივ-მორალისტურ თხზულებებს წერდნენ. ამგვარ ვითარებაში, რასაკვირველია, ხმის ამოღებაც კი არ შეიძლებოდა იმ ბერძენ მწერლებზე, რომელთა ნაწარმოებები განკუთვნილი იყო წარმართული სანახაობებისათვის, სცენისათვის... აი, მიზეზი იმისა, თუ რატომ იცნობდნენ ქართველები ჰეროდოტეს, კვინტუს კურციუსს და ა. შ., მაგრამ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმავე ჰეროდოტეს თანამემამულე და თითქმის თანამედროვე დრამატურგებზე“.

უნდა ითქვას, რომ მოგვიანებით ამ საკითხზე მსჯელობისას არსებითად ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა კორნელი კეკელიძე:

„ნამდვილი თეატრი უძველეს დროში ჩვენში არ იყო იმ მიზეზით, რა მიზეზითაც მას ვერ ვხედავთ ჩვენ სხვა საქრისტიანო ქვეყნებში. ქრისტიანობა თავიდანვე მტრულად შეხვდა ძველ ბერძნულ თეატრს, მთელი რიგი კანონისა მიმართულია თეატრისა და მსახიობთა წინააღმდეგ“.

ნ. ბერძნიშვილი ერთ-ერთი პირველი ლიტერატორია, რომელმაც, მართალია, მოკლედ, მაგრამ არსებითად მართებულად შეაფასა ნიკოლოზ ბარათაშვილის, როგორც გარკვეული ლიტერატურული სკოლის (რომანტიზმის) წარმომადგენლის, შემოქმედება („მის ნიჭს ახის ბეჭედი იმ იმედგაცრუებისა და უკმაყოფილებისა, იმ უნუგეშო მელანქოლიისა, რომლითაც გამოირჩევა ლერმონტოვისა და ბაირონის სკოლის სხვა ავტორთა პოეზია“). იგი ილია ჭავჭავაძის პირველი რეცენზენტია (შეაფასა „ცისკრის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული ილიას ლექსი „ჩიტი“, რომელიც, რეცენზენტის თქმით, გამოირჩევა „ბუნების უზადო აღქმით, პოეტური თხრობის სიმსუბუქითა და მელოდიურობით“) და სხვ.

ზოგადად ნ. ბერძნიშვილის კრიტიკულ-ლიტერატურულ ნააზრევი დაფუძნებულია ორ ძირითად პრინციპზე:

ა) ლიტერატურულ აზროვნებაში მთავარი და არსებითი ეროვნული თემატიკა და პრობლემატიკაა და, ამასთანავე, ქართული ლიტერატურა დაფუძნებული უნდა იყოს ეროვნულ ისტორიულ-კულტურულ მონაპოვრებზე („ჯერ არც ერთ ხალხს არ უთქვამს უარი საკუთარ წარსულზე, ხოლო ისტორია ქართველებისა ისეთია, როგორითაც ერთობ ცოტა ქვეყანას თუ შეუძლია თავი მოიწონოს. ქართული ჟურნალი უნდა იყოს ამსახველი ქართველთა წარსულისა და აწმყოსი").[3]

ბ) ქართული კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების განვითარებისათვის სასიცოცხლი მნიშვნელობა აქვს ეროვნული მწერლობის ევროპეიზაციას („დაე, ჩვენი მშობლიური წიაღის დამუშავებას თან სდევდეს მაცოცხლებელი სხივი ევროპული განათლებისა").

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნ. ბერძნიშვილს გამოუჩნდნენ ოპონენტები (ლ. არდაზიანი, ალ. სავანელი, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი და სხვ.), რომლებმაც „ცისკრის" ფურცლებზევე გამართეს ცხარე პოლემიკა ნ. ბერძნიშვილის ცალკეული მოსაზრებებისა თუ ზოგადად მისი პოზიციის წინააღმდეგ (ოპონენტები ერთხმად ამტკიცებდნენ – ასეთი მიუკერძოებელი კრიტიკა „ცისკრისა" ნაადრევია და მეტისმეტად მკაცრიო და სხვ.). არსებითად ამ პოლემიკამ დაუდო სათავე ქართულ ჟურნალისტიკაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების მეტ-ნაკლებად საფუძვლიან და სისტემურ ანალიზს და მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა კიდევაც ლიტერატურული ცხოვრება.

სალიტერატურო კრიტიკა გულისხმობს მიმდინარე ლიტერატურული პროცესების, თანადროულ მწერალთა, ცალკეულ თხზულებათა, ზოგადად თანადროულ ლიტერატურულ-ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ მიმართებათა განსჯა-ანალიზს. ნ.

---

[3] n. berZniSvilis amgvari poziciis pasuxad metad gavleniani figura kavkasiis rusulenovan presaSi, gazeT `kavkazis~ imJamindeli redaqtori fedot (fadei) bobiliovi werda: `literatura amsaxvelia xalxis cxovrebisa. maSasadame, imisaTvis, rom literatura iyos TviTmyofadi, saWiroa TviT es xalxic iyos TviTmyofadi da damoukidebeli. am mxriv, Cveni azriT, qarTuli literaturis dro wasulia... dRevandel dRes mecadineoba Zveli qarTuli literaturis aRorZinebisaTvis iseTive unayofo saqmea, rogori unayofo saqmec iqneboda dRes ruseTSi vinmes Cveni Zveli slavuri damwerlobis aRorZineba moendomebina. yvelafers Tavisi dro aqvs. miageT saTanado pativi Tqvens SesaniSnav poetebs, giyvardeT da SeiswavleT Tqveni rusTaveli... magram, pirvel rigSi, imaze dafiqrdiT, rom Zvel da axal qarTul literaturas Soris mkafio mijnad aRmarTulia saqarTvelos bedi, misi politikuri da istoriuli gardasaxva (avtori gulisxmobs saqarTvelos moqcevas ruseTis saxelmwifoSi _ T. j.). esec unda vikiTxoT: visTvis gamoicema qarTuli Jurnali?.. unda vifiqroT, im qarTvelebisaTvis, romlebmac ar ician arc rusuli da arc sxva romelime evropuli ena... nebismieri ganaTlebuli qarTveli monaxavs wasakiTxs uaRresad mdidar dasavlur literaturaSi, xolo sakuTari mwerloba ki maT wignebidan da xelnawerebidan ician. `ciskars~ rCeba is sofleli mkiTxveli, romelmac rusulic ki ar icis da swored am fenaze unda ifiqron Jurnalis gamomcemlebma... ratom ar unda eZleodes am rigis mkiTxvelebs praqtikulad gamosayenebeli statiebi? vTqvaT, miwaTmoqmedebis, Sinameurneobis sakiTxebze? ratom ar unda hqondeT maT saSualeba, Tvali adevnon iseT mecnierul aRmoCenebs, romlebic adgilobriv soflur yofaSi iqneba mosaxmari?..~ da a. S. [kvlav qarTuli literaturis Sesaxeb (uf. berZenovis werilis gamo), `კავკაზ~, 1857, #92].

marTalia, f. bobiliovi `ciskris~ mesveurebs Zveli saistorio masalebis Sekreba-publikaciasac urCevs, magram misi `zrunva~ qarTul kulturaze amaze Sors ar midis da avtors qarTuli kultura istoriaSi `CasarCenad~ hyavs gawiruli, momavalSi ki qarTvelebma mTeli TavianTi Zalisxmeva ruseTsa da mis kulturaSi Serwymas unda moaxmarono. xazgasmiT unda iTqvas, rom f. bobiliovis es Tvalsazrisi gamoxatavs sakiTxisadmi ara mxolod avtoris damokidebulebas, aramed igi unisonSia oficialur rusifikatorul politikasTanac da am fonze kidev ufro mkafiod ikveTeba n. berZniSvilis SexedulebaTa erovnul-kulturuli mniSvneloba.

ბერძნიშვილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში პირველად იძლევა **მიმდინარე** ლიტერატურული პროცესების **სისტემურ** ანალიზს და, შესაბამისად, იგი საგანგებო მნიშვნელობის ფიგურად უნდა ჩაითვალოს ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში.

გაფართოება, შემდგომი გაღრმავება და დასაბუთება პრობლემათა იმ რიგისა, რომელიც ნ. ბერძნიშვილის ნაწერებშია მოცემული, ორგანულად უკავშირდება ილია ჭავჭავაძის სახელს და, ამდენად, ნ. ბერძნიშვილი თვალსაჩინო ფიგურაა იმ პირთა შორის, რომლებიც სათანადო ნიადაგს უმზადებდნენ ი. ჭავჭავაძის, – საერთოდ, „თერგდალეულთა“ („სამოციანელთა“), – ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივ შეხედულებებსა და პოზიციას.

ორიოდე სიტყვა ქართული კულტურის წინაშე ნიკოლოზ ბერძნიშვილის დამსახურებებზე:

ა) იგი იყო თავისი დროის თვალსაჩინო ჟურნალისტი – 1850-იან წლებში რედაქტორობდა გაზეთ „კავკაზს“ და სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ამ გაზეთში ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი განყოფილების გაფართოება-გამრავალფეროვნება, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორისტული ხასიათის მასალების ბეჭდვა და სხვ.

ბ) ისტორიკოსი და ეთნოგრაფი – პრესაში აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის, ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, ყოფითი ეტიკეტისა და სხვ. საკითხებზე; თანაავტორია მრავალმხრივ საყურადღებო წიგნისა „თბილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“ (რუსულ ენაზე), რომლის საისტორიო ნაწილის ავტორია დიმიტრი ბაქრაძე, ხოლო ეთნოგრაფიული ნაწილისა – ნ. ბერძნიშვილი.

გ) ფოლკლორისტი – აქვეყნებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს: შრომის სიმღერების ტექსტებს, საწესჩვეულებო პოეზიას, ისტორიულ, რელიგიურ და მითოლოგიურ გადმოცემებს, ზღაპრებს, ლეგენდებს. მის ბევრ პუბლიკაციას ახლავს მისივე წინასიტყვაობა და კომენტარები.

დ) გამომცემელი – 1870 წელს გამოსცა დ. გურამიშვილის „დავითიანი“ (პ. უმიკაშვილთან და გ. წერეთელთან ერთად), განმსაზღვრელი მნიშვნელობის ღვაწლი დასდო ალ. დიუმას „კავკასიის“ პ. რობოროვსკისეული რუსული თარგმანის გამოცემას.

ნ. ბერძნიშვილს ეკუთვნის საინტერესო ნაშრომი „სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში“, რომელშიც მიმოხილულია ჩვენი დიდი მწერლისა და მოღვაწის ლიტერატურული მემკვიდრეობა, ხოლო სულხან-საბას მიერ კათოლიკობის მიღების ფონზე განხილულია კათოლიკური რომის პროპაგანდა საქართველოში და სხვ.

ნ. ბერძნიშვილი დაიბადა ჩრდილოეთ ოსეთში (არდონში), სადაც მამამისი, მღვდელი გიორგი ბერძნიშვილი, ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას. ნიკოლოზმა ბავშვობა ოსურ გარემოში გაატარა, იქვე დაამთავრა ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებელი და, ამდენად, კარგად იცნობდა ოსეთის ისტორიასა და ოსი ხალხის კულტურას. ნ. ბერძნიშვილს თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი ოსური ეთნოგრაფიის შესწავლასა და პოპულარიზაციაში.

სიცოცხლის ბოლო წლებში ნ. ბერძნიშვილი იყო „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის“ მუდმივი წევრი და „კომისიის“ თავმჯდომარის, ადოლფ ბერჟეს, ფაქტობრივი მოადგილე (დიმ. ბაქრაძესთან ერთად). მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ მრავალტომეულის გამოცემას.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი გარდაიცვალა 1874 წლის 3 ოქტომბერს, 45 წლისა, ფიზიკური დაუძლურებისაგან, „გარდაიცვალა უკიდურეს სიღატაკეში, დატოვა რა გამოუვალ მდგომარეობაში ცოლი და ხუთი მცირეწლოვანი შვილი“ (დიმ. ბაქრაძე); დაკრძალეს

თბილისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. სამწუხაროდ, მისი საფლავი ამჟამად დაკარგულია.

მართალია, ნიკოლოზ ბერძნიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობაზე არა ერთი და ორი ნაშრომია გამოქვეყნებული, მაგრამ მეცნიერული ინტერესები და ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს მისი უანგარო ცხოვრებისა და თვალსაჩინო ღვაწლის მონოგრაფიულ შესწავლას, სალიტერატურო და მეცნიერული მემკვიდრეობის ყველა ღირსებისა თუ ნაკლის გამოწვლილვით კვლევა-ანალიზს...

არა მხოლოდ ივ. კერესელიძის „ცისკრის“, არამედ საერთოდ ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა 1857 წლის ნოემბერში, როდესაც ჟურნალის მე-11 ნომერში **„მოლაყბის“** ფსევდონიმით გამოქვეყნდა პუბლიცისტური თხზულება სათაურით **„სალაყბოს ფურცელი“**. როგორც გამოირკვა, ეს იყო დასაწყისი წერილების სერიისა, რომელმაც არსებითად სათავე დაუდო ქართულ პუბლიცისტიკას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. სულ 1857-1866 წლებში გამოქვეყნდა 22 თხზულება.

„მოლაყბემ“ სადა, ადვილად გასაგები და ცოცხალი სალიტერატურო ენით მწვავედ დასვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხები და, რაც მთავარია, დაიწყო საზოგადოებრივ მანკიერებათა დაუფარავი კრიტიკა. პირველსავე „სალაყბოს ფურცელში“ ავტორი წერს: „ახლა იმისთანა საუკუნეში ვდგავართ ჩვენი იმპერატორის წყალობით, რომ რას არა ვიქმთ. მაგრამ რა გაეწყობა: გონება ჩვენი ყოვლის მხრით დაბნეულია. პირველი აქედამვე ავიღოთ მაგალითი, რომ კაცი ყოველსავე თავის აზრს წარმოთქუამს უშიშრად, ყველას კაცს შეუძლიან სჯა, როგორც ჭკუა უჭრის, მაშასადამე, რას მოგვიკეცია და ვსხედვართ; რას გვარგებს სხუათა განათლება, თუ ჩვენ არ გავინათლეთ თავი: ვსწეროთ, ვიკითხოთ, ვიმუშაოთ, ვიბეჯითოთ, რომ სთქვან, ესენიც ხალხში ურევიანო. ვიფიქროთ, ვიაზროთ, ვსაჯოთ, გზა გახსნილი გვაქვს, ალაგი გვაქვს ჟურნალში“.

როგორც თანდათანობით გამოირკვა, „მოლაყბის“ ძირითადი სათქმელიც სწორედ ეს იყო:

ა) რუსეთისა და მისი ხელისუფლების სურვილია ქართველთა კულტურული დაწინაურება, ქართველთა განათლებაზე ზრუნვა და ამ მხრივ ჩვენ შესანიშნავი პირობები გვაქვს შექმნილი.

ბ) ხელისუფლების ამ სურვილის პრაქტიკულ განხორციელებას ხელს უშლის თვითონ ქართველთა შეუგნებლობა, სიზარმაცე და პატრიოტული სულისკვეთების მოდუნება, რაც ყველაზე მკაფიოდ ჟურნალ „ცისკრისადმი“ საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებაში ვლინდება.

საერთოდ, „მოლაყბე“ მხურვალე მომხრეა არსებული პოლიტიკური რეჟიმისა და არაერთ „სალაყბოს ფურცელში“ აღავლენს აპოლოგიას იმ რეჟიმისას, რომლისგანაც გამოელის ყველა სიკეთეს: „მტერი ვერა ჰბედავს ჩუენს შევიწროვებასა, ვინაიდან გვიცავს უძლიერესი ორთავიანი ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისა, სწავლა ჰყვავის უსიტკბოესის ნაყოფითა, გარნა თანდათან მიეცემის სისუსტესა, დაუდევნელობით ჩუენი ენა, რომლისთვისაც ცდილობს უმაღლესი ჩუენი მთავრობა, გვაძლევს ყოველსავე შემწეობასა და არარას ზოგავს ჩუენთვის, ჩუენის კეთილ-მდგომარეობისათვის. ამისთანას მყუდრო მდგომარეობაში, კაცს არ შეეძლოს თავისი სამშობლო ენის მოხმარება! უბედურება არ არის? მე უბედურება მგონია ესა და არა თუ უბედურება, უბედურებაზე უბედურება!! მაგრამ რა, ვის ველაპარაკები უბედურებაზედ. განა იმდენი მხურვალება გვაქვს გულში, რომ ვიგრძნოთ უბედურება?“ (1857, №12).[4]

[4] ruseTis SemadgenlobaSi yofna `molaybes~ bednierebad miaCnia da mxurvaled qadagebs: `radgan vaxsene exlandeli dro, unda kidevac gangimartoT exlandeli drois mniSvneloba. amisTana bedniers

„სალაყბოს ფურცლების“ თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ ძირითადად ყველა საკითხი (სწავლა-განათლება, ქართული ლიტერატურული თხზულებების გამოცემა, თავადაზნურობის წინამძღოლის არჩევნები, თვით საგლეხო რეფორმაც კი...) პირდაპირ თუ ირიბად მაინც ერთ, – „მოლაყბის“ შეხედულებით, ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის, – პრობლემას, ჟურნალ „ცისკრის“ გადარჩენას უკავშირდება. ხოლო „ცისკარი“, „მოლაყბის“ რწმენით, ქართველთა ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება-განვითარებისა და კულტურულ-იდეოლოგიური აღორძინების უმთავრესი საშუალებაა და უბედურება ისაა, რომ საზოგადოებას ეს გარემოება საფუძვლიანად არა აქვს გააზრებული და გაცნობიერებული, რითაც რეალური საფრთხე ექმნება ჩვენს ეროვნულ თვითარსებობას. **„მაღალი წოდება გადაგვარებულია, ქართულ ჟურნალს არ ეტანება“** – ესაა „მოლაყბის“ მთავარი სათქმელი და ძირითადად ამ სათქმელს უტრიალებს იგი თავის „სალაყბოს ფურცლებში“.[5]

ქართველმა არისტოკრატიამ, რომლისთვისაც პრესის ფურცლებიდან კრიტიკა უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა (მით უმეტეს, ამგვარი კრიტიკის ერთ-ერთი საგანი სოციალური უსამართლობა იყო), იუკადრისა „მოლაყბის“ ამგვარი სატირული „გამოხდომები“ და მედგრად შეუტია არა მარტო „უტიფარ“ „მოლაყბეს“, არამედ ივ. კერესელიძესა და მის ჟურნალსაც. რედაქტორი იძულებული გახდა, თავი ემართლებინა და უკმაყოფილო მკითხველისათვის „გამოსწორების“ იმედიც შთაენერგა:

„მოვყევით სალაყბოს ფურცლის გამოცემასა იმ აზრით, რომ ვგონებდით საზოგადოება აღტაცებით მიიღებდა ამ საგრძნობელ სტატიას. მაგრამ, რას იტყვით, თითქმის ოთხკუთხივ აღგვიდგნენ! რა ვპოვეთ იმ სტატიაში წინააღმდეგი? გარწმუნებთ, რომ რასაცა სწერდა უ[ფალი] მოლაყბე, ყოველივე იყო გამოსული კეთილის გულიდგან, გულმტკივნეულობით.

---

mdgomareobaSi Tavis dReSi ara vyofilvarT: aba romeli mteri awuxebs Cvens myudroebiT mdgomareobas? aba romeli mahmadiani barbarosi atyvevebs Cvens cols, gina Svils, gina naTesavs da sxva? uwin TiTqmis yoveli kaci mters undeboda da Tavis tyveebs ukan sdevda, an swavlisaTvis visa scaloda, an werisaTvis, an saxlisa da karisaTvis?~ (`ciskari~, 1857, #11). sxvagan `molaybe~ wers, rom Cven, qarTvelebma, ruseTis imperators ase unda mivmarToTo: `Cueno mfarvelo, Cueno usjuloT mahmadTagan damxsnelo! gvibrZane da mzad varT erTgulni Svilni iverielni...~ (1857, #12) da a. S.; ruseT-saqarTvelos urTierTobis Sesaxeb met-naklebi sicxadiT arsebiTad igive Sexedulebebia gamoTqmuli `ciskarSi~ gamoqveynebul gabriel imereTis episkoposis qadagebebSi, al. savanelis, I. ardazianisa da sxvaTa werilebSi...

[5] zogjer `molaybeSi~ poeti iRviZebda da am dros igi Tavis saTqmels leqsad gamoTqvamda:

erTia kaci bunebisaTvis,
mdidari, glaxa, didi, patara;
ra dRiT is wuTis cxovrebisaTvis,
qveynad movida da daemyara.
maTzed ganagebs erT gvar buneba,
erT gvarad usvams igi maT celsa;
da ise suli did kacsac hxdeba,
rogorc mis msaxurs ukanasknelsa!.. [vuZRvni did kacebs (bolo mouRebelis komediiTgan), `ciskari~, 1864, #5].

sxvaTa Soris, didad saintereso da sagulisxmoa erT-erTi `salaybos furclis~ monakveTi: `aqeT-iqidam ismoda mxolod saxelebi: rossinisa, bellinisa, donicetisa, verdisa, meierberisa da, ase gaSinjeT, vagnerisac... megona, ro viyav ara gorg-aslanis qalaqSi, aramed milanaSi, anu venetikSi. Semxvda erTi Cadriani ymawvili qali, romelic modioda da iZaxda: Tquenis bellinis mzes, Cadrze fexi ar damidgaTo~ (`ciskari~, 1858, #1). belinis Tayvanismcemeli Cadriani qarTveli qali arsebiTad aris metafora, romliTac STambeWdavadaa gamoxatuli 1840-1850 ww. Zireuli epoqiseuli cvlileba _ qarTvelTa cxovrebisa da erovnuli kulturis sasicocxlo mniSvnelobis transformacia da `gamarTva~, tician tabiZis sityvebi rom gamoviyenoT, `evropis radiusiT~.

რა გაეწყობა, ეს ჩვენი ჟურნალი არის საზოგადო, მაშასადამე, არის ხმა საზოგადოებისა. ჩვენი ჟურნალი გამოდის კმაყოფილებისათვის და სიამოვნებისათვის საზოგადოებისა. მაშასადამე, უკეთუ მცირედი რამ ვპოვეთ საწყენად მკითხველთა, მაშინვე მოვიხმარებთ ყოველისვე ღონისძიებას მიზეზის მოსპობისათვის“.

მიუხედავად ამგვარი მობოდიშებისა, ივ. კერესელიძემ ამ საკითხში პრინციპულობა გამოიჩინა – არ მოერიდა საზოგადოებრივ აზრთან დაპირისპირებას, განაგრძო „სალაყბოს ფურცლების“ ბეჭდვა და „მოლაყბის“ არა ერთი და ორი პუბლიკაცია აქცია მწვავე პოლემიკის საგნად.

„სალაყბოს ფურცლების“ ავტორის ვინაობის საკითხი ჯერ კიდევ ნ. ბერძნიშვილმა დასვა 1859 წელს და, აქედან მოკიდებული დღემდე, ეს საკითხი დავის საგანია. სხვადასხვა დროს ზოგადად „სალაყბოს ფურცლებისა“ თუ ცალკეული „ფურცლის“ ავტორად მიიჩნეოდნენ: ივანე კერესელიძე, მიხეილ თუმანიშვილი, გაბრიელ სულხანიშვილი, ლავრენტი არდაზიანი, გრიგოლ რჩეულიშვილი... პრობლემის კვლევის დღევანდელ ეტაპზე კი დადგენილია, რომ „სალაყბოს ფურცლებს“ ორი ავტორი ჰყავდა (ივ. კერესელიძე, მიხ. თუმანიშვილი), თუმცა კვლავ დავის საგნად რჩება საკითხი, თუ ვინ არის „მოლაყბის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ზოგიერთი თხზულების ავტორი:

1. „მოლაყბის ფსევდონიმით „ცისკრის“ ფურცლებზე წერა დაიწყო არა მიხეილ თუმანიშვილმა, როგორც ეს ტრადიციულად იყო მიღებული, არამედ ჟურნალის რედაქტორმა ივანე კერესელიძემ. მას ეკუთვნის სწორედ მოლაყბის ფსევდონიმით დაბეჭდილი პირველი ორი სტატია („ცისკარი“, 1857, №№11,12) და ყველა დანარჩენი, გარდა „ცისკრის“ 1858 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული „სალაყბო ფურცლისა“, რომლის ავტორიც მიხეილ თუმანიშვილია“ (დ. გამეზარდაშვილი).

2. „მიხ. თუმანიშვილს ეკუთვნის ერთადერთი – 1858 წლის იანვრის – ფურცელი. ამის შემდეგ „სალაყბო ფურცლებს“ კვლავ მხოლოდ ივ. კერესელიძე წერდა“ (ალ. კალანდაძე).

3. „ჟურნალ „ცისკარში“ „მოლაყბის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული პირველი სამი სტატიის ავტორი არის მიხ. თუმანიშვილი“ (გ. მიქაძე).

დასასრულ, დავიმოწმებთ „სალაყბოს ფურცლის“ ა. ჯორჯაძისეულ შეფასებას: „წმინდა ქართველურ შეზავებას ერთმანეთში ეროვნულის გრძნობის, დემოკრატიულ მისწრაფებისა და პატრიარქალურ-მონარქიულ პრინციპების აღიარებისას აქ ჰპოვებთ“.

მართალია, 1850-იან წლებშივე „ცისკარში“ ქვეყნდებოდა კრიტიკული წერილები როგორც სალიტერატურო, ისე საზოგადოებრივ საკითხებზე, მაგრამ ჟურნალის ფურცლები მწვავე და პრინციპული კრიტიკულ-ლიტერატურული თუ იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი შეჯახების ასპარეზად არსებითად 1860-იანი წლების დასაწყისიდან იქცა. ხოლო ჩვენი ისტორიის ამ მნიშვნელოვან მოვლენას სათავე დაუდო ილია ჭავჭავაძის წერილებმა: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“ („ცისკარი“, 1861, №4) და „პასუხი“ (იქვე, 1861, №6). ეს წერილები „შეიძლება ახალი ლიტერატურული სკოლის მანიფესტად ჩაითვალოს“ (გ. ქიქოძე) და მათს გამოქვეყნებას ლიტერატორთა ერთი ჯგუფის (ბარბარე ჯორჯაძე, გიორგი ბარათაშვილი, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი...) უმწვავესი რეაქცია მოჰყვა. ილიას პირველმა წერილმა „მოახდინა გასროლილი თოფის შთაბეჭდილება და ყველა, ვინც კი არხეინად ნებივრობდა პოეზიის სარეცელზე, ააწიოკა და წამოშალა“ (ვახტ. კოტეტიშვილი).[6]

[6] sagangebod unda aRiniSnos TviTon i. WavWavaZis gamanadgurebeli kritikis obieqtis, poetisa da mTargmnelis, revaz erisTavis, sapasuxo werili (pasuxi Tavadi ilia WavWavaZis kritikisa, `ciskari~, 1861, #5). Tavis pasuxSi r. erisTavma scada sakuTari Targmanis mimarT gamoTqmuli zogierTi kritikuli SeniSvnis gabaTileba (`Cuenda samwuxarod, Tav. WavWavaZis kritikaSi hsCans momatebulaT Cueni

ილია ჭავჭავაძემ თავის წერილებში პრინციპულად დასვა ლიტერატურისა და ცხოვრების ურთიერმიმართების (კერძოდ, ცხოვრების რეალისტურად ასახვისა და მწერლობის საზოგადოებრივი დანიშნულების), ქართული მწერლობის ევროპეიზაციის, ლიტერატურული მიმდინარეობების, ლიტერატურული კრიტიკის რაობისა და ფუნქციის, მთარგმნელობითი პრინციპებისა და სხვა არაერთი არსებითი მნიშვნელობის საკითხი. ამასთანავე, ავტორის ყურადღება საგანგებოდ იყო ფოკუსირებული ერთიანი და დემოკრატიზებული (ხალხის მეტყველებასთან დაახლოებული) ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პრობლემაზე. **„ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“** – ესაა ის ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხი, რომელიც ი. ჭავჭავაძემ წამოჭრა და თავიდან პოლემიკაც ძირითადად ამ დებულების გარშემო გაიმართა.

1861 წლის „ცისკრის“ პირველი ნომერში ივ. კერესელიძე წერდა (ამ დროს მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა პეტერბურგიდან ი. ჭავჭავაძის მიერ გამოგზავნილი „ორიოდე სიტყვის...“ გამოქვეყნება და, ჩანს, სურდა საზოგადოებრივი აზრის მომზადება): „გამოიცვალა დროება, გამოიცვალა საზოგადოება. უნდა გამოიცვალნენ კაცნიცა. ძველი აზრის მქონებელმან უნდა დაუთმოს ადგილი ახალ დროის აზრის მქონებელთა. კარგად ვიცით, რომ ეს დათმობა უთუოდ უნდა მოხდეს ბუნების წესით, დღეს თუ არა, ხვალ. მაშ, არა სჯობიან ეს ახლავე მოხდეს? არა სჯობიან, რომ ეხლავე შევიდნენ ეს ახლანდელ დროების აზრების მქონენი თავიანთი მოვალეობის აღსრულებაში და გამოიხსნან საზოგადოება ძნელ მდგომარეობისაგან, რომელშიც არის და რომლითგან ვერ გამოსულა?“. მაგრამ მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც ეს „ცისკრის“ რედაქტორს სურდა – „თერგდალეულები“, რომლებსაც რუსეთში საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდათ მიღებული, იცნობდნენ რუსულ და ევროპულ ჟურნალისტიკას და, რაც მთავარია, ცხოვრებისეულ ვითარებებსა და საჭიროებებსაც ევროპული საზომით ზომავდნენ, „ცისკრის“ რედაქტორისაგან სოციალური, ეროვნული თუ ლიტერატურული და ენობრივი პრობლემებისადმი მწვავე, სისტემურ, თანამიმდევრულ და საფუძვლიან მიდგომას მოითხოვდნენ. ივ. კერესელიძეს, ერთი მხრივ, არც საამისო ლიტერატურულ-პუბლიცისტური შესაძლებლობები გააჩნდა, ასეთ საკითხებში მერყეობაც ახასიათებდა და, ამასთანავე, საზოგადოების რეტროგრადული ნაწილის რეაქციის შიშიც განუწყვეტლივ აწუხებდა. ამიტომაც, იგი იძულებული იყო, ზედიზედ ებეჭდა ახალთაობის წინააღმდეგ მიმართულ წერილები. ამან კი ბუნებრივად წარმოშვა განხეთქილება ახალთაობასა და ივ. კერესელიძის ჟურნალს შორის და, მიუხედავად იმისა, რომ ალ. ორბელიანმა სცადა მხარეთა შორის დაპირისპირების შერბილება და თვითონ ივ. კერესელიძეც „მოლაყბის“ პირით შერიგებას ივედრებოდა („თუ ღმერთი გწამთ, საყვარელნო ქართველნო, თანხმობა შეიყვარეთ, ჩამოვაგდოთ თანხმობა, ბევრს მოვიგებთ აქედან...“), ეს განხეთქილება თანდათანობით შეურიგებელ დაპირისპირებაში გადაიზარდა: საკითხთა წრე გაიშალა,

---

lanZRva, vidre rigiani ganxilva da SecdomilebaTa gamarTva... Tu TviTonve guldamSvidebuli Tvals Caavlebs Tavis dawerils, vhgoneb, SeniSnos, rom imdeni xelisa da fexis qnevaSi adgil-adgil wauborZiknia~). man `student~ ilias zrdilobac dauwuna (`Tav. WavWavaZe bZanebs `qarTvelebs sami ram dagvrCenia CuenT mamapapaTagana: mamuli, sarwmunoeba da enao~ _ meoTxes ki iviwyebs: CuenT winaparTagan naanderZevs _ zdilobas, _ vai, darbaiselT amowyvetas!~). magram r. erisTavma gulwrfeli sixarulic gamoxata imis gamo, rom qarTul mwerlobas am rangisa da masStabis literaturuli figura moevlina (`Cuenis mxriT, mainc kidev madlobas ganucxadebT Tav. WavWavaZes, radganac vgonebT, guls modgineT iRvwis Cuenis enis warmatebisaTvis; imedi gvaqvs, marto Cuenis SecTomebis mxilebaze ar Seayenebs Tavis `enians enas da mexis-kalams~, romelic upyries xelovans-xelsa...~). es ukanaskneli garemoeba ki mkafiod metyvelebs revaz erisTavis literaturul keTilsindisierebasa da maRal erovnul da moqalaqeobriv TviTSegnebaze.

პრინციპული ხასიათის დავა ახალთაობის მიერ დაარსებულ ჟურნალ-გაზეთებში („საქართველოს მოამბე“, „დროება“, „კრებული“...) გაგრძელდა, გასცდა ენობრივ-ლიტერატურულ პრობლემატიკას, პოლემიკაში ჩართულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წრეც გაფართოვდა (გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, სამსონ აბაშიძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ.) და არა მარტო ლიტერატურულ-ესთეტიკურ, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობის იდეურ-მსოფლმხედველობრივ რეფორმაში გადაიზარდა, საბოლოოდ კი (1870-იან წლების დასაწისში) ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების სრული გამარჯვებით დასრულდა.

ამ ისტორიული მნიშვნელობის ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივ პროცესს, რომელსაც „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლას უწოდებენ, ჩვენ მოგვიანებით (თავი – „ჟურნალი „კრებული“) კიდევ შევეხებით, ამჯერად კი იმის აღნიშვნითღა შემოვიფარგლებით, რომ ი. ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა ამ პოლემიკის დროს მოგვცეს ივ. კერესელიძისა და „ცისკრის“ მეტისმეტად მკაცრი შეფასება:

„ლიტერატურა, – ხალხის ჭკვაა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია... ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში“ იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარება, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ჰფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს? მეც მაგასა ვჩივი, რომ არა, ათასჯერ არა; მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბღაჯნის, აღარა ბღაჯნოს, რადგანაც იგინი თავის ბღაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას...“ (ი. ჭავჭავაძე; 1859 წელს თავის დას, ნინო ჭავჭავაძე-აბხაზს, ილია პეტერბურგიდან სწერდა: „ჩვენი „ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა“).

„ჩუენი „ცისკარი“ შეიქნა ფოჩტის მაგიერი. ვისაც კი სადმე წიგნის გაგზავნა მოესურვება, „ცისკრის“ რედაკტორს მიმართავს... ექუსმა წელიწადმა ჩაირბინა მას აქით, რაც „ცისკრის“ გამოცემა დაიწყეს, მაგრამ გაზდით კი არ გაზდილა არც ფიზიკურად, არც ზნეობითად...“ (კ. ლორთქიფანიძე).

„1857 წელს ჩვენს ბნელს გორიზონტს ელირსა ბოლოს „ცისკრის“ ამოსვლა... მაგრამ, დაგელოცა ღმერთო სამართალი!.. ეს მეშვიდე წელი დადგა, ის იჭყვირება იმავ ალაგიდან, საიდანაც შვიდის წლის წინეთ დილის მოსვლა გვაუწყა... „ცისკარი“ ასე გაშორებულია ცხოვრების მოთხოვნილებაზედ, როგორც ცა მიწაზედ...“ (გ. წერეთელი) და სხვ.

„ცისკარი“, პირველ რიგში, ლიტერატურული ჟურნალი იყო და, ბუნებრივია, აქ გამოქვეყნებული ტექსტების უმეტესი ნაწილი მხატვრულია (ქართული პოეზია, პროზა, დრამატურგია; უცხოელ ავტორთა თარგმანები).

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სწორედ „ცისკარმა“ გაუხსნა გზა იმ ახალგაზრდა მწერლებსა და ლიტერატორებს, რომლებმაც ცოტა ხანში საკუთარ თავზე აიღეს ქართული ლიტერატურული ცხოვრების მესვეურობა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვ.). ამასთანავე, „ცისკარში“ იბეჭდებოდნენ უფროსი თაობის მწერლებიც (გრიგოლ, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძე, ლავრენტი არდაზიანი, გრიგოლ რჩეულიშვილი და სხვ.). „ცისკარში“ გამოქვეყნდა ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა (დავით გურამიშვილი, ბესიკი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი...) არა ერთი და ორი ისეთი ნაწარმოები, რომელთა გარეშეც დღეს წარმოუდგენელია ქართული მწერლობა...

ცალკე უნდა აღინიშნოს „ცისკარსა“ და მის რედაქტორ-გამომცემელთან **აკაკი წერეთლის** თანამშრომლობა. ა. წერეთლის პირველი ორიგინალური თხზულება „ცისკარში“ 1859 წელს გამოქვეყნდა (ლექსი „ჩემს ვენერას“; მანამდე, 1858 წელს, „ცისკარშივე“ აკაკის გამოქვეყნებული ჰქონდა თარგმანი მ. ლერმონტოვის ლექსისა –

„რტო პალესტინისა“) და, აქედან მოკიდებული, აკაკი ჟურნალში სისტემატურად ბეჭდავდა ლექსებს („საიდუმლო ბარათი“, „ცოდვილის სინანული“, „ქართლის სალამი“, „სალამური“, „აპელაციის მცოდნე“, „ძველ სამეფოს“, „იმერული ნანინა“...), დრამატულ სცენებს („სცენა საპატიმროში“, „ძველი ამხანაგები“, „ძველსა და ახალს შუა“), კრიტიკულ-ლიტერატურულსა („რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“, „პირველი და უკანასკნელი სიტყვა „დროებისადმი“) და პუბლიცისტურ („ლოტოთი ლოთობა ქუთაისში“, „ახირებული ფურცელი“) წერილებს, თარგმანებს (მოლიერი, ბაირონი, ბერანჟე, ლერმონტოვი, კრილოვი...). „ცისკარშივე“ მოხდა აკაკის, როგორც პროზაიკოსის, „ნათლობა“ (მოთხრობა „ეშმაკები“). წერილით „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“შესახებ“[7] ა. წერეთელმა არსებითად სათავე დაუდო ილია ჭავჭავაძის, როგორც „ქართველების ტანჯვისა და გოდების... ჩვენი ნაკლულოვანებისა და საჭიროების“ გამომხატველი მწერლის, აღიარებას. აკაკი შეეხო ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი მემკვიდრეობითობის საკითხს, პარალელურად განიხილა ილიასა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება, საგანგებოდ აღნიშნა, რომ ისინი არიან „ერთის გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორესოთ გაგება ძნელია“ და ი. ჭავჭავაძესა და ნ. ბარათაშვილს უწოდა „ერთს ტახტზედ ჯდომის ღირსები... მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა“.

„ცისკრისადმი“ ა. წერეთლის განსაკუთრებული ერთგულების მაჩვენებელია ისიც, რომ 1863 წელს, როდესაც „ცისკარი“ და ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, აკაკიმ არ ისურვა ივ. კერესელიძის ჟურნალის მიტოვება და მხოლოდ აქ აქვეყნებდა თავის თხზულებებს. თუმცა მას შემდეგ, რაც „ცისკარმა“ საბოლოოდ დაკარგა სახე და გრაფომანებისა და ეპიგონების ლიტერატურული თარეშის ასპარეზად გადაიქცა, ა. წერეთელმა 1868 წელს შეწყვიტა „ცისკართან“ თანამშრომლობა.

ლიტერატურული მიმდინარეობების მხრივ ივ. კერესელიძის „ცისკარი“ უკიდურესი არათანამიმდევრულობითა და ეკლექტიზმით გამოირჩევა. ჟურნალის ფურცლებზე მშვიდობიანად „თანაარსებობენ“ ფსევდორომანტიკული, კლასიცისტური თუ სანტიმენტალური თხზულებები (ეს ეხება არა მარტო ორიგინალურ, არამედ ნათარგმნ ლიტერატურასაც). უდიდესი ნაწილი ამ თხზულებებისა მოკლებულია ლიტერატურულ-ესთეტიკურ ღირებულებას, არსებითად ლიტერატურული მაკულატურაა და დღეს მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსებისათვის თუ შეიძლება იყოს საინტერესო. ჟურნალის „ფურცლებზე ქართული კლასიციზმი წარმოსდგება თითქმის მთელი თავისი სისრულით, ჰეგემონური პრეტენზიებითა და საბრძოლო სულისკვეთებით, თითქოს ხელახლა გაცოცხლებული და აღორძინებული“ (ალ. კალანდაძე). განსაკუთრებით ეს ეხება პოეზიას – „ცისკრის“ ფურცლები პირდაპირ წალეკილია „მაღალ შტილზე“ გაწყობილი იამბიკოებით, აკროსტიქებით, სახოტბო-საალბომო თუ ეპიტაფიური ჟანრის ტყვიასავით „მძიმე“ ლექსებით, ხელოვნურად გართულებულ-გაბუნდოვანებული „პოეტური“ მეტყველებით.[8]

---

[7] poeturi almanaxi **`Conguri~** (da ara **`Canguri~**, rogorc akaki wers) Seadgina da 1864 wels peterburgSi gamosca **kirile lorTqifaniZem** (sruli saTauria _ `Conguri. n. baraTaSvilis, il. WavWavaZis, ak. wereTlisa da sxva mwerlebis leqsebis kreba~). garda qarTveli poetebisa, masSi Setanilia agreTve rusi nikoloz nekrasovisa da Sotlandieli robert nikolis leqsebi. `Congurs~ aqvs gamokveTili ideuri saxe da igi k. lorTqifaniZem ise Seadgina, rom mkafiod warmoCeniliyo `TergdaleulTa~ literaturul-msoflmxedvelobrivi principebi (literaturis sazogadoebrivi daniSnuleba, erovnuli da socialuri usamarTlobis winaaRmdeg mimarTuli ideologia. `me vcdilobdi ise damewyo leqsebi, rom am rigze dawyobaSiac azri yofiliyo~ _ aRniSnavda mogvianebiT k. lorTqifaniZe).

[8] sxvaTa Soris, roca iv. kereseliZes usayvedurebdnen _ Sens Jurnals garkveuli mimarTuleba ara aqvso, igi Tavs ase imarTlebda: `ra dros mimarTuleba iyo. me vmecadineobdi, rom xalxi weras da kiTxvas

ამ მხრივ საგულისხმოა გრიგოლ დადიანის (კოლხიდელის) იამბიკო „სირაძე, ძველთა იმერთა მეჩანგურე, უგალობს დავით აღმაშენებელს“[9] („ცისკარი“, 1860, №2). თხზულება გამოქვეყნებამდე გრ. დადიანის თხოვნითვე ივ. კერესელიძემ სარეცენზიოდ გადასცა დიმ. ყიფიანს, რომელმაც თავის რეცენზიაში გრ. დადიანს დელიკატურად მიუთითა, რომ ამგვარ ნაწარმოებთა თხზვა არსებითად ამოვარდნილი იყო თანადროული ლიტერატურული პროცესებიდან: „სინათლეს ვეძებთ განმამხნევებელს, განმაცხოველებელს. იამბიკოში რომ შევიხედავთ, ბნელა აქაო, ვიტყვით და გამოვალთ ისევა... იამბიკო ვერ შეითვისა ჩვენმა ჰაერმა, ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ლექსთა-წმახვნამ; იმისი სარკმლის გამკეთებელი ხურო ჩვენს ქვეყანაში არავინ მეგულება. ანტონი კათოლიკოზისა, დავით ალექსიშვილი-მესხისა, პეტრე ლარაძის იამბიკოებში იპოვება ზოგი და ზოგი ამ ჩვენის სასიქადულო კოლხიდელის იამბიკოს მსგავსი, მაგრამ ისინიც განუცდელნი გვრჩებიან, რადგან სინათლეზედ ღარიბათა ვართ ამ ჩვენს ცადაღრუბლულს მწიგნობრობაში“ („ცისკარი“, 1860, №1). დასასრულ, დიმ. ყიფიანი „ცისკრის“ რედაქტორისაგან იამბიკოს გამოქვეყნებას მოითხოვს – იქნებ ჩვენ არ გვესმის მისი ღირსება და მკითხველისაკენ გზას ნუ გადავუღობავთო.

სინამდვილეში, დიმ. ყიფიანის მსჯელობა უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ მას ჩინებულად ესმოდა ყველაფერი; ესმოდა, რომ გრ. დადიანი ჩამორჩა დროსა და ლიტერატურულ პროცესებს. 1850-1860 წლების გასაყარზე, როცა ქართული ლიტერატურული აზროვნება დაადგა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ეროვნული და სოციალური პრობლემების რეალისტურად ასახვის გზას, როცა აღორძინდა და ახალი ფორმა შეიძინა „მართლის თქმის“ ლიტერატურულმა პრინციპმა, როცა მკვიდრდებოდა ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების შეგნება, როცა იკვეთებოდა ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის შეუქცევადი ტენდენცია, „სირაძე, იმერთა მეჩანგურის...“ ტიპის ტექსტების თხზვა მხატვრული და იდეური თვალსაზრისით უპერსპექტივო საქმე და წინასწარვე განწირული ცდა იყო.

რაც შეეხება „ცისკრის“ ენას, ამ საკითხზე ივ. კერესელიძის აზრი ასეთი იყო: „ჩვენი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მამული ჩემი, ჩემი ენა, რომლისთვისაც სისხლი ღვრიათ ჩვენთა განსვენებულთა წინაპართა, იყოს იმ მდგომარეობაში, როგორიც შეშვენის ახლანდელს განათლებულს დროსა“ („ცისკარი“, 1857, №6), თუმცა, პრაქტიკულად რედაქტორის მიერ ფართოდ კარგახსნილ ავტორთა უმეტესობის ენა არ „შეშვენოდა“ „განათლებულს დროსა“ – ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ ანტონ I-ის დროიდანვე ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ ე. წ. სამი სტილის თეორიას: „ივ. კერესელიძის „ცისკარი“ ანტონის ეპიგონთა ხელში აღმოჩნდა. და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ეს ეპიგონები გაცილებით უფრო ცხარედ იბრძოდნენ მაღალი სტილის დასაცავად, ვიდრე მათი მასწავლებელი, თუმცა თვითვე არ შეეძლოთ ამ სტილით წერა და ისეთი უცნაურობანი გამოუდიოდათ, რომლებთანაც შედარებით ანტონის ნაწერი მარტივი და გასაგები სტილის ნიმუშად გვეჩვენება“ (ივ. გიგინეიშვილი).

SemeCvia. sad iyo amis dro... Cemi mimarTuleba beWdva iyo, rom qarTvelT Soris beWdviT sityva ganmevrco~. am mxriv, uTuod gadaWarbebulia a. wereTlis azri _ iv. kereseliZem saerTod ar icoda, Tu ras niSnavda Jurnalis mimarTulebao: `erTxel SemomCivla: `ras merCian [peterburgSi myofi] studentebi, rom amtexiano? rogorc ki momweres: `mimarTuleba~ gamoucvale Jurnalso, aki mec gamovucvaleo? manamdisin xmeleTiT vagzavnidi da axla zRviT vagzavni odesazeo!.. meti mexarjeba, magram ar daveZebo~.

[9] rogorc mogvianebiT gairkva, gr. dadians es iambiko auRia Teimuraz batoniSvilis piesidan `samsaxeoba raindisa~.

„ცისკარში“ სისტემატურად იბეჭდებოდა რუსი (პუშკინი, ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი, მ. სალტიკოვ-შჩედრინი და სხვ.) და დასავლეთევროპელი (შექსპირი, მოლიერი, შილერი, ბერანჟე, გოეთე, ჰიუგო, დიკენსი და სხვ.) მწერლების პოეტურ, პროზაულ თუ დრამატულ ნაწარმოებთა თარგმანები. ამ მხრივ, „ცისკრის“ განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო უილიამ შექსპირის შემოქმედება („რომეო და ჯულიეტა“, „ორი ვერონელი აზნაური“ – მთარგმნელი დიმ. ყიფიანი, „ჰამლეტი“ – მთარგმნელი ლ. არდაზიანი, „იულიუს ცეზარი“ – მთარგმნელი მიხ. ყიფიანი; აგრეთვე, გ. დიდებულიძისა და ნ. არღუთაშვილ-მხარგრძელის პუბლიკაციები გენიალური ინგლისელი მწერლის შემოქმედებაზე).

მართალია, უმეტესობა ამ თარგმანებისა დღეს კრიტიკას ვერ გაუძლებს, მაგრამ, თუ ისტორიულ კონტექსტს გავითვალისწინებთ, საკაცობრიო მნიშვნელობის მწერალთა ნაწარმოებების „ცისკარში“ გამოქვეყნებულმა თარგმანებმა თავის დროზე ხელი შეუწყო ქართველი მკითხველის ლიტერატურული ჰორიზონტის გაფართოებას, ქართული სამწერლობო ცხოვრებისა და აზროვნების ევროპეიზაციას.

ივ. კერესელიძის უდავო დამსახურებაა ისიც, რომ იგი სიხარულით ხვდებოდა და დაუყოვნებლივ აქვეყნებდა ისეთ ნაშრომებს, რომლებიც საქართველოს ისტორიას შეეხებოდა. „ცისკარში“ გამოქვეყნდა თეიმურაზ ბატონიშვილის „კოლხიდა (მეგრელია)“ (1857, №3), „მოწმობა წმინდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა“ (1862, №4), „დიდისა მოურავისა გიორგი სააკაძის სიკვდილი“ (1862, №6); მარი ბროსეს „განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა“ (1861, №8), დიუბუა დე მონპერეს „კოლხიდა რომაელების მფლობელობაში შემოსვლამდინ...“ და „მოგზაურობითგან კავკასიაში“ (1864, №№6-8), დიმ. ბაქრაძის „ბაგრატ მეოთხე ანუ საქართველო მეთერთმეტე საუკუნეში“ (1860, №9), ალ. სავანელის „ცხოვრება ქეთევან დედოფლისა“ (1857, №12) და სხვ.

ივ. კერესელიძის მიერ საისტორიო ნაშრომთა ბეჭდვა, გარდა წმინდა წყლის სამეცნიერო-ისტორიოგრაფიული ინტერესებისა, საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის, პატრიოტული გრძნობების გაღვივების, ისტორიული ერთობის შეგნების ჩამოყალიბების ფართო კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.[10]

ივ. კერესელიძის „ცისკრის“ არსებობა დაემთხვა საქართველოში საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) მომზადების, მისი პრაქტიკული განხორციელებისა და რეფორმისშემდგომი რთული სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური გარემოს ჩამოყალიბების პერიოდს.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში „მოლაყბემ პირველმა აღძრა ბატონყმობის საკითხი“ (ა. ჯორჯაძე). გარდა „მოლაყბისა“, სოციალურ უსამართლობაზე სხვებიც წერდნენ და, ამ მხრივ, ცალკე აღნიშვნის ღირსია გ. ქართველის (დიმიტრი ჯანაშვილის ფსევდონიმია) წერილი – „წიგნი მიწერილი რუსეთუმესთან“ („ცისკარი“, 1860, №8), რომელშიც გაკრიტიკებულია არსებული სოციალური სისტემა და წარმოჩენილია გლეხობის მძიმე სოციალურ-ყოფითი მდგომარეობა: „ახლა საით ვეცეთ, სად ვეძებოთ ბედნიერება და სიმართლე? ჩვენ საზოგადო ცხოვრებაში ხომ არა – იმ სხეულში, რომელშიც ყველა ასო დაწყლულებულია. საზოგადო უქონლობა, უღონობა, დავიდარაბა, მტრობა, ერთმანეთისაგან განცალკევება, შურობა, წუხილი, ტანჯვა, კვნესა, ოხვრა, დარდი, სევდა, სხვა და სხვა...“.

[10] Cveni didi istorikosis, niko berZeniSvilis, SexedulebiT, `istoria da patriotizmi erTimeorisagan ganuyofelia... patriotizmTan garkveuli damokidebulebis gareSe istoriografia warmoudgenelia~.

სოციალური სისტემისადმი ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულების პარალელურად „ცისკარში“ ბატონყმობისადმი რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულების ამსახველი პუბლიკაციებიც იბეჭდებოდა.

ალ. ორბელიანი თავის წერილში „უწინდელს დროს ბატონ-ყმობა ჩვენში“ („ცისკარი“, 1859, №11) ავითარებს და ცალკეულ ფაქტებსა თუ შემთხვევებზე დაყრდნობით ასაბუთებს თვალსაზრისს, რომ საქართველოში ისტორიულად ბატონყმური ურთიერთობები მკაფიო სამართლებრივი და მორალური პრინციპებით იყო განსაზღვრული და ბატონსა და ყმას შორის „მამაშვილურ“ დამოკიდებულებას ეფუძნებოდა.

„საქართველოში მებატონეთ ყმობა, – წერდა ალ. ორბელიანი, – მონად (მონება მესმის მე, „დაჩაგვრა“) არ ითქმის. მართალია, სიტყვა ყმობა იყო, მაგრამ საქმე მონებას არ აცხადებს. უწინდელს დროში გარეშე კაცი იმას ეძებდა, მებატონე ვიშოვო და იმას შევეხიზნოვო, ამისათვის რომ მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მზგავსად გული სტკიოდა ყმისათვის“.

ამასთანავე, ალ. ორბელიანი იმასაც ამტკიცებდა, რომ სწორედ სოციალურ ფენათა ჰარმონიული თანაარსებობა იყო ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ქვეყნის გადარჩენის განმსაზღვრელი ფაქტორი.

ალ. ორბელიანის ზემოაღნიშნული შეხედულება საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში [განსაკუთრებით, ძველ თაობაში და ამიტომაც გამოიწვია დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ გამოქვეყნებამ („ცისკარი“, 1859, №12; 1860, №1) უმწვავესი რეაქცია თავადაზნაურულ წრეებში – ქართველი დიდგვაროვნები ავტორს ისტორიული სინამდვილის გაუკუღმართებაში სდებდნენ ბრალს, ხოლო ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ „ცისკრის“ დახურვას].

უნდა ითქვას, რომ ალ. ორბელიანი არ ყოფილა გამონაკლისი. ალ. სულხანიშვილისა და გ. ერისთავის ნაწერებში ბატონყმური ურთიერთობა არსებითად ღვთის ნების გამოვლინებად არის გამოცხადებული და სხვ.

ბატონსა და ყმას შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ჰარმონიულ თანაარსებობაზე მსჯელობდა დიმ. ყიფიანიც და ამგვარი შეხედულება მან სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. 1860-იან წლებში დიმ. ყიფიანს როგორც ხელისუფლების, ისე ქართლ-კახეთის თავადაზნაურობისაგან საგლეხო რეფორმის პროექტის შედგენა ჰქონდა დავალებული და ამასთან დაკავშირებით მან ამგვარი ტექსტით მიმართა საზოგადოებას: „ძველთა დროთაგან ჩვენსა და ჩვენთ ყმათა შორის ისეთი დამოკიდებულება არის დამკვიდრებული, რომელიც დიდად ემსგავსება დამოკიდებულებასა ერთის ოჯახის, ერთის სახლის შვილებისასა. ჩვენს ყმებს ისე კი არ ვიგულებდით, როგორც ჩვენს მონებსა ან ტყვეებსა, ყოველთვის ისე მიგვაჩნდნენ, როგორც თანამშრომელნი და ჩვენთან ერთად შემმუშავებელნი ჩვენის საერთო საჭირნახულოსნი. იმათაც ისე არ ვეგულებოდით, როგორც მაწუხებლები და მტარვალები: ისე მივაჩნდით, როგორც მფარველნი მათნი და საერთო ყოფა-ცხოვრების გამგებელნი. მარადის გაერთიანებული იყო ჩვენს შორის ჭირიცა და ლხინიცა. ერთმანეთის დასაცველად და დასაფარავად ერთად ვათხევდით სისხლსა და ერთი ერთმანეთს ხელს ვუმართავდით ყოველს საქმეში და ყოველს გაჭირვებაში. მართალია, ამგვარს ცხოვრებაში შემოგვეპარებოდა ოდესმე აქა-იქ უსიამოვნებაცა, რომელიც აუცილებელი არის ყოველსგვარს ცხოვრებაში, მაგრამ საზოგადო თვისება ჩვენის დამოკიდებულებისა მაინც არასდროს არ შეცვლილა ბოროტად ყმათათვის, ამისთვის, რომ არც იმათგან დარღვეულა საზოგადო ვალი თავდადებითის ერთგულებისა ჩვენდა მომართ და ყოველთვის განწირულნი ყოფილან თავისა ჩვენდა სანაცვლოდ. ეს ძველებური დამოკიდებულება იყო უმთავრესი მიზეზი, ეს იყო ის ქვაკუთხედი, რომელზედაც ემყარებოდა სიმტკიცე ჩვენის სარწმუნოებისა და შეუმუსვრელობა ჩვენი

მტერთაგან, რომელნი გარს გვეხვივნენ და ჰმძვინვარებდნენ საუკუნოებათ მომდინარეობასა შინა“.

მართალია, ამგვარი „მამაშვილური დამოკიდებულების თეორია“ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ (და ლიტერატურათმცოდნეობის მიერაც) ერთსულოვნად იქნა დაგმობილი (უწოდებდნენ უკიდურესად რეაქციულს, ანტიხალხურს, პრიმიტიულს, უკეთეს შემთხვევაში – გულუბრყვილოს და ა. შ.), მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული თვალსაზრისი არ იყო საფუძველს მოკლებული. საქმე ისაა, რომ XIX საუკუნისათვის ქართველ ხალხს გამოვლილი ჰქონდა უაღრესად განვითარებული ფეოდალიზმის ხანა, რომელშიც სოციალურ ფენათა (კლასთა) ურთიერთობებს აწესრიგებდა არა მარტო სამართლებრივი ნორმები, არამედ ისეთი ძლიერი ტრადიციული სახალხო ინსტიტუტი, როგორიც იყო **ადათი** – ე. წ. „დაუწერელი კანონი“, რომელშიც საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებას საზოგადოების ყველა ფენა პოულობდა. ამიტომაც, ადათისადმი ერთგულება და მორჩილება ქართველი ხალხის ცნობიერებასა და ყოფაში ისტორიულად ურყევად იყო დაცული და მისი არსებობა (კანონთან ერთად) არსებითად გამორიცხავდა ფართომასშტაბიან სოციალურ მღელვარებებს. დაბალ სოციალურ წრეებში გამოხატული პროტესტის ცალკეული შემთხვევები, როგორც წესი, კონკრეტული ფაქტებითა თუ მოვლენებით იყო გამოწვეული, ლოკალური ხასიათი ჰქონდა და გლეხთა მღელვარებები საქართველოში არ ქცეულა სახელმწიფოებრივი მასშტაბისა და მნიშვნელობის პოლიტიკურ ფაქტორად, როგორც ეს, მაგალითად, მრავლად მოიპოვება რუსეთის ისტორიაში.[11]

„ცისკრის“ არსებობის პირველი წლებიდანვე ივ. კერესელიძეს მძიმე პირობებში უწევდა სარედაქციო-საორგანიზაციო მუშაობა. ვითარების შესამსუბუქებლად 1862 წელს მან ჩამოაყალიბა „ცისკრის“ სპეციალური რედაქცია და სათანამშრომლოდ მიიწვია: ლ. არდაზიანი (უცხოური და ქართული სიტყვიერების განყოფილება), გრ. ორბელიანი (პოეზიის განყოფილება), დიმ. ბაქრაძე (მეცნიერების, ხელოვნების, ისტორიისა და ფილოლოგიის განყოფილება), ა. ფურცელაძე (შინაური მიმოხილვისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება) და ნ. ბერძნიშვილი (სხვადასხვა ამბების განყოფილება) („დროება“, 1862, №10). მაგრამ ეს ცდა უნაყოფო აღმოჩნდა და რედაქცია მალევე დაიშალა.

სხვადასხვა წლებში ივ. კერესელიძის უახლოესი თანამშრომლები იყვნენ და მას სარედაქციო საქმეების გაძღოლაში ეხმარებოდნენ: ა. ფურცელაძე (1862-1863 და 1866-1867), ალ. ცაგარელი (1865) და ნ. ავალიშვილი (1867-1868).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ივ. კერესელიძის „ცისკართან“ **ანტონ ფურცელაძის** რთული და წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება.

მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ანტონ ფურცელაძე 1862-1863 წლებში „ცისკარში“ არა მარტო აქვეყნებდა ორიგინალურ თუ თარგმნილ მოთხრობებს, ლექსებს, კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს, არამედ არსებითად მართავდა „ცისკრის“

[11] am mxriv, saintereso da sagulisxmoa SedarebiT ufro gviandeli movlenis, socialur-klasobriv dapirisprebaze dafuZnebuli `xalxosnuri moZraobis~ ilia WavWavaZiseuli Sefaseba: `...Cxirkedelaobis ho-araoba bevri iyo, nametnavad am ukanasknel xanebSi, roca rusul literaturis Zalmomreobam CagviTria win-dauxedavad, ukritikod, da am gziT ruseTis azrTa da mimarTulebaTa brZola CvenSi gadmovitaneT da vlamobdiT Cvenis cxovrebisaTvis Zalad mogvexvia Tavze, viTomc da Cvenc naxir-naxiro. is ki dagvaviwyda, rom Cvens cxovrebaSi am brZolas araviTari mizezi ara hqonda aramc Tu arsebobisa, fexis nelad mokidebisac ki~.

`adaTTan~ dakavSirebul araerT sainterso faqtze mogviTxrobs akaki wereTeli `Cem TavgadasavalSi~. sakiTxis garSemo didad saintereso masalas Seicavs agreTve dim. yifianis Txzuleba `am mTisa, im mTisa da sxvaTa Soris wodebriobisaTvis saqarTveloSi~ (qarTuli mwerloba ocdaaT tomad, t. 20. Tb.: 2003).

სარედაქციო პოლიტიკას და განსაზღვრავდა კიდევაც მის ლიტერატურულ-იდეოლოგიურ მიმართულებას, ამასთანავე, ჟურნალში სათანამშრომლოდ იწვევდა ახალგაზრდა ლიტერატორებსაც (მიხ. ყიფიანი, პ. უმიკაშვილი და სხვ.). თვითონ ა. ფურცელაძის ნაწერები რადიკალურ-დემოკრატიული სულისკვეთებით იყო აღბეჭდილი და გავლენიანი (ძირითადად, თავადაზნაურული) წრეების ჩარევით ხელისუფლებამ მას აუკრძალა „ცისკართან“ თანამშრომლობა.

1866 წლის მიწურულს ა. ფურცელაძე კვლავ დაუბრუნდა „ცისკარს“ და შესამჩნევად გამოაცოცხლა კიდევაც ჟურნალი, მაგრამ ივ. კერესელიძესთან მისი თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა – 1867 წელს „ცისკრის“ რედაქტორსა და ა. ფურცელაძეს შორის მოხდა განხეთქილება (ა. ფურცელაძე ჟურნალის რედაქტორობას მოითხოვდა და ამტკიცებდა – ივ. კერესელიძესთან თანამშრომლობას ამ პირობით დავთანხმდიო). ამას ისიც დაერთო, რომ საცენზურო კომიტეტმა კონფიდენციალურად გააფრთხილა ივ. კერესელიძე – ა. ფურცელაძის ნაწერები მავნე მიმართულებისაა, ამიტომაც, თუ არ დაითხოვთ, ჟურნალს დავხურავთო. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ივ. კერესელიძემ ჟურნალიდან მართლაც დაითხოვა ა. ფურცელაძე და ამით კიდევ ერთი დაუძინებელი კრიტიკოსი შეიძინა.

ყველაზე მძიმე პრობლემა, რომელიც „ცისკრის“ არსებობის განმავლობაში მისი რედაქტორ-გამომცემლის წინაშე იდგა, იყო ხელის მომწერთა ნაკლებობა (საერთოდ, ჟურნალის „ხელისმომწერთა რიცხვი 50-დან 600-მდე მერყეობდა და, უმეტესწილად, 250-ს არ აღემატებოდა“ – ალ. კალანდაძე).

ზ. ჭიჭინაძის ერთი ცნობის მიხედვით, 1850-1860 წლებში „მთელს ქართველთ გლეხკაცობაში სულ 60 კაცს ვერ ნახავდით წიგნის (წერა-კითხვის – თ. ჯ.) მცოდნეთ“ და ამათგანაც, ძნელი წარმოსადგენია, რომელიმეს ჟურნალის გამოწერის ან სურვილი ჰქონოდა, ან – შეძლება. ხოლო რაც შეეხება თავადაზნაურულ წრეებს, ისინი ამა თუ იმ მათთვის იდეოლოგიურად მიუღებელი თხზულების დაბეჭდვის გამო რედაქტორს ნამდვილ ობსტრუქციას უწყობდნენ ხოლმე. ივ. კერესელიძესაც ისღა დარჩენოდა, ხელის მომწერთა დაკარგვის შიშით, ვთქვათ, ამგვარი საბოდიშო ტექსტები გამოექვეყნებინა: „ამას მოახსენებს რედაქცია პასუხად... პატივცემულ კახელებს, რომ ზოგჯერ რედაქციაში იმგვარ თხზულებას მივიღებთ ხოლმე, რომელიც დაგვაფიქრებს, – თუ დავბეჭდავთ, ზოგიერთი მკითხველი დაგვემდურება, და თუ არა, მთხზველის მცნობნი და ამხანაგნი. და ეს ორი მოპარტიენიცა, ერთიც და მეორეც, გვემუქრებიან „ცისკარზედ“ ხელის მოწერის აღებაზედ, თითქოს ეს ჟურნალი გამოდიოდეს ჩემთვის და ჩემი სარგებლობისათვის“.

იყო ისეთი კურიოზული შემთხვევებიც, როცა ივ. კერესელიძე იძულებული ხდებოდა, ევლო სოფლებში, იქ მცხოვრებთაგან აეღო სურსათ-სანოვაგე, გაეყიდა თბილისში და აღებული ფულით მათთვისვე ჟურნალი გამოეწერა. ივ. კერესელიძეს უთქვამს ზ. ჭიჭინაძისათვის: „ხელის მომწერთაგან ხომ ფულის აღება ადვილათ არ შეიძლებოდაო, რადგანაც ზოგი ხელის მომწერნი „ცისკრის“ ფულში ფქვილს, ხორბალს, ღვინოს, შეშას, ნახშირს და ამ გვარებს იძლეოდნენო. ზოგი ცხვარს, თხას, ქათმებს გზავნიდა, ზოგი ძროხასო“.

ამ მხრივ, საინტერესოა 1860 წლის ვითარება, როცა ჟურნალს მხოლოდ 118 ხელის მომწერი გამოუჩნდა. დახურვის პირას მდგარ „ცისკარს“ დიმ. ყიფიანმა გაუწოდა დახმარების ხელი. კერძოდ, მან „ბაქარ ქართლელის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა თხზულება „ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ!“ („ცისკარი“, 1860, №1), რომელშიც ავტორი ასაბუთებდა, ერთი მხრივ, პრესის უდიდეს როლს ენის განვითარებაში, ხოლო მეორე მხრივ, ენის განმსაზღვრელ მნიშვნელობას ეროვნული თვითარსებობისა და თვითმყოფობის შენარჩუნებაში:

„მთელს კახეთში, ქართლში, იმერეთში, გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს გამოვიდა 118 კაცი, რომ შარშან „ცისკარზედ“ ხელი მოწერილი ჰქონდათ და წლეულსაც მოაწერენ თუ არა, ესეც არავინ იცის... არას გზით არ შეიძლება, რომ სადაც კაცს ასთვრამეტის მეტი წამკითხველი არ ეგულება, იქ ადვილად კარგი დაიწეროს, ან ითარგმნოს რამე. იმათშიაც ზოგი ხელს იმიტომ აწერს „ცისკარზედა“, არა ჰსთქვანო, რომ ამა და ამ კაცმა ხელი არ მოაწერაო; ზოგი ანბობს, მქონდეს, რა მენაღვლება და როცა იქნება, ან მე წავიკითხავ, ან სტუმარი მომივა და იმას წავაკითხებო; ზოგი – ძილი მიტყდებაო და იმისთვის ვიბარებ, ეგება ძილი მომგვაროს ხოლმეო; ამასობაში ოციოდეც აღარ დარჩება, რომ გულდასმით კითხულობდენ. ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ ფიქრმა ბევრს ნიჭიერს მწერალს კალამი არ შეუყენოს; ყოვლად შეუძლებელია, რომ ჟურნალი წარმატებაში შევიდეს... ხომ გაგიგონია, რომ ჩვენში კაცი გადმოვარდნილა საიდანმე და თავისი ენა გადავიწყებია, – გადარჯულებულიაო, იმისას იტყვიან, – და გადარჯულებული მთელს ქვეყანაზედ ისე მიაჩნიათ, არავინ რას დაჰსდევს, ყურს არავინ ათხოვებს და თუ ხმა ამოიღო სადმე, ეს ვიღა ოხერიაო, იტყვიან. ვისაც თავისი ენა არ ახსოვს, იმას აღარც მამა გააჩნია, აღარც დედა, აღარც ნათესაობა და აღარც ტომობა, რომ გულის შემატკივარი ეგულებოდეს სადმე; გამოყრუებულივით, გამორიცხულივით არის ქვეყანაში და თუ ლუკმასა ჰსჭამს, მწარეა ეს ლუკმა... რაც ამ ერთს კაცზედა ითქმის, ის მთელს ხალხზედაც ითქმის. მაგრამ ყოველივე უფრო საზარელი, უფრო გულის შემაძრწუნებელი, უფრო სულის აღმაშფოთებელი: რომელიც ხალხი თავის ენას გადაივიწყებს, იმას ხალხის სახელი აღარა ჰქვია რა, მნიშვნელობა და პატივი სრულიად აღარა აქვს რა და ქვეყნიერებაში ისე გამოწყდება, რომ იმისი სახსენებელიც აღარა დარჩეს რა, – და არათუ მარტო თვითან გამოწყდება ეს ხალხი, – თავისს სასიქადულოს მამა-პაპათა ხსენებასაც ისე გააქრობს, რომ ქვეყანაზედ აღარავინ იცოდეს აღარც იმათი სარწმუნოებისათვის მოღვაწეობა, აღარც იმათი ხან მტერთაგან წამება და ხან მტრებზედ ძლევაშემოსილი გამარჯვება, აღარც იმათი კეთილი ზნეობა და სათნოება, სრულიად აღარაფერი, რაც რამ სულის გამწმენდელი და აღმამაღლებელი არის კაცისათვის, გულის გამაპატიოსნებელი, ღვთის სარწმუნოებაზედ და ხელმწიფის ერთგულებაზედ მტკიცედ დამაყენებელი. იქნება ერთხელ, მომავალს დროებში, ძველის წიგნების ამომკითხველს შეჰხვდეს როდისმე იმათი მივიწყებული ანბავი. მაშინ ის მკითხველი იტყვის: „ეტყობა მეტისმეტი სიწუწკით დამართვიათ, რომ ხსენება აღარ არის რა იმათი ქვეყანაზედა: დამბადებელსაც ამ მიზეზით აუღია იმათზედ ხელი, რა მიზეზითაც უფალმა მსახური განაგდო – ერთის ტალანტის დამმარხავიო...“. საუბარი წერას დაჰბადებს და წერა საუბარს განაღვიძებს. სადაც წერა და მწიგნობრობა არ არის გაცხოველებული, იქ რომ საუბარიც არ დადუმდეს, არ შეიძლება. და რაკი ერთხელ საუბარი დადუმდება, იქ ენაც უსათუოდ გადავარდება, ამას თქმა აღარ უნდა“.

ერთი მხრივ, პატრიოტული სულისკვეთების, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების ფართო წრეებში ავტორის მაღალი ავტორიტეტის გამო დიმ. ყიფიანის წერილმა დიდი რეზონანსი გამოიწვია და „ცისკარს“ ხელის მომწერებიც სწრაფად მოუმრავლა. წარმატებით ფრათშესხმულმა ივ. კერესელიძემ კი ჟურნალის ფურცლებიდანვე მიმართა დიმ. ყიფიანს: „თქვენმა შემწეობამ და თქვენგან ხელის გამართვამ რედაქციას ისეთი საქმე დამართა, რომ სწორეთ გაუძნელა საქმე. მოლოდინი რომ არა ჰქონია, რომ „ცისკარს“ მრავალნი მოითხოვდნენ, – მხოლოდ ორასს წიგნსა ჰბეჭდავდა[12] და რა, რომ თქვენ

[12] xSirad `ciskris~ xelis momwerTa raodenoba faqtobriv tiraJs ar emTxveoda _ tiraJis nawils iv. kereseliZe ufasod arigebda.

თქვენის ღვთისაგან კურთხეულის იმერეთიდამ[13] ბაქარ ქართლელის წერილი დაგვაბეჭდინეთ, იმდენს წიგნსა გვთხოვენ, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, – ან უარი უნდა მოვახსენოთ ახალს ხელის მომწერლებსა, ან რაც აქამდისინ არის დაბეჭდილი, ხელახლად უნდა დავაბეჭდინოთ“ (რედაქტორისაგან უფალს თეიმურაზ ვაკელს, „ცისკარი“, 1860, №3).

იშვიათად „ცისკარს“ ხელისუფლებაც ეხმარებოდა, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული ალ. ორბელიანის ცნობა („გრიგოლ ორბელიანმა უშუამდგომლა ჩვენს ჟურნალს კნიაზ ნამესტნიკთან... ფულები ებოძებინა ჩვენის „ცისკრისათვის“), მაგრამ ეს მხოლოდ ბედნიერი გამონაკლისი იყო.

მას შემდეგ, რაც გაჩნდა სხვადასხვა ხასიათისა და მიმართულების ქართული პერიოდული გამოცემები („საქართველოს მოამბე“, „დროება“, „მნათობი“, „კრებული“...), სერიოზულმა მწერლებმა და პუბლიცისტებმაც ამ ახალ პრესაში დაიწყეს ბეჭდვა. ამდენად, „ცისკარმა“ დაკარგა არა მარტო ხელის მომწერები, არამედ მეტ-ნაკლებად საინტერესო ავტორებიც და ჟურნალი არსებითად უნიჭო ეპიგონებისა და გრაფომანების თავშესაფრად იქცა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ „ცისკართან“ თანამშრომლობა ლიტერატურულ წრეებში საძრახის საქმედ ითვლებოდა. მაგალითად, როცა ივ. კერესელიძემ გამოაქვეყნა ცნობა – 1874 წლიდან ჩვენს ჟურნალში პეტრე უმიკაშვილი ითანამშრომლებსო – პ. უმიკაშვილმა ეს ცნობა „დროების“ მეშვეობით საჯაროდ უარყო.

ავტორთა და თანამშრომელთა დაკარგვამ ბუნებრივად გამოიწვია ის, რომ ივ. კერესელიძეს ლიტერატურული მასალა შემოაკლდა და შიგადაშიგ ადრე გამოქვეყნებული ტექსტების ხელმეორედ ბეჭდვას მიჰყო ხელი. დაირღვა გამოცემის პერიოდულობაც. მატერიალურად უკიდურესად შევიწროებული რედაქტორ-გამომცემელი იძულებული გახდა, გაეყიდა სტამბა, რომლის შენახვაც მისთვის შეუძლებელი შეიქნა (მიჰყიდა შესანიშნავ მესტამბესა და გამომცემელს – ექვთიმე ხელაძეს, რომელიც წლების განმავლობაში იყო ივ. კერესელიძის ერთგული თანამშრომელი და თანამოაზრე). მანამდე კი (ჯერ კიდევ 1860-იან წლებში) ივ. კერესელიძემ, ჟურნალი რომ შეენარჩუნებინა, საკუთარი სახლი დააგირავა „პრიკაზში“ – მ. ვორონცოვის მიერ 1850-იან წლებში დაარსებულ სათავადაზნაურო-საკრედიტო დაწესებულებაში, ხოლო 1870-იან წლებში იძულებული გახდა, საერთოდ გაეყიდა ეს სახლი, გაეყიდა აგრეთვე საოჯახო ნივთები, დაეგირავებინა მამული თბილისის მაზრის სოფელ ბოგვში (თეთრი წყაროსთან). მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა – 1875 წელს „ცისკრის“ მხოლოდ პირველი წიგნაკი დაიბეჭდა (№1-2). ამას დაერთო ივ. კერესელიძის ავადმყოფობაც და, ბოლოს და ბოლოს, იგი იძულებული გახდა, 1875 წლის 5 ივნისს ასეთი განცხადებით მიემართა კავკასიის საცენზურო კომიტეტისათვის:

„გულის ავადმყოფობის გამო მესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა. ამიტომაც შევწყვიტე ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა. ამასთან, იმასაც გაცნობებთ, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ განვაახლებ „ცისკრის“ გამოცემას იმავე სახით, რა სახითაც იგი აქამდე გამოდიოდა...“.

მიუხედავად ივ. კერესელიძის ოპტიმიზმისა („გამოჯანმრთელების შემდეგ განვაახლებ „ცისკრის“ გამოცემასო...“), ყველასათვის ცხადი იყო, რომ ჟურნალს განახლება აღარ ეწერა. ეს იგრძნო გაზეთ „დროების“ რედაქციამაც და ირონიული „ნეკროლოგი“ გამოაქვეყნა:

---

[13] `Cemo guliTad sayvarelo Teimuraz!~ dawerilia epistoluri formiT. igi baqar qarTlelis werilia imereli Teimuraz vakelisadmi. aseTi literaturuli xerxisaTvis dim. yifians sxva drosac miumarTavs da sinamdvileSi `baqar qarTlelica~ da `Teimuraz vakelic~ erTi avtoris (dim. yifianis) fsevdonimebia.

„[„ცისკარს“] ბოლოს და ბოლოს სიცოცხლე თანდათან შემოაკლდა, როგორღაც თითქო დაუძლურდა, დავარდა; თუმცა ხანდახან გამოდიოდა ხალხში, მაგრამ თითქო ცოცხალმკვდარი ისე დაიარებოდა, ერთ-ორს თუ შეეჩრებოდა თვალში. შემდეგ იქამდი მივიდა საქმე, რომ „ცისკარი“ კაცს აღარ ახსოვდა და, თუ ვინმე მოიგონებდა, იკითხავდა, როგორც მეზობლის ცხენს: „ნეტავ, ცოცხალია კიდევ, თუ არაო?“. ეხლა, როგორც ხედავთ, სულაც მიიცვალა... ეს ორიოდე სიტყვა იყოს იმის ნეკროლოგათ...“ („დროება“, 1875, №106).

ერთი სიტყვით, ცხოვრებამ თავისი სისასტიკე უჩვენა „ცისკარსა“ და მის მესვეურს – ჟურნალი, რომელიც თავიდან (1857-1862 წლებში) არსებითად ქართული კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრების ძირითადი კერა იყო, თანდათანობით ისე დაკნინდა, რომ საზოგადოებრივ-კულტურული და იდეოლოგიური განვითარების დამამუხრუჭებელ ფაქტორად იქცა.

„ცისკრის“ მნიშვნელობის, XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის (ზოგადად, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურულ-სალიტერატურო პროცესების) ისტორიაში მისი ადგილის შესახებ ვრცელი მსჯელობის შემდეგ ალ. კალანდაძე დაასკვნის:

„ჟურნალის განვითარებაში მკაფიოდაა გამოსახული ოთხი პერიოდი: 1857-1862 წლები – „ცისკარი“ ერთადერთი ქართული პროგრესული პერიოდული გამოცემაა; 1863 წელი – „ცისკარი“ ერთ მიმართულებას ადგას – სამოციანელთა ხელშია; 1864-1868 წლები – „ცისკარი“ უკან იხევს, მაგრამ ძირითადად მაინც ხელს უწყობს სამოციანელთა შეხედულებების გავრცელებას; 1869-1875 წლები – „ცისკარი“ საბოლოოდ მოწყდა ცხოვრების წინსვლას და არსებითად ჩამორჩენილი შეხედულებების თავშესაფარი გახდა“.

დასასრულ, მოკლედ „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემლის, **ივანე კერესელიძის**, ცხოვრებასა და ღვაწლზე...

ივანე კერესელიძე დაიბადა 1829 წელს, თბილისში, გააზნაურებული გლეხის ოჯახში. მამამისი ივანე (იოანე) კერესელიძე მოსამსახურედ (მოგვიანებით – მამულის გამგედ) იდგა ერეკლე II-ის სიძის, ვახტანგ ორბელიანის (თეკლა ბატონიშვილის მეუღლის, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების მამის), ოჯახში. მომავალი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე პატარაობაშივე (ერთი წლისა) დაობლდა. დედამ, ანა-ხანუმ ტუსიშვილმა, იგი ჯერ კერძო პანსიონში მიაბარა, შემდეგ – სასულიერო სასწავლებელში. 1843 წელს ივ. კერესელიძე თეკლა ბატონიშვილის თხოვნით თბილისის გიმნაზიაში ჩარიცხეს (თეკლა ბატონიშვილის დახმარება იმიტომ დასჭირდა, რომ გიმნაზიაში მხოლოდ თავად-აზნაურთა ოჯახების შვილებს იღებდნენ, ივანეს კი აზნაურობის დამადასტურებელი საბუთი არ აღმოაჩნდა).

გიმნაზიის დამთავრების (1850) შემდეგ ივ. კერესელიძეს რუსეთში წასვლა და უმაღლესი განათლების მიღება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ოჯახურმა გარემოებებმა და ხელმოკლეობამ მას ამის საშუალება არ მისცა; ამიტომაც, გიმნაზიაშივე დარჩა ზედამხედველად და ქართული ენის მასწავლებლად, თუმცა სამსახურიდან მალევე დაითხოვეს იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ადრე თეკლა ბატონიშვილის პროტექცია დასჭირდა (აზნაურობის დამადასტურებელი საბუთის არქონა. ამგვარი საბუთი ივ. კერესელიძეს 1853 წელს სამეგრელოს მთავარმა, დავით დადიანმა, უბოძა).

იმავე წლებში გაეღვიძა ივ. კერესელიძეს თეატრალური ინტერესები. იგი დაუახლოვდა გიორგი ერისთავს და მისი თანაშემწე გახდა. მოგვიანებით, – მას შემდეგ, რაც გ. ერისთავმა თბილისის დატოვება და მშობლიურ ხიდისთავში დაბრუნება გადაწყვიტა, – ქართული თეატრის გაძღოლის უფლება სწორედ ივანე კერესელიძეს გადასცა, თუმცა, ივ. კერესელიძემ ხელისუფლების წინააღმდეგობა ვერ დასძლია და გ. ერისთავის მიერ 1850 წელს დაარსებულმა პროფესიულმა თეატრმა 1856 წელს სწორედ მის ხელში დალია სული.

გიმნაზიიდან გათავისუფლებულმა ივ. კერესელიძემ ერთხანს საგუბერნიო სამმართველოში იმსახურა დაბალი ჩინის მოხელედ, მაგრამ აქედანაც მალე დაითხოვეს და უსახსროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი ახალგაზრდა პოეტი და მოღვაწე სამეგრელოს მთავარმა, დავით დადიანმა, ზუგდიდში მიიწვია შვილების მასწავლებლად.

სამეგრელოს მთავრის უნიკალურ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნებისა და ხელნაწერების გაცნობამ და შესწავლა-დამუშავებამ, აგრეთვე, დავით დადიანისა და მისი მეუღლის, ეკატერინე ჭავჭავაძის, წრეში ყოფნამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა და გააფართოვა ივ. კერესელიძის მწიგნობრულ-საგანმანათლებლო ინტერესები (სხვათა შორის, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ივანე კერესელიძის ფერწერული პორტრეტი – დახატული ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ).

ზუგდიდიდან ივ. კერესელიძე მატერიალურად მოღონიერებული დაბრუნდა და მაშინვე შეუდგა თავისი ოცნების ასრულებას – ქართული სალიტერატურო ჟურნალის დაარსებას. 1857 წელს მან მართლაც დააფუძნა ჟურნალი და, აქედან მოკიდებული 18 წლის განმავლობაში, „ცისკარს“ შესწირა მთელი თავისი ნიჭი, შრომა, ფიზიკური და შემოქმედებითი ენერგია, ოჯახური სიმშვიდე თუ ქონებრივი კეთილდღეობა...

ჟურნალისტური მოღვაწეობის პარალელურად ივ. კერესელიძე მთელი ცხოვრების განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ სალიტერატურო-შემოქმედებით და საგამომცემლო საქმიანობას – ქართულ პრესაში („ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „იმედი“ და სხვ.) აქვეყნებდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, დრამატულ ნაწარმოებებს, თარგმანებს, კრიტიკულ-ლიტერატურულ და პუბლიცისტურ წერილებს... თარგმნა და 1852 წელს გამოსცა რუსი პედაგოგის პ. მაქსიმოვიჩის სასკოლო სახელმძღვანელო „ყრმათა მეგობარი“ (მომდევნო წლებში ეს სახელმძღვანელო რამდენჯერმე გამოიცა სხვა სათაურით – „საკითხავი წიგნი ახალ-მოსწავლეთა ყრმათათვის“). ივ. კერესელიძეს ეკუთვნის ორიგინალური სახელმძღვანელოც – „ანბანი. ახალ-მოჰსწავლეთა ყრმათათვის“ (გამოიცა რამდენჯერმე: 1856, 1858 და შემდგომ წლებში; უნდა აღინიშნოს, რომ თავისი სახელმძღვანელოების ტირაჟის ნაწილს ივ. კერესელიძე უფასოდ ურიგებდა ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსულ მოსწავლეებს). მანვე გამოსცა იოანე ბატონიშვილის „კალმასობა (1862) და გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ (1871); შეადგინა, თუმცა ვერ გამოსცა მოსწავლეებისათვის განკუთვნილი „ქართული ქრესტომათია“ და სხვ.

ივ. კერესელიძე, თვითონ მატერიალურად შეჭირვებული, ხელს უმართავდა რუსეთში მყოფ ქართველ სტუდენტობას – მართავდა საქველმოქმედო საღამოებსა და წარმოდგენებს, ხოლო შემოსულ თანხას ხელმოკლე ქართველ სტუდენტებს რუსეთში უგზავნიდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ცისკრის“ რედაქცია (როგორც ითქვა, ჟურნალის რედაქციაცა და სტამბაც ივ. კერესელიძეს საკუთარ სახლში ჰქონდა მოწყობილი) იმავდროულად თავისებურ ლიტერატურულ სალონსაც წარმოადგენდა. აქ იკრიბებოდნენ სხვადასხვა თაობის მწერლები, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები, კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრებით დაინტერესებული პირები და იმართებოდა მსჯელობა ქართული კულტურის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოწვეულ სტუმრებს მუდამ ვალებში ჩაფლული ივ. კერესელიძე გულუხვად მასპინძლობდა. ალექსანდრე დიუმას (მამას), რომელიც 1858 წელს იმყოფებოდა თბილისში, თავის წიგნში „კავკასია“ აღწერილი აქვს სტუმრობა „ცისკრის“ რედაქციაში და იქ გამართული პურობა.[14]

[14] Rvinis smaSi al. diumam ajoba maspinZlebs da `ciskris~ redaqtorma sapatio stumars aseTi werilobiTi `cnoba~ gaatana: `b-ni aleqsandre diuma ewvia Cvens ubadruk redaqcias, sadac misTvis gamarTul sadilze qarTvelebze meti Rvino dalia. 1858 w. 28 noemberi~. `cnobis~ siswore werilobiTve daudasturebia nikoloz WavWavaZes: `me veswrebodi sadils da vadastureb, rom b-nma diumam namdvilad qarTvelebze meti Rvino dalia~ (**al. diuma**. kavkasia. Tb.: 1970, gv. 344; `ciskris~ redaqciaSi frangi mwerlis stumrobisa

ცხოვრების ვაი-ვაგლახმა, განუწყვეტლივ ვალებში ყოფნამ, სახლისა და ავლადიდების გაყიდვამ, ცოლშვილიანად ქუჩაში დარჩენამ, თავშესაფრის ძებნამ და, – რაც მისთვის ყველაზე ტრაგიკული იყო, – მრავალი წლის ნაამაგარი „ცისკრის“ გამოცემის შეწყვეტამ ნაადრევად მოტეხა ივ. კერესელიძე. ამასვე გადაჰყვა მისი ერთგული მეუღლე და ყველა საქმეში თანამოაზრე, მსახიობი ნინო უზნაძე, რომელიც 1878 წელს გარდაიცვალა 36 წლისა.

მალე ივ. კერესელიძემ შეირთო შეძლებული ოჯახის შვილი ანასტასია ამილახვარი, რამაც საშუალება მისცა, დაბრუნებოდა საზოგადოებრივ ასპარეზს. 1887 წელს მან დააარსა სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „ცისკარი“, მაგრამ ეს გამოცემაც მალე დაიხურა (გამოდიოდა კვირაში ორჯერ. სულ დაიბეჭდა 23 ნომერი) და გამომცემელსაც ახალი ვალები მოუტანა.

სიცოცხლის ბოლო წლები ივანე კერესელიძემ ძირითადად სოფელ ბოგვში გაატარა. გარდაიცვალა თბილისში, 1892 წლის 21 დეკემბერს, ნაქირავებ ბინაში, უკიდურეს სიღარიბეში. დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის გალავანში (ამჟამად – დიდუბის პანთეონი). სიცოცხლეშივე უსამართლოდ მივიწყებული მოღვაწე დაკრძალეს პატივით: ხალხმრავალი პროცესიით, გვირგვინებით, მგზნებარე გამოსათხოვარი სიტყვებით...

ლიტერატურა:

ასათიანი ლ. ლიტერატურული ნარკვევები და წერილები. თბ.: 1955, გვ. 167-176.

ბერძნიშვილი მაქს. ილიას პირველი რეცენზენტი (ბიბლიოგრაფიული ეტიუდი). „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1987, №3, გვ. 87-96.

ბურჯანაძე ქ. მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები. თბ.: 1992, გვ. 134-142, 178-188.

გამეზარდაშვილი დ. კვლავ „სალაყბო ფურცლების“ ავტორთა ვინაობის საკითხისათვის. წიგნში: **დ. გამეზარდაშვილი.** ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, [ტ.] 3. თბ.: 1975, გვ. 289-306.

გიგინეიშვილი ი. ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა. კრბ.: „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ (IX, 1989, გვ. 20-35).

გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), ტ. I. თბ.: 1941, გვ. 138-296.

ევგენიძე ი. 40-50-იანი წლების ლიტერატურა და ჟ. „ცისკარი“ ილია ჭავჭავაძის დახასიათებით. წიგნში: **ი. ევგენიძე.** ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II. თბ.: 2003, გვ. 190-201.

ვახანია ვ. ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა. თბ.: 1958, გვ. 29-54.

ივანე კერესელიძის წერილები (შ. რადიანის პუბლიკაცია). „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წგნ. I. თბ.: 1935, გვ. 536-545.

კაკაბაძე ვ. ი. ჭავჭავაძე ჟურნალ „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“. წიგნში: ილია ჭავჭავაძე (საიუბილეო კრებული). თბ.: 1939, გვ. 125-138.

კალანდაძე ალ. გვაქვს საგანძური... (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა). თბ.: 1986, გვ. 350-400.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, II (1853-1863). თბ.: 1984.

კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). წიგნში: **ვ. კოტეტიშვილი**. რჩეული ნაწერები (ორ წიგნად). **დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, წგნ. I. თბ.: 1965, გვ. 178-183.

---

da Rvinis smaSi gajibrebis detalebze, iv. kereseliZis monaTxrobze dayrdnobiT, a. wereTelsac uweria `Cem TavgadasavalSi~).

მიქაძე გ. ილია და „მოლაყბე“ (ერთი დაუდგენელი ფსევდონიმის შესახებ). წიგნში: **გ. მიქაძე.** ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში. თბ.: 1998, გვ. 83-88.

ნანიტაშვილი ლ. ჟურნალ „ცისკრის“ პოეტები. თბ.: 1967.

რატიანი შ. XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკის ისტორიიდან. თბ.: 1983.

სურგულაძე ა. ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბ.: 1973, გვ. 155-165.

ქვარიანი თ. გაზეთი „თეატრი“. თბ.: 1974, გვ. 15-37.

წერეთელი ა. ჩემი თავგადასავალი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. VII. **გ. აბზიანიძის** რედაქტორობით. თბ.: 1958, გვ. 104-107.

წერეთელი ა. ორი შეხვედრა. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIII. **გ. აბზიანიძის** რედაქტორობით. თბ.: 1961, გვ. 18-27.

ჭავჭავაძე ი. მასალები „ცისკრის“ წარმოების გასარჩევად (ცისკარი 1857 წლიდან – 1862 წლამდინა). თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად). ტ. V. **გ. აბაშიძის** რედაქტორობით. თბ.: 1991, გვ. 585-605.

ჭიჭინაძე ზ. ქართულ გაზეთის ასი წლის ისტორია. ტფ.: 1916, გვ. 27-31,51;

ჭიჭინაძე ზ. ივ. ივ. კერესელიძე. ტფ.: 1902.

ჭიჭინაძე ქ. თედორაძე ნ. ივანე კერესელიძე (დოკუმენტური მასალა). „საისტორიო მოამბე“, [ტ.] 11-12, 1960, გვ. 519-593.

ჭუმბურიძე ლ. ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა პუბლიკაცია ჟურნალ „ცისკარში“. კრბ.: „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (**დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, III. 1974, გვ. 111-124).

ჭუმბურიძე ჯ. სალიტერატურო კრიტიკა ჟურნალ „ცისკარში“ (1865-1875). წიგნში: **ჯ. ჭუმბურიძე.** მეცხრამეტე საუკუნე (ლიტერატურული ნარკვევები). თბ.: 2004, გვ. 69-109.

ჭუმბურიძე ჯ. ქართული კრიტიკის ისტორია, I. თბ.: 1974, გვ. 97-126.

ხელთუბნელი მიხ. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ.: 1938, გვ. 138-142.

ჯოლოგუა თ. დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წლები). თბ.: 2002, გვ. 107-123.

ჯორჯაძე ა. მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის. წიგნში: **ა. ჯორჯაძე.** წერილები. შემდგენელი **ა. ბაქრაძე**. თბ.: 1989, გვ. 110-128,178-184,198-199,285.

„მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლასთან დაკავშირებული კრიტიკულ-ლიტერატურული ტექსტები იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტომათია. შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო **ს. ხუციშვილმა**, I. თბ.: 1954.

ბიბლიოგრაფია იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945). შედგენილი **გ. ბაქრაძის** მიერ, **ვ. ეგნატაშვილის** რედაქციით. თბ.: 1947, გვ. 4.

Абрамишвили А. Грузинская периодика (1819-1917). Тб.: 1968, с. 35-37.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია იხ. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. I (1852-1877). **გ. აბზიანიძის** რედაქციითა და წინასიტყვაობით, ბიბლიოგრაფიული რედაქცია და საძიებელი **თ. მაჭავარიანისა**. თბ.: 1940.

„გუთნის-დედა“

(1861-1876)

1858 წელს „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“[1] ვიცე-პრეზიდენტმა, გრიგოლ ორბელიანმა, „საზოგადოების“ გამგეობას განსახილველად წარუდგინა წინადადება ქართულ ენაზე სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის გამოცემის შესახებ. გამგეობამ მაშინ ამ წინადადებაზე უარი თქვა იმ მიზეზებით, რომ ამჟამად არც საამისო სახსრები გვაქვს და არც ისეთი პირი გვეგულება, ამ საქმის განხორციელება შეძლოსო. მოგვიანებით, 1861 წელს, საკითხი კვლავ წამოიჭრა – ამჯერად კავკასიის მთავარმმართველობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის, გენერალ მიხ. კოლიუბაკინის, მიერ. მანვე „ცისკრის“ რედაქტორ ივ. კერესელიძეს მოუპოვა სუბსიდია (900 მანეთი), რათა „ცისკარს“ შემოეღო სპეციალური განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წერილების გამოსაქვეყნებლად, რაც განხორციელდა კიდევაც. იმავე წლის ბოლოს კი გადაწყდა, ამ ტიპის მასალებისათვის ივ. კერესელიძის ჟურნალთან, როგორც მისი ორკვირეული დამატება, ცალკე პერიოდული ორგანო დაარსებულიყო. ასე გამოვიდა 1861 წლის 15 დეკემბერს პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო (აგრონომიული) ჟურნალი **„გუთნის-დედა“** („ადგილ-მამულის მართვის ფურცელი“[2]), რომელსაც ახლდა გამოცემის ოფიციალური რედაქტორის, ივ. კერესელიძის, განმარტება: „ცისკრის“ რედაქცია ახარებს მკითხველთა, რომ ამ ადგილმამულის მართვის ანუ „გუთნის დედის“ რედაქციის მართვა ვაკისრებინეთ ერთს გამოჩენილს მაგისტრს, რომელიც დიდად დახელოვნებულია ამ საგანში. მხოლოდ სამწუხაროდ ჩუენდა, ჰფარავს თავის გვარს და აწერს ყოველს ამგვარს სტატიას იმ წოდებით, რომელსაცა ნახვენ მკითხველნი ყოველ ამ გვარს სტატიის ბოლოს“.

„ერთ გამოჩენილ მაგისტრში“ ივ. კერესელიძე გულისხმობს ჟურნალის პირველ ფაქტობრივ რედაქტორს, ივანე სერებრიაკოვს,[3] რომელსაც ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით,

---

[1] `kavkasiis soflis meurneobis sazogadoeba~ mefisnacval mix. voroncovis iniciativiT daarsda 1850 wels. `sazogadoebis~ mizani iyo kavkasiaSi zogadad da, kerZod, saqarTveloSi soflis meurneobis sxvadasxva dargis aRorZineba da ganviTareba, axali manqana-iaraRebis Semotana da moxmareba, sarwyavi sistemis srulyofa, ucxo qveynebis gamocdilebis danergva da am mizniT sazRvargareTidan specialistebis mowveva, saojaxo mrewvelobisa da xelosnobis waxaliseba da a. S.; `sazogadoebasa~ da mis mesveurebs sagangebo miznad hqondaT dasaxuli saqarTveloSi (mTlianad kavkasiaSi) soflis meurneobis evropeizacia. saamisod ki am organizacias kavkasiis regionebSi daarsebuli hqonda filialebi. igi scemda agreTve periodul organos (`Записки Кавказского общества сельского хозяйства~). `sazogadoebis~ muSaobas warmarTavda mmarTveli sabWo, romelSic sxadasxva dros qarTvelebic moRvaweobdnen (gr. orbeliani, i. WavWavaZe, raf. erisTavi, iv. serebriakovi, iv. sulxaniSvili da sxv.). dRidan daarsebisa, `kavkasiis soflis meurneobis sazogadoebis~ mmarTveli sabWos wevri iyo dim. yifiani, romelic mere gaxda `sazogadoebis~ vice-prezidenti (1866 wlidan), xolo 1868-1869 ww. asrulebda prezidentis movaleobas.

[2] sxvadasxva wlebSi: `mamulis-patronobis furceli~, `mamulis-movlisaTvis~, `mamulis patronobis da vaWrobis gazeTi~, `sameurneo gazeTi~.

[3] imaze, rom `guTnis-dedis~ faqtobrivi xelmZRvaneli iv. serebriakovi iyo, miuTiTebs iv. kereseliZis kidev erTi gancxadeba: `[nomris] dagvianebis mizezi redaqciis brali ar aris. dReis Semdeg SevecdebiT Tav Tavis drozed gamovceT da vimedovnebT statiebsac moiwoneben mkiTxvelni, radganac am gazeTis pirveli TanamSromeli da mmarTavica aris mamulis marTvaSi daxelovnebuli piri i. s[erebriako]vi~ (redaqciisagan, `guTnis-deda~, 1864, #2). ase rom, ar Cans swori al. kalandaZis Sexeduleba: `guTnis dedas~ uSualod jer ioseb mamacaSvili xelmZRvanelobda, xolo merme, 1866 wlidan, agronomi i. serebriakovi (oqromWedliSvili)~.

ხოლო რაც შეეხება ახალდაარსებული პერიოდული გამოცემის მიზანდასახულობას, იგი ჩამოყალიბებულია იმავე ნომერში გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილში – „რედაქციისაგან“:

„სოფლების განშვენიერება უფრო მომატებულად სასარგებლოა, ვიდრე ქალაქებში ახალის დაწყობილების შემოტანაო“, – ასე ჰსწერს განვლილის წლის აგვისტოს თუეში ერთს თავისს შინაურს ახლანდელი მფლობელი ფრანციისა. რომელი გონიერი მომაკვდავი არ დაერწმუნება ამ მართალ სიტყუებსა... ორმოცდა ათი წელიწადია მას აქეთ, როდესაც დასავლეთის ევროპაში მიხვდნენ, რომ მიწის შემუშავების წარმატებისათვის საჭიროა ჰსწავლის საგნები და მრთელი ხალხი ამის მიხედვით უყურებდნენ საქმეს და გამოხატულებას, ანუ, როგორც ახლა ანბობენ, გამოცდილებას და ჰსწავლას: ამ სახით მტკიცედ და სიჩქარით მომდინარეობდნენ წარმატების გზაზედ... „გუთნის დედის“ რედაქცია შეძლებისამებრ მოიხმარებს მეცადინეობას, მისცეს სარგებლობა მკითხველთა ადგილმამულის მართვის შესახებ, დროით და დროით გამოჰკრეფავს სხუა და სხუა შესანიშნავ გაზეთებიდგან და წიგნებითგან ადგილმამულის მართვის ცნობათა. ამასთანავე, გუთნების, ფარცხების და სხუა სამუშავო იარაღების სურათებსა, რომელნიცა მოქმედებაში არიან ევროპაში თვით მცირეს საქონელით, – თავის აღწერილობით“.

ერთი სიტყვით, საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და, შესაბამისად, საზოგადოების მატერიალური ყოფის გაუმჯობესებისათვის, „გუთნის-დედის“ ინიციატორთა და გამომცემელთა აზრით, აუცილებელი იყო მეცნიერული ცოდნისა („ჰსწავლის საგნების“) და ევროპული გამოცდილების პრაქტიკული დანერგვა საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

იმაზე, თუ ვის ეკუთვნოდა „გუთნის-დედის“ დაარსების ინიციატივა, დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით. ალ. კალანდაძე ჟურნალის დაარსების ინიციატორად მიიჩნევდა იოსებ მამაცაშვილს[4] [„1860 წელს, როცა უსახსრობის გამო ჟურნალს („ცისკარს“ – თ. ჯ.) დახურვა ემუქრებოდა, იოს. მამაცაშვილის ინიციატივით მოხერხდა მასთან „გუთნის დედის“ დაარსება, რომელსაც გარკვეული დახმარება ეძლეოდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან“], თუმცა, სამწუხაროდ, მკვლევარს ამ მოსაზრების დამადასტურებელი არც რაიმე საბუთი აქვს დამოწმებული და არც რაიმე არგუმენტი – მოყვანილი. არადა, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თვით „გუთნის-დედაში“ (1874, №18) გამოქვეყნებულ ი. მამაცაშვილის ნეკროლოგშიც კი არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ მას რაიმე წვლილი აქვს შეტანილი ამ ჟურნალის დაარსება-ხელმძღვანელობაში.

საკითხის გარშემო ჩვენთვის ცნობილი წყაროებიდან სხვაზე უფრო სანდო ჩანს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ერთი ცნობა: „[ივ. სერებრიაკოვმა] თავისი სამსახურის პირველ წელიწადსვე მოინდომა ქართული სასოფლო სახლოსნობის გაზეთის „გუთნის-

---

[4] **ioseb qristefores (qaixosros) Ze mamacaSvili** (1810-1874) iyo Tavis droze cnobili sazogado moRvawe, Jurnalisti, mwerali. monawileobda 1832 wlis SeTqmulebaSi, ris gamoc sasjels ixdida viatkaSi (s. dodaSvilTan erTad). samSobloSi dabrunebuli (1836 w. marti) i. mamacaSvili gorSi damkvidrda da iq msaxurobda mazris mosamarTled. hqonda `namdvili samoqalaqo mrCevlis~ (`Действительный статский советник~) maRali samoqalaqo Cini. i. mamacaSvilis ojaxSi ikribebodnen kulturul-literaturuli interesebis mqone qarTveli moRvaweebi (d. baqraZe, v. TulaSvili, d. musxeliSvili, a. furcelaZe da sxv., agreTve, progresulad moazrovne rusi pedagogi simonoviCi) da msjelobdnen qarTuli kulturis awmyosa da momavalze. swored i. mamacaSvilis wreSi daibada farTo profilis sazogadoebriv-saganmanaTleblo organizaciis Seqmnis idea, romelmac Semdeg saxe icvala da sabolood `qarTvelTa Soris wera-kiTxvis gamavrcelebeli sazogadoebis~ dafuZnebiT dagvirgvinda. `guTnis-dedis~ daarsebamde i. mamacaSvili sasoflo-sameurneo xasiaTis werilebs `ciskarSi~ aqveynebda.

დედის“ გამოცემა. ეს მშვენიერი, საფუძვლიანი აზრი ახალგაზრდა ნასწავლი აგრონომისა სიხარულით მიიღო იმისმა ნაჩალნიკმა მ. ნ. კოლიუბაკინმა და ცოტას ხნის შემდეგ „გუთნის-დედის“ ნომრებს კითხულობდნენ სოფლებში“ (ი. ლ. სერებრიაკოვი, „დროება“, 1869, №14). ივ. სერებრიაკოვი „გუთნის-დედის“ დამაარსებლად („...был основателем“) არის მოხსენიებული ნ. სიტოვსკის ქვემოთ მითითებულ ნაშრომშიც.

რამდენადაც ჟურნალი დამატება იყო „ცისკრისა“ და რედაქტორადაც ფორმალურად ივ. კერესელიძე ითვლებოდა, სავსებით არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ „გუთნის-დედის“ დაარსების ინიციატივაში ივ. კერესელიძესაც ედოს წილი.

„გუთნის-დედის“ პირველი ნომერი, როგორც ითქვა, გამოვიდა 1861 წლის 15 დეკემბერს, ხოლო უკანასკნელი – 1876 წლის 15 სექტემბერს. ამ ხნის განმავლობაში ჟურნალმა რამდენიმე რედაქტორი გამოიცვალა: 1861-1870 წლებში ოფიციალურ რედაქტორად ითვლებოდა ივანე კერესელიძე, თუმცა 1861-1868 წლებში გამოცემას ფაქტობრივად რედაქტორობდა ივანე სერებრიაკოვი; 1871-1872 წლებში ჟურნალის გამოცემა შეწყვეტილი იყო, ხოლო 1873 წლიდან „გუთნის-დედის“ რედაქტორები არიან ალ. ვართანოვი და ა. ფურცელაძე; 1874 წელს ალ. ვართანოვი გარდაიცვალა და იმავე წლის აპრილიდან (№8) ჟურნალის რედაქტორად მხოლოდ ა. ფურცელაძე რჩება.

1868 წლიდან, ივ. სერებრიაკოვის გარდაცვალების შემდეგ, „გუთნის-დედა“ იმდენად გაუფერულდა, რომ 1869 წელს „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ“ მას სუბსიდია შეუწყვიტა და საამისოდ გამოყოფილი თანხა „სასოფლო გაზეთის“ (1868-1880) რედაქტორ-გამომცემელს, გიორგი წერეთელს, გადასცა. ამის შემდეგ ივ. კერესელიძე რის ვაივაგლახით კიდევ რამდენიმე წელიწადს ახერხებდა „გუთნის-დედის“ ბეჭდვას, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა, შეეწყვიტა მისი გამოცემა – 1871-1872 წლებში ჟურნალის არც ერთი ნომერი არ გამოსულა. 1873 წელს „გუთნის-დედის“ გამოცემა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ მიერ აღდგენილი სუბსიდიით ისევ განახლდა – ამჯერად, როგორც ითქვა, ალ. ვართანოვისა და ა. ფურცელაძის რედაქტორობით (დამფინანსებელთან დადებული პირობის მიხედვით, რედაქტორებს 300 ეგზემპლარი ჟურნალისა უფასოდ უნდა დაერიგებინათ).

„გუთნის-დედის“ გამომცემელი იყო „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“, თუმცა 1973 წლიდან ჟურნალში თანაგამომცემლებად მითითებულნი არიან ჯერ ალ. ვართანოვი (გარდაცვალებამდე) და ა. ფურცელაძე, ხოლო შემდეგ – ა. ფურცელაძე.

ჩვენთვის ცნობილი მონაცემებით, ტირაჟი სხვადასხვა დროს მერყეობდა 640-დან (1862 წელს; აქედან 60 ხელის მომწერი გლეხი იყო) 50 ეგზემპლარამდე (1868 წელს). მოცულობა ჟურნალისა ძირითადად იყო 8 გვერდი, თუმცა, ამ მხრივ გამონაკლისებიც გვხვდება (2-დან 12 გვერდამდე).

„გუთნის-დედა“ 1861-1870 წლებში იბეჭდებოდა ივ. კერესელიძის, 1873 წელს „ს. მელიქოვისა და ამხანაგობის“, ხოლო 1874-1876 წლებში – ექვთიმე ხელაძის სტამბებში.

„გუთნის-დედაში“ შიგადაშიგ გვხვდება ილუსტრაციებიც – ცხოველების, მცენარეების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გრაფიკული გამოსახულებები.

წყაროებსა თუ ლიტერატურაში „გუთნის-დედას“ ხან ჟურნალად მოიხსენიებენ, ხანაც – გაზეთად, თუმცა, თავისი ბუნებით იგი უფრო ჟურნალად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე – გაზეთად. ვფიქრობთ, მართებულია ამ საკითხზე დ. ჩიკვილაძის მოსაზრება: „გუთნის-დედას“ რედაქცია გაზეთს უწოდებს, მაგრამ იგი ფორმით, მასალების შედგენილობით და შინაარსით – ჟურნალია. ეს გამოიწვია იმან, რომ ჟურნალ „ცისკრის“ დამატებად გაზეთის გამოცემის ნებართვა უფრო ბუნებრივი იყო“.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა თემატურად ვრცელი და მრავალფეროვანია. იგი სოფლის მეურნეობის ყველა სფეროს მოიცავს: ფერმერული მეურნეობის გამართვას, ნიადაგის დამუშავება-განაყოფიერებას, მიწის მორწყვასა და საამისოდ სპეციალური

საგუბრების მოწყობას, ახალი მანქანა-იარაღების გაცნობა-პოპულარიზაციას, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების ჩამოყალიბებას, ხეხილისა და ვენახის მოვლა-მოშენებას, ღვინის დაყენების ევროპულ ტექნოლოგიებს, საქართველოს გარეთ (კერძოდ, რუსეთში) ქართული ღვინის ბაზრის მოპოვებას, ტყის გაშენების აუცილებლობასა და მისი უსისტემოდ ჩეხვის დამღუპველ შედეგებს, კარტოფილის, სიმინდის, ჩაის კულტურების დანერგვას, მეაბრეშუმეობის სიკეთესა და საფეიქრო წარმოების სარგებლიანობას, მეფუტკრეობას, პირუტყვის წამლობასა და სხვ.; „გუთნის-დედაში“ ქვეყნდებოდა მასალები თბილისში, რუსეთსა თუ საზღვარგარეთ მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო გამოფენების შესახებ. ჟურნალში შუქდებოდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში [ჩობახურის (კახეთში, სოფ. კონდოლთან) სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის, ლოჭინის ხვნა-თესვის სასწავლებლისა და სხვ.] არსებული ვითარება და ა. შ.

მთელი თავისი არსებობის განმავლობაში „გუთნის-დედას“ არსებითად არ შეუცვლია იმთავითვე განსაზღვრული ხასიათი და მიზანდასახულობა – იგი შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ამ მხრივ მოსახლეობის გათვითცნობიერების, მისთვის პრაქტიკული რჩევა-რეკომენდაციების მიწოდების საქმეს. გაზეთში იბეჭდებოდა როგორც ორიგინალური წერილები (ავტორები: ივ. სერებრიაკოვი, ალ. შანშიაშვილი, ალ. გარსევანიშვილი, ივ. სულხანიშვილი, ი. და კ. მამაცაშვილები, ნ. პაული და სხვ.), ისე რუსული, ფრანგული, გერმანული და სხვ. პრესიდან აღებული და ქართულად თარგმნილი მასალები.

როგორც ზემოთ ითქვა, 1873 წლის იანვარში „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ მმართველმა საბჭომ გადაწყვიტა „გუთნის-დედის“ აღდგენა და საამისო თანხა გადასცა აგრონომ ალ. ვართანოვს, რომელიც, თავის მხრივ, გამოცდილი ჟურნალისტის, ანტონ ფურცელაძის, თანარედაქტორობით იმავე წლის მარტიდან შეუდგა განახლებული ჟურნალის გამოცემას.

ა. ფურცელაძის ხელი მაშინვე დაეტყო ჟურნალს – იგი გამრავალფეროვნდა შინაარსობრივად (ადრე „გუთნის-დედის“ ცალკეულ ნომრებში ძირითადად ქვეყნდებოდა 2-3 ვრცელი წერილი, ზოგ შემთხვევაში – თითო წერილიც კი), გაუმჯობესდა პოლიგრაფიული დონე, უფრო მიმზიდველი გახდა ჟურნალის ტექნიკური გაფორმება, იბეჭდებოდა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ინფორმაციები, ოფიციალური განკარგულებები, განცხადებები და ა. შ.

მიუხედავად პირწმინდად სასოფლო-სამეურნეო პროფილისა და დანიშნულებისა, 1873 წლიდან „გუთნის-დედა“, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ეხმაურება საზოგადოებრივ-კულტურული მნიშვნელობის პრობლემებსა თუ ცალკეულ ფაქტებს. ასე, მაგალითად, ლოჭინის ხვნა-თესვის სასწავლებლის შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში რედაქცია აღძრავს უაღრესად მტკივნეულ საკითხს – სასწავლებლებიდან ქართული ენის განდევნას:

„ჩვენდა სამწუხაროთ, აქამდის კიდევ არ არის ამგვარი აზრი გავრცელებული და მიღებული სასწავლებლებში, რომ სწავლას მხოლოდ მაშინ მოაქვს ხალხისთვის სარგებლობა, როდესაც ამ ხალხის შვილები სწავლობენ თავის ბუნებითს ენაზედ. ავიღოთ ეხლა თუნდა ლოჭინის სასწავლებელი. იჭვი არ არის, რომ ის არის დაფუძნებული ქართველი სოფლელი ხალხის სამეურნეო ცოდნის წარსამატებლათ. მაგრამ ასრულებს ეს სასწავლებელი თავის აზრს? – არა! თვით ამ სასწავლებლის მოხელენი აღიარებენ, რომ მხოლოდ მაშინ შესრულდებოდა ეს აზრი, რომ გლეხის უცოდვნელი შვილების მიღება შეგვეძლოს, და გლეხის შვილებს იმიტომ ვერ ვიღებთ, რომ იმათ რუსული არ იციანო. მაშ რაღა მნიშვნელობა აქვს ამ შკოლასა?! ისა ჰკარგავს თავის უმთავრესს მნიშვნელობასა იმ მიზეზით, რომ არ არის იქ მიღებული ქართული ენა. თქმა აღარ უნდა, რომ რუსულს ენას უნდა ეჭიროს აქ საკმაო ადგილი, მაგრამ რომ საქართველოს

შვილების სასწავლებელში არ იყვეს ქართული ენა, ეს ღმერთმა უწყის ვის სასარგებლო იქნება ამ სასწავლებლის დაფუძნება და არსებობა“ („გუთნის-დედა“, 1874, №7).

რედაქცია ვრცელი რეცენზიით გამოეხმაურა რაფიელ ერისთავის მიერ შედგენილ და 1873 წელს გამოცემულ წიგნს „შემოკლებული ლათინური, რუსული და ქართული მცენარეთა ლექსიკონი“ (ლათინურ-რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი თ. რაფიელ ერისთავისაგან შემდგარი, „გუთნის-დედა“, 1873, №17; სხვათა შორის, რ. ერისთავის ეს ნაშრომი „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ მიერ ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა). სისტემატურად იბეჭდებოდა აგრეთვე ბიბლიოგრაფიული ხასიათის მასალა – ძირითადად, ცნობები ქართულ ენაზე გამოცემული ახალი წიგნების შესახებ.

1861-1868 წლებში „გუთნის-დედას“, როგორც ითქვა, ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა **ივანე ლაზარეს ძე სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი)** (1833-1868) – ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილი მეცნიერის, პედაგოგის, მრეწველის, საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედის, ილია სერებრიაკოვის (ოქრომჭედლიშვილის[5]), უფროსი ძმა.

ივანე სერებრიაკოვი დაიბადა სიღნაღში, დაამთავრა იქაური სასწავლებელი, შემდეგ – თბილისის გიმნაზია და, როგორც გამორჩეული მოწაფე, 1855 წელს სწავლის გასაგრძელებლად (ალ. შანშიაშვილთან ერთად) სახელმწიფო ხარჯით გაგზავნეს მოგილიოვის გუბერნიის ქალაქ გორიგორეცკში, სადაც ჩაირიცხა იქაურ სამიწათმოქმედო ინსტიტუტში (ი. სერებრიაკოვი და ალ. შანშიაშვილი პირველი ქართველი სწავლული აგრონომები იყვნენ). 1859 წელს, სწავლის დასრულების შემდეგ, ივ. სერებრიაკოვი დაბრუნდა სამშობლოში და ალ. შანშიაშვილთან ერთად სამსახური დაიწყო კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის თანაშემწედ. მაგრამ ივ. სერებრიაკოვის ფართო და საფუძვლიანი ინტერესების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ იყო რუტინული სამოხელეო კარიერა, ამიტომაც, მან საზოგადოებრივ ასპარეზზე სცადა საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზაცია. ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასა“ და, განსაკუთრებით, ჟურნალ „გუთნის-დედაში“ (ივ. სერებრიაკოვი არსებითი ხასიათის მონაწილეობას იღებდა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ პერიოდული ორგანოს „Записки Кавказского общества сельского хозяйства“ მომზადება-გამოცემაშიც).

ივ. სერებრიაკოვი იყო „გუთნის-დედის“ დაარსების სავარაუდო ინიციატორი, ფაქტობრივი რედაქტორი და არა ერთი და ორი პუბლიკაციის ავტორი (ფსევდონიმი **„ი. ს.“**). ამასთანავე, იგი თარგმნიდა და „გუთნის-დედაში“ აქვეყნებდა აგრონომიული ხასიათის წერილებს. „ამ გაზეთის [„გუთნის-დედის“] ერთის წლის რედაქტორობის შემდეგ საქართველოში ყველა გლეხი იცნობდა ი[ვანე] ლ[აზარეს ძეს] სახელით და ცდილობდნენ დალაპარაკებოდნენ და დაჰკითხოდნენ „ჭკვიანსა ბატონსა“; უნდოდათ იმისი რჩევა, რომელიც იმის მჭევრ მეტყველი ენიდამ გადადიოდა პირდაპირ საქმეში. თავის ექვსი წლის „გუთნის-დედის“ რედაქტორობაში არამც თუ სასოფლო სახლოსნობას მოუტანა სარგებლობა, არამედ ქართულ ენასაცა, რადგანაც ბევრი საჭირო სასოფლო სახლოსნობის სიტყვები შეიტანა ენაში...“ (ი. ლ. სერებრიაკოვი, „დროება“, 1869, №14). ამას

[5] STamomavlobiTi gvaris _ **oqromWedliSvili** _ gadakeTeba serebriakovad `momdinareobs jer kidev ilias mamis _ lazares piradi saojaxo dokumentebidan~ (S. gozaliSvili). amasve adasturebs p. umikaSvilis ufro adrindeli cnobac: `[ilia serebriakovi] iyo Svili siRnaReli qarTveli oqromWedlisa, romelsac rusulaT gadaekeTebina gvari...~ (`kvali~, 1898, #3, gv. 46). ase rom, Cans, cdeba is anonimi avtori, romelic `kvalSi~ (1898, #2, gv. 24) wers: `es qarTveli gvari man [ilia serebriakovma] da misma Zmebma rusulaT gadaakeTes da dairqves serebriakovi~.

გარდა, ივ. სერებრიაკოვი იყო თავისი დროის კვალობაზე დიდად განათლებული პიროვნება, რომელსაც ლიტერატურულ-შემოქმედებითი ინტერესებიც ჰქონდა: „მას კარგად ესმოდა მათემატიკა, მედიცინა, იურისპრუდენცია, ისტორია და ლიტერატურა“ (იქვე). წყაროების მიხედვით, ივ. სერებრიაკოვს ლიტერატურული თხზულებებიც უწერია (მოთხრობები, სამოგზაურო შთაბეჭდილებები...), მაგრამ მათგან არც ერთს არ მოუღწევია ჩვენამდე.

გარდა აგრონომიული ცოდნის პოპულარიზაციისა, ივ. სერებრიაკოვს სერიოზული მეცნიერული ინტერესებიც ჰქონდა. საკმარისია ითქვას, რომ მის სამაგისტრო ნაშრომს „თამბაქოს მოყვანის შესახებ“ („О возделывании табака“), შესრულებულს გორიგორეცკის სამიწათმოქმედო ინსტიტუტში, სპეციალისტთა აღიარება მოჰყვა და ეს ნაშრომი 1858 წელს წიგნადაც დაიბეჭდა პეტერბურგში.

რუსეთში სწავლისას „გულის სისუსტით“ მძიმედ დაავადმყოფებული ივ. სერებრიაკოვი, რომელსაც „ერთი წელიწადი სრულიად კარგამყოფობაში არ გაუტარებია“ („დროება“, 1868, №33), წყალმანკისაგან გარდაიცვალა 1868 წლის 10 აგვისტოს, თბილისში, დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე. „თავის სამწუხაროთ, რედაქციამ დაჰკარგა ერთი იმ პირველ თანამშრომელთაგანი, რომელიც იყო დედა ბოძი სასოფლო გაზეთის „გუთნის დედისა“ – წერდა „ცისკარში“ (1868, №8) გამოქვეყნებულ ნეკროლოგში ივანე კერესელიძე, ხოლო „დროება“ (1868, №33) ასეთი სიტყვებით გამოეთხოვა შესანიშნავ მოღვაწეს: „ბევრი შრომა დასდვა ჩვენი ქვეყნის მეურნეობისათვის და ჩვენ მხარეს. მოღვაწეთა მცირე რიცხვში ის იყო ერთი უკეთესთაგანი. დანაკარგი დიდათ საგრძნობელია და უნაცვლოა!..“

1873 წლიდან „გუთნის-დედას“ ანტონ ფურცელაძესთან ერთად რედაქტორობდა აგრონომი **ალექსანდრე პეტრეს ძე ვართანოვი.** მას სულ ორიოდე ტექსტი აქვს ჟურნალში გამოქვეყნებული, მათ შორის, რუსული ენიდან თარგმნილ-გადმოკეთებული სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის თხზულება – ედუარდ რეგოს „ივანეს საუბარი გლეხის ბიჭებთან“ (1873, №№1-10; იმავე წელს წიგნად დაიბეჭდა; ტექსტში მარტივი ფორმითა და პოპულარული ენით გადმოცემულია რჩევა-დარიგებანი ხეხილის გაშენება-მოვლის შესახებ).

ალ. ვართანოვი გარდაიცვალა 1874 წლის აპრილში, სოხუმში (სხვა ცნობით – ფოთში). „გუთნის-დედაში“ (1874, №8) გამოქვეყნებულ ნეკროლოგში აღნიშნულია: „ვინც პირადად არ იცნობდა, იმისთვის ძნელია დაფასება ამ პატიოსანის კაცისა, რომელიც გადიტანა თან ფილტვის სიმჭლექემ, ამ ნასწავლი ახალგაზრდობის უზომოთ მმუსვრელმა, და რაც შეეხება მის ლიტერატურულს შრომას, ის შეუძლიან ყველამ დააფასოს „ივანეს საუბარის“ თარგმანით და მის შერჩევით და გადაკეთებით ჩვენის ხალხის გამოსადეგრათ. განსვენებული კიდევ ბევრს ამისთანა სასარგებლო წიგნების შერჩევას აპირებდა სათარგმნელათ და გამოსაცემათ ქართულს ენაზედ, მაგრამ უცნაურმა სნეულებამ ასე უდროვოთ მოუღო ბოლო“.

„გუთნის-დედის“ მოამაგეებიდან უნდა აღინიშნოს აგრეთვე **ალექსანდრე ზაქარიას ძე შანშიაშვილი** – სწავლული აგრონომი, რომელსაც ივ. სერებრიაკოვთან ერთად გორიგორეცკის სამიწათმოქმედო ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, სახელმწიფო სამსახურის პარალელურად, ნაყოფიერად მოღვაწეობდა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში“, ამასთანავე, თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში („გუთნის-დედა“, „Кавказ“, „Записки Кавказского общества сельского хозяйства“...). ალ. შანშიაშვილი საგანგებოდ იყო დაინტერესებული მეაბრეშუმეობის განვითარებით საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში. საკუთრივ „გუთნის-დედაში“ გამოქვეყნებული წერილებიდან მკითხველის განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია მისმა პუბლიკაციამ „აბრეშუმის ჭიის

ისტორია“ (1862, №№9,11,13,15-17). სიცოცხლის ბოლოს ალ. შანშიაშვილი მსახურობდა ბაქოში და იქვე დაიღუპა 1869 წელს, 32 წლისა.

„გუთნის-დედის“ დახურვის მიზეზებზე სარწმუნო ცნობები არ მოგვეპოვება. უნდა ვიფიქროთ, რომ მასზე ხელი აიღო დამფინანსებელმა ორგანიზაციამ. ყოველ შემთხვევაში, 1873-1876 წლების სხვა ნომრებისაგან განსხვავებით, ჟურნალის ბოლო ორ ნომერში (1876, №№16,17) უკვე აღარ არის მითითებული, რომ იგი „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ სპეციალური საკუთარი ორგანოა“. მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ისიც, რომ ხსენებული ბოლო ნომრები ჟურნალისა აღარ არის ადრინდელივით მრავალფეროვანი და მთლიანად უჭირავს ერთადერთ წერილს – „აბრეშუმი და იმის მოვლა“. რაიმე შეფერხებებსა და, მით უმეტეს, მოსალოდნელ დახურვაზე ჟურნალში არაფერია ნათქვამი (დ. ჩიკვილაძე გამოცემის შეწყვეტის **ერთ-ერთ** მიზეზად მიიჩნევს სასოფლო-სამეურნეო ბანკების შესახებ ა. ფურცელაძის მიერ წამოწყებულ პოლემიკას, რომელიც არ მოსწონებიათ „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ მესვეურებს).

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში „გუთნის-დედის“ ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იგი სასოფლო-სამეურნეო პროფილისა და მიზანდასახულობის პირველი ქართული პერიოდული გამოცემაა. ჟურნალმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეცნიერული ცოდნისა და ევროპული გამოცდილების დანერგვას, საერთოდ, ჩვენში სასოფლო-სამეურნეო საქმის ევროპეიზაციას.

ლიტერატურა:

გოზალიშვილი შ. ილია ოქრომჭედლიშვილი. თბ.: 1976, გვ. 19-21.

თოდუა გრ. ივანე ოქრომჭედლიშვილი. თბ: 1963.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, II (1853-1863). თბ.: 1984, გვ. 65-66, 281.

კარიჭაშვილი დ. ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა (1819-1904). „ქართული მწერლობა“, 1929, №6-7, გვ. 148-149.

მიქაძე გ. მივიწყებული ქართველი საზოგადო მოღვაწე. წიგნში: **გ. მიქაძე.** ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში. თბ.: 1998, გვ. 71-74.

ჩიკვილაძე დ. ჟურნალი „გუთნის-დედა“ (1861-1876 წწ.). წიგნში: **დ. ჩიკვილაძე.** წერილები. თბ.: 1989, გვ. 179-199.

Ситовский Н. Обзор двадцатипятилетней деятельности Кавказского общества сельского хозяйства. Тиф.: 1875, с. 213-216.

ბიბლიოგრაფია იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945), შედგენილი **გ. ბაქრაძის** მიერ, **ვ. ეგნატაშვილის** რედაქციით. თბ.: 1947, გვ. 4-5.

Абрамишвили А. Грузинская периодика (1819-1917). Тб.: 1968, с. 37-38.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია იხ. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. I (1852-1877). **გ. აბზიანიძის** რედაქციითა და წინასიტყვაობით, ბიბლიოგრაფიული რედაქცია და საძიებელი **თ. მაჭავარიანისა**. თბ.: 1940.

„საქართველოს მოამბე“

(1863)

1861 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემ თანამოაზრეებისაგან ჩამოაყალიბა ლიტერატურული წრე (პეტრე ნაკაშიძე, მიხეილ და დავით ყიფიანები, დიმიტრი ყაზბეგი, ვახტანგ თულაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ივანე პოლტორაცკი, ილია წინამძღვრიშვილი, მიხეილ ჩიკვაიძე და სხვ.). აქ კითხულობდნენ ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რეფერატებს, მსჯელობდნენ ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის გარდაქმნისათვის აუცილებელ ღონისძიებებზე... ილიას პეტერბურგის ქართველ სტუდენტობასთანაც ჰქონდა მიმოწერა (გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ.). შეიქმნა აუცილებლობა, მთელი ეს სალიტერატურო-საგანმანათლებლო მუშაობა გასცილებოდა ენთუზიასტთა ვიწრო წრეს და ფართო საზოგადოებრივი ფენებისთვისაც ყოფილიყო ხელმისაწვდომი, რაც, თავის მხრივ, პრესის გარეშე შეუძლებელი იყო. ილია, რომლის ლიტერატურული დებიუტი ივ. კერესელიძის ჟურნალში შედგა, მალევე დარწმუნდა, რომ ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ისეთ ეკლექტიკურ გამოცემაში, როგორიც „ცისკარი“ იყო, ვერ მოხერხდებოდა პროგრესული ინტელექტუალური რესურსების კონსოლიდაცია, ახალი დროისა და მოთხოვნილებების შესაფერისი კულტურულ-იდეოლოგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, პოპულარიზაცია და საზოგადოებრივ შემეცნებაში დამკვიდრება („მესამოციანებს ჟურნალისტიკაში საშუალო საუკუნოების სხოლასტიკა დახვდათ“ – ა. ჯორჯაძე).

საქმე ბუნებრივად მივიდა ახალი პერიოდული გამოცემის დაარსების გადაწყვეტილებამდე და 1863 წელს ილია ჭავჭავაძე აარსებს კიდევაც საკუთარ გამოცემას – ყოველთვიურ სალიტერატურო ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“, რომელიც „ხსნის ახალ ხანას ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში“ (პ. ინგოროყვა).

ჟურნალის დაარსებას, ბუნებრივია, წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი.

1862 წლის დასაწყისში კავკასიის მეფისნაცვალი ალ. ბარიატინსკი საქართველოში არ იმყოფებოდა და მის მოვალეობას გრიგოლ ორბელიანი ასრულებდა. ილია ჭავჭავაძემ ისარგებლა ამ გარემოებით და, საქმეს დიდი დაბრკოლებები რომ არ შეხვედროდა, სწორედ გრ. ორბელიანს წარუდგინა ჟურნალის გამოცემისა და პროგრამის დამტკიცების ოფიციალური თხოვნა. წესისამებრ, თხოვნა განიხილა კავკასიის საცენზურო კომიტეტმა – მისმა მესვეურებმა ძირითადად მოიწონეს პროგრამა, თუმცა ისიც დასძინეს, რომ ჟურნალში „არავითარი პოლიტიკური ცნობები და მსჯელობანი“ არ უნდა ყოფილიყო. იმავე წლის თებერვალში გრ. ორბელიანმა ილიას თხოვნა პეტერბურგში გაგზავნა დასამტკიცებლად, მარტში გაიცა ჟურნალის დაარსების ნებართვა, ხოლო ოქტომბერში ივანე კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნდა განცხადება:

„მომავალ 1863 წ. იანვრის თვიდგან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი **„საქართველოს მოამბე“**. ამ ჟურნალში მთელის წლის განმავლობაში შემოვლენ შემდგომნი ნაწილები:

1. **წმინდა სალიტერატურო**: ლექსები, მოთხრობები, დრამები, კომედიები, ნამდვილები (ორიგინალურნი – თ. ჯ.) და ნათარგმანები.

2. **ისტორიული**: საზოგადო ისტორია; განსაკუთრებითი ყურადღება მიექცევა საქართველოს და ერთობ კავკასიის ისტორიაზედ.

3. **საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომია**: აქ ვეცდებით გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებას ეს საგნები იმოდენად, რამოდენადაც დრო და საჭიროება მოითხოვს.

4. **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**: აქ განირჩევიან უცხო ენებზედ დაწერილი თხზულებაები და ქართული წიგნები.

5. **სხვა და სხვა ამბავი**.

6. **დამატება**: ამ ნაწილში დაიბეჭდებიან ძველი ქართული თხზულებაები, ანუ გამოჩენილნი უცხო ენებიდამ თარგმნილი რომანები.[1]

ამ პროგრამმას ამ ჟამად აღარაფერს არ ვუმატებთ; რაც შეეხება ჟურნალის ხასიათსა და მიმართულებასა, იმაზედ არაფერს ვიტყვით. ჩვენ ვარჩევთ, რომ თითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინა-სიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ; ამისთვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ჭეშმარიტი, და, თუ ღონე შეგვეწევა და ცოტათი მაინც აღვასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისიც კმაყოფილი ვიქნებით. ჩვენის მხრით, რასაც კი შევიძლებთ, არას დავზოგავთ; დანარჩენი თვით საზოგადოებაზე ჰკიდია.

ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლაოზ ღოღობერიძემ, სხვა და სხვა ამბავისა უფ. დავით ყიფიანმა და საპოლიტიკო და სოფლიურ ეკონომიისა უფ. ივანე სერებრიაკოვმა (ოქრომჭედლიშვილმა – თ. ჯ.).

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ თვე და თვე გამოვა სივრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ 112 გვ. 160 გვერდამდე. თუ შეგვეძლება, ამაზედ მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად 9 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიცა იმყოფება ტფილისში, გალავინის პროსპექტზედ, თ. ივანე მუხრანსკის სახლებში, №26.[2]

ილია

ჭავჭავაძე

რედაქტორი „საქართველოს მოამბისა“

ილია ჭავჭავაძის განცხადებას წინ უძღვის ივანე კერესელიძის მცირე, მაგრამ უაღრესად კეთილგანწყობილი წინათქმა:

„ვახარებთ ჩუენის „ცისკრის“ მკითხველთა და ყოველს ქართველს, ვისაც კი უყვარს თავისი სამშობლო ენა, რომ მომავლის წლის იანვრიდგან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. დარწმუნებული ვართ, ჩუენი „ცისკრის“ მკითხველნი მიიღებენ გულმხურვალედ მონაწილეობასა ამ საზოგადოდ სასარგებლო საქმეში“.

მკითხველს, ცხადია, ახსოვდა, თუ რა აჟიოტაჟი და ვნებათაღელვა გამოიწვია წინა წელს ი. ჭავჭავაძის მიერ „ცისკარში“ გამოქვეყნებულმა პირველმა კრიტიკულ-ლიტერატურულმა წერილმა („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის...“), ამ გარემოებამ საზოგადოებაში კიდევ უფრო გაამძაფრა უჩვეულო სიახლის მოლოდინი და, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა, მოგვარებულიყო მაშინდელი ქართული პრესის

[1] i. WavWavaZis mier wardgenil da gr. orbelianis xelmoweriT peterburgSi gagzavnil programaSi iyo kidev erTi ganyofileba _ `**iumoristuli**~, magram sabolood ilias uari uTqvams JurnalSi am ganyofilebis Setanaze.

[2] samxedro da sazogado moRvawis, Tavad ivane muxranbatonis, saxli mdebareobda golovinis (amJamad SoTa rusTavelis) prospeqtze, pirveli sajaro skolis (klasikuri gimnaziis) gverdiT, rusTavelis prospeqtisa da lesia ukrainkas quCis gadakveTaze. `muxranskis saxli~ 1921 wels daiwva da dRes im adgilze kavSirgabmulobisa da fostis saministros yofili Senoba dgas. mogvianebiT (ivlisidan) Jurnalis redaqcia gadavida komendantis (amJamad al. griboedovis) quCaze, ilias axalSerTuli meuRlis (olRa guramiSvilis) mamidis, sidonia guramiSvil-savarsamiZis, saxlSi.

ყველაზე მტკივნეული პრობლემა – ხელის მომწერთა სიმცირე. სულ შეგროვდა ჟურნალის გამოწერის დაახლოებით 500 მსურველი და ამით მატერიალურ-ფინანსური პრობლემებიც მოიხსნა.[3]

მიუხედავად ი. ჭავჭავაძის ენერგიული მოქმედებებისა (საორგანიზაციო-ლიტერატურული ჯგუფის თავმოყრა და შეკავშირება, მასალის შერჩევა და სასტამბოდ მომზადება...), ცენზურის ნებართვა პირველი ნომრის დაბეჭდვის შესახებ მხოლოდ 1863 წლის 12 იანვარს გაიცა, რასაც დაემატა ენფიაჯიანცის სტამბასთან შექმნილი პრობლემები, იანვრისათვის ნავარაუდევი ნომერი ჟურნალისა თებერვალში მიეწოდა მკითხველს და ამით სათავე დაედო ახალ ეტაპს არა მარტო საკუთრივ ქართული ჟურნალისტიკის, არამედ XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის, ზოგადად ქართული კულტურის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) ისტორიაში – ჟურნალის ეს ნომერი გამოირჩევა მაღალი ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირსებებით, მსოფლმხედველობრივი სიღრმითა და მთლიანობით, დროის მოთხოვნებთან შესაბამისობით, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ მანკიერებათა დასაბუთებული კრიტიკული შეფასებებით; რაც მთავარია, ჟურნალის მესვეურები მხატვრული, კრიტიკულ-ლიტერატურული თუ პუბლიცისტური სიტყვით **ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის პოპულარიზატორებად და დამამკვიდრებლად მოევლინნენ მონარქისტულ-რეტროგრადული სულისკვეთებით გაჟღენთილ ფართო საზოგადოებრივ წრეებს.** საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივი განახლების ნება და სურვილია გამოხატული ჟურნალის ეპიგრაფშიც: „**ხოლო ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული**“ (მარკოზი, XIII. 23 [28]).

ადრე (თავი – „ივანე კერესელიძის „ცისკარი“) აღნიშნული გვაქვს საგანგებო დამსახურება ნიკოლოზ ბერძნიშვილისა, რომელმაც ქართველ ავტორთაგან პირველმა ჩამოაყალიბა თვალსაზრისი ჟურნალისტიკის რაობის, დანიშნულების, აგრეთვე, მისი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოდ და საკუთრივ ქართული საზოგადოებრივი და კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრების განვითარებაში, ამასთანავე, ყურადღება გაამახვილა პრესის საგანმანათლებლო-შემეცნებით და კულტურტრეგერულ მიმართულებებზე.

„საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს საპროგრამო ხასიათის პუბლიცისტურ წერილს „საქართველოს მოამბეზედ“, რომელშიც აფართოებს და აღრმავებს ნ. ბერძნიშვილის რამდენადმე ფრაგმენტულ მსჯელობას და იძლევა არა მარტო თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა და სისტემურ ანალიზს, არამედ ეროვნულ ჟურნალისტიკას იმ ძირითად მიმართულებასაც უსახავს, რა მიმართულებითაც არსებითად წარიმართა კიდევაც ქართული პრესის მუშაობა მომდევნო ათწლეულების განმავლობაში. რაც მთავარია, ილია წერილში „საქართველოს მოამბეზედ“, – მიხეილ ნანეიშვილის მიხედვით, **– „საზღვრავს თავისი სამოღვაწეო, შესაბამისად, საზროვნო საგნის რაობას“ – „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“**.

წყურვილი განახლებისა და განახლების სასიცოცხლო აუცილებლობა იკვეთება ილიას თხზულების პირველსავე წინადადებებში:

„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს

[3] al. kalandaZis varaudiT, `saqarTvelos moambis~ tiraJis nawili ufasod egzavneboda `zogierT pirs~ da sinamdvileSi `misi tiraJi 700-mde aRwevda~.

განახლება ყოველის ფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველი ფერი იცვლება მის ძლიერი გავლენისაგან“. მომავალი ეკუთვნის იმ ხალხს, რომელიც ალღოს აუღებს ცხოვრების ახალ მოთხოვნებსა და საჭიროებებს, არ დაკარგავს იმედს და მომზადებული შეხვდება დროის ცვლილებებს: „იმედს... რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა – შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა!..“; ის ხალხი კი, რომელსაც დაქვეითებული აქვს აქტიური ცხოვრების უნარი და ნება, აგრეთვე, „გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა, – ავტორის შეხედულებით, – მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ“.

რა არის ის ძალა, რომლის მეშვეობითაც ინდივიდმა და საზოგადოებამ უნდა შეძლონ თვითდამკვიდრება და თვითგანახლება? – სვამს კითხვას ავტორი და იქვე უპასუხებს: „მეცნიერება (ცოდნა – თ.ჯ.) და ხელოვნება (შემოქმედება – თ.ჯ.), რომელნიც დღემუდამ ზედ დაჰსტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან იგინი და რანი არიან, – მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა“.

და ვინ უნდა იტვირთოს, მეცნიერებასა და ხელოვნებას ვინ უნდა მიანიჭოს პრაქტიკული დანიშნულება? „ხალხის დაწინაურებული თავობა მაშინვე მიხვდება, რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდამ უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიეგებოს და გზა გაუხსნას ახალსა“.

„მეცნიერება და ხელოვნება... ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას“, მაგრამ იმისათვის, რომ „ხალხის დაწინაურებული თაობისათვის“ ხელმისაწვდომმა და გასაგებმა მეცნიერებამ და ხელოვნებამ შეიძინოს საზოგადოებრივი ფუნქცია, იგი საზოგადოების ფართო ფენებისთვისაც ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა გახდეს პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსაყენებლად. ეს პრობლემა კი პირდაპირ უკავშირდება განათლების საკითხს. არსებობენ სკოლები, სხვადასხვა ტიპის სასწავლებლები, „მაგრამ იმათამდინ ისე ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენ ხალხის რიცხვთან რომ შევადაროთ ის ცოტა – წვეთი იქნება ზღვაში“. ამიტომ „საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალობაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მიჰსწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკუის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა... შეიქმნას შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით, და ხალხისა და ცხოვრებისა, მეორეს მხრით“.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, მეცნიერებას, ხალხსა და ცხოვრებას შორის ასეთი „შუამავალი“ არის ლიტერატურა. მაგრამ აქ თავს იჩენს კიდევ ერთი დაბრკოლება – თვითონ ლიტერატურაა ხალხის ფართო ფენებისათვის ძნელად გასაგები და „მოსახმარი“. ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ „თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა და... თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს“.

ასეთ შემთხვევაში მეცნიერებისა და ხელოვნების გზით მოპოვებული ცოდნის ხალხის თვითშემეცნებაში დამკვიდრება უნდა მოხდეს პოპულარული (ადვილად აღსაქმელი და შესამეცნებელი) ლიტერატურის (ტექსტის) მეშვეობით და სწორედ ამგვარი ლიტერატურის სახეა ჟურნალისტიკა [„საზოგადო (საყოველთაო – თ. ჯ.) ჟურნალი“].

ამგვარი **საგანმანათლებლო** ფუნქციის შესრულებას ჟურნალისტიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ იგი დაფუძნებული იქნება არა „ერთის კაცის სურვილზე“ („...მოუვიდა წერა ჟინისა და გამოჰსცა“), არამედ ცხოვრებისეულ აუცილებლობასა და ამ **ცხოვრების შემოქმედი ხალხის** სურვილსა და მოთხოვნილებებზე.

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია... ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა“, თუმცა თავისი ჟურნალის დანიშნულებას ილია ჭავჭავაძე მხოლოდ აწმყოთი არ შემოფარგლავს: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, ამბობს ერთი ფილოსოფოსი.[4] აი, აწინდელ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ექნება ჩვენის ჟურნალისათვის“.

ილიას შეხედულებით, აწმყოს გაუმჯობესება თავისთავად ნიშნავს განუწყვეტელ **ფიქრსა** და **მოქმედებას** იმ უკეთესი მომავლისათვის, რომელსაც წარსულის მონაპოვრებზე დაფუძნებული აწმყო უნდა დაედოს საძირკვლად. დღეს კი, „თუ ჟურნალს უნდა კეთილსვინდისიანად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან გაჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს; ყოველი აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მიჰსცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველისფერს პასუხი გაჰსცეს, ერთის სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი“.

„მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვჰსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა“ – წერს ილია ჭავჭავაძე და მსჯელობა გადააქვს მხატვრული შემოქმედების (კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის) საზოგადოებრივ დანიშნულებაზე: „ხელოვნებასაც იმას მოვჰსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბვლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგმდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა“.

ილია ჭავჭავაძე ითვალისწინებს ცხოვრების „ლექსისა და ლაფის“, „ცხოვრების ჭუჭყის“ გამომზეურების მიმართ მოსალოდნელ მწვავე საზოგადოებრივ რეზონანსს და მკითხველს წინასწარვე აფრთხილებს – ამას „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამომართმევენ“: „საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმაში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა. ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულის გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი, უმეცარნი

[4] igulisxmeba germaneli filosofosi gotfrid vilhelm **laibnici** (1646-1716). laibnicis es sityvebi ilias (avtoris miTiTebiTa Tu miuTiTeblad) araerT TxzulebaSi aqvs gamoyenebuli da igive sityvebi man epigrafad waumZRvara leqss _ `qarTvlis dedas~.

მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ვეღარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო მის წარმწყმენდელ ოხშივარის ზემოქმედებისგან... რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულევანობა ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო ჰსჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარე წადილი გასწორებისა“.

დასასრულ, ილია ჭავჭავაძე აჯამებს მსჯელობას ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი მეცნიერების, ხელოვნებისა და ჟურნალისტიკის მიმართების შესახებ და დაასკვნის: „იგინი, ჩვენის ფიქრით, არიან მხოლოდ ღონისძიებანი, რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდამ სინათლეში გამოყვანასა... იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის“, ხოლო „საქართველოს მოამბემ“, თავის მხრივ, უნდა მიაგნოს ცხოვრების მაჯისცემას და იგი (ცხოვრების მაჯისცემა) „განაბრწყინოს მეცნიერების შუქით და ხელოვნების წარმოდგენითა... გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის!“

ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით ილია ჭავჭავაძის ამ ერთ კონკრეტულ პუბლიცისტურ წერილზე, რომ, ჯერ ერთი, მასში მკაფიოდ ჩანს XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების (და პოლიტიკური ცხოვრებისაც) მესვეურის ლიტერატურულ-ჟურნალისტური მსოფლმხედველობა და, ამასთანავე, როგორც ზემოთ ითქვა, ილიას ამ წერილში განსაზღვრულია ეროვნული ჟურნალისტიკის ის ძირითადი მიმართულება, რა მიმართულებითაც მომდევნო ათწლეულებში წარიმართა კიდევაც ქართული პრესის მუშაობა.

ილია ჭავჭავაძისათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო თეორიული შეხედულებებისა და შემოქმედებითი პრაქტიკის ორგანული მთლიანობა. „იგი ვერასოდეს ვერ თავსდებოდა თეორიული ინტერესების სფეროში“ (გრ. კიკნაძე), მწერლობაში **„მოქმედების პრინციპს“** მისდევდა და შემოქმედებითი აქტის ნებისმიერ შედეგს მისი **საზოგადოებრივი ღირებულების** მიხედვით აფასებდა.

თეორიული პრინციპებისა და შემოქმედებითი პრაქტიკის ზემოხსენებული მთლიანობა (მონოლითურობა) მკაფიოდ ჩანს „საქართველოს მოამბეში“ და ამ მხრივ ილიას ჟურნალს არ მოეპოვება ანალოგი წინა პერიოდის ქართულ ჟურნალისტიკაში. ეს ეხება როგორც ზოგადად „საქართველოს მოამბის“ ხასიათს, მის იდეურ მიმართულებასა და მიზანდასახულობას, ისე ჟურნალში გამოქვეყნებულ თვითონ ილიას მხატვრულ ტექსტებსაც, მაგალითად, მოთხრობას „კაცია-ადამიანი?!“, რომლის „სტრუქტურასა, შინაარსსა და შემოქმედების პროცესში სავსებით გამოისახა ჭავჭავაძის თეორია ხელოვნებისა... იგი ერთი იმგვარ თხზულებათაგანია, სადაც ეს ორი თვისება ნამდვილ ხელოვნებისა (ერთი მხრივ, „ესთეტიკის და მხატვრობის კანონთა“ დაცვა და, მეორე მხრივ, „რეალიზმის მოთხოვნილებათა“ დაკმაყოფილება – თ. ჯ.) ჰარმონიულად და სინტეტიურად არის ერთმანეთში შედუღებული... ამ ხასიათის ხელოვნური ნაწარმოები დიდი ძალაა თვით საზოგადოებრივ აზრის ევოლუციისა... და მმოძრავი ძალაა საზოგადოებრივ განვითარებისა“ (ა. ჯორჯაძე).

მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ილიამ მხატვრული ფორმებით შეასხა ხორცი თვალსაზრისს ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ – ლიტერატურა უნდა იყოს სარკე, რომელშიც ცხოვრების ავ-კარგი მთელი თავისი სიგრძე-სიგანითა და პირუთვნელობით აისახება: „[ამ მოთხრობას, მკითხველო,] მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს, – რამოდენადაც შეძლება აქვს, – შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე, თუ გინდა, მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნებ გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს,

შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, – სარკე მოგიტანე“.

წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ჭავჭავაძე მსჯელობს „გენიოსის“ რაობის, მისი დანიშნულებისა და წარმომშობი პირობების შესახებ. „გენიოსს“ ილია ხმარობს „წინამძღოლის“ მნიშვნელობით და აღნიშნავს, რომ მხოლოდ მას (გენიოსს, ხალხის წინამძღოლს) შეუძლია ცხოვრების „მეტად ძლიერი“ ტალღის მკერდით გაპობა და „დროებაზედ უფლობა“. იგი „როგორც ბელადი, წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა“, მაგრამ გენიოსი შემთხვევით კი არ მოევლინება ხალხს, არამედ იგი „ნაყოფია თავის დროებისა... მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა... თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმის ძლიერის სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და, როგორც მზე, ცხოვრების გასანათებლად, ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა... ყოველს ცხოვრების კითხვას მიჰსცემს შესაფერს პასუხს, ყოველს ფაქტსა – ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას – კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, – ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენს შორისვე იყო და არ გვესმოდა“.[5]

ჩვენ ადრე (თავი – „ივანე კერესელიძის „ცისკარი“) შევეხეთ მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის ე. წ. „კავკასიურ პოლიტიკას“, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას, ხოლო მეორე მხრივ, ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას, ევროპეიზაციის გზით მის ტრანსფორმაციას. აღვნიშნეთ ისიც (თავი – „ქართული პრესის გამოცემის ცდები 1831-1855 წლებში“), რომ 1840-იან წლებში დიმ. ყიფიანმა ჩამოაყალიბა არსებული პოლიტიკური რეჟიმის ფარგლებშივე ეროვნული თვითარსებობისა და თვითმყოფობის გაძლიერება-განვითარებისათვის აუცილებელი, განათლებისა და კულტურის აღორძინებაზე ორიენტირებული ქმედითი პროგრამა. 1850-იანი წლების დასაწყისში მოხერხდა კიდევაც ეროვნული მნიშვნელობის კულტურულ-საგანმანათლებლო კერების დაარსება (პროფესიული ქართული თეატრი, ჟურნალი „ცისკარი“, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება“, კავკასიის მუზეუმი და სხვ.) და, ამდენად, საქართველოში კულტურის აღორძინებამ, მისმა ევროპეიზაციამ შეუქცევადი სახე მიიღო.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ენობრივი თუ ლიტერატურული საკითხი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა და ამა თუ იმ ფორმით დაამუშავა 1860-იან წლებში, მეტ-ნაკლები სიღრმითა და ინტენსივობით უკვე იყო დასმული ილიას წინამორბედ მოღვაწეთა მიერ: 1850-1860 წლების მიჯნაზე უკვე გააზრებულია ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის აუცილებლობის საკითხი (დიმ. ყიფიანი, ალ. ორბელიანი, ლ. არდაზიანი, დიმ. ბაქრაძე) და ეს პროცესი თანამიმდვრულად მკვიდრდება სამწერლობო-შემოქმედებით პრაქტიკაში (გ. და რაფ. ერისთავები, დიმ. ყიფიანი, ლ. არდაზიანი, გრ. რჩეულიშვილი, დ. ჭონქაძე...), მკაფიოდაა გამოთქმული თვალსაზრისი ორთოგრაფიული რეფორმის (ფუნქციადაკარგული ასოების ხმარებიდან ამოღების)

[5] sergei mesxis, rogorc qarTuli presis uangaro muSakis, Rvawlze dayrdnobiT `geniosis~ raobaze, funqciasa da warmomSob garemoebebze analogiur Tvalsazriss ayalibebs mogvianebiT (1883 wels) p. umikaSvilic: `geniosoba gamomTqmelia, Semkrebia winaT naSrom-naRvawevisa. maSasadame, yoveli gulwrfeli da erTguli muSaki nawilia momavalis brwyinvale geniosobisa... saca ar iqneba muSaki, iq arc geniosi daibadeba~.

საჭიროებაზე (დ. ჩუბინაშვილი),[6] წარსული გააზრებულია ხალხში ისტორიული ერთობის შეგნების ჩამოყალიბებისა და არისტოკრატიულ წრეებში ფეხმოკიდებული ეროვნული ნიჰილიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად (დიმ. ყიფიანი, ნ. ბერძნიშვილი), მეტ-ნაკლები საფუძვლიანობით შემუშავებულია თვალსაზრისი ცხოვრების რეალისტურად ასახვისა და ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების (მიხ. თუმანიშვილი, ნ. ბერძნიშვილი), ლიტერატურაში ეროვნული თემატიკისა და პრობლემატიკის პრიორიტეტულობის, აღმოსავლური (კერძოდ, სპარსული) პოეზიის პირდაპირი და ზედაპირული გავლენის აღმოფხვრისა და ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციის აუცილებლობის, სალიტერატურო კრიტიკის, მთარგმნელობითი პოლიტიკის, ჟურნალისტიკის რაობისა და ფუნქციის საკითხებზე (ნ. ბერძნიშვილი), ჩნდება და ფეხს იკიდებს პუბლიცისტური აზროვნება (ივ. კერესელიძე, მიხ. თუმანიშვილი) და სხვ.

ერთი სიტყვით, მომზადებულია ნიადაგი ახალი, დროის მოთხოვნათა შესაფერისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობრივ-ინტელექტუალურ პრინციპებზე დაფუძნებული ეროვნული იდეოლოგიის შესაქმნელად და ცხოვრებაში დასამკვიდრებლად. დიდად საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე და მესვეური საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა, სწორედ 60-იანი წლების დასაწყისში მოევლინა ქვეყანას, როცა წარსულს ბარდებოდა მ. ვორონცოვის მიერ გატარებული ლოიალური, სამოქალაქო და კულტურული ცხოვრების აღმავლობაზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსი და იწყებოდა ახალი ფორმებით საქართველოს რუსიფიკაციის იმპერიული პოლიტიკის განხორციელება. ასეთ პირობებში კი მეტისმეტად ძნელი იქნებოდა (თუ შეუძლებელი არა) ნოვატორული კულტურულ-იდეოლოგიური სისტემების შექმნა ვორონცოვისდროინდელი მონარქისტულ-კონსერვატორული მსოფლმხედველობით, პოლიტიკური რეჟიმისადმი გამოცხადებული უპირობო ლოიალიზმითა და არსებული კულტურულ-ინტელექტუალური რესურსებით. ამდენად, ეროვნულმა სასიცოცხლო ენერგიამ, რომელიც იმ დროისათვის, საბედნიეროდ, სიცოცხლისა- და მოქმედებისუნარიანი აღმოჩნდა, ილია ჭავჭავაძე, როგორც წინამძღოლი („გენიოსი“), მაინცდამაინც მაშინ წარმოშვა, როცა ამისი სასიცოცხლო აუცილებლობა შეიქმნა და ის, რასაც ილია ზოგადად ამბობდა: გენიოსი „ნაყოფია თავის დროებისაო“, თვითონ ამ სიტყვების ავტორზეც უნდა გავრცელდეს – **ილია ჭავჭავაძე ნაყოფია „თავის დროებისა“!**

რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის, რომ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი იხსნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსით „შემოღამება მთაწმინდაზე“.

ი. ჭავჭავაძეს განსაკუთრებული მსოფლმხედველობრივი, ლიტერატურულ-ესთეტიკური და ემოციური დამოკიდებულება ჰქონდა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასთან. სტუდენტობისას, 1858 წელს, ილია სტუმრად იყო იმ დროს რუსეთში მყოფ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანთან, რომელსაც თან ჰქონდა პოეტის მიერ მისდამი მიძღვნილი ხელნაწერი (ავტოგრაფული) კრებული. ამ კრებულის წაკითხვამ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა. ილიას სტუდენტობის მეგობარი ალექსანდრე (კოხტა) აბხაზი იგონებს: „მახსოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატ. დადიანისას... ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები... ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“.

[6] peterburgis universitetis profesorma, daviT CubinaSvilma, jer kidev 1855 wels gamoqveynebul Tavis wignSi `mokle qarTuli gramatika~ (Д. Чубинов. Краткая грузинская грамматика. СПб.: 1855) dasva qarTuli anbanidan moZvelebul asoTa amoRebis aucileblobis sakiTxi. sainteresoa is garemoebac, rom peterburgis universitetSi qarTul enasa da sityvierebas i. WavWavaZes swored d. CubinaSvili aswavlida.

იმავე 1860 წელს ილიამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნას მიუძღვნა ორი ლექსი ერთი და იმავე სათაურით – „თ[ავად] ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, რომელთაგან ერთ-ერთი („აღარა გვყევხარ!.. ულვთო იყო შენი სიკვდილი...“) გამოაქვეყნა კიდევაც „საქართველოს მოამბეში“.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებისადმი ილიას დამოკიდებულება ორგანულადაა დაკავშირებული ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი მემკვიდრეობითობის საკითხთან. საქმე ისაა, რომ ილია ჭავჭავაძის (ზოგადად, „თერგდალეულთა“) შემოქმედებითი პრინციპები ცარიელ ნიადაგზე კი არ აღმოცენებულა, არამედ ამყარებს გენეზისურ კავშირს ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული მსოფლმხედველობის ერთ მნიშვნელოვან ასპექტთან – მხატვრული ენითა და ფორმებით პატრიოტული განცდების გამოხატვასთან. მაგრამ თუ ჩვენს რომანტიკოსებს მხოლოდ „ახასიათებთ ნაციონალური იდეების გაღვივება“ (გ. ქიქოძე), ილიას მტკიცე შემოქმედებითმა ნებამ 1860-იან წლებში ლიტერატურული აზროვნება მთლიანად დაუმორჩილა „მოქალაქურ გულისტკივილსა“ და „მამულის-შვილურ სიყვარულს“ და ამ მოვლენას ყოვლისმომცველი ხასიათი მისცა.[7]

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბარათაშვილის (ზოგადად, ქართველი რომანტიკოსების) შემოქმედებისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებაში მკაფიოდ ჩანს ილიას მიერ თავის პროგრამული ხასიათის თხზულებაში („საქართველოს მოამბეზედ“) ჩამოყალიბებული და ჩვენ მიერ ზემოთ ციტირებული თვალსაზრისი: „ხალხის დაწინაურებული თავობა მაშინვე მიხვდება, რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც

[7] n. baraTaSvilisa da i. WavWavaZis memkvidreobiTi urTierTmimarTebis sakiTxi, rogorc adre iTqva (Tavi _ `ivane kereseliZis `ciskari~) jer kidev 1865 wels dasva akaki wereTelma Tavis TxzulebaSi `raodenime sityva `Canguris~ Sesaxeb~: `baraTaSvili da WavWavaZe sworeT erTs taxtzed sxdomis Rirsebi arian... erTis gauwyvetelis jaWviT gadabmulebi erTi meorezed; erTis umeoresoT gageba Znelia!.. egeni arian mose da aaroni Cvenis literaturisa... WavWavaZe aris baraTaSvilis mokananaxe~.

sagulisxmoa isic, rom 1860 wels ilia leqss uZRvnis kidev erT qarTvel romantikoss _ al. WavWavaZes (`T. aleqsandre WavWavaZe~), xolo mogvianebiT `saqarTvelos moambeSi~ beWdavs al. WavWavaZis ramdenime leqss. qarTvel romantikosTa da `TergdaleulTa~ Soris arsebul literaturul-msoflmxedvelobriv kavSirze TviTon i. WavWavaZe sagangebod msjelobs 1892 wels daweril TxzulebaSi `werilebi qarTul literaturaze~. amgvari kavSiri aRniSnulia samecniero literaturaSic. ase, magaliTad, vaxtang kotetiSvili Tavis wignSi `qarTuli literaturis istoria (XIX saukune)~, aRniSnavs: `Tergdaleulebis~ saxelTan istoriam daakavSira realizmis ganmtkiceba, magram maT nawarmoebebSi iSviaTi ar iyo romantizmis sulis salmobac. magram isini ufro dauaxlovdnen sinamdviles am sityvis Cveulebrivi gagebiT, da literaturaSi ganamtkices is ena, romelic xalxis enad aris cnobili~ [sxvaTa Soris, igive v. kotetiSvili `TergdaleulTa~ literaturul-msoflmxedvelobriv sakiTxebze msjelobisas ixsenebs viqtor hiugos `sabralonis~ personaJis, konventis Zveli wevris, sityvebs _ `me Camovglije kretsabmeli sakurTxevlisa, raTa Cemi samSoblos Wrilobebi Semexvia~ _ da dasZens: `Cvenma `mesamocianebmac~ sakuTari meobis sakurTxevels yvelaferi SemouZarcves, radgan aRTqma hqondaT, Tavis qveynis Wriloba SeexviaT~].

დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდამ უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიეგებოს და გზა გაუხსნას ახალსა“.

„საქართველოს მოამბე“ წინარე ხანის ქართული პერიოდული გამოცემებისგან არა მარტო ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი მთლიანობითა და ლიტერატურული მასალის მაღალი მხატვრულ-ესთეტიკური დონით, არამედ თემატური მრავალფეროვნებითა და ინტერესთა სოლიდურობითაც გამოირჩევა. ჟურნალში იბეჭდებოდა თანადროულ ქართველ მწერალთა და ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა მხატვრული ნაწარმოებები, პუბლიცისტური თხზულებები, უცხოელ ავტორთა თარგმანები, სოციალურ-ეკონომიკური და დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის თხზულებები (ძირითადად, თარგმანები), საისტორიო მასალა და სხვ.

ნათქვამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ „საქართველოს მოამბის“ თორმეტივე ნომრის შინაარსს:

№I, იანვარი

ნ[იკოლოზ] ბარათაშვილი, შემოღამება მთა-წმიდაზე (ელეგია) 1-3
[**ილია ჭავჭავაძე**], *** („ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?“) 3
[**ილია ჭავჭავაძე**], მუშა 4-6
მ. ჯიმშერიძე [**ილია ჭავჭავაძე**], გლახის ნაამბობი (პირველი ხუთი თავი ჯერ არ დაბოლოებულ მოთხრობისა) 7-53
[**ნიკოლოზ] დობროლიუბოვი**, მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება [თარგმნა და შენიშვნები დაურთო **ილია ჭავჭავაძემ**] 54-110
***[**ილია ჭავჭავაძე**], საქართველოს მოამბეზედ 111-126
სულხან ბარათაშვილი, ძველი ისტორია საქართველოსი [თარგმნა და შენიშვნები დაურთო **ილია ჭავჭავაძემ**] (დასაწყისი) 1-33
ვ[ახტანგ] თ[ულაშვილი], სხვა და სხვა ამბავი. შინაური მიმოხილავა 127-153
რედაქციისაგან [ბოდიში მკითხველის წინაშე ნომრის დაგვიანების გამო] 153

№II, თებერვალი

გ[იორგი] ერისთავი, შეშლილი (კომედია-პოემა) 155-186
[**ორმსბი-მაქნაით**] **მიტჩელლი**, ზეციერი მნათობები (ცოომილები და ვარსკულავები. პირველი წასაკითხი), თარგმნა **დიმიტრი ყიფიანმა** 1-26
[წამძღვარებული აქვს (გვ. 1-3) მთარგმნელის წინასიტყვაობა „უფალო რედაქტორო!“]
გრიგ[ოლ] ორბელიანი, ლოთური მუხამბაზი 187-188
ნიკოლაოზ ბარათაშვილი, *** („მადლი შენს გამჩენს, ლამაზო...“) 189
*** [**ილია ჭავჭავაძე**], *** („მას აქეთ რაკი შენდამი ვჰსცან მე სიყვარული...“) 190
სულხან ბარათაშვილი, ძველი ისტორია საქართველოსი [თარგმნა და შენიშვნები დაურთო **ილია ჭავჭავაძემ**] (გაგრძელება) 35-48
ესტ[ატე] მაღალაშვილი, [**დავით ყიფიანი**], სხვა და სხვა ამბავი 191-212
ვიქტორ ჰ[ი]უგო, საბრალონი [თარგმანი] **გიორგი ჩიქოანისა** (დასაწყისი) 1-44
რედაქციის განცხადება [ჟურნალის პერიოდულობის, მოცულობის, ფასის, რედაქციის მისამართის შესახებ]

№III, მარტი

ოთხი შეხვედრა (რუსულით), თარგმნა **მ[იხეილ] ჩ[იკვაიძემ]** 1-43
***[**ილია ჭავჭავაძე**], *** („უსულდგმულო ცხოვრება ცის ნიჭად ნუ გგონია...“) .....[46]

[ილია ჭავჭავაძე], იანიჩარი .....[47]
***** [ილია ჭავჭავაძე]**, ციურნი ხმები 48
კ[რისტიან] გ[ოტხილფ] ზალცმანი, კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის, [თარგმანი] **ლევან ჯანდიერიშვილისა** (დასაწყისი) 45-69
დავით ყიფიანი, რიგიანი ქართული გრამმატიკის შესამუშავებელ მასალებად 70-102
[დავით ყიფიანი], სხვა და სხვა ამბავი 103-123
ვიქტორ ჰ[ი]უგო, საბრალონი, [თარგმანი] **გ[იორგი] ჩიქოანისა** (გაგრძელება) 45-76

№IV, აპრილი

მ. ჯიმშერიძე [ილია ჭავჭავაძე], კაცია, ადამიანი (დასაწყისი) 3-46
კ[რისტიან] გ[ოტხილფ] ზალცმანი, კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის, [თარგმანი] **ლევან ჯანდიერიშვილისა** (გაგრძელება) 47-77
ალ[ექსანდრე] ჭავჭავაძე, *** („შენის გონების სხივნი ესრედ ბრწყინვენ ძლიერად...“) 78
[მიხეილ] ლერმონტოვი, სიზმარი, თარგმნა **ილია ჭავჭავაძემ** 79
[ილია ჭავჭავაძე], მძინარე ქალი 80
[ილია ჭავჭავაძე], პოეტი 81
სულხან ბარათაშვილი, ძველი ისტორია საქართველოსი [თარგმნა და შენიშვნები დაურთო **ილია ჭავჭავაძემ**] (გაგრძელება) 61-81
თერგდალეული [კირილე ლორთქიფანიძე], ბიძია თონიკეს სტატიისა გამო ..82-88
დავით ყიფიანი, სხვა და სხვა ამბავი 89-108
ვიქტორ ჰ[ი]უგო, საბრალონი, [თარგმანი] **გ[იორგი] ჩიქოანისა** (გაგრძელება) 77-100

№V, მაისი

მ. ჯიმშერიძე [ილია ჭავჭავაძე], კაცია, ადამიანი (გაგრძელება) 3-34
გ[იორგი] ერისთავი, თანამეგზაური (მიბაძვა **პავლოვისა**) 35-38
გ[იორგი] [წერე]თელი, ცისკარს რა აკაკანებდა? 39-61
სულხან ბარათაშვილი, ძველი ისტორია საქართველოსი [თარგმნა და შენიშვნები დაურთო **ილია ჭავჭავაძემ**] (გაგრძელება) 62-71
დ. ავ-ი [დავით ყიფიანი], სხვა და სხვა ამბავი 72-78
სფირიდონ ჩიტორელიძე, სფირიდონისა და თადეოზის ბაასი 1-16
ვიქტორ ჰ[ი]უგო, საბრალონი, [თარგმანი] **გ[იორგი] ჩიქოანისა** (გაგრძელება) 101-116

№VI, ივნისი

მ. ჯიმშერიძე [ილია ჭავჭავაძე], კაცია, ადამიანი (დასასრული) 1-29
[ილია ჭავჭავაძე], გუთნის დედა 30-31
[ილია ჭავჭავაძე], თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ („აღარა გვყევხარ!..“) 31
[ილია ჭავჭავაძე], ლოცვა („მამაო, ჩვენო...“) 32
სფირიდონ ჩიტორელიძე, სფირიდონისა და თადეოზის ბაასი 33-45
ილია ოქრომჭედლიშვილი, მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს 46-68
თერგდალეული [კირილე ლორთქიფანიძე], ამაო-ამაოთა 69-82
სულხან ბარათაშვილი, ძველი ისტორია საქართველოსი [თარგმნა და შენიშვნები დაურთო **ილია ჭავჭავაძემ**] (გაგრძელება) 83-96
ვიქტორ ჰ[ი]უგო, საბრალონი, [თარგმანი] **გ[იორგი] ჩიქოანისა**

(გაგრძელება) 117-132

№VII, ივლისი

ივანე ბერიძე, უცნაური ნიშნობა ტფილისის საიდუმლოებისაგან (დასაწყისი) 1-38
[ილია ჭავჭავაძე], ლოცვა აჩრდილისა (აჩრდილიდგან) 39
[ილია ჭავჭავაძე], გ. აბხ[აზს] 40
პეტრე ნაკაშიძე, სამგზავრო წერილები 41-50
სფირიდონ ჩიტორელიძე, სფირიდონისა და თადეოზის ბაასი 51-71
გ. ჩ. [ილია ჭავჭავაძე], სხარტულა 72-96
სულხან ბარათაშვილი, ძველი ისტორია საქართველოსი [თარგმნა და შენიშვნები დაურთო **ილია ჭავჭავაძემ**] (დასასრული) 97-104
გაბრიელ სულხანოვი, შენიშვნა („მოლაყბის“ წერილის გამო) 105-106
ვიქტორ ჰ[ი]უგო, საბრალონი, [თარგმანი] **გ[იორგი] ჩიქოანისა** (გაგრძელება) 133-140

№VIII, აგვისტო

ივანე ბერიძე, უცნაური ნიშნობა ტფილისის საიდუმლოებისაგან (გაგრძელება) 1-38
ალ[ექსანდრე] ჭავჭავაძე, *** [„ჭმუნვის მახვილი გულსა მსომია...“) 39
[ილია ჭავჭავაძე], *** („წამხდარა ყველა: ის ღონე და ის ძლიერება...“). აჩრდილიდგან 40-41
კ[რისტიან] გ[ოტხილფ] ზალცმანი, კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის, [თარგმანი] **ლევან ჯანდიერიშვილისა** (გაგრძელება) 41-60
[ფრედერიკ] ბასტია, მცარცველობის ფიზიოლოგია, მთარგმნელი **ბ. ვ. [ილია ჭავჭავაძე]** 61-67
სფირიდონ ჩიტორელიძე, სფირიდონისა და თადეოზის ბაასი 77-83
[ვიკტორ ჰიუგო], სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თაობაზედ ვიქტორ ჰუგოს წიგნი, მთარგმნელი **ბ. ვ. [ილია ჭავჭავაძე]** ...84-92
ვიქტორ ჰ[ი]უგო, საბრალონი, [თარგმანი] **გ[იორგი] ჩიქოანისა** (გაგრძელება) 141-150

№IX, სექტემბერი

ივანე ბერიძე, უცნაური ნიშნობა ტფილისის საიდუმლოებისაგან (დასასრული) 1-27
*** **[ილია ჭავჭავაძე]**, სიხარული 28
*** **[ილია ჭავჭავაძე]**, მტკვრის პირას (ლ[უარსაბ] მაღალაშვილს) 29
მაქსიმ ღოღანიძე, ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ (დასაწყისი) 30-57
კირაკოზი განძაკეცი. მწერალი XIII საუკუნისა, მთარგმნელი **ბ. ვ. [ილია ჭავჭავაძე]** 58-75
კ[რისტიან] გ[ოტხილფ] ზალცმანი, კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის, [თარგმანი] **ლევან ჯანდიერიშვილისა** (დასასრული) 76-99
ვიქტორ ჰ[ი]უგო, საბრალონი, [თარგმანი] **გ[იორგი] ჩიქოანისა** (გაგრძელება) 151-176

№X, ოქტომბერი

[მიხეილ] ლერმონტოვი, ჩვენი დროების გმირი (დასაწყისი), თარგმანი **მიხეილ ყიფიანისა** 1-49
[ილია ჭავჭავაძე], ერთი მოთხრობის დასაწყისი

[„კაკო ყაჩაღის“ დასაწყისი] 50-56
მაქსიმ ღაღანიძე, ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ (დასასრული) 57-71
[პიერ ჟოზეფ] პრუდონი, სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი,
მთარგმნელი **ბ. ვ. [ილია ჭავჭავაძე]** 72-87
რედაქციისაგან [ჟურნალის 1864 წელს გამოსვლის შესახებ] 88
ვიქტორ ჰ[ი]უგო, საბრალონი, [თარგმანი] **გ[იორგი] ჩიქოანისა**
(გაგრძელება) 177-200

№XI, ნოემბერი

ი[ლია] ჭავჭავაძე, რედაქციისაგან [ჟურნალის პროგრამა და ხელის მოწერის
პირობები] 1-3
სამსონ აბაშიძე, ლოტო (ვოდევილი ერთ მოქმედებად) 5-12
[მიხეილ] ლერმონტოვი, ჩვენი დროების გმირი (გაგრძელება), თარგმანი
მიხეილ ყიფიანისა 1-13
გაბრიელ რატიშვილი, მცირედი რამ მოთხრობა როსიისა (დასაწყისი) 14-30
***** [ილია ჭავჭავაძე]**, ხმა სამარიდამ 31-33
თერგდალეული [კირილე ლორთქიფანიძე], ჩრდილოეთის ამერიკის
შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა (დასაწყისი) 34-72
[ფრედერიკ] ბასტია, ორნაირი სწავლა, მთარგმნელი **ბ. ვ. [ილია ჭავჭავაძე]** .73-80
ვიქტორ ჰ[ი]უგო, საბრალონი, [თარგმანი] **გ[იორგი] ჩიქოანისა**
(გაგრძელება) 201-220

№XII, დეკემბერი

[მიხეილ] ლერმონტოვი, ჩვენი დროების გმირი (დასასრული),
თარგმანი **მიხეილ ყიფიანისა** 1-16
გაბრიელ რატიშვილი, მცირედი რამ მოთხრობა როსიისა (გაგრძელება) 17-48
ალ[ექსანდრე] გრიბოედოვი, უბედური ჭკუისაგან (კომედია 4 მოქმედებად),
[თარგმანი] **გ[იორგი] ერისთავისა** 49-61
თერგდალეული [კირილე ლორთქიფანიძე], ჩრდილოეთის ამერიკის
შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა (გაგრძელება) 62-87
გიორგი ორბელიანი, ჩემი ეპიტაფია 88
ვიქტორ ჰ[ი]უგო, საბრალონი, [თარგმანი] **გ[იორგი] ჩიქოანისა**
(გაგრძელება) 221-241

„საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტურ პროფილზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება – ჟურნალის დაარსების ნებართვა გაცემულ იქნა იმ აუცილებელი პირობით, რომ მასში „არავითარი პოლიტიკური ცნობები და მსჯელობანი“ არ უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი. მიუხედავად ამისა, განყოფილებაში „სხვადასხვა ამბავი“, მაინც მოხერხდა რამდენიმე პუბლიცისტური ტექსტის გამოქვეყნება. ამ მხრივ, საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ ვახტანგ თულაშვილის წერილს, რომელშიც ავტორი შეფარულად მსჯელობს რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს გაერთიანების როგორც სამართლებრივ, ისე მორალურ მხარეებზე. ვ. თულაშვილი წამოჭრის „ხალხთა-შორის (საერთაშორისო – თ. ჯ.) სამართლის“ საკითხს და საუბარს იწყებს იგავით:

„ერთი ზღაპარია, საყვარელნო მკითხველნო, ირემზე, ცხენზედ და კაცზე. ირემმა რქით დაუწყო რჩოლა ცხენსა, ცხენმა სთხოვა შემწეობა კაცსა... კაცმა დაადგა უნაგირი ცხენსა, და ორივემ ერთად გააგდეს ირემი საძოვრიდგან. შემდეგ ცხენი მიუბრუნდა და უთხრა თავის მექომაგესა: „დიდად გმადლობ შენა! მაგრამ მამხადე ეხლა კი ეს უნაგირი და გავშორდეთ ერთმანეთსა მეგობრულად...“. „რა გეჩქარება? – უპასუხა კაცმა, – უნაგირი

მშვენივრად გიხდება; შენც ისეთი მორჩილი ხარ, როცა უნაგირი გადგია, და მეც სწორედ გითხრა, არამც თუ ეხლა, საკულავოდაც ფიქრადაც არა მაქვს, შენზედ ხელი ავიღო“.

აშკარაა, რომ იგავის პერსონაჟებიდან „მექომაგე კაცი“ განასახიერებს რუსეთს, „ცხენი“ – საქართველოს, „ირემი“ – საქართველოს მტრებს.

საინტერესოა მორალი, რომელიც ავტორს გამოაქვს ამ იგავიდან: „ქვეყანაზედ რომ სადმე მარტო ორი სახელმწიფო იყოს ურთიერთის მომიჯნავედ, ერთი მათგანი ძრიელი და დიდი, მეორე პატარა და უღონო, მაშინ იმათ შორის ვერ მოთავსდება არა რაიმე სამართალი. მაშინ პატარა და უღონო სამეფოს არ შეეძლებოდა დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა ძრიელ და ღონიერ სამეფოსაგან, დიდი სამეფო უთუოდ დასჩაგრავდა, დაიმონავებდა პატარასა და ბოლოს ასე გაუხდიდა საქმეს, რომ შეიერთებდა კიდეც თავისთან და ორისაგან შეადგენდა ერთს სამეფოსა...“. თუმცა ავტორს სწამს „ბუნებითი კანონისა“ და სამართლიანობის აღდგენასაც იმედოვნებს:

„უმაღლესი ბუნებითი კანონი არას დროს არ დაჰკარგავს თავის ძალასა, არ დაუკარგავს ხალხს თავის სურვილსა და არ დაუბრკოლებს მოძრაობასა. ეს კანონი ჭეშმარიტებისა მოითხოვს, რომა სუყოველის ფერსა, რასაც კი აქვს ჩასახული სიცოცხლე, მოძრაობა და გონიერება, უნდა უთუოდ ცხოვრებდეს, მოძრაობდეს, თავის საჭიროებისათვის ფიქრობდეს. ხალხის ცხოვრება, დღესა იქნება თუ ხვალე, გამოაცხადებს თავის შინაგანს ძალასა და სხვასაც აგრძნობინებს, რომ ეგ ძალა სრულიად არ არის ჯერ კიდევ გამქრალი... ხალხთა-შორისი სამართალი განისაზღვრება ჭეშმარიტებისაგან, რომელიც შეშვენის ადამიანის გონიერებასა, ადამიანის სვინიდისსა და არა პირობების დადებისაგან, რომელნიც წარმოდგებიან ისტორიულ საჭიროებისაგან, და ისევ ამავე საჭიროების ძალით განქარდებიან ხოლმე“.

ტექსტში მკაფიოდაა აღბეჭდილი ეროვნული ინდივიდუალობის (თვითარსებობისა და თვითმყოფობის) შენარჩუნებისათვის აუცილებელი **„სურვილისა“** (ნების) და **„მოძრაობის“** (ქმნადობის) ილიასეული ფუნდამენტური პრინციპები.

ამავე წერილში ვ. თულაშვილი სვამს საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა მტკივნეულ საკითხებსაც; მაგალითად, ყმაწვილების წესად ქცეულ გაგზავნას რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში. ავტორის აზრით, უცხო ენობრივ, ეროვნულ-ფსიქოლოგიურ, ყოფით და კლიმატურ გარემოში მოხვედრილი ფიზიკურად და მოქალაქეობრივად ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი „ჩვენი ბუნებითი ჩჩვილი და ნიჭიერი ყმაწვილი“ განიცდის სულიერ ტანჯვას („ყველანი ამისთვის უცხონი არიან და ყველასათვის თვითონაც უცხოა, არის მ ა რ ტ ო მრავალთა შორის. ტყუილად მიჰმართავს დაღონებულს ცრემლიან თვალებს იმ მხარესა, საიდამაც მოიყვანეს და რომელსაც იქნება თავის დღეში ვეღარა ნახავს; ტყუილად მოიხედავს გულდაძმარებული თავის სამშობლოსაკენ და ვეღარ დაინახავს ვერც მშობელსა და ვერც ნაცნობსა...“). მშობლიურ კერასა და სამშობლოს მოწყვეტილი ყმაწვილები, – ავტორის თქმით, – ფიზიკურადაც ავადდებიან, თვითონაც მახინჯდებიან და სამშობლოსაც ეკარგებიან.

საერთოდ ვ. თულაშვილი მიიჩნევს, რომ ეროვნული ენერგიის აკუმულირება უნდა მოხდეს არა სამხედრო ან სამოხელეო, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე და, ამასთანავე, საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საერო განათლების გავრცელებასა და გაღრმავებას. ხოლო თუ როგორ ესმის ავტორს განათლების ფუნქცია და მნიშვნელობა, დავიმოწმებთ ციტატას მისივე წერილიდან:

„აღზრდა, განათლება, რომელიცა კაცს აშორებს პირუტყვისაგან და აახლოვებს ღმერთთანა – ეხლა ეგ ჩვენთვის, ჩვენს თვალში, ან სულ საჭირო არ არის, და თუ საჭიროა, ამისათვის, რომა ყოველ უსვინდისო ქცევით და ხერხით მივაღწიოთ უმაღლეს ადგილამდე, რომ უფრო მალე მტაცებლობითა გავმდიდრდეთ. აი რა არის, ჩვენებურად, განათლებული კაცი; აი რაში მდგომარეობს ადამიანის კაცობა. ხშირად ჩვენს

საზოგადოობაში ამისთანა კაცზედ თითით აჩვენებენ, მაგალითად წარმოუდგენენ სხვასა: იმის მაგიერ, რომ ამისთანა კაცი მიწასთან გაასწორონ, შეაჩვენონ საზოგადოდ, როგორც მავნებელი კაცი, მტარვალი, დაუნდობელი, უძლურის დამთრგუნველი, ხარბი მტაცებელი, ამის მაგიერ მაგალითათაც წარმოგვიდგენენ ხოლმე. ვაი იმ ხალხს, საცა მაგისთანაებს მაგისთანა სახელი აქვსთ და პატივი!.. მაგრამ მადლობა ღმერთსა, ეხლა თან და თან გვეცვლება აზრი. არიან პირნი, რომელნიცა აგრე არა ფიქრობენ და ანათლებენ შვილებს თვით განათლების გულისათვის, და არა იმისათვის, რომ განათლებამ გაგეშოს უფრო ხერხიან მტაცებლობისათვის“.

ვ. თულაშვილის თხზულება დაწერილია იმ დროისათვის უჩვეულო გულწრფელობითა და სითამამით და, ჩანს, ჟურნალის რედაქტორს დიდი ბრძოლა დასჭირვებია მისი გამოქვეყნების უფლების მოსაპოვებლად. პუბლიკაციაში შიგადაშიგ, – ზოგჯერ რამდენიმე სტრიქონზეც კი, – „გაჭიმულია“ წერტილები, რაც იმას ნიშნავს, რომ ცენზურას ამოუღია მთელი რიგი ტექსტის მონაკვეთებისა.[8]

კარგად დაწყებულმა საქმემ, სამწუხაროდ, შესაფერისი განვითარება ვერ პოვა – ჟურნალის მომდევნო ნომრებში ამგვარი აქტუალურობითა და სიმწვავით აღბეჭდილი პუბლიცისტური ტექსტები აღარ გამოქვეყნებულა, რაც, უდავოდ, ცენზურის სიმკაცრეს უნდა მიეწეროს. ამიტომაც, პუბლიცისტურმა პათოსმა და სულისკვეთებამ სხვა ტიპისა და მიზანდასახულობის ტექსტებში გადაინაცვლა – „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ტექსტებში (მხატვრული ნაწარმოებები, „ცისკართან“ ენობრივ-ლიტერატურული საკითხების გარშემო გამართული პოლემიკა, თარგმანები) მძლავრადაა შეჭრილი პუბლიცისტური ნაკადი.

ი. ჭავჭავაძის მიერ 1862 წლის ოქტომბრის „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ზემოთ ნახსენებ განცხადებას – მომავალი წლის იანვრიდან თბილისში ახალი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ გამოვაო, გაზეთ „კავკაზში“ (1862, №83) ნიკ. ბერძნიშვილი გამოეხმაურა: „[„ცისკარს“] ახლა უკვე ჰყავს არა მხოლოდ ამხანაგი, არამედ მეტოქეც. კონკურენცია სერიოზული საქმეა და ორივე მხარისათვის სასარგებლოც, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება საზღვრები და იგი [კონკურენცია] ღვარძლსა და გააფთრებულ ბრძოლაში არ გადაიზრდება. „სიცოცხლე“ და „ბრძოლა“ სინონიმებია და ცხოვრება წარმოუდგენელია მათ გარეშე. დაე, მეტოქეობამ მიანიჭოს სიცოცხლე და ინტერესი ორივე ჟურნალსა და ჩვენთვის აგრერიგად ძვირფას, თუმცა მთვლემარე ასპარეზს ქართული ლიტერატურისა“.

ნიკ. ბერძნიშვილის მიერ ნაწინასწარმეტყველებმა მეტოქეობამ მართლაც გამოაცოცხლა „მთვლემარე ასპარეზი ქართული ლიტერატურისა“, მაგრამ ეს მეტოქეობა მალევე „გააფთრებულ ბრძოლაში“ გადაიზარდა და, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, ღია დაპირისპირებას დასაბამი ილიას ჟურნალმა მისცა. კერძოდ, წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ი. ჭავჭავაძემ „ცისკარს“ უწოდა „მხდალი“, „შიშისაგან ზარდაცემული“, „გონებაგამოცლილი“ და სხვ.:

„მოამბის“ უფროსი ძმა „ცისკარიც“, რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გახარებოდა, რომ მოძმე ებადება, მშველელი უჩნდება, „ცისკარიც“ კი წინადვე აშინებდა ჩვენ „მოამბეს“, რომ მკითხველებს ვერ იშოვისო. ჩვენ, რასაკვირველია, ამ წინდაუხედავ და უგემურ

[8] **vaxtang dimitris Ze TulaSvili** (1834-1910) iyo Jurnalisti, memuaristi, gamomcemeli, pedagogi, qvelmoqmedi, Teatraluri da sazogado moRvawe, `qSw-kg sazogadoebis~ daarsebis erT-erTi iniciatori da SemdgomSi (1904 wlidan) misi sapatio wevri; monawileobda `vefxistyaosnis~ 1888 wlis e. w. qarTveliSviliseuli gamocemis momzadebaSi. igi TvalsaCino figuraa im moZraobaSi, romelic miznad isaxavda CvenSi patriotuli mizandasaxulobis kulturul-saganmanaTleblo procesebis aRorZinebasa da ganviTarebas.

წინასწარმეტყველობას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ მხდალ „ცისკარს“ რამდენჯერმე არ გამოეთქვა საქვეყნოდ თავისი დაფარული შიში და სამარცხვინო აზრი. დაე, რაც უნდა თქვას შიშისაგან ზარდაცემულ და გონება გამოცლილ „ცისკარმა“, ჩვენ კი ამას ვეტყვით, რომ ამ შემთხვევაში იგი ჰგავს იმ ანგარების მოყვარე ძმასა, რომელსაცა ძმის დაბადება იმიტომაცა ჰსწყინს და გულს უხეთქს, რომ შიშობს, ვაი თუ საცხოვრებელი შუაზედ გამიყოსო“.[9]

ილიას აქ პოლემიკის მიზეზი შერბილებულად აქვს წარმოდგენილი და წინააღმდეგობას ორ ჟურნალს შორის მხოლოდ და მხოლოდ კონკურენციის ფაქტორით ხსნის, თუმცა, სინამდვილეში ანტაგონიზმის ძირითადი საფუძველი არა ხელის მომწერთა დაქსაქსულობის შიში, არამედ ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი განსხვავებულობა იყო.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ **ზოგადად** პოლემიკა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შორის „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის გაგრძელება კი არ იყო, არამედ – დაპირისპირება „ახალთაობის“ შიგნით: ერთ მხარეს იდგნენ რუსეთის უნივერსიტეტებში განათლებამიღებული ლიტერატორები თავიანთი უფრო პროგრესული და საფუძვლიანად გააზრებული ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპებით, ხოლო მეორე მხარეს – „ცისკრის“ წიაღში გამოზრდილი მოღვაწეები.[10]

თვითონ ივ. კერესელიძემ ილიას კრიტიკას დიდსულოვანი პასუხი გასცა: „გამოვიდა დიდის ხნითგან მოუთმენლივ მოსალოდნელი „საქართველოს მოამბე“. მართლაც და, რომ იტყვიან, გული დატკბაო, – იამა ყოველს ქართველს, ვისაც კი აქუს მცირედიცარი გრძნობა და უყვარს თავისი სამშობლო ენა... რა უყოთ, თუ თქუა რამე ცისკარზედა, სიყმაწვილეს მიეწერება, როდესაც დამწიფდება, მაშინ სულ სხუა აზრისა იქნება“.[11] მაგრამ ანტონ ფურცელაძე, რომელიც ამ დროს არსებითად განსაზღვრავდა „ცისკრის“ ლიტერატურულ-იდეოლოგიურ ხასიათსა და მიმართულებას, „საქართველოს მოამბის“ „დამწიფებას“ აღარ დაელოდა – „ქერელი ბექას“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილი „საქართველოს მოამბე“. 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნები“, რომელშიც, მართალია, შიგადაშიგ კეთილი სიტყვებიც არ დაიშურა ზოგიერთი პუბლიკაციის (ძირითადად – თარგმანების, აგრეთვე, ვ. თულაშვილის „სხვადასხვა ამბავის“) მიმართ, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ესაა ულმობელი კრიტიკა „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალისა:

„მკითხველი რაღაც მომზადებით შეუდგება ამ ლექსის (ნ. ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“ – თ. ჯ.) კითხვას და როდესაც გაათავებს, რჩება ხახამშრალი, გულცარიელი. ეს ამიტომა, რომ აქედამ არ ამოგაქვთ გონების მსაზრდოებელი ლუკმა და როგორც მშიერის გონებით შესდგომიხართ ამის კითხვასა, ისეთივე და უფროც მშიერი რჩებით...“

„ყველა ლექსში, რომელიც კი ჩუენ წაგვიკითხავს უფ. ჭავჭავაძისა, სჩანს, რომ ავტორი ძალზედ აძალადებს წერაზედ თავსა; ასე რომ, დღესა თქუენა კითხულობთ ამის

---

[9] al. kalandaZis azriT, ilias aq `mxedvelobaSi hqonda iv. kereseliZis 1862 wlis `salaybo furceli~, romelSic avtori amtkicebda _ vinaidan jer CvenSi mwerlebi da mkiTxvelebi mcire raodenobiT gvyavs, sjobs, saerTo ZaliT erTi Jurnali gavamagroT da Tanac qarTuli skolebis daarsebaze vizrunoTo~.

[10] polemikis monawileTagan, magaliTad, lavrenti ardaziani (1815-1870) `mamebis~ Taobas ekuTvnoda **asakiT** da ara literaturul-msoflmxedvelobrivi **principebiT**.

[11] iv. kereseliZem aseTi didsulovneba bolomde ver SeinarCuna da mogvianebiT daufaravi kmayofilebiTa da ironiiT gamoexmaura i. WavWavaZis Jurnalis gamocemis Sewyvetas: `saqarTvelos moambe~ didis Weqa-quxiliT daibada qveyanaSi da im wamsve gapenta `ciskari~, miwasTan gavasworovo. Cven ki srulebiTac xma ar gagvicia, radgan darwmunebuli viyaviT, is Weqa-quxili qari iyo da qarive waiRebda. didada vwuxvarT, rom ase udrooT gamoaklda `moambe~ am Cvens daudgromel wuTisofelsa~.

ლექსებსა, ისე ჰგრძნობთ ამაზედ ნაძალადეობას, რომ მკითხველი თითქო გაუტეხელს ტყეში მიდისო და ძეძვნარი ფეხებში ედებაო, ისე უგუბდება სული და ექსაქსება გულისხმა... საშინელი წირპვლა სანტიმენტალური და ავტორის თავის ჩენა, თითქმის ყოველგან უმთავრესია ჭავჭავაძის ლექსებში...“.

„ავტორი „შეშლილისა“ (გიორგი ერისთავი – თ. ჯ.) გვისახავს ამ თხზულებაში კარგათ მხოლოდ ჩუენი ქალების იდიოტიზურს ლაპარაკსა, და აღებულს საგანს კი ყურს არ უდებს... მრთელი კომედია-პოემა არის ხუხულასავით აშენებული... ჩუენ ძალიან გვიკვირს, რაზედ იჭირვებენ საქმესა ზოგიერთა ძალათი-მწერლები? არ შეუძლიანთ რიგიანათ წერა, ჟურნალში მაინც ნუ აჭერინებენ თავის ყოვლითურთ უმნიშვნელოს და უნიჭო წერილებს ალაგსა“ და ა. შ.

ა. ფურცელაძის ამ წერილს მოჰყვა მძაფრი (ზოგ შემთხვევაში, ურთიერთშეურაცხმყოფელი) პოლემიკა, რომელშიც „ცისკრის“ მხრიდან მონაწილეობდნენ ა. ფურცელაძე, დიმ. ბაქრაძე, ლ. არდაზიანი, ხოლო „საქართველოს მოამბის“ მხრიდან – დავ. ყიფიანი, კ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი, გ. სულხანიშვილი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ილია ჭავჭავაძის „სხარტულა“ – ფორმითაც და შინაარსითაც საინტერესო თხზულება. ესაა დრამატურგიული ფორმით დაწერილი სარკასტული ტექსტი, რომელშიც გადმოცემულია დიალოგი ივ. კერესელიძესა („რედაქტორი“) და ა. ფურცელაძეს („ბაქია“) შორის. პირველ ნაწილში გაშარჟებულია ა. ფურცელაძის (ფსევდონიმი – „ქერელი ბექა“) ლიტერატურული შესაძლებლობები („მე მინდა... გადავამტვრიო ის ღობე, რომლის იქიდამაც დამალულია ბექა და კენჭებს ისვრის და უკვირს კიდეც – რატომ ამ კენჭებით ქვეყანა არ ირყევაო“), მეორე ნაწილში კი იგივე ა. ფურცელაძე წარმოდგენილია სასაცილო, გაუნათლებელ, პირმოთნე ადამიანად და ივ. კერესელიძის ლიტერატურულ ხელის ბიჭად.[12]

მსგავსად ილია ჭავჭავაძის „სხარტულასი“, თხრობის დიალოგური ფორმაა გამოყენებული „სფირიდონ ჩიტორელიძის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, რომელიც გაგრძელებებით დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“. თხზულება დაწერილია 1861 წელს, აქა-იქ შევსებულია 1862 წლის მონაცემებით და, ზემოთ განხილული პოლემიკისაგან განსხვავებით, საინტერესო მასალას იძლევა „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის დასახასიათებლად.

„ახალთაობის“ წარმომადგენელი, პროგრესულად მოაზროვნე თადეოზი ესაუბრება საკუთარ ბიძას – რეტროგრადული შეხედულებებით „აღჭურვილ“ სფირიდონს. საუბარი გაშლილია ენობრივ-ლიტერატურული თემატიკის ფონზე და ეხება ქართული ენის სიწმინდის დაცვის, სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის, მიმდინარე ლიტერატურული პროცესების კრიტიკული განხილვის აუცილებლობის, მთარგმნელობითი პრინციპებისა და სხვ. საკითხებს. მსჯელობისას ძირითადად გამოყენებულია ჟურნალ „ცისკრის“ 1861 წლის ლიტერატურული პროდუქცია. სფირიდონი საუბრობს „ახალთაობის“ („შვილების“) ენით და ასაბუთებს „თერგდალეულთა“ ენობრივ და ლიტერატურულ შეხედულებათა დამკვიდრების საჭიროებას. თადეოზი კი გამოხატავს „თერგდალეულების“ ოპონენტთა („მამების“) ენობრივ-ლიტერატურულ შეხედულებებსა და პოზიციებს. დიალოგი შინაარსობრივად ისეა აგებული, რომ აშკარად ჩანს განათლებას ნაზიარები „შვილების“ უპირატესობა და მათი შეხედულებების პროგრესულობა.

[12] mogvianebiT a. furcelaZe iliasTan daaxloebuli moRvawe da misi Tanamoazre gaxda.

საკითხი, თუ ვისი ფსევდონიმია „სფირიდონ ჩიტორელიძე“, დიდი ხანია, პოლემიკის საგნადაა ქცეული. ერთი თვალსაზრისით, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ავტორია ი. ჭავჭავაძის თანამშრომელი და თანამოაზრე (არსებითად ილიას პუბლიცისტური სკოლის წარმომადგენელი) მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი. ამგვარ შეხედულებას იზიარებდნენ როგორც მიხ. ყიფიანისა და ი. ჭავჭავაძის თანამედროვენი (ა. ფურცელაძე, ნიკ. ყიფიანი, ი. ბახტაძე-ხონელი), ისე შემდგომი პერიოდის ქართველი მკვლევრებიც (პ. ინგოროყვა, ი. გრიშაშვილი, ს. ხუნდაძე, ლ. ასათიანი და სხვ.); დავით გამეზარდაშვილმა კი რამდენიმე ვრცელი ნაშრომი უძღვნა ამ პრობლემას და „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ავტორად მაინცდამაინც მიხ. ყიფიანი მიიჩნია.

განსხვავებულ თვალსაზრისს („სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ავტორი ი. ჭავჭავაძეა) სათავე დაუდო გიორგი თუმანიშვილმა, რომელმაც თავის წიგნში „Характеристики и воспоминания“ (III. Тфл.: 1907), აღნიშნა – ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად მისი ფელეტონი „სფირიდონისა და თადეოზის ბაასიც“ არის გამოქვეყნებულიო. ცოტა ხანში იგივე გაიმეორა ილიას ბიოგრაფმა გრიგოლ ყიფშიძემ: „ილიასვე ეკუთვნის ამ ჟურნალში („საქართველოს მოამბეში“ – თ. ჯ.) წერილები, „ჩიტორელიძის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი“. ეს თვალსაზრისი შემდგომ გაიზიარეს და განავითარეს მკვლევრებმა ალ. კალანდაძემ, გ. შარაძემ, ლ. ჭრელაშვილმა, ხოლო ი. ჭავჭავაძის აკადემიური ოცტომეულის შემდგენლებმა „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ილიას თხზულებებში შეიტანეს (ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ. 5. თბ.: 1991, გვ. 60-113; სარედაქციო შენიშვნები და კომენტარები – გვ. 630-634).

ჩვენ ვფიქრობთ, თხრობის მანერა და სტილური თავისებურებები ეჭვქვეშ აყენებს ილიას ავტორობას და, ამ მხრივ, მართებული ჩანს თვალსაზრისი პავლე ინგოროყვასი, რომელიც „სფირიდონ ჩიტორელიძეს“ მიხეილ ყიფიანის ფსევდონიმად მიიჩნევდა და დასძენდა: „[თხზულების ავტორად ილიას გამოცხადებას] ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ილიამ რედაქციულად გადაამუშავა, ვიდრე მას დაბეჭდავდა თავის ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, ხოლო ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავდა ილიას რედაქციული შესწორებანი; ხშირად იგი ახალი ნაწარმოების დაწერას უდრიდა... საფიქრებელია, რომ ილიას რედაქციულად გადაუმუშავებია „თადეოზისა და სფირიდონის ბაასი“ და ამით უნდა აიხსნას ის ტრადიცია, რომელიც ამ ნაწარმოებს ილიას მიაწერს“ (საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ მიხეილ ყიფიანმა მოგვიანებით, – 1886-1890 წლებში, – ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ იმავე „სფირიდონ ჩიტორელიძის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა პუბლიცისტური თხზულებები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიხ. ყიფიანის ავტორობა არავის გაუხდია საკამათოდ, ხოლო ამ თხზულებათაგან პირველს ავტორი იწყებს დიდად საგულისხმო სიტყვებით: „ჩემო თადეოზ! კარგა ხანია მე შენთან ლაპარაკი შევწყვიტე...“ – წერილი გადაღმითგან, „ივერია“, 1886, №260).

მიუხედავად იმისა, რომ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასს“ მართლაც ეტყობა ი. ჭავჭავაძის საფუძვლიანი რედაქციის კვალი, ეს თხზულება არ გამოირჩევა საერთოდ ილიასთვის დამახასიათებელი მსჯელობის სიღრმითა და აზროვნების მასშტაბურობით, პრობლემათა განზოგადებით. ამდენად, ვიმეორებთ, უფრო მართებული ჩანს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ დაწერილია მიხ. ყიფიანის მიერ, ხოლო ი. ჭავჭავაძეს ტექსტში საფუძვლიანი რედაქციული ცვლილებები აქვს შეტანილი.[13]

[13] dRemde kamaTis sagnadaa qceuli isic, Tu vis ekuTvnis fsevdonimi `**maqsim RoRaniZe**~ (sxvagan _ `**maqsim RaRaniZe**~). am Temas sagangebod Seexnen d. gamezardaSvili (es aris mixeil z. yifianis

უნდა ითქვას, რომ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ენობრივი სისადავე და სტილური სიმსუბუქე, მართალია, შიგადაშიგ გაჭიანურებული, მაგრამ ნათელი, ბუნებრივი და უშუალო თხრობა.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ბოლო ნაწილი გამოქვეყნდა VIII (აგვისტოს) ნომერში და ამ ნომერშივე „საქართველოს მოამბემ“ არსებითად შეწყვიტა პოლემიკა „ცისკართან“.

„საქართველოს მოამბე“ იმ დროს გამოდიოდა, როდესაც საქართველოში მიმდინარეობდა სამზადისი ბატონყმობის გასაუქმებლად (გაუქმდა 1864 წელს). ი. ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ბატონყმობა ადამიანის ღირსების შემლახველი და საზოგადოებრივი პროგრესის დამამუხრუჭებელი სისტემა იყო და ამიტომაც თავის თხზულებებსა თუ პირად ცხოვრებაში აქტიურად უჭერდა მხარს საგლეხო რეფორმას (ცნობილია, რომ თავადაზნაურობის ერთ-ერთ შეკრებაზე ილიას მოთხოვნამ გლეხების მიწიანად გათავისუფლების შესახებ იქ შეკრებილ თავადთა ერთი ნაწილის ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ ამ მოთხოვნის ავტორს ფიზიკური განადგურებით დაემუქრნენ; მოგვიანებით კი, 1877 წელს, წერილების სერიაში „ცხოვრება და კანონი“ ილია აღნიშნავდა: „1864 წ. მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს... ერთს ჩამოაცილეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეული ჰქონდა“).

როცა წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია აღნიშნავდა, ჩვენი ჟურნალი „დაუნდობლად გამოჰფენს ჩვენი ცხოვრების ჭუჭყსაცო“, აქ, რასაკვირველია, სოციალური უსამართლობის კრიტიკაც უნდა ვიგულისხმოთ. ამდენად, მოსალოდნელი იყო, „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტურ მასალაში ბატონყმობის კრიტიკას საგანგებო ადგილი დათმობოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. მართალია, დავით ყიფიანის პუბლიკაციებში („სხვადასხვა ამბავი“) აქა-იქ გაბნეულია ბატონყმურ ურთიერთობათა ნეგატიური შეფასებები, მაგრამ საკითხის გარშემო არც ერთი სპეციალურ წერილი „საქართველოს მოამბეში“ არ დაბეჭდილა. უფრო მეტიც,

---

fsevdonimi) da al. kalandaZe (es aris ilia WavWavaZis fsevdonimi), xolo sakiTxi _ am ori Tvalsazrisidan romelia swori, moiTxovs damatebiT kvlevas. rac Seexeba **mixeil (mixako) zaalis Ze yifians** (1833-1891), igi iyo Tavisi drois TvalsaCino sazogado moRvawe. mas aqtiuri monawileoba aqvs miRebuli `qSw-kg sazogadoebis~ daarsebaSi (sxvaTa Soris, `sazogadoebas~ Seswira Zveli qarTuli xelnawerebis Zvirfasi koleqcia); igi iyo `qarTuli dramatiuli sazogadoebis~ erT-erTi damfuZnebeli da pirveli gamgeobis wevri; Seadgina pirveli saxelmZRvaneloebi qarTul enaze ariTmetikasa da geometriaSi; TvalsaCino roli Seasrula qarTuli samecniero-teqnikuri terminologiis dadgena-CamoyalibebaSi, Targmna da gamoaqveyna ucxouri mxatvruli nawarmoebebi (u. Seqspiri, m. lermontovi...); 1871 wlidan sicocxlis bolomde msaxurobda vladikavkazSi, sadac daaarsa `Tergis olqis mTielTa Soris ganaTlebisa da teqnikuri codnis gamavrcelebeli saqvelmoqmedo sazogadoeba~ (1883), qarTuli skola (1888; safuZveli Cauyara qarTul skolas stefanwmindaSic, Tumca mis gaxsnas ver moeswro); didi amagi dasdo osuri mwerlobis Seswavla-popularizacias, oseTSive gamomcemlobis, biblioTekebis, saxalxo skolebis daarsebas, 1890 wels misi TaosnobiT gamoica `osuri anbani~ da sxv.; gardaicvala vladikavkazSi. dakrZalulia didubis panTeonSi. mis gardacvalebasTan dakavSirebiT ilia WavWavaZe werda: `roca undaT Seityon, eri ra Ronis da Zlierebis patronia, yovelT uwinares imisTana kacebs CamouTvlian xolme, rogoric mixeil yifiani iyo~.

ბატონყმობაზე პირდაპირ არაფერია ნათქვამი თვით ილიას საპროგრამო წერილშიც კი (ამ ვითარებას უნდა ასახავდეს ილიას გვიანდელი სიტყვებიც: „მოამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლოდან გასასინჯი იყო“). მკვლევრები, ჩვეულებრივ, ამას ცენზურის სიმკაცრეს მიაწერენ (ყოველ შემთხვევაში, სხვა რამ მიზეზი ჟურნალის პუბლიცისტთა მიერ ბატონყმობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის ფაქტობრივი იგნორირებისა დოკუმენტურად არ დასტურდება. დავით კარიჭაშვილის აზრით, „თუ რამე ნაკლი აქვს ჟურნალს იმ მხრით, რომ ჩვენის ქვეყნის შინაური ცხოვრება არ არის სავსებით და ყოველმხრით განხილული და გასჯილი, ეს უნდა მიეწეროს, რასაკვირველია, არა რედაქციას, არამედ მაშინდელს საცენზურო პირობებს...“. უფრო ადრე კი ა. ჯორჯაძე დარწმუნებით ამბობდა: „ეს იყო სასტიკი ცენზურის ნაყოფი“. თუმცა ესეც უნდა ითქვას – ამ საკითხის მიმართ რატომ უნდა ყოფილიყო ცენზურა „სასტიკი“ მაშინ, როცა ბატონყმობის გაუქმება თვითონ ხელისუფლების სურვილითა და ნებით იყო განპირობებული).

ცხადია, ზემოთქმული სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ი. ჭავჭავაძემ უყურადღებოდ დატოვა სოციალური უთანასწორობის პრობლემა – „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული ილიას მხატვრული ტექსტების ერთ ნაწილში სწორედ ბატონყმობასთან დაკავშირებული მანკიერებებია წარმოჩენილი („გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“, ნაწყვეტი პოემისა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“...). ა. ჯორჯაძის შეხედულებით, „ამაზე ნათლად, ამაზე მკაფიოდ, ამაზე აშკარად გმობა ძველი (ბატონყმური – თ. ჯ.) წესისა და ადამიანის დამონებისა შეუძლებელი იყო... „საქართველოს მოამბემ“ მიჰმართა მხატვრულ ფორმას ბატონ-ყმობის დასაგმობათ“.

„საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული თარგმანებიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნიკ. დობროლიუბოვის „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“. ალექსანდრე (ალესანდრო) გავაცი იყო იტალიელი მღვდელი, ჯუზეპე გარიბალდის[14] თანამოაზრე და თანამებრძოლი (გარიბალდის თან ახლდა საომარი ოპერაციების დროს), ბრწყინვალე ორატორი, რომელსაც ჰქონდა მასებზე ზემოქმედების არაჩვეულებრივი უნარი. ნიკ. დობროლიუბოვის თხზულებაში გადმოცემულია მამა ალექსანდრე გავაცის ბიოგრაფია, მოღვაწეობის ხასიათი და მიზანდასახულობა, დამოწმებულია ფრაგმენტები მისი ქადაგებებიდან. „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“ ი. ჭავჭავაძისათვის მიმზიდველი იქნებოდა იმის გამო, რომ ეს თხზულება ეროვნული ერთიანობისა და თავისუფლების იდეებითაა გამსჭვალული და, სხვათა შორის, მთარგმნელისთვის საინტერესო იქნებოდა გავაცის აზრიც ჟურნალისტიკის დანიშნულებაზე:

„მეჟურნალენო! თქვენი დანიშნულება დიდია, პატიოსნური და მაღალი... აღასრულეთ იგი, როგორც ხალხის სალოცავი!.. მიეცით თავი ხალხის აღზრდასა, ჩაგონებასა, ხალხის განათლებასა, თვალიდამ კი ნუ მოიშორებთ იტალიის ხალხობასა, იტალიის ერთობასა, სასოებას იტალიისას, იმის მომავალსა, იმის სამეფო გვირგვინსა!..“

თარგმანი საინტერესოა იმითაც, რომ მასში გამოხატულია XIX საუკუნის ქართული პრესისათვის დამახასიათებელი ერთი უაღრესად საგულისხმო ტენდენცია – ვინაიდან

[14] **juzepe garibaldi** (1807-1882) _ italieli xalxis erovnuli gmiri, romelic daucxromlad ibrZoda avstrielTa batonobis aRkveTisa da italiis gaerTianebisaTvis. garibaldis saxeli da saqmeebi uaRresad popularuli iyo XIX saukunis saqarTveloSi. cnobilia, rom ymawvili ilia WavWavaZe apirebda italiaSi wasvlasa da garibaldis razmSi moxalised (volontiorad) Caweras. n. naTiZis mogonebis mixedviT, ilia ymawvilobisas apirebda asketur cxovrebas da swored samSoblos TavisuflebisaTvis garibaldis brZolam aaRebina am ganzraxvaze xeli [ilias megobari aleqsandre (koxta) abxazi igonebs: `ilia aRmerTebda garibaldis~]. garibaldis brZolasve uZRvna iliam leqsi `mesmis, mesmis...~

ქართველი მოღვაწეები მძიმე საცენზურო პირობების გამო ვერ ახერხებდნენ პრესის მეშვეობით ეროვნული თავისუფლების საკითხებზე მსჯელობას, **ინტენსიურად აშუქებდნენ სხვა ხალხების (იტალიელები, ბერძნები, ირლანდიელები...) ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს და ამით შეფარული ფორმით ეწეოდნენ განმათავისუფლებელი იდეების პოპულარიზაციას ქართველ მკითხველთა შორის.**

ამავე მიზანს ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტელი მეგობრისა და თანამებრძოლის (ილიამ მას უძღვნა თავისი პოემები „ქართვლის დედა“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული“) პეტრე ნაკაშიძის „სამგზავრო წერილები“. ავტორმა 1863 წელს იმოგზაურა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ამბოხებულ პოლონეთში და თავის რეპორტაჟული ფორმით დაწერილ სამოგზაურო ხასიათის ტექსტში შეძლებისდაგვარად აღწერა კიდევაც იქაური მოვლენები. „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა პ. ნაკაშიძის თხზულების მხოლოდ პირველი ნაწილი, ხოლო საკითხი, დანარჩენი ნაწილი ცენზურამ აკრძალა, თუ ავტორს საერთოდ არ გამოუგზავნია რედაქციისათვის, დღემდე არ არის გამორკვეული.

„საქართველოს მოამბის“ ენა საეტაპო მნიშვნელობის მოვლენაა არა მხოლოდ ქართული ჟურნალისტიკის, არამედ ზოგადად ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. ეს კი, უპირველესად, განსაზღვრულია ილიას ფუნდამენტური შეხედულებით იმის შესახებ, რომ ენა საზოგადოდ და, კერძოდ, ერთიანი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, მისი დემოკრატიზაცია არის უმთავრესი საშუალება და ყველაზე ეფექტური იდეოლოგიური იარაღიც ქართველთა დაშლილი საერთო-ეროვნული თვითშეგნების აღდგენისა და განვითარებისათვის. ილიას შეხედულებით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა... ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“.

ილია ჭავჭავაძის („ჩვენი ენის კანონმდებლის“ – ი. მეუნარგია) ურყევმა ნებამ, აგრეთვე, მისი თანამოაზრეების ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა XVIII საუკუნის საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწის, მწერლისა და მეცნიერის, ანტონ I-ის მიერ მწიგნობრულ-ლიტერატურულ პრაქტიკაში დანერგილი ე. წ. „სამი სტილის“ თეორიის დაძლევა, ერთიანი სალიტერატურო ენის ტრადიციის აღდგენა და განვითარება ქართული ენისათვის ბუნებრივი კალაპოტით. ამ მხრივ, საყურადღებოა ილიას უნივერსიტეტელი მეგობრის, იურისტის, პუბლიცისტის, პედაგოგის, გამომცემლისა და ლიტერატორის, „საქართველოს მოამბეში“ განყოფილების „სხვადასხვა ამბავი“ ხელმძღვანელის, დავით ყიფიანის, წერილი „რიგიანი ქართული გრამმატიკის შესამუშავებელ მასალებად“. ავტორი აღნიშნავს – ქართულში „ენის ფორმები აირივნენ ბაბილონურად“ და დასძენს: „ქართველობის ერთობა XIX საუკუნის უმთავრესი მოთხოვნილება არის ჩვენგან, რომლის აღსრულებასაც ყოველივე ღონისძიებით უნდა ვემსახუროთ“. დავით ყიფიანი თავის მრავალმხრივ საინტერესო წერილში მსჯელობს სალიტერატურო ქართულის დემოკრატიზაციის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე („გრამმატიკის დამუშავებისათვის უპირველესი წყარო და საბუთიანობა უნდა იყოს – ცოცხალი ხალხის ენა“) და, სხვათა შორის, საგანგებო ყურადღებას უთმობს ილია ჭავჭავაძის ინიციატივით წამოწყებულ ორთოგრაფიულ რეფორმას – ხმარებიდან ძველი, ფუნქციადაკარგული ასოების (ѳ, ѣ, , ѯ, ѱ,) ამოღებას.[15]

[15] am sakiTxTan dakavSirebiT sainteresoa erTi aseTi faqti: dimitri yifianma Targmna amerikeli astronomisa da astronomiuli codnis popularizatoris, ormsbi-maqnaiT mitCelis, samecniero-popularuli xasiaTis Txzuleba `zecieri mnaTobebi~ (I leqcia) da igi gamosaqveyneblad gaugzavna `saqarTvelos moambis~ redaqcias. Targmani ZiriTadad Sesrulebulia `TergdaleulTa~ mier damkvidrebuli saliteraturo eniT, Tumca aq funqciadakarguli asoebi Zveli wesiTaa gamoyenebuli. dim. yifianma Targmans daurTo winasityvaoba, romelSic kategoriuli toniTaa naTqvami: `TqUѳn, ufalo redaqtoro, amasa gTxovT, rom beWdvaSi ara Seicualos ra, arc marTl-wera Cemi, arc leqsi (e. i. **sityva** _ T. j.) da arc azri: radgan Sesaculeli Tu

„საქართველოს მოამბის“ გამოცემისათვის მზადების პერიოდში ნიკ. ღოღობერიძეს უთქვამს ი. ჭავჭავაძისათვის – შეუძლებელ საქმეს იწყებ, ამ საქმისათვის ჯერ ჩვენ მზად არა ვართო, რაზეც ილიას უპასუხია: „რომ დავიწყებთ ჟურნალის გამოცემას, მაშინ გამოჩნდებიან მწერლებიც და ჩვენც გავიწვრთნებით წერაში“. ნიკ. ღოღობერიძის შიში გამართლდა. 1863 წლის დეკემბერში დაიბეჭდა „საქართველოს მოამბის“ XII ნომერი და ამით ჟურნალმა შეწყვიტა არსებობა, რასაც მკვლევრები რამდენიმე მიზეზით ხსნიან:

ა) **ფინანსური სიძნელეები**. ჟურნალის ხასიათით, ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულებითა და ენობრივი პოზიციით განაწყენებული თავადაზნაურობის ნაწილმა უარი თქვა მის გამოწერაზე.

ბ) **ლიტერატურული მასალის ნაკლებობა**. ამაზე მიუთითებს უკანასკნელი ნომრები, რომლებიც არ გამოირჩევა არც თემატურ-შინაარსობრივი მრავალფეროვნებითა და არც ლიტერატურული მასალის ხარისხით. ჩანს, მაშინდელ ლიტერატურულ წრეებს თანდათანობით გაუნელდათ ენთუზიაზმი, ხოლო ილია ჭავჭავაძე არ იყო ის რედაქტორი, ჟურნალის შესანარჩუნებლად იდეური თუ ხარისხობრივი თვალსაზრისით საკუთარი პრინციპებისათვის შეუფერებელი ტექსტები ებეჭდა (გ. წერეთელი ჟურნალის დახურვას ასე ხსნის: „იმას მოაკლდა თანამშრომლები. ჟურნალი უკანასკნელ დროს გათხელდა, სტატიები შემსუბუქდნენ. ამის გამო, მეორე წელიწადს რომ ეცოცხლა, ხელის მომწერნი მოაკლდებოდნენ... ამ ძაღლურ ცხოვრებას „საქართველოს მოამბემ“ ისევ ის ამჯობინა, რომ ერთბაშად მოესპო თავის თავის არსებობა“. იმავე მიზეზს ასახელებს პ. უმიკაშვილიც: „წრე ვერ შესდგა. ის მწერლები, რომელნიც აღტაცებულის გრძნობით გარს ეხვივნენ პირველს დროში ჟურნალსა, ნელნელა გაიფანტნენ, გავიდნენ ზოგი ადრე, ზოგი გვიან იმის დაგვარად, აღტაცების ცეცხლი ვის როდის უქრებოდა. არამც თუ წრეს ჩამოეცალნენ, არამედ იმ მწერლების ხსენებასაც აღარსადა ვხედავთ ლიტერტურაში, ისე გაჰქრნენ“).

გ) **ცენზურის სიმკაცრე**, რის გამოც ჟურნალში ვერ ხერხდებოდა სასურველი მასალის დაბეჭდვა (ილიამ საერთოდ ვერ შეძლო „მგზავრის წერილების“ გამოქვეყნება, ხოლო „აჩრდილისა“ და „კაკო ყაჩაღის“ მხოლოდ ცალკეული მონაკვეთები დაბეჭდა და სხვ.). განყოფილება „სხვადასხვა ამბავი“, რომელშიც ასე თუ ისე შესაძლებელი იყო საზოგადოებრივ პრობლემებზე საუბარი, მეხუთე ნომრის შემდეგ აღარ ჩანს, რაშიც, საფიქრებელია, ცენზურის ხელი ურევია. ამასთანავე, ხელისუფლების მიერ უარყოფილ იქნა ილიას თხოვნა ჟურნალის პროგრამისა და ფორმის შეცვლის შესახებ.

დ) 1863 წლის 10 აპრილს **ილია ჭავჭავაძე ოჯახს მოეკიდა** – დაქორწინდა ოლღა თადეოზის ას. გურამიშვილზე და, მატერიალურად შევიწროებული, იძულებული გახდა ოჯახურ გარემოებათა გამო („ნივთიერი საღსარის მოსაპოვებლად“) სახელმწიფო სამსახურში შესულიყო (1864-1873 წლებში მსახურობდა: ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ, მომრიგებელ შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში, დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ). ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი და მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ზედმიწევნით მცოდნე გრ. ყიფშიძე „საქართველოს მოამბის“ დახურვის მიზეზად სწორედ ილიას დაოჯახებას მიიჩნევს: „ილიას შეუყვარდა გურამიანთ ქალი ოლგა და, თავის საკუთარ საქმეებითა და

---

gasasworebeli rac iqneba, kritikis saqme iqneba da am wignis Targmna mgonia Rirsi iyos kritikisa~. i. WavWavaZem am SemTxvevaSi dauSva misTvis uCveulo kompromisi (unda vifiqroT, erTi mxriv, dim. yifianisadmi gansakuTrebuli pativiscemis, xolo meore mxriv, TviTon mitCelis teqstis SemecnebiTi Rirebulebis gamo) _ Targmani gamoaqveyna zustad ise, rogorc igi mTargmnelis xelidan gamovida da arc kritikuli gamoxmaurebiT gaumwvavebia viTareba.

სამსახურში შესვლის ფიქრით გართულმა, შესწყვიტა მისი („საქართველოს მოამბის“ – თ. ჯ.) ბეჭდვა იმავ წელს, რომელშიც დაიწყო, ესე იგი 1863 წელს“.

დოკუმენტური მასალის ნაკლებობის გამო ძნელია დარწმუნებით თქმა, დასახელებულთაგან რომელი იყო „საქართველოს მოამბის“ დახურვის უმთავრესი მიზეზი ან ამ მიზეზებიდან რომელმა რა გავლენა იქონია ილიას გადაწყვეტილებაზე, ან კიდევ, არსებობდა თუ არა დამატებითი ხელის შემშლელი გარემოებები.

ასე იყო თუ ისე, 1864 წლის 12 მარტს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა „საქართველოს მოამბის“ სარედაქციო განცხადება ჟურნალის გამოცემის შეწყვეტის შესახებ და ამით გამართლდა კიდევაც ილია ჭავჭავაძის შეხედულება: „ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჟურნალი მარტო ერთის კაცის ნებით იბადება. არა, თვითონ ცხოვრება გვაჩვენებს ხოლმე იმის საჭიროებას. კაცი კი მხოლოდ მიხვდება ამ საჭიროებას და ჟურნალის გამოცემით პასუხს აძლევს“.

ლიტერატურა:

ასათიანი ლ. ფელეტონი „საქართველოს მოამბეში“. წიგნში: **ლ. ასათიანი**. ლიტერატურული ნარკვევები და წერილები. თბ.: 1955, გვ. 181-183.

გაგოიძე ვ. „საქართველოს მოამბე“ (ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური იდეალები). თბ.: 1976.

გამეზარდაშვილი დ. განსაჯოს კაცმან პირუთვნელმან. თბ.: 1980.

გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), ტ. I. თბ.: 1941, გვ. 295-388.

ვაშაყმაძე შ. „საქართველოს მოამბე“ და გიორგი წერეთელი. „ლიტერატურული ძიებანი“, XIV. 1963, გვ. 63-76.

ინგოროყვა პ. ილია ჭავჭავაძე. წიგნში: **პ. ინგოროყვა**. თხზულებათა კრებული (შვიდ ტომად), ტ. I. თბ.: 1963, გვ. 419-426.

ინგოროყვა პ. დამატებითი შენიშვნა ფსევდონიმის „სფირიდონ ჩიტორელიძის“ შესახებ. წიგნში: **ი. ჭავჭავაძე**. ნაწერების სრული კრებული, **პ. ინგოროყვას** და **ალ. აბაშელის** რედაქციით, ტ. 5. ტფ.: 1927, გვ. 280-290.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III (1863-1871). თბ.: 1985, გვ. 3-326.

კენჭოშვილი ა. „საქართველოს მოამბის“ იდეური მრწამსი. კრბ.: „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“ (III, 1973, გვ. 73-95).

კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). წიგნში: **ვ. კოტეტიშვილი**. რჩეული ნაწერები (ორ წიგნად). **დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, წგნ. I. თბ.: 1965, გვ. 410-411.

მეძველია კ. თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, ტ. I. 1959, გვ. 298-325.

მინაშვილი ლ. ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების დახასიათება). თბ.: 1995, გვ. 17-20.

ნანეიშვილი მ. ილია ჭავჭავაძის სააზროვნო საგნის რაობისათვის. „მაცნე“ (ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია), 1987, №4, გვ. 44-56; 1989, №2, გვ. 23-36.

რატიანი პრ. თერგდალეულთა მებრძოლი ორგანო. წიგნში: **პრ. რატიანი.** რჩეული ნაწერები (სამ ტომად), ტ. III. თბ.: 1985, გვ. 274-278.

რაჭველიშვილი ქ. ილია ჭავჭავაძე. თბ.: 1995, გვ. 41-49.

ტაბიძე ნ. „საქართველოს მოამბე“. „მწიგნობარი-03“, 2003, გვ. 44-80.

ყორანაშვილი გ. ილიას ფენომენი. თბ.: 2007, გვ. 83-90.

შარაძე გ. ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება (ფოტომატიანე), წგნ. I. თბ.: 1987, გვ. 177-203.

ხუციშვილი ს., ტატიშვილი ნ. „საქართველოს მოამბე“. 1863 (ლიტერატურულ-ანოტირებული ბიბლიოგრაფია წინასიტყვაობით, საძიებლებით და შენიშვნებით). „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, №4-5, 1948, გვ. 287-372.

ჯორჯაძე ა. მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის. წიგნში: **ა. ჯორჯაძე.** წერილები. შემდგენელი **ა. ბაქრაძე**. თბ.: 1989, გვ. 164-199.

პირველი სამი ნომრისა და მეოთხე ნომრის ნაწილის ფაქსიმილური გამოცემა იხ. „საქართველოს მოამბე“ (1863). **გ. შარაძის** წინასიტყვაობით, I. თბ.: 1991; II, თბ.: 1992.

„საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შორის გამართულ პოლემიკასთან დაკავშირებული ტექსტები იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტომათია. შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო **ს. ხუციშვილმა**, I. თბ.: 1954, გვ. 275-391.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია იხ. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. I (1852-1877). **გ. აბზიანიძის** რედაქციითა და წინასიტყვაობით, ბიბლიოგრაფიული რედაქცია და საძიებელი **თ. მაჭავარიანისა**. თბ.: 1940.

გაზეთი „დროება“

(1866-1885)

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ საზოგადოებრივი და სალიტერატურო ასპარეზი ისევ ივ. კერესელიძის „ცისკარს“ დარჩა. „პატარა ხნის ახმაურების შემდეგ ჩვენს მწერლობაში სიჩუმე ჩამოვარდა და გულშემზარავი დუმილი“ (ა. ჯორჯაძე). ახალ („თერგდალეულთა“, „სამოციანელთა“) თაობას, ბუნებრივია, პერიოდული გამოცემის გარეშე არ შეეძლო საკუთარი მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური პრინციპებისა და შეხედულებების გავრცელება და დამკვიდრება. ასეთ პირობებში დაიბადა „დროება“ – **„პირველი ევროპიული ხასიათის გაზეთი ქართულ ენაზე, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობა ახასიათებდა და რომელიც ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემსახურებოდა“** (ს. ხუნდაძე).

„დროების“ პირველი გამომცემლის, სტეფანე მელიქიშვილის, მიხედვით, „პირველი ჰაზრი გაზეთის გამოცემისა... ეკუთვნის ი. ჭავჭავაძეს, რომელმანც პირველად გამოსთქვა ეს ჰაზრი „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ“. მანამდე კი იყო აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ რა აჯობებდა – ჟურნალი დაეარსებინათ თუ გაზეთი. საბოლოოდ გაზეთის გამოცემა გადაწყდა. ამასთან დაკავშირებით ნიკ. ღოღობერიძე, – „დროების“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (კ. ლორთქიფანიძესთან, დიმ. ბაქრაძესა და ვ. თულაშვილთან ერთად), – სწერდა კ. ლორთქიფანიძეს: „ჩვენის აზრით, გაზეთი უფრო სასარგებლო იქმნება ჩვენის ხალხისათვის, მინამ ჟურნალი. ჟურნალის დიდს სტატიებს ვერ ერეოდნენ ჩვენი მოუმზადებელი მკითხველები, გაზეთის მოკლე სტატიები, რასაკვირველია, უფრო ადვილი გასაგონია... ამასთანავე, ჟურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას ხომ არასდროს არ მოგვცემდნენ“.

გაზეთის გამოცემის ორგანიზაციული სიმძიმე იტვირთეს გიორგი წერეთელმა (როგორც რედაქტორმა) და სტეფანე მელიქიშვილმა (როგორც გამომცემელმა). მათ 1865 წლის შემოდგომაზე კავკასიის იმდროინდელ მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძეს (რომანოვს) ყოველკვირეული ქართული გაზეთის დაარსების შესახებ ოფიციალური თხოვნით მიმართეს; ამასთანავე, წარუდგინეს **„საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის“** პროგრამა, რომლის მიხედვითაც გაზეთს ექნებოდა: ა) მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის; ბ) მეცნიერებისა და ხელოვნების; გ) მხატვრული ლიტერატურისა და ფელეტონის; დ) კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის; ე) „სახაზინო და კერძოობითი განცხადებების“ განყოფილებები.

მეფისნაცვლის მთავარმა სამმართველომ, თავის მხრივ, 1865 წლის 30 დეკემბერს ოფიციალურად აცნობა საცენზურო კომიტეტს: „მეფისნაცვალმა უფლება მისცა თბილისის მოქალაქე მელიქოვსა და ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტ წერეთელს მათ მიერვე წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით გამოსცენ ქართულ ენაზე გაზეთი „დროების“ სახელწოდებით, მხოლოდ იმ პირობით, რომ მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვებს გადმობეჭდავენ ოფიციალური გაზეთებიდან: „რუსსკი ინვალიდ“, „სევერნაია პოჩტა“ და „კავკაზ“.

მანამდე მოგვარდა სტამბის საქმე. კერძოდ, 1864 წლის დამდეგს სტ. მელიქიშვილი გაემგზავრა საზღვარგარეთ, ქ. ვენაში, სადაც სტამბაც შეიძინა და ქართული შრიფტიც ჩამოასხმევინა (შემდეგ ამ შრიფტს „ვენური“ ეწოდა). გაზეთისათვის სასტამბო ბაზის შექმნაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ვ. თულაშვილი, დიმ. ბაქრაძე, ნიკ. ღოღობერიძე. ასე

რომ, 1860-იან წლებში თბილისში კიდევ ერთი სტამბა დაარსდა – „მელიქიშვილის და ამხანაგობისა“.

გაზეთის გამოცემამდე გ. წერეთელმა და სტ. მელიქიშვილმა გაავრცელეს „განცხადება ქართულის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის „დროების“ გამოცემაზედ“, რომლითაც საზოგადოებას გააცნეს გაზეთის ხასიათი, მიზანდასახულობა, პროგრამა და მნიშვნელობა; ამასთანავე, გაზეთის მესვეურები საზოგადოებას სათანამშრომლოდაც იწვევდნენ, თუმცა ამ თხოვნას მაინდამაინც დიდი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია არც თანამშრომლობისა და არც გაზეთის გამოწერის მხრივ. ი. მეუნარგია მოგვიანებით წერდა: „არსაიდამ კორესპონდენციები, არსაიდამ ახალი ამბები... რაც უფრო საგრძნობელი იყო, არსაიდამ ხელის-მომწერლები!.. მკითხველი საზოგადოება თუ კი იყო სადმე, გულცივად ეპყრობოდა გაზეთს: „რა „დროება“, რის „დროება“, ქართული გაზეთი ვისთვის რა საჭიროა!“ ჰქადაგებდა არა ერთი და ორი, ჰქადაგებდენ მრავალნი და ამ გულცივობით გულს უკლავდენ იმათ, ვინც იტანდა ამ საზოგადო საქმისათვის შიმშილს, წყურვილს, უწყალო, განუწყვეტელ შრომას და თან ყოველს ამაზედ კიდევ უარესს – საზოგადოების გულგრილობას, უმადურობას!..“

„დროება“ 1866 წლის იანვარში უნდა გამოსულიყო, მაგრამ საცენზურო კომიტეტისაგან ნებართვის დაგვიანებისა და ხელის მომწერთა სიმცირის გამო გაზეთის პირველმა ნომერმა დღის სინათლე მხოლოდ 1866 წლის 4 მარტს იხილა.

„დროების“ პირველი ნომრისათვის საპროგრამო ტექსტი ილია ჭავჭავაძემ დაწერა, თუმცა ცენზურამ იგი არ გაუშვა[1] და მის ნაცვლად გამოქვეყნდა სტ. მელიქიშვილის წერილი („ტფილისი, 4 მარტს“),[2] რომელშიც ავტორი მსჯელობს ახალდაარსებული გაზეთის მიმართულებაზე, ფუნქციასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე:

„დროებამ“ უნდა იქონიოს მხედველობაში გონების გახსნა და ნამდვილის ცოდნის გადაცემა მკითხველისადმი და არა დროს გატარება იმისი... ჟურნალებს და გაზეთებს დიდი გავლენა აქვთ დაწინაურებულს ქვეყნებში, ჩვენს დროში ისინი შეადგენენ განათლების ზომასა და აუცილებელს საჭიროებასა ხალხის წარმატებისათვის... ყოველივე, რასაც მეცნიერება მოიპოვებს, რაც სხვა და სხვა ქვეყნებში პოლიტიკური შემთხვევა მოხდება, რაც ხალხის ყოფა-ცხოვრებაში კარგია თუ ავი, რა ღონისძიებასაც სწავლის გამოკვლევა აღმოაჩენს საზოგადოების კეთილდღეობის წარმატებისათვის, ყოველივე ეს შეადგენს ჟურნალების და გაზეთების საგანსა... გაზეთი არის ხალხისათვის საუკეთესო შკოლა... გაზეთით ის (ხალხი – თ. ჯ.) შეჰნიშნავს თავის ნაკლულევანებასა და ამოიკითხავს ღონისძიებას, რომლითაც ეს ნაკლულევანება უნდა ამოიკვეთოს. გაზეთის კითხვა იმას გონებას უხსნის, თვალს უხელს და უკეთესს მიმართულების გზაზედ დააყენებს... ერთის სიტყვით, ყოველივე იმისი ნაბიჯი სწავლა არის... გაზეთს ერთი იმისთანა მნიშვნელობაც აქვს, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ. გაზეთი აერთებს და აკავშირებს მთელს ხალხს. ანგლიელი ჯონ სტიუარტ მილი [ამბობს]: „ყოველის ღონისძიებაზედ შემძლე შეერთების საშუალობა... არის გაზეთი. გაზეთი მრავლის რიცხვის ხმებს გადასცემს თვითოეულს...“. რედაქციას სხვა აზრი არა აქვს რა, იმის გარდა, რომ ჭეშმარიტების გავრცელებას და ხალხის კეთილდღეობას მოეხმაროს. ამ აზრის უკუგდება იქნება სვინიდისისა და კეთილშობილების დათრგუნვა... სნეულების განკურნება მაშინ შეიძლება, როდესაც ავათმყოფი თავისის აგებულების მდგომარეობას დაწვლილებით გამოააშკარავებს და

[1] mogvianebiT, 1876 wels, iliam es SesaniSnavi werili gadaamuSava da `droebaSive~ gamoaqveyna saTauriT `zogierTi ram~.

[2] mkvlevari a. Wilaia miiCnevda, rom werilis avtori iyo giorgi wereTeli, magram es mosazreba kvlevebiT ar dadasturda (n. kilanava, al. kalandaZe, n. bocvaZe... ufro adre Txzulebis avtorad st. meliqiSvils miiCnevda s. xundaZe).

ექიმს უამბობს. ასეა ჩვენი საქმეც. თუ ჩვენ ჩვენს ნაკლულევანებას არ დავფარავთ, ღონისძიებაც იმისის ამოკვეთისა ადვილი იქნება“.

აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძის სკოლის პუბლიცისტის, სტეფანე მელიქიშვილის, პირით „დროების“ რედაქცია სხვა ფორმითა და შინაარსით (კაცმა რომ თქვას, სხვა სიღრმითა და საფუძვლიანობითაც) არსებითად ამბობს იმას, რაც თავის დროზე ილიამ თქვა წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ და, ამდენად, „დროება“ აგრძელებს „საქართველოს მოამბის“ მიერ დასახულ გზას – ჟურნალისტიკამ უნდა იგრძნოს დროის მოთხოვნები და საჭიროებები, უნდა იღვაწოს „საზოგადოების კეთილდღეობის წარმატებისათვის“, რეალისტურად და მიუკერძოებლად ასახოს ცხოვრება, არ შეუშინდეს მწარე სიმართლის თქმას, უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ავკარგიანობის გამომრკვევი, განვითარებისა და პროგრესის გზის მაჩვენებელიცა და მამოძრავებელიც, განმანათლებელი და კულტურტრეგერი...[3]

„დროებას“ თავიდან, როგორც ითქვა, რედაქტორობდა გიორგი წერეთელი და ძირითადად სწორედ მის ხელში ჩამოყალიბდა გაზეთის ხასიათი და მიმართულება. მაგრამ იმის გამო, რომ: ა) დააარსა „სასოფლო გაზეთი“ (1868-1880) და ერთდროულად ორი პერიოდული გამოცემის გაძღოლა გაუჭირდა და ბ) პეტერბურგში წასვლა და იქაურ უნივერსიტეტში სწავლის დასრულება გადაწყვიტა, გ. წერეთელმა 1869 წლის აპრილში „დროების“ რედაქტორობა გადასცა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებულს – სერგეი მესხს, რომელსაც, თავის მხრივ, ქართული კულტურის უანგარო სამსახური სურდა და ამიტომ უარი თქვა სამოხელეო კარიერაზე. 1870 წლის სექტემბერში ს. მესხი ოფიციალურად დაამტკიცეს „დროების“ რედაქტორად და ამის შემდეგ ჩვენი კულტურის ამ თვალსაჩინო მოღვაწემ „დროებას“ შესწირა მთელი თავისი ნიჭი, ფიზიკური თუ ინტელექტუალური ენერგია, ოჯახური კეთილდღეობა და არსებითად სიცოცხლეც.

ს. მესხი, რომელსაც გერონტი ქიქოძე „ქართველი ინტელიგენციის სინდისის და ქართველი ხალხის თვითშეგნების საუკეთესო გამომხატველს“ უწოდებს, ენერგიულად შეუდგა საქმეს – რედაქტორობის პირველი დღეებიდანვე გარდაქმნა გაზეთის სარედაქციო მუშაობა, დაუკავშირდა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში მყოფ ლიტერატურულ-პუბლიცისტური ინტერესების მქონე ქართველებს (ძირითადად, სტუდენტობას), საკუთარი კორესპონდენტები გაიჩინა როგორც საქართველოს რეგიონებში, ისე პეტერბურგში, მოსკოვში, ჟენევაში, პარიზსა და სხვაგან. ყოველივე ამას ის მოჰყვა, რომ „დროება“ თემატურადაც და შინაარსობრივადაც უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა და, შესაბამისად, გაზეთის ტირაჟიც მკვეთრად გაიზარდა. გაიზარდა გაზეთის გავრცელების არეალიც – „დროება“ ვრცელდებოდა არა მარტო

[3] 1876 wels s. mesxi werda: `droebam~ iseTs dros daiwyo gamosvla, rodesac, xangrZlivis Zilisa da myudroebis Semdeg saqarTvelom TiTqo gamoRviZeba daapira. es is dro iyo, rodesac Cvenma xalxma cot-cotaTi daiwyo Tavis Zveli cxovrebis wesisa da xasiaTis mitoveba, da axals, Tanamedrove cxovrebas Seudga... xalxi grZnobda axal dros, axal cxovrebis moaxlovebas. Tvalebi da goneba rom ar hqonoda maSindel qarTvels, marto ynosviTac ki Seatyobda, rom raRac sxva dro da sxva moTxovnileba gaCndao... imas (`droebas~ _ T. j.) esmoda da esmis, rom kacobrioba erTs wertilze ver gaCerdeba, rom droTa viTareba Tavisas Txoulobs, rom erTs alagas gaCereba romlisame xalxisa pirveli da aucilebeli niSania am xalxis sikvdilisa da istoriidam gaqrobisa~ (**Sdr**.: `cxovreba rac guSin iyo, is dRes aRar aris, igi icvleba, midis win da moaqvs ganaxleba yovelisferisa... is xalxi, is cxovreba, romelic ar izrdeba... romelica berdeba ki, magram im siberis nayofzed isev ar amova ganaxlebuli, ganaTlebuli siaxlis mSvenier gvirgviniTa _ is xalxi, is cxovreba miCanCalebs samarisaken, bolos miva da aRigveba, rogorc mtveri dedamiwis zurgidam~ _ i. WavWavaZe. `saqarTvelos moambezed~).

საქართველოში, არამედ რუსეთსა (მოსკოვი, პეტერბურგი, კიევი, ოდესა, სტავროპოლი, ყაზანი და სხვ.) და საზღვარგარეთის ქალაქებში (პარიზი, ჟენევა, ციურიხი და სხვ.).

ევროპული ცხოვრების უშუალოდ გაცნობის მიზნით 1873 წელს ს. მესხი საფრანგეთში გაემგზავრა და „დროების“ რედაქტოროობა გადასცა „თერგდალეულთა“ თაობის თვალსაჩინო წევრს, კირილე ლორთქიფანიძეს, რომელიც გაზეთს 1873 წლის 8 ოქტომბრიდან 1974 წლის 3 ოქტომბრამდე რედაქტორობდა.

საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ს. მესხმა, რომელიც თავისი ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი ცხოვრების განმავლობაში მისდევდა პრინციპს – „ლიტერატურა ყოველთვის ცხოვრების სარკეა“, მიუხედავად უმძიმესი საცენზურო პირობებისა და უკიდურესი გაჭირვებისა, მოახერხა არა მარტო გაზეთისა და საზოგადოების ინტერესთა მაქსიმალური ჰარმონიზაცია, არამედ „დროების“ პერიოდულობის გაზრდაც.[4] კერძოდ, 1875 წლიდან გაზეთი გამოდიოდა კვირაში სამჯერ, ხოლო 1877 წლიდან – ყოველდღიურად. **„დროება“ პირველი ყოველდღიური ქართული გაზეთია**.

1876 წელს ქართველმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა „დროების“ 10 წლისთავი და ამ ღონისძიებაზე ს. მესხმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ლაკონიურადაა ჩამოყალიბებული როგორც გაზეთის ძირითადი მიზანი, დანიშნულება და სამოქმედო პროგრამა, ასევე თვითონ ს. მესხის ჟურნალისტური პრინციპები და მოქალაქეობრივი თვითშეგნებაც: „ძალიან კარგათ მესმის, რომ კერძოთ მე კი არ მიცხადებთ თანაგრძნობას, არამედ უცხადებთ იმ დროშას, რომლის ქვეშ დღეს ყველანი შეკრებილნი ვართ აქ. ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს ან რომელსამე მიმართულებას ანუ თაობას კი არ წარმოადგენს; ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და ძველი თაობა – ეს არის დროშა ქართულის ლიტერატურისა“.

საერთოდ, ს. მესხი მიიჩნევდა, რომ, მიუხედავად პოლიტიკურ, სოციალურ თუ სხვა პრინციპთა და შეხედულებათა განსხვავებულობისა, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ვალდებულნი იყვნენ თავიანთი ნიჭი, ენერგია და შესაძლებლობები საერთო-ეროვნული ინტერესებისა და მიზნების გარშემო გაეერთიანებინათ. ამ მხრივ და ზოგადად თაობათა შორის ურთიერთმიმართების საკითხისათვის უაღრესად საინტერესოა ს. მესხის წერილი „ჩვენი მამები და შვილები“, რომელიც 1872 წელს გამოქვეყნდა „დროებაში“. ავტორი თაობათა შორის არსებულ მსოფლმხედველობრივ და ღირებულებით კონფლიქტს პროგრესის საფუძვლად მიიჩნევს და თვლის, რომ თაობათა დაპირისპირება ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ საზოგადოებრივ ასპარეზზე გაერთიანებით უნდა დაიძლიოს:

„საზოგადოების ერთი ნაწილი სხვანაირათ სჯის ყოველ საგანზე და მეორე ნაწილი კიდევ – სხვანაირათ. ეს სჯისა და აზრების განსხვავება და შეტაკება რომ არ იყოს, როგორც ამბობენ, არც წარმატება იქნებოდაო. მართლაც, ხშირად ჭეშმარიტება მხოლოთ მაშინ აღმოჩნდება, როდესაც ორი ან მეტი ერთმანეთის მოპირდაპირე აზრი შეებმიან და

[4] Tu ra gaWirvebaSi uwevda s. mesxs `droebis~ redaqtoroba, amis sailustraciod al. yazbegis sityvebs davimowmebT: `ToTxmetis wlis ganmavlobaSi Sen Tavi ar mogixria arc SimSilis, arc wyurvilis winaSe... me minaxivxar iseTs gaWirvebaSic, rodesac gaToSils TiTebs ilxobdi piris orTqliT, rom gagegrZelebina werili da maxsovs, rom amave dros mTeli Seni azri mipyrobili yofiliyo gazeTis qaRaldis fulis SovnisaTvis; davswrebivar im Tav-ganwirulebas, romliTac gaWirvebasTan gibrZolia da gaSterebuli davrCenilvar~. giorgi wereTlis TqmiT ki, `verc erTi TqvenTagani im saSinels jafas da TavganwirulebiT brZolas ver warmoidgens, rac me da Cems amxanagebs gvinaxavs da gamogvicdia sergei mesxTan SromaSi. kviris-kvirobamdis, Tvis-Tvobamdis dReniadag uZiloba, mudam rkinis mtverSi yofna da miTi sunTqva, im mZime haeriT filtvebis lpoba... stambis haeri hglejda nel-nela miss filtvebsa~.

დაეტაკებიან ერთმანეთს. ეს განსხვავება აზრისა და შეხედულებისა ყველაზე უფრო ცხადათ იხატება და მოჩანს ორ თაობას შუა... ახალგაზრდის ცოცხალი და მღვიძარე ჭკუა-გონება ძალიან ადვილათ ითვისებს ყოველ ახალ აზრს და სწავლას. მოხუცებულობაში კი კაცი ახალგაზრდობის დროს შეთვისებულ რწმუნებებით და სწავლით ცხოვრობს. იმას ხორცათ და სისხლათ გადაჰქცევია დიდი ხნიდგან შეთვისებული აზრები და რწმუნებანი და ძნელად გამოეთხოვება მათ... ახალგაზრდა კაცის ჭკუას ჯერ არაფერი არ შეუთვისებია... იმის ჯერ ცხოვრებისაგან გაუფუჭებელი და დაღდაუსმელი გული და გონება ყოველთვის ისეთ ახალ სწავლას მიელტვის, რომელიც საზოგადოების წარმატებას და ცხოვრების გაუმჯობესებას გვპირდება... დრო წინ მიდის. იმას თან მოაქვს ახალი სწავლა, ახალი ჩვეულებანი. ახალგაზრდები ითვისებენ ამ ახალ სწავლას და ჩვეულებას და მოხუცებულები კი ძველს, მამა-პაპურ ადათს არ შორდებიან... აი, აქედგან წარმოსდგება ის განსხვავება და ხშირათ უთანხმოება, რომელიც მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შუა არსებობს...

ჩვენი ქვეყანა ეხლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ იმისთვის აუცილებლათ საჭიროა ყველა ქართველი უწყობდეს ხელს საზოგადო საქმეების სწორ გზაზე დადგომას. ყოველი საზოგადოების წევრი თავის შეძლებისდაგვარად უნდა სცდილობდეს რაიმე სარგებლობა და დახმარება უძღვნას თავის საზოგადოებას. ვინ არ იცის, რომ ეს დახმარება და სიკეთე მხოლოთ მაშინ იქნება შესამჩნეველი და საგრძნობელი, როდესაც ყველანი ერთათ იმოქმედებენ? მაშასადამე, ამ ურთიერთობის განხეთქილებისაგან, ამ მამებისა და შვილების, მოხუცებულებისა და ახალგაზრდობის უკმაყოფილებისა და დაუნდობლობისაგან რა სიკეთეს უნდა მოელოდეს ჩვენი საზოგადოება?! ჩვენი მტრები არის: უმეცრება, სიღარიბე და სხვა ათასი, და თუ ერთმანეთში შური და დაუნდობლობა არ მოვსპეთ, უეჭველია, ეს მტრები სრულიად დაგვიმორჩილებენ და დაგვჩაგრავენ ჩვენა.

უკანასკნელ ორ ჭეშმარიტებას გამოვთქვამ, რომელიც, გთხოვთ, ყველამ კარგათ ჩაინერგოთ გულში:

1. საზოგადო გაჭირვებას საზოგადო დახმარება უნდა;
2. მომავალი ყოველთვის ახალგაზრდობას ეკუთვნის“.

აშკარაა, რომ ს. მესხის „ჩვენი მამები და შვილები“ გამოძახილია იმ მწვავე პოლემიკისა, რომელიც 1861 წელს ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილის („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის...“) გამოქვეყნებას მოჰყვა, 1870-იანი წლების დასაწყისში გაგრძელდა და ჩვენს ისტორიაში „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის სახელითააა შესული. ამ საკითხს უფრო ვრცლად სხვაგან (თავი – „ჟურნალი „კრებული“) შევეხებით, აქ კი დავსძენთ, რომ ს. მესხმა „დროების“ კარი ფართოდ გაუღო ძველი თაობის წარმომადგენლებს (ვახტანგ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და სხვ.), რომლებიც თანამშრომლობდნენ „დროების“ რედაქციასთან და გაზეთის ფურცლებზე აქვეყნებდნენ როგორც მხატვრულ ნაწარმოებებს, ისე პუბლიცისტურ და კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს, სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის თხზულებებს, რეცენზიებს და სხვ.

1877 წელს ილია ჭავჭავაძემ დააარსა ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“, რომელიც 1879 წელს ყოველთვიურ ჟურნალად გადააკეთა, ხოლო იმავე 1879 წლის ნოემბერში „დროებაში“ გამოქვეყნდა ს. მესხის წერილი – „დროებისა“ და „ივერიის“ შეერთებაზედ“. ავტორი მკითხველს აუწყებს, რომ 1880 წლის იანვრიდან ეს ორი გამოცემა გაერთიანდება და ამის აუცილებლობას ასე ხსნის: „ჩვენ არ გვყოლია ჯერ იმდენი მკითხველები, რომელთაც ორი გამოცემის კვება და რჩენა შეეძლოსთ“. ამასთანავეო, – განაგრძობს ს. მესხი, – „დავრწმუნდით, რომ „დროებისა“ და „ივერიის“ მიმართულებას შორის არ არის ისეთი შესამჩნევი განსხვავება, რომ ამ ორ გამოცემას უშლიდეს ხელი ხელში ჩავლებასა და ერთად სვლას საზოგადო მიზნის მისაღწევად და შესასრულებლად... ამ შეერთებაში

ჩვენ ვიპოვნეთ ძალა, რომელიც ღონისძიებას მოგვცემს უფრო საფუძვლიანად, უფრო რიგიანად იმ საქმის წაყვანისას, იმ უღლის გაწევისას, რომელსაც ჩვენ ორივე ცალ-ცალკე ვეჭიდებოდით და რომელიც, გამოგიტყდებით, ნელის ნაბიჯით მიგვყავდა წინ“. დასასრულ, ს. მესხი იმედს გამოთქვამს, რომ „ჩვენ ერთად, ძმურად ვიმუშავებთ და ამ მუშაობაში მოგვიმართავენ ხელს... ყველანი, ვისაც კი ახლანდელი ჩვენი ქვეყნის დაჩაგრულ ბედისათვის გული შესტკივა“.

მიუხედავად იმისა, რომ „შეერთებისა“ და „ერთად მუშაობის“ მნიშვნელობა ორივე მხარეს ესმოდა, ერთობა დიდხანს მაინც ვერ გაგრძელდა – 1882 წლიდან „დროება“ და „ივერია“ ისევ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პერიოდული გამოცემებია თავ-თავიანთი რედაქტორებით.

1883 წელს „დროების“ რედაქციისა და საცენზურო კომიტეტის ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ კომიტეტმა კავკასიის ხელისუფლების წინაშე დასვა გაზეთის რედაქტორობიდან ს. მესხის ადმინისტრაციული წესით გათავისუფლების საკითხი, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა გაზეთის არსებობას. ამას დაემატა მძიმე და განუწყვეტელი შრომით გამოწვეული ფიზიკური დაუძლურება რედაქტორისა და ს. მესხმა „დროების“ დატოვება გადაწყვიტა, საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოსამშვიდობებელ სადილზე კი წარმოთქვა სიტყვა:

„მე ულაქო, შეუმწიკვლელს პატიოსანს გაზეთს ვაბარებ ახალს რედაქციას. დღეს ავადმყოფობის, დაუძლურების გამო, საუბედუროდ, იძულებული ვარ გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნაამაგევ, საყვარელ გაზეთსა და იმის მკითხველს. ყველა გაიგებს – თუ რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე მე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილკაცობის ძალ-ღონეც, ჩემი ჭკუა-გონება და, ერთის სიტყვით, მთელი ჩემი არსება შევწირე... ორი რაიმეს თქმა თამამად შემიძლია და ამის თქმას მე, თავდაბალ კაცს, კვეხნად ვერავინ ჩამომართმევს. პირველი, რომ ერთგული ვიყავი იმ დიდი საქმის აღსრულებაში, რომელიც ვიკისრე და მეორე, რომ ბოროტ განზრახვას, კერძო, პიროვნულ რაიმე მიზანს ჩემს სალიტერატურო მოღვაწეობაში არასოდეს არ ჰქონია ადგილი და ამ განზრახვით არასოდეს არ გადამიხვევია იმ გზიდამ, რომელიც მე, ჩემის სინდისით და გაგებით, სწორ და ნამდვილ გზად მიმაჩნდა“.[5]

ს. მესხი ივანე მაჩაბელმა შეცვალა, თუმცა ამ ფაქტს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია – ილია ჭავჭავაძეს სურდა, „დროების“ რედაქტორობა გადასცემოდა ჟურნალისტსა და ლიტერატორს, ნიკოლოზ ქანანოვს (ქანანაშვილს; წერდა „დავითიშვილის“ ფსევდონიმით). ძნელია დაბეჯითებით თქმა, თუ რამ განაპირობა ილიას არჩევანი ნ. ქანანოვის სასარგებლოდ. ამ საკითხზე აზრი იყოფა:

ა) ნ. ქანანოვი შეძლებული კაცი იყო. მას შეეძლო გაზეთის ვალების გასტუმრება, სერგეი მესხის მკურნალობისათვის საჭირო თანხის გაღება და ყველა იმ ფინანსური პრობლემის მოგვარება, რომლებსაც „დროება“ მუდმივად განიცდიდა (გრ. ყიფშიძე, ო. კასრაძე).

ბ) ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორობით (აგრეთვე, საბანკო და სხვა საზოგადოებრივი საქმეებით) გადატვირთულ ილიას სურდა, „დროების“ ხელმძღვანელობა ქანანოვის ხელით განეხორციელებინა, რასაც ვერ შეძლებდა, თუ გაზეთის რედაქტორი ივ. მაჩაბელი გახდებოდა (ნ. ტაბიძე); მით უმეტეს, „ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის უთანხმოების ნიშნები მაშინაც იყო“ [დ. მესხი; მოგვიანებით, 1890-იან წლებში, ი. ჭავჭავაძესა და ივ. მაჩაბელს შორის თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდებისა და

[5] daviT kezelis TqmiT, `gazviadebuli ar iqneba mogaxsenoT, rom yvela nomerSi `droebisa~, rac ki mis redaqtorobiT gamosula, TiTo wveTia Casxmuli misi arsebiTis sisxlisa; aseT TiTo wveTad daSra, Tavs Semoevlo da mtled daedo Cvens sazogado saqmes ubeduri sergei~.

საფინანსო პოლიტიკის გარშემო გაიმართა უკომპრომისი ბრძოლა (ე. წ. „ბანკობიადა“), რომელშიც ი. ჭავჭავაძემ გაიმარჯვა და ამის შემდეგ ივ. მაჩაბელი არსებითად ჩამოშორდა არა მარტო საბანკო საქმეს, არამედ – საერთოდ საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზს].

ივ. მაჩაბლის რედაქტორობის პერიოდს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, „დროების“ რედაქტორთა ჩამონათვალი კი ამგვარია: გ. წერეთელი (1866-1869), ს. მესხი (1869-1873 და 1874-1883), კ. ლორთქიფანიძე (8.X.1873-3.X.1874), ი. ჭავჭავაძე (ს. მესხთან ერთად. 1880-1881), ი. მაჩაბელი (1883-1885).[6]

ორიოდე სიტყვა გაზეთის გამომცემლებზე...

1866-1883 წლებში „დროების“ გამომცემელი იყო (1872-1883 წლებში ს. მესხთან ერთად) გაზეთის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი სტეფანე მელიქიშვილი – ს. მესხის მეუღლის, ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილ-მესხისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის, პეტრე მელიქიშვილის, ძმა.

სტ. მელიქიშვილმა „დროებას“ შესწირა მთელი თავისი ავლადიდება. 1883 წელს, გაზეთიდან ს. მესხის წასვლის შემდეგ, მატერიალურად უკიდურესად შევიწროებულმა სტ. მელიქიშვილმა დატოვა „დროება“ და კომერციული მიზნით წავიდა შუა აზიაში, სადაც მცირეოდენ თანხას კი მოუყარა თავი, მაგრამ გაძარცვეს და, სასოწარკვეთილმა და ულუკმაპუროდ დარჩენილმა, 1887 წელს აშხაბადში მოიკლა თავი.

სტ. მელიქიშვილის შემდეგ „დროების“ გამომცემელი იყო კომერსანტი (პირველი გილდიის ვაჭარი) და ქველმოქმედი, უანგარო პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი და იმავე „საზოგადოების“ დიდი მოამაგე გიორგი ქართველიშვილი, რომელიც, გარდა „დროების“ გამოცემისა, მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ თეატრს, ინახავდა რუსეთში მყოფ ხელმოკლე ქართველ სტუდენტებს, იღვწოდა ეკლესია-მონასტრებისა თუ სხვა სიძველეების განახლება-აღდგენისათვის, ქართული სტამბის დაარსებისათვის, აფინანსებდა ქართული წიგნების გამოცემას და ა. შ.

„დროების“ პუბლიცისტიკაზე მსჯელობისას პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ გაზეთი, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, აგრძელებს და აღრმავებს ი. ჭავჭავაძის მიერ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიურ მიზნებსა და პრინციპებს: ქართველთა ეროვნული ვინაობის გამორკვევასა და აღორძინებას, ამ თემასთან დაკავშირებული ყველა საჭირბოროტო საკითხის განხილვას, საზოგადოებაში საერთო-ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, სამომავლო პერსპექტივების დასახვას, მშობლიური ენის, ისტორიის, კულტურის დაცვასა და პოპულარიზაციას, ბრძოლას სოციალური ჩაგვრისა და უთანასწორობის წინააღმდეგ, ნაციონალური იდეების გარშემო ქართველი ერის კონსოლიდაციას... 1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ ანონიმი ავტორი საგანგებოდ აღნიშნავდა: „დროების“ დაარსების... დღიდან იწყება გარკვევა ქართველი ერის ეროვნული მისწრაფებისა, საზოგადოება ეძებს ცხოვრების გზას, კავშირდება, მუშავდება საზოგადოებრივი აზრი, ყალიბდებიან ჯგუფები, იბადება ბრძოლა აზრთა და მიმართულებათა შორის. აქაა დასაბამი იმ ეროვნულ-პოლიტიკურ და სოციალურ მოთხოვნილებათა, რომელთა განხორციელებისათვის მოწადინებულია დღეს ქართველი ხალხი; აქაა ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა დღევანდელი ჩვენი საზოგადოებრივი შეგნება“.

და მთელი ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესი ემორჩილებოდა ერთ კარდინალურ მიმართულებას – „ეროვნული შენობის აგების საქმეს **ევროპიულ პრინციპების** მიხედვით“ (ა. ჯორჯაძე).

[6] ama Tu im mizeziT sxvadasxva dros mcire xniT redaqtoris movaleobas asrulebdnen an calkeuli nomrebis gamocemas xelmZRvanelobdnen: niko nikolaZe, daviT (daTa) miqelaZe, daviT mesxi, iona meunargia.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „დროების“ პუბლიცისტებს ეროვნული საკითხები ვიწროდ კი არ ჰქონდათ შემოფარგლული, არამედ ნაციონალურ პრობლემატიკას ფართო (ზოგადსაკაცობრიო) კონტექსტში განიხილავდნენ და აღიარებდნენ ნაციონალურ და ინტერნაციონალურ (საერთო-საკაცობრიო) ღირებულებათა ჰარმონიზაციისა და განუყოფლობის აუცილებლობას. ამ მხრივ საყურადღებოა ალ. ცაგარლის ვრცელი წერილი „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, რომელიც 1870 წელს გამოქვეყნდა „დროებაში“ (№№2-4, 6, 7)და რომელშიც ეს საკითხი ლიტერატურული პროცესების (ძირითადად, ი. ჭავჭავაძის შემოქმედების) ფონზეა დასმული: „ლიტერატურა უნდა იყოს **ნაციონალური**; იმ ხალხის სულისა და გულის, აზრისა და გრძნობის, ჩვეულებისა და ადათის, იმის შნოზედ და კილოზედ გამომხატველი, რომელმაც (ე. ი. ხალხმა) ეს ლიტერატურა წარმოშობა; ერთი სიტყვით, ლიტერატურაში უნდა სჩანდეს **ნამდვილი** სახე ხალხისა, რომელსაც ეკუთვნის; რამდენათაც თხზულება უფრო ნაციონალურია, იმდენათ უფრო დიდი ღირსება აქვს: **ხელოვნებაშიაც** მაღლა სდგას და **სარგებლობის** მოტანაშიაც. ამავე დროს ნამდვილ-ნაციონალური თხზულება არამთუ ცალკე ხალხს, ან კაცობრიობას არ ეკუთვნიან და არ შეეხებიან, არამედ **რომელსამე თხზულებას მაშინ ექნება კოსმოპოლიტური, საზოგადო მსოფლიო კაცობრიული ინტერესი, როდესაც ნამდვილი ნაციონალური იქნება**. არ შეიძლება დიდი კოსმოპოლიტური თხზულება იმავე დროს ნაციონალურიც არ იყოს... ნაციონალური თვისება არამთუ არ უშლის კოსმოპოლიტურ თვისებასა, არამედ უიმისოდ ეს შეუძლებელია: თხზულება, რომელსაც არავინა ჰყავს სახეში, არც არავის ეკუთვნის, და ყველას ყოლა – არყოლას უდრის“.[7]

„დროების“ პუბლიცისტთა პოზიციის მიხედვით, ღირებულებითი თვალსაზრისით ჭეშმარიტად ეროვნული (ნაციონალური) არის ის, რაც იმავდროულად ზოგადკაცობრიულიცაა (ინტერნაციონალურია). ს. მესხის შეხედულებით, „არიან ისეთი პირები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ყოველი კაცი დედამიწის და მთელი კაცობრიობის შვილია და ამის გამო კერძოთ თავის საზოგადოებაზედ კი არა, მთელი ქვეყნის (კაცობრიობის – თ. ჯ.) სიკეთეზე უნდა ზრუნავდეს, ისაო და მთელი ქვეყანა უნდა მიაჩნდეს თავის სამშობლოთაო. ეს პირები ივიწყებენ, რომ... თავის კერძო სამშობლოს სამსახურით ყოველი კაცი იმავე დროს მთელ კაცობრიობასაც და ქვეყანასაც ემსახურება...“[8]

„დროებასთან“ თანამშრომლობდა იმ დროის მეტ-ნაკლებად ცნობილი თითქმის ყველა ქართველი პუბლიცისტი (ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ივ. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი, პ. უმიკაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ა. ფურცელაძე, დიმ. ბაქრაძე, ნ. ხიზანიშვილი, ს. მგალობლიშვილი, სტ. ჭრელაშვილი, ი. მეუნარგია, ალ. ნანეიშვილი, ალ. და ი. ჭყონიები და სხვ.), მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ გაზეთის პუბლიცისტურ ხასიათსა და მიმართულებას არსებითად განსაზღვრავდნენ სერგეი მესხი და ნიკო ნიკოლაძე. ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ წერილებს სხვა თავში („ჟურნალი

---

[7] al. cagareli, iseve rogorc vaJa-fSavela Tavis cnobil werilSi `kosmopolitizmi da patriotizmi~, `kosmopolitizmSi~ gulisxmobs am terminis adrindel (erTaSoris, internacionalur) mniSvnelobas [Tanamedrove gagebiT `kosmopolitizmi~ iseTi msoflmxedvelobaa, romelic erTmaneTs upirispirebs zogadkacobriulsa da nacionalurs da am dapirispirebaSi upiratesobas zogadkacobriul interesebsa da Rirebulebebs aniWebs, xolo pirovnebas (individs) miiCnevs ara ama Tu im eris (naciis) kulturis (am sityvis farTo mniSvnelobiT) pirmSod da damcvelad, aramed _ msoflio moqalaqed].

[8] `droebis~ mier WeSmariti- da ara fsevdopatriotizmis (urapatriotizmis) popularizaciisa da sazogadoebriv SegnebaSi damkvidrebis Sesaxeb n. nikolaZes uweria: `Cven ver vxedavT masSi (`droebaSi~ _ T. j.) SexedulebaTa im siviwroves, im erovnuli Seuwynareblobis da im damyayebuli patriotizmis Crdilsac ki, romlebiTac, Cveulebrivad, gamoirCevian sxvagan amnairi sazogadoebisaTvis gankuTvnili gamocemebi~.

„კრებული“) შევეხებით, ხოლო რაც შეეხება ს. მესხს, იგი იყო „დროების“ არა მარტო რედაქტორი, არამედ ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ავტორიც.

უაღრესად საინტერესოა ს. მესხის წერილები „ოსმალოს საქართველოსთან“ დაკავშირებულ საკითხებზე. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომისა და ამ ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ საქართველოს დაუბრუნდა აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი, ოლთისი. ს. მესხი ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა და სამხედრო მოქმედებების შესახებ რედაქციას იქიდან აწვდიდა საგაზეთო მასალას. წერილში „ახლად შეძენილი საქართველო“ ს. მესხი აღნიშნავდა: „ჩვენი სამღვთო მოვალეობაა, რომ კარგათ გავიცნოთ ეს ახლად შემოერთებული ჩვენი თანამოძმეები და იმათაც გავაცნოთ ჩვენი თავი. უამისოთ ჩვენ შორის ერთობა და ნამდვილი ძმობა, ერთი ხალხის შვილობა თავის დღეში არ ჩამოვარდება. როგორი ერთის საქართველოს შვილნი, როგორი თანამოძმენი ვიქნებით, თუ ერთმანეთის ვერას გავიგებთ, თუ ერთმანეთის ჭირი და ლხინი, ბედი და უბედობა, ავი და კარგი არ გვეცოდინება? ვიმეორებთ: ჩვენს სამღვთო მოვალეობას შეადგენს, რომ ისინი გავიცნოთ და ჩვენი თავი იმათაც გავაცნოთ“.

ს. მესხი ხელისუფლებას დაბეჯითებით ურჩევდა, ყურადღებით მოკიდებოდა გამაჰმადიანებული ქართული მოსახლეობის ცხოვრების წესს; განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი სარწმუნოებრივ საკითხს ანიჭებდა და ასაბუთებდა აჭარის გამაჰმადიანებული მოსახლეობის რწმენისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების აუცილებლობას: „აუცილებლათ საჭიროა, რომ ჩვენ არ შევეხოთ ახლად-შეძენილ ქართველების სარწმუნოებას... სარწმუნოება სინდისის საქმეა, ერთობ ფრთხილად უნდა შეეხოს იმას კაცი... სარწმუნოების განსხვავება არ დააბრკოლებს, არ დაუშლის ჩვენსა და იმათ ძმობას და ერთობას“.[9]

„დროების“ პუბლიცისტთა დასაბუთებულმა გაფრთხილებამ საქმეს ვერ უშველა – რუსული ხელისუფლების ბიუროკრატიულ-მმართველობითმა სისტემამ, მოუქნელმა მართლმსაჯულებამ, რელიგიურმა შეუწყნარებლობამ, აგრეთვე, ოსმალეთიდან გადმოსული მოლების პროპაგანდამ აჭარის გამაჰმადიანებული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის

[9] sakiTxisadmi analogiuri midgoma vlindeba i. WavWavaZis mier 1877 wels (omis damTavrebamde) `iveriaSi~ gamoqveynebul werilSi `osmalos saqarTvelo~, oRond iliasTan sakiTxi ganzogadebuli da gaRrmavebulia da ukavSirdeba iseT fundamentur problemas, rogoricaa saerTo istoriis (istoriuli erTobis) ganmsazRvreli mniSvneloba erovnuli TviTSemecnebis (identobis) CamoyalibebaSi: `yoveli eri Tavisis istoriiT suldgmulobs. igia saganZe, saca eri poulobs Tavisis sulis Rones, Tvisis sulis bgeras, Tvis zneobiTs da gonebiTs aRmatebulebas, Tvis vinaobas, Tvis Tvisebas. Cvenis fiqriT, arc erToba enisa, arc erToba sarwmunoebisa da gvartomobisa ise ar SeamsWvalebs xolme adamians erTmaneTTan, rogorc erToba istoriisa~. i. WavWavaZe istoriuli eqskursis meSveobiT gamohkveTs dedasamSoblos mowyvetili `samcxe-klarjeTis~ sagangebo mniSvnelobas saqarTvelos istoriasa da qarTuli qristianuli kulturis CamoyalibebaSi. istoriuli bedukuRmarTobis gamo `osmalos qarTvelni~ moswydnen qristianul wiaRs, _ ganagrZobs avtori, _ Tumca mTavari da arsebiTi saerTo istoria da istoriuli erTobis Segnebaa da amitomac dRevandelma sarwmunoebrivma gansxvavebulobam xeli ver unda SeuSalos Cvens SeerTeba-SekavSirebas. Tavisi poziciis gasamyareblad i. WavWavaZe imowmebs qarTvelTaTvis tradiciulad damaxasiaTebel sarwmunoebriv Semwynareblobas: `qarTvelma, Tavisis sarwmunoebisaTvis jvarcmulma, icis pativi sxvis sarwmunoebisac... Cvens istoriaSi ar aris magaliTi, rom qarTvels survebiyos odesme sxvisa sarwmunoebis daCagvra da devna. somexni, ebraelni, TviT mahmadiannica, Cvens Soris mcxovrebni, amaSi Cven verafers ver wagvayvedreben. sxva qveyanaSi sarwmunoebisaTvis devnilni da Cagrulni _ aq CvenSi hpoulobdnen mSvidobis-myofels savanesa da sinidisis Tavisuflebasa~, amitomaco, `ar gvaSinebs Cven is garemoeba, rom Cvens Zmebs, osmalos saqarTveloSi mcxovrebTa, dRes mahmadianis sarwmunoeba uWiravT, oRond movides kvlav is bednieri dRe, rom Cven erTmaneTs kidev SevuerTdeT, erTmaneTi viZmoT, da qarTveli, Cvenda sasiqadulod, kvlav daumtkicebs qveyanasa, rom igi ar erCis adamianis sinidiss, da didis xnis ganSorebuls Zmas Zmuradve SeiTvisebs...~

მშობლიური ადგილებიდან აყრა და ოსმალეთის ტერიტორიაზე დაბრუნება გამოიწვია: „საშინელ სურათს წარმოადგენს თურმე ეს ხალხის გადასახლება... ესენი დედა-მიწას ჰკოცნიან, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს, რასაც კი სტოვებენ, ცხარე ცრემლის ღვრით, გულ-დამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ისე მიდიანო“ (ს. მესხი)

„დროება“ სათანადო ყურადღებას უთმობდა სოციალურ პრობლემატიკას...

მართალია, გაზეთის გამოცემის დროს ბატონყმობა იურიდიულად უკვე გაუქმებული იყო, მაგრამ არსებობდა ბატონყმური ფსიქოლოგია, სოციალურ ფენათა ისტორიული ურთიერთმიმართების ინერცია, რომელიც აფერხებდა, ერთი მხრივ, დაბალი ფენების სოციალურ და კულტურულ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივ კონსოლიდაციას. „დროების“ პუბლიცისტები ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის ძირეულ მიზეზს სწორედ ბატონყმურ ურთიერთობებში ხედავდნენ. ს. მესხის სიტყვებით, „სანამ ჩვენი თავად-აზნაურობა არ გაიგებს, რომ იმის პირდაპირი სარგებლობა მოითხოვს გლეხთან, ხალხთან შეერთებას, იმასთან ხელი-ხელ გაყრით ერთად მსვლელობას, სანამ... ჩვენ არ გავიგებთ, რომ ჩვენი ძალა ახლა ნამდვილი, ჭეშმარიტი განათლება და ერთობაა, მანამ ჩვენი ხალხი მუდამ უბედური და დაცემული ხალხი იქნება“.

„დროების“ პუბლიცისტებისათვის ცხადი იყო, რომ თავადაზნაურობამ, როგორც კლასმა, საქართველოში სახელმწიფოებრიობის მოშლის შემდეგ დაკარგა ქვეყნის მართვისა და კულტურულ-ინტელექტუალურ ღირებულებათა მთავარი შემოქმედის ფუნქცია და პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთ დასაყრდენად იქცა. აუცილებელი გახდა, საზოგადოება გამოსულიყო წოდებრივი თვითშეგნების ტყვეობიდან და თავის წიაღშივე წარმოეშვა ახალი ძალა, რომელიც გაუძღვებოდა ეროვნული თვითდამკვიდრებისა და სოციალური თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლას. ასეთ ძალად „დროების“ პუბლიცისტები (ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.) მიიჩნევდნენ ინტელიგენციას – განათლებულ, ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობით აღჭურვილ, ნაციონალური ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი ნოვატორული კულტურის შემოქმედ ახალგაზრდობას.[10]

საერთოდ, 1860-1870 წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი უმნიშვნელოვანესი და შეუქცევადი ტენდენცია იყო არისტოკრატიისა და ინტელიგენციის დიფერენცირების პროცესი, რომელიც ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“ დაიწყო, შემდეგ გაგრძელდა და მკაფიო კონტურები „დროებაში“ შეიძინა: „1863 წელს უკვე გარკვეულად მოსჩანს ახალი, კულტურული საზოგადოებრივი ჯგუფის სახე. აქედამ იწყება დიფერენციაცია თავად-აზნაურობისა, როგორც წოდებრივ ერთეულისა და ინტელიგენციისა, როგორც წოდებათა შუა მდგარ კულტურულ ძალისა... ინტელიგენცია უკვე აღარ არის თავად-აზნაურობა, არც თავისი მოქმედებით, არც თავისი მისწრაფებით“ (ა. ჯორჯაძე). აქედან მოკიდებული, უკვე ინტელიგენცია იღებს საკუთარ თავზე განათლების გავრცელებისა და ეროვნული კულტურის განვითარების გზით ქართველთა ნაციონალური თვითარსებობისა და თვითმყოფობის აღორძინება-განვითარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მისიას. **იგივე ინტელიგენცია საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამკვიდრებს ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიულ აზროვნებას**.

„დროების“ პუბლიცისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მშობლიური ენის, როგორც ეროვნული თვითშემეცნების განმსაზღვრელი ფაქტორის, ინტერესთა

[10] inteligenciis raobis Sesaxeb kidev erTxel gavimeorebT adre naTqvams (Tavi _ `saliteraturoni nawilni tfilisis uwyebaTani~): `inteligenciaSi vgulisxmobT xalxis ganaTlebul fenas, romelic xelmZRvanelobs maRali eTikur-moraluri principebiT, aqvs damoukidebeli azrovnebis unari da SeuZlia sazogadoebrivi azris formireba~.

დაცვას. ამ მხრივ საინტერესოა მწვავე პოლემიკა, რომელიც მოჰყვა სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებული დიდმოხელის (სხვათა შორის, ქართული სამეფო ოჯახის შთამომავლის – ქეთევან ბატონიშვილის შვილიშვილის) გიორგი მუხრანბატონის თხზულებას „О существе национальной индивидуальности и об образовательном значений крупных народных единиц“ („ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი სახალხო ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“). ეს წიგნაკი 1872 წელს დაიბეჭდა თბილისში (გაზეთ „კავკაზის“ დამატებად), ხოლო 1873 წელს გამოიცა პეტერბურგში, მოგვიანებით კი – 1877 წელს – პარიზში მისი ფრანგული თარგმანიც გამოქვეყნდა. ავტორი ამტკიცებდა გაბატონებულ ერებში მცირერიცხოვან ერთა სრული შერწყმა-ასიმილაციის კანონზომიერებასა და პროგრესულობას: „ის ხალხები, რომლებმაც აქამდე შეინარჩუნეს საკუთარი ტერიტორია და ენა, თავისი მცირერიცხოვნობის გამო მაინც განწირულნი არიან და ისინი სხვა, უფრო ძლიერი ხალხების, შემადგენელ ნაწილებად უნდა გადაიქცნენ... მცირე ხალხები ვერ შეძლებენ სრულყოფილი სახელმწიფო ორგანიზმის შექმნას, თავისი მშობლიური ენით ვერ შეიმეცნებენ საკაცობრიო ცივილიზაციის სიკეთეს... მსხვილ ეროვნულ ერთეულებში მცირერიცხოვანი ხალხის შერწყმა აუცილებელი და გარდაუვალი კანონზომიერებაა...“ და ა. შ.

გ. მუხრანბატონის თხზულებას ქართველ მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, გაბრიელ ეპისკოპოსი, პ. უმიკაშვილი და სხვ.) უმწვავესი რეაქცია მოჰყვა [მათ შორის, ლექსებითაც: ი. ჭავჭავაძის „რჩევა“, ა. წერეთლის „ენების გასამართლება“... გ. მუხრანბატონი იგულისხმება ი. ჭავჭავაძის ლექსში „პასუხის პასუხი“: „პირველ თქვენგანმა / იმა ბედშავმა / მას (ქართულ ენას – თ. ჯ.) მკვდრის სუდარი გადააფარა“].[11]

მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მმართველობისას ქართული ენის ინტერესები საქართველოს ყველა სასწავლო დაწესებულებაში დაცული იყო. ვორონცოვის წასვლის შემდეგ კი ვითარება თანდათანობით შეიცვალა – დაიწყო სასწავლებლებში ქართული ენის შევიწროება და ეს პროცესი დასრულდა იმით, რომ 1873 წლის 22 ნოემბრის სპეციალური დებულებით ქართულის სწავლება მხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში დარჩა და ისიც არასავალდებულო საგნად. ვითარება უკიდურესად მას შემდეგ დაიძაბა, რაც 1878 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად (მმართველად) დაინიშნა რუსიფიკატორი კირილე იანოვსკი, რომელიც მიიჩნევდა, რომ „კავკასიის ხალხები და ტომები უვიცი და უმეცარნი არიან, რომელთა შორის რუსულმა სკოლამ უნდა განამტკიცოს რუსული ცივილიზაცია, ე. ი. აღმოფხვრას ადგილობრივ ხალხთა ეროვნული სახე, გადააგვაროს ის“ (ტ. ხუნდაძე). ამასთანავე, კ. იანოვსკი ამტკიცებდა – მეგრელები და სვანები ქართველები არ არიანო და მოითხოვდა სამეგრელოს სკოლებში მშობლიურ ენად მეგრულის შემოღებას. კ. იანოვსკის ანტიქართული და ანტიპედაგოგიური

[11] safuZvlianobiTa da polemikuri kulturiT gamoirCeva gabriel imereTis episkoposis (qiqoZis) `pasuxi giorgi muxran-batonis werilze~: `Seni Teoriis Tavsakiduri azri es aris: `saxelmwifo aris da unda iyos erTi organizmi. erT organizms erTi suli unda qondes. ena sulia organizmisa. maSasadame, erTi ena unda iyos saxelmwifoSi. winaaRmdeg SemTxvevaSi, saxelmwifo (igulisxmeba mravaleTnikuri da mravalenovani imperia _ T. j.) ar iqneba magari da mkvidri~. es azri Teorikulia... praqtika, gamocdileba amtkicebs Tu ara am Sens Teorias?.. Teoria gamocdilebaze unda iyos damyarebuli, faqtebisgan unda iyos gamoyvanili da ara ukuRma, e. i. faqtebi Teoriidgan ar gamoiyvaneba... istoria, marTalia, axsenebs mravalTa TeslTa (gvartomobas, modgmas _ T. j.) da enaTa, romelnic TiTqmis ganqardnen istoriuli asparezidan, magram ra iyo amis mizezi? Zaladoba, mtrisagan Seviwroeba, iZuleba, amowyveta!.. xalxis individualobis umTavresi elementi aris ena... mcire xalxi _ moklebuli Tavis enasa _ iqneba moklebuli yoveli individualuri xasiaTis TvisebaTa da usargeblo iqneba TavisaTvisac da sxvisTvisac, rogorc kerZo piri, ara mqoni TviTmdgomareobisa (pirovnuli individualizmisa _ T. j.) verafer keTil da sasargeblo saqmes ver iqms~.

საგანმანათლებლო პოლიტიკა ქართველ მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, დიმ. ყიფიანი და სხვ.) უმწვავესი კრიტიკის საგნად იქცა.

აქ მხედველობაში მისაღებია ის არსებითი მნიშვნელობის გარემოებაც, რომ პოლემიკა მიმდინარეობდა უმკაცრეს საცენზურო პირობებში და, ამ მხრივ, საგულისხმოა, მაგალითად ის, რომ ი. ჭავჭავაძის წერილს „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“ დართული აქვს სარედაქციო მინაწერი: „ამ წერილის ბოლო ჩვენდა უნებურად მოწყვეტილია“.

გაზეთმა „დროებამ“ გააგრძელა, განავითარა და გააღრმავა წინამორბედ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაწყებული ტრადიცია განათლების საგანგებო მნიშვნელობის აღიარების შესახებ.[12] ამასთანავე, „დროების“ პუბლიცისტთა მიერ საკითხი დაკონკრეტებულია და ორიენტაცია მაინცდამაინც განათლების ევროპულ მოდელებსა და გამოცდილებაზეა აღებული, რაც ზოგადად ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის ევროპეიზაციის კონტექსტშია დასმული და განხილული. ს. მესხის თვალსაზრისით, „ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატების წყარო ჯერჯერობით დასავლეთი ევროპა არის. ყველა ხალხი და მათ შორის რუსებიც ამ წყაროს ეწაფებიან და აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელი და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოთ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგათ და ჭეშმარიტათ გაუცვნია. გაუნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებას მხოლოთ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპულ სწავლა-მეცნიერებაში განვითარებულია და თავის თვალით უნახავს და შეუსწავლია სიღარიბის მომსპობელი და კეთილ-დღეობის მომნიჭებელი სახსრები... ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ დასავლეთი ევროპის ცხოვრების წაბაძვა და იქიდან პირდაპირ მეცნიერების გადმოტანა ათას წილათ უკეთესი არ იქნება ჩვენთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდან? განა ყოველთვის იმ წყაროს წყალი არ სჯობია, რომელიც პირდაპირ მიწიდან ამოჩუხჩუხებს?..“[13]

---

[12] sagulisxmoa (mkafiod gamoxatuli tendenciis maCvenebelia) `droebis~ erTi Cveulebrivi mkiTxvelis, vaWar sv. cercvaZis, sityva _ warmoTqmuli s. mesxis dakrZalvaze: `bevrma CvenTaganma mxolod maSin dainaxa Tavisi Tavi qveynis sarkeSi, mxolod maSin gaicno Tavisi vinaoba, rodesac Sen gazeTi gagvacan. bevrni CvenTaganni, romelnic CxiriT Zlivs arCevdnen nawers asoebs, axla, rodesac Seayvare Seni gazeTi da yuri adevnes Sens wvrTnas da qadagebas, _ Seiqmnen gamocdilni da Segnebulni mamulis-Svilni. bevrma Cvenis samSoblo saqarTvelos kuTxeebic ki ar vicodiT rigianad; exla ki, Senis gazeTis meoxebiT, vicnobT ara Tu Cvens samSoblos, aramed mTels qveyanas (msoflios _ T. j.) kidiT kidemde... Sen Cahyare pirvelad Senis gazeTis saSualebiT Cvens gulSi saZirkveli swavla-ganaTlebis survilisa, da Sen gamogvadgmevine pirveli nabiji bnelis burusidan... Senma amodena Tavganwirulma Sromam amaod ar Caiara da sinaTle mohfina Cvenis cxovrebis gzasa... ase sruldeba neba Semoqmedisa!~. imis sailustraciod, Tu rogori imediTa da sasoebiT Sehyurebda Cveulebrivi mkiTxveli `droebas~, davimowmebT `qobuleTeli soflis samebis mcxovrebi gulai kaikaciSvilis~ werils s. mesxisadmi: `Tqveno keTilSobilebav, Ziav, qarTvelo megazeTev! me minda, Ziav, Segatyobino Cveni qobuleTis ambavi, mara qarTuli wera pawias meti ar vici da igic, Ziav, bebiam maswavla pawaobas da meSinia, rom kargaT ver migaxTino... qobuleTSi wera ar viciT, kiTxva, klasi ar gvaq, gzai ar gvaq, xeloba (zanaTi) ar viciT, arc vinme gvaswavlis... Cveni axali kaimakami jer veraferi samarTali eqceva, Ziav; qe zis odaSi qalaqSi, miswers xondi xan ixtar-mejliSis (mamasaxlisi); magram ara kacis brZaneba eyurebian, Ziav, da samarTali aRar gvaqv... ase Sewuxebuli varT; gexvewebi, Ziav, agi Cemi sityva kargaT gaakeTe da Sens gazeTSi Caswere, Cemo Ziav batono~ (`droeba~, 1875, #43).

[13] qarTuli sazogadoebriv-kulturuli cxovrebis evropeizaciis sasicocxlo mniSvnelobis Sesaxeb Zveli da axali Taobebis (`mamebisa~ da `Svilebis~) pozicia arsebiTad unisonSi iyo da amis dasadastureblad aq mxolod oriod magaliTs davimowmebT _ dim. yifians uweria: `Cven vxedavT, rogoraTac evropielebs uyvarsT TavianTi mSobeli mamuli da cdiloben miss amaRlebisaTvis, ZlierebisaTvis da didebisaTvis... yovelive mzaTa gvaqvs _ evropielebisagan mofiqrebuli, gakeTebuli da saqmeSi Semotanili. CvenRa... gvrCeba

„დროებამ“ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო საზოგადოებრივ ინიციატივებზე დაფუძნებული ნაციონალური მნიშვნელობისა და მიზანდასახულობის ორგანიზაცია-დაწესებულებათა დაარსების საქმეს („თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „ქართული დრამატიული საზოგადოება“...). გაზეთი პერმანენტულად ეწეოდა ამა თუ იმ იდეისა თუ განზრახულების პოპულარიზაციას, სისტემატურად აშუქებდა საკითხთან დაკავშირებულ ფაქტებსა თუ მოვლენებს და ამით ქმნიდა იმ საზოგადოებრივ აზრსა და განწყობას, რომლის გარეშეც ვერც ერთი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ორგანიზაცია-დაწესებულება ვერ დაარსდებოდა, მით უმეტეს, პრაქტიკულად ვერ განახორციელებდა თავის მიზნებსა და ამოცანებს. ხოლო იმის მაგალითად, თუ რა როლი და მნიშვნელობა ენიჭებოდა ამა თუ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და მის საქმიანობას ეროვნულ ცხოვრებაში, შეიძლება დავასახელოთ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

იდეა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსებისა 1860-იან წლებში (საგლეხო რეფორმის პერიოდში) დაებადა დიმიტრი ყიფიანს. „ბატონყმობის მოსპობამ ფართო გასაქანი მისცა კაპიტალიზმის განვითარების საქმეს საქართველოში“ (ს. ხუნდაძე) და ამით მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა ახალი პირობებისათვის სრულიად მოუმზადებელ ქართველ თავადაზნაურობას, რომელიც დიმ. ყიფიანს „ერის ქვაკუთხედად და მის მეთაურად“ (ს. ხუნდაძე) მიაჩნდა. დიმ. ყიფიანის აზრით, ქართველ თავადაზნაურობას უნდა გადაედო იმ ფულის მეხუთედი, რომელსაც სახელმწიფოსაგან ყმების გათავისუფლების საკომპენსაციოდ მიიღებდა და ამ ფულით დაეარსებინა საზოგადოებრივი ბანკი. სწორედ ამ ტიპის ბანკს უნდა ეხსნა ქართველი არისტოკრატია მატერიალური გაჩანაგებისაგან. ამასთანავე, ბანკის მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ახალგაზრდობის განათლებას უნდა მოხმარებოდა. დიმ. ყიფიანმა სპეციალური სიტყვით მიმართა თანამემამულეებს და ეს სიტყვა ჟურნალ „ცისკარშიც“ (1864, №11) გამოაქვეყნა:

„მოგმართავთ ჩვენის საზოგადოობის წევრთა, რომელთაც შეგიძლიანთ ნათელის გონიერებითაც ცხადად დაინახოთ და განწმენდილის გულითაც კარგად ასწონოთ, ვის რა ვალდებულება გაძევსთ წინაშე ღვთისა, ან რა პასუხის გამცემნი უნდა იყვნეთ თქვენის შვილებისა, თქვენის საზოგადოობისა და ქვეყნის წინაშე, თუ დღევანდელი ნიჭი უნაყოფოთ მოიხმარეთ. მე ამას არასოდეს არ გეტყვით, რომ რასაც ფულს მოელით, სულ თქვენს შთამომავლობას შეუნახოთ... მე მხოლოდ ამას გირჩევთ, გთხოვთ და გევედრებით, რომ ერთი მეხუთედი მაინც გადასდვათ, საკუთრად თქვენთვისვე, სახვალიოდ და თქვენის შვილების, შვილისშვილებისა და უშორესის შთამომავლობისათვის... გთხოვთ კარგად დაუფიქრდეთ ამას, რაოდენ შეიმსუბუქებთ თქვენს მამობრივს ვალდებულებასა და რაოდენ ხელს მოუმართავთ მრთელის საზოგადოობის განათლებასა! **ხომ კარგად იცით, რომ დღეიდამ განათლებაღა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი**“.

მიუხედავად თავადაზნაურობის არაერთი გავლენიანი წევრის წინააღმდეგობისა, დიმ. ყიფიანმა მოახერხა საზოგადოების დარწმუნება ახალი ინიციატივის სიკეთეში, მისივე ხელმძღვანელობით შემუშავდა ბანკის პროექტი, რომელიც რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ არ დაამტკიცა. ამის შემდეგ მეთაურობა იკისრა ქართველ მოღვაწეთა მიერ ამ საქმისათვის დუშეთიდან ჩამოყვანილმა ი. ჭავჭავაძემ, რომელმაც ურთულესი დაბრკოლებების გადალახვით 1875 წელს წარმატებით დააგვირგვინა სათავადაზნაურო-

---

mxoloT, rom es mzaT SemuSavebuli miviTvisoT Cven sasargeblod~ (`Cveni nacarqeqiebi~). mxurvale da Tanamimdevruli evropeisti iyo agreTve al. orbeliani: `evropa aris lampari mTeli qveynisa, ganmanaTlebeli kacis gonebisa, mecniereba moswavleTa, sibrZne gamgeTa, da sikeTile kacobriobisa~ (`qarTvelebis Zveli dro gadmosuli axlad~).

საადგილმამულო ბანკის დაფუძნების ინიციატივა, თვითონვე ჩაუდგა მას სათავეში, ჩამოაყალიბა ახალი საბანკო პოლიტიკა და დროთა განმავლობაში ბანკი ეროვნული მიზანდასახულობისა და მასშტაბის საკრედიტო და საქველმოქმედო დაწესებულებად აქცია.

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი მამულის მფლობელებზე გასცემდა სესხს, რომელიც მსესხებელს მეურნეობის გასაუმჯობესებლად უნდა გამოეყენებინა და მიწა შემოსავლის წყაროდ ექცია. დათქმულ ვადაში ვალის გაუსტუმრებლობის შემთხვევაში კი მას დაგირავებული მამული საჯარო ვაჭრობის წესით ეყიდებოდა. ბანკის შემოსავლის მხოლოდ „მცირე ნაწილი იხარჯებოდა აპარატის შენახვასა და წარმომადგენლობაზე, დანარჩენი კი ხმარდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმეს“ (გ. ლასხიშვილი) – გარდა მეურნეობრიობის აღორძინებისათვის აუცილებელი ღონისძიებებისა, ბანკი აფინანსებდა ქართულ გიმნაზიას, სხვადასხვა ტიპის სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დახმარებას უწევდა ქართულ თეატრს, „ქშწ-კგ საზოგადოებას“, სტიპენდიებს უნიშნავდა რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტობას და ა. შ.; ასე რომ, ათეული წლების განმავლობაში თბილისის საადგილმამულო ბანკი (ისევე როგორც 1876 წელს დაარსებული ქუთაისის საადგილმამულო ბანკი) იყო ქართველი ხალხის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების მასაზრდოებელი დაწესებულება და განმათავისუფლებელი იდეების ფინანსური საყრდენი. ამასთანავე, **ი. ჭავჭავაძემ ბანკს გამოაცალა კლასობრივი (თავადაზნაურული) ხასიათი და იგი მთლიანად ქართველი ერის სამსახურში ჩააყენა.**

ი. ჭავჭავაძის საბანკო-საკრედიტო პოლიტიკამ საზოგადოებაში იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია – ილიას გამოუჩნდნენ კრიტიკოსები (ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ა. წერეთელი, დიმ. ყიფიანი და სხვ.), ხოლო 1890-იან წლებში ი. ჭავჭავაძის მოწინააღმდეგე ბანაკს სათავეში ჩაუდგა ივ. მაჩაბელი, ამის შემდეგ პოლემიკა გასცდა მოღვაწეთა ვიწრო წრეს, თანდათანობით მწვავე საზოგადოებრივ დაპირისპირებაში გადაიზარდა და სერიოზული დარტყმა მიაყენა საზოგადოებრივი კონსოლიდაციის პროცესს.[14]

დაპირისპირება საკითხთა საკმაოდ ფართო წრეს მოიცავდა და, მათ შორის, დაგირავებული მამულის გაყიდვა-გაუყიდველობის საკითხსაც. კერძოდ, ილიას მოწინააღმდეგეები იმ არგუმენტს იყენებდნენ, რომ ქართველ მემამულეთა ნაწილი ბანკში დაგირავებული მამულის გამოსყიდვას ვერ ახერხებდა, მამული, როგორც ითქვა, საჯარო ვაჭრობის წესით იყიდებოდა, მას უმეტეს შემთხვევაში არაქართველები (ძირითადად მატერიალურად დაწინაურებული სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლები) ეუფლებოდნენ და, ამდენად, თანდათანობით მიწა არაქართველთა ხელში გადადიოდა. ეს კი არა მარტო თავადაზნაურობას, არამედ გლეხობასაც ართმევდა საარსებო ნიადაგს და ბიძგს აძლევდა მის პროლეტარიზაციას. თავის მხრივ, ი. ჭავჭავაძე ამტკიცებდა – საბანკო საქმეს თავისი წეს-კანონები აქვს, ამ, თუნდაც ულმობელ, წეს-კანონთა დარღვევა ბანკს გააკოტრებს და, შესაბამისად, ქართველებს ხელიდან გამოეცლებათ მეურნეობრიობის აღორძინებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების განვითარებისათვის აუცილებელი ფინანსურ-ეკონომიკური დასაყრდენი. ილიას აზრით, „მამულების გაუსყიდველობა ბანკის საქმეში

[14] am ukanasknelma garemoebam sakiTxis zogierTi mkvlevari bankis saqmianobis negatiur Sefasebamdec ki miiyvana. ase, magaliTad, a. jorjaZis TvalsazrisiT, `Zalian samwuxaroa, rom ilia WavWavaZis Wkua, codna-gamocdileba, mWevr-metyveleba, mxneoba `patara saqmeSi~ (sabanko saqmeSi _ T. j.) daiqsaqsa da STainTqa. amodena sulieri Zala rom moxmareboda Cvens davrdomil ers, Cveni avtoris (ilia WavWavaZis _ T. j.) momdevno Taobis erT nawilSi aRar daibadeboda uimedo wuxili da sasowarkveTileba da is mavTuli, romelic exla Sewyvetilia axal da Zvel Taobas Soris, gabmuli iqneboda, Cveni Zal-Rone gaerTianebuli, Cveni moqmedeba _ SeTanxmebuli~.

სიზმარია და ეგ სიზმარი, მართალია, სანატრელი და სასურველია, მაგრამ მაინც სიზმარია და ოცნება; ნეტარ არიან მორწმუნენი და ჩვენ კი განსაკუთრებულ შემთხვევაში მაგ ნეტარებას გამოკლებულნი ვართ“ (უნდა ითქვას, რომ მემამულეთა უმეტესობა მაინც ახერხებდა ბანკიდან აღებული სესხის მიზანმიმართულად გამოყენებას, მამულს ფეხზე აყენებდა, ხშირ შემთხვევაში, აქცევდა მას შემოსავლის წყაროდ და ყოველივე ამით საადგილმამულო ბანკმა ახალი დროის მოთხოვნილებათა წინაშე მდგარი დაბნეული და გაღარიბებული ქართველი თავადაზნაურობა იხსნა მამულების **მასობრივი** გაყიდვისაგან).

ასე იყო თუ ისე, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი ათეული წლების განმავლობაში იყო ქართველთა სამეურნეო-ეკონომიკური განვითარებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ძირითადი მასაზრდოებელი წყარო, 1918 წელს კი ბანკის ქონება გადაეცა საქართველოს ეროვნულ საბჭოს და „სწორედ ეს დაედვა საფუძვლად ჩვენს დამოუკიდებლობას“ (გრ. ურატაძე).

რაც შეეხება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, იდეა მისი დაარსებისა ჩაისახა იოსებ მამაცაშვილის კულტურულ-სალიტერატურო წრეში, რომელშიც შედიოდნენ თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეები: ი. გოგებაშვილი, ვ. თულაშვილი, დიმ. ბაქრაძე, ნ. ცხვედაძე და სხვ.; მოგვიანებით მათ საქმის მეთაურობა სთხოვეს დიმ. ყიფიანს, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩამოყალიბდა „საზოგადოების“ მიზნები, ამოცანები, დაიწერა წესდება და ა. შ.; 1879 წლის 15 მაისს შედგა „საზოგადოების“ დამფუძნებელი სხდომა, რომელზეც თავმჯდომარედ აირჩიეს დიმ. ყიფიანი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) – ი. ჭავჭავაძე.

1882-1885 წლებში „ქშწ-კგ საზოგადოებას“ ხელმძღვანელობდა ივანე მუხრანბატონი, 1885 წელს კი „საზოგადოებას“ სათავეში ჩაუდგა ი. ჭავჭავაძე და გადააქცია იგი უპირველეს ეროვნულ დაწესებულებად, „ჩვენს ეროვნულ თავშესაფრად“, როგორც მას ქართველი მოღვაწეები უწოდებდნენ. ათეული წლების განმავლობაში „სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის“ მატერიალური ხელშეწყობით „ქშწ-კგ საზოგადოება“ ხელმძღვანელობდა საქართველოში (და მის ფარგლებს გარეთაც: ვლადიკავკაზი, მოზდოკი, ბაქო...) ქართული სკოლების გახსნას, აარსებდა ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს, მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ თეატრს, ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის წიგნებსა და სახელმძღვანელოებს, ზრუნავდა ქართული მწერლობისა და მეცნიერების განვითარებაზე, ხელოვნებაზე (მუსიკა, მხატვრობა...), ხელს უწყობდა ზეპირსიტყვიერების შეკრებას, გამოქვეყნებასა და შესწავლას, ქმნიდა ძველი ქართული ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების უძვირფასეს კოლექციებს, იცავდა მატერიალური კულტურის ძეგლებს, სტიპენდიებს უნიშნავდა რუსეთისა და ევროპის უმაღლესი სასწავლებლების ქართველ სტუდენტობას, საგანგებოდ ზრუნავდა ახალშემოერთებული აჭარის მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მეშვეობით ეროვნული თვითშეგნების აღორძინებაზე და ა. შ.; „დროება“ კი, თავის მხრივ, ვრცლად და სისტემატურად აშუქებდა „ქშწ-კგ საზოგადოების“ ყოველ ნაბიჯს და ამით უქმნიდა ეფექტური და ნაყოფიერი მუშაობისათვის აუცილებელ საზოგადოებრივ გარემოს. გიორგი თუმანიშვილის მართებული შენიშვნით – „დროება“ იყო ის ცენტრი, რომლის გარშემოც ტრიალებდა ყველა საზოგადო საქმე საქართველოში“.

„დროების“ გამახვილებული ყურადღების საგანი იყო ქართული თეატრი. ეს ბუნებრივიცაა იმდენად, რამდენადაც თეატრს ჩვენი მოღვაწეები ანიჭებდნენ არა მარტო კულტურულ-ესთეტიკურ, არამედ პატრიოტულ-საგანმანათლებლო დანიშნულებასაც და არსებითად თეატრი XIX საუკუნის საქართველოში იყო კიდევაც ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბებისა და პოპულარიზაციის დიდად მნიშვნელოვანი კერა. „დროების“ პირველი რედაქტორი გ. წერეთელი თეატრს უწოდებდა „ეროვნულ ტაძარს“. ი. ჭავჭავაძეს ამგვარად ჰქონდა წარმოდგენილი თეატრის როლი და ადგილი ქართველთა ეროვნულ ცხოვრებაში:

„ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი – რომ მართლა გამწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე – იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა...“; ა. წერეთლის შეხედულებით კი, „თეატრის წყალობით შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი წარსული, დავინახოთ აწმყო და წარმოვიდგინოთ მომავალი“.

„დროების“ მიერ თეატრალური ხელოვნების მიზანმიმართული და პერმანენტული პოპულარიზაცია არსებითი მნიშვნელობის ფაქტორად იქცა მთელი საქართველოს მასშტაბით – წარმოდგენები იმართებოდა არა მარტო თბილისში, ქუთაისსა და სხვა შედარებით დიდ ქალაქებში (გორი, თელავი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ახალციხე, ცხინვალი და სხვ.), არამედ პატარ-პატარა სამაზრო ქალაქებსა (სიღნაღი, ხონი, საჩხერე, ფოთი, სენაკი და სხვ.) და კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრებს დაშორებულ სოფლებშიც კი (ენისელი, კარდანახი, სურამი, ქვიშხეთი, ქვემო ჭალა, გორის მაზრის სოფ. ახალქალაქი, წევა, დიდი ჯიხაიში, კულაში, სუჯუნა, ნიგოითი, ლეჩხუმის სოფ. ორბელი და სხვ.). ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ საქართველოში შექსპირის პირველი სცენური წარმოდგენა განხორციელდა არა რომელიმე თეატრალურ ცენტრში, არამედ სამეგრელოს სოფ. ბანძაში, სადაც 1873 წელს სცენისმოყვარე ალ. იოსელიანის ინიციატივით დაიდგა შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“.

განსაცვიფრებელი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია დავით ერისთავის მიერ ფრანგი მწერლის, ვიქტორიენ სარდუს, ისტორიული დრამის („ ატრიე“) გადმოქართულებულმა ვერსიამ – „სამშობლომ“, რომელიც თბილისში დაიდგა 1882 წელს (რეჟისორი მიხ. ბებუთოვი). სპექტაკლმა საზოგადოებაში პატრიოტული გრძნობების ნამდვილი აფეთქება გამოიწვია და „არა თუ თეატრი დააყენა ცოტად თუ ბევრად ფეხზედ, არამედ თვით საზოგადოებაც გამოაფხიზლა და რამდენისამე საფეხურით მაღლა ასწია მისი ეროვნული ცნობიერება, მისი გრძნობა მამულისმოყვარეობისა“ (ი. ჭავჭავაძე). ი. მეუნარგიას სიტყვებით, „სამშობლო“ იმითაა განსხვავებული ყველა სხვა დრამატიული თხზულებიდან, რომ ამ დრამამ დაამთავრა ის პატრიოტული აღზრდა ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც „დროებამ“ დაიწყო და „დედა-ენამ“ ვერ მოათავა“.

„დროება“ მკითხველს სისტემატურად აწვდიდა ცნობებს დ. ერისთავის მიერ პიესის თარგმნა-გადმოკეთების, რეპერტუარში მისი შეტანის, რეპეტიციების, ტრიუმფული პრემიერის, საქართველოს ქალაქებში (ქუთაისი, ბათუმი, ფოთი...) სპექტაკლის ჩვენებისა და სხვა ფაქტებსა თუ გარემოებებზე და ეს ყველაფერი ისე იყო წარმოდგენილი, რომ მომხდარიყო საზოგადოების მაქსიმალური ფოკუსირება სპექტაკლის პატრიოტულ სულისკვეთებასა და მიზანდასახულობაზე [სხვათა შორის, ი. მეუნარგია დ. ერისთავის „სამშობლოზე“ მსჯელობის შემდეგ დასძენს: „რომ მამული და სამშობლო უნდა უყვარდეს კაცს, ამას თითო წვეთით „დროების“ ყოველ ნომერში შესვამდა მკითხველი. მახსოვს 1881 წ., როცა აბასთუმნიდან მოვდიოდი ქალაქს, მიხაილოვის (ხაშურის – თ. ჯ.) სადგურზე ერთი მოსამსახურე – „დროების“ მკითხველი – კატლეთი რომ დამიდგა წინ, დაბალი ხმით ჩამელაპარაკა: – მამულისთვის სასარგებლო რამე გააკეთე?“].

ცალკე საუბრის თემაა „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მხატვრული ლიტერატურა (ორიგინალური, ნათარგმნი) და კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები. მიმდინარე ლიტერატურული პროცესების სისტემური კვლევის საქმეში „დროების“ დამსახურება განუზომელია. ძნელია დასახელება იმდროინდელ საქართველოში ლიტერატურული ინტერესების მქონე მეტ-ნაკლებად ცნობილი პირისა, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღო გაზეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში. აქ აქვეყნებდნენ მხატვრულ თხზულებებს: ვ. ორბელიანი, რ. ერისთავი, მ. გურიელი, გ. შარვაშიძე, ა.

წერეთელი,[15] გ. წერეთელი, ა. ფურცელაძე, ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, გ. ჭალადიდელი და სხვ.; „დროებაში“ ჩამოყალიბდა ალ. ყაზბეგი როგორც თვალსაჩინო მწერალი და აქვე დაიბეჭდა მისი შესანიშნავი პროზის უმეტესი ნაწილი („ელგუჯა“, „ხევისბერი გოჩა“, „მამის მკვლელი“, „ციცკა“, „ნამწყემსარის მოგონება“ და სხვ.). რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, მას „დროებაში“ ორიოდე მხატვრული თხზულება აქვს გამოქვეყნებული (ლექსი „რჩევა“, პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, პიესა „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“), რაც იმ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ილია კარგა ხანს გარიდებული იყო საზოგადოებრივ-სალიტერატურო ასპარეზს, ხოლო 1870-იანი წლებიდან თავის მხატვრულ თხზულებებს ძირითადად ჯერ ჟურნალ „კრებულში“ აქვეყნებდა, ხოლო შემდეგ – საკუთარ „ივერიაში“. „დროებაში“ გამოქვეყნდა ჯ. ბოკაჩოს, ჯ. ლეოპარდის, მოლიერის, ფ. შილერის, ჯ. ბაირონის, ჰ. ჰაინეს, ა. დოდეს, ვ. ჰიუგოს, გი დე მოპასანის, ნ. გოგოლისა და სხვ. თხზულებათა თარგმანები.

ლიტერატურული კრიტიკის მიმართულებით (ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ა. წერეთელი, ალ. ცაგარელი, პ. უმიკაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ნიკ. ყიფიანი და სხვ.) „დროება“ აგრძელებს და ავითარებს ივ. კერესელიძის „ცისკარსა“ და ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“ აღძრულ პრობლემატიკას: ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების დასაბუთება, ეროვნული თემატიკის ასახვა და მხატვრული ფორმებით დამუშავება, მთარგმნელობითი პრინციპების შემუშავება, სალიტერატურო ენის განვითარება, მისი შემდგომი დემოკრატიზაცია და სხვ.; უნდა ითქვას, რომ „დროების“ სალიტერატურო კრიტიკას მკაფიოდ ატყვია პუბლიცისტური აზროვნების კვალი, რაც, პირველ რიგში, ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების აღიარებითაა განპირობებული.

„დროებაში“ სისტემური სახე მიიღო ქართული მეცნიერული აზროვნების აღორძინების პროცესმა. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს ისტორიის ამსახველ მასალას (დიმ. ბაქრაძე, დიმ. ჯანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ალ. ცაგარელი, ივ. გვარამაძე, ი. მეუნარგია, ზ. ჭიჭინაძე სხვ.). „დროების“ ავტორებისთვის ისტორიის შესწავლას ჰქონდა არა მხოლოდ

[15] akaki wereTels rTuli urTierToba hqonda `droebasTan~. 1868 wels akakim gamoaqveyna werili `pirveli da ukanaskneli sityva `droebisadmi~ da amiT demonstraciulad Sewyvita `droebasTan~ TanamSromloba, Tumca maleve daubrunda gazeTs. 1873 wels, rodesac s. mesxi sazRvargareT gaemgzavra, akakis konfliqti mouvida k. lorTqifaniZesa da n. nikolaZesTan da isev Sewyvita gazeTTan TanamSromloba. s. mesxis dabrunebis Semdeg a. wereTelic daubrunda `droebas~, Tumca amis Semdegac xSiri iyo Setakebebi `droebis~ redaqtorsa da Wirveul avtors Soris. amis Taobaze s. mesxi cols, ekaterine (keke) meliqiSvils, swers: `ra rom akaki aq aris da gazeTisaTvis Sromobs, es mgoni mexuTed aris, rom raRac ubralo mizezs monaxavs da gamomicxadebs, rom yvelafers Tavi unda davanebovo, gazeTSiac araviTar monawileobas aRar miviRebo da sazogadoT yvela sazogado saqmeebs da literaturas veTxovebio. Sen ver warmoidgen, ramden wvalebaT miRirs me amis TanamSromloba! ise unda vefero, ise unda movepyro xolme mudam, rogorc ZuZumwovar bavSvs, romelsac ufrTxildebian _ anCxloba ar daiwyos~. arada, a. wereTlis leqsebisa da publicisturi werilebis (gansakuTrebiT, `cxel-cxeli ambebis~) gareSe `droeba~ mkiTxvelis TvalSi gaRaribdeboda da amitomac gazeTis mesveurebi moTminebiT itandnen akakis yvela axirebas (imave werilSi s. mesxi swers ek. meliqiSvils: `yvelaze ufro Zvirfasi gazeTisaTvis _ akakia~). Tavis mxriv, akakim, yvelafris miuxedavad, sicocxlis bolomde SeinarCuna Rrma da gulwrfeli pativiscema sergei mesxisa da misi fasdaudebeli Rvawlisadmi.

მეცნიერული მნიშვნელობა, არამედ პატრიოტული მიზანდასახულობაც – ეროვნული ნიჰილიზმის აღმოფხვრა, თანამემამულეების დარწმუნება იმაში, რომ ისინი შთამბეჭდავი პოლიტიკური, რელიგიური, კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრეები არიან. ეს კი, თავის მხრივ, ეფექტური საშუალება იყო ქართველთა საერთო-ეროვნული თვითშემეცნების ჩამოყალიბების, ისტორიული ერთობის იდეის შემუშავებისა და ამ იდეის გარშემო კონსოლიდაციისათვის.

ძველი ქართული ხელნაწერი ტექსტების მოძიებას, აღნუსხვა-სისტემატიზაციასა და პუბლიკაციას, რაც მთავარია, მათს სისტემურ და მიზანმიმართულ შესწავლას „დროებაში“ ჩაეყარა საფუძველი. მართალია, მანამდეც გვაქვს ძველი ქართული ტექსტების პერიოდულ გამოცემებში ბეჭდვის ცალკეული შემთხვევები („ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“), მაგრამ, როგორც წესი, ქართული პრესა და მისი მესვეურები ტექსტის მხოლოდ პუბლიკაციით შემოიფარგლებოდნენ და ყურადღებას არ ამახვილებდნენ ამა თუ იმ ხელნაწერთან დაკავშირებულ ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებზე. განსხვავებული ვითარებაა „დროებაში“, რომელმაც, როგორც ითქვა, დიდი ყურადღება დაუთმო არა მარტო ძველ ქართულ ხელნაწერ ტექსტთა მოძიება-შეკრებასა და პუბლიკაციას, არამედ კვლევასაც. ამ მხრივ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ი. მეუნარგიასა და ზ. ჭიჭინაძის დამსახურება.

წყაროებსა და ლიტერატურაში (მემუარები, მიმოწერა, გამოკვლევები და სხვ.) უხვად მოიპოვება მასალა იმის შესახებ, თუ რა მძიმე პირობებში, უკიდურეს მატერიალურ სივიწროვეში უხდებოდათ საქმიანობა „დროების“ მესვეურებსა თუ ავტორებს. დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ მაგალითს – დავით მესხის (ს. მესხის ძმისა და „დროების“ აქტიური თანამშრომლის) მოგონებათა ფრაგმენტს:

„აკაკის წვევა დღესასწაული იყო ჩვენთვის. თუ რასმე დამზადებულს მოგვიტანდა, თუ არადა დავეღრიჯებოდით, დავსვამდით რედაქტორის ოთახში და მალე ან ლექსი იყო მზად, ან სხვა რამ სხარტული მასალა, რაც გაზეთის ნომერს შნოს აძლევდა.

ჩვეულებრივ მოგვინახულა მგოსანმა. შემოვიდა ღიმილით, ჩუმი ღიღინით. ჩვენც გავმხიარულდით, ვიცოდით, რომ ასეთ გუნებაზე როცაა, უთუოდ აქვს რაიმე ძვირფასი ძღვნად. დაჯდა. იგივე ღიმილი, მხიარული სახე.

– ჰო, კარგი ახლა, რაღას გვაწვალებ, მოიტა! – და ხელი გავუშვირე.

– ჯიბეს გაიკარ ხელია! – უხუმრა ხონელმა.

– არა, შვილო, იმ ჯიბეს ერთხელ თქვენც გაიკარით ხელი! – გვეუბნება. – ეტლი მიცდის, გაისტუმრეთ და... ლექსიც იქნება!

– ამ ერთი მანეთის მეტი არაა რედაქციაში, შემოგფიცავ, აკაკი! – და მანეთიანი გავუწოდე.

– დაჯერდება... მეც უნდა დაგჯერდე, მეტი რა გზაა?!

და ამოიღო, წაგვიკითხა „არაბი ფაშა“, საუცხოო ლექსი, აჯანყებული აბაშელების სარდალზე დაწერილი. აღტაცებით მოვისმინეთ. პეტრე უმიკაშვილმა სთქვა:

– ყმაწვილებო, ქართული მწერლობის მომავალმა მემატიანემ, დეე, გულის ტკივილით მოიხსენიოს ის ფაქტი, რომ საქართველოს უწარჩინებულეს მგოსანს – აკაკის ერთადერთი ქართული გაზეთის რედაქციამ ერთი მანეთი მისცა ისეთს ლექსში, როგორიც „არაბი ფაშაა“!

– დეე, ისიც მოიხსენიოს იმ მემატიანემ, რომ ამ რედაქციის ოთხი თანამშრომელი იმ ერთი მანეთის იმედით იყო და დღეს უსადილოთ დარჩებიანო, – დასძინა ილია ხონელმა...“

„დროების“ რედაქცია ღარიბი იყო. თანამშრომლებს ხელფასი არ ეძლეოდათ. სტრიქონებით ჰონორარის გაღება სულ უცხო ხილი იყო...“ – დასძენს დავით მესხი.

ადვილი წარმოსადგენია, ამ იუმორისტული სიმსუბუქით აღწერილი ფაქტის უკან როგორი სიდუხჭირეა მიმალული. ს. მესხი ხშირად იძულებული იყო, ვალები აეღო ან

საკუთარ ნივთები დაეგირავებინა და გაზეთისთვის ამ გზით გაეხანგრძლივებინა არსებობა. ბოლოს, მან მამისეული ადგილ-მამული (იმერეთის სოფ. რიონში) დააგირავა ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში და ისე ჩავიდა საფლავში, რომ მისი გამოსყიდვა ვერ შეძლო.

„დროების“ უკანასკნელი რედაქტორი, როგორც ზემოთ ითქვა, იყო ივ. მაჩაბელი (ფაქტობრივად 1883 წლის 9 მაისიდან, ოფიციალურად – იმავე წლის 26 ივნისიდან). ახალ რედაქტორს გაზეთის ხასიათი და მიმართულება არ შეუცვლია და, შესაბამისად, არც პროგრამული ხასიათის ტექსტი გამოუქვეყნებია – მხოლოდ ეს აღნიშნა: „ჩვენ დავპირდებით მკითხველ საზოგადოებას, რომ თანაგრძნობას აღმოვუჩენთ ყოველსავე პატიოსანს, კარგს, სასარგებლო მოვლენას და ვდევნით უპატიოსნოს, ავს, უსარგებლოს“.

მართლაც, „დროებას“, მის რედაქტორსა და თანამშრომლებს დარჩენილ დროში არ უღალატიათ იმთავითვე აღიარებული პრინციპებისა და პოზიციისათვის, რის გამოც უკიდურესად გამწვავდა კონფლიქტი გაზეთის რედაქციასა და საცენზურო კომიტეტს შორის. საქმე ისაა, რომ ს. მესხი ცენზურასთან ურთიერთობისას მეტ მოქნილობასა და დიპლომატიურობას იჩენდა, ივ. მაჩაბელი კი კატეგორიულობით, სიფიცხითა და რადიკალიზმით გამოირჩეოდა. „ახალგაზრდა რედაქტორი – ივ. მაჩაბელი ს. მესხზე უფრო ნაკლებად დახელოვნებული აღმოჩნდა ცენზურასთან ბრძოლაში“ (ი. ვართაგავა).

საერთოდ, ივ. მაჩაბლის რედაქტორობა ჩვენი ისტორიის მძიმე პერიოდს დაემთხვა – 1881 წლის მარტში იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობას მოჰყვა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში აყვანილი რეპრესიები მთელი იმპერიის მასშტაბით და, განსაკუთრებით, რუსეთის განაპირა მხარეებში, სადაც სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით მონარქიამ მიმართა უკიდურესი შოვინიზმით აღბეჭდილი გამარუსებელი პოლიტიკის ღია და დაუფარავ განხორციელებას. ამ მხრივ, ბუნებრივია, ვერც საქართველო იქნებოდა გამონაკლისი. 1881 წლის ნოემბერში გაუქმდა მმართველობის სამეფისნაცვლო სისტემა, რომელიც ადმინისტრაციული ავტონომიის ელემენტებს შეიცავდა, 1882 წლის იანვარში კი მთავარმართებლად დაინიშნა გენერალი ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი და ამ ახალი მმართველის ხელში ასიმილაციურმა პოლიტიკამ საქართველოში „ნაციონალისტური კაციჭამიობის“ (ა. ჯორჯაძე) ფორმა მიიღო.

რეპრესიები შეეხო „დროებასაც“. კავკასიის საცენზურო კომიტეტმა ხელისუფლების წინაშე არაერთხელ კატეგორიული ფორმით დააყენა „დროების“ რედაქტორობიდან ივ. მაჩაბლის ჩამოშორების საკითხი და საქმე იქამდე მივიდა, რომ 1885 წლის აგვისტოში გაზეთის გადარჩენის მიზნით ივ. მაჩაბელმა ბეჭდვით საქმეთა მთავარსამმართველოს ოფიციალურად აცნობა „დროების“ რედაქტორობიდან წასვლის შესახებ. გაზეთის ხელმძღვანელობა იკისრა ი. ჭავჭავაძემ, თუმცა ვითარება მალე შეიცვალა და რედაქტორად ისევ ივ. მაჩაბელი დარჩა.

ხელისუფლება მაინც ეძებდა „დროების“ განადგურების საბაბს და 1885 წლის ივლისში მას ხელსაყრელი შემთხვევა ჩაუვარდა ხელში. კერძოდ, გაზეთში გამოქვეყნდა პუბლიცისტისა და ლიტერატორის, ილია ჭყონიას, ფელეტონი „გურიის ცხოვრებიდამ“, რომელშიც გაშარჟებული იყვნენ ხოჯა და მოლა. ხოჯაში თავისი თავი ამოიცნო ოზურგეთის მაზრის უფროსმა და გაზეთს უჩივლა. ამას დაემატა ივ. მაჩაბლის ფელეტონი, რომელშიც ალეგორიული ფორმით გამოყვანილი იყო ლოთი მთავარმართებელი ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი. რეაქციამაც არ დააყოვნა – რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის 1885 წლის 14 სექტემბრის განკარგულებით „გაზეთი „დროება“ აკრძალულ იქნა სამუდამოდ, როგორც სეპარატისტულ-ტენდენციური იდეების მქადაგებელი ორგანო“,

ამასთანავე, ივ. მაჩაბელსაც აეკრძალა რაიმე გამოცემის რედაქტორობა.[16] **ეს იყო პირველი შემთხვევა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში, როცა პერიოდული გამოცემა საცენზურო პირობების დარღვევისათვის დაიხურა**. თანამედროვენი „დროების“ დახურვის ერთ-ერთ ინიციატორად მიიჩნევდნენ ცენზორ ლუკა ისარლიშვილს (ისარლოვს), რომელიც განსაკუთრებული სიფრთხილით, რეჟიმისადმი სრული მორჩილებითა და ერთგულებით გამოირჩეოდა და ამის გამო არაერთხელ მოსვლია შეტაკება „დროების“ რედაქტორებსა თუ თანამშრომლებთან.

„დროების“ დახურვასთან დაკავშირებით გაზეთის რედაქტორისა და თანამშრომლების პირველი რეაქცია დავით მესხს ასე აქვს აღწერილი:

„დროება“ რომ აკრძალეს, ვანო (მაჩაბელი – თ. ჯ.) იმ ხანად კახეთში იყო. დეპეშით ვაცნობე. მოიჭრა გულგახეთქილი. Гадина-მ, – ასე ეძახდა ცენზორ ისარლოვს, – გაიტანა მაინც თავისი!!

„დროების“ აბრას სამგლოვიარო შავი ბლონდი გადავფინე...

შემოიჭრა ბოქაული: – ამ წამში მოხსენით აბრა თავის ბლონდით! ეს რა ამბავია?!

– რა ამბავი უნდა იყოს. გაზეთი მოკვდა და ვგლოვობთ.

– აასრულეთ მთავრობის ბრძანება! მოკვდა! მოკვდა კი არა, მოვკალით, ჩვენ ჩავკალით! ამ წამში მოხსენით! პროტესტები?!

ჩემოვხსენით... მთავრობის ქეშიკი თავისებურად მართალი იყო. იმათგან სასიკვდილოდ განწირულების გლოვის უფლება აკრძალული იყო...

ცოტად, ვითომ გულის მოსაფხანად ლუკა ისარლოვს ვუკბინეთ: იმ ღამითვე აკაკის აკრძალული ლექსი „ხანჯალი“ დავსტამბეთ და კარგა ბლომა ფარატინები მთელს ქალაქში მოვფინეთ. ლექსს მივუწერეთ: ლუკა ისარლოვი... დაფაცურდა პოლიცია და ჟანდარმები. კვალს ვერ მიაგნეს...“[17]

ორიოდე სიტყვა „დროების“ ენაზე, რომელიც მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციისა და საკუთრივ საგაზეთო ქართულის ფორმირების გზაზე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „დროებას“ კრიტიკოსებიც ჰყავდა ენის ზედმეტად „გახალხურების“, „სიჭრელისა“ და „სიმჩატის“, განსაკუთრებით კი – დიალექტიზმების (კერძოდ, იმერიზმების) მოჭარბების გამო. კრიტიკოსთა შორის გამოირჩეოდა გრ. ორბელიანი, რომელიც, სადაც კი ამის საშუალება მიეცემოდა, მწვავედ აკრიტიკებდა „დროებისა“ და, განსაკუთრებით, ს. მესხის პუბლიცისტური წერილების ენას და ამ საკითხს სპეციალური ლექსიც მიუძღვნა – „დროების ათი წლის იუბილე“ („ვერ ისწავლა მესხიმ წერა / ვერა!.. ვერა!.. / და არც ჰსჯერა / რომ მან წერა / ვერ ისწავლა, ვერა! ვერა“ და ა. შ.). ი. მეუნარგიას უწერია: „[გრ. ორბელიანი] მოჰყვებოდა გაზეთების კითხვას წითელ-ლურჯი კარანდაშით აღჭურვილი. ფერადი კარანდაში ხვდებოდა უმეტეს ნაწილად ქართულ გაზეთს „დროებას“. რომ არ მოეწონებოდა იმას რამე აზრი, ან სიტყვა, ან სიტყვების შეთანხმება, სტრიქონს ქვემოთ ხაზს დაუსვამდა და განზე დაუწერდა: „ეს ასე არ არის“, „ეს რა ქართულია“, „თუ ეს ქართულია, მე არა მცოდნია რა“ და სხ.“

---

[16] daavadebulma da sazogadoebriv asparezs Camocilebulma iv. maCabelma 1897 wels scada, moepovebina `droebis~ aRdgenis ufleba da beWdviT saqmeTa mTavarsammarTvelos gazeTis programac warudgina, magram am saqmisagan araferi gamovida, momdevno wlis 26 ivniss ki iv. maCabeli moulodnelad gauCinarda da es ambavi dRemde burusiTaa moculi.

[17] imis sailustraciod, Tu ramdenad iyo miuRebeli `droeba~ xelisuflebisa da rusifikatoruli kursis gamtarebeli saeklesio wreebisaTvis, davimowmebT Tbilisis sasuliero saswavleblis mowafis (SemdgomSi TvalsaCino saxelmwifo moRvawis), isidore ramiSvilis, sityvebs: `TbilisSi maSin gamodioda erTaderTi qarTuli gazeTi `droeba~, romelsac redaqtorobda ivane maCabeli. TiTqmis yoveldRe gamomiZaxebdnen seminariis derefanSi am gazeTis asoTamwyobebi... da uceb CamCridnen xelSi dakumSul gazeTs. imis wakiTxva (saswavlebelSi _ T. j.) Riad SeuZlebeli xdeboda, Cumad, farulad gadadioda xelidan xelSi, rom vinme jaSuSs ar gaego da ar davebezRebineT~.

დასასრულ, „დროებაზე“ საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოება: თუ „ცისკარს“ (საერთოდ, ყველა ადრინდელ ქართულ ჟურნალსა თუ გაზეთს) ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში იწერდნენ და კითხულობდნენ, „დროება“ იყო პირველი ქართული პერიოდული გამოცემა, რომელიც თანაბრად ვრცელდებოდა მთელს საქართველოში, – როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, – ასახავდა მთელი საქართველოს ცხოვრებას და, ამდენად, განმსაზღვრელ როლს ასრულებდა საერთო-ქართული თვითშეგნების, ინტერესებისა და სულისკვეთების ჩამოყალიბებაში, ქართველი ერის კონსოლიდაციის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეში. „დროება“ მთელი საქართველოს გაზეთად გადაიქცა“ – წერდა ი. მეუნარგია; ა. ჯორჯაძის შეხედულებით კი, „საქართველოს მოამბემ“ მხოლოდ წამოაყენა ჰუმანიტარულ-პროგრესიული პრინციპები. ამ პრინციპების გაღრმავება და განვითარება ვალად დაედო „დროებას“... „დროება“ თავისი კულტურულის მნიშვნელობით საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების გამაერთიანებელ ორგანოდ გახდა“.

უმძიმესი საცენზურო და მატერიალურ-ფინანსური პირობების მიუხედავად, „დროების“ მესვეურებმა და თანამშრომლებმა შეძლეს პრაქტიკულად განეხორციელებინათ ის ისტორიული მნიშვნელობის მისია, რომელიც სტ. მელიქიშვილის საპროგრამო წერილში იყო დასახული – **„გაზეთი აერთებს და აკავშირებს მთელს ხალხს...“**

ლიტერატურა:

ასათიანი ლ. ფელეტონი გაზეთ „დროებაში“. წიგნში: **ლ. ასათიანი**. ლიტერატურული ნარკვევები და წერილები. თბ.: 1955, გვ. 188-195.

ბერძენიშვილი ლ. XIX საუკუნის ქართული დემოკრატიული პრესა (გლეხობის საკითხი გაზეთ „დროების“ მიხედვით. 1866-1885 წწ.). თბ.: 1981.

ბოსტაშვილი ნ. რატომ დაიხურა გაზეთი „დროება“? – ივანე მაჩაბელი და მეფის ცენზურა. „საისტორიო მოამბე“, [ტ.] 61-62, 1991, გვ. 262-287.

ბოცვაძე ი. „დროების“ ნომრები გრ. ორბელიანის შენიშვნებით. წიგნში: **ი. ბოცვაძე**. პრესა და მწერლობა. თბ.: 1976, გვ. 138-142.

ბოცვაძე ი. სერგეი მესხი და 70-80-იანი წლების ქართული პრესა. თბ.: 1968.

ბოცვაძე ნ. გაზეთ „დროების“ ისტორიისათვის. კრბ. „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (**დ. გამეზარდაშვილის რედაქციით**, IV, 1975, გვ. 263-283).

გაზეთ „დროების“ 50 წლისთავი. „სახალხო ფურცელი“, 1916, №518.

გამეზარდაშვილი დ. ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, ტ. 2. თბ.: 1974, გვ. 235-237.

გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. (ქართული სტამბის წიგნი. 1629-1979), ტ. VII. თბ.: 1984, გვ. 442-444.

„დროების“ დღესასწაული ათის წლისა. „დროება“, 1876, №24.

ვართაგავა ი. XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები. თბ.: 1957.

იოვიძე ა. ივანე მაჩაბელი და მეფის ცენზურა. „საისტორიო მოამბე“, [ტ.] 9, 1956, გვ. 325-380.

იოვიძე ა. სერგეი მესხი და მეფის ცენზურა. „საისტორიო მოამბე“, [ტ.] 11-12, 1960, გვ. 595-656.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, V (გაზეთი „დროება“, გაზეთი „თეატრი“). თბ.: 1987, გვ. 3-537.

კასრაძე ო. „დროება“ (მოკლე ისტორიულ-ქრონოლოგიური ქარგა). წიგნში: **ო. კასრაძე**. კრიტიკული ნარკვევები. თბ.: 1968, გვ. 38-67.

კასრაძე ო. ცხოვრება სერგეი მესხისა. თბ.: 1963.

კილანავა ნ. ვის ეკუთვნის „დროების“ პირველი მეთაური წერილი? „მაცნე“, 1966, №6, გვ. 237-245.

კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). წიგნში: **ვ. კოტეტიშვილი**. რჩეული ნაწერები (ორ წიგნად). **დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, წგნ. I. თბ.: 1965, გვ. 411-414.

მგალობლიშვილი ს. პირველი ქართული გაზეთი. „სახალხო ფურცელი“, 1916, №№520,525.

მესხი დ. მოგონებანი. თბ.: 1940.

ნასარიძე ი. გაზეთ „დროების“ ენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1976, №2, გვ. 101-108.

ნიკოლაძე ნ. გაზეთი „დროება“ (1866-1875 წწ.). წიგნში: **ნ. ნიკოლაძე**. თხზულებანი. **დ. გამეზარდაშვილის** რედაქციითა და შენიშვნებით, ტ. IV. თბ.: 1964, გვ. 191-198.

პაპუაშვილი ნ. კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ „დროების“ მასალების მიხედვით (გამოკვლევა და კატალოგი). თბ.: 2008.

უმიკაშვილი პ. სერგეი მესხი. „ივერია“, 1883, №7-8, გვ. 158-180.

ქვარიანი თ. გაზეთი „თეატრი“. თბ.: 1974, გვ. 38-53.

ქინქლაძე ო. „დროება“ და აღზრდის საკითხები. თბ.: 1963.

ცაიშვილი სოლ. „დროებიდან“ – „ივერიამდე“. „ლიტერატურის მატიანე“, №1-2, 1940, გვ. 490-495.

ჭელიძე ვ. ცხოვრება ივანე მაჩაბლისა. თბ.: 1957, გვ. 172-216.

ჭილაია ა. გიორგი წერეთელი. თბ.: 1967, გვ. 43-58.

ჭიჭინაძე ზ. ქართულ გაზეთის ასი წლის ისტორია. ტფ.: 1916, გვ. 33-36, 40-41.

ჭრელაშვილი ლ. ილია ჭავჭავაძის ხელმოუწერელი მოწინავეები გაზეთ „დროებაში“. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1986, №1, გვ. 27-43.

ჭუმბურიძე ჯ. სალიტერატურო კრიტიკა გაზ. „დროებაში“ (1866-1875 წწ.). წიგნში: **ჯ. ჭუმბურიძე.** მეცხრამეტე საუკუნე (ლიტერატურული ნარკვევები). თბ.: 2004, გვ. 110-157.

ხუნდაძე ს. გიორგი წერეთელი (მოღვაწეობა, აზროვნება, შემოქმედება). თბ.: 1931, გვ. 65-77.

ხუნდაძე ს. „სამნი ძმანი – სამნივ თერგდალეულთაგანი“ (გაზ. „დროება“ და გ. წერეთელი). წიგნში: **ს. ხუნდაძე.** ნარკვევები. თბ.: 1941, გვ. 214-225.

ხუნდაძე ს. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I. ტფ.: 1927, გვ. 6-126.

ხურცილავა ს. ქართული საზოგადოებრივი აზრი და მეფის ცენზურა. თბ.: 1980, გვ. 56-74.

ჯ[აჯანა]შვილი ა. სერგეი მესხი და „დროება“. „სახალხო ფურცელი“, 1916, №518.

ჯორჯაძე ა. მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის. წიგნში: **ა. ჯორჯაძე.** წერილები. შემდგენელი **ა. ბაქრაძე**. თბ.: 1989, გვ. 200-251, 284-289.

Босташвили Н. Почему была закрыта газета „Дроеба“? „Литературная Грузия“, 1991, №6, с. 161-189.

ბიბლიოგრაფია იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945). შედგენილი **გ. ბაქრაძის** მიერ, **ვ. ეგნატაშვილის** რედაქციით. თბ.: 1947, გვ. 6-7.

Абрамишвили А. Грузинская периодика (1819-1917). Тб.: 1968, с. 39-40.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია იხ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. II. თბ.: 1952.

ჟურნალი „მნათობი“

(1869-1872)

1860-იან წლებში საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში ახალი ფიგურა გამოჩნდა – **ნიკოლოზ (ნიკო) ავალიშვილი** (1844-1929), რომელიც ქართული კულტურით დაინტერესებულ ოჯახში იყო აღზრდილი (მამამისი – იაკობ ავალიშვილი – იყო თავისი დროის თვალსაჩინო მწიგნობარი და კალიგრაფი), მოსკოვის უნივერსიტეტში გავლილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კურსი, გამოირჩეოდა ლიტერატურულ-ჟურნალისტური და, განსაკუთრებით, თეატრალური ინტერესებით და ცხოვრების მიზანსაც საზოგადოებრივ ასპარეზზე ხედავდა და არა – სამოხელეო კარიერაში.

ნ. ავალიშვილი მოსკოვიდან სამშობლოში 1866 წელს დაბრუნდა და მაშინვე ჩაება თეატრალურ ცხოვრებაში, კერძოდ, სათავეში ჩაუდგა თეატრის მოყვარულთა („სცენისმოყვარეთა“) წრეს და ძლივს მფეთქავ თეატრალურ ცხოვრებას მეტ-ნაკლებად ორგანიზებული სახე მისცა, 1867 წელს კი გამოსცა „ქართული კალენდარი“, რომელშიც,

გარდა საცნობარო-კალენდარული და სტატისტიკური ცნობებისა, საისტორიო და სალიტერატურო მასალაც შეიტანა. „კალენდარი“ მკითხველმა სიხარულით მიიღო და მასზე „ცისკარში“ საქებარი რეცენზიაც გამოქვეყნდა, თუმცა იმ დროს ანტონ ფურცელაძეს მწვავე პოლემიკა ჰქონდა ივ. კერესელიძესთან და „ცისკრის“ განმაქიქებელ ერთ-ერთ წერილში ა. ფურცელაძემ კრიტიკა „ქართულ კალენდარსაც“ „უძღვნა“ (მას „ყოვლად უგვანი“ უწოდა). ამას მოჰყვა პოლემიკა ა. ფურცელაძესა და ნ. ავალიშვილს შორის და ამ პოლემიკისას გამოჩნდა ახალგაზრდა მოღვაწის ლიტერატურული ნიჭი და პრინციპულობა. ივ. კერესელიძემ პერსპექტიული ახალგაზრდა ლიტერატორი მიიწვია „ცისკარში“, რომელშიც ნ. ავალიშვილმა ზედიზედ გამოაქვეყნა თარგმანები (მათ შორის, ფ. შილერის „ვილჰელმ ტელის“ არასრული თარგმანი) და საინტერესო პუბლიცისტური წერილები.

ნ. ავალიშვილი მალევე დარწმუნდა, რომ „ცისკრის“ მიმართულება და ლიტერატურული დონე ვერ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნებს, ივ. კერესელიძის ხელში ვითარების შეცვლის პერსპექტივაც ვერ დაინახა და ჟურნალის შეძენა გადაწყვიტა. ივ. კერესელიძე, მიუხედავად ხელმოკლეობისა, თავის ნაამაგარ „ცისკარს“ ვერ შეელია და ამის შემდეგ ნ. ავალიშვილმა საკუთარი ჟურნალის გამოცემაზე დაიწყო ზრუნვა – 1868 წლის იანვარში კავკასიის საცენზურო კომიტეტს ივანე ელიოზიშვილთან ერთად წარუდგინა თხოვნა ყოველთვიურ ჟურნალ „მნათობის“ დაარსების შესახებ, აგრეთვე, ჟურნალის პროგრამა (ნებართვის მიღების შემთხვევაში ივ. ელიოზიშვილი „მნათობის“ გამომცემლად იყო ნავარაუდევი[1]). პარალელურად ნ. ავალიშვილი შეუდგა იმდროინდელი პრესის ერთ-ერთი მტკივნეული – სასტამბო – პრობლემის მოგვარებას და თავისი შეძლებული ძმის, დავით ავალიშვილის, ხარჯით საკუთარი სტამბაც დააარსა.

1868 წლის ზაფხულში საცენზურო კომიტეტმა ახალი ჟურნალის გამოცემის ნებართვა გასცა, ნ. ავალიშვილიც შეუდგა საორგანიზაციო საქმეების მოგვარებას და 1869 წლის მარტში დაბეჭდა „მნათობის“ პირველი ნომერი, თუმცა ცენზურამ საქმე დააბრკოლა და ჟურნალის მკითხველამდე მიტანა მხოლოდ მაისის დასაწყისში მოხერხდა.

„მნათობის“ პროგრამა ჟურნალის მხოლოდ მეორე ნომერში გამოქვეყნდა. მასში აღწერილია ახალდაარსებული პერიოდული გამოცემის პროფილი (იგი **სალიტერატურო-სამეცნიერო** ჟურნალია) და შედგენილობა (აქვს სამი განყოფილება: სამეცნიერო, სალიტერატურო და დამატება). შემდეგ საუბარია თითოეული განყოფილების შინაარსობრივ მხარეზე და სწორედ აქ ჩანს ჟურნალის მესვეურთა ძირითადი მიზნები და ამოცანები. კერძოდ:

1. სამეცნიერო ნაწილში გამოქვეყნდება საისტორიო წერილები და ისეთი მასალა, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში საბუნებისმეტყველო ცოდნის გავრცელებას. „ისტორიულ ნაწილში განსაკუთრებით ყურადღება მიეპყრობა საზოგადო ისტორიასა და საქართველოს ისტორიას... დავბეჭდავთ უფრო იმ ხალხისა და სახელმწიფოების ისტორიას, რომელთაც ევროპიის და მთელი კაცობრიობის ცხოვრებასა და განათლებაზედ გავლენა ჰქონდათ... რაიცა შეეხება საქართველოს ისტორიას – ჩვენ ვეცდებით წარუდგინოთ მკითხველებს საქართველოს ხალხის სრული ისტორიული ცხოვრება მისი დაარსებიდგან მოყოლებული, ვიდრე აქამომდე... ამავე ნაწილში დავბეჭდავთ საქართველოს ისტორიისათვის გამოსადეგ მასალას (საისტორიო წყაროებს – თ. ჯ.)“.

2. სალიტერატურო ნაწილში დაიბეჭდება ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებები (პროზა, პოეზია, დრამატურგია), ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, აგრეთვე, ბიბლიოგრაფიული ხასიათის თხზულებები („ყველა ახლად გამოსული წიგნის გარჩევა და

[1] iv. elioziSvili gaxda kidevac `mnaTobis~ gamomcemeli da, amas garda, igi JurnalSi publicistur werilebsa da recenziebsac aqveynebda.

დაფასება... თუ საჭიროება მოითხოვს, ძველად გამოსულ წიგნებსაც არ დავაგდებთ უყურადღებოდ...“). აქვე უნდა გამოქვეყნებულიყო „სხვა და სხვა საგნის შესახებ სტატიები“ – შინაური მიმოხილვები, უცხოეთის ამბები, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური ცხოვრების ამსახველი თხზულებები, პედაგოგიური ხასიათის ტექსტები და სხვ.; არსებითად სწორედ ამ მასალას უნდა განესაზღვრა ჟურნალის პუბლიცისტური სახე და მიმართულება.

3. დამატებაში დაიბეჭდება უცხოელ ავტორთა („შექსპირისა, შილლერისა, გიოტესი, სერვანტესისა და სხვათა“) თარგმანები.

პროგრამაში მკაფიოდ ჩანს ჟურნალის საგანმანათლებლო მიზანდასახულობა და სწრაფვა ქართული კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზრის ევროპეიზაციისაკენ. ნ. ავალიშვილს კარგად ესმოდა „ჩვენი ცხოვრების აწმყო მდგომარეობა და მიმართულება და მისი გაუმჯობესებისათვის საჭირო მოთხოვნილებანი“ და, სხვათა შორის, ამასვე ადასტურებს ჟურნალისთვის წამძღვარებული ეპიგრაფები: **„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი, / ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“** (ი. ჭავჭავაძე) და **„არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, / იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს“** (ნ. ბარათაშვილი).

„მნათობის“ პირველი ნომრის შინაარსი ასეთია:

რედაქციის განცხადება [ჟურნალი იანვარში უნდა გამოსულიყო, თუმცა „სხვა და სხვა შემთხვევის“ გამო ახლა გამოდისო]
ნ. ინაშვილი, საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი? 1-9
ალ. ორბელიანი, ასპინძის ომი, 1770-სა (მასალა საქართველოს ისტორიისათვის) 1-11
ნინო ორბელიანი, ჭმუნვა [ლექსი] 12
ჟ. მასე, ლუკმა-პურის ამბავი. აღწერა კაცისა და ცხოველების სიცოცხლისა (გარდაკეთებული) [დასაწყისი] 1-24
სვ. მგალობელი, სურათი მთიულების ცხოვრებიდგან 25-31
პ. თუმანიშვილი, გევედრებ ღმერთო! [ლექსი] 32
ინგილო-ჯანაშვილი [დიმ. ჯანაშვილი], კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაქიზიანებისა და სიმდიდრის მოპოვებისა 1-21
გ. წყალტუბელი [გ. იოსელიანი], ობლის ბედი [ლექსი] 22-23
ქართული წარმოდგენა თბილისში და საზოგადო მდგომარეობა აწინდელი ქართული წარმოდგენაებისა [რეცენზია სპექტაკლებისა – გ. ერისთავის „გაყრა“ და „ძუნწი“, ზ. ანტონოვის „მე მინდა კნეინა გავხდე“, მოლიერის „ცოლის შერთვევინება“ (თარგმანი დიმ. ყიფიანისა). ამ წარმოდგენებზე დაყრდნობით მოცემულია ვრცელი მსჯელობა ქართული თეატრის მდგომარეობაზე] 24-39
დიმ. ბერიევი, ხსენება საკვირველისა განთავისუფლებისა განსაცდელისაგან ხელმწიფე იმპერატორისა 1865 წელსა 4 აპრილსა [ლექსი] 40-41
საბიბლიოგრაფიო ფურცელი (კავკასიის აქეთა მხრის კარტა, გამოცემული 1868 წ. და სინოპტიკური კალენდარი 1869, შედგენილი რაფიელ ისარლოვისაგან).....42-48
სერვანტესი, ლამანჩელი აზნაური დონ-კიხოტი, თარგმნილი ნ. ავალიშვილისა [დასაწყისი] 1-24

„მნათობის“ პირველ ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო რედაქტორის საპროგრამო წერილი, მაგრამ იგი (ცენზურის მიერ დაჩეხილი ტექსტი სათაურით – „მნათობზედ“) ჟურნალის მეორე (აპრილის) ნომერში დაიბეჭდა და, ამდენად, პროგრამული ფუნქცია დაეკისრა ნიკო ინაშვილის წერილს „საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი?“, რომელიც ავტორმა კიევიდან გამოგზავნა.

ნ. ინაშვილი ცდილობს, გააბათილოს საზოგადოების ერთი ნაწილის („დროების“ თანამშრომლებისა და მისი რედაქტორის, გ. წერეთლის) შეშფოთება – ახალი ჟურნალი ხელის მომწერთა და ჟურნალისტ-ლიტერატორთა სიმცირის გამო დაასუსტებს სხვა გამოცემებსო. შემდეგ ავტორი აღნიშნავს – კარგმა ჟურნალმა „უმეცრებისაგან ხალხის გამომხსნელის“ ფუნქცია უნდა იკისროსო და განაგრძობს: „ჩვენი დრო არის კრიტიკული დრო: ჩვენ ვსცხოვრობთ ძველსა და ახალს შუა, ძველი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, მაგრამ ახალი გზა კი ჯერ არ გაგვიკვლევია. ჩვენ უნდა ვეცადოთ გაუნათლოთ ხალხს მსვლელობის გზა გონებითი, ზნეობითი და ნივთიერებითი წარმატებისთვის... ჟურნალი უნდა იყოს წარმომადგენელი უკეთესის და უბრძენესის მოქალაქეებისა. იგი უნდა ჰქადაგებდეს იმ აზრებს, აღვიძებდეს იმ გრძნობებს და იმ გულისთქმათ, რომლებსაც შეეძლებათ მოგვცენ ჩვენ თვით უკეთესნი მოქალაქენი და მოამზადონ იმათი გული საზოგადო სარგებლობისათვის, რომელსაც აქვს სახეში ხალხის კეთილდღეობა და დიდება; არა დიდება დაფუძნებული გარეგანს სიბრწყინვალეზედ, არამედ დიდება პატიოსნებისა, სიბრძნისა, სათნოებისა და გენიოსობისა. ერთის სიტყვით, ჟურნალი უნდა შეიქმნეს გონების მოძრაობის ცენტრად... ორგანოდ ცხოველის აზრისა“. ავტორი წარსულის ქართული გამოცემებიდან გამოჰყოფს ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეს“, არსებითად მასზე იღებს ორიენტაციას და მასვე აცხადებს „მნათობის“ წინამორბედად.

ნ. ავალიშვილის ზემოაღნიშნულ საპროგრამო წერილში („მნათობზედ“) გაშლილი და დაკონკრეტებულია ნ. ინაშვილის მოსაზრებები. ამასთანავე, ეს ტექსტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“ ჩამოყალიბებული იდეებისა და მოსაზრებების ცხოველმყოფელობას. „საზოგადოება ცოცხლობს, ცხოვრობს; მაშასადამე, მისი არსება, როგორც ხორციელი, ისე სულიერი და ზნეობითიც მოძრაობაშია. ეს ბუნების კანონია. მოძრაობას ყოველთვის წარმატება მოაქვს: სიცოცხლე სხვა სიცოცხლეს ჰბადებს, დროის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ირკვევს გზას წინმსვლელობისათვის. ამას ჰქვია სიცოცხლე, ამას ჰქვია არსებობა“ – წერს ნ. ავალიშვილი და ჟურნალისტიკის დანიშნულებას საზოგადოებრივი ცხოვრების წინამძღოლობაში ხედავს: „თვით საზოგადოებაც რომ იყოს სიცოცხლეს მოკლებული, მაშინ სალიტერატურო (ჟურნალისტური – თ. ჯ.) ორგანოს დანიშნულება განსაკუთრებით ის არის, რომ აღძრას საზოგადოებაში სიცოცხლე, აღუფეთქოს მას ცხოვრების ცეცხლი და, მაშასადამე, დააყენოს იგი წარმატებისა და სისრულის გზაზედ. სალიტერატურო ორგანოს დანიშნულება სულაც არ არის ის, რომ სიცოცხლემოკლებულ საზოგადოებას ექვეშევრდომოს და ფრიად ზარმაცად და მთქნარებით უღაღადებდეს მას ძილისპირებს... რომელსაც საზოგადოება მიჰყავს უკანასკნელს მდგომარეობამდის“.

უნდა ითქვას, რომ ნ. ავალიშვილის წერილს ჰქონდა არაერთი ნაკლიც: ვრცელი და გაჭიანურებული მსჯელობა, დიდაქტიკურ-მორალისტური ტენდენციები და, რაც მთავარია, „დროების“ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულების გამო არაფრის მომცემი საყვედურები ამ გაზეთის მესვეურთა მიმართ, რაც შემდგომში მწვავე პოლემიკაში გადაიზარდა.

„დროების“ პუბლიცისტებიდან „მნათობის“ პირველი ნომრის გამოსვლას პოზიტიურად გამოეხმაურა სერგეი მესხი: „დროების“ რედაქციისათვის ახალი ჟურნალის დაარსება მეტად სასიამოვნო უნდა იყოს, რადგან ორივეს ერთი და იგივე დანიშნულება ექმნება და ორივ ერთად ეცდებიან ერთსა და იგივე მიზანს მიაღწიონ“. თუმცა ეს იმედი არ გამართლდა და ცოტა ხანში „დროებასა“ და „მნათობს“ შორის გაჩაღდა კამათი, რომელმაც მკაფიოდ გამოავლინა არა მარტო თაობათა შორის, არამედ თვითონ „ახალთაობაშივე“ არსებული წინააღმდეგობრივი შეხედულებები, ამასთანავე, იმავე „ახალთაობაში“ გააღრმავა მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური დიფერენცირების პროცესი.

პოლემიკა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც ა. ფურცელაძემ უმტკივნეულოდ დაივიწყა ადრინდელი აგდებული დამოკიდებულება ნ. ავალიშვილისადმი, შეუერთდა „მნათობის“ ჯგუფს, ანუ „ლაზათიანად ჩასდგა ფეხი“ (ს. მესხი) ახალდაარსებულ „მნათობში“ და აქედან „გაუხსნა ცეცხლი“ ყველას, ვინც კი მის საკმაოდ ეკლექტიკურ შეხედულებებს არ ეთანხმებოდა. ძირითადი სამიზნე ა. ფურცელაძისა იყო „დროება“ და, მოგვიანებით (1871 წლიდან), ჟურნალი „კრებულიც“. პოლემიკაში, რომელიც თანდათანობით დაუნდობელ ბრძოლაში გადაიზარდა, ჩაერთვნენ „მნათობიდან“: ნიკო ავალიშვილი, დიმიტრი ჯანაშვილი, მოსე ქიქოძე, ნიკო ინაშვილი, გიორგი იოსელიანი და სხვ., ხოლო „დროება“-„კრებულიდან“: ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ.; ა. ჯორჯაძე ამ პოლემიკაში პიროვნულ ფაქტორებსაც არ გამორიცხავს („მოურიგებლობა ხშირად, ძალიან ხშირად, პირადი ხასიათისა იყო“) და ყოველივე ამაში მთავარ „დამნაშავედ“ ა. ფურცელაძეს ასახელებს,[2] თუმცა პოლემიკის განმსაზღვრელ მიზეზად მაინც იდეურ უთანხმოებას მიიჩნევს. ა. ჯორჯაძის შეხედულებით, დაპირისპირების გამომწვევი ძირითადი ფაქტორი იყო „მნათობის“ წერილებს აქა-იქ გადაკრული სოციალისტური ელფერი“.

საერთოდ, 1860-1870 წლების მიჯნის საქართველოში (კერძოდ, ქართულ ჟურნალისტიკაში) შეინიშნება გატაცება უცხოური პოლიტიკურ-სოციოლოგიური თეორიებით, მათი არასათანადო (უსისტემო, ზოგ შემთხვევაში – ზერელე) გააზრებითა და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მექანიკური გადმონერგვის მცდელობებით, რაც იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში უფრო ეკლექტიზმს იწვევდა, ვიდრე – საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების პოლიფონიურობას. ყველაზე უფრო ნათელი დადასტურება ამ მოსაზრებისა სწორედ „მნათობია“ და შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს მეტ-ნაკლებად შეჯერებული თვალსაზრისი ჟურნალის იდეურ (გნებავთ, იდეოლოგიურ) მიმართულებაზე:

„მიმართულებით ჟურნალი იყო ნაციონალ-ლიბერალური“ (დ. კარიჭაშვილი).

„ეს ორგანო უმთავრესად ნაციონალ-დემოკრატიული იყო“ (ს. ხუნდაძე; ამავე დროს იგივე ს. ხუნდაძე აღნიშნავდა – „მნათობი“ პროგრესულ-ხალხოსნური და უტოპიური სოციალიზმის მქადაგებელიაო“).

„მნათობი“ იყო ფორმით უტოპიურ-სოციალისტური, ხოლო შინაარსით – ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი“ (ლ. გორგილაძე).

„მნათობში“ სავსებით გარკვეულად ჩანს ხალხოსნური იდეოლოგიის ნაკადი, ამასთან, როგორც რევოლუციური, ისე ლიბერალური ხალხოსნობა“ (ალ. კალანდაძე).

„მნათობი“ პირველი ხალხოსნური პერიოდული გამოცემა იყო ქართულ ენაზე და მისი ტრადიციები 80-იანი წლების დასაწყისში განაგრძო და გააღრმავა ქართველ ხალხოსანთა ჟურნალმა „იმედმა“, რომლის ორგანიზაციაშიც „მნათობის“ ყოფილმა თანამშრომლებმა (ა. ფურცელაძე, ნ. ლომოური და სხვ.) აქტიური მონაწილეობა მიიღეს“ (მ. წერეთელი) და სხვ.

„მნათობის“ ეკლექტიკური მსოფლმხედველობრივი ბუნება უნდა ჰქონოდა მხედველობაში ნიკო ნიკოლაძეს, როცა წერდა: „მნათობის“ რედაქციას ჟურნალი

[2] a. jorjaZe mogvianebiT (1900-iani wlebis bolos) a. furcelaZis moRvaweobas amgvar Sefasebas aZlevs: `dRes, ormocdaaTis wlis Semdeg, romlis ganmavlobaSi ant. furcelaZes ar Seuwyvetia Sroma qarTul literaturaSi, dRes am moRvawis dafaseba marto aRniSnul samwuxaro movlenis mixedviT (avtors mxedvelobaSi aqvs a. furcelaZis moRvaweoba 1860-ian wlebSi, kerZod, misi dapiripireba `saqarTvelos moambesTan~, `droebasTan~, `krebulTan~ da sxv. _ T. j.), SeuZlebelic da usamarTloc iqneboda. xangrZlivis moRvaweobiT ant. furcelaZem dagvimtkica, rom am xnis ganmavlobaSi mas swyuroda Tavis xalxis bedniereba da rom igi emsaxureboda progresiul azrebs... amitom Cven dRes ant. furcelaZesac vsTvliT mesamocianTa jgufis erT-erT warmomadgenlad~.

ჩავარდნია ხელში, როგორც ხანდიხან ყმაწვილს საათი ჩაუვარდება. ჟურნალის საზოგადო სასარგებლოთ წაყვანის მაგიერათ, ის თავის სასიამოვნოდ წინ და უკუღმა ატრიალებს ჟურნალის ჩარხებს“. თვითონ ნ. ავალიშვილის ერთი გვიანდელი (1922 წლის) შეფასებით კი, საქართველოში „იმ დროს („მნათობის“ გამოცემის წლებში – თ. ჯ.) არავითარი განსაკუთრებული მიმართულება არ არსებობდა, გარდა პროგრესულის. ყველა მწერალი თავისი შეძლებისდაგვარად იმას წერდა, რაც საქართველოს გამოფხიზლებისათვის და საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის იყო საჭირო“.

„მნათობის“ იდეური პროფილის შესახებ საკითხის კვლევის დღევანდელ ეტაპზე, ჩვენი აზრით, სხვაზე უფრო მართებული ჩანს ნ. ბოცვაძის თვალსაზრისი: „ჟურნალი „მნათობი“ ერთი რომელიმე გარკვეული მიმართულების მკვეთრი გამომხატველი არ ყოფილა. მასში თითქმის თანაბარი დოზით არის წარმოდგენილი როგორც ხალხოსნური მსოფლმხედველობა, რომელიც რუსეთის გზით შემოდიოდა ჩვენში, ასევე უტოპიურ-სოციალისტური იდეები, რომელიც ევროპეიზმის დროშით იჭრებოდა საქართველოში. „მნათობს“ ძლიერად ატყვია აგრეთვე ქართველ სამოციანელთა მსოფლმხედველობის ძლიერი გავლენა, რაც მას რიგ საკითხებში „დროება“-„კრებულთან“ აახლოებს“.

ის, რაც „მნათობს“ „დროება“-„კრებულთან“ აახლოებდა, პირველ რიგში, იყო ეროვნული საკითხი და, კერძოდ, იმის შეგნება, რომ ყოველგვარი ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი რესურსი უნდა მოხმარებოდა უმთავრეს მიზანს – ქართველი ხალხის ნაციონალური თვითარსებობისა და თვითმყოფობის შენარჩუნებასა და აღორძინებას. „მნათობის“ პუბლიცისტთა აზრით, პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური იდეების შემუშავებას ჰქონდა არა თვითკმარი მნიშვნელობა და ღირებულება, არამედ ამ იდეათა პრაქტიკული და ფორსირებული რეალიზაცია მაინცდამაინც საზოგადოებრივ-ეროვნულ საჭიროებათა კონტექსტში და ამ საჭიროებათა უპირობო გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო. საკითხისადმი სწორედ ამგვარი დამოკიდებულებაა გამოხატული „მნათობის“ პუბლიცისტის, გრიგოლ თარხან-მოურავის, სიტყვებში: „საჭიროა ახლანდელის ჩვენის საჭიროებისათვის, რომ გადავავლოთ თვალი ჩვენს ცხოვრებას, წარსულს და ახლანდელს, საჭიროა განვმარტოთ, როგორი ცხოვრება არის საჭირო ჩვენის საზოგადოებისათვის, რომ მომავალში დავიმკვიდროთ საჭირო და ჩვენი შესაფერი ადგილი ცხოვრებაში“. ხოლო ცხოვრებაში „ჩვენი შესაფერი ადგილის“ დასამკვიდრებლად, „მნათობის“ პუბლიცისტთა შეხედულებით, აუცილებელი იყო განათლების გავრცელება, მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბება, საგლეხო მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარება. სწორედ ესაა ის ასპარეზი, სადაც წყდება ერის ბედი, მისი სამომავლო პერსპექტივები და ამ ამოცანების იგნორირებისა და განუხორციელებლობის შემთხვევაში ნებისმიერი, – განსაკუთრებით კი ჩვენისთანა მცირერიცხოვანი, – ერი დასაღუპავადაა განწირული. ამასთანავე, „მნათობის“ პუბლიცისტების აზრით, ეროვნული ინტერესები და მისი განხორციელების საშუალებები თავისდათავად უნდა გულისხმობდეს საკუთრივ ეროვნულის ჰარმონიზაციას საერთო-საკაცობრიო ინტერესებსა და ღირებულებებთან და მომავლის პერსპექტივა აქვს მხოლოდ იმ ერს, რომელიც ინტერესთა და ღირებულებათა ამგვარ ჰარმონიზაციას შეძლებს. ამ მხრივ, უაღრესად საყურადღებოა ნ. ავალიშვილის, – „მნათობის“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი პროფილის განმსაზღვრელი ფიგურის, – ერთი გვიანდელი ტექსტი „პატრიოტობა თუ კოსმოპოლიტობა“, რომელშიც მკაფიოდ ჩანს ავტორის კრედო:

„ადამიანის თვისება – წარმატებისადმი მისწრაფებაა. ერის თვისებაც ეს არის. წარმატებისაკენ სავალად ყველა ერს თავისი გარემოებისა და მდგომარეობის შესაფერი გზა აქვს, ხოლო ამ გზის ამორჩევა და ერის წინძღოლა, კარგისა და ავის ჩვენება, სხვას არავის შეუძლიან, თუ არა ისევ იმისსავე შვილს, იმიტომ, რომ იმან უკეთ იცის თავისი ერის გარემოება-მდგომარეობა და იმასთან ურთიერთობის უმთავრესი იარაღი – ენაც ხელს უწყობს ამაში. ვინც თავისი ერის სიკეთის მოსურნეა, იმისი ჭირით მწუხარე და

იმისი ლხინით მომლხენი, იმის წარმატებისათვის მზრუნველი და მოქმედი, მამულიშვილიც იმასა ჰქვიან... მამულიშვილობა, პატრიოტიზმი, ისევე ბუნებითი გრძნობაა, როგორიც ოჯახის სიყვარულია ბუნებითი, გარნა ოჯახის სიყვარულზედ უფრო განვითარებული და უაღრესია; ამიტომაც არის, რომ მამულიშვილი, შემთხვევის ჟამს თავის ოჯახს თმობს და მამულს სწირავს სიცოცხლეს, მაგრამ ამ სიყვარულს სულაც არ მოსდევს სხვა ერის უარყოფა და სიძულვილი. პირიქით, მამულიშვილური გრძნობით გამსჭვალული ადამიანისათვის სხვა ერის სიყვარული აუცილებელიც არის. ესეც არ იყოს – ადამიანის ბუნებითი თვისება – სიყვარულია და ეს თვისება თავისთავად უარჰყოფს სხვისა სიძულვილს... მამულიშვილი სხვა ერის სიკეთეშიც ხედავს თავისი ერის სიკეთეს, და თუ იმისი მამულიშვილობა ყალბი არ არის, მის გულში სხვა ერის სიძულვილსაც ადგილი არა აქვს“.

„მნათობის“ სოციალურ და პოლიტიკურ პროფილზე მსჯელობისას ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ჟურნალის ეკლექტიკური ხასიათი, თუმცა უდავოა ის, რომ „მნათობში“ გამოქვეყნებულ ტექსტებში (მხატვრული იქნება ეს, პუბლიცისტური თუ კრიტიკულ-ლიტერატურული) მძლავრადაა შეჭრილი ხალხოსნური („ნაროდნიკული“) იდეოლოგია (სხვა საქმეა, არის თუ არა ხალხოსნური მსოფლმხედველობა ჟურნალის იდეური პროფილის განმსაზღვრელი ნიშანი). სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჟურნალში იბეჭდებოდნენ ისეთი მწერლები და პუბლიცისტები, რომლებიც საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებად ითვლებიან (ა. ფურცელაძე, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი და სხვ.). რაც შეეხება თვითონ ხალხოსნურ მსოფლმხედველობას, იგი ძირითად ხაზებში ასე გამოიყურება:

ხალხოსნობა („ნაროდნიკობა“; ჩვენში ხალხოსნებს „ტეტიათა მოტრფიალეებსაც“ უწოდებდნენ) ევროპაში აღმოცენდა 1870-იანი წლების დასაწყისში და, როგორც მონარქიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობა, სწრაფად გავრცელდა რუსეთში, სადაც იგი მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. რუსი (და მათი გავლენით – ქართველი) ხალხოსნების მიერ აღიარებული იყო გლეხობის წამყვანი რევოლუციური როლი პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ „გლეხური თემის“ ინსტიტუტზე დაყრდნობით პრაქტიკულად უნდა განხორციელებულიყო სოციალური თანასწორობის („გლეხური სოციალიზმის“) იდეა. შესაბამისად, ხალხოსნებისათვის მიუღებელი იყო სახელმწიფოს კაპიტალისტური განვითარების გზა და, ამ მხრივ, ისინი განსაკუთრებით უფრთხოდნენ ქვეყანაში პროლეტარიატის, – „ამ საშინელი და უბინაო ხალხის“, – გაჩენას.[3]

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკის გარშემო „მნათობსა“ და „დროება-კრებულს“ შორის მწვავე დაპირისპირების არსებითი მიზეზიც სწორედ ეს იყო – „დროება“-„კრებულის“ პუბლიცისტები ქვეყნის მომავალ კეთილდღეობას ძირითადად არა გლეხურ მეურნეობაში, არამედ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაში ხედავდნენ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საკუთრივ „მნათობის“ პუბლიცისტები გლეხური მეურნეობის (სათემო მიწათმფლობელობის) განვითარების გზაზე საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდნენ

[3] unda iTqvas, rom ufro adre, 1860-iani wlebis dasawyisSi, proletariatis Sesaxeb analogiuri Tvalsazrisi aqvs Camoyalibebuli dim. yifians: `sadac ki arseboben usaxlkaro, umiwawylo xalxi, proletarebi, _ iq sazogadoeba itanjeba maTgan... proletariati politikuri sxeulis avadmyofobaa; sadac is aRmoCndeba, maSinve saWiro aris mis gankurnebaze zrunva, rom ar ganviTardes mTeli organizmis sazianod~. amitomac, dim. yifianis SexedulebiT, saglexo reforma ise unda gatarebuliyo, rom miwa memamules darCenoda, glexs ki memamulis miwiT sargeblobis garantirebuli ufleba miscemoda. am gziT Tavadaznaurobac SeinarCunebda materialuri uzrunvelyofis safuZvels, glexic ascdeboda gaproletarebas da, Sesabamisad, qveyanac _ proletarizaciis safrTxes.

განათლების გავრცელებას („კაცს განათლებამ უნდა მისცეს ცხოვრების სახსარი“ – დიმ. ჯანაშვილი).[4]

„მნათობში“ ფართოდაა წარმოდგენილი ე. წ. უტოპიური სოციალიზმის იდეები. ნ. ავალიშვილის შეხედულებით, ხალხის დაყოფა წოდებებად თუ კლასებად თავისი ბუნებით მანკიერი, უსამართლო და პროგრესის შემაფერხებელი ვითარებაა. მომავალი კი ეკუთვნის ისეთ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას, რომელშიც საზოგადოება ჩამოყალიბდება როგორც ყველა ნიშნით, – წოდებრივად, კლასობრივად, უფლებრივად, ქონებრივად, – გათანასწორებულ ინდივიდთა ერთობლიობა. მეტ-ნაკლები სისრულითა თუ სიღრმით ამავე იდეებს ავითარებენ „მნათობის“ სხვა პუბლიცისტებიც (ა. ფურცელაძე, ნ. ინაშვილი და სხვ.). საგულისხმოა ისიც, რომ ჟურნალის ფურცლებზე (ორიგინალური წერილები, თარგმანები...) უხვად გვხვდება უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელთა სახელები (სენ-სიმონი, ფურიე, ოუენი, ბაბეფი, პრუდონი, ლუი ბლანი და სხვ.).

„მნათობის“ მიერ წამოჭრილი და დამუშავებული პრობლემატიკის მიმოხილვისას საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ფემინიზმის (ქალთა ემანსიპაციის) საკითხი. ამ მხრივ, აღსანიშნავია ჯონ სტიუარტ მილის „ქალების განთავისუფლება“, რომელიც თარგმნა და ვრცელი წინასიტყვით (არსებითად, დამოუკიდებელი სტატიის თანდართვით) „მნათობის“ 1869 წლის III (მაის-ივნისის) ნომერში გამოაქვეყნა ნ. ინაშვილმა. „ეს კითხვა არის იმ მნიშვნელობის კითხვა, რომელიც საზღვრავს ძველსა და ახალსა, რომელიც შემოიტანს კაცობრიობის ცხოვრებაში ახალს დასაწყისს“ – წერს ნ. ინაშვილი და მსჯელობს ცხოვრების ყველა სფეროში (ოჯახი, საზოგადოება, პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროები...) მამაკაცთან ქალის უფლებრივი გათანასწორების აუცილებლობის შესახებ: „ავარჯიშეთ ქალის ნიჭი ისე, როგორც ავარჯიშებთ კაცისას და თქვენ დაინახავთ, რის შემძლებელიც არის ქალი. გაუღეთ მას კარი სამოქალაქო ცხოვრებაში და ის შეიქნება ისეთივე გონიერი და კეთილ-საიმედო მოქალაქე, როგორც ერთი ჩვენთაგანი... ძირიანად უნდა შეიცვალოს ქალის აღზრდის საქმე... ჩვენ ვითხოვთ ისეთს თანხმობას და შეთანასწორებას, როგორიც არის მუსიკალური ჰარმონია, შემდგარი მრავალგვაროვან ხმათაგან“.

ავტორი მიმოიხილავს „ქალთა გათავისუფლების“ საკითხის ისტორიას (ვოლტერი, დიდრო და სხვ.) და დაასკვნის, რომ ქალთა ემანსიპაციის პრაქტიკული განხორციელება მხოლოდ სოციალიზმის პირობებშია შესაძლებელი (ნ. ინაშვილი ძირითადად ეყრდნობა ფრანგი სოციალისტ-უტოპისტის, სენ-სიმონის, შეხედულებებს). ა. ჯორჯაძის აზრით, „ქალთა საკითხის შესასწავლად ნ. ინაშვილმა მოამზადა ნიადაგი ქართულს ლიტერატურაში. და უნდა ვსთქვათ, რომ ყოველი ეს ლიტონი სიტყვა არ იყო იმ ხანებში“.

მართლაც, ნ. ინაშვილის პუბლიკაცია არ დარჩენილა „ლიტონ სიტყვად“. მას შესამჩნევი რეზონანსი მოჰყვა ქართულ პრესაში (ს. მესხი, დ. მიქელაძე, ეკ. ღვინიაშვილი, ივ. ელიოზიშვილი, გ. გამრეკელი-თორელი და სხვ.).

[4] xalxosnurma ideologiam saqarTveloSi marcxi ganicada da am marcxis ZiriTadi mizezi iyo saqarTveloSi batonymur urTierTobaTa istoriulad Camoyalibebuli is samarTlebrivi da adaTiT gansazRvruli principebi, romlebzec adre gvqonda saubari (Tavi _ `ivane kereseliZis `ciskari~). mogvianebiT qarTvel xalxosanTa erTma nawilma uaryo ganviTarebis revoluciuri gza da isini, _ TavianTi TviTSegnebiTa da interesebiT `TergdaleulTa~ kalTidan gamosulni, _ daubrundnen i. WavWavaZis mier Camoyalibebul liberalur-demokratiul `wiaRs~, kerZod, ilias `iverias~ da Tavic gamoiCines kulturul-saganmanaTleblo da saliteraturo sarbielze. am mxriv, sagulisxmoa, rom TviT iseTma radikalurad ganwyobilma revolucioner-`narodnikmac~ ki, rogoric mixeil (miSo) qaixosros Ze yifiani iyo (risTvisac, sxvaTa Soris, orjer iyo `gacimbirebuli~), rTuli da Sinaarsiani cxovreba daasrula rogorc Tavisi drois TvalsaCino kulturtregerma.

საერთოდ, 1870-იანი წლების დასაწყისი საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე ქართველ ქალთა გააქტიურებით აღინიშნა. დაარსდა კიდევაც „ქართველ ქალთა ამხანაგობა“ (ელ. ყიფიანი, ეკ. გაბაშვილი, ეკ. მელიქიშვილი), რომელმაც 1872 წელს გამოსცა კრებული „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (შესულია უცხოელ ავტორთა ნაწარმოებები, მათ შორის, ნაწყვეტი ვ. ჰიუგოს რომანიდან – „საბრალონი“). თავისთავად კრებული ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ღირსებებით არ გამოირჩევა, მაგრამ მან უდავოდ მისცა ბიძგი კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო ასპარეზზე ქართველ ქალთა გააქტიურებას. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ს. მესხს, რომელმაც „დროებაში“ გამოაქვეყნა ვრცელი რეცენზია, ზემოხსენებულ კრებულს უწოდა „შესანიშნავი მოვლინება“ და აღნიშნა: „როგორ არ უნდა გვიხაროდეს ჩვენ, როდესაც ჩვენშიაც ჩნდებიან ისეთი ქალები, რომელნიც მარტო ბალებში და ლოტოს თამაშში არ ეძებენ დროების გატარების საშუალებას და სიამოვნებას?.. კაცს, რასაკვირველია, სასიამოვნოდ უნდა მიაჩნდეს, როდესაც ის საზოგადოებაში თითო-ოროლა ისეთ ქალს მაინც ხედავს, რომელნიც ახალს გზაზე დადგომის სურვილს აცხადებენ. ამ პატარა წიგნის გამოცემა გვარწმუნებს ჩვენ, რომ ამგვარი ქალები მართლაც გამოჩენილან ჩვენში და თავიანთ სურვილს ისინი მარტო სიტყვით არ აცხადებენ“.[5]

„ქალთა საკითხთან“ დაკავშირებით ს. მესხი „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება“ შეეხო იმდროინდელი ქართველი საზოგადოების კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს – საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნიჰილიზმს ქალთა უმაღლესი განათლების მიმართ („ვინ ქალი და ვინ ექიმიო?! პანსიონი გაუთავებიათ, ქმარი შეირთონ და მოისვენონო!“). ს. მესხის შეხედულებით კი, „ის ქალები, რომელნიც წინ აღუდგნენ საზოგადოების ბრმა აზრსა და მოახერხეს თავის გონიერის გზაზე დადგომა, – ამისთანა ქალებს იმდენი ზნეობითი ძალა კიდევ ექნებათ, რომ თავიანთი გულითადი წადილი შეასრულონ და განსწავლულნი დაბრუნდნენ უკან, თავიანთ ქვეყანაში“.

მიუხედავად ქართველ მოღვაწეთა ამგვარი მოწოდებებისა, საზოგადოებრივი აზრის ინერცია მაინც მოქმედებდა – 1873 წელს „დროებაშივე“ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ელისაბედ ყაზბეგი აქვეყნებს წერილს, რომელშიც ავტორი გამოხატავს სინანულის იმის გამო, რომ პეტერბურგის არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში იმ დროისათვის არ სწავლობდა არც ერთი ქართველი (საერთოდ, კავკასიელი) ქალი: „როგორ არ უნდა გვრცხვენოდეს კავკაზიელ ქალებსა, რომ დღემდინ ერთი მაგალითი არა ყოფილა, რომ ჩვენებური ქალი ასპარეზზე გამოსულიყვეს საომრად უგუნურებასთან და უმეცრებასთან?“ და ა. შ.

ასეა თუ ისე, „მნათობის“ მიერ ქალთა ემანსიპაციის საკითხის დასმა და მისგან გამოწვეული რეზონანსი ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს 1860-1870 წლების მიჯნის ქართული ჟურნალისტიკისა და ზოგადად საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში.

„მნათობი“ თავისი პროფილით სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალია და, ბუნებრივია, მასში სწორედ ამ ტიპის მასალა (ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ტექსტები,

[5] aRniSnul gamocemas Jurnal `krebulSi~ (1872, #10) recenziiT niko nikolaZec gamoexmaura. recenzentis TqmiT, `qarTvel qalebis Sroma sworeT saamo da bednieri movlenaa Cven bed-Sav mwerlobaSi... vin icis, ramden ymawvilur aRtacebas... mohklebian isini im azriT, rom ramdenime maneTi moenarCunaT, da amrigaT TiTo-orola maneTiT Sekrebili fuliT daebeWdaT TavianTi naRvawi?~ gansxvavebiT s. mesxisagan, romelic Segnebulad moerida TargmanTa krebulis Sedgenilobisa da literaturuli xarisxis kritikas, n. nikolaZe miiCnevs, rom axalbeda literatorebs unda `movepyraT rogorc toli tols, kacurad, piruTvnelad da gulgaSlilad. Cven imaT rodi unda vakadroT arc bavSvuri Tavze xelis dasma, arc ymawviluri maRal-kiloianoba~. amis Semdeg recenzenti iZleva `qarTvel qalTa amxanagobis~ TargmanTa mkacr, safuZvlian da miudgomel kritikul ganxilvas.

კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები, საისტორიო ნაშრომები, საისტორიო წყაროების პუბლიკაციები) ჭარბობს.

„მნათობი“ აღიარებს ლიტერატურის საზოგადოებრივ დანიშნულებას და ამ თვალსაზრისს ამკვიდრებს კიდევაც სალიტერატურო პრაქტიკაში. ნ. ავალიშვილის შეხედულებით, „ლიტერატურა არსებობს ცხოვრების ასაწერად, მისი ცუდისა და კარგის თვისების გამოაშკარავებისათვის“. ჟურნალში იბეჭდება თვალსაჩინო პოეტების: რაფიელ ერისთავის, მამია გურიელის, გიორგი ჭალადიდელისა და სხვ. თხზულებები. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალში გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის რამდენიმე ლექსი („ზოგიერთების ლოცვა“, „პასუხი ჭალადიდელისადმი“, „ყეენობა“, „ზოგიერთების მამაო ჩვენო“...) და ილია ჭავჭავაძის „სიმღერა“ („დედამ რომ შვილი გაზარდოს...“; ამჟამად ეს ლექსი ცნობილია სათაურით – „ქართველ სტუდენტების სიმღერა“), აგრეთვე, ხალხოსანი მწერლის, ნიკო ლომოურის, რამდენიმე ლექსი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „მნათობში“ ჭარბობს პოეტური ტექსტები, რომელთა ავტორებს რამდენადმე შესამჩნევი კვალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში არ დაუტოვებიათ (გ. იოსელიანი-წყალტუბელი, დიმ. ბერიევი, პ. თუმანიშვილი და სხვ.). რაც შეეხება პროზას, ჟურნალმა „სულ ხუთიოდე ავტორის თერთმეტი მოთხრობა და ერთი რომანი მიაწოდა მკითხველს“ (ალ. კალანდაძე). უნდა ითქვას, რომ ანტონ ფურცელაძე, როგორც პროზაიკოსი, მთელი თავისი ღირსება-ნაკლოვანებებით სწორედ „მნათობში“ წარმოჩნდა („მართა“, „ქიტესა“, „მაცი ხვიტია“ და სხვ.; „მნათობშივე“ გამოქვეყნდა მისი რამდენიმე ლექსი და ტრაგედია „დიდი მოურავი“).

„მნათობის“ ლიტერატურულ ტექსტებში და, განსაკუთრებით, პოეზიაში ჭარბობს სოციალური თემატიკა და მწერლობის უტილიტარული გაგება (მხატვრული ფორმისა და ესთეტიკური პრინციპების იგნორირება, შესაბამისად, ტექსტის იდეურ და შინაარსობრივ კომპონენტებზე პედალირება და სხვ.), რაც „დროება“-„კრებულის“ მხრიდან იქცა კიდევაც მკაცრი კრიტიკის საგნად. ასე, მაგალითად, ამ საკითხზე კ. ლორთქიფანიძე წერდა: „ლექსების, ნამდვილ ლექსების, წერა ალა-ალა არ არის. იმათ ჰგონიათ, თუ მარცვლები შეაწყეს და კბილებჩამტვრეული რითმები მოძებნეს, ლექსები მზად არისო. თუ ამასთან ლექსებში... რამე „სამოქალაქო მოტივებიც“ ჩააჩხირეს, მაშინ ხომ ზეცას მიფრინავენ... პოეტობისათვის კაცმა ყოველმხრივ და ღრმად უნდა იცოდეს კაცობრიობის წარსული და ახლანდელი ცხოვრება, რომ იმისი კრიტიკა და ახალი ცხოვრების დანახვა შეეძლოს. პოეტი მარტო თავის ინსტიქტს არ უნდა მისდევდეს. იმან ღრმად უნდა შეისწავლოს კაცობრიობის პოეტური ნიჭის ნაწარმოები და ამასთან ნამდვილი ესთეტიკური თეორია“.

განსხვავებული ვითარებაა განყოფილებაში „დამატება“, რომელშიც თარგმანები (პოეზია, პროზა, დრამატურგია) იბეჭდებოდა. „მნათობის“ მთარგმნელობითი პოლიტიკა უნისონშია იმდროინდელი ქართული სალიტერატურო პროცესების კარდინალურ მიმართულებასთან – ჩვენი მწერლობის ევროპეიზაციის მაგისტრალურ ხაზთან. ჟურნალში ძირითადად ქვეყნდება დასავლეთევროპელ ავტორთა (შექსპირი, სერვანტესი, მოლიერი, შილერი, ბაირონი, ბერანჟე...) თხზულებების თარგმანები და ამ მხრივ პროდუქტიულობით გამოირჩევა იოსებ ბაქრაძე, თუმცა „მნათობის“ მთარგმნელობით პოლიტიკასა და მხატვრულ დონესაც ნიკო ავალიშვილი განსაზღვრავდა (სერვანტესის „დონ-კიხოტის“ არასრული თარგმანი, შილერის „ვილჰელმ ტელი“ და „ფიესკოს შეთქმულება“; აღსანიშნავია აგრეთვე შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ დიმ. ყიფიანისეული თარგმანი). მართალია, „მნათობში“ გამოქვეყნებული თარგმანები (ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობა) ვერ დააკმაყოფილებს თანამედროვე მკითხველის გემოვნებას, მაგრამ თუ საკითხს ისტორიზმის პრინციპით მივუდგებით, შეიძლება ითქვას, რომ „მნათობმა“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მთარგმნელობითი ტრადიციების აღორძინებასა და განვითარებაში.

„მნათობი“ საგანგებო ყურადღებას უთმობდა საქართველოს ისტორიის შესწავლასა და პოპულარიზაციას. ამ მხრივ აღსანიშნავია დიმ. ბაქრაძისა („საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი. შემდეგი დრო მიტრიდატ დიდის სიკვდილამდე“, „საქართველო მირიან მეფის დროს“ და სხვ.) და დიმ. ჯანაშვილის („ინგილო ჯანაშვილი“) ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები საინგილოს შესახებ. ჟურნალში გამოქვეყნდა უაღრესად საინტერსო საისტორიო წყაროები, მათ შორის, ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „მნათობი“ საინტერესო ეტაპს ქმნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების გზაზე. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ „მნათობი“, მიუხედავად „ხალხოსნურ“-„ნაროდნიკული“ იდეოლოგიის მიმართ გამოვლენილი სიმპათიებისა, სავსებით თავისუფალია ისტორიული წარსულისადმი „ნაროდნიკული“ მოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნიჰილისტური დამოკიდებულებისაგან.

„მნათობი“ სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდა განათლების გავრცელებას. ამ მხრივ, საყურადღებოა ნ. ავალიშვილის „შინაური მიმოხილვები“ – ავტორი მსჯელობს სასწავლებლებში წოდებრივი პრივილეგიების დაუშვებლობაზე, საყოველთაო, უფასო და სავალდებულო (როგორც ვაჟების, ისე ქალებისათვის) განათლების აუცილებლობაზე და სხვ.; „მნათობის“ პუბლიცისტები განათლებას ანიჭებენ პრაგმატულ ღირებულებას, აკავშირებენ მას სოციალურ პრობლემატიკასთან და ხალხის მატერიალურ-ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, პირველ რიგში, განათლების ნაკლებობით ხსნიან.

„მნათობი“ მნიშვნელოვან ეტაპს ქმნის ქართული თეატრალური აზროვნების განვითარებაში. ნ. ავალიშვილი, როგორც ზემოთ აღინიშნა, თვალსაჩინო ფიგურაა ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში. პირველ რიგში, სწორედ ნ. ავალიშვილს (დიმ. ყიფიანთან ერთად) უკავშირდება 1860-იან წლებში დაქვეითებული (თითქმის გამქრალი) თეატრალური ცხოვრების გამოცოცხლება და აღორძინება და ამ პროცესმა, ბუნებრივია, სათანადო ასახვა პოვა ჟურნალის ფურცლებზე (ორიგინალური და ნათარგმნი პიესების ბეჭდვა, თეატრალური პრობლემატიკის გაშუქება, თეორიული ხასიათის სტატიები, თეატრალური რეცენზიები და სხვ.). სტატიაში „თეატრის მნიშვნელობა და მისი საჭიროება ჩვენი საზოგადოებისათვის“ ნ. ავალიშვილი აღნიშნავს: „თეატრი არის სხვა საშუალებათა შორის ერთი საშუალებათაგანი განათლების გავრცელებისათვის... სახალხო თეატრი ხალხის აღზრდისათვის, ხასიათების გაპატიოსნებისათვის, ცხოვრების დაწმენდისათვის და საზოგადოდ ხალხის განათლებისათვის საუკეთესო შკოლას, ანუ სასწავლებელს, შეადგენს... თეატრი უნდა არსებობდეს ცხოვრების ასაწერად, მისი ცუდისა და კარგის თვისების საჩვენებლად... თეატრი არის განათლების ტაძარი... განათლების სარკე, რომელშიც ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე შეუძლია თავისი თვალით დაინახოს თავისი ცხოვრება მისი ღირსებითა და ნაკლოვანებითურთ“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს თეატრის საგანმანათლებლო და შემეცნებით მნიშვნელობაზე და, ამასთანავე, მიიჩნევს მას მშობლიური ენის დაცვა-განვითარებისა და ეროვნული იდეების პოპულარიზაციის მნიშვნელოვან კერად. ამდენად, ნ. ავალიშვილი (და, შესაბამისად, ჟურნალი „მნათობი“) ასაბუთებს და ავითარებს ქართველ სამოციანელთა და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის შეხედულებას თეატრალური ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ.

1870 წელს „მნათობის“ რედაქციამ ქართული თეატრალური ცხოვრებისათვის სისტემური სახის მიცემის მიზნითა და პროფესიული თეატრის აღდგენისათვის ნიადაგის მოსამზადებლად ჩამოაყალიბა „თეატრალური კომიტეტი“ (ვ. თულაშვილი, ნ. ავალიშვილი, ა. ფურცელაძე). ეს „კომიტეტი“ მომდევნო წლებში გაფართოვდა და გარდაიქმნა „ქართულ თეატრალურ ამხანაგობად“, რომელმაც ჯერ ჩამოაყალიბა პროფესიული ქართული თეატრალური დასი (1879), ხოლო 1881 წლის იანვარში დააარსა თეატრალური ცხოვრების ხელმძღვანელი და მაკოორდინირებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია – „ქართული

დრამატიული საზოგადოება“. „ივერიის“ ერთი გვიანდელი შეფასებით, „ეს (1870 – თ. ჯ.) წელიწადი სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ქართულის ეროვნულის თეატრის დაფუძნების დასაწყისად, უმფარველოდ, საკუთარის მისწრაფებით და საკუთარს ძალ-ღონეზედ დანდობით“.

„მნათობი“ ვერ გადაურჩა მატერიალურ-ფინანსურ პრობლემებს, რაც, პირველ რიგში, ხელის მომწერთა სიმცირეში გამოიხატა (ხელის მომწერთა რაოდენობა მერყეობდა 150-დან 180-მდე. ამას ემატებოდა უფასოდ დარიგებული დაახლოებით 100 ეგზემპლარი). რედაქცია განიცდიდა ლიტერატურული მასალის ნაკლებობასაც, დაირღვა პერიოდულობა,[6] გაჭირდა ცენზურასთან გამკლავება, ხოლო 1872 წლის დასასრულს შიდასარედაქციო განხეთქილებამაც იჩინა თავი (განხეთქილების მოთავე, რასაკვირველია, იყო ა. ფურცელაძე და ამით ასრულდა კიდევაც „დროების“ წინასწარმეტყველება – „მნათობს“ ანტონ ფურცელაძე გადაიყოლებსო).

„მნათობის“ დახურვის ძირითად მიზეზად სამეცნიერო ლიტერატურაში ითვლება „დროება“-„კრებულთან“ წაგებული პოლემიკა. ქართული პრესის იმდროინდელმა წამყვანმა გამოცემებმა, მიუხედავად საერთო ეროვნული ინტერესებისა, ვერ მოახერხეს, სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე შეხედულებათა განსხვავებულობა კონსტრუქციული დიალოგის კალაპოტში წარემართათ და ამიტომ კამათი თანდათანობით დაუნდობელ და ურთიერთშეურაცხმყოფელ ბრძოლაში გადაიზარდა. ასე რომ, „მნათობსა“ და „დროება“-„კრებულს“ შორის დაპირისპირებაში გამოიკვეთა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ერთი არსებითი ნიშანი – ერთი და იმავე მიზნის გარშემო კონსოლიდაციის შეუძლებლობა და, საგულისხმოა, რომ ა. ჯორჯაძეს სწორედ ზემოაღნიშნულ პოლემიკაზე დაყრდნობით გამოაქვს ასეთი ზოგადი ხასიათის დასკვნა: „ჩვენი ინტელიგენტი ინდივიდუალისტია. ჯგუფობრივობა თითქოს მის ბუნებას ეწინააღმდეგება. ჩვენ სრულიად არა ვგევართ რუს-ინტელიგენციას. იქ კრებულობითი დასაწყისია, აქ პირადი, იქ „თემობა“, აქ „კერძოობა“.

ლიტერატურა:

ბოცვაძე ი. სერგეი მესხი და 70-80-იანი წლების ქართული პრესა. თბ.: 1968, გვ. 91-93.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, IV (XIX ს. 70-იანი წლები და 80-იანი წლების დასაწყისი). თბ.: 1986, გვ. 9-239.

კარიჭაშვილი დ. ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. „წიგნის მეგობარი“, 1925, №1-2, გვ. 104-105.

კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). წიგნში: **ვ. კოტეტიშვილი**. რჩეული ნაწერები (ორ წიგნად). **დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, წგნ. I. თბ.: 1965, გვ. 414-422.

ქვარიანი თ. გაზეთი „თეატრი“. თბ.: 1974, გვ. 53-63.

ჩიკვილაძე დ. ჟურნალი „კრებული“ (1871-1873 წწ.). წიგნში: **დ. ჩიკვილაძე**. წერილები (ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხები). თბ.: 1989, გვ. 171-176.

ცაიშვილი სოლ. ნიკო ავალიშვილი. თბ.: 1955, გვ. 14-16,71-92.

ძაძამია მ. განათლების საკითხები ჟურნალ „მნათობში“ (1869-1872 წწ.). „სკოლა და ცხოვრება“, 1967, №10, გვ. 69-73.

ძაძამია მ. ნიკო ავალიშვილის „მნათობი“ და თეატრი. „საბჭოთა ხელოვნება“, 1968, №1, გვ. 41-48.

[6] 1869 wels gamoica `mnaTobis~ 10 nomeri, 1870 wels _ mxolod 4 nomeri, 1871 wels _ 8 nomeri, xolo 1872 wels _ 12 nomeri. ase rom, sul daibeWda Jurnalis 34 nomeri 25 wignad (zogjer nomrebi erT wignad gamodioda).

ძაძამია მ. ჟურნალი „მნათობი“ (1869-1872 წწ.). დაარსების ისტორია. კრბ. „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (**დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, V, 1976, გვ. 170-216).

წერეთელი მ. ნიკო ავალიშვილის პუბლიცისტიკა. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1983, №2, გვ. 60-70.

წერეთელი მ. ნიკო ავალიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი. კრბ. „ქართული ჟურნალისტიკა“ (V, 1984, გვ. 40-48).

წერეთელი მ. ნიკო ავალიშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობა. კრბ. „ქართული ჟურნალისტიკა“ (VI, 1985, გვ. 62-71).

წერეთელი მ. ნიკო ავალიშვილის თეატრალური მოღვაწეობიდან. „თეატრი და ცხოვრება“. 1997, №2-3, გვ. 81-89.

ჭიჭინაძე ზ. ქართულ გაზეთის ასი წლის ისტორია. ტფ.: 1916, გვ. 37-39.

ჭუმბურიძე ჯ. სალიტერატურო კრიტიკა ჟურნალ „მნათობში“ (1869-1872 წწ.). წიგნში: **ჯ. ჭუმბურიძე.** მეცხრამეტე საუკუნე (ლიტერატურული ნარკვევები). თბ.: 2004, გვ. 158-180.

ხუნდაძე ს. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I. ტფ.: 1927, გვ. 127-180,213-240.

ჯორჯაძე ა. მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის. წიგნში: **ა. ჯორჯაძე.** წერილები. შემდგენელი **ა. ბაქრაძე**. თბ.: 1989, გვ. 251-261.

ბიბლიოგრაფია იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945), შედგენილი **გ. ბაქრაძის** მიერ, **ვ. ეგნატაშვილის** რედაქციით. თბ.: 1947, გვ. 7-8.

Абрамишвили А. Грузинская периодика (1819-1917). Тб.: 1968, с. 41-42.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია იხ. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. I (1852-1877). **გ. აბზიანიძის** რედაქციით და წინასიტყვაობით, ბიბლიოგრაფიული რედაქცია და საძიებლები **თ. მაჭავარიანისა**. თბ.: 1940.

ჟურნალი „კრებული“

(1871-1873)

„დროებასთან“ დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ ახალი პერიოდული გამოცემის ინიციატორები თავიდან არჩევანის წინაშე იდგნენ – გაზეთი გამოეცათ თუ ჟურნალი. იქვე დავიმოწმეთ ნიკ. ღოღობერიძის წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი: „ჩვენის აზრით, გაზეთი უფრო სასარგებლო იქმნება ჩვენის ხალხისათვის, მინამ ჟურნალი. ჟურნალის დიდს სტატიებს ვერ ერეოდნენ ჩვენი მოუმზადებელი მკითხველები, გაზეთის მოკლე სტატიები, რასაკვირველია, უფრო ადვილი გასაგონია...“. დროთა განმავლობაში „დიდი სტატიების“ ბეჭდვის აუცილებლობაც გაჩნდა. „დროება“ ვერც ვრცელი მოცულობის მხატვრული ტექსტების გამოქვეყნებას ახერხებდა და ყოველივე ამან გაზეთის მესვეურთა წინაშე ბუნებრივად დასვა ლიტერატურული დამატების გამოცემის საკითხი.[1] უნდა

[1] `droebis~ iniciatorebs literaturuli damatebis daarseba imTaviTve hqondaT ganzraxuli, magram maSin es idea ver ganxorcielda. 1866 wlis 12 ianvars nik. RoRoberiZe swers peterburgSi myof Tavis Zmas, daviT RoRoberiZes _ Cvens gazeTTan (`droebasTan~ _ T. j.) erTad gamova damateba wignad, romelSic

გავითვალისწინოთ „დროებასა“ და ჟურნალ „მნათობს“ შორის გაჩაღებული პოლემიკაც – „დროების“ პუბლიცისტებს დასჭირდათ მოწინააღმდეგისათვის ვრცელი და დასაბუთებული პასუხების გაცემა, რაც გაზეთისათვის მოუხერხებელი აღმოჩნდა და, ჩანს, ამ გარემოებამაც დააჩქარა „კრებულის“ გამოცემა.[2]

„დროების“ ლიტერატურული დამატების გამოცემა ს. მესხის ინიციატივა იყო. 1869 წელს, მას შემდეგ, რაც „დროების“ რედაქტორობა ითავა, ს. მესხი თბილისიდან პეტერბურგში სწერს კ. ლორთქიფანიძეს – „შეიძლება... წელიწადში სამი დამატება მაინც გამოვსცე“. იდეის განსახორციელებლად „დროების“ რედაქტორმა დახმარება სთხოვა თანამოაზრეებს (საზღვარგარეთიდან ახალდაბრუნებულ ნ. ნიკოლაძეს, აგრეთვე: ა. წერეთელს, კ. ლორთქიფანიძეს). 1870 წელი დასჭირდა ლიტერატურული დამატების მომზადებას, იმავე წლის დასასრულს დამატება დაიბეჭდა კიდევაც „კრებულის“ სახელწოდებით, 1871 წლის იანვარში ტირაჟის ნაწილი გასაყიდად გამოიტანეს, ნაწილი კი უფასოდ დაურიგეს „დროების“ ხელის მომწერებს („კრებულის“ I წიგნის დასაბეჭდად ცენზურის ნებართვა 1870 წ. 30 დეკემბერსაა გაცემული).

„კრებულის“ პირველი ნომრის შინაარსი ასეთია:

გრ. ორბელიანი, სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე, ლხინი ერევნის სიახლოეს 1-38

დოქტორი კრუპოვის თხზულებიდგან, კაცობრიობის სულის ავათმყოფობაზე, რუსულით თარგმნილი **გ. წერეთლისაგან** [ნაწყვეტი **ალ. გერცენის** რომანიდან – „ექიმი კრუპოვი“] 39-107

******* [**ი. ჭავჭავაძე**], „სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი...“ 108

ნ. სკანდელი [**ნ. ნიკოლაძე**], ახალი საფრანგეთი. ისტორიული სურათები. I. საფრანგეთის მდგომარეობა წარსულ საუკუნეში 109-139

******* [**ი. ჭავჭავაძე**], „მესმის, მესმის, სანატრელი...“ 140

მორიგის ლაშქრობის განჩინება მეორე ერეკლე მეფისა 141-158

ნ. სკანდელი [**ნ. ნიკოლაძე**], საახალწლო (საუბარი მკითხველთან) 159-192

დამატება:

ჯ. სვიფტი, გულივერის მოგზაურობა, **ნ. სკანდელის** [**ნ. ნიკოლაძის**] თარგმანი [დასაწყისი] 1-48

1871 წლის თებერვლის დასაწყისში მკითხველმა მიიღო კიდევ ერთი ნომერი „კრებულისა“, მანამდე კი, 25 იანვარს, გიორგი წერეთელმა კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს (რომანოვს), წარუდგინა ოფიციალური თხოვნა ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალის, „კრებულის“, გამოცემის შესახებ. გ. წერეთელმა თხოვნას დაურთო ექვსპუნქტიანი პროგრამა:

1. ორიგინალური და ნათარგმნი პროზა, პოეზია და დრამატურგია („სცენები“).
2. სტატიები საისტორიო, ეკონომიკური და ბუნებისმეტყველების ისტორიის („...естество-исторического“) საკითხებზე.
3. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

---

daibeWdeba vrceli publikaciebi, Targmanebi da originalurebio. mkvlevar v. sifraSvilis varaudiT, nik. RoRoberiZis `werili Zmis saxelze sakuTari iniciativiT ar aris gagzavnili. werili dawerilia gazeT `droebis~ saredaqcio kolegiis gadawyvetilebiT, yovel SemTxvevaSi, misi TxovniT~.

[2] `mnaTobsa~ da `droeba~-`krebuls~ Soris gamarTul polemikas Cven wina TavSi (`Jurnali `mnaTobi~) SevexeT. aq ki mxolod imas davumatebT, rom es dapirispireba kinaRam sisxlisRvriT dasrulda _ a. furcelaZem meliqiSvilis stambaSi tyvia esrola n. nikolaZes, romelic mxolod bednierma SemTxvevam ixsna sikvdilisagan.

4. ცნობები საზოგადოებრივი ცხოვრების სიახლეებზე (პოლიტიკური საკითხების გამოკლებით).
5. ფელეტონი.
6. დამატება: რუსული და უცხოური კლასიკური მწერლობის ნიმუშთა თარგმანები.

1871 წლის 9 აპრილს მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსმა, ბარონმა ალ. ნიკოლაიმ, კავკასიის საცენზურო კომიტეტს ოფიციალურად აცნობა, რომ გიორგი წერეთელს მიეცა ჟურნალ „კრებულის“ გამოცემის უფლება. **აპრილშივე გამოვიდა მესამე ნომერი (ცენზურის ნებართვა გაცემულია 30 მარტს) და არსებითად აქედან იწყება „კრებულის“, როგორც დამოუკიდებელი პერიოდული გამოცემის (ჟურნალის), ისტორია** [„კრებულის“ პირველი ორი ნომერი „დროების“ ლიტერატურული დამატება რომ იყო, ამაზე მეტყველებს ს. მესხის „ფელეტონიც“ („დროება“, 1871, №11), რომელშიც ნათქვამია: „ჩვენს ენაზე ორი ახალი წიგნი გამოვიდა, სახელათ „კრებული“. ახლა ჩვენ შევიტყვეთ, რომ უფ. გ. წერეთელს განუზრახავს გამოსცეს ახალი ჟურნალი ამავე სახელით. პირველ ორ წიგნსაც სრულიად ჟურნალური ხასიათი ჰქონდა“].

მიუხედავად იმისა, რომ „კრებული“ დამოუკიდებელ გამოცემად იქცა, მან პრინციპულად შეინარჩუნა მჭიდრო სარედაქციო და იდეური კავშირი „დროებასთან“. საკმარისია ითქვას, რომ მკითხველს შეეძლო ამ ორი გამოცემის გამოწერა როგორც ცალ-ცალკე, ისე – ერთად. „კრებულის“ მესამე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით „დროებაში“ გამოქვეყნდა სარედაქციო განცხადება: „ამ ორ გამოცემას შუა, ხელის მოწერას გარდა, სხვა კავშირიც იქნება. ორივე რედაქციის აზრით, გაზეთს „დროებას“ ის დანიშნულება უნდა ჰქონდეს, რომ მკითხველი მასში ახალ ამბებს, თანამედროვე ცხოვრების გაკვრით გამოსახვას და დაფასებას პოულობდეს. გაზეთს საკმაო ადგილი არა აქვს მოთხრობებით, კომედიებით, რომანებით, დაწვრილებული ისტორიული სტატიებით, ვრცელი კრიტიკით და სწავლული გამოკვლევით გააცნოს მკითხველი ძველ და ახალ ბუნების და კაცობრიობის ცხოვრებას. ეს შრომა წიგნის, ჟურნალის საქმეა და ეს საქმე იკისრა „კრებულმა“; ჩვენ კი გვიკისრია გაზეთის საქმე. ამნაირათ, „კრებული“ და „დროება“ ჩვენ ლიტერატურაში ერთი მეორის დამხმარი და შემავსებელი იქნებიან“.

ითვლება, რომ ინიციატორებმა სახელწოდება ჟურნალს თავდაპირველად რუსული ტრადიციის მიბაძვით შეურჩიეს – თემატური პერიოდული გამოცემებისათვის სახელწოდებად „კრებულის“ („Сборник“) შერჩევა გავრცელებული იყო რუსულ პერიოდიკაში და, მისი ანალოგიით, კავკასიის რუსულენოვან პერიოდიკაშიც: „Сборник Кавказского общества сельского хозяйства“, „Сборник сведений о кавказских горцах“ და სხვ.; შემდეგ, როდესაც „კრებულის“ სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალად გარდაქმნა გადაწყდა, მას თავდაპირველი სახელწოდება ძირითადად ორი მიზეზის გამო შეუნარჩუნდა:

ა) ასე უფრო ადვილი იყო ხელისუფლებისაგან ნებართვის მიღება (ხდებოდა უკვე არსებული გამოცემის ტრანსფორმაცია და არა ახალი გამოცემის დაარსება).

ბ) ჟურნალის სახელწოდებას ნიკო ნიკოლაძემ ახალი შინაარსი შესძინა – იგი გულისხმობდა არა ერთ კრებულში სხვადასხვა ხასიათის ტექსტების თავმოყრას, არამედ ერთი მიზნითა და ერთი იდეით შეკავშირებული ადამიანების ერთობლიობას (კრებულს). ამ მოსაზრებას ადასტურებს ნ. ნიკოლაძის ქალიშვილის, რუსუდან ნიკოლაძის, ერთი მოგონებაც: „მათი ჯგუფი („კრებულელები“) ამ სიტყვას „Боевая дружина“-ს შესატყვისად იყენებდა და არა „Сборник“-ის მნიშვნელობით“. დ. ჩიკვილაძის მიხედვით, ამასვე უნდა ადასტურებდეს ჟურნალის სახელწოდების გრაფიკული გამოსახულებაც – ერთმანეთში მჭიდროდ გადაწნული ასოები (1873 წლის ბოლო ნომრებში ჟურნალის სახელწოდების დაწერილობა სადა და ერთმანეთისაგან დაშორებული ასოებით შეიცვალა და გარეკანზე გამოცემის პროფილის განმსაზღვრელი სიტყვებიც გაჩნდა – **„სალიტერატურო ჟურნალი“**).

ცალკე საუბრის თემაა „კრებულის“ რედაქტორის ვინაობის საკითხი. როგორც ითქვა, თხოვნა ახალი ჟურნალის დაარსების თაობაზე ხელისუფლებას გიორგი წერეთელმა წარუდგინა და ხელისუფლებამაც რედაქტორ-გამომცემლად ის დაამტკიცა. ასეთი ვითარება შემდგომშიც შენარჩუნდა, თუმცა ეს საქმის მხოლოდ ფორმალური (ოფიციალური) მხარე იყო.[3] სინამდვილეში „კრებულის“ ფაქტობრივი რედაქტორი (ისევე, როგორც მისი იდეური საფუძვლებისა და ლიტერატურულ-პუბლიცისტური პროფილის განმსაზღვრელი) იყო ნიკო ნიკოლაძე (სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთ თავის ავტობიოგრაფიაში ნ. ნიკოლაძე გარკვევით წერს – „[1870] წლის დასასრულს დავაარსე ჟურნალი „კრებული“, რომელსაც ერთპიროვნულად ვხელმძღვანელობდი...“). ამას გარდა, ნ. ნიკოლაძე შეძლებული მამის შვილი იყო და ჟურნალის გამოცემას საკუთარ სახსრებსაც ახმარდა (ხელის მომწერთაგან შემოსული თანხა გამოცემის უზრუნველსაყოფად საკმარისი არ იყო). 1872-1873 წლებში ნ. ნიკოლაძეს რამდენჯერმე მოუხდა საზღვარგარეთ წასვლა და მისი თბილისში არყოფნისას სარედაქციო საქმეებს კირილე ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა (1873 წლის ოქტომბერში კ. ლორთქიფანიძე ჟურნალის რედაქტორად ოფიციალურადაც კი დამტკიცდა). ეს ყოველივე იწვევდა „კრებულის“ გამოცემის შეფერხებას (შიგადაშიგ – დროებით შეწყვეტასაც), თუმცა ნ. ნიკოლაძე თბილისში დაბრუნებისთანავე უკიდურესი ძალისხმევით ახერხებდა გამოტოვებული ნომრების ზედიზედ გამოცემას.[4]

ბუნებრივად დაისმის კითხვა: თუკი „კრებულს“ ფაქტობრივად ნ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, რატომ უნდა ყოფილიყო გ. წერეთელი ჟურნალის ოფიციალური რედაქტორი? საქმე ისაა, რომ ნ. ნიკოლაძე ითვლებოდა პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირად, იგი ახალდაბრუნებული იყო საზღვარგარეთიდან, – არსებითად ემიგრაციიდან, – და მისი წარდგენა „კრებულის“ ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემლად, რასაკვირველია, წინასწარვე იქნებოდა მარცხისათვის განწირული. ასე რომ: **„არსებობის მთელ პერიოდში... „კრებულს“ თითქმის განუწყვეტლივ სათავეში ედგა ნიკო ნიკოლაძე...** „კრებულის“ 22 ნომრიდან 19 ნომერი უშუალოდ ნ. ნიკოლაძის მიერ არის მომზადებული და დაბეჭდილი“ (ალ. კალანდაძე).

„კრებული“ იბეჭდებოდა „დუბელირის (გ. წერეთლისა და ამხანაგობის)“ სტამბაში [მოგვიანებით სახელი შეეცვალა – „გ. წერეთლისა და ამხ. (დუბელირის) სტამბა“]. ბოლო ნომრები დაიბეჭდა „მელიქიშვილის და ამხ.“ სტამბაში. რედაქცია თავიდან იმყოფებოდა სერგის (ამჟამად ივ. მაჩაბლის) ქუჩაზე, 1873 წელს – სოლოლაკში, სოლ. მირიმანოვის სახლში.

ალ. კალანდაძე თვლის, რომ ტირაჟი მერყეობდა დაახლოებით 900-დან (I წიგნი, რომელიც სწრაფად გაიყიდა და დამატებით კიდევ ერთხელ გამოიცა) 500 ეგზემპლარამდე. გრ. ყიფშიძის მიხედვით, ჟურნალი სტაბილურად გამოიცემოდა 500 ეგზემპლარად.

„კრებული“ ვრცელდებოდა როგორც მთელს საქართველოში, ისე რუსეთში (ძირითადად, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში) და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა შორისაც (პარიზი, ციურიხი, ჟენევა და სხვ.).

„კრებულის“ მუშაობას სისტემატურად აფერხებდა ცენზურა, რაც იწვევდა ცალკეული ნომრების დაგვიანებას, დასაბეჭდად მომზადებული ტექსტებიდან მონაკვეთების ამოშლას (ასე, მაგალითად, გ. წერეთლის პუბლიკაციაში „რა გვეჭირვება?“, მთელი რიგი

[3] TviTon JurnalSi redaqtor-gamomcemlad g. wereTeli mxolod samiode nomerSia miTiTebuli, sxva dros Jurnals xels awers `krebulis~ redaqcia~ (1872 wlis dekembridan Jurnalis redaqciis wevrebi iyvnen: n. nikolaZe, g. wereTeli, k. lorTqifaniZe da p. umikaSvili).

[4] d. CikvilaZis mtkicebiT, `krebulis~ 1872 w. VIII-IX (gaerTianebuli) nomeri Seudgenia da dasabeWdad moumzadebia p. umikaSvils.

მონაკვეთებისა, – და ზოგან თითქმის მთელი გვერდიც კი, – წერტილებით, ანუ ცენზურის მიერ ამოღებული ადგილებით, არის დაფარული; ანალოგიური ვითარებაა იმავე გ. წერეთლის წერილშიც – „ჩვენი საზოგადოების ქრონიკა“; ცენზურა შეუბრალებლად „ჩეხავდა“ სხვა ავტორების, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის, თხზულებებსაც). ამ საკითხთან დაკავშირებით, ს. მესხი „დროებაში“ (1873, №13) წერდა: „ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ეს უკანასკნელი სამი წიგნი „კრებულისა“ შარშან დეკემბერში იყო სრულიად მზათ, მაგრამ შემდეგ იმდენი წვალება, იმდენი წყა-გლეჯა გამოიარა, თუ **გარეგანი** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.) და თუ შინაგანი მიზეზის გამო, რომ გამოსვლით კი თებერვლის დამლევამდე ვერ გამოვიდა“.

ზემოთ ითქვა, რომ „კრებულის“, როგორც დამოუკიდებელი პერიოდული გამოცემის, ისტორია მესამე ნომრიდან იწყება – სწორედ ამ ნომერში გამოქვეყნდა გამოცემის ფაქტობრივი ხელმძღვანელის, ნიკო ნიკოლაძის, საპროგრამო ხასიათის წერილი „კრებულის“ დანიშნულებაზე“, აგრეთვე, იმავე ავტორის პროგრამული მნიშვნელობის წერილები სალიტერატურო კრიტიკისა („კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“) და განათლების („საზოგადო საქმეები. ახალგაზრდობის აღზრდა“) საკითხებზე.

ნ. ნიკოლაძის წერილში „კრებულის“ დანიშნულებაზე“ ჩამოყალიბებულია ჟურნალის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილი და მიზანდასახულობა:

„კრებულს“ ისეთივე მიზანი აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს თავის სიცოცხლეში ყოველ პატიოსან და ხეირიან კაცს, ესე იგი **თავისი საზოგადოების ბედნიერება“** – წერს ნ. ნიკოლაძე და იქვე განმარტავს, რომ ბედნიერება ისეთ საზოგადოებრივ გარემოში მიიღწევა, სადაც თითოეულ ადამიანსა და მთლიანად საზოგადოებას საკუთარი ნიჭის, შესაძლებლობებისა და ინტერესების რეალიზაციის საშუალება ეძლევა. ამგვარი ბედნიერების მიღწევა იმთავითვე იყო კაცობრიობის მიზანი, ხოლო ამ მიზნის პრაქტიკულ განხორციელებას ხელს ის უშლის, რომ ადამიანს თავისი ბედისა თუ უბედობის წყაროდ ზეგარდმო ან სტიქიური ძალები მიაჩნია და არა კაცობრივი უნარი – თვითონვე გამოჭედოს საკუთარი ცხოვრება: „ასე უნებებია ბედს, ფიქრობენ საზოგადოდ ამ საგანზე. მაშ, დავემორჩილოთ მის წმინდა განგებას... ეს ღვთის ნებააო, ღმერთს ასე გაუჩენიაო და ჩვენ აბა რა ხელი გვაქვს მის ნებას ვეწინააღმდეგოთო“. სინამდვილეშიო, – განაგრძობს ავტორი, – „კაცის ბედზე ძლიერი გავლენა აქვს თვითონ კაცს“, რომელსაც შეუძლია ბუნებრივი პირობების გარდაქმნა, გაუმჯობესება და „თავის სასარგებლოდ მოწყობა“. ამისათვის კი საჭიროა ბუნების კანონების გამორკვევა, „ბუნების დამჩაგვრელი ძალისგან გათავისუფლების სურვილი“ და ნიჭით, ცოდნითა და შრომით ცხოვრებისეული დაბრკოლებების (არახელაყრელი ბუნებრივი პირობები, ეპიდემიები და სხვ.) დაძლევა: „კაცისათვის, რომელიც ამ ქვეყანაში ბედნიერებას და ხეირიან ცხოვრებას ეძებს, ყველაზე უსაჭიროესი ცოდნა – ბუნების გამოკვლევაა. არც ერთი ცოდნა არ აძლიერებს კაცის გონებას ისე, როგორც ბუნების ცოდნა“.

მაგრამ ერთია ბუნების კანონთა ცოდნა, ხოლო მეორე – ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება ცხოვრების გასაუმჯობესებლად: „ის ცოდნა, რომელიც იკვლევს, თუ რა გზით უფრო სასარგებლოთ შეიძლება სხვა და სხვა სიმდიდრის შეძენა, ერთი სიმდიდრის მეორეში გაცვლა, რანაირათ უნდა მოქმედებდეს ამ შემთხვევებში საზოგადოება და მისი წარმომადგენელი მმართებლობა და რა გაწყობილება (სისტემა, წყობა – თ. ჯ.) გამოსადეგია ამ საქმეებში... ეს საგანი ეკუთვნის „საზოგადოების მეცნიერებას“ (Общественная наука), რომელიც ამ შემთხვევაში „ბუნების მეცნიერებას“ ავსებს და თან მის კერძო ნაწილს შეადგენს“.

„ჩვენ გვაკლია ეს ცოდნა, – ეს ნამეტნათ რბილათ არის ნათქვამი, უნდა გვეთქვა: „ჩვენ არაფერი გაგვეგება ამ ცოდნისა“ – ამბობს ნ. ნიკოლაძე და ყოველივე ამის ძირითად მიზეზად ქართველთა ისტორიულ ბედუკუღმართობას ასახელებს, კერძოდ იმას, რომ

მტერთა განუწყვეტელი თავდასხმების პირობებში „ჩვენ ხალხს არც დრო და არც შეძლება ჰქონდა თავის საკუთარ ცხოვრებას დაკვირვებოდა და იმ ნაირათ გაეწყო თავისი მდგომარეობა, როგორაც მის სარგებლობას და სიკეთეს შეეფერებოდა... ოსმალო, სპარსი, ლეკი თითქმის ყოველ დღე გვესეოდა თავზე...“. ქართველი კაცის მთელი საზრუნავი ის იყო, „თუ როგორ დაეფარა თავი ამ შესევნიდგან, რა გზით დაეცვა თავის ქვეყნის და ოჯახების სიმტკიცე და თავისუფლება. ოღონდ უწყალო და ამკლებელ გარეგან მტერს გადარჩენოდა ჩვენი ხალხი, და შინ რა ბედი დაემართებოდა, რა გაწყობილებაში იქნებოდა (როგორ სისტემას, წყობას შექმნიდა – თ. ჯ.), ამას ის აღარ ეძებდა“. უბედურება ისიც იყო, რომ ყველა მეზობელი, რომელიც მაშინ ქართველ ხალხს გარს ერტყა, აგრესიულად იყო მის მიმართ განწყობილი და თანაც „ყველანი იმნაირივე ველურ და ადამის წლის მდგომარეობაში იყვნენ, როგორც ჩვენ თვითონ... იმათაც ჩვენსავით თავიანთი მახინჯი საზოგადო გაწყობილება ღვთის განგებისგან დაწესებულათ მიაჩნდათ. ისე რომ, მისი გაუმჯობესების, შეცვლის ან გადასხვაფერების აზრი იმათ თავის დღეშიაც თავში არ მოსვლიათ“.

ერთი მხრივ, საკუთარ ქვეყანაში დატრიალებულმა უბედურებებმა, ხოლო მეორე მხრივ, აგრესიულ და კულტურული თვალსაზრისით გაქვავებულ სამეზობლო სივრცეში გამომწყვდევამ (განათლებული სამყაროსგან იძულებითმა იზოლაციამ), ნიკო ნიკოლაძის შეხედულებით, გამოიწვია საქართველოში განათლებისა და „ცხოვრების მეცნიერებათა“ სრული დეგრადაცია და გადაგვარება.

სად არის გამოსავალი?

გამოსავალი, ავტორის აზრით, ისაა, რომ ახალი (დღევანდელი) სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემა და წყობა „ევროპულ წესსა და ცხოვრებასთან, ევროპულ მეცნიერებასთან“ დაახლოების საშუალებას იძლევა. თვითონ ევროპელ ხალხებს „პირდაღებული და გულხელდაკრებილი კი არ მოუცდიათ ამ ბედისთვის, და არც ეს სიკეთეები ზეციდან ჩამოცვენიათ. არა, იმათ ძლიერ ბევრი უშრომიათ, ბევრი უმეცადინებიათ, ბევრნაირი საცადი უსინჯავთ, სანამ ეხლანდელ თავიანთ მდგომარეობას და მღიმარე ბედს მოიპოვებდნენ... ჩვენ უნდა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, თუ რანაირათ და რა გზით მიაღწიეს განათლებულმა ხალხებმა თავიანთ კეთილდღეობამდი, რა და რა წესი და გაწყობილება მოუგონიათ იმათ ამ კეთილდღეობის დასაფუძნებლათ და გასაძლიერებლათ. ჩვენ არც ამ გზას ვიცნობთ ჯერ, არც ამ წესს. ჩვენი უმეცრება ამ საგნებში ისეთი უსამზღვროა, რომ ზოგიერთი იშვიათი განათლებული პირებიც რომ გვირევია ჩვენში, იმათაც არ იციან ხეირიანათ ეს გზა და ეს წესი. საზოგადოება ხომ, რასაკვირველია, სრულიად უმეცარია ამ საქმეში“.[5]

[5] ufro adre igive Tvalsazrisi Camoayaliba dimitri yifianma: `mecxramete saukuneSi sircxvilic kia, Cven, qarTvelebma, ar vicodeT, vin sad rogor aris, rasa fiqrobs, rasa moqmedebs da ras mieltvis. diax, Cven vxedavT, rogoraTac evropielebsT uyvarsT TavianTi mSobeli mamuli da cdiloben miss amaRlebisaTvis, ZlierebisaTvis da didebisaTvis; vxedavT, rogoraTac isini mouRalavaT mieltvian gonebis ganaTlebasa, gulis ganviTarebasa, xelovnebis gamSvenierebasa da rogoraTac, amitom, Seupovrad da TavSewirulobiT ebrZvian bunebasa, gamoikvleven imiss kanonebsa da, hpoeben ra imiss saidumloebasa, ganavrceleben miT swavlasa. swavla naTelia da gviCvenebs kacis did daniSnulebasa... evropielebis magaliTi gvaswavlis, rom kacma unda mouRalavad amuSaos goneba da xeli, da ufro sazogado sargeblobisaTvis. nuravin SeSindeba fiqriT, rom isi dahkargavs sakuTars sargeblobasa, Tu sazogado sargeblobisaTvis Rvawls dasdebs... nayofi erTis mxriT didad Seemateba mamulsa, meores mxriT, gadiqceva patronisve sakuTrebad da miT isargeblebs isi. yovelive mzaTa gvaqvs _ evropielebisagan mofiqrebuli, gakeTebuli da saqmeSi Semotanili. CvenRa, romelTac araferze Sroma ara gaviwevia-ra, gvrCeba mxoloT, rom es mzaT SemuSavebuli miviTvisoT Cven sasargeblod. Cven mogvindeba arc measedi im Sromisa, romelic evropielT gaswies. imedi maqvs, yvela dameTanxmos amazed, imitom, rom Tavdapirveli moZebna,

მაშასადამე, ევროპელებს სწორედ ამაში უნდა მივბაძოთ – განათლების გავრცელებაში, მეცნიერების ათვისებაში, სამართლიანობის დამკვიდრებაში, ზნეობრიობის გაუმჯობესებაში, გონების გახსნაში, პატიოსან აღებ-მიცემობაში და ყოველივე ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ საზოგადოებრივ წიაღს ღირსეული წინამძღოლების წარმოშობის უნარი აღმოაჩნდება, რამდენადაც, „ქვეყანაში ჯერ არც ერთი სიკეთე, არც ერთი სასარგებლო საქმე არ გარიგებულა უხეირო და სუსტი კაცის ხელით, არც ერთი ამამაღლებელი აზრი არ დაბადებულა მის თავში. რაც კაცობრიობას სახეირო და სასახელო რამ ღირსებია თავის სიცოცხლეში, ეს ყველაფერი გაუკეთებია მისთვის მართალი და პატიოსანი ხასიათის პირებს, რომელნიც თავიანთი აზრით, მოქმედებით და ხასიათით ამშვენიერებენ, აუკეთესებენ და ასახელებენ კაცობრიობას. უწმინდური ხელით წმინდა რამ თავის დღეში არ გაკეთებულა... ყოველ საქმეს, ყოველ მიზანს კაცის შრომა და ძალა სჭირია, ისეთი შრომა და ძალა, რომელსაც ათასნაირი დაბრკოლების დათრგუნვა შეეძლოს... ათასჯერ და ათი ათასჯერ უმეტესი შრომა და ჯაფა სჭირია იმას, ვისაც მხედველობაში საზოგადო საქმე და ხალხის სარგებლობა უნდა ჰქონდეს... საზოგადო ცხოვრება ისეთ რიგად იმართება ყოველგან, რომ საერო, საქვეყნო საქმეებს სანდო პირები მართავენ. იმათ უკისრიათ მთელი საზოგადოების წინმძღოლობა, მისი სარგებლობის და კეთილ-დღეობის დაცვა და ყურისგდება, მისი ბედის გაუკეთესება... დაბრკოლების მოსაცილებლად, მიზნის მისაღწევათ, ესე იგი საზოგადო ბედის გასაუკეთესებლათ, საჭიროა საზოგადოებისთვის მხნე, გონიერი, შეურყევლათ პატიოსანი და ნიჭიერი პირები, რომელთაც თავის საკუთარი სარგებლობა და მიზანი სრულიადაც არ უნდა ჰქონდეთ, რომელნიც საზოგადო საქმისთვის უნდა ცხოვრებდენ და საზოგადო მიზნისთვის უნდა კვდებოდენ“.

ნ. ნიკოლაძე საზოგადო და საქვეყნო საქმეებისათვის თავგანწირულ პირებს „დედამიწის მარილს“ უწოდებს და მათ ფუნქციად მიიჩნევს, დაარწმუნონ საკუთარი (პირადული) ინტერესების ნაჭუჭში გამომწყვდეული, საზოგადოებრივი პრობლემებისა და საყოველთაო მორალური პრინციპებისადმი გულგრილად განწყობილი ადამიანები, რომ „საზოგადო სიკეთე ჩვენი, ესე იგი შენი და ჩემი, სიკეთეა, რომ რაც უფრო მკვიდრი და ვრცელია საზოგადო სარგებლობა, მით უფრო მკვიდრ და შეურყეველ საფუძველზე დამყარებულია ყოველი კერძო პირის სიკეთე და კეთილდღეობა“. სწორედ ამგვარ პირთა წარმატებული ძალისხმევით მიიღწევა „ყველას და თითოეულის ბედნიერება“. დღესდღეობით კიო, – განაგრძობს ავტორი, – „ჩვენ შეურყევლათ ვსტკბებით ჩვენ საკუთარს კერძო ცხოვრებაში, სანამ ჩვენ საკუთარ ტყავს არ შეეხება ის სენი და ის ვნება, რომელიც წინეთ ჩვენს მახლობელს მიადგა. მაშინ კი ჩვენ ხმა-მაღლა ღრიალს და გოდებას ვიწყებთ. მაგრამ, ჩვენს უბედობას მახლობელი იმნაირივე გულგრილობით დასცქერის, როგორითაც ჩვენ მის უბედურებას დავყურებდით; თითო თითოს, ცალ-ცალკე, ნელ-ნელა, შეუნიშნავად გვჭამს ჩვენი ზნეობითი სენი და ჩვენ კი, უხასიათობისა (ნების სიმტკიცის არქონის – თ. ჯ.) და უზრუნველობის გამო, არ ვსცდილობთ, რომ ერთად, ძმურად თავიდან მოვიცილოთ ზემოხსენებული სენი, რომელიც ყველას ცალ-ცალკე, მაგრამ მაინც ყველას ერთნაირათ, გვაწუხებს და გვამდაბლებს“.

---

mopoeba, gakeTeba da gamSveniereba saganisa ufro Znelia, vidre gacnoba da miTviseba am saganisa swavliT. axla movixedoT Cvensken... yvelas sZinavs! aravisi goneba da xeli ar muSaoben! yvela miemzgavseba im yrmasa, romelic gulaRma iwva yurZnis qveS da natrobda, rom yurZeni TviTan Cavardnoda pirSi. yrmas survili mainc hqonda; CvenRa gana survilic ki gvaqvs, rom swavla TavisTavaT Cagvivardes TavSi, gulSi da xelebSi?.. uf. jimSeriZem (i. WavWavaZis fsevdonimia _ T. j.) es mZinaroba qarTvelisa gamogvixata `kacia, adamianSi~, magram `kacia, adamianis~ suraTSi me vxedav ufro naswavl qarTvelebsa, vinam uswavlelebsa...~ [myvirala (qarTleli) [dim. yifiani], Cveni nacarqeqiebi, `ciskari~, 1864, #1].

და ვინაიდან, პრესის დანიშნულება ისაა, „საზოგადო მდგომარეობა გამოხატოს და საზოგადო მიზანს მიუახლოვოს თავისი საზოგადოება“, ჟურნალი „კრებულიც“ სწორედ ამისთვის დაარსდა – გამოარკვიოს, „რა გზით და რანაირად შეუძლია საზოგადოებას ხეირიანი ცოდნის, შრომის და პატიოსანი ხასიათის შეძენა და სასარგებლოდ მოხმარება“. „კრებულმა“ ყოველი პატიოსანი ხერხით უნდა სცადოს საზოგადოებრივი განხეთქილების, „ერთმანეთის გლეჯის, ერთი მეორის შეუბრალებლობის“ აღმოფხვრა, შეძლოს საერთო მიზნებისა და საჭიროებების გარშემო საზოგადოებრივი თანხმობისა და კონსოლიდაციის მიღწევა და საზოგადოებაშივე არსებული ყველა რესურსის მიმართვა **„საზოგადო სარგებლობისა და სიკეთისაკენ“**.[6]

„კრებულის“ პუბლიცისტიკაში წამყვანი ადგილი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს უჭირავს. ჟურნალის პუბლიცისტურ მიმართულებასა და დონეს ძირითადად ორი ადამიანი განსაზღვრავდა: ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი; ისინი კი საქართველოს მომავალს მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას უკავშირებდნენ. ამასთანავე, **„კრებულის“ პუბლიცისტიკა გამოირჩევა უაღრესი პრაქტიციზმით** – „რა უნდა ავაშენოთ? როგორი საქართველო უნდა შევქმნათ? ეს პრობლემა მთელი თავისი სიძლიერით წამოიჭრა პრაქტიკულად მოაზროვნე ინტელიგენციის წინაშე“ (ს. ხუნდაძე). ჟურნალის მესვეურთა და ავტორთა სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური მსოფლმხედველობის ძირითად საფუძველს ევროპული სოციოლოგია წარმოადგენდა. სიმონ ხუნდაძე „კრებულელთა“ მსოფლმხედველობასა და ჟურნალისტური მოღვაწეობის მიზანდასახულობაზე მსჯელობისას აღნიშნავდა: „ეს ჯგუფი შეიარაღებული იყო ევროპული მეცნიერებით: პოლიტიკური ეკონომიის პრინციპებითა და საზოგადოებათმეცნირების დებულებებით... ინტელიგენციამ ბურჟუაზიული პროგრამა წამოაყენა, საქართველოს მოუწოდა ახალი, ევროპული შინაარსის ეკონომიური ურთიერთობისა და ძველ ფეოდალურ საზოგადოებასთან კავშირის გაწყვეტისაკენ.“ ჩვენ დავსძენთ, რომ „კრებულის“ მესვეურები და ავტორები, – ვთქვათ, „მნათობისაგან“ განსხვავებით, – უჩვეულო იდეურ-მსოფლმხედველობრივი სიცხადითა და მონოლითურობითაც გამოირჩეოდნენ.

საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკური სისტემის ევროპეიზაცია „კრებულის“ პუბლიცისტებს პროგრესის ერთადერთ გზად მიაჩნდათ, თუმცა ამ პროცესში რეალურ საფრთხეებსაც ხედავდნენ და, შესაბამისად, საგანგებოდ უსვამდნენ ხაზს ადგილობრივი ინიციატივების სასიცოცხლო მნიშვნელობას. ამ მხრივ, უაღრესად საყურადღებოა გიორგი წერეთლის წერილი – „საამხანაგო ბანკები (იმათი მნიშვნელობა და დაწყობილება)“ („კრებული“, 1872, №8-9), რომელშიც ავტორი სხვა რაკურსით სვამს (და აკონკრეტებს კიდევაც) ერთ-ერთ საკითხს, რომელზეც ნ. ნიკოლაძე მსჯელობს ზემოთ განხილულ წერილში. კერძოდ, ევროპულ სამყაროსთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები ჩვენთვის მხოლოდ მაშინ იქნება სასარგებლო, თუ ამ ურთიერთობებს ცოდნას, აქტიურობას (პრაქტიციზმს) და საკუთარი ინტერესების უცილობელ გათვალისწინებას დავახვედრებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არათუ მატერიალურ ინტერესებს ვერ დავიკმაყოფილებთ, შესაძლებელია, საერთოდ სამშობლო გამოგვეცალოს ხელიდან.

„ყოველს ცუდს გარემოებას ხალხის ცხოვრების წასახდენათ მოვლინებულსაც უეჭველათ მოუხერხდება რამე. ყოველს ერს შეუძლიან აიცდინოს თავიდგან იმის

[6] **Sdr**.: `Tu Jurnals unda keTilsvindisianad aRasrulos Tavisi Zneli saqme, unda TvalgafacicebiT Tan ahyves awindel cxovrebasa, raTa yovel aRmoSobil faqtsa Tvali da goneba adevnos; yovel azris sakeTilo moZraobas gza mihsces, yoveliferi SeniSnos da yovelsfers pasuxi gahsces, erTis sityviT, uSvelos cxovrebis win fexis gadadgmasa gasamjobineblad, gasakeTeblad~ (i. WavWavaZe. `saqarTvelos moambezed~).

მომაკვდინებელი სენი, თუ კი იხმარს მოსაგერებელს ღონისძიებას და ხელ-გულ დაკრეფილი არ დადგება“ – წერს გ. წერეთელი და განაგრძობს: რკინიგზა გავიყვანეთ ფოთსა და თბილისს შორის, მაგრამ „გამოჩნდა, რომ რკინის გზა ყოფილა გამართული იმ განათლებული ხალხებისთვის, რომელთაც ნამუშევრისა და ნაწარმოების უმრავლესობა (სიჭარბე – თ. ჯ.) აწუხებდათ, შემოსატანი მოხერხებული გზა არ ჰქონიათ ჩვენში და თურმე რკინის გზა უნდოდათ გაემართათ, რომ შესძლებიყოთ იმათი შემოტანა და გასაღება... ამ შრომის ბრძოლაში ჩვენ რაღა შეგვიძლიან?

იმათ აქვთ ფული, ჩვენ არა. იმათ აქვთ სწავლა, ჩვენ არა. იმათ იციან ყოველნაირი ხელობა, ჩვენ კი არა ვიცით-რა. იმათ აქვთ ქარხნები, ჩვენ კი არაფერი. მაშ გამოჩნდა, რომ ჩვენი რკინის გზა აპირებს ჩვენსავე ქვეყანაში უფულო, უსწავლელის, მოხელობის (წარმოების – თ. ჯ.) უცოდინელის საქართველოს, ანუ უკეთ ვთქვათ, კავკასიის ერების შებმას მდიდარ ევროპის ხალხებთან, რომელთაც აქვთ აუარებელი სიმდიდრე, საუკეთესო იარაღები, ყოველი ხელობის სწავლა, დიდი მეცნიერება და ამის შემდეგ შენ თვითონ გამოიცან, მკითხველო, ვის დარჩება ბურთი და მოედანი შემდეგში?..

აი, რას გვეუბნებიან განათლებული ხალხები: „გინდათ, რომ თქვენც ჩვენსავით ყოველნაირი მოხელობა გამართოთ და ამზადოთ საქონელი სხვებზე მისასყიდათ, მაშ ჩვენსავით ცოდნით იმუშავეთ და იაფათ აკეთეთ. თუ არა და თქვენსავე საქონელს [მატყლი, ბამბა, ხე, რკინა, სპილენძი, ქონი, ფისი და სხვ.] ჩვენ გადავაკეთებთ ჩვენს ქარხნებში, მოგიტანთ და ისე იაფათ მოგყიდით, რომ თქვენს შინაურს ხელოსნებს (მწარმოებლებს – თ. ჯ.) არ შეეძლოთ ისე კარგი საქონლის კეთება, არც ისე იაფათო. ამის გამო თქვენ იმათს კეთებას და ყოველნაირ მოხელეობას თავს დაანებებთ. მაშ, რას იზამთ, რომ არ დაანებებთ, როცა ჩემგან მოტანილს უკეთესს ნაკეთებს საქონელს პირველად უფრო იაფი ფასი ექნება, ვინამც თქვენს გლახა ნაკეთებსა. ამ სახით, ყოველნაირს მოხელეობაზე (წარმოებაზე – თ. ჯ.) ხელს აიღებთ. მაშინ თქვენგან მოუხმარებელს თქვენი ქვეყნის სიმდიდრეს რაც შეიძლება იაფათ მოგვყიდით – და რომ არ მოგვყიდოთ, არ შეგიძლიანთ – თქვენ ფული არ გექნებათ... ჩვენ კი ამ საქონელს წავიღებთ, გადავაკეთებთ მაუდათ, ჩითათ, ტილოთ, სანთლათ და მრავალ სხვა ნივთათ, რკინის იარაღებათ, და როგორც გვინდა, მერე ისე ძვირათ მოგყიდით. რა გზა გაქვთ, რომ არ იყიდოთ. უიარაღოთ ხომ ვერ გასძლებთ და გაკეთება კი არ შეგეძლებათ. ამ სახით ყოველგვარს თქვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს იაფათ გამოგართმევთ, გადავაკეთებთ იმათ ჩვენს ქარხნებში, მოგიტანთ და, რაც შეიძლება, ძვირათ მოგყიდით; ასე რომ, სულ თქვენი სიმდიდრე, წარსული და მომავალი ჩვენს ჯიბეში გადმოვა. ბოლოს რომ რჩენის თავი აღარ გექნებათ, თქვენს მიწებსაც ჩვენ მოგვყიდით, ჩვენ მაგ თქვენს მიწებზე ქარხნებს გავმართავთ, თქვენ კი შიგ მოჯამაგირეებათ დაგიქირავებთ და ამნაირად ჩვენ თანდათან შევიქნებით თქვენი ქვეყნის მფლობელნი და თქვენ ჩვენი მუშა“.

„ეს გახლავთ ჩვენი ქვეყნის მომავალი სურათიო“ – დასძენს გ. წერეთელი და კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საზოგადოებას სთავაზობს კონკრეტულ გამოსავალს – საზოგადოებრივი ბანკების დაარსებას, რათა გაჩნდეს ფული და „ყოველს კაცს ახალი საქმის დაწყებისათვის ხელი მოენაცვლებოდეს, საქმობაც დაიწყოს და ადგილ მამული არ დააგირაოს. ვისაც დაგირავებული აქვს, იმანაც თანდათან გამოისყიდოს“. ავტორი აქ კონკრეტულად გულისხმობს საერო და სასოფლო ბანკებს და იმავე წერილში მკითხველს სთავაზობს კიდევაც ამ ტიპის ბანკების სტრუქტურულ აღწერილობას.

„კრებული“ აგრძელებს ქართულ ჟურნალისტიკაში დამკვიდრებულ ტრადიციას და საგანგებო ყურადღებას უთმობს განათლების საკითხებს. ამ მხრივ, თავისებურ კამერტონად იქცა ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური თხზულება „საზოგადო საქმეები. ახალგაზრდობის აღზრდა“ („კრებული“, 1871, №3).

ზემოთ ითქვა, რომ საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობისას „კრებულის“ პუბლიცისტებისათვის დამახასიათებელი იყო მკაფიოდ გამოკვეთილი პრაქტიციზმი. ნ. ნიკოლაძე განათლების (აღზრდის) საკითხსაც ამ რაკურსით უდგება: „ეხლა კაცის ცხოვრება ბრძოლაა; გამწარებულათ ეძებს ყოველი სულდგმული ცხოვრებას დაეწაფოს და ერთი ნამცეცა ადგილი მაინც იშოვოს ცხოვრების ვიწრო ტაბლაზე... სდუღს ბრძოლა, რომელშიაც იმარჯვებს ძალუმი, მცოდნე და მოხერხებული, და რომელშიაც ულუკმაპუროთ, უიმედოთ რჩება უძლური, უმეცარი...“. მაინც რა არის აღზრდის (სწავლების) უმთავრესი მიზანი? – სვამს ავტორი კითხვას და იქვე უპასუხებს: „ახალგაზრდობის აღზრდას ყველაზე უფრო ის უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ აღზრდილ ყმაწვილს ხეირიანათ ესმოდეს – რა ბუნება არტყია იმის გარშემო, რა საზოგადოება, რით და როგორ შეიძლება ამ ბუნებით სარგებლობა და ამ საზოგადოების გაუკეთესება. ამას გარდა, აღზრდა იმას ამ შრომისათვის საკმაო ღონისძიებას, მოხერხებას და ცოდნას უნდა აძლევდეს“. ნ. ნიკოლაძისათვის სწავლას (ცოდნას) აქვს არა მხოლოდ პიროვნულ-ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობაც: „ყოველ საქმეს, რომელიც ახალგაზრდობის აღზრდას და სასწავლებლებს შეეხება, ყოველი გონიერი კაცი სწორეთ იმ თვალებით უნდა უყურებდეს, როგორც თავის საკუთარ საქმეს, რომელზედაც დამოკიდებულია მისი საკუთარი სარგებლობა, სიკეთე, ბედი“. ნ. ნიკოლაძე, მართალია, გაკვრით, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ „აღზრდით შეძენილ ცოდნას კაცის... გონების და ზნეობის დატკბობა უნდა ჰქონდეს მიზნათ...“.

„ცოდნა... არის თავნი, კაპიტალი, რომ ცხოვრებაში თავისუფალი კაცი იყო“ – ესაა დედააზრი გ. წერეთლის პუბლიცისტური წერილისა „რა გვეჭირვება?“. ავტორის შეხედულებით, ერთი მხრივ, ევროპული ცხოვრების წესის გაცნობამ და ჩვენში გადმონერგვამ (რასაც, სხვათა შორის, გ. წერეთელი „დიდებული რუსეთის“ მიერ საქართველოს „თვის საფარველს ქვეშ“ შეყვანას მიაწერს), ხოლო მეორე მხრივ, საგლეხო რეფორმის ჩატარებით (ბატონყმობის გაუქმებით) გამოწვეულმა ძირეულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა გააშიშვლა ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის გარეშე საქართველოს მომავალი არ უწერია: „რა პირით შეხვდა ჩვენი საზოგადოება ახალს დროს და იმის მოთხოვნილებას? – ის შეხვდა ახალს დროს და იმისგან მოხდენილს ცვლილებას ყოვლად მოუმზადებელი და უნუგეშოთ... ყველანი ბრმანი შევქნილვართ და ბრმასავით ნაბიჯის წინ-წადგმას ვშიშობთ, ღრეში არ გადავვარდეთ და სულ არ დავიღუპოთ. ეს დრო ვერ გვიცვნია, იმის მოთხოვნილება ვერ შეგვიტყვია – აი რა არის უმთავრესი ჩვენი უძლურება, ჩვენი უბედურება“.[7]

„მაშ რა გვეშველება, რა გვეჭირვება?“ – ახალგაზრდობის საფუძვლიანი განათლება! ეს არის ის უმთავრესი (არსებითად ერთადერთი) საშუალება, რომელიც ხალხსა და ქვეყანას საშუალებას მისცემს, არა მარტო გაიაზროს ახალი დროის მოთხოვნები და საჭიროებები, არამედ წარმატებით დაძლიოს ცხოვრების ცვლილებებთან დაკავშირებული პრობლემები და ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეს – შეინარჩუნოს და გააძლიეროს საზოგადოებრივ-ეროვნული თვითმყოფობა და თვითარსებობა. უმთავრეს იარაღად ამ ბრძოლაში უნდა იქცეს ჩვენში უმაღლესი სასწავლებლის დაარსება, „მაგრამ უმაღლესი სასწავლებელი ბევრნაირია, ჩვენ რომელი უფრო გამოგვადგება იმათში?“. გ. წერეთლის შეხედულებით, სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები (საინჟინრო,

[7] **Sdr**.: `cxovreba... icvleba, midis win da moaqvs ganaxleba yovelisferisa... is xalxi, is cxovreba, romelic ar izrdeba, romelsac ara aqvs Tavisi gazafxuli da nayofieri Semodgoma; romelic berdeba ki, magram im siberis nayofzed isev ar amova ganaxlebuli, ganaTlebuli siaxlis mSvenier gvirgviniTa _ is xalxi, is cxovreba miCanCalebs samarisaken, bolos miva da aRigveba, rogorc mtveri dedamiwis zurgidam~ (i. WavWavaZe. saqarTvelos moambezed).

ტექნოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო და სხვ. ინსტიტუტები თუ აკადემიები) უშვებდნენ ამა თუ იმ კონკრეტული დარგის სპეციალისტებს. „უნივერსიტეტი კი სულ სხვა რიგ ზრდის ახალგაზრდობას. თვითონ სახელი უნივერსიტეტი (უნივერსიტას – საქვეყნო, საყოველთაო) აჩვენებს, რომ იმაში გამოზრდილს ყმაწვილს ყოველ საქმეში თვალი აქვს ახელილი, ყოველს საქმეს გონება უწვდება და ცხოვრების მოთხოვნილების გაგებაში განსაკუთრებით გონება-ფხიზელია“. საქართველოს, რასაკვირველია, ეჭირვება ღრმად განსწავლული სპეციალიტები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რადგანაც ჩვენს მდგომარეობაში მყოფი საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია თითოეულ წევრს საზოგადოებისა და, მით უფრო, განათლებულ კაცს სისხლხორცეულად ჰქონდეს გააზრებული საზოგადოებრივი ინტერესები და მოთხოვნილებები: „უნივერსიტეტი ზრდის ისეთს ახალგაზდობას, რომელსაც **სისხლში აქვს გამჯდარი საზოგადოების სიკეთის წადილი** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.). ის ჩვეულებრივის გონების სიფხიზლით ადევნებს საზოგადო საქმეებს თვალს და სადაც გასაჭირია, იქ ეტანება“. გ. წერეთლის აზრით, ჩვენი ხსნა, ერთი მხრივ, ცოდნისა და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ-ეროვნულ ინტერესთა უნივერსალიზმით აღბეჭდილი ახალგაზრდული ფენის შექმნა-ჩამოყალიბებაშია. ამიტომაც საქართველოში უნდა დაარსდეს უნივერსიტეტი – „ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას თუ რამე უშველის, ისევ უნივერსიტეტი“.

გ. წერეთლის პირით აქ არსებითად სამოციანელთა მთელი თაობა ლაპარაკობს. საქმე ისაა, რომ წერილის „რა გვეჭირვება?“ შინაარსი, სულისკვეთება და მიზანდასახულობა უნისონშია იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის სურვილთან თბილისში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ და, სხვათა შორის, ეს საკითხი (თბილისში უნივერსიტეტის დაარსების სურვილი) გახდა „მამებისა“ და „შვილების“ კიდევ ერთი და უკანასკნელი დაპირისპირების საბაბი.

ჩვენ ადრე (თავი – „გაზეთი „დროება“) დავიმოწმეთ ს. მესხის მიერ 1872 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილი „ჩვენი მამები და შვილები“ და ისიც აღვნიშნეთ, რომ ეს წერილი ჯერ კიდევ 1860-იან წლებში დაწყებული „მამებისა“ და „შვილების“ ცნობილი დაპირისპირების გამოძახილი იყო. მაშინ (1860-იანი წლების დასაწყისში) სისტემური მსოფლმხედველობითა და ლიბერალურ-დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულმა ახალმა თაობამ, რომელსაც ზურგს რუსეთში მიღებული ევროპული განათლება უმაგრებდა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ადვილად დასძლია „შინიდგან გამოუსვლელი“ (ი. ჭავჭავაძე) „მამების“ (ბ. ჯორჯაძე, ექვ. წერეთელი, გ. ბარათაშვილი, ს. ალექსი-მესხიშვილი...) წინააღმდეგობა და, თითქოს, დაპირისპირებაც ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ 1870-იანი წლების დასაწყისში ბრძოლა განახლდა და ამას ბიძგი შემდეგმა გარემოებამ მისცა:

1871 წლის შემოდგომაზე საქართველოს ეწვია იმპერატორი ალექსანდრე II. ქართველი თავადაზნაურობის სპეციალურმა კომისიამ შეადგინა მიმართვა (ადრესი) იმპერატორისათვის მისართმევად და ამ მიმართვაში „ახალთაობელთა“ (ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, ივანე თარხნიშვილი) ინიციატივით შევიდა თხოვნა თბილისში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, თუმცა საბოლოოდ ძველი თაობის წარმომადგენლებმა (გრიგოლ ორბელიანი, მიხეილ თუმანიშვილი, რევაზ ანდრონიკაშვილი და სხვ.; ბოლო მომენტში მათ მიემხრო ბ. ღოღობერიძეც) ტექსტი შეცვალეს და იმპერატორს თბილისში სამხედრო სასწავლებლის (კადეტთა კორპუსის) დაარსება სთხოვეს. ამას მოჰყვა ილიას „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“ და, საერთოდ, „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის მეორე და უკანასკნელი ტალღა. „მამების“ პოზიციების დაცვა იკისრა გრ. ორბელიანმა („პასუხი შვილთა“), თუმცა იმავე ი. ჭავჭავაძის („პასუხის

პასუხი“), ა. წერეთლისა („ხარაბუზა ღენერალს“, „ფარშავანგი“) და სხვების გამანადგურებელმა შეტევამ სწრაფადვე გადაწყვიტა დაპირისპირების ბედი.

საინტერესოა ე. წ. „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლისადმი ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება. წერილში „საახალწლო“ („კრებული“, 1871, №1) იგი ერთგვარ „შუალედურ“ პოზიციას იკავებს – უარყოფს ძველი თაობის როლსა და მნიშვნელობას ახალი საქართველოსათვის, თუმცა პატივისცემას გამოხატავს მათი გარდასული საქმეებისა და ღვაწლისადმი: „ვიყოთ სამართლიანი და გონიერები: პატივისცემით მოვიხსენიოთ ჩვენი ძველების გმირობა, მათი თავგანწირული სიყვარული საზოგადო საქმისათვის, მათი მხურვალე და პატიოსანი გული, ვეცადოთ ამ საგნებში მათ შევედაროთ და მათ მაგალითს ვსდევდეთ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ კაცის გონების გახსნა თან-და-თან მატობდა, და ჩვენი ძველების ჭკუა, მათი ანდაზები და ჩვეულებაები იმნაირათვე გამოუდეგარნი არიან ჩვენთვის, როგორც ჩვენი შვილებისთვის და შვილის-შვილებისთვის ჩვენი საკუთარი სწავლა და გონება იქნება...“ (სხვათა შორის, წინა თაობის ღვაწლისადმი პატივისცემის გამოხატულება იყო ისიც, რომ „კრებულის“ პირველი ნომერი იხსნება გრ. ორბელიანის პოემით – „სადღეგრძელო“).

1873 წელს ნ. ნიკოლაძე წერილში „ახალი ახალგაზრდობა“ („კრებული“, 1873, №1) დიამეტრულად ცვლის თავის პოზიციას და უკვე „მამების“ გამანადგურებელ შეფასებას იძლევა. ავტორი სვამს კითხვებს: „რა ნამდვილი სიკეთე და სარგებლობა შეუძენიათ იმათ („მამებს“ – თ. ჯ.) სამშობლო ქვეყნისა და ხალხისათვის? რა ქველის-მოქმედება, რომელი გონიერი რჩევა და აზრი წინამოურბოდა მათ გავლენას? რა ღვაწლით, როგორი მოქმედებით, რანაირი ცხოვრებით დაიმსახურეს იმათ „სახელი“ და დიდება?“ და ამ კითხვებს თვითონვე უპასუხებს: „მათი გავლენა დიდკაცობაში მდგომარეობდა, მათი ცხოვრება წინაპრების სამკვიდრებელის ფანტვაში მიდიოდა, მათი დიდება სხვისი წყალობით ნაბოძები იყო, მათი მოქმედება – ამ წყალობის ძებნაში იხარჯებოდა“, დრომ და ვითარებამ მათი ბუნების ორგანულ ნიშნად აქცია „დაცემული ხელის-ლოკვა, ძლიერის თაყვანისცემა, სამართლიანობის დავიწყება“ და ა. შ.[8]

ნიკო ნიკოლაძის შეხედულებით, ძველი თაობის აზროვნება გაყინული და თვითმოქმედების უნარს მოკლებულია, მათ ალღო ვერ აუღეს ახალ დროს, ვერ გაიაზრეს დროის მოთხოვნათა მნიშვნელობა და პროგრესის შემაფერხებელ ძალად გადაიქცნენ. ამიტომაც, „კარგი კი იქნებოდა, მომავალი თაობების სამაგალითოთ, ამ თაობის მოთავე პირებს რომ ძეგლი აუშენოს ჩვენმა ხალხმა და ზედ ეს ზედწარწერა ამოსჭრას: „აქ მარხია თაობა, რომელსაც საკუთარი სარგებლობა ღმერთად მიაჩნდა, რომელიც ბრმათ ატარებდა თავის სიცოცხლეს და დაბრმავების გამო ახალი ცხოვრების ფეხ-ქვეშ გაითელა“.

ნ. ნიკოლაძე ვრცლად მსჯელობს „ახალი აზრის“, „ახალი განათლების“, „ახალი მეცნიერების“ ათვისებისა და ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში „ახალი ცვლილებების“ დამკვიდრების სასიცოცხლო აუცილებლობაზე. ყოველივე ამან, მისი აზრით, საქართველოში უნდა „დააარსოს“ „საზოგადოებრივი გარმონია, გონიერი ერთმანეთობა, შეერთებული შრომა და ძმური ცხოვრება“. ხოლო რაც შეეხება ორ თაობას შორის წინააღმდეგობას, ავტორი მას დასრულებულად მიიჩნევს: „მაშ, მივატოვოთ მკვდრები და მომაკვდავები... ვეცადოთ ხეირიანი მოქმედებით, გონიერი ძალის შეერთებით, ჭკვიანური საქმის წაყვანით დავიმსახუროთ და დავიკავოთ ის ალაგი, რომელიც ხალხის

[8] unda vifiqroT, n. nikolaZe `wyalobis Zebnasa~ Tu `dacemul xelis-lokvaSi~ gulisxmobs `mamaTa~ pietets monarqisa da monarqizmisadmi, Tumca maSindel sacenzuro pirobebSi sakiTxis Riad dayenebis perspeqtiva (monarqistuli suliskveTebis kritika) savsebiT gamoiricxeboda.

ცხოვრებაში ცოდნას და პატიოსნებას უნდა ეკუთვნოდეს. ამ ასპარეზზე ახალ ახალგაზრდობას საშიში ან ძლიერი მოწინააღმდეგე არავინ ხვდება. მინდორი ცალიერია, მაგრამ ზედ ბევრი ურიგო ბალახ-ბულახი და ტალახი იპოება. როცა ამასაც გავსწმენდთ, როცა მინდორი სუფთა და დამზადებული იქნება, მაშინ ნამდვილათ ასრულდება ჩვენი ჩინებული პოეტის აღმტაცი სიტყვები: „თუ კი აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია!“

თავისუფლების, როგორც უზენაესი ღირებულების, აღიარება („თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი, / შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი... – ი. ჭავჭავაძე), სწრაფვა სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრისაკენ („შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი, / ძლევამოსილის ამ საუკუნის.../ ძმობა, ერთობა, თავისუფლება, /ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან / კაცთმოყვარება და სათნოება – ი. ჭავჭავაძე), ევროპული საგანმანათლებლო პრინციპების, – ზოგადად კლასიკური ლიბერალიზმის ფუნდამენტური პრინციპების, – ათვისება და ქართველი ერის ნაციონალური თვითარსებობისათვის საფუძვლად დადება... ესა და ზოგიერთი სხვა საკითხი (მაგალითად, რესპუბლიკური იდეების პოპულარიზაცია ნ. ნიკოლაძის მიერ) ქმნიდა ანტაგონიზმს ძველსა და ახალ თაობებს შორის და ამ ანტაგონიზმის „შვილების“ სასარგებლოდ დაძლევამ შედეგად მოიტანა ქართული კულტურის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) სასიცოცხლო მნიშვნელობის ტრანსფორმაცია.

ერთი სიტყვით, თუ 1860-იან წლებში თაობათა ბრძოლა ძირითადად ენობრივ და ლიტერატურულ სფეროებს (პრინციპებს) არ გასცილებია, 1870-იან წლებში იგი პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივ ნიადაგზე წარიმართა. არსებითად **ეს იყო დაპირისპირება „მამების“ მონარქისტულ-კონსვერვატორულ და „შვილების“ ლიბერალურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობათა შორის და ეს დაპირისპირება ახალი, ეროვნული მიმართულებისა და მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის (ა. ჯორჯაძისეული ფორმულირებით – „ნაციონალური ლიბერალიზმის“) გამარჯვებითა და გაბატონებით დასრულდა.**[9]

[9] unda iTqvas, rom `mamebis~ Taoba am brZolaSi ar iyo konsolidirebuli. ase, magaliTad, Zveli Taobis TvalsaCino warmomadgeneli aleqsandre orbeliani mxareebs `konservatorebad~ da `progresistebad~ hyofda da miesalmeboda `dapirispirebul dasTa~ warmoSobas (`etyoba, ori dasi ibadeba. kargi niSania~), xolo TaobaTa Soris dapirispirebaSi dimitri yifianis monawileoba imiTRa Semoifargla, rom 1864 wels man `myvirala (qarTleli)~-s fsevdonimiT `ciskarSi~ gamoqveynebul werilSi `Cveni nacarqeqiebi~ gaakritika i. WavWavaZis meTaurobiT ganxorcielebuli orTografiuli reforma [xmarebidan Zveli, funqciadakarguli asoebis amoReba; dim. yifiani miiCnevda, rom es asoebi (ი, ჱ, ჳ da sxv.) qarTul enas eqspresiulobasa da musikalobas aniWebda].

isic unda iTqvas, rom `mamebis~ (yovel SemTxvevaSi, maTi umravlesobis) erTguleba monarqiuli taxtisadmi ar yofila upirobo da maTi grZnoba taxtisadmi erTgulebisa gadanaskvuli iyo erovnuli TviTmyofobis dacvis aucileblobasTan. am mxriv, sagulisxmoa dim. yifianis mier jer kidev 1840-ian wlebSi Camoyalibebuli pozicia, romelzec a. jorjaZe wers: `Cven ruseTis qveSevrdomni varT da amave dros qarTvelni – hfiqrobda yifiani. qarTvelobiT gvinda gamovideT kulturul asparezze. magram icodeT kargad, rom `qarTveloba~ moiTxovs qarTul sazogadoebriv dawesebulebaTa arsebobas, qarTuli enis uzrunvelyofas skolebsa da eklesiaSi. Tu amas ar gvanebebT, Cveni qarTveloba Seilaxeba da Tu Seilaxeba Cveni qarTveloba, Seilaxeba Cveni erTgulebis grZnobacao. im xanebSi ufro farTod sakiTxis dayeneba SeuZlebeli iyo...~.

dasasrul, i. WavWavaZis SexedulebiT, terminebi `mamebi~ da `Svilebi~ CvenSi `ruseTis baZiT~ Semovida da `srulebiT ar uxdeba im sagans, romelic evropaSi moqmedebs konservatorebis da liberalebis gasarCevad~; amasTan, qarTveli `mamebis~ Taobazec unda gavrceldes ilia WavWavaZis Tvalsazrisi: `ruseTis konservatoroba evropis konservatorobamde ver SemTavrda da gadiqca retrogradobad~ (`Sinauri mimoxilva~ 1881 wlis maisisa).

ეროვნულ საკითხს „კრებულის“ პუბლიცისტიკაში, რბილად რომ ვთქვათ, არ უჭირავს სათანადო ადგილი – აქ საგანგებოდ და პედალირებულადაა წარმოდგენილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკა. თუმცა, ცხადია, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჟურნალის მესვეურთა მიერ იგნორირებულია ქართველთა ნაციონალური ვინაობის, საერთო-ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების, ნაციონალურ-კულტურული თვითმყოფობის, საერთო ეროვნულ მიზანთა გარშემო კონსოლიდაციისა და სხვ. საკითხები. „კრებულში“ ეს ფუნქცია (პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავება) სხვა ტიპის ტექსტებს აქვს დაკისრებული – კრიტიკულ-ლიტერატურულ სტატიებს, წერილებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე, საისტორიო წყაროთა პუბლიკაციებს, თარგმანებს და, განსაკუთრებით, მხატვრულ ლიტერატურას.

„კრებული“ იზიარებს და აღრმავებს ი. ჭავჭავაძის მიერ დამკვიდრებულ ფუნდამენტურ პრინციპს ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ. ეს ეხება როგორც ჟურნალში დაბეჭდილ მხატვრულ ტექსტებს, ისე კრიტიკული და თეორიული ხასიათის თხზულებებსაც. წერილში „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“ ნ. ნიკოლაძე საგანგებოდ აღნიშნავს: „ლიტერატურის, საზოგადოთ მწერლობის, დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ნამდვილათ, სწორეთ და გონიერათ გამოხატოს ხალხის ყოფა-ცხოვრება, ხასიათი, ზნე, მოთხოვნილება და აზრი“. და თუ მხატვრული ტექსტის არსებითი მნიშვნელობის ფუნქცია ცხოვრებაზე ზემოქმედებაა (რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს ამ ტექსტის მხატვრულ-ესთეტიკურ ღირსებებს; პირიქით, მხატვრული ღირსებები აძლიერებს ცხოვრებაზე ტექსტის ზემოქმედების უნარს), თვით საზოგადოებისათვის არის აუცილებელი ტექსტის სრულფასოვანი აღქმა და მისი დაკავშირება ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საჭიროებებთან. ეს კი ლიტერატურული კრიტიკის საქმეა და კრიტიკამ უნდა განიხილოს არა მხოლოდ ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოებები და მათი ღირსება-ნაკლოვანებები, არამედ მკითხველს საფუძვლიანი წარმოდგენა შეუქმნას ლიტერატურის რაობასა და მიზანდასახულობაზე, გააანალიზოს სამწერლობო პროცესები მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და ამ გზით მჭიდროდ დააკავშიროს ერთმანეთთან ტექსტი და მკითხველი.

წერილის დასკვნით ნაწილში ნ. ნიკოლაძე ასე აყალიბებს კრიტიკის „უმთავრეს, უმაღლეს მხარესა და მნიშვნელობას“: „[კრიტიკა] ნიადაგ იმას უნდა აქცევდეს თავის ყურადღებას, თუ რა უმთავრესი საჭიროებაა რომელიმე დროს საზოგადო ცხოვრებისთვის, რა მხრით და რა კილოზე უნდა იყოს მიმართული ლიტერატურის შრომა და რამდენათ ასრულებს ამ საჭიროებას სხვა და სხვა თხზულება, სხვა და სხვა მწერალი. ამ აზრით ხელმძღვანელი კრიტიკა ნიადაგ **ტონს** უნდა აძლევდეს თავის ლიტერატურას და ისე უნდა მიმართავდეს მის ძალას და შრომას, როგორც საუკეთესო იქნება საზოგადო ცხოვრებისათვის“.[10]

ნ. ნიკოლაძე იყო არა მარტო განმსაზღვრელი „კრებულის“ კრიტიკულ-ლიტერატურული მიმართულებისა და პრინციპებისა, არამედ ჟურნალის ყველაზე პროდუქტიული კრიტიკოს-ლიტერატორიც. ამ მხრივ, აღსანიშნავია მის მიერ „ნ. სკანდელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილები „გრიგოლ ორბელიანი“ (1873, №3; განხილულია გრ. ორბელიანის პოეტურ თხზულებათა კრებული, გამოცემული 1873 წელს

[10] sxvagan (werili _ `glaxis naambobi~, moTxroba il. WavWavaZisa~) n. nikolaZe ase gansazRvravs literaturuli kritikis funqcias: `kritika niadag publicistikur daniSnulebas unda asrulebdes da TiTon mwerlobis sargeblobis da saqmis maRla mTeli xalxisa da sazogadoebis saWiroebas da sargeblobas unda sTvlides~.

პ. უმიკაშვილის მიერ. ნ. ნიკოლაძე საფუძვლიანად მსჯელობს გრ. ორბელიანის პოეტურ შემოქმედებაზე, აღნიშნავს, რომ „მკითხველი... ხედავს პოეტის გრძნობის სიღრმეს და მისი ნიჭის სიძლიერეს“ და დასძენს – „პოეტს ხელოვნებაში უზენაეს სიმაღლემდე მიუღწევია“), აგრეთვე, „გლახის ნაამბობი“, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა“ [1873, №5-6; ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ჯერ კიდევ ახალბედა მწერლის მიერ დაწერილი „გლახის ნაამბობი“ „ბევრით განსხვავდება „კაცია ადამიანისაგან“, „გლეხების განთავისუფლების სცენებიდგან“ და საზოგადოთ იმ თხზულებებიდგან, რომელნიც ჭავჭავაძის დავაჟკაცებულ გონებას და ნიჭს ჩვენი მწერლობისთვის უკვლევია“. „გლახის ნაამბობში“, – ნ. ნიკოლაძის თქმით, – მკაფიოდ ჩანს ბატონყმურ ურთიერთობათა შესახებ რუსულ მწერლობაში (გრიგოროვიჩი, ტურგენევი და სხვ.) ჩამოყალიბებული ტენდენცია – მწერალი საფუძვლიანად არ იცნობს გლეხის ბუნებას და ამიტომ „ისინი (მწერლები თ. ჯ.) გლეხ-კაცობას ხატავდენ ისე, თითქო წინ ნამდვილი გლეხი კი არა, საკუთარი თავი ყოლოდეთ, გლეხ-კაცურ ფარაჯაში ჩაცმული“; შესაბამისად, რეალური ვითარება და მწერლის ფანტაზიით შექმნილი ხასიათები არ შეესაბამებიან ერთმანეთსო].

ორიგინალური მხატვრული ტექსტებიდან „კრებულში“ იბეჭდება ყველა ის ავტორი, რომელთაც განსაზღვრეს ქართული რომანტიზმის მსოფლმხედველობრივი ბუნება და ლიტერატურული დონე. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებიდან ძირითადად შერჩეულია ისეთი ტექსტები, რომლებშიც ავტორთა პატრიოტული სულისკვეთება ჩანს (გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“; ალ. ჭავჭავაძის „ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა...“, „ო, წარმავალნო გზასა ქალნო...“; ვ. ორბელიანის „ძველი მაგრისი“ [„ძველი დმანისი“] და სხვ.).

„კრებულში“ დაიბეჭდა აგრეთვე ნ. ბარათაშვილის ოთხი ლექსი: „რომანსი: ზვირთები მოდუდუნებენ...“ [„ქეთევან“], „აღმოჰხდა მნათი...“, „დამქროლა ქარმან სასტიკმან...“ და „არ უკიჟინო, სატრფოო...“. იქვე გამოქვეყნდა გ. ერისთავის („დავა“), რაფ. ერისთავის („სურათები ჩვენი ცხოვრებიდან“), მ. გურიელის („კითხვა“, „სატრფოსადმი“, პოემიდან „რაშიდ ვარდიძე“...), „თერგდალეულთა“ (გ. წერეთელი, ა. წერეთელი) პოეტური, პროზაული თუ დრამატული თხზულებები, გ. ჭალადიდელის შემოქმედების ნაწილი („გორდის მთაზე“, „რად გიკვირთ, მიკვირს, ის გულის წამი...“ [„ვუძღვნი ნ. სკანდელს“], პოემიდან „უბედურნი“; გ. ჭალადიდელის პოეტურ ნიჭზე ქართველი საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებდა და მას ა. წერეთლის მემკვიდრედაც კი მიიჩნევდნენ, თუმცა ეს უდავოდ ნიჭიერი პოეტი ბედის უკუღმართობამ სამხედრო სამსახურში ჩააყენა, სამშობლოსაც მოსწყვიტა და მშობლიურ ლიტერატურულ ასპარეზსაც ჩამოაშორა. აკაკის თქმით, „მისი პირველი ბიჯის გადმოდგმა ლიტერატურაში ძლიერი და საიმედო იყო, მაგრამ დღეს სად არის? ზარბაზნის კომლში გამოახვია ის ნიჭი“). „კრებულში“ გამოქვეყნდა დიმიტრი ყაზბეგის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნაწარმოები – მოთხრობა „მავნე სულები (ამბავი მოხევის ცხოვრებიდგან)“, რომელიც საინტერესოა არა მარტო სიუჟეტური კონსტრუქციით, არამედ მდიდარი ეთნოგრაფიული მასალითაც.[11]

[11] **dimitri yazbegi** (1838-1880) iyo al. yazbegis biZaSvili da i. WavWavaZis axlo megobari (ilias xSirad uTqvams _ `dimitri amxanagebSi mTeli TaviT maRla idga CvenSio~). dim. yazbegi iyo uaRresad ganaTlebuli pirovneba, sxvadasxva wlebSi swavlobda moskovis, peterburgis, xarkovis, parizis universitetebSi, 1865 w. daamTavra haidelbergis universiteti, Tumca uari Tqva rogorc saxelmwifo samsaxurze, ise sazogadoebriv moRvaweobazec, ojaxs moekida (colad SeirTo osi glexis qaliSvili, rac dimitrisa da mis didgvarovan mamas Soris mZafri konfliqtis mizezi gaxda), sabolood mSobliur xevSi damkvidra da iqve gardaicvala 42 wlisa. dimitris dis, elisabed yazbegis, mogonebis mixedviT, al. yazbegis saxeliT cnobili Txzulebebis avtori sinamdvileSi dim. yazbegi iyo da am mosazrebam erTxans fexic moikida, Tumca vaxtang kotetiSvilma safuZvlianad daasabuTa am mosazrebis uniadagoba. dim. yazbegis nawerebi (iseve rogorc mdidari biblioTeka da mis mier Sekrebili folkloruli da eTnografiuli masala) daiwva

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ შვიდწლიანი „განდგომილობის“ შემდეგ (1864-1870 წლებში ორიოდე ნაწარმოები გამოაქვეყნა „დროებასა“ და „მნათობში“) ილია ჭავჭავაძე სწორედ „კრებულში“ დაუბრუნდა სამწერლობო-ჟურნალისტურ ცხოვრებას. საერთოდ, ილიას საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე დაბრუნებაში ნ. ნიკოლაძის წვლილი თვალსაჩინოა. ს. მგალობლიშვილის მიხედვით, „ყოველ კვირა გარბოდა თურმე ნიკოლაძე დუშეთში ან საგურამოში და ართმევდა [ილიას] ლექსებს“. თვითონ ნ. ნიკოლაძე კი მოგვიანებით სწერს რომანოზ ფანცხავას (ხომლელს): „საზღვარგარეთიდან რომ დავბრუნდი... ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე, დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და ამ მიზნით 1871-1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვათ“ ქართული მწერლობის აღორძინების მოტრფიალენი (ლუარსაბ ანუ შაქრო მადალაშვილი, სანდრო ერისთავი „ამერიკელი“, გიორგი ყაზბეგი, ნიკო მესხიშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი, ნიკო ღოღობერიძე და თქვენი უმდაბლესი მოსამსახურე), ბევრჯერ დაგვიპატიჟნია: მოდით, მეთაურად გაგვიხდით, გვიწინამძღრეთ, გვიმსახურეთ-მეთქი“ (ექვთიმე თაყაიშვილი ამ საქმეში, – დუშეთიდან ი. ჭავჭავაძის ჩამოყვანაში, – ნ. ნიკოლაძესთან ერთად ილიას უახლოეს მეგობარს, ივანე პოლტორაცკისაც, უდებს წილს).

ნ. ნიკოლაძისა და მისი თანამოაზრეების ძალისხმევამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო – ილიამ „კრებულში“ ზედიზედ გამოაქვეყნა „ბედნიერი ერი“ (სათაურით „ბედნიერი ხალხი“), „აჩრდილი“ (ცალკეული მონაკვეთები – ცენზურამ სრულად არ გაუშვა), „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“ (სრულად) და სხვ.; რედაქციის მხრიდან გაბედულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს დაბეჭდვა ილიას ორი ლექსისა: „მესმის, მესმის, სანატრელი...“, რომელიც ეძღვნება ჯუზეპე გარიბალდის (ცენზურისათვის თვალის ასახვევად დართული აქვს სარედაქციო შენიშვნა: „ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს ეკუთვნის“) და „1871 წ. 23 მაისი“ (სათაურით „პარიჟი“), რომელშიც გამოხატულია პარიზის კომუნის დამხობით გამოწვეული გულისტკივილი. რედაქციას გადაწყვეტილი ჰქონდა აგრეთვე სრულად დაებეჭდა ილიას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ (მანამდე მხოლოდ ცალკეული მონაკვეთები იყო გამოქვეყნებული „საქართველოს მოამბესა“ და კ. ლორთქიფანიძის მიერ შედგენილ კრებულში – „ჩონგური“), მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, ჩანს, ცენზურის მიზეზით.[12]

(erTi versiiT wignebi da xelnawerebi dawva TviTon dim. yazbegma, sxva versiiT _ mezobelma dimitris sikvdilis Semdeg).

[12] miuxedavad imisa, rom i. WavWavaZe da n. nikolaZe erTsa da imeve saqmesa da mizans emsaxurebodnen, maT Soris iSviaTi ar yofila principul sakiTxTa garSemo SexedulebaTa sxvadasxvaoba (gansakuTrebiT, Tbilisisa da quTaisis saTavadaznauro-saadgilmamulo bankebTan dakavSirebul sakiTxebze). wvril-wvrili wyena da uTanxmoebebi urTierTSeuracxmyofel dapirispirebaSi gadaizarda da 1880 wlis martSi maT Soris dueli dainiSna. sabednierod, TbilisSi mcxovrebi polonuri warmoSobis rusi poetisa da Jurnalistis (sxvaTa Soris, n. nikolaZis sekundantis), nikoloz simborskis, wyalobiT dueli srolamde ar misula. a. baqraZe Tavis wignSi `niko nikolaZe~ (Tb.: 1989) ase aRwers am ambavs: `moulodnelad simborski muxlebze daeca da isteriuli qviTini autyda. _ Tu sikvdili aucilebelia, me momkaliT... Tu sikvdili aucilebelia, me momkaliT... sacodavad slukunebda igi. yvela simborskis miaSterda. misma saqcielma iliac gamoafxizla da nikoc. orive simborskis mivarda da fexze wamoayenes. simborski patara biWiviT mjiRebiT iwmendda cremlebs da _ mapatieT, mapatieTo... _ dabneuli luRluRebda. Serigebis oqmi im dResve daiwera~ (am ambidan daaxloebiT erT weliwadSi, _ 1881 wlis TebervalSi, _ nik. simborskim, udavod niWierma poetma da Jurnalistma, TanamedroveTa Soris kristaluri patiosnebiT cnobilma pirma da qarTvel moRvaweTa uangaro megobarma, TbilisSi Tavi moikla). dasasrul, isic unda iTqvas, rom niko nikolaZe sicocxlis bolomde ilias Rvawlis pativismcemlad darCa _ mogvianebiT, 1920-ian wlebSi, ioseb imedaSvils kiTxvaze, Tqveni nawerebi `tomebad~ rodis unda gamosceTo, n. nikolaZem aseTi pasuxi gasca: `Cemi

„კრებულის“ მთარგმნელობით პოლიტიკას განსაზღვრავდა ნ. ნიკოლაძე, რომლის მთარგმნელობით პრინციპებზე წარმოდგენას იძლევა მისივე რეცენზია „ქართველ ქალთა ამხანაგობის“ მიერ 1872 წელს გამოცემულ კრებულზე „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“. რეცენზენტის შეხედულებით, სათარგმნი ნაწარმოების შერჩევისას მთარგმნელს „მიუცილებლად ის უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოს, ხალხის სიკეთე ეძიოს და ღონისდაგვარად დაეხმაროს საზოგადოების გონების გახსნას და მდგომარეობის გაუმჯობესებას“. ამიტომაცო, – განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, – მთარგმნელმა „თავდაპირველად ის უნდა განიხილოს, თუ ვისგან და რისგან შესდგება ის საზოგადოება, რომლის სარგებლობას ეძებს მწერალი, რა მოთხოვნილება აქვს მის გონებას და ხასიათს, რა საჭიროება გაუჩენია მის მდგომარეობას“.

„კრებულში“ გამოქვეყნებულ თარგმანებზე მსჯელობისას პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ აქ არ იბეჭდებოდა სუსტი თუ „შემთხვევითი“ ავტორები – ძირითადად ქვეყნდებოდა საკაცობრიო მნიშვნელობის დასავლეთევროპელ თუ რუს მწერალთა მხატვრული თხზულებები (შექსპირი, მოლიერი, ვოლტერი, გოეთე, ბაირონი, პუშკინი, გოგოლი, ჰაინე, ჰიუგო და სხვ.; მთარგმნელები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი გ. წერეთელი და სხვ.); მათ შორისაა თვითონ ნ. ნიკოლაძის მიერ თარგმნილი „გულივერის მოგზაურობა“ ჯონათან სვიფტისა.

საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს „კრებულში“ (1873, №10) ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის „მეფე ლირის“ გამოქვეყნებას (დაიბეჭდა მხოლოდ I მოქმედება; ამ დროისათვის თარგმანზე მუშაობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული). ეს იყო ივ. მაჩაბლის დებიუტი ქართულ პრესაში და, ამასთანავე, დასაწყისი მისი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობისა, რომელიც დიდი ინგლისელი მწერლის კონგენიალური თარგმანებით დაგვირგვინდა [შექსპირი (კერძოდ, „რომეო და ჯულიეტა“) ქართულ ენაზე პირველად თარგმნა დიმ. ყიფიანმა (1841 წელს). აღსანიშნავია, რომ, მას შემდეგ, რაც ინგლისელ გენიოსს ივ. მაჩაბლის სახით უკეთესი მთარგმნელი გამოუჩნდა, დიმ. ყიფიანმა შეწყვიტა შექსპირის თარგმნა, ივ. მაჩაბელმა კი, – უნდა ვიფიქროთ, წინამორბედისადმი პატივისცემის ნიშნად, – ხელი არ მოჰკიდა იმ პიესებს, რომლებიც უკვე იყო თარგმნილი დიმ. ყიფიანის მიერ: „რომეო და ჯულიეტა“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ორი ვერონელი აზნაური“].

„კრებული“ სათანადო ყურადღებას უთმობდა საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლასა და პოპულარიზაციას. ამ მხრივ, აღსანიშნავია დამსახურება გიორგი წერეთლისა, რომელიც „გ. გორისელის“ ფსევდონიმით ჟურნალში სისტემატურად ბეჭდავდა საისტორიო ნაშრომებს [„საქართველოს ისტორიის სურათები (მეოთხე საუკუნე)“, „საქართველოს ისტორიის სურათები (მეხუთე საუკუნე)“ და სხვ.]. „კრებულში“ იბეჭდებოდა აგრეთვე საქართველოს ისტორიის წყაროები („მორიგის ლაშქრობის განჩინება მეორე ერეკლე მეფისა“, „ხევსურების ჩვენება იმათ მიწა-წყლის შესახებ კავკასიის ქედს იქით“ და სხვ.); ჟურნალში ქვეყნდებოდა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც (შემკრებლები: ი. ჭავჭავაძე, რაფ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი).

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველად „კრებულში“ დაიბეჭდა ქართული ეპისტოლური მემკვიდრეობის ნიმუშები. ესაა ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხი ბარათი მაიკო ორბელიანისადმი (1873, №1; ი. ჭავჭავაძის პუბლიკაცია) და მისივე ოთხი ბარათი გრ. ორბელიანისადმი (1873, №3; პ. უმიკაშვილის პუბლიკაცია).

---

nawerebi dros gahyva. dRes Cvens xalxs ufro metad ilias nawerebi eWirveba... es ufro mets gaakeTebs, vidre Cemi nawerebi... ilia unda aRsdges~.

„კრებული“ სათანადო ყურადღებას უთმობდა საერთაშორისო საკითხებს – როგორც ისტორიულ, ისე თანადროულ მოვლენებს. ამ ტიპის მასალა გამოირჩევა თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით (ისტორიული ექსკურსები, მიმდინარე მოვლენების მიმოხილვები, სამოგზაურო ხასიათის ტექსტები და სხვ.). ამ მხრივ, ჟურნალს ტონს აძლევდა ნ. ნიკოლაძე. მისი პუბლიკაციებიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს წერილები „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“ და „ანრი როშფორი“, რომლებშიც ავტორი გამოდის დესპოტიის წინააღმდეგ და მხარს უჭერს რესპუბლიკურ სახელმწიფოებრივ წყობას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე პ. უმიკაშვილის „იოსებ მაძინი“, რომელიც ეძღვნება იტალიელი ხალხის ეროვნული გმირისა და იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, ჯუზეპე მაძინის, გარდაცვალებას. ავტორი ამ წერილით პატივს მიაგებს თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტსა და მთელს ევროპაში სახელგანთქმულ პოლიტიკურ მოღვაწეს, ამასთანავე, ქართველ საზოგადოებაში შეფარვით ეწევა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პოპულარიზაციას (მაძინი მხარს უჭერდა განმათავისუფლებელ მოძრაობებს არა მარტო იტალიაში, არამედ მთელს ევროპაში და მისი პრინციპი იყო – „მე მიყვარს ჩემი ქვეყანა იმიტომ, რომ მიყვარს ყველა ქვეყანა“). უნდა ითქვას, რომ „კრებულის“ პუბლიცისტთა ყურადღება ფოკუსირებული იყო ისეთ თემებზე, რომელთა გაგება და გაცნობიერება ქართველ მკითხველს გამოადგებოდა საკუთარი ეროვნული თუ სოციალური პრობლემების გასააზრებლად; ხშირია პარალელებიც უცხოურ და ქართულ სინამდვილეთა შორის. ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც თვითონ ნ. ნიკოლაძის სახელმძღვანელო პრინციპი ასეთი იყო: „ბოროტების ძირი არის არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიურიც“.

1872 წელს ი. ჭავჭავაძე დუშეთიდან სწერს პ. უმიკაშვილს: „ჩემი აზრი ეს არის: კრებული უნდა არსებობდეს უსათუოდ. ვიცი ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენა ვართ, ძნელია მაგ კრებულს ნოყიერი საზრდო მივცეთ, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არა გვყავს; იქნება მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ, მაგალ. რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოხერხებულიყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვათა თანამგრძნობელთ ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ, არც ესა ხერხდება. მართალი ხარ შენ: გაფანტულობა და დაქსასულობა გვღუპავს ჩვენ. მაგრამ კრებული მაინც უნდა არსებობდეს...“.[13] არსებითად ი. ჭავჭავაძის მიერ ნახსენებმა „სხვა კავშირის“ უქონლობამ, „გაფანტულობამ და დაქსაქსულობამ“ შეიწირა „კრებული“ – 1874 წლის იანვარში გამოვიდა 1873 წლის X ნომერი და ამით ჟურნალმა შეწყვიტა არსებობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში (დ. ჩიკვილაძე, ალ. კალანდაძე...) „კრებულის“ დახურვის რამდენიმე კონკრეტული მიზეზი სახელდება:

1. ნ. ნიკოლაძის მორიგი გამგზავრება საზღვარგარეთ 1873 წლის ნოემბერში (სხვა მონაცემებით – 1874 წლის თებერვალში). იმავე ხანებში ს. მესხი და გ. წერეთელიც

[13] `Jurnalis garda sxva kavSiris~ ararsebobaze, rogorc Zlier Semaferxebel garemoebaze, msjelobs a. jorjaZec: `Cveni xasiaTis kerZoobiTi midrekilebis gamo, verc saJurnalo organizacia movawyeT xeirianad, verc Jurnalis gared raime mkvidri da xangrZlivi wre Tu jgufi SevqmeniT... verc erTma Jurnalma ver moaxerxa raime imgvari organizaciis daarseba, romlis ideiur xelmZRvanelad TviTonve damdgariyo~. rac mTavaria, TviTon `krebulelebsac~ esmodaT raime mxardamWeri organizaciis saWiroeba. am sakiTxze m. petriZe (p. umikaSvilis fsevdonimia _ T. j.) werda: `exlandelma Taobam ver moaxerxa da verca scna saWiroeba wris Sedgenisa... vinc ufro mSromeli da sazogado saqmis (sakuTrad literaturis) win wayvanis mowadine iyo am TaobaSi, raki naxes danarCenebis uqonloba, imaT Tavi daanebes da moisurves calcalkeobiT, TviTeulad eSromaT, ramdenaTac TiTo or kacs SeuZlia Sroma...~ (m. petriZe [p. umikaSvili]. SeerTebuli Sroma Cvenis literaturisaTvis. `krebuli~, 1872, #8-9).

უცხოეთში იმყოფებოდნენ. ამდენად, „დროებისა“ და „კრებულის“ ერთდროულად გამოცემის ტვირთი ძირითადად დააწვა კ. ლორთქიფანიძეს, რომლისთვისაც, ჩანს, შეუძლებელი აღმოჩნდა ერთბაშად ორი პერიოდული გამოცემის გაძღოლა.[14]

2. ლიტერატურული მასალის ნაკლებობა [1873 წლის IV ნომერში ერთადერთი ტექსტია დაბეჭდილი – ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“ (ნაგრძნობი და განაგონი)“, იმავე წლის IX ნომერი კი მთლიანად ეთმობა გ. წერეთლის „მგზავრის წიგნების“ II ნაწილს].

3. თვითონ „კრებულ“-„დროებაში“ წარმოშობილი იდეურ-მსოფლმხედველობრივი დიფერენციერების პროცესი, რამაც, ბოლოს და ბოლოს, დაარღვია მათი ერთიანობა და მონოლითურობა.

4. ქართული ჟურნალ-გაზეთებისათვის სამწუხარო ტრადიციად ქცეული ხელმოკლეობა (ხელის მომწერთა სიმცირე).

5. თავისი სიტყვა უნდა ეთქვა ცენზურის სიმკაცრესაც.

ვფიქრობთ, ძირითადი მიზეზი „კრებულის“ გამოცემის შეწყვეტისა უფრო პირველი გარემოება (ნ. ნიკოლაძის წასვლა საქართველოდან) უნდა ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ ჟურნალის ფაქტობრივი რედაქტორი თბილისში ყოფნისას ლიტერატურული მასალის ნაკლებობის, მწირი ფინანსური რესურსებისა და მკაცრი ცენზურის პირობებში მაინც ახერხებდა „კრებულის“ გამოცემას და ამ მხრივ 1873 წლის დასასრულს (ან 1874 წლის დასაწყისში) რაიმე განმსაზღვრელი მნიშვნელობის ცვლილებები წყაროებით არ დასტურდება.

1875 წელს რადაც „მოლაპარაკება“ ყოფილა „ჩვენი უდროოთ შეჩერებული ჟურნალის „კრებულის“ ხელ-ახლად გამოცემაზე“ („დროება“, 1875, №107), 1877 წელს „კრებულის“ აღდგენა უცდია „რამდენსამე ყმაწვილკაცს, ქართული ლიტერატურის გულშემატკივარს“ („დროება“, 1877, №175), ხოლო 1879 წელს – მოღვაწეთა ერთ ჯგუფს კიდევ ერთხელ მოუნდომებია ჟურნალის აღდგენა და რედაქტორიც (ალ. სარაჯიშვილი) შეურჩევია („დროება“, 1879, №2), მაგრამ ყველა ცდა „კრებულის“ აღდგენისა ამაო აღმოჩნდა.

ნიკო ნიკოლაძის ჟურნალი „კრებული“, ეყრდნობა რა ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბის“ მიერ დაფუძნებულ ფუნდამენტურ იდეურ და ლიტერატურულ-შემოქმედებით პრინციპებს, მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულობითა და მთლიანობით, ორიგინალური თუ ნათარგმნი ლიტერატურული მასალის მრავალფეროვნებითა და ხარისხით, რაც მთავარია, პუბლიცისტური ინტერესების სიღრმითა და საფუძვლიანობით, ვფიქრობთ, აღემატება მანამე არსებულ ყველა ქართულ ჟურნალს. „კრებულმა“ „დროებასთან“ ერთად გამორჩეული როლი შეასრულა XIX საუკუნის საქართველოში ახალი, ეპოქისეული მოთხოვნების შესაბამისი აზროვნების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში. ა. ჯორჯაძის შეფასებით – „კრებულში“ ახალი თაობის აზროვნება თავის უმაღლეს განვითარების საფეხურს მიადგა... გამოაკელით ჩვენს ჟურნალისტიკას ეს სამი ორგანო („საქართველოს მოამბე“, „დროება“ და „კრებული“ – თ. ჯ.) და თქვენ ნიადაგს გამოაცლით ჩვენს თანამედროვე ეროვნულ-კულტურულ ვითარებას“.

[14] sainteresoa k. lorTqifaniZis, rogorc Jurnalistis, sergei mesxiseuli daxasiaTeba (s. mesxis erT-erTi werilidan ek. meliqiSvilisadmi): `kirile srulebiT Jurnalisti ar aris; imas iseTi xasiaTi ara aqvs, rom yovelTvis da yovels saganze SeeZlos wera... ambobs, amisTana mdgomareobaSi me wera ar SemiZliao, Cemi saxlkari ara maqvso, guli damSvidebuli ara maqvso!.. ambobs, marTalia, am saganze JurnalSi unda iTqvas rameo, magram kargaT ar vici es saganio, es da es wignebi unda wakiTxuli mqondes jerao da mere SemeZleba werao!.. sazogadoT Cveni kirile saSinlaT zantia, mZime weraSi~.

ლიტერატურა:

ბოცვაძე ი. სერგეი მესხი და 70-80-იანი წლების ქართული პრესა. თბ.: 1968, გვ. 28-30,93-94.

იოვიძე ა. გიორგი წერეთელი – მასალები. „საისტორიო მოამბე“, №6, 1952, გვ. 202-203,206,209-210.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III (1863-1871). თბ.: 1986, გვ. 327-700.

კარიჭაშვილი დ. ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. „წიგნის მეგობარი“, 1925, №1-2, გვ. 105-106.

კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს). წიგნში: **ვ. კოტეტიშვილი**. რჩეული ნაწერები (ორ წიგნად). **დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, წგნ. I. თბ.: 1965, გვ. 414-422.

სააკაძე შ. ჟურნალ „კრებულის“ სალიტერატურო კრიტიკა რეალიზმისა და ლიტერატურის ხალხურობისათვის ბრძოლაში. კრბ. „ქართული ჟურნალისტიკა“ (VII, 1986, გვ. 17-41).

სიფრაშვილი ვ. უცნობი წერილი. გაზ. „თბილისი“, 1.VII.1959, №153.

შათირიშვილი ზ. ნიკო ნიკოლაძე და ლიბერალური ტრადიცია საქართველოში. წიგნში: **ნ. ნიკოლაძე**. „კრებულის“ დანიშნულებაზე (სერია – „ილიას ბიბლიოთეკა“). წინასიტყვაობა **ზ. შათირიშვილისა**. თბ.: 2010, გვ. 5-12.

ჩიკვილაძე დ. ჟურნალი „კრებული“ (1871-1873 წწ.). წიგნში: **დ. ჩიკვილაძე**. წერილები (ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხები). თბ.: 1989, გვ. 3-178.

ჭილაია ა. გიორგი წერეთელი. თბ.: 1967, გვ. 67-73.

ჭიჭინაძე ზ. ქართულ გაზეთის ასი წლის ისტორია. ტფ.: 1916, გვ. 38-40.

ჭუმბურიძე ჯ. სალიტერატურო კრიტიკა ჟურნალ „კრებულში“ (1871-1873 წწ.). წიგნში: **ჯ. ჭუმბურიძე**. მეცხრამეტე საუკუნე (ლიტერატურული ნარკვევები). თბ.: 2004, გვ. 181-225.

ხუნდაძე ს. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I. ტფ.: 1927, გვ. 65-80.

ჯორჯაძე ა. მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის. წიგნში: **ა. ჯორჯაძე**. წერილები. შემდგენელი **ა. ბაქრაძე**. თბ.: 1989, გვ. 251-261,294,309.

„მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლასთან დაკავშირებული კრიტიკულ-ლიტერატურული ტექსტები იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტომათია. შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო **ს. ხუციშვილმა**, I. თბ.: 1954.

ბიბლიოგრაფია იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945). შედგენილი **გ. ბაქრაძის** მიერ, **ვ. ეგნატაშვილის** რედაქციით. თბ.: 1947, გვ. 8.

Абрамишвили А. Грузинская периодика (1819-1917). Тб.: 1968, с. 42-43.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია იხ. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. I (1852-1877). **გ. აბზიანიძის** რედაქციით და წინასიტყვაობით, ბიბლიოგრაფიული რედაქცია და საძიებლები **თ. მაჭავარიანისა**. თბ.: 1940.

ილია ჭავჭავაძის „ივერია“

(1877-1906)

1876 წლის 4 მარტს, გაზეთ „დროების“ დაარსების 10 წლისთავის აღნიშვნისათვის მზადების დღეებში, შეიქმნა „დროების“ ახალი სარედაქციო ჯგუფი სერგეი მესხის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და აკაკი წერეთლის შემადგენლობით. ამ დროისათვის ი. ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძეს შორის უკვე გამწვავებული იყო პოლემიკა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამის გამო ილიამ დატოვა აღნიშნული ჯგუფი, რასაც ჯგუფის დაშლა მოჰყვა. ი. ჭავჭავაძემ საკუთარი გაზეთის დაარსება გადაწყვიტა, საამისოდ დაიწყო კიდევაც საორგანიზაციო ხასიათის მუშაობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დირექტორი ბესარიონ ღოღობერიძე. ერთ-ერთ საორგანიზაციო შეხვედრაზე ილიას უახლოეს თანამშრომლებად (არსებითად თანარედაქტორებად) დასახელდნენ ახალგაზრდა, მაგრამ პერსპექტიული მოღვაწეები: ბესარიონ ჯაფარიძე და დავით ჩქოტუა.[1] 1876 წლის 18 ივნისს ი. ჭავჭავაძემ კავკასიის საცენზურო კომიტეტს მიმართა თხოვნით, ნება დაერთოთ 1877 წლის 1 იანვრიდან გამოეცა **„ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“**, ამასთანავე, ილიამ საცენზურო კომიტეტს წარუდგინა პროგრამა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული იყო ფართო პროფილის პერიოდული გამოცემის დაარსება:

„1. წინამძღოლი წერილები, რომლებშიაც გამოითქმება რედაქციის აზრი შესახებ საზოგადო ცხოვრების სხვა და სხვა გვარ საგანთა.

2. საქართველო: განხილვა ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენში მთავრობითსა წარმოებასა და საზოგადოების ცხოვრებასა.

[1] unda iTqvas, rom i. WavWavaZes jer kidev 1872 wels hqonda sakuTari perioduli organos dafuZnebis survili. amis Sesaxeb igi p. umikaSvils swerda: `samsaxuris Tavis danebeba CemTvis am Jamad didi araferia, da Tu samsaxuridam gamoval, marto imisaTvis, rom Jurnali gamovhsce. vfiqrob, vfiqrob da eg gamocema ver momixerxebia... Tu oriod da samiod rigians (sad arian?) mweralzed imedi meqneba, anu ukeT, momecema, maSinve davkrav fexs, gadavvardebi baxtrion galavanzeda~. ilia maSin marTlac gamovida samsaxuridan, magram saTavadaznauro-saadgilmamulo bankis daarsebis saqmeSi CaerTo, amis gamo ruseTSi (moskovi, peterburgi) mouxda xangrZlivad yofna, iqidan dabrunebulma ki, Cans, verc literaturuli Zalebis Semokreba moaxerxa da es mizani (sakuTari gamocemis daarseba) mxolod 1877 wels ganaxorciela.

3. რუსეთი: განხილვა ყოველის გვარის შესანიშნავის საგნისა, რაც კი შეეხება რუსეთის სახელმწიფოს წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებასა.

4. უცხოეთი: განხილვა ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება საზოგადო პოლიტიკას, უცხო ქვეყნების სახელმწიფო წარმოებასა და საზოგადოების ცხოვრებასა.

5. კორრესპონდენციები შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნებისა.

6. სამეცნიერო განყოფილება: წერილები შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა.

7. ბელლეტრისტიკა: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამ გვარი.

8. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

9. ფელეტონი.

10. სასამართლოს მატიანე: სასამართლოების განაჩენის ბეჭდვა და მისი განხილვა.

11. სხვა და სხვა გაზეთების ნაამბობნი.

12. კერძოთა პირთა განცხადებანი და საჭირო ცნობათა სქემა“.

საცენზურო კომიტეტმა, როგორც ამას იმდროინდელი წესი მოითხოვდა, თხოვნა გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს, რომელმაც სექტემბერში გასცა კიდევაც ნებართვა, თუმცა 1877 წლის 1 იანვარს გაზეთის გამოცემა ვერ მოესწრო და ყოველკვირეული „ივერიის“ პირველმა ნომერმა მხოლოდ 3 მარტს იხილა დღის სინათლე.

„ივერია“ ბრძოლისა და წინააღმდეგობის პირობებში დაიბადა. მისი გამოცემის იდეას (ხოლო შემდეგ – პირველივე ნომრის გამოსვლას) მძაფრი კრიტიკით შეხვდა „დროების“ ჯგუფი, რომელმაც შეძლო, საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად განეწყო ი. ჭავჭავაძის ახალი ინიციატივის მიმართ. ჯერ კიდევ 1876 წლის ივნისში, გაზეთის გამოცემის მოსამზადებელ პერიოდში, ნ. ნიკოლაძემ „ივერიის“ გამოცემის განზრახვა საბანკო საკითხებს დაუკავშირა, კერძოდ, მიიჩნია, რომ ახალი გაზეთი ბანკის მმართველობისათვის ბრძოლაში (კენჭისყრაში) საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის მიზნით არსდებოდა და ამის გამო ნ. ნიკოლაძემ „დროების“ ფურცლებზე სასტიკად გაილაშქრა „ივერიის“ გამოცემის წინააღმდეგ: „მწერლობა დიდი ძალაა, მართალია, მაგრამ ის მწერალი, რომელიც თავის კალამს იმისთვის იღებს ხელში, რომ საზოგადოებას თვალი აუხვიოს და კაი შემოსავლიანი ადგილი იშოვოს, ჩაქოლვის ღირსია... [ასეთი მწერალი] ღალატობს თავის მკითხველ საზოგადოებას და თავის თავს ჰყიდის ფულად, ჯამაგირად... საზოგადო სიკეთის მხრით მე სავნებლად ვთვლი ახალი გაზეთის დაარსებას კი არა, გ ა ზ ე თ ი ს დაარსებას კენჭის ყრის გასამრუდებლად“. ს. მესხი კი მიიჩნევდა, რომ ახალი გაზეთის დაარსება თავისდათავად დიდად მნიშვნელოვანი და კეთილშობილური განზრახვა იყო, ჩვენს გაზეთს [„დროებას“] „ახალი მოძმეც“ გაუჩნდებაო, მაგრამ იქვე დასძენდა – „ეჭვი ვერ მოგვიშორებია“ და იქნებ ეს ახალი გაზეთი „თფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების გამგებელთათვის“ არსდებაო.

„ივერიის“ პირველი ნომრის გამოცემას „დროებაში“ რეცენზიით („ივერიის“ პირველი ნომერი“) გამოეხმაურა ნ. ნიკოლაძე, რომლის შეხედულებითაც, ერთი (თანაც, პირველი) ნომრის მიხედვით პერიოდული გამოცემის მიმართულებასა და ხარისხზე მსჯელობა ძნელია, თუმცა ჰ. ჰაინეს ასეთი რამ აქვს ნათქვამიო: „ვერავინ დამაჯერებს, ვითომ ლომი ჯერ თაგვად დაიბადება და ლომის ბრჭყალები და თვისება კი მას მერმე მიენიჭებაო“. რეცენზენტი ილიას ურჩევს, თავი დაანებოს ჟურნალისტიკას („მიატოვოს იქით მეცნიერება, ფილოსოფია, მაღალი ფრენა“) და ბელეტრისტიკას დაუბრუნდეს (სხვათა შორის, მრავლისმთქმელია ნ. ნიკოლაძის მიერ თავისი რეცენზიისათვის წამძღვარებული ეპიგრაფიც, რომელიც მას ხალხური პოეზიიდან აუღია: „მოკვდა იგი მებუკეცა, / რომელიცა ბუკსა სცემდა!“).

მიუხედავად ეჭვებისა და კრიტიკისა, ილია ჭავჭავაძემ მიზანმიმართულად გააგრძელა თავისი ჟურნალისტურ-საგამომცემლო საქმე და წლების განმავლობაში „ივერია“ ეროვნული თვითარსებობისა და თვითმოქმედების („...ეროვნული არსებობის გამამაგრებელ“ – გრ. ყიფშიძე) მძლავრ კერად აქცია.

გამოცემის სახელწოდებით დამაარსებელმა ხაზი გაუსვა, ჯერ ერთი, „წარსულისა და დღევანდელობის განუყოფლობას“ (ალ. კალანდაძე) და, ამასთანავე, წარმოაჩინა გამოცემის უმთავრესი მიზანდასახულობა – ეროვნული იდეის გარშემო ქართველი ხალხის ერთიანობა და კონსოლიდაცია. გაზეთის „სახელწოდებაში მკაფიოდ არის გამჟღავნებული რედაქციის პოლიტიკური მრწამსი, საზოგადოებრივი იდეალები“ (ნ. ტაბიძე).

„ივერია“ სხვადასხვა წლებში სხვადასხვა ფორმით გამოდიოდა:

1877-1878 წლებში იგი 16-გვერდიანი ყოველკვირეული (გამოდიოდა ხუთშაბათობით) „საპოლიტიკო და სალიტერატურო“ გაზეთია, თუმცა ფორმატით, მოცულობითა და შინაარსობრივადაც უფრო ჟურნალს ჰგავს, ვიდრე – გაზეთს (ამასთან დაკავშირებით გიორგი თუმანიშვილი ირონიულად შენიშნავდა კიდეც – „...ზოგჯერ ივიწყებს თავის გაზეთობას და ჩემულობს ჟურნალობასო“).

1879 წელს „ივერია“ ყოველთვიური ჟურნალია. იმ დროს ქართულ ენაზე არც ერთი ჟურნალი არ გამოდიოდა და, უნდა ვიფიქროთ, ილიას გადაწყვეტილებაზე, – გაზეთი ჟურნალად გადაეკეთებინა, – სწორედ ამ გარემოებამ იქონია გადამწყვეტი ზეგავლენა.

1880 წელს „ივერია“ სამთვიური ალმანახია.

1881-1885 წლებში „ივერია“ ისევ ყოველთვიური ჟურნალია.

1885 წლის სექტემბერში „დროება“ დაიხურა და ქართველი საზოგადოება გაზეთის გარეშე დარჩა. ი. ჭავჭავაძემ თავის გამოცემას სასწრაფოდ შეუცვალა ფორმა და 1886 წლის 1 იანვრიდან „ივერია“ ყოველდღიური გაზეთია (გამოცემის ბოლო – 1906 – წელს „ივერია“ ყოველკვირეულ გაზეთად გადაკეთდა).

დაარსებიდან 1880 წლამდე ილია ჭავჭავაძე იყო „ივერიის“ ერთპიროვნული რედაქტორი. ამ წელს, როგორც ადრე ითქვა, „დროება“-„ივერიის“ რედაქციები გაერთიანდა და გაერთიანებული გამოცემის რედაქტორი ილიასთან ერთად ს. მესხიც გახდა, ხოლო „1882 წლიდან ს. მესხის ადგილი დაიკავა ივანე მაჩაბელმა, რომელიც ილიასთან ერთად „ივერიას“ უძღვებოდა 1883 წლის მაისამდე“ (ნ. ტაბიძე).

საინტერესო ვითარება შეიქმნა 1890-იან წლებში. გიორგი ლასხიშვილის თქმით, „ილია ჭავჭავაძემ მე-90 წლებში სრულიად დაანება თავი საგაზეთო მოღვაწეობას. თუმცა რედაქტორი იყო, მაგრამ სარედაქტორო საქმეებში არ ერეოდა და ძალიან იშვიათად სწერდა... გაზეთი ჩაბარებული ჰქონდა გამგეებს და ესენი აწარმოებდნენ საქმეს. ამგვარ გამგეებად იყვნენ: ჯერ ძმები ყიფშიძენი გრიგოლი და ალექსანდრე (ფრონელი), შემდეგ დავით მიქელაძე და, ბოლოს ცოტა ხნით (გაზეთის დახურვამდე) – მე. ილია მხოლოდ გაზეთის გამომცემლობის საქმეს აწარმოებდა სამეურნეო ნაწილის გამგის დახმარებით“. იმავე პერიოდში ი. ჭავჭავაძემ თანარედაქტორობა შესთავაზა ჯერ ალ. ნანეიშვილს (1895 წ. ოქტომბერში ილია სწერს ალ. ნანეიშვილს: „აი რაზედ დავდექით: თქვენ უსათუოდ მოგიწვიოთ თანა-რედაქტორად... მე და თქვენ თანასწორის უფლების რედაქტორები და გამომცემლები ვიყვნეთ“), ხოლო შემდეგ – ნოე ჟორდანიას, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.[2] რაც შეეხება გ. ლასხიშვილის მიერ ნახსენებ „გაზეთის დახურვას“, ეს მოხდა 1896 წელს, როდესაც ფაქტობრივი რედაქტორის (გ. ლასხიშვილის, აგრეთვე, მისი უახლოესი თანამშრომლებისა და თანამოაზრეების: კიტა აბაშიძის, ილია ნაკაშიძის,

[2] sainteresoa is piroba, romelic ilias n. JordaniasTvis SeuTavazebia: `me msurs Tqven gaxdeT `iveriis~ xelmZRvaneli, redaqtori sruli uflebiT, mxoloT roca Cvens Soris iqneba azrebis didi gansxvaveba _ me Cemsas davbeWdav, Tqven Tqvensas~.

გიორგი ზდანოვიჩის...) ხელში გაზეთმა რადიკალური ხასიათი შეიძინა, ამის გამო ხელისუფლებამ „ივერია“ დახურა და ი. ჭავჭავაძის ძალისხმევით მხოლოდ რვა თვის შემდეგ (1897 წლის 1 იანვრიდან) მოხერხდა მისი აღდგენა.[3]

1900 წელს ილიას ავადმყოფობისა და შემდეგ გერმანიაში სამკურნალოდ გამგზავრების გამო „25 იანვრიდან 14 ნოემბრამდე „ივერიას“ ვ. სულხანიშვილი უძღვებოდა“ (ნ. ტაბიძე).

ასე იყო თუ ისე, ოფიციალურად 1901 წლის დეკემბრამდე „ივერიის“ რედაქტორად ი. ჭავჭავაძე ითვლებოდა, ამის მერე კი ილიამ რედაქტორობა გადასცა ალექსანდრე სარაჯიშვილს, რომელიც, თავის მხრივ, 1903 წლის ივლისიდან შეცვალა გრიგოლ ყიფშიძემ.[4] „ივერიის“ უკანასკნელი რედაქტორი იყო ფილიპე გოგიჩაიშვილი – 1905 წლის თებერვლიდან 1906 წლის აგვისტომდე, ანუ გამოცემის დახურვამდე.

„ივერიის“ გამომცემელი დაარსების დღიდან 1902 წლის ივლისამდე იყო ი. ჭავჭავაძე, 1902-1905 (თებერვლამდე) წლებში – ალექსანდრე სარაჯიშვილი. გაზეთის ბოლო გამომცემელი იყო პავლე თუმანიშვილი (1905-1906).

ტირაჟი გამოცემისა მერყეობდა 400-600 ეგზემპლარის ფარგლებში (ამ საკითხზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. ასე, მაგალითად, 1881 წელს „ივერიას“ ჰყავდა 437 ხელის მომწერი. გ. ლასხიშვილის მიხედვით, 1890-იან წლებში გაზეთი იბეჭდებოდა „ოთხასიდან ექვსას ეგზემპლიარამდე“). ისიც უნდა ითქვას, რომ „ივერიის“ ხელის მომწერთა რაოდენობა და ტირაჟი არ ემთხვეოდა ერთმანეთს: „ქართული გამოცემები, განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძის გამოცემები, ხელისმომწერთა რიცხვზე მეტი რაოდენობით იბეჭდებოდა და უფასოდ იგზავნებოდა სკოლებში, სამკითხველოებში, ახალშემოერთებულ კუთხეებში (მესხეთი, აჭარა)“ (ალ. კალანდაძე).

„ივერია“ თავიდან იბეჭდებოდა ე. ხელაძის სტამბაში, შემდეგ – ა. ენფიაჯიანცის, სტ. მელიქიშვილის, გრ. ჩარკვიანისა და სხვ. სტამბებში.

რედაქციას სხვადასხვა დროს სხვადასხვა მისამართი ჰქონდა: კომენდანტის (ამჟამად გრიბოედოვის) ქუჩის №1; კონსულის (ამჟამად პეტრე ჩაიკოვსკის) ქუჩა (ჯერ №5, შემდეგ №4); სოლოლაკში, სადოვაიას (ამჟამად ლადო ასათიანის) ქუჩის №33; გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტი (ივ. მუხრანბატონის სახლი, I კლასიკური გიმნაზიის გვერდით, რუსთაველის პროსპექტისა და ლესია უკრაინკას ქუჩის გადაკვეთაზე) და სხვ.; 1893-1902 წლებში (მანამ, სანამ ილია გაზეთს ალ. სარაჯიშვილს გადასცემდა) „ივერიის“ რედაქცია მდებარეობდა იმ შენობაში, რომელშიც ი. ჭავჭავაძე ცხოვრობდა – ნიკოლოზის ქუჩის №21-ში (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის ქუჩა, №7).

„ივერიის“ პირველ ნომერში ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა პროგრამული ხასიათის წერილი, რომელშიც მოცემულია ავტორის ფუნდამენტური შეხედულებები პრესის

[3] `iveriis~ droebiT daxurvasTan dakavSirebiT g. lasxiSvili wers: `maisis pirveli ricxvebi iyo... ukve daiwyo bankis krebebi. me da giorgi (zdanoviCi _ T. j.) wavediT TeatrSi `bankoviadis~ seiris sayureblad. avediT scenaze, daviWireT korespondentebis adgilebi. imav wuTs scenaze gamoCnda iliac, romelic pirdapir Cemsken gamoemarTa: _ ai Tqvenma revolucionerobam ukve gamoiRo pirveli nayofi: es aris qaRaldi momivida `iveriis~ daxurvis Sesaxeb.

advilad warmoidgenT, rogor Tavzars damcemda es ambavi, rogor uecrad micruvdeboda yvela imedi gazeTis ganaxlebisa, gazeTSi Tanamoazre xalxis Sekrebisa da axal mimarTulebiT muSaobisa... amgvarad, qarTveli sazogadoeba darCa ugazeTod. didis mecadineobiT iliam moaxerxa gazeTis ganaxleba...~

[4] mixeil javaxiSvili, romelic 1900-ian wlebSi aqtiur Jurnalistur da publicistur moRvaweobas eweoda, Tavis memuaruli xasiaTis teqstSi `ilia WavWavaZe~ aRniSnavs: `1904 wels `iveriis~ faqtiuri redaqtori gavxdi. oficialuri redaqtori g. yifSiZe bankSi muSaobda da Tavis gazeTs ukve dabeWdils kiTxulobda~.

(„ჟურნალ-გაზეთობის“ – მწიგნობრობის/ლიტერატურის „ერთგვარი ნაწილის“) ფუნქციასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე. ილიას აზრით, „[ჟურნალ-გაზეთობის] ძალით თვით საზოგადოება თვისის ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვითრჯულს (აქ: ქაოსურ, უკონტროლო – თ. ჯ.) დენას საკუთარს თაოსნობას უმორჩილებს“. ხოლო იმისათვის, რომ საზოგადოებამ „ცხოვრების თვითრჯული დენა“ საკუთარ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს დაუმორჩილოს, პრესამ ორი უმთავრესი ფუნქცია უნდა განახორციელოს:

ა) იგი უნდა იყოს სწავლისა და ცოდნის გამავრცელებელი, სასწავლებელი, „რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება... მან უნდა ფეხი აუდგას თვითმოქმედობის ძალსა, მან უნდა აღადგინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი“.

ბ) ჟურნალ-გაზეთობა უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების სარკე, „იმის ამომძახელი, რასაც ჩასძახებს საზოგადო აზრთა დენა, შეტაკება და ბრძოლა“. საზგადოებრივი ცხოვრება კი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს „ძლიერი თუ უძლური, მაღალი თუ მდაბალი“, მაგრამ ყველა შემთხვევაში ჟურნალ-გაზეთობამ უპირველესად მხედველობაში ის უნდა იქონიოს, რომ „ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მომქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული. რასაკვირველია, მოჭირნახულემ უნდა იცოდეს თვისი ნამოქმედარის ავკარგიანობა, თვისება. ამისათვის ყოველს საგანს, ყოველს მოვლენას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს, ჟურნალ-გაზეთობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისამებრ მისცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრის და ცოდნის დაკვალად“.

„ივერია“ თემატურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით მრავალმხრივი და მრავალფეროვანი პერიოდული გამოცემაა, თუმცა მისი უმთავრესი მიზანი და საზრუნავი მაინც არის „ჩვენის დაცემულის ვ ი ნ ა ო ბ ი ს აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან... სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს რა ეხლანდელს საქართველოს შვილს“ (ი. ჭავჭავაძე. 1881 წლის მაისის „შინაური მიმოხილვა“). **„ვინაობაში“** აქ ქართველთა ნაციონალური თვითმყოფობა იგულისხმება, ხოლო **„აღდგენაში“** კი ის, რომ ნაციონალური თვითმყოფობა ქართველი ერის კულტურულ-ისტორიულ გამოცდილებასა და მონაპოვრებზე უნდა იყოს დაფუძნებული.[5] ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ ი. ჭავჭავაძე ასე განსაზღვრავს თავისი გამოცემის ძირითად მიზანდასახულობას – **„საქართველოს სალხში ეროვნული გრძნობის გაღვიძება“**.

საერთოდ, ილია ჭავჭავაძის ეროვნული თვითშემეცნება ფოკუსირებულია სიტყვებში: **„...ქვეყნად ცასა, ღვთად მოუცია მარტო მამული“** („აჩრდილი“), რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ამქვეყნიური (მიწიერი) ცხოვრების უზენაესი ინტერესი და მიზანი („ამქვეყნიური ღმერთი“) არის მამული და ეს არის არა ადამიანის არჩევანი, არამედ განგების („ცის“) ნება. შესაბამისად, როდესაც ადამიანი ემსახურება მამულს, ის, იმავდროულად, განგების ნებასაც აღასრულებს. ამით, სხვათა შორის, ილიას მოხსნილი აქვს ცნობილი თეოლოგიური დაპირისპირება სოფელსა (ხილულს, ხორციელს, ემპირიულს) და ზესთასოფელს (უხილავს, სულიერს, ტრანსცენდენტურს) შორის.

ამ კონცეფციის მიხედვით, „სოფელი“ (ქვეყანა) ბოროტებისა და ამაოების სადგური კი არ არის, არამედ ადამიანის მიერ თავისი უზენაესი ინტერესების, მიზნებისა და

[5] miuxedavad imisa, rom `iveriis~ publicistebs gansxvavebuli Sexedulebebi hqondaT calkeul politikur, socialur Tu ekonomikur sakiTxebze, **`dacemulis vinaobis aRdgenis~** sakiTxSi maT Soris Tanxmoba iyo. ase, magaliTad, TvalsaCino publicisti al. naneiSvili imave `iveriis~ (1881, #10) furclebze werda: `dRes umTavresi mniSvneloba aqvs CvenTvis Cvenis vinaobis dacvas~.

ღირებულებების სარეალიზაციო სივრცეა და ეს, ვიმეორებთ, თვით განგების მიერ ადამიანისათვის გაჩენილი ღვთაებრივი წესია.

ზოგადად ილია ჭავჭავაძისათვის უცხოა განდეგილობის, – მით უფრო, ასკეზის, როგორც მონაზვნობის იდეალის, – რელიგიური და მსოფლმხედველობრივი საფუძვლები[6] და, ამ მხრივ, სრულებით არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ ქართული სასულიერო წრეების ისტორიულ დამსახურებაზე მსჯელობისას ილია საგანგებოდ აღნიშნავს მის (ქართველი სამღვდელოების) **მამულიშვილურ** ღვაწლს: „მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა. ამ სამთა უწმინდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა ის მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი ღვაწლია და სამსახური **ქვეყნის** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.) წინაშე“. ილია ჭავჭავაძე ქართველი სამღვდელოების ისტორიულ და განმსაზღვრელი მნიშვნელობის დამსახურებად მიიჩნევს „ღვაწლსა და სამსახურს ქვეყნის წინაშე... ეროვნების რჯულამდე გაპატიოსნებასა და სარწმუნოებამდე ამაღლებას“ („ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი“). სხვა წერილში კი იგი აღნიშნავს: „საქართველოს ეკლესია... ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა“ („დავით აღმაშენებელი“).

„პოლიტიკური სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა გამოისახება ეროვნული ცხოვრების აღორძინების საჭიროებაში“ (ა. ჯორჯაძე). „ეროვნული ცხოვრების აღორძინების“ გზაზე კი, ილიას შეხედულებით, უმთავრესია ქართველთა საერთო-ეროვნული თვითშეგნების გამთლიანება და გაღრმავება, „საყოველთაო ქართველის“ დარღვეული თვითშემეცნების აღდგენა და ნაციონალური იდეის სამსახურში მისი ჩაყენება; ქართველი ერის უბედურების სათავე განკერძოებულობაშია და ამას აქვს ისტორიული საფუძველი: „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თვითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულის-ტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას დღეს აქეთ გაითხარა ჩვენის ბედნიერების სამარე. მას დღეს აქეთ თვითოეული დღე თითოს რასმე სიკეთეს ხელიდამ გვაცლიდა. ეს საზარო უბედურება... თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხამდე“ [„ვის ნათესსა ვმკით? (მიმოხილვა 1879 წლისა)“].

„სად არის ქართველი და ქართველობა?“ – ეს არის ის „საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიანი საკითხავი“, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში უტრიალებდა ილია ჭავჭავაძე თავის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში. ამ მხრივ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ჯერ კიდევ „ივერიის“ დაარსებამდე (1866-1876 წლებში) დაწერილი და 1876 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებული პუბლიცისტური თხზულება „ზოგიერთი რამ“: „არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის... აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო. ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს,

[6] vfiqrobT, askezisadmi i. WavWavaZis amgvari damokidebulebis gaTvaliswinebiTaa SesaZlebeli poema `gandegilis~ dRemde davis sagnad qceuli Sinaarsobrivi da ideuri raobis garkveva.

ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში ერთად ძმურად უწევნია... ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ... იმერელი – იმერელია, გურული – გურულია, მეგრელი – მეგრელია, ქართლელი – ქართლელია, და სულ ყველანი კი ქართველები არ არიან. ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ – იშვიათი“.

„განთვითეულობამ“, „ცალ-ცალკეობამ“ ხალხის ზნეობრივი და გონებრივი გადაგვარება გამოიწვია, ერის თვითმოქმედების უნარი დაასუსტა, სამშობლოს განცდა დააუძლურა, „მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვი“ გაწყვიტა, სიტყვა „მამულის“ „ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა“ საკუთარ კარ-მიდამოზე ზრუნვამდე დააქვეითა: „დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი... და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული“ დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი... თვითეულმან ჩვენგანმან... საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა“.

„ილია ჭავჭავაძისათვის ერი ცოცხალი საზოგადოებრივი **პიროვნება** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.) იყო, ერთი მრთელი რამ, რომლის ნაწილთა შორის ვერავითარი განსხვავება მას ვერ შლის და არც უნდა დაშალოს იგი. დასაბამითგან დღემდე ცხოვრება ქართველი ერისაც მუდამ ცვალებადი იყო, ხოლო თვით იგი იმავე პიროვნებად დარჩა“ (მიხ. წერეთელი).[7]

ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით, „ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება“ („ქვათა ღაღადი“). უფრო მეტიც, ერისთვის, – მისი პიროვნული ბუნებიდან გამომდინარე, – ბუნებრივი და ორგანულია ისეთი პიროვნულ-ადამიანური თვისებები, როგორებიცაა „დიდ-ბუნებოვანობა“, ზნეობრივი „სისრულე“ და ყოფით ცხოვრებაში გამოვლენილი „მადლი“ (1895 წლის იანვრის „შინაური მიმოხილვა“).

---

[7] al. manveliSvilis SexedulebiTac, ilia WavWavaZisaTvis `eri aris garkveuli pirovneba, ise, rogorc individi; damTavrebuli bunebrivi qmnileba, romlis ganviTareba da amaRleba moiTxovs Tavisuflebas. adamianis arsebobis mizani am qveynad aris mudmivi winsvla, ganviTareba, srulyofa misi nivTieri arsebobis pirobebisa da sulieri da zneobrivi gafaqizeba, raTa am dausrulebeli ltolviT RvTaebamde amaRlebisa, Seasrulos Tavisi adamianuri misia, romelic aris mTavari principi mTeli samyaroisi, gansakuTrebiT ki sicocxlisa da misi umaRlesi gamomJRavnebis _ adamianisa. es bunebrivi svla xdeba brZoliTa da SemoqmedebiT. brZola TavisuflebisaTvis _ Semoqmedeba Tavisuflebis niadagze. eri, rogorc individi, Semqmnelia yvelafris. kultura iqmneba mxolod individualur, erovnul niadagze. xolo raki Semoqmedeba mxolod Tavisuflebis niadagzea SesaZlebeli _ eris Tavisuflebis principi gamomdinareobs misi socialuri bunebidan: `Tavisuflebav Sen xar kacTa navTsayudari, / Sen xar Cagrulis, wamebulis wminda safari, / Sen xar mSvidoba da simarTle ama qveynisa, / Sen xar aRmzrdeli RvTaebamde kacT bunebisa~.

ილიას შეხედულებით, ერის, როგორც „ცოცხალი საზოგადოებრივი პიროვნების“, სრულფასოვანი თვითარსებობა და „თვითმოქმედების ძალის“ ამოძრავება მისი თითოეული შვილის ნიჭისა და შესაძლებლობების ეროვნული იდეის გარშემო კონსოლიდაციითაა შესაძლებელი: „ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი... სულ ყოველისფერი ჩვენი ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი“ (1881 წ. მაისის „შინაური მიმოხილვა“). **სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-კლასობრივ ფენათა შეთანხმების („წოდებათა შერიგების“, „წოდებათა თანხმობის“, „სოციალური ზავის“, იასონ ლორთქიფანიძის ფორმულირებით, „ეროვნული ერთიანი ფრონტის“) კონცეფცია, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „ნაციონალური კონსოლიდაციის“ კონცეფციას და რომელშიც ერთი განმსაზღვრელი იდეის გარშემო პოლიფონიურადაა შერწყმული ილიას პოლიტიკური და სოციალური იდეები და შეხედულებები.**

„ნაციონალური კონსოლიდაციის“ კონცეფციას ი. ჭავჭავაძე აყალიბებს როგორც ქართველი ერის თანადროული ცხოვრებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის აუცილებლობას და, ამასთანავე, საქართველოში სოციალურ ურთიერთობათა ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციის აღორძინებას. წერილების სერიაში „ცხოვრება და კანონი“, ილია წერს: „ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა... წოდებათა შორის უფლების ცილება, ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება – რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით, ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან“.

ი. ჭავჭავაძის „ნაციონალური კონსოლიდაციის“ კონცეფციის მიხედვით:

ა) მხოლოდ კონსოლიდირებულ საზოგადოებას შეეძლო ნაციონალური თვითგადარჩენის იდეის გარშემო გაერთიანება და ამ იდეის პრაქტიკული ხორცშესხმა, მით უფრო აუცილებელი იყო ეს სახელმწიფოებრიობას მოკლებული ისეთი საზოგადოებრივ-ეროვნულ ორგანიზმისათვის, როგორსაც იმ დროს ქართველი ერი წარმოადგენდა.

ბ) ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების აუცილებლობა თავისთავად ქმნიდა ნიადაგს საზოგადოებრივ ფენათა შემდგომი დიფერენცირებისა და ანტაგონიზმისათვის, ხოლო ამგვარი ანტაგონიზმის აცილება მხოლოდ ეროვნული იდეის გარშემო კონსოლიდირებულ საზოგადოებას შეეძლო.

გ) კლასობრივ წინააღმდეგობასა და მის გაღრმავებაზეა დაფუძნებული როგორც ნაროდნიკულ-ხალხოსნური, ისე მარქსისტული იდეოლოგია, რაც ქმნიდა რევოლუციური ურთიერთდაპირისპირების გარდაუვალ აუცილებლობას. ამ უაღრესად სახიფათო (მით უმეტეს, მცირერიცხოვანი ერისათვის) საფრთხის აცილებაც მხოლოდ ეროვნული იდეის გარშემო კონსოლიდირებულ საზოგადოებას შეეძლო...

წოდებრივი თანხმობის პრობლემას ილია ჭავჭავაძე ამა თუ იმ ფორმით არაერთ პუბლიცისტურ თხზულებაში ეხება, რომელთაგან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს წერილი „წოდებათა თანასწორობა“[8]: „ჩვენი გულითადი რწმენა ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი

[8] amjerad CvenTvis i. WavWavaZis publicisturi Sexedulebebia saintereso da amitomac ar vexebiT wodebaTa urTierTmimarTebis (`xidCatexilobis~) sakiTxs ilias mxatvrul SemoqmedebaSi (`aCrdili~, `oTaraanT qvrivi~, `glaxis naambobi~ da sxv.).

წოდებათა დაუყოფელად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან... ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათას გვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია. ვერც ერთი ცალკე წოდება ერისა ვერ დაიქადებს, რომ თუ მე კარგადა ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო“.

მთავარი შემაფერხებელი გარემოება ეროვნულ ცხოვრებაში ერთიანობის დამკვიდრებისა, ილიას აზრით, თავადაზნაურულ-კლასობრივი თვითშეგნებაა: „თავად-აზნაურობა ჯერ ამ მოძღვრებას (სოციალური თანხმობის აუცილებლობას – თ. ჯ.) ვერ მისწვდომია... ჩვენ-კი ვიტყვით, რომ მისი (თავადაზნაურობის – თ. ჯ.) დღეგრძელობა, კეთილდღეობა, ბედნიერება, სახელი და დიდება სწორედ და მთლად იმაშია, რომ ეს მოძღვრება გულში ჩაიჭედოს და ერთს წუთსაც გონებიდამ არ მოიშოროს, რომ თუ სხვანი კარგად იქნებიან, მარტო მაშინ იგიც კარგად იქნება. ჭეშმარიტსა და საბოლოო წარმატებას სათავე აქა აქვს და თუ ჩვენი თავად-აზნაურობა ყოველს თავის მეცადინეობას და მოქმედებას ამ მოძღვრებას შეუფარდებს და ქვეშ დაუყენებს, სასახელო მიზეზს თავის არსებობისასაც აქ იპოვის“.[9]

ცალ-ცალკე ყოფნა, სოციალურ-კლასობრივ ინტერესთა დაპირისპირება, „განთვითოებულობა“ არის ის მთავარი საფრთხე, რომელიც ქართველი ერის თვითარსებობას ემუქრება და ამ საფრთხის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება ერთიანობაა: „ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. არა გონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზე დაამყაროს“.[10]

---

[9] unda iTqvas, rom `nacionaluri konsolidaciis~ koncefcias i. WavWavaZe amkvidrebda ara mxolod rogorc mwerali, publicisti da sazogado moRvawe, aramed rogorc saxelmwifo moRvawec. kerZod, 1906 wels Tavadaznaurobis mier ruseTis saxelmwifo sabWos wevrad arCevasaTan dakavSirebiT ilia sagangebod aRniSnavda: `saxelmwifo sabWoSi Tu Tavad-aznaurTa saxeliT Sevdivar _ es mxolod formaluri, iuridiuli mxarea. ar davfarav da vityvi: sabWoSi mTeli saqarTvelos da qarTvelTa interesebis damcveli viqnebi. saerTo kiTxvebsac (sakiTxebsac _ T. j.) Sevwirav Cems Rones~.

[10] qarTvelTa erTianobis sasicocxlo mniSvnelobas ilia sajaro gamosvlebSic aRniSnavda. ase, magaliTad, 1895 wels Tbilisis saTavadaznauro-saadgilmamulo bankis wliur krebaze warmoTqmul sityvaSi igi Seexo kuTxuri gankerZoebulobis problemas: `yovels qarTvels saqarTvelos nawilisas, _ guruli iqneba, megreli, kaxeli, Tu qarTleli, _ Cvenis erTianis ojaxis kari Ria aqvs, rom Cvens saerTo Wirsa da lxinSi Zmuri monawileoba miiRos. es aramcTu uflebaa TviTeulis Cvenganisa, uuwmindesi movaleobaa. Zmoba da erToba amaSia. eg Zmoba da erToba aris igi klde, romelzedac unda aSendes didi sasaxle Cvenis cxovrebisa. es TiTqmis eqvsi saukunea mas aqeT, rac saqarTvelo dairRva, danawilda. es eqvsi saukunea mas aqeT, rac Cveni mama-papani, Cvenni ukeTesni da udidesni mamulisSvilni, Cveni geniosebi, Cvenni vaJkacni da meomarni, Cvenni mswavlulni da mecnierni, sisxlis RvriT iRvwodnen, rom mkvdreTiT aRdginaT JamTa viTarebisagan darRveuli da damxobili Zmoba da erToba. amas Seswires Tavisi saxelovani sicocxle, Tavisis sisxliT da RvawliT Semoses da akurTxes. mTelma Taobam mecxramete

ი. ჭავჭავაძე თვლიდა, რომ „სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა“ გლეხობაა. ილიას, რასაკვირველია, კარგად ესმოდა ზოგადად ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა და ბურჟუაზიული ფენის ჩამოყალიბების გარდაუვალობაცა და სარგებლიანობაც, თუმცა საქართველოსთვის **პრიორიტეტულად** მიაჩნდა აგრარულ-ფერმერული მეურნეობის განვითარება (წერილების სერია „ცხოვრება და კანონი“), თანაც ისე, რომ მიწა ქართველ გლეხს დარჩენოდა და მასზე არ გავრცელებულიყო უცხოტომელთა საკუთრება.

ცნობილი მემუარისტისა და ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირის, იაკობ მანსვეტაშვილის, მიხედვით, ილია გლეხობას უწოდებდა „საქართველოს პირველ ქვაკუთხედს“, რომელმაც „ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი, მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარ-ცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა, ეს არის ჩვენი მუშა ხალხი, რომელიც თავის მარჯვენით თავსაც ინახავს და ქვეყანასაც საკვებს აძლევს. ესენი არიან ჩვენი მუხის – საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებავ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს. ამათი მეოხებით იმოსება ხე ფოთლებით, ყვავილებით და მოაქვს ნაყოფი. დეე, კენწეროები გაუხმეს ხეს, ფოთლები შემოსცვივდეს, ყვავილები შემოაჭკნეს, – არა უშავს რა, ოღონდ ძალა და ღონე არ გამოელიოთ ფესვებს: ხე ხელახლად შეიმოსება ფოთლით და ყვავილით, და უხვად გამოიღებს ნაყოფს. ხე არ კვდება, თუ ფესვები მაგარი, ღონიერი აქვს. აი, სწორედ ეს ფესვებია ჩვენი მდაბიო ხალხი, ჩვენი გლეხობა. თუ ეს ფესვები მაგრად გვექნება შენახული, კარგად მოვლილი, მაშინ ჩვენ საქართველოს განსაცდელი არ მოელის, კვლავ გამხნევდება და გაძლიერდება... და აი, სწორედ ამ ფესვებს უნდა მოვუაროთ ჩვენც... ჩვენს მოვლას, ჩვენს ზრუნვას ფასი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ იმათი ენით დავიწყებთ ლაპარაკს, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ყურს მისწვდება, იმათ გულს მოხვდება. აი, გეგმა ჩვენი მუშაობისა. აი, ვისთვის უნდა ვფიქრობდეთ, ვისთვის უნდა ვზრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთ...“. ილიასთან დაახლოებული მწერალი და ჟურნალისტი არტურ ლაისტი საგანგებოდ აღნიშნავდა: „ილია სოფელში ხედავდა ქართული ეროვნული ცხოვრების სულს“.

ბატონყმობის გაუქმება ილია ჭავჭავაძისათვის გლეხისათვის სამართლებრივი და მორალური უფლებების მინიჭებას, მისი თვითრეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნასა და, ამდენად, **სოციალურ ურთიერთობათა ჰარმონიზაციის** აუცილებელ პირობას წარმოადგენდა; ამასთანავე, „ილია არ იბრძოდა გლეხობისათვის, ვითარცა კლასისათვის, არამედ ერის იმ სასიცოცხლო ნაწილისათვის, რომლის არსებული მდგომარეობა ერს განადგურებით ემუქრებოდა“ (ალ. მანველიშვილი).[11]

---

saukunisam amas Sealia Tavisi patiosani Zal-Rone, Tavisi sisxli da xorci, Tavisi niWi saqmisa da metyvelebisa...~.

[11] `nacionaluri konsolidaciis~ iliaseulma Tvalsazrisma transformacia ganicada arCil jorjaZis naazrevSi da sabolood Camoyalibda koncefciad, romelic `saerTo moqmedebis niadagis~ saxelwodebiTaa cnobili. a. jorjaZe qarTvelTa erovnuli TviTmyofobisa da TviTarsebobis gaRrmaveba-gaZlierebis aucilebel pirobad miiCnevda samoqmedo programas, romelic xuTi komponentisagan Sedgeba: 1. qarTuli enis uflebaTa ganuxreli dacva; 2. qarTvelTa mier vaWroba-mrewvelobis sistemuri saxiT Camoyalibeba da ganviTareba; 3. miwisa da meurneobis marTvis qarTvelTa xelSi darCena; 4. qarTveli inteligenciis mier kulturul-saganmanaTlebo procesebis gaRrmaveba da am saqmis meurveoba; 5. qalaqebis TviTTmmarTvelobebSi qarTvelTa konsolidirebuli Careva. `ena da literatura, mrewveloba da meurneoba, TviTmmarTveloba da saxalxo moRvaweoba, _ ai is farTo asparezi, romelzedac yvelasTvis moipoveba adgili, visac ki marTla Sestkiva guli saqarTvelos warmatebisaTvis~ _ xazgasmiT aRniSnavda arCil jorjaZe (a. jorjaZis `saerTo moqmedebis niadagsa~ da mis mimarTebaze `nacionaluri konsolidaciis~ iliaseul koncefciasTan ix. **d. SveliZe**. politikuri partiebis warmoSoba saqarTveloSi. federalistebi. nakveTi I. Tb.: 1993).

ეროვნული ერთიანობის კონტექსტში მსჯელობდა ილია ჭავჭავაძე სარწმუნოებრივ საკითხებზეც: „ქრისტეს სჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. **ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა...** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.). ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა“ („აი ისტორია“); „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას“ („ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი“) და სხვ.

მართალია, ილია ქრისტიანულ სარწმუნოებას ნაციონალურ-კულტურული ერთობისა და ეთნოფსიქოლოგიური ინდივიდუალობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად, ხოლო ეკლესიას საქართველოს „პოლიტიკურ ქვითკირად“ განიხილავდა, მაგრამ ამ მხრივ სპეციფიკური ვითარება შეიქმნა 1877 წელს, როდესაც რუსეთ-ოსმალეთს ომი გაჩაღდა და ამ ომში რუსეთის გამარჯვება ქმნიდა ოსმალთა მიერ მიტაცებული ჩვენი ისტორიული ტერიტორიის დაბრუნების პერსპექტივას. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს კი დაკარგული ჰქონდათ წინაპართა რწმენა და ისლამს აღიარებდნენ. ასეთ ვითარებაში ილიამ წინა პლანზე წამოსწია ისტორიული ერთობის (საერთო ისტორიის) ფაქტორი და ის მიიჩნია ტრაგიკულ გარემოებათა გამო გათიშული ერთი ერის შვილების კვლავ და საბოლოო „შეერთხორცების“ საფუძვლად. 1877 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ოსმალოს საქართველო“ ი. ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავს: „ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“.

ი. ჭავჭავაძე ისტორიული ექსკურსის მეშვეობით გამოჰკვეთს დედასამშობლოს მოწყვეტილი „სამცხე-კლარჯეთის“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართული ქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბებაში. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო „ოსმალოს ქართველნი“ მოსწყდნენ ქრისტიანულ წიაღს, – ამბობს ავტორი, – თუმცა მთავარი და არსებითი საერთო ისტორია და ისტორიული ერთობის შეგნებაა და ამიტომაც დღევანდელმა სარწმუნოებრივმა განსხვავებულობამ ხელი ვერ უნდა შეუშალოს ჩვენს შეერთება-შეკავშირებას.“ თავისი პოზიციის გასამყარებლად ი. ჭავჭავაძე იმოწმებს ქართველთათვის ტრადიციულად დამახასიათებელ სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას: „ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა... სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი – აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა“; ამიტომაცო, „არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს...“.

ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისით, საკუთარი ისტორიის დავიწყება ერის დეგრადაციისა და მისი სასიცოცხლო ენერგიის დაშრეტის ნიშანია. „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა,

თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი“ („ერი და ისტორია“) და ამ თვალსაზრისს ი. ჭავჭავაძე სხვადასხვა ფორმითა თუ რაკურსით აღრმავებს არაერთ პუბლიცისტურ თხზულებაში; ამასთანავე, თანამიმდევრულად და დასაბუთებულად ებრძვის საქართველოს ისტორიის არაქართველ თუ შინაურ ფალსიფიკატორებს („აი ისტორია“, „ქვათა ღაღადი“, „გაზეთი „კავკაზი“ და ქართველი ხალხი“ და სხვ.).

ილია ჭავჭავაძეს არ გამორჩენია ქართული „სალიტერატურო ენის ყოფიერების არც ერთი არსებითი საკითხი“ (არნ. ჩიქობავა), მაგრამ მისი ყურადღება ძირითადად ფოკუსირებულია ენაზე, როგორც ეროვნული თვითმყოფობისა და ერთიანობის განმსაზღვრელ ფაქტორზე. ილიას თვალსაზრისით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“ (ან: „პირველი ნიშანი ერის ვინაობისა – ენაა“). ენის რაობისა და ფუნქციის განსაზღვრისას იგი იზიარებს გერმანელი ენათმეცნიერისა და ფილოსოფოსის, ვილჰელმ ჰუმბოლდტის, დებულებას – „ერის სული (გონი) არის მისი ენა... მხოლოდ ენაშია შთაბეჭდილი მთელი ეროვნული ხასიათი და, ამასთან, მასში, როგორც მოცემული ერის ურთიერთობის საშუალებაში, ქრებიან ინდივიდუალობები, რათა გამომჟღავნდეს საყოველთაო“.

ასე რომ, **ილია ჭავჭავაძე ადამიანის უზენაეს ინტერესად და ღირებულებად მიიჩნევდა სამშობლოს, აღიარებდა მამულის „ყოვლად-მპყრობელ“ მნიშვნელობას, ხოლო ეროვნული თვითშემეცნების (იდენტობის) განმსაზღვრელ ფაქტორებად თვლიდა ენას, ქრისტიანულ სარწმუნოებას, ისტორიას (ისტორიულ ერთობას) და მათი ერთობლიობით განსაზღვრულ სპეციფიკურ (ინდივიდუალობით აღბეჭდილ) კულტურას (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), როგორც ერის შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ნაყოფს.**[12]

„ნაციონალური კონსოლიდაციის“ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული საქართველოში პოლიტიკური პარტიებისადმი ილიას დამოკიდებულების საკითხიც. გიორგი ჟურულის თქმით, „ილია ჩვენში პარტიების გაჩენასაც ნაადრევად სთვლიდა, რადგან პარტიობა ქართველი ერის გათიშვას, ცალ-ცალკე ჯგუფებად დაყოფას მოასწავებდა მის თვალში“.

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური იდეალი იყო სუვერენული უფლებების მფლობელი საქართველო და ეს იდეალი მან გამოხატა კიდევაც „მგზავრის წერილების“ პერსონაჟის, ლელთ ღუნიას, პირით – „ადრიდა... ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“ [ამ მხრივ, საინტერესოა აგრეთვე ილიას დრამატული პოემა „ქართვლის დედა (სცენა მომავალ ცხოვრებიდან)“]. მაგრამ ერთია ის, თუ რა არის პოლიტიკური იდეალი, ხოლო მეორე – რის საშუალებას იძლევა არსებული ვითარება. საქართველო იყო რუსეთის ერთიანი სახელმწიფოებრივი სხეულის ნაწილი და რადიკალური მეთოდებით ბრძოლა რუსული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოკლებული იყო პრაქტიკულ პერსპექტივას. ასეთ პირობებში ი. ჭავჭავაძე აყალიბებს თვალსაზრისს, რომელიც ჩამოჰგავს ჯერ კიდევ 1840-იან წლებში დიმიტრი ყიფიანის მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ ფორმულას – ქართველთა ეროვნული

[12] ანალოგიური თვალსაზრისი აქვს ჩამოყალიბებული აკაკი წერეთელს 1885 წელს სამეგრელოს სათავადაზნაურო სკოლის შენობის კურთხევის დროს წარმოთქმულ სიტყვაში: „საქართველოს სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი ძმები ვართ, სამის ძლიერის, უხრწნელის კავშირით საუკუნოდ შეხორცებული: საერთო ისტორიით, ქრისტეს სარწმუნოებით და ერთის დედაქართული ენით“ („ივერია“, 1885, №11).

თვითარსებობისა და თვითმყოფობის გადარჩენა და გაძლიერება არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის ფარგლებშივე, ამ მიზნის გარშემო საზოგადოების ყველა ფენის კონსოლიდაცია და მიზნის მიღწევა მშობლიური ენის შენარჩუნების, განათლების გავრცელებისა და კულტურის აღორძინების მეშვეობით.

1899 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ასის წლის წინათ“ ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ მსჯელობს იმ ვითარებაზე, რომელშიც საქართველო (კერძოდ, ქართლ-კახეთი) აღმოჩნდა XVIII საუკუნის დასასრულს და განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ისედაც დასუსტებულ ქვეყანას „ღრმად მოხუცებული სახელოვანი“ ერეკლე II-ის სიკვდილით „რკინის კარი შეეხსნა“. ავტორის თქმით, ერთი მხრივ, ოსმალეთისა და სპარსეთის სწრაფვა „დასავლეთის და მცირე აზიაში“ გაბატონებისაკენ და საამისოდ საქართველოს დაპყრობა-დამორჩილების აუცილებლობა, რასაც თან დაერთო „გაძლიერება რუსეთისა, რომელმაც მაშინ საქართველოს საზღვრამდე მოაღწია ჩრდილოეთის მხრით“, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დაუძლურება, აგრეთვე, ჩრდილოკავკასიელთა თარეში („ლეკიანობა“), თვით ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახში არსებული მწვავე ურთიერთდაპირისპირება და ა. შ. რეალურ საფრთხეს უქმნიდა არათუ სახელმწიფოებრივ თვითარსებობას, არამედ ქვეყნისა და „ერთი მუჭა ერის“ ფიზიკურ არსებობასაც კი. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, კავკასიის მიმართ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების გაძლიერებამ მტრულად განწყობილ მეზობლებთან ლავირება-ბალანსის ქართული ტრადიციული პოლიტიკა უპერსპექტივო გახადა. ამგვარ ვითარებაში „გულკეთილ, მაგრამ სუსტ“ გიორგი XII-ს „ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან“.

„ღვთის-მოსავი და ღვთის-მოყვარე“ გიორგი XII-ის არჩევანს, თავისი სამეფოს მომავალი ერთმორწმუნე რუსეთთან დაეკავშირებინა, ილია ჭავჭავაძე მიიჩნევს გამართლებულად, რამდენადაც ამ არჩევანმა საქართველოს გადარჩენის, სულის მოთქმისა და ძალთა მოკრებისათვის აუცილებელი მშვიდობიანობა მოუპოვა: „...საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან... დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. **დაიდგა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.)“.[13]

ამასთანავე, ილია ჭავჭავაძისათვის, ცხადია, აშკარა იყო ის საფრთხეც, რომელსაც გამარუსებელი პოლიტიკა უქმნიდა ქართველთა ნაციონალურ თვითარსებობას. 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში“, ერთი მხრივ, „ეროვნული ვინაობის შენახვისა“ და, მეორე მხრივ, რუსიფიკაციის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შეუთავსებლობაზე მსჯელობისას ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს: „ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითოოდ, და მერე –

[13] sxvagan (`werilebi qarTul literaturaze~) ilia `moRaluli~ da `qancgawyvetili~ saqarTvelos mier mSvidobianobis mopovebis mniSvnelobaze saubris Semdeg daaskvnis: `Tu daakvirdeba kaci im saSinel garemoebaTa, romelTac abezars moiyvanes Cveni eri, uamisodac ilajgawyvetili Sinaur amboxebisagan calke, da calke gareul mterTa zedmosevisa, xocvisa da rbeva-aklebisagan, is ara gvgonia ise gakadnierdes, rom am wyurvils dasvenebisas ukiJinos. xangrZliv SfoTebs Semdeg sveneba upriania, rogorc calke kacisaTvis, isec mTeli erisaTvis. amas buneba iTxovs~.

როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან... თუ რამ სამდურავი, გულის ტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნობა, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-ხელ-დაკრეფილი იყო და ხმაამოუღლებლივ სხვის მაყურებელი. **რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, – თუ სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი“** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.).

ამ ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხს ილია ჭავჭავაძე 1882 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში“ კიდევ ერთხელ უბრუნდება და აყალიბებს თვალსაზრისს (ავტორის თქმით – „დედააზრს“), რომლის მიხედვითაც, „ეროვნობის და სახელმწიფოს არსებითნი მოთხოვნილებანი უნდა ერთმანეთს შეეფარდოს და თვითოეულს მათგანს მისი საკუთარი სარბიელი შემოეხაზოს...“.[14]

1890-იანი წლების ბოლოს ილიას საუბარი ჰქონია „ახალთაობის“ წარმომადგენლებთან (გ. ლასხიშვილი, კ. აბაშიძე, ი. ნაკაშიძე). გ. ლასხიშვილი თავის „მემუარებში“ ასე გადმოგვცემს ილიას სიტყვის შინაარსს: „სამუდამო ამ ჩვენს ცოდვილს მიწაზე არაფერი არაა. შეიძლება დროთა მსვლელობაში წოდებრივობაც მოისპოს და სოციალისტური ერთობაც დამყარდეს. მაგრამ ეს ძალიან შორეული მომავლის საქმეა და მე ნაკლებად მაინტერესებს, რა იქნება ორასი-სამასი წლის შემდეგ. მე წინ ვიყურები უფრო ახლო და ვხედავ, რომ ის გზა, რომელზედაც ახალგაზრდობა სდგება (იგულისხმება პოლიტიკურ პროცესთა ფორსირებისა და მოთხოვნათა რადიკალიზაციის გზა – თ. ჯ.), კარგს არაფერს გვიქადის. თქვენ გინდათ წოდება წოდებაზე აამხედროთ, კლასი კლასზე, ეს კი დაღუპვას უქადის ჩვენს ერს. რუსეთში რევოლუცია ჯერ კიდევ ძალიან შორს არის. ხოლო თვითმპყრობელობის დაცემა და საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება სახეიროს ჩვენ, ქართველებს, არას მოგვცემს. ჩვენთვის სჯობია კანონიერ ფარგლებს შევეგუოთ და ვეცადოთ, ჩვენი ეროვნული ვინაობა შევინახოთ. ამ მიზნისათვის ბრძოლა საჭიროც არის და ამგვარ ბრძოლისათვის ჩვენ პატარა ერს ძალაც შესწევს“.

1900-იანი წლების რუსეთში შექმნილმა რევოლუციურმა სიტუაციამ ილიას პოლიტიკურ აზროვნებაში კიდევ ერთი ტრანსფორმაცია გამოიწვია – ვითარებამ მას უკარნახა, რომ დადგა რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის, როგორც პოლიტიკური მოთხოვნის, დაყენების დრო.[15] ამასთანავე, ილია მიიჩნევდა, რომ ეს უნდა მომხდარიყო

[14] rusul-qarTul urTierTobaTa Sesaxeb sainteresoa ilias is sityvebic, romlebiTac man 1895 wels TbilisSi Camosul rus poets, mTargmnelsa da Jurnalists, vasil veliCkos, mimarTa: `arc puSkini, arc lermontovi da arc sxvebi maTi mimyolni ar Sexebian saqarTvelos eris guls, ar CauxedniaT misi gulis siRrmeSi, Tu ra Zvirfasi margalitebi brwyinven Sig. es movaleoba wilad gxvdaT Tqven. SeiswavleT qarTveli eris buneba, gaacneT igi Tqvens xalxs da ai, namdvili pativiscema, megobroba da Zmoba maSin daarsdeba am or erTa Soris~.

[15] sainteresoa, rom monarqisti dimitri yifiani, romelsac ekuTvnis politikuri formula `ganaTlebis gavrcelebisa da erovnuli kulturis aRorZinebis gziT qarTvelobis SenarCuneba da gaZliereba arsebuli politikuri sistemis farglebSi~, TviTonac farulad ocnebobda avtonomiur saqarTveloze. baron al. nikolais mier 1864 wels imperiis umaRlesi xelisuflebisadmi gagzavnili konfidencialuri moxsenebis mixedviT, dim. yifians sazogadoebriv da saxelisuflebo wreebSi miiCnevdnen `avtonomiur saqarTveloze meocnebed~. dimitris 1840-1850 ww. moRvaweobaze dayrdnobiT s. kakabaZec mas uwodebs `avtonomiis ideis... TvalsaCino motrfiales~.

კანონიერი (ლეგალური) და არა რევოლუციური გზით, ხოლო ავტონომიის ლეგალური გზით მოპოვების საშუალებას იგი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებში ხედავდა. ამ მხრივ, საყურადღებოა ილიას სიტყვები, რომლებიც მას არჩილ ჯორჯაძისთვის უთქვამს: „ახალმა თაობამ კარგად უნდა დაიმახსოვროს ერთი რამ: ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიულ პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული. თუ გინდათ, რომ ჩვენს უფლებათ ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოსთ, ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპი“. ი. ჭავჭავაძე, „მართალია, მომხრე იყო საქართველოს ავტონომიისა, – დასძენს ა. ჯორჯაძე, – ხოლო ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისგან მოელოდებოდა“.

უფრო ადრე კი, 1890-იან წლებში, საქართველოში უკვე მკაფიოდ იყო გამოკვეთილი ქართველ მოღვაწეთა სამი ჯგუფის დაპირისპირება (ე. წ. „სამი დასი“, რომელზეც საუბარი გვექნება თავში – „გაზეთი „კვალი“). რუსეთის კვალდაკვალ ჩვენშიც შემოვიდა და თანდათანობით ფეხი მოიკიდა კლასობრივი ანტაგონიზმის პრინციპზე დაფუძნებულმა მარქსიზმმა. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბუნებრივად გაჩნდნენ პოლიტიკური პარტიები (სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტურ-ფედერალისტური და სხვ.). ილიას, რასაკვირველია, ესმოდა პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა სუვერენულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, თუმცა მიიჩნევდა, რომ ისეთ მცირერიცხოვან და სახელმწიფოებრიობას მოკლებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო, პარტიულ-იდეოლოგიური ანტაგონიზმი დაასუსტებდა რუსიფიკაციის საფრთხის ქვეშ მყოფ ეროვნულ სხეულს.[16] მიუხედავად ამისა, რეალურად არსებული ვითარების გათვალისწინებითა და ძლიერი მარქსისტულ-რევოლუციური პროპაგანდის გასანეიტრალებლად 1905 წლის შემოდგომაზე ილიამ თვითონ გადაწყვიტა ეროვნული მიმართულებისა და მიზანდასახულობის პარტიის შექმნა, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად (ივ. ზურაბიშვილი, გ. გვაზავა, ე. თაყაიშვილი და სხვ.) შეიმუშავა კიდევაც „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის“ პროგრამა, თუმცა ამ იდეის პრაქტიკული რეალიზაცია ვეღარ მოხერხდა.

გაზეთი „ივერია“ და მისი პუბლიცისტები ხალხის სიდუხჭირის მთავარ მიზეზად გაუნათლებლობას მიიჩნევდნენ. წერილში „ჩვენი ხალხი და განათლება“, ილია ჭავჭავაძე წერს: „უმეცრება – აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს... დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურის გაუწყობლობის გამო და სხვა ბევრი ამგვარი ნაყოფი უმეცრებისა – ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში... უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა – აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას... ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!..“

ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სახალხო განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს და მიიჩნევდა, რომ „საერო სკოლა... ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველ ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა... საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ

[16] samson fircxalavas TqmiT, 1900-ian ww. `partiebis gamwvavebulma urTierTobam TiTqmis mTlad waSala qarTvelobis saxe~.

იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღვწის და მოქმედებს“. ილიას შეხედულებით, ამ თავის დიდ დანიშნულებას სკოლა მხოლოდ მაშინ აღასრულებს, როცა მოზარდი მშობლიურ ენაზე ეუფლება განათლებას. ი. ჭავჭავაძე პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართული სკოლის რუსიფიკაციას და, ეყრდნობა რა გამოჩენილი პედაგოგების (კ. უშინსკი, ა. დისტერვეგი, ი. პესტალოცი...) ნააზრევს, დაასკვნის: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, – ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა...“ („ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“).

„ივერიის“ ლიტერატურულ-შემოქმედებითი ხასიათი და მიმართულება მთლიანად შეესაბამება ი. ჭავჭავაძის (ზოგადად, „თერგდალეულთა“) ფუნდამენტურ თვალსაზრისს მწერლობის საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ. ილიას შეხედულებით, „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას“ („წერილები ქართულ ლიტერატურაზე“). ცხოვრება კი, ილიას აზრით, „ყოველთვის ორ ტოტად დადის. ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა, მეორე – მოსაქმე, რომელნიც ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან“. მწერლობა, „ივერიის“ მესვეურთა შეხედულებით, ვალდებულია, ასახოს ცხოვრება მთელი თავისი სიღრმითა და მრავალფეროვნებით, ხელი შეუწყოს საზოგადოების სწრაფვას ცხოვრების „გაუკეთესებისაკენ“. ამასთანავე, ლიტერატურის დასახვამ „ერის წინამძღოლად“ (ი. ჭავჭავაძე) და „გარემოების საყვირად“ (ა. წერეთელი), შემოქმედებითი ინტერესებისა და ნიჭის დამორჩილებამ, – ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, – „მოქალაქური გულისტკივილისა“ და „მამულის-შვილური სიყვარულისადმი“ მხატვრულ აზროვნებაში მძლავრი პუბლიცისტური ნაკადის შეჭრა გამოიწვია და, ამ მხრივ, საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული გიორგი თუმანიშვილის დამოკიდებულება თანადროული ქართული ლიტერატურული პროცესებისა და განმსაზღვრელი ტენდენციისადმი: „ჩვენს ახალ მწერლობას პუბლიცისტური ხასიათი აქვს“.

„ივერიის“ ფურცლებზე თავისი ნაწარმოებები (პოეზია, პროზა, დრამატურგია) გამოქვეყნებული აქვს იმ დროის თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო მწერალს (რ. ერისთავი, ა. ყაზბეგი, ა. ფურცელაძე, ავ. ცაგარელი, ეკ. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, სილ. ხუნდაძე, გრ. ვოლსკი, ი. დავითაშვილი და სხვ.). „ივერიაში“ სრულად გამოვლინდა ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული გენია – აქ დაიბეჭდა მისი არაერთი შედევრი, მათ შორის, პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“, „გოგოთურ და აფშინა“... იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს: ვაჟას ერთ-ერთი ადრეული ნაწარმოების (პოემა „მოხუცის ნათქვამი“) გაცნობის შემდეგ ილიას უთქვამს – „არა, ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი ძირს უნდა დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!“

საერთოდ, ვაჟა-ფშაველას მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა „ივერიის“ რედაქციასთან. იმავე ი. მანსვეტაშვილის მიხედვით, „ივერიაში“ ვაჟა-ფშაველა

თანამშრომლადაც მიუწვევიათ, მაგრამ „ვაჟამ რედაქციაში იმუშავა მხოლოდ სამი დღე. ვაძლევდით გადასაკითხად და გასასწორებლად კორესპონდენციებს, ვათარგმნინებდით პატარა წვრილ ამბებს რუსულ გაზეთებიდგან. ორ დღეს მუშაობდა, თუმცა იმის მუშაობას დიდი ხალისი არ ეტყობოდა. მოვიდა რედაქციაში მესამე დღეს. ცოტა ჩაფიქრებული იყო... გამოგვიცხადა, რომ რედაქციას თავს ანებებს: მე აქ მუშაობას ვერ შევძლებო. რედაქციას თათბირი ჰქონდა. და ასე გადავწყვიტეთ: მიგვეცა ვაჟასთვის თვეში ხუთი თუმანი, და ვაჟას, სამაგიეროდ, ევალებოდა თვეში რაიმე ნაწარმოები უსათუოდ მოეწოდებინა. ვაჟა აიბარგა და გასწია თავის ჩარგალში... სინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. დრო გამოშვებით ჩამოდიოდა ვაჟა ტფილისში, ხურჯინ-აკიდებული ცხენით. ხურჯინში ელაგა საგზალი: ხორცი, პური – ტფილისში საცხოვრებლად – და ლექსები, მოთხრობები, პოემა და კიდევ სხვა ნაწერები ფშაველების ცხოვრებიდან. დაუტოვებდა ყველა ამას რედაქციას და ისევ გაემგზავრებოდა თავის საყვარელ მთებისაკენ. და ასე და ამ გვარად, მთის კაცი ვაჟა ჰკვებავდა სუსტს ქართულ მწერლობას...“

ცალკე საუბრის თემაა „ივერიასთან“ აკაკი წერეთლის ურთიერთობა. აკაკის არც ერთი ნაწარმოები არ გამოუქვეყნებია ილიას „საქართველოს მოამბეში“ და თავიდან იგი არც „ივერიის“ გამოცემას შეხვედრია დიდი ენთუზიაზმით – პირველ წლებში სულ ათიოდე ლექსი დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის ახალ გამოცემაში (ამ პერიოდში ა. წერეთელი ძირითადად „დროებაში“, აგრეთვე, გაზეთ „შრომაში“ აქვეყნებდა მხატვრულ თუ პუბლიცისტურ თხზულებებს).

მიუხედავად იმისა, რომ ილიასა და აკაკის კერძო ცხოვრებაში არ ჰქონიათ ახლო მეგობრული ურთიერთობა, მათ შესანიშნავად იცოდნენ ერთმანეთის ფასი და საგანგებო მნიშვნელობის დამსახურება ეროვნული კულტურის წინაშე. ადრე (თავი – „ივანე კერესელიძის „ცისკარი“) შევეხეთ ა. წერეთლის წერილს „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“, რომელშიც ავტორმა ი. ჭავჭავაძე მიიჩნია „ქართველების ტანჯვისა და გოდების გამომხატველ“ მწერლად და ილიასა და ნ. ბარათაშვილს უწოდა „მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა“. 1882 წლის 17 აგვისტოს თელავში აკაკიმ წარმოთქვა სიტყვა, სადაც საგანგებოდ აღნიშნა: „ძველადაც, საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები თავისის თავ-განწირულ მამულისშვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიაც, იმედია, თქვენი შვილები, თავის განთქმულ წინაპრებს არ ჩამოურჩებიან. ჩვენ დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი ილია ჭავჭავაძე“. აკაკიმ შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა ი. ჭავჭავაძის დაკრძალვაზე („გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა მარტოდ ჩემი დარჩენა, დაობლება საძნელოა... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!..“). ილიას მკვლელობას აკაკი უკიდურესი ტრაგიზმით აღბეჭდილი ლექსითაც („ილიას მოკვლის გამო“) გამოეხმაურა: „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას / და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!.. / ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა / საქართველოს ბედისწერა?..“ და სხვ.

აკაკისადმი განსაკუთრებული პატივისცემა ილია ჭავჭავაძესაც არაერთხელ გამოუხატავს და, ამ მხრივ, აღსანიშნავია ილიას ვრცელი წერილი, რომლითაც იგი აკაკის 1886 წლის განახლებულ „ივერიასთან“ სათანამშრომლოდ იწვევდა: „ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა... გული მერჩის გთხოვო შემწეობა

და გულის ხმად აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობითი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმა გავუძნელო და არასიცა მეთქი... შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები“.

ჩანს, ილიას თხოვნა ა. წერეთლისათვის არ აღმოჩენილა „ზნეობითი ძალდატანება“ და ამის მერე აკაკი წლების განმავლობაში აქვეყნებდა „ივერიის“ ფურცლებზე მხატვრულ თუ პუბლიცისტურ თხზულებებს.[17]

თვითონ ი. ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედებიდან „ივერიაში“ დაიბეჭდა ლექსები, პოემები („ქართვლის დედა“ – სრულად, „აჩრდილი“ – ბოლო რედაქცია, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ – სრულად, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“), პროზაული ნაწარმოებები („სარჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქვრივი“).

„ივერიას“ ცენზურასთან მწვავე ბრძოლაში უხდებოდა მუშაობა. ი. ვართაგავას მიხედვით, „ცენზორის კლანჭებში მომწყვდეულ „ივერიას“ და მის რედაქტორს არცთუ იშვიათად უხდებოდათ ამ ტიპის განცხადების გამოქვეყნება: „ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენში ძლიერ ძნელი მოსახერხებელია თავისუფლად ლაპარაკი ზოგიერთ საინტერესო საგანზედ“.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ცენზურა არა მარტო დასაბეჭდად გამზადებული ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთის წაშლას ან გადაკეთებას, არამედ მთელი ტექსტის ამოღებას მოითხოვდა. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, ი. ჭავჭავაძის ლექსს „ბაზალეთის ტბა“, ვაჟა-ფშაველას „ხმელ წიფელს“, ი. გოგებაშვილის წერილს „უკუღმართი ნაბიჯი“, რომელშიც ავტორი ასაბუთებდა სწავლების მშობლიურ ენაზე დაწყების აუცილებლობას და სხვ.; ზოგჯერ ცენზურა კრძალავდა რუსეთის ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციის გადმობეჭდვასაც კი. ასე აიკრძალა, მაგალითად, ოსი მწერლის, კოსტა ხეთაგუროვის, მიერ „სანქტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტიში“ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილი „უწესობანი ჩრდილოეთ კავკასიაში“, რომელშიც მოთხრობილი იყო მკვიდრი მოსახლეობის მიმართ ადგილობრივი ადმინისტრაციის თვითნებობისა და ძალადობის შესახებ და სხვ.

„ივერიის“ მიმართ ცენზურის სისასტიკეს თავის მოგონებებში ი. მანსვეტაშვილი ასე აღწერს: „მაშინდელი ცენზურა... ყოველდღე მაჯლაჯუნასავით გულზე გვაწვა და სულს გვიხუთავდა. ეს იყო ჩვენი სულთამხუთავი, ჩვენი „სული ბოროტი“... გაზეთს მასალას დავუმზადებდით რედაქციაში. სტამბაში ააწყობდნენ ამ მასალას... [ამის შემდეგ] ვისხედით და ველოდით გულის ცახცახით, რა სახით დაგვიბრუნდებოდა შინ ეს წვითა და დაგვით

---

[17] sxvaTa Soris, gavrcelebuli azri, TiTqos a. wereTelma Tavisi cnobili sityvebi _ `furTxis Rirsi xar, Sen, saqarTvelo!~ _ ilia WavWavaZis mkvlelobis gamo warmoTqva, ar aris swori. sinamdvileSi, es aris striqoni akakis leqsisa `vedreba~, romelic 1864 wels gamoqveynda Jurnal `ciskarSi~ da avtoris risxva iman gamoiwvia, rom leqsi cenzuram Sekveca da amiT daamaxinja:

`Semdegi azri sTqvas aq wertilma,
Torem Cems kalams ara aqvs neba!..
unda monebiT Caviwyvito xma,
Torem batons Cems es ewyineba!..
unda Cavylapo sityvebi ZaliT,
guls Tu damadga, verc davaxvelo...
amas ki vityvi, ginda momkaliT:
`furTxis Rirsi xar, Sen, saqarTvelo!~

`wertilSi~ aq igulisxmeba cenzuris mier iyo amoRebuli monakveTebi, romlebic publikaciebSi mravalwertilebiT aRiniSneboda.

შემზადებული გაზეთი. აგერ მოგვიტანეს გაზეთიც. დავხედავდით და გულს ელდა ეცემოდა. სულ წითელი მელნით იყო შეთუთხნული, ჯვარედინად გადახაზულ-გადმოხაზული. ეს იმას ნიშნავდა, რომ წითელი ხაზებით გადაჯვარედინებული ადგილები უნდა ამოგეგდო და სხვა რითიმე შეგეცვსო. ეს არც ისე ადვილი იყო. დავღონდებოდით, დავძმარდებოდით...“. „ივერიის“ მიმართ (ისევე, როგორც „დროების“ მიმართაც) განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიმკაცრით გამოირჩეოდა ცენზორი ლუკა ისარლიშვილი (ისარლოვი), რომელსაც იგივე ი. მანსვეტაშვილი უწოდებს „ქართული მწერლობის ჯალათს“ და დასძენს: „ლუკა ნამდვილი ძველი დროის პოლიციელი იყო: გულით გაქვავებული, ჭკუით გამოფიტული, ვერც შენი წრფელი სიტყვა, ვერც შენი საღი სჯა, ვერც ხვეწნა და მუდარა ვერ მიაღწევდა იმის გულსა და ტვინსა. ამას სწამდა და სჯეროდა მხოლოდ ნება და ბრძანება თავის წარმომავლენისა, დანარჩენს კი ამისთვის ბისტის ფასიც არა ჰქონდა“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1890-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ „ივერია“ ფაქტობრივად ახალგაზრდებს გადასცა. იგი არსებითად არც ერეოდა გაზეთის სარედაქციო პოლიტიკაში და მხოლოდ გამომცემლის ფუნქციით შემოიფარგლებოდა, 1902 წელს კი „ივერია“ ოფიციალურად გადასცა ალ. სარაჯიშვილს. ამ დროს კლასთა ბრძოლის მარქსისტული მოძღვრებით „შეიარაღებულ“ სოციალ-დემოკრატებს ილია ჭავჭავაძისა და მისი ეროვნული პროგრამის წინააღმდეგ მორალური ტერორი ჰქონდათ გაჩაღებული. ილიას ბრალს სდებდნენ დროის ახალ მოთხოვნათა ვერშეცნობაში, წარმოაჩენდნენ მას რეტროგრად, უკიდურესად ჩამორჩენილ მოაზროვნედ, უწოდებდნენ „მშრომელი ხალხის მტანჯველ“, „გულქვა და სასტიკ“ მებატონეს და ა. შ.

1900-იანი წლების დაპირისპირებას ილია ჭავჭავაძესა და ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის უფრო ვრცლად მომდევნო თავში („გაზეთი „კვალი“) შევეხებით, აქ კი ყურადღებას შევაჩერებთ ვასილ ნაცვლიშვილის მიერ ჟურნალ „მოგზაურის“ 1905 წლის მარტში ილიას წინააღმდეგ გამოქვეყნებულ წერილზე – „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, რომელშიც დახვავებულია ნაყალბევი „ფაქტები“ იმის შესახებ, თუ როგორი არაადამიანური სისასტიკით ჩაგრავს მებატონე ილია ჭავჭავაძე საგურამოს გლეხობას. „ივერიამ“ ეს ტექსტი თავის ფურცლებზე გადმობეჭდა და რედაქტორმა, ფილიპე გოგიჩაიშვილმა, სარედაქციო შენიშვნაც დაურთო: „ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თ[ავა]დი ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს“.

ი. ჭავჭავაძისათვის მტკივნეული იყო ის, რომ მის წინააღმდეგ დაწერილი პასკვილი სწორედ „ივერიამ“ გადაბეჭდა და ამით ხელი შეუწყო საზოგადოების ფართო ფენებში მის გავრცელებას. თუმცა მას წინ კიდევ უფრო დიდი იმედგაცრუება ელოდა – საპასუხო წერილი „ნუთუ?“, რომელშიც ილიამ ქვა ქვაზე არ დატოვა „მოგზაურში“ გამოქვეყნებული ცილისმწამებლური პუბლიკაციიდან, „ივერიამ“ არ გამოაქვეყნა და რედაქციამ იგი დამატების სახით ცალკე ფურცლად ჩადო გაზეთის ნომერში, თანაც დაურთო სარედაქციო შენიშვნა: „მკითხველი, რომელიც იცნობს ჩვენი გაზეთის მიმართულებას, თავის თავად მიხვდება და ჩვენის მხრით თქმაც ზედმეტია, რომ ზოგიერთ საზოგადო მოსაზრებაში პატივცემულ ავტორს ვერ დავეთანხმებით“. მოგვიანებით ფ. გოგიჩაიშვილმა ასე გაამართლა თავისი საქციელი: „1905-1906 წლებში ილიას წინააღმდეგ დაიწყო საშინელი კამპანია. „მოგზაურში“ დაიბეჭდა ილიას წინააღმდეგ წერილი. ილიამ დასწერა საპასუხო წერილი და გადმომცა „ივერიაში“ დასაბეჭდათ. „ივერიის“ თანამშრომლებმა გაიგეს, რომ მიღებულია ილიას პასუხი, რომელიც „ივერიაში“ უნდა დაიბეჭდოს... რედაქციაში იყვნენ ბევრი თანამშრომლები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ თუ ილიას

პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინათვე გაფიცვას მოვაწყობთო... მივმართე სხვა საშუალებას, რათა დამებეჭდა ილიას პასუხი. წერილი ავაწყე ცალკე გვერდად და დამატების სახით ჩავდევი „ივერიაში“ და თანაც შენიშვნა გავუკეთე, რომ ავტორის ზოგად მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებს (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამით ილია გულმოსული დარჩა). ეს შენიშვნა იმით იყო გამოწვეული, რომ შემენელებია ყურადღება ილიას მოწინააღმდეგეებისა. ამ შენიშვნას სხვა მნიშვნელობა არ ჰქონია...“[18]

ასე იყო თუ ისე, თავისი ნაამაგევი „ივერიის“ ასეთი დამოკიდებულება ავადმყოფი და ხანგრძლივი მუშაობით მოღლილი ილია ჭავჭავაძისათვის არანაკლებ მძიმე და მტკივნეული იყო, ვიდრე ის აღვირახსნილი პოლიტიკური და მორალური ბაკქანალია, რომელიც მის პასუხს იმავე „მოგზაურში“ მოჰყვა (ფ. მახარაძე, ნ. ჟორდანია, ვ. ნაცვლიშვილი და სხვ.).

1905 წლის 23 ივნისს ილია ჭავჭავაძემ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკიც დატოვა, 5 ივლისს კი შეადგინა ანდერძი, რომლის მიხედვით ილიას მიერ შეძენილი მთელი ავლადიდება უნდა გადასცემოდა ოლღა გურამიშვილს, ოლღას გარდაცვალების შემდეგ კი – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

ლიტერატურა:

აბაშიძე გ. ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და ღვაწლი). თბ.: 2005, გვ. 57-135.

ასათიანი ლ. აკაკის ფელეტონი „ივერიაში“. წიგნში: **ლ. ასათიანი**. ლიტერატურული ნარკვევები და წერილები. თბ.: 1955, გვ. 207-211.

ასათიანი ლ. ფელეტონი გაზეთ „ივერიაში“. წიგნში: **ლ. ასათიანი**. ლიტერატურული ნარკვევები და წერილები. თბ.: 1955, გვ. 243-246.

ბენდიანიშვილი ალ. ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801-1921. თბ.: 1980, გვ. 165-170.

ბოლქვაძე თ. ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“. თბ.: 2010.

გოგიჩაიშვილი ფ. წერილები. მოგონებები. შემდგენლები: **ლ. გუგუშვილი, ი. აბაშიძე**. თბ.: 1993, გვ. 203-210.

გოზალიშვილი შ. „ივერიის“ დაარსების ისტორიიდან (1877-1885). კრბ. „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“ (III, 1972, გვ. 3-23).

გოზალიშვილი შ. ილია ჭავჭავაძე, „ივერია“ და ცენზურა. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1987, №3, გვ. 74-84.

გურული ვ. ილიადან ილიამდე, წგნ. I. თბ.: 2006.

ვართაგავა ი. XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები. თბ.: 1957, გვ. 93-124.

[18] mogvianebiT, 1913 wels, gamoqveynebul werilSi `ukvdavi boroteba~ f. gogiCaiSvili mwvaved daupirispirda qarTvel social-demokratebs, xolo filipe maxaraZes uwoda `maniaki~, `ukvdavi herostrate saqarTvelosi~ da sxv.; SemdgomSi filipe gogiCaiSvilma (1872-1950) _ TvalsaCino mecnier-ekonomistma, publicistma, folkloristma, sazogado moRvawem, iv. javaxiSvilis Tanamoazrem da Tbilisis universitetis erT-erTma damaarsebelma _ Tavisi niWi da unari uangarod moaxmara qveynisaTvis sasargeblo saqmeebs da amaSi xeli ver SeuSala im devna-Seviwroebam, romelic 1930-ian wlebSi saqarTvelos bolSevikuri xelisuflebisagan ganicada.

ინგოროყვა პ. ილია ჭავჭავაძე. წიგნში: **პ. ინგოროყვა**. თხზულებათა კრებული (შვიდ ტომად), ტ. I. თბ.: 1963, გვ. 448, 463-474.

კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, IV (XIX ს. 70-იანი წლები და 80-იანი წლების დასაწყისი). თბ.: 1986, გვ. 241-477.

კარბელაშვილი ა. მეცნიერება და ტექნიკა ილიასეულ „ივერიაში“. თბ.: 1987.

ლაისტი ა. მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე. წიგნში: **ა. ლაისტი**. საქართველოს გული. თბ.: 1963, გვ. 16-26, 56-57.

ლასხიშვილი გ. მემუარები. თბ.: 1934, გვ. 83-89,101-107.

მანსვეტაშვილი ი. მოგონებანი. ნახული და გაგონილი. **ლ. ასათიანის** რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. თბ.: 1936, გვ. 76-113.

მეუნარგია ი. ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან. წიგნში: **ი. მეუნარგია**. ქართველი მწერლები. **სოლ. ცაიშვილის** რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით, II. თბ.: 1944, გვ. 193-199.

მეფარიშვილი ლ. „ივერიის“ ერთი აკრძალული სტატიის გამო (1893, №2). „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1984, №1, გვ. 59-62.

მინაშვილი ლ. ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების დახასიათება). თბ.: 1995, გვ. 36-53.

ნანეიშვილი მ. ილია ჭავჭავაძის სააზროვნო საგნის რაობისათვის. „მაცნე“ (ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია), 1987, №4, გვ. 44-56; 1989, №2, გვ. 23-36.

ჟორდანია ნ. ჩემი წარსული. თბ.: 1990, გვ. 33-34, 37.

ტაბიძე ნ. ილია ჭავჭავაძის „ივერია“. თბ.: 1977.

ტაბიძე ნ. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა. თბ.: 1988.

ტაბიძე ნ. ილია ჭავჭავაძის რედაქტორული მოღვაწეობა. წიგნში: **ნ. ტაბიძე**. წერილები. თბ.: 1978, გვ. 180-200.

ქვარიანი თ. გაზეთი „თეატრი“. თბ.: 1974, გვ. 64-73.

ყიფშიძე გრ. ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფია). წიგნში: მოგონებანი გარდასულ დღეთა. ილია. შემდგენლები: **გ. გვერდწითელი, ს. ცაიშვილი**. თბ.: 1987, გვ. 113-117.

შანშიაშვილი დ. გრიგოლ ყიფშიძე – ჟურნალისტი და ჟურნალისტიკის ისტორიკოსი. კრბ. „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (**დ. გამეზარდაშვილის** რედაქციით, III, 1974, გვ. 225-232, 240).

შარაძე გ. ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება (ფოტომატიანე), წგნ. I. თბ.: 1987, გვ. 258-329; წგნ. II. თბ.: 1990, გვ. 12-160.

შველიძე დ. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები, ნაკვეთი I. თბ.: 1993, გვ. 28-37, 47-89.

ჩხარტიშვილი მ., მანია ქ. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი, I. თბ.: 2011.

ხურცილავა ს. ქართული საზოგადოებრივი აზრი და მეფის ცენზურა. თბ.: 1980, გვ. 74-100.

ჯორბენაძე ს. „ივერიის“ უკანასკნელი რედაქტორის გულისტკივილი. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1979, №3, გვ. 130-135.

ჯორჯაძე ა. პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე. წიგნში: **ა. ჯორჯაძე**. წერილები. შემდგენელი **ა. ბაქრაძე**. თბ.: 1989, გვ. 48-102.

ბიბლიოგრაფია იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945). შედგენილი **გ. ბაქრაძის** მიერ, **ვ. ეგნატაშვილის** რედაქციით. თბ.: 1947, გვ. 8.

Абрамишвили А. Грузинская периодика (1819-1917). Тб.: 1968, с. 43-44.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია იხ. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. II (1877-1892). **გ. აბზიანიძის** რედაქციით და წინასიტყვაობით, ბიბლიოგრაფიული რედაქცია და საძიებლები **თ. მაჭავარიანისა**. თბ.: 1941; ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. III-VI (ნაკვ. I). წინასიტყვაობები, [რედაქცია და საძიებლები] **თ. მაჭავარიანისა**. თბ.: 1963-1969.

გაზეთი „კვალი“

(1893-1904)

„კვალის“ დაარსების იდეა 1892 წელს გაჩნდა. დაქვრივებული გიორგი წერეთელი ამ წელს დაქორწინდა ანასტასია თუმანიშვილზე, რომელიც, გარდა იმისა, რომ მწიგნობრულ-ლიტერატურული ინტერესებით განთქმული ოჯახიდან იყო გამოსული (მამა – მიხეილ თუმანიშვილი, ძმები: გიორგი, ვასილ, კონსტანტინე თუმანიშვილები...), თვითონაც იყო მწერალი და ჟურნალისტი, კერძოდ, საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ (1890-1923) რედაქტორ-გამომცემელი. იმავე წლის სექტემბერში ახალდაქორწინებულებს ქართლის სოფელ ბრილში ნადიმი გაუმართა საზოგადო და თეატრალურმა მოღვაწემ ნიკო დიასამიძემ. ნადიმს ესწრებოდნენ თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეები და სწორედ აქ, სოფელ ბრილში, 1892 წლის 6 სექტემბერს ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი (ივ. მაჩაბელი, მიხ. მაჩაბელი, ნ. დიასამიძე და სხვ.), რომელმაც გადაწყვიტა ყოველკვირეული პერიოდული გამოცემის დაარსება „კვალის“ სახელწოდებით.

თავისთავად ამგვარი ინიციატივა დროულიც იყო და ლოგიკურიც. ჯერ ერთი, როგორც ეს ადრე გვაქვს დამოწმებული (თავი – „ილია ჭავჭავაძის „ივერია“), „ილია ჭავჭავაძემ მე-90 წლებში სრულიად დაანება თავი საგაზეთო მოღვაწეობას. თუმცა რედაქტორი იყო, მაგრამ სარედაქტორო საქმეებში არ ერეოდა და ძალიან იშვიათად სწერდა“ (გ. ლასხიშვილი); ილიას ქმედითი მონაწილეობის გარეშე კი „ივერია“ სრულფასოვნად ვერ ასრულებდა იმ დროის მთავარი ქართული გაზეთის დანიშნულებას. ამას გარდა, ქართველ მოღვაწეთა შორის გამწვავებული იყო სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკთან დაკავშირებული პოლემიკა და ილიასთან დაპირისპირებულ ბანაკს სურვილი ჰქონდა საკუთარი გამოცემის დაარსებისა. ამ მხრივ, გასაკვირი არ არის, რომ „კვალის“ ინიციატორთა შორის ვხედავთ ივ. მაჩაბელს – საბანკო საკითხებში ი. ჭავჭავაძესთან დაპირისპირებული გუნდის მეთაურს.[1]

ბრილში დაწყებულმა მუშაობამ გადმოინაცვლა თბილისში და მასში, გარდა დასახელებული პირებისა, ჩაერთვნენ აკაკი წერეთელი, ალექსი ჭიჭინაძე და სხვ.; გადაწყდა, რომ გამოცემა ყოფილიყო სამეცნიერო-სალიტერატურო ილუსტრირებული გაზეთი და იგი ოფიციალურად გაფორმებულიყო როგორც ჟურნალ „ჯეჯილის“ ყოველკვირეული დამატება. რედაქტორ-გამომცემლის ფუნქცია დააკისრეს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს (თავიდან ალექსი ჭიჭინაძის კანდიდატურა განიხილებოდა). შეიქმნა სარედაქციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ გიორგი და აკაკი წერეთლები, ივ. მაჩაბელი და სხვ. (სხვათა შორის, ივ. მაჩაბელს საბანკო საკითხებთან დაკავშირებით „კვალის“ მესვეურებთანაც მოუვიდა უთანხმოება და მალევე დატოვა რედაქცია. რამდენიმე თვეში მას მიჰყვა ა. წერეთელიც, თუმცა მოგვიანებით აკაკი კვლავ დაუბრუნდა „კვალს“).

[1] ilia Wyonia Tavis memuarul TxzulebaSi `Cemi dRe da sofeli~ (`mnaTobi~, 1928, #8-9) iv. maCabels `kvalis~ daarsebis mTavar iniciatorad asaxelebs: `1893 w. iv. maCabelma anastasia TumaniSvil-wereTlis saxelze gamoiTxova nebarTva yovelkvireuli saliteraturo da sazogadoebriv gazeTis `kvalis~ gamocemisa da Seudga bankis saqmeebze miudgomel da piramTqmeli werilebis weras~.

1892 წლის დეკემბერში „ივერიაში“ გამოქვეყნდა განცხადება: „კვალი“, ნახატებიანი ახალი ჟურნალი[2] (დამატება „ჯეჯილისა“) გამოვა 1893 წლიდან ყოველ კვირაში ერთხელ... რედაქტორ-გამომცემელი ან. თ[უმანიშვილ]-წერეთლისა“.

ის, რომ რედაქტორ-გამომცემლად ა. თუმანიშვილ-წერეთელი ითვლებოდა, საკითხის მხოლოდ ფორმალური მხარე იყო და „კვალს“ ფაქტობრივად გიორგი წერეთელი ხელმძღვანელობდა – 1897 წლამდე იგი უძღვებოდა საორგანიზაციო საკითხებს, განსაზღვრავდა გამოცემის ხასიათს, შინაარსობრივ მხარესა თუ იდეოლოგიურ მიმართულებას, ა. თუმანიშვილი კი მხოლოდ ფინანსურ საქმეებს განაგებდა.[3] 1897 წლის ბოლოს გ. წერეთელმა გაზეთი ასპარეზზე ახალგამოსულ პოლიტიკურ ძალას – სოციალ-დემოკრატებს (კერძოდ, ნოე ჟორდანიას) – გადასცა, თუმცა „კვალის“ რედაქტორ-გამომცემლად ოფიციალურად ისევ ა. თუმანიშვილი-წერეთელი ითვლებოდა. 1903 წლის მარტიდან გაზეთის ოფიციალური რედაქტორი იყო ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი, თუმცა გამოცემას მის დახურვამდე ფაქტობრივად ისევ სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ.

„კვალის“ რედაქცია თავიდან იმყოფებოდა ექვთიმე ხელაძის სტამბაში, 1898 წლიდან კი – არტილერიის ქუჩაზე, სასულიერო სემინარიის (ამჟამად ხელოვნების მუზეუმი) მახლობლად. 1901 წლიდან რედაქცია გადავიდა საპიორის (მესანგრეთა; ამჟამად რეზო თაბუკაშვილის) ქუჩაზე, ნოე ჟორდანიას ბინაში. გაზეთი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სტამბაში იბეჭდებოდა („წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობისა“, ე. ხელაძისა და სხვ.).

„კვალის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1893 წლის 3 იანვარს და მისი შინაარსი ასეთი იყო:

აკაკი წერეთელი, მიმკვლევა 2
[გიორგი წერეთელი], ჩვენი გულის-პასუხი 2-3
გიორგი წერეთელი, მიმოხილვა 3-5
აკაკი წერეთელი, სტუმრები 5
გიორგი წერეთელი, ბაგრატ დიდი (1360-1395 ქრ. აქეთ) 6-11
აკაკი წერეთელი, განთიადი 11-12
მოსწრებული სიტყვა 12
აკაკი წერეთელი, ცხელ-ცხელი ამბები 14-15
სოფრომ მგალობლიშვილი, მეკვლე (საახალწლო ამბავი) ...15-18

ნომერში ჩართულია უცნობი ავტორის მიერ შესრულებული გრაფიკული გამოსახულება ბაგრატ დიდისა, აგრეთვე, მოსე თოიძის ნახატი – „საახალწლო მილოცვა ხონჩით „კვალისა“ (გაზეთის ილუსტრატორთა შორის იყვნენ თვალსაჩინო ქართველი მხატვრები: გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, ალექსანდრე მრევლიშვილი და სხვ.).

---

[2] TviTon gamocemas sinamdvileSi `gazeTi~ aweria da ara `Jurnali~ (`samecniero da saliteraturo naxatebiani gazeTi~). miuxedavad amisa, zogjer `kvals~ Jurnaladac moixsenieben da formiTa Tu Sinaarsobrivi struqturiT, vfiqrobT, igi marTlac ufro Jurnalia, vidre gazeTi (am mxriv, sagulisxmoa, rom qarTuli presis analitikur bibliografiaSi `kvali~ `Jurnalebisa da krebulebis~ bibliografiaSia Setanili). winamdebare wignSi Cven angariSs vuwevT damkvidrebul tradicias da gamocemas gazeTs vuwodebT.

[3] a. TumaniSvil-wereTlis TqmiT, `me mxolod Semosaval-gasavlis mxriv viyavi saqmeSi (Tumca gazeTi Cemi saxeliT gamodioda) da TiTqmis arc ki wamikiTxavs, Tu ra pirobiT unda isargeblon imaT (giorgi da akaki wereTlebma _ T. j.) `kvaliT~. noe Jordanias TqmiT ki _ `am (1901 _ T. j.) wlidan `kvali~ savsebiT SeviZineT anastasia wereTlisagan (miveciT sami aTasi maneTi)~.

ახალი პერიოდული გამოცემის ძირითადი მიზანდასახულობა ჩამოყალიბებულია გ. წერეთლის საპროგრამო ხასიათის წერილში „ჩვენი გულის-პასუხი“, რომელშიც ავტორი მკითხველს სთავაზობს „ახალს გონებრივს საზრდოსა“ და „საზოგადოების ყურადღების ღირსი“ ფაქტებისა და პრობლემების გაცნობა-ანალიზს, საგანგებო ყურადღებას უთმობს ხალხის მატერიალურ უმწეობასა და გაუნათლებლობას და მკითხველს ჰპირდება „ამ ორგვარ სენზე... მალამოს წაცხებას“: „ჩვენ ვეცდებით ჩვენსა და ჩვენს მკითხველს შორის მგრძნობიარე სიმები გავაბათ, იმის სიხარულით გავიხაროთ, იმის მწუხარებით შევსწუხდეთ. ჩვენ ვეცდებით ყოველსავე მოვლენაზედ უტყუარი და საფუძვლიანი სიტყვა წარმოვსთქვათ, სამართლიანი აზრი დავადგინოთ. ცხოვრებას მეცნიერება გვერდში ამოვუყენოთ და მეცნიერების ყურით ვისმინოთ, მეცნიერების თვალი ვადევნოთ ქვეყნის ჩარხის წაღმა-უკუღმა ტრიალს“.

გ. წერეთლის ამ სიტყვებში მკაფიოდ ჩანს ილია ჭავჭავაძის, – ზოგადად „სამოციანელთა“, – ლიტერატურულ-ჟურნალისტური მსოფლმხედველობის ძირითადი ხასიათი და მიმართულება. „ივერია“, სხვათა შორის, კმაყოფილებით შეხვდა „კვალის“ გამოსვლას („...სასიხარულო და სასიამოვნო ამბავია, გზა დაგვილოცნია ამ ახალი მოძმისათვის. ღმერთმა დიდი დღე და ღონე მისცეს“). მართალია, „კვალსა“ და „ივერიას“ შორის მალევე ჩამოვარდა უთანხმოება, მაგრამ ამ უთანხმოების წყარო იყო არა იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება, არამედ – სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საკრედიტო პოლიტიკისადმი მკვეთრად განსხვავებული მიდგომები: „პირველ ხანებში... გაზეთს ჰქონდა ნაციონალ-ლიბერალური მიმართულება. სამშობლოს ინტერესების დაცვა იყო მისი უმთავრესი მიზანი და ამისათვის შეერთებული თანამშრომლობა ყველა წოდებათა და კლასთა საჭიროდ მიაჩნდა“ (დ. კარიჭაშვილი). ასე რომ, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით პირველ წლებში „კვალის“ მიმართულება არსებითად უნისონში იყო „ივერიის“ ეროვნულ პროგრამასა და ლიბერალურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობასთან.

„კვალის“ კულტურულ-სალიტერატურო მიმართულებაზე საუბრისას ცალკე უნდა აღინიშნოს აკაკი წერეთლის პროგრამული ხასიათის წერილი „ცხელ-ცხელი ამბები“, რომელიც გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნდა და რომელშიც ავტორი დაბეჯითებით იმეორებს „თერგდალეულთა“ მიერ ჯერ კიდევ 1860-იან წლებში ჩამოყალიბებულ ფუნდამენტურ პრინციპს ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ: „მწერლობა უცნაური სარკეა, სადაც ქვეყნის ძველი და ახალი ავ-კარგიანობა უმეტ-ნაკლებად უნდა პირდაპირ იხატებოდეს და არა კერძო საპირადოდ სანავარდო სარბიელი. მწერალი კი დიდი მოძღვარია ქვეყნისა, რომელსაც ყურს უგდებენ „აწ და მარადის“ და მიტომაც მისი მოვალეობა ღვთისა და კაცის წინაშე დიდია!.. კერძოობითი რამ საპირადო მტერ-მოყვარობა, მისიან-სხვისიანობა და სხვ. მის გულს არ უნდა ეკარებოდეს! ვინც ამას გადაუხვევს, ის არის ჭეშმარიტების გამყიდველი...“

ოფიციალურად გამოცხადებული პროფილის მიხედვით „კვალი“ სამეცნიერო-ლიტერატურულ გამოცემად იყო ჩაფიქრებული („სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი“), თავიდან მკაფიოდ გამოხატული კულტურტრეგერული ხასიათიც ჰქონდა და, ბუნებრივია, მასში უხვად იბეჭდებოდა სალიტერატურო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ხასიათის ტექსტები. აქ თანამშრომლობდნენ იმ დროის თვალსაჩინო მწერლები და მეცნიერული ინტერესების მქონე მოღვაწეები – სისტემატურად ქვეყნდებოდა აკაკი წერეთლის ლექსები („განთიადი“, „ჭაღარა“, „სულიკო“, „ნეიტრალი“ და სხვ.), მისივე პროზაული ნაწარმოებები („ჩემი თავგადასავალი“, „ბაში-აჩუკი“ და სხვ.). იბეჭდებოდა ვაჟა-ფშაველას პოეტური და პროზაული თხზულებები (ლექსები: „სიზმარი ამირანისა“, „შავი ღრუბელი“, „შემომღუღუნე ჩონგურო“ და სხვ.; პოემები: „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „სისხლის ძიება“; მოთხრობები: „ერემ-სერემ-სურემიანი“, „მუცელა“...). ჟურნალში

ქვეყნდებოდა სხვადასხვა თაობის ქართველ მწერალთა (ბარბარე ჯორჯაძე, გიორგი წერეთელი, დუტუ მეგრელი, ბაჩანა, იროდიონ ევდოშვილი, შიო მღვიმელი, ეგნატე ნინოშვილი, შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვ.) ნაწარმოებები. მთარგმნელობითი ლიტერატურა წარმოდგენილია ბაირონის, გოეთეს, ჰაინეს, შელის, პუშკინის, ლერმონტოვის, სენკევიჩის, ფრანსის, პრიუდომის, ჯერომ ჯერომისა და სხვათა სახელებით.

გაზეთის მესვეურები სათანადო ყურადღებას უთმობდნენ ლიტერატურათმცოდნეობის, ლიტერატურის ისტორიისა და სალიტერატურო კრიტიკის საკითხებს – ქვეყნდებოდა აკაკი და გიორგი წერეთლების, კიტა აბაშიძის, ივანე გომართლის, ალექსანდრე ხახანაშვილის, რომანოზ ფანცხავა-ხომლელისა და სხვათა საინტერესო წერილები.

სათანადო ყურადღებაა ექცეოდა საქართველოს ისტორიულ წარსულს და ამ მხრივ გამოირჩევა გიორგი წერეთლის, ივანე გვარამაძის („ვინმე მესხი“), ალექსანდრე ხახანაშვილის პუბლიკაციები.

ერთი სიტყვით, არსებობის პირველ წლებში „კვალი“ აგრძელებს წინამორბედი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიერ შექმნილ კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო ტრადიციებს. თუმცა, ჟურნალზე სოციალ-დემოკრატების გავლენის გაძლიერების კვალდაკვალ ამგვარი ტენდენციები თანდათანობით კნინდება (ეს არ ეხება თარგმანებს – ჩვენ მიერ ჩამოთვლილ უცხოელ ავტორთა უმრავლესობა 1890-1900 წწ. მიჯნაზე ქვეყნდება). მას მერე, რაც „კვალი“ მთლიანად სოციალ-დემოკრატების ხელში აღმოჩნდა და პარტიულ-იდეოლოგიური გამოცემის სახე მიიღო, მასთან მოთანამშრომლე ავტორთა უმრავლესობამ ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „მოამბეში“ გადაინაცვლა (ცხადია, ისინი „ივერიასთანაც“ თანამშრომლობდნენ). „კვალის“ ახალ მესვეურთა ხელში თანდათანობით მინელდა აგრეთვე ინტერესი საქართველოს წარსულისა და ქართული კულტურის ისტორიასთან დაკავშირებული თემების მიმართ. მომრავლდა და გაბატონდა სოციალურ თემატიკაზე შექმნილი ერზაც-ლიტერატურა და სხვ.

ქართველმა მარქსისტებმა (სოციალ-დემოკრატებმა) ორგანიზაციული ხასიათის არალეგალური მუშაობა ჯერ კიდევ 1892-1893 წლებში დაიწყეს (ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, მიხა ცხაკაია, სილიბისტრო ჯიბლაძე და სხვ.), ხოლო 1894 წლის მაისში, – ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე, – ისინი უკვე ჩამოყალიბებული იდეოლოგიით წარდგნენ საზოგადოების წინაშე. ქართველ მარქსისტთა ერთ-ერთი მეთაურის, სილიბისტრო ჯიბლაძის, თქმით, „ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალს, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე წოდებას ანუ კლასს. ერთის მხრით – ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით – მუქთახორა ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი – დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, სად ტყდება ხიდი ჩვენში... აი, სად ირღვევა უფსკრული...“.

ცნობილია, რომ ს. ჯიბლაძის მიერ ნახსენებ „ჩატეხილ ხიდზე“ ილია ჭავჭავაძეც ინტენსიურად წერდა (მხატვრული ნაწარმოებები, პუბლიცისტური ტექსტები), ოღონდ თუ ილიას მიზანი „ხიდჩატეხილობის“ აღმოფხვრა და ამ გზით სოციალურ ფენათა თანხმობისა და იდეოლოგიური კონსოლიდაციის მიღწევა იყო, ს. ჯიბლაძე (შესაბამისად – ქართველი მარქსისტები) საზოგადოებას მდიდრებად (მჩაგვრელებად) და ღარიბებად (ჩაგრულებად) ჰყოფდნენ და კატეგორიული ფორმით ამტკიცდებდნენ ანტაგონიზმის გაღრმავებისა და ბრძოლის სოციალურ-ეკონომიკურ ასპარეზზე გადატანის აუცილებლობას. თავადაზნაურობა, ქართველი მარქსისტების აზრით, თვით ისტორიის მიერ იყო სასიკვდილოდ გაწირული და თუ რამ საერთო შეიძლებოდა ჰქონოდათ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს, ეს იყო რესურსების გაერთიანება თავადაზნაურობის, როგორც კლასის, დასასამარებლად.

ქართველი მარქსისტების რევოლუციური ძალისხმევა რუსეთის იმპერიაში არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემის მოსპობაზე იყო ფოკუსირებული. მხოლოდ ამის შემდეგ მიაჩნდათ მათ შესაძლებლად (პირველ რიგში, „ნოე ჟორდანიას ფრთას“) ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების, – მათ შორის, ეროვნული საკითხის, – გადაჭრა.

ქართველ მარქსისტებს „მესამედასელებსაც“ უწოდებენ, რაც გიორგი წერეთლის მიერ ჩამოყალიბებულ ე. წ. „დასების“ კონცეფციას ეფუძნება. გ. წერეთლის მიხედვით:

1. 1860-იანი წლების მოღვაწეები (პეტრე ნაკაშიძე, დიმიტრი ყაზბეგი, ივანე პოლტორაცკი, მიხეილ და დავით ყიფიანები, ილია წინამძღვრიშვილი, ვახტანგ თულაშვილი და სხვ.) ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გამოხატავდნენ **ლიბერალური თავადაზნაურობის** ინტერესებს (ეს იყოო „უცებ აფეთქებული და უცებვე ჩამქრალი... ლიბერალური ახალგაზრდობა“). გ. წერეთელმა თავის კონცეფციაში ადგილი ვერ მოუძებნა „ხალხოსნებს“ და ისინი რამდენადმე დამაჯერებელი არგუმენტაციის გარეშე „პირველდასელებთან“ გააერთიანა. „საქართველოს მოამბემ“, – გ. წერეთლის თქმით, – „დაჰგმო ძველი ბატონ-ყმური დამოკიდებულება, სანტიმენტალურად შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულ ბედს და შემდეგ ეს გრძობა გადაიტანა სამშობლოზეც“. „საქართველოს მოამბის“ დახურვისთანავე „პირველმა დასმა“, გ. წერეთლის შეხედულებით, არსებითად ამოწურა თავისი ფუნქცია და დაიშალა. რაც შეეხება „ივერიას“, „მას ახალი აღარა წამოუყენებია... იყო გაგრძელება „საქართველოს მოამბისა“.

2. „მეორე დასს“ გ. წერეთელი უწოდებს გაზეთ „დროებისა“ და ჟურნალ „კრებულის“ გარშემო გაერთიანებულ **ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების** პუბლიცისტ-ლიტერატორებს (ნიკო ნიკოლაძე, თვითონ გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე უმიკაშვილი, აკაკი წერეთელი). მწერალ-პუბლიცისტთა ამ ჯგუფმა, – ავტორის აზრით, – „ახალ აზროვნების მიმართულების გარდა, თვით მწერლობის ენაც ძირიანათ შესცვალა“; კერძოდ, აქამდე არსებული „გადაპრეხილი ლიტერატურული ენა ადვილ გასაგებ მდაბიო ლიტერატურულ ენათ გადააქცია“. რაც შეეხება გ. წერეთლის მიერ ნახსენებ „ახალ აზროვნების მიმართულებას“, ავტორი ზოგადად აღნიშნავს – პირველი და მეორე დასის წარმომადგენლებს შორის მუდამ იყო დაპირისპირება პრინციპულ საკითხებშიო, თუმცა არც ამ „პრინციპულ საკითხებს“ აკონკრეტებს და არც – ამგვარი დაპირისპირების იდეურ-მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს.

3. „მესამე დასად“ გ. წერეთელი მიიჩნევს ახალგამოჩენილ მარქსისტებს, რომელთა წინამძღოლებადაც ასახელებს მხატვრულ ლიტერატურაში ეგნატე ნინოშვილს, ხოლო პუბლიცისტიკაში – ნოე ჟორდანიას. ავტორის აზრით, „კვალის“ გარშემო გაერთიანებულ მარქსისტთა ჯგუფი (სოციალ-დემოკრატები) „ნამდვილ მემკვიდრედ უნდა გახდეს მეორე დასისა“.

გ. წერეთლის, – თავისთავად თვალსაჩინო მწერლის, ჟურნალისტ-პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, – მიერ ჩამოყალიბებული „დასების“ თეორია ტენდენციური, ხელოვნური და სქემატურია, ამასთანავე, აქ რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები მეტისმეტად გამარტივებულადაა წარმოდგენილი: იგნორირებულია „თერგდალეულთა“ წვლილი საქართველოში კონსერვატორულ-მონარქისტული მსოფლმხედველობის დაძლევასა და „ნაციონალური ლიბერალიზმის“ (ა. ჯორჯაძე) შემოტანასა და დამკვიდრებაში, მათი ბრძოლა განათლების რუსიფიკაციის (ზოგადად – რუსიფიკაციის) წინააღმდეგ, ეროვნული მიზანდასახულობის ინტენსიური კულტურტრეგერული მუშაობა, დაკნინებულია ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ისტორიული მნიშვნელობის დამსახურება ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის საქმეში და სხვ.

XIX ს. 60-80 წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მართლაც ადვილადაა შესამჩნევი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პოზიციათა სწრაფი დიფერენცირება, მთელი ეს პროცესი მწვავე პოლემიკური სულისკვეთებითაცაა აღბეჭდილი, მაგრამ განსხვავებულ თვალსაზრისებს ამ პროცესში მონაწილეთა შორის არ აღუმართავს ისეთი „ჩინური კედელი“, როგორც ეს გ. წერეთლის კონცეფციაშია წარმოჩენილი – პოლემიკა ძირითადად მიმდინარეობდა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, ხოლო რაც შეეხება ეროვნულ საკითხს (სხვათა შორის, კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივ პრინციპებსაც), აქ ე. წ. „დასებს“ შორის, 1890-იან წლებამდე (სოციალ-დემოკრატების გამოჩენამდე) არსებითი ხასიათის განსხვავება არ ყოფილა.

ასე იყო თუ ისე, გ. წერეთელმა, – „კვალის“ ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა, – ჯერ ფართოდ გაუღო კარი „მესამედასელებს“ (რომლებსაც, სხვათა შორის, ი. ჭავჭავაძე „რუსული მარქსიზმის თუთიყუშებს“ უწოდებდა[4]), ხოლო 1897 წლის ბოლოს, როგორც ითქვა, მათ ჟურნალი მთლიანად გადასცა – **1898 წლის იანვრიდან „კვალი“ უკვე სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანოა** და, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემლად ა. თუმანიშვილი-წერეთელი დარჩა, ამ დროიდან გამოცემის ფაქტობრივი ხელმძღვანელი ნოე ჟორდანიაა. ამის შესახებ ნ. ჟორდანია წერს: „გ. წერეთელმა მე გადმომცა სრული რედაქტორობა, სრულიად არ ერეოდა სარედაქციო საქმეებში და თუ რამეს დასწერდა – მე გადმომცემდა გასაცნობათ და ნების დასართავათ... ხშირათ მეუბნებოდა ერთ და იმავეს: ნოე, ხომ იცი, მე მარქსისტი არა ვარ, მაგრამ რაკი ვხედავ, რომ ხალხის გამოღვიძება შეიძლება ამ გზით, მეც თქვენთან ვარ... **„კვალი“ გახდა ქართველი მარქსისტების პირველი ლეგალური ორგანო. ეს იყო იმავე დროს პირველი მაგალითი მთელ რუსეთის იმპერიაში. არსად სოციალისტებს ლეგალური ორგანო არ ქონდათ** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.)“.

გ. წერეთელი, – 1860-იან წლებში „თერგდალეულთა“ თვალსაჩინო წევრი, – იყო გულწრფელი პატრიოტი და სიცოცხლის ბოლომდე ეროვნული იდეალების ერთგულ მსახურად დარჩა. ასეთ ვითარებაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რამ განაპირობა მისი გადაწყვეტილება, გამხდარიყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა თანამდგომი და „კვალიც“ მათთვის გადაეცა?

პასუხს ამ კითხვაზე ვპოულობთ ამ მოვლენების მონაწილეთა თუ თვითმხილველთა სხვადასხვა ტიპის (პუბლიცისტურ, მემუარულ, ეპისტოლურ...) ტექსტებში, რომელთაგან აქ მხოლოდ რამდენიმეს დავიმოწმებთ:

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ქართველი მარქსისტები „ჯერ ბავშვები არიან... ნელ-ნელა მორჩებიან მარქსიზმის ქავილიდან და მომართავენ ისევ ეროვნულ ჩანგს“ (ს. ქვარიანი).

გ. წერეთელი ამბობდა: „მესამე დასელები გამოსწორდებიან, პატრიოტებად გახდებიან და ძლიერ ეროვნულ მოძრაობას შექმნიანო. აკაკიც ჩაითრია გ. წერეთელმა „კვალში“ და აკაკიც ამგვარადვე ასაბუთებდა თავის პოზიციას“ (ვ. წერეთელი).

გ. წერეთელმა მითხრა: „ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ძველი მიმართულება უნდა შეკუვაგდოთ, იქიდან მარტო ნაციონალური თავისუფლების მისწრაფება დავიტოვოთ და

[4] zogadad i. WavWavaZe maRali azrisa iyo karl marqssa da mis ekonomikur moZRvrebaze (sxvaTa Soris, erTgan mas `didebul marqssac~ uwodebs), magram miiCnevda, rom marqsizmi Tavisi klasobrivi winaaRmdegobisa da revoluciuri suliskveTebis gamo damRupveli iyo mcirericxovani, _ miT umetes, saxelmwifoebriobas moklebuli, _ erebisaTvis. sakuTriv qarTvel marqsistebs ilia bralad uyenebda marqsizmis safuZvlebis vergagebas, noe Jordaniaze ki werda _ eg iseTi marqsistia, `romelTanaebze TiTon marqsma sTqva: rac gindaT damarqviT, oRond marqsistobas-ki nu damwamebTo~.

სხვა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში მარქსისა და ენგელსის მიმართულება უნდა მივიღოთ“ (ე. თაყაიშვილი) და სხვ.

საგულისხმოა ისიც, რომ გ. წერეთელმა „კვალი“ გადასცა მაინცდამაინც ნოე ჟორდანიას, რომელმაც ჯერ კიდევ 1892 წელს ჩამოყალიბებულ საკუთარ პოლიტიკურ პროგრამაში სცადა მარქსიზმისა და ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჰარმონიზაცია. მისი შეხედულებით, „თუკი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი, როგორც დიდი ეთნიური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ქონდეს თავისი სახელმწიფო“.[5] მოგვიანებით კი (1925 წელს), ემიგრაციაში მყოფმა ნ. ჟორდანიამ ასე ჩამოაყალიბა საკუთარი პოლიტიკურ მსოფლმხედველობა: „სუვერენობა ერის, ბატონობა დემოკრატიის, დამკვიდრება სოციალიზმის – აი ჩვენი მიზანი, აი რისთვის ვიბრძვით ჩვენ“.

ნ. ჟორდანია თავისი პოლიტიკური მსოფლხედველობით დიამეტრულად განსხვავდებოდა იმ ქართველი მარქსისტებისაგან (ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ალექსანდრე წულუკიძე და სხვ.), რომელთა პროგრამაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე იყო დაფუძნებული და რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან განუყოფელი ერთიანობისა და განუყოფელი რუსეთის პირობებში კლასთა შორის რევოლუციური ანტაგონიზმის გაღრმავებაზე იყო ორიენტირებული. ეს იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა ის ჯგუფი, რომელსაც „საქართველოს პოლიტიკური უფლებანი არ აინტერესებდა“ (მიხ. წერეთელი) და 1900-იანი წლების დასაწყისში ბოლშევიკურ პარტიად ჩამოყალიბდა[6] (სხვათა შორის, ეროვნული საკითხისადმი ქართველ სოციალ-დემოკრატთა უმეტესობის პოზიცია ერთიანი და განუყოფელი რუსეთის შესახებ ჰქონდა მხედველობაში კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს, რომელიც 1906 წელს იმპერატორ ნიკოლოზ II-ს სწერდა: „თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ინტელიგენცია საქართველოში სეპარატისტულია, ერთადერთი საიმედო ძალა, რომელსაც შეიძლება რუსის ხელისუფლება საქართველოში დაეყრდნოს, ქართველი სოციალ-დემოკრატები არიან, მართალია, საშიში რევოლუციონერები, მაგრამ სახელმწიფო ცენტრალისტები და რუსეთის მთლიანობის მომხრენი“).

ნ. ჟორდანიას პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასება როგორც თანადროულ, ისე შემდგომი ხანის (დღემდე) ქართულ მეცნიერულ, პუბლიცისტურ თუ მემუარულ ლიტერატურაში წინააღმდეგობრივია – უკიდურესად ნეგატიურიდან უაღრესად პოზიტიურამდე.

---

[5] nacionaluri sakiTxis Jordaniaseuli gaazreba (vgulisxmobT 1890-iani wlebis viTarebas), rogorc Cans, arsebiTad misaRebi aRmoCnda i. WavWavaZisaTvis, ris gamoc iliam n. Jordanias `iveriis~ redaqtoroba SesTavaza. mogvianebiT n. Jordania ixsenebs: `erT dRes movida CemTan al. yifSiZe da gadmomca, ilia WavWavaZes surs Tqveni naxva da xval diliT gelis Tavis saxlSio... meore dRes wavedi. mimiRo Tavis samuSao kabinetSi. gavecani, dajdomisTanave daiwyo: SegawuxeT erTi saqmisaTvis. me msurs Tqven gaxdeT `iveriis~ xelmZRvaneli, redaqtori sruli uflebiT, mxolod roca Cvens Soris iqneba azrebis didi gansxvaveba _ me Cemsas davbeWdav, Tqven Tqvensaso. me sxvebi mTxoven gazeTis gadacemas, maT ar gadavcem, gamocdilebiT vici maTi ambavi, Tu Tqven aiRebT, mzaT var gadmogceTo~ (n. Jordania ar uTiTebs TariRs, Tumca konteqstidan Cans, rom es Sexvedra 1897 wels unda momxdariyo). n. Jordanias am dros, faqtobrivad, ukve hqonda Tavisi perioduli gamocema (`kvali~) da, rac mTavaria, igi iyo i. WavWavaZesTan dapirispirebuli politikuri jgufis meTauri. amitomac man ilias Tavaziani uari uTxra.

[6] ganxeTqileba ruseTis social-demokratiul partiaSi, romelmac ganapiroba kidevac partiis bolSevikebad da menSevikebad daSla, ZiriTadad swored revoluciur procesebSi proletariatis adgilisa da rolis sakiTxs ukavSirdeba. social-demokratTa 1903 wlis yrilobaze erTi frTa (momavalSi _ bolSevikebi) kategoriulad moiTxovda partiis programaSi SeetanaT punqti proletariatis diqtaturis Sesaxeb, meore frTa (momavalSi _ menSevikebi) aseTive kategoriulobiT ewinaaRmdegeboda programaSi am punqtis Setanas.

ჩვენ ვფიქრობთ, ნოე ჟორდანიას, – ამ თავისდათავად ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკური ფიგურის, – მსოფლმხედველობის გასაღები უნდა ვეძებოთ ქართული ნაციონალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლის, მიხეილ (მიხაკო) წერეთლის, შეფასებაში:

„ნოე ჟორდანიას მსოფლიოს-ხედვა მარქსისტული იყო... ქართული ნაციონალიზმი მაშინ (1890-1900 წლებში – თ. ჯ.) იდეურად ძლიერი იყო, მაგრამ **ხალხის დარაზმვა ეროვნული თავისუფლების იდეალის განსახორციელებლად მან ვერ შესძლო** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.). ქართულ მარქსიზმს კი რუსეთის რევოლუციურ ძალებთან ერთად მიაჩნდა შესაძლებლად თვით-მპყრობელობის დამხობა, სოციალური რეფორმები მშრომელ კლასსთათვის და დამყარება დემოკრატიული თავისუფლებისა. ამ მიზანთა მიღწევის შემდეგ, მისი (ნ. ჟორდანიას – თ. ჯ.) რწმენით, ერიც კვლავ მოიპოვებდა დაკარგულ უფლებებს. ნაციონალისტური ბრძოლის წარმოება უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ, თვით ამ იმპერიის რევოლუციონურ ძალთა დაუხმარებლად, მას სრულიად უიმედოდ მიაჩნდა.[7] ამ ნიადგაზედ სწარმოებდა ბრძოლა სხვადასხვა მიმართულების ქართული ნაციონალიზმისა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ჩვენში, როგორც ყველგან, ხშირად მწვავე იყო და მავნებელი მთელი ერისათვის, მაგრამ ქართველი სოციალ-დემოკრატების არც კლასსთა ბრძოლის ქადაგებას და არც ქართველი ხალხის მიმართვას წმინდა სოციალურ-პოლიტიკური იდეალებისაკენ ქართველი ერის მთლიანობა არ დაურღვევია. დადგა დრო და მთელმა ქართველმა ერმა, განურჩევლად პარტიათა, აჩვენა ქვეყანას, თუ რა იყო მისი ნება და სურვილი (იგულისხმება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს – თ. ჯ.)“.[8]

---

[7] am sakiTxze Tavis memuarebSi (`Cemi warsuli~) noe Jordania wers: `...cvlileba unda momxdariyo saerTo Zal-RoniT ruseTis masStabiT. Cveni patara erisTvis es taqtika TavisTavad sagulisxmo da misaRebi iyo, marto qarTveloba xom ver gaumklavdeboda ruseTis veSaps. CvenTvis saWiro iyo mokavSire brZolaSi, rom izolaciaSi ar movxvedriliyaviT da ar gavlesiliyaviT~ (sxvaTa Soris, sainteresoa XIX s. dasawyisSi saqarTvelos saxelmwifoebriobis gauqmebisa da ruseTTan SeerTebis n. Jordaniaseuli Sefaseba: `eris meTaurebma da winamZRolebma ver SeZles Tavisi Zal-RoniT mtkice marTvelobis damyareba da iZulebuli Seiqnen ruseTisTvis miemarTaT. da roca maT Tavisi ufleba erTmorwmune ers gadasces, amiT uarhyves Tavisi batonoba da masTan erTaT samSoblos winanduraT meTauroba. es, ase vTqvaT, Tavis Tavis gadayenebaa, Tavis uZlurebis gamoaSkaravebaa~ _ erTi saukune. `kvali~, 1898, #9).

[8] qarTvel social-demokratTa (menSevikTa) umetesi nawili gulwrfeli patrioti iyo da amis sailustraciod mravalTagan aq mxolod erT magaliTs moviyvanT. ruben yifiani emigraciaSi igonebs: `26 maiss, Cveni damoukideblobis gamocxadebis dRes, vlasa (social-demokrati vlasa mgelaZe _ T. j.) miimala da aRar sCanda, vnaxe mxolod gvian naSuadRevs. Cems SekiTxvaze, Tu sad iyo, mipasuxa: `mamadaviTis eklesiaze zars vrekavdi: ilia WavWavaZes, akaki wereTels, dimitri yifians Tavisufleba mivuloceo~. `me ar meguleba arc erT universalur eposSi mamuliSviluri aqti, egzom ayvanili miTiur simaRlemde~ _ wers am amaRelvebeli faqtis Sesaxeb grigol robaqiZe.

aqve unda iTqvas, rom qarTvel marqsistTa erTi nawili gamoirCeoda ukiduresi kosmopolitizmiT da, am mxriv, damaxasiaTebelia menSevik irakli wereTlis (sxvaTa Soris, giorgi wereTlis Svilis) werili `mamuliSviloba, erovneba Tu xalxis samsaxuri~ (`kvali~, 1903, #4,15,20), romelSic avtori amtkicebda _ mamuliSvilobis dacva moZvelda da xels uSlis sazogadoebriv progresso. Cans, i. wereTlis es werili hqonda mxedvelobaSi geronti qiqoZes, romelic mogvianebiT Tavis `mogonebebSi~ werda: `gansakuTrebuli protesti Cvens (quTaisis realuri saswavleblis moswavleTa _ T. j.) Soris irakli wereTelma (yvirilelma) gamoiwvia, rodesac man 1903 wels `kvalis~ Sinaur mimoxilvaSi ganacxada, Cven arc gacveTili patriotizmi gvakmayofilebs da arc samSoblosa da qarTul enaze yvirili, Cveni ideali sakacobrio idealiao; awmyo gveliviT gvezizReba, warsuli WiriviT gvejavreba, Cven brwyinvale momavlisaken vicqirebiTo~.

ufro Sors midiodnen marqsisti-bolSevikebi. f. maxaraZe, magaliTad, amtkicebda: `CvenTvis nacionaluri kultura ar arsebobs, nacionalur enas mxolod pirobiTi da warmavali mniSvneloba aqvs, xolo rac Seexeba nacionalur zne-Cveulebebs, isini mxolod konservatorobis gamomxatvelia~.

ნოე ჟორდანიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის დახასიათებისას, ვფიქრობთ, განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ იგი თავისი სოციალისტური იდეების განხორციელებისას ევროპულ ნიადაგზე იდგა და არა – რუსულ ნიადაგზე. თავის მემუარებში იგი წერს (ასახულია 1890-იანი წლების ვითარება): „...დავინახე, რომ რუსული სოციალიზმი ნამდვილი უტოპიური და რეაქციონური მიმდინარეობაა და თუ ის მართლა განხორციელდა სადმე, დავექანებით უკან ბარბაროსობაში... ამან სამუდამოთ მოკლა ჩემში იმდენი წლის შეთვისებული რუსული სოციალიზმი და გადამიყვანა ევროპიულ ნიადაგზე“. ასე რომ, **მიუხედავად ძირეული იდეოლოგიური განსხვავებულობისა, ნ. ჟორდანიას პოლიტიკური კრედო არ დასცილებია XIX ს. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ მიმართულებას – ევროპეიზმს**.

ასე იყო თუ ისე, 1898 წლის დასაწყისიდან, როგორც ითქვა, „კვალი“ მთლიანად აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატების ხელში და მათაც პირდაპირი იერიში მიიტანეს „ივერიასა“ და ზოგადად ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების ქართველ ინტელიგენციაზე: „მესამე დასი ხდება დაუძინებელ მტრად ახლანდელი ჩვენი ინტელიგენტ-მეთაურებისა და მათი მოქმედება მიაჩნიათ მავნებლად ჩვენი ქვეყნისათვის... ამ ბოლო დროს სავსებით გამომჟღავნდა „ივერიის“ მთელი შინაარსი, მისი სიბეჩავე, მისი სითახსირე. მისი მიმართულება ჩვენს ლიტერატურაში უნდა აღინიშნოს სიტყვით – „რეაქცია“.

ილია ჭავჭავაძისა და მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი მარქსისტებისათვის ყველაზე ერთგულ და საიმედო „მოკავშირედ“ ეპოქის სულისკვეთება იქცა. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის ფართო ფენებში სოციალ-დემოკრატთა ლოზუნგები სოციალური თანასწორობისა და საყოველთაო კეთილდღეობის შესახებ უაღრესად მიმზიდველი აღმოჩნდა. იმ დროის ფსიქოლოგიური გარემო შესანიშნავადაა დახასიათებული ა. ჯორჯაძის მიერ: „თუ თქვენ იმდენად გულუბრყვილო ბრძანდებით, რომ „ქართველობა“ არც გეთაკილებათ, არც გეზიზღებათ, იცოდეთ, შავრაზმელთა გუნდში უნდა ჩაირიცხოთ, ნაციონალისტის სამარცხვინო სახელი უნდა ატაროთ და წყვდიადი და ბნელეთია მაშინ თქვენი ხვედრი და თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ, გულში ხელის ჩარტყმით: ამხანაგებო! წარსული მძულს, აწმყო მეზიზღება-თქო, იცოდეთ, თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია. შარავანდედით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტური გვამი და ქუჩაზე გავლის დროს თქვენზე თითს მიათითებენ და იტყვიან: აი ჩვენი მხსნელი, აი თავისუფლების მოციქული და „შავრაზმელ ნაციონალისტთა“ ამომგდებიო“. საგულისხმოა აგრეთვე გერონტი ქიქოძის „მოგონებების“ ის მონაკვეთიც, რომელშიც ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლეებისა და ბათუმელი ახალგაზრდების პოლემიკაა ასახული: „ბათუმელებმა ჩამოიტანეს თავიანთი ხელნაწერი რუსული ჟურნალი, რომელშიც ისინი თავისებურად გაგებული მარქსიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეებს იცავდნენ. მე მინდოდა მათ შევდავებოდი ქართული ეროვნული კულტურის პოზიციებიდან, მაგრამ დავმარცხდი, ვინაიდან მათ ძლიერი მოკავშირე აღმოაჩნდათ, სახელდობრ – ეპოქის სული“.[9]

[9] 1890-iani ww. dasasruls `iverielTa~ da `kvalelTa~ dapirispirebis fonze Camoyalibda `gancalkevebuli patara jgufi qarTvel inteligenciisa, romelic savsebiT ver miemxroboda verc pirvel da verc meore banaks~ (g. lasxiSvili). am jgufma Jurnal `moambeSi~ moiyara Tavi da igi `pirvels (`iverias~ _ T. j.) uaxlovdeboda erovnulis idealiT, xolo meores (`kvals~ _ T. j.) socialuris miswrafebiT~ (g. lasxiSvili). aq naxsenebi Jurnali `moambe~ (1894-1905; redaqtori _ al. Wyonia) erovnuli mimarTulebis liberalur-demokratiuli gamocema iyo da saganmanaTleblo-kulturtregerul sakiTxebsac sagangebo yuradRebas uTmobda. Tavidan gamocemis publicistur profils arsebiTad gansazRvravda niko nikolaZe, romelic qveynis xsnas vaWroba-mrewvelobis ganviTarebasa da erovnuli burJuaziuli klasis (n. nikolaZis TqmiT, `SuaTana dasis~) ganviTarebaGaZlierebaSi xedavda. 1900 wels `moambis~ gamomcemelma jgufma SeiZina valerian gunias mier 1896

„ივერიის“, ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ ნამდვილი „კოლექტიური ლაშქრობა“ განხორციელდა 1900 წლის იანვარში, გიორგი წერეთლის გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეებში – დაკრძალვაზე სიტყვით გამომსვლელებმა (ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ვასილ კირვალიძე, ნოშრევან მერკვილაძე და სხვ.) ანათემას გადასცეს ყველა (განსაკუთრებით, „ივერია“ და ილია ჭავჭავაძე), ვინც გ. წერეთლის შეხედულებებს პატივს არ სცემდა და სოციალ-დემოკრატთა იდეებს არ იზიარებდა. „მესამედასელთა“ ამგვარ „ძნელად წარმოსადგენ უზნეობას, უტაქტობას და უსირცხვილობას“ (გ. ლასხიშვილი) მძაფრად გამოეხმაურა დაპირისპირებული ბანაკი (არტემ ახნაზაროვი, გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე...). ბრძოლამ ილიასა და მისი მსოფლმხედველობის წინააღმდეგ თავის აპოგეას მას შემდეგ მიაღწია, რაც ჟურნალ „მოგზაურს“, რომლის ოფიციალური რედაქტორი ივანე როსტომაშვილი იყო, ფაქტობრივად ფილიპე მახარაძე ჩაუდგა სათავეში.[10]

წინა თავში („ილია ჭავჭავაძის „ივერია“) ჩვენ უკვე შევეხეთ ვ. ნაცვლიშვილის მიერ ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ წერილს („საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“), ილიას პასუხსა („ნუთუ?“) და ამ პოლემიკასთან დაკავშირებით გაზეთ „ივერიის“ პოზიციას. ხოლო იმის საილუსტრაციოდ, თუ რა უხამსი და დაუნდობელი იყო ქართველ მარქსისტთა ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, აქ დავიმოწმებთ ფრაგმენტს ფ. მახარაძის იმ წერილიდან, რომლითაც მან „მოგზაურში“ უპასუხა ილიას პუბლიკაციას – „ნუთუ?“: „თ-დ ილია ჭავჭავაძეს ჩვენ იქამდისაც ვიცნობდით, თუ რა „კაცური კაცი“ ბრძანდებოდა ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მისი სულისკვეთების საგანს... იგი გველაპარაკება ჩვენ, როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგი, როგორც მემამულე... ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნება ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებია. ჩვენ არ გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე უღმერთოდ გაყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა“ და ა. შ. (მოგვიანებით იგივე ფ. მახარაძე ილიას დაკრძალვასთან დაკავშირებით წერდა: „ნუთუ ჩვენმა „ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა“ ვერ გაიგეს, რომ რევოლუციონურ აქტის მსხვერპლს გვირგვინს არ მივუტანთ საფლავზე, სამძიმარს არ გამოვუცხადებთ?“).

1890-იანი წლების დასასრულიდან ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ფართო ფრონტით გაშლილ ბრძოლაში ნოე ჟორდანიაც ჩაერთო – „კვალში“ ზედიზედ გამოაქვეყნა წერილები, რომლებშიც იგი ილიას უწოდებდა „რეაქციული მოძრაობის მეთაურს“, „არმაზის ალაგას აღმართულ კერპს“ და ა. შ.; საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნ. ჟორდანიას ვრცელი ნაშრომი „პრესა“, რომელიც 1900 წელს გაგრძელებებით გამოქვეყნდა „კვალში“

---

wels daarsebuli sainformacio xasiaTis gazeTi `cnobis furceli~, romelsac, miuxedavad imisa, rom oficialurad redaqtorobdnen jer al. Wyonia, xolo Semdeg al. jabadari, faqtobrivad g. lasxiSvili xelmZRvanelobda. gazeTTan aqtiuri TanamSromloba daiwyes axalgazrda moRvaweebma: arCil jorjaZem, kita abaSiZem, ilia aglaZem, samson fircxalavam da sxv.; `cnobis furceli~ axali Taobis mTavar gamocemad iqca. faqtobrivad, es aris qarTvel avtonomistTa perioduli organo, romlis wiaRSic Camoyalibda saqarTvelos socialist-federalistTa partia.

Cven am or gamocemaze (`moambesa~ da `cnobis furcelze~) ar vCerdebiT, radganac maTi politikur-ideologiuri xasiaTi da mimarTuleba arsebiTad 1900-ian wlebSi Camoyalibda da, amdenad, Cveni azriT, isini XX saukunis qarTul presas miekuTvnebian.

[10] sxvaTa Soris, legaluri qarTuli gamocemebidan pirvelad swored `mogzaurSi~ gaCnda saerTaSoriso revoluciuri proletariatis devizi `proletarebo yvela qveynisa, SeerTdiT!~, romelic Semdeg sabWoTa presis devizadac iqca.

და წარმოადგენს „ნიმუშს მიდგომილ და ცალმხრივ ლიტერატურულ ნაწარმოებისა“ [ა. ჯორჯაძე; იმავე 1900 წელს ნ. ჟორდანიამ ეს თავისი ნაშრომი წიგნადაც გამოსცა სათაურით – „ქართული პრესა (გუშინ და დღეს)“]. მკვლევარი გიორგი აბაშიძე თავის წიგნში „ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება და ღვაწლი“ (თბ.: 2005) ვრცლად ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს:

„ნ. ჟორდანია წერდა, რომ ქართული პრესა „ერთიანად გათახსირებულია, როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად; იმას აღარავითარი უმაღლესი იდეალი არ იტაცებს, არ აფრთოვანებს, და წვრილმან, უმნიშვნელო რამეებში გართული, თავდაღმართში სწრაფად ეშვება და სამარის კარს უახლოვდება“, ხოლო ქართული პრესის ეს გათახსირება ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შედეგია, – ილია ჭავჭავაძისა, რომელიც სათავეში ჩაუდგა „კონსერვატორთა ჯგუფს“, დააარსა გაზეთი „ივერია“, დაუპირისპირდა პროგრესულ გაზეთ „დროებას“... და ქართული პრესა „განვითარების უმდაბლეს საფეხურამდი“ ჩამოაქვეითა: რეაქციონერი ილია ჭავჭავაძისა და მისი „ივერიის“ წყალობით, „ქართულმა პრესამ თავისი ხელით გაიკეთა კუბო, ჩავიდა შიგ, გულხელი დაიკრიფა და ახლა მხოლოდ წესის აგებას და დასამარებას ელის“.

1900-იანი წლების დასაწყისში ხანგრძლივი ბრძოლითა და შრომით დაღლილი, ჯანმრთელობაშერყეული ი. ჭავჭავაძე თანდათანობით ჩამოცილდა საზოგადოებრივ ასპარეზს. მან, როგორც ადრე ითქვა, „ივერია“ სხვას (ალ. სარაჯიშვილს) გადასცა და მთელი თავისი დარჩენილი ენერგია საბანკო საქმეების წარმატებისაკენ მიმართა, მაგრამ, გრ. ყიფშიძის თქმით, „დასელებმა უფრო მოუმატეს ბრძოლას და იერიში იერიშზედ მიჰქონდათ ილიაზედ და ეროვნულს მიმართულებაზედ. ილია თითქმის მიყუჩდა, მიიჩრდილა, მოშორდა სამოქმედო ასპარეზს, მაგრამ დასელები მაინც არა სცხრებოდნენ, რადგან იმ მიმართულების დედა-ბოძად, რომელსაც უარჰყოფდნენ დასელები, ისევ ის ითვლებოდა. იმას ერტყა ბრწყინვალე შარავანდედი ქართველთა დიდი პატრიოტისა, ეროვნულის მგოსნისა, ქვეყნის მესვეურისა და მესაიდუმლესი. დასელების აზრით, უსათუოდ საჭირო იყო ამ კერპის დამსხვრევა, ამ ძველის ღმერთის შემუსვრა, ილიას დამდაბლება, მის აბრუს გატეხა. მისი სრული დამარცხება იქნებოდა დამარცხება და გაცამტვერება იმ მსოფლ-მხედველობისა, რომლის ცხოველი გამომხატველი და მოციქული იყო ილია“.

უნდა ითქვას, რომ „მესამედასელებმა“ აღვირახსნილი, ყოვლად უღირსი პროპაგანდის მეშვეობით მიაღწიეს საზოგადოების ფართო ფენებში ილია ჭავჭავაძის სახელისა და საქმის დისკრედიტაციას (ასე, მაგალითად, 1902 წელს ნაძალადევის მუშათა სამკითხველოს გახსნისას თბილისელმა მუშებმა ილია ჭავჭავაძეს, როგორც „მუშათა მტერსა და მოღალატეს“, ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყვეს და სხვ.).

ახალი იდეებითა და რევოლუციური სულისკვეთებით ეგზალტირებული საზოგადოება ადვილად დაჰყვა ილიას წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდასა და მორალურ ტერორს და საქმე იქამდე მივიდა, რომ, – სამსონ ფირცხალავას თქმით, – ილია ჭავჭავაძის „გამოქომაგებაც“ კი „სამძიმო გახდა“.

მართალია, ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება დოკუმენტურად დადასტურებული ცნობები ი. ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორთა შესახებ, მაგრამ შეიძლება ითქვას – ქართველმა მარქსისტებმა ზოგადად და, განსაკუთრებით, მათმა ბოლშევიკურმა ფრთამ შექმნეს ის ფსიქოლოგიური და მორალური ატმოსფერო, რომელშიც შესაძლებელი გახდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა.

1900-იანი წლების დასაწყისი საქართველოში რევოლუციური მიმართულების სოციალ-დემოკრატიული პრესის აღმავლობით აღინიშნა (გაზეთები „ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლა“, ჟურნალი „მოგზაური“...), გაჩნდა სოციალისტურ-ფედერალისტური მიმართულების პრესაც (პარიზში გამომავალი გაზეთი „საქართველო“,

რომელიც არალეგალურად ვრცელდებოდა საქართველოში; მწვავე პოლიტიკური შინაარსი შეიძინეს გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ და ჟურნალმა „მოამბემ“). ასეთ ვითარებაში „კვალმა“ ვერ გაუძლო კონკურენციას და კრიზისი დაეტყო. ამას ისიც დაემატა, რომ გაზეთის ფაქტობრივი ხელმძღვანელი ნოე ჟორდანია იძულებული გახდა, პოლიტიკურ დევნას ევროპაში გაჰქცეოდა... 1903 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე „კვალის“ გამოცემა შეწყვეტილი იყო. ძირითადი მიზეზი კრიზისისა თვითონ „კვალშივე“ 1903 წლის ნოემბერში ირაკლი წერეთელმა („ყვირილელმა“) ასე ახსნა: „კვალი“ წინათ უკეთ აკმაყოფილებდა მაშინდელი ცხოვრების მოთხოვნილებას, ვიდრე დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს და ეს იმიტომ, რომ ცხოვრებამ გაუსწრო ლიტერატურას და ისეთი ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ, რომ არასოდეს წინათ არ უვლია. გაუმარჯოს იმ ცხოვრებას, რომელმაც კვალს გაასწრო“.

დაუძლურებული „კვალი“ ახალ 1904 წელს თითქოს ახალი იმედებით შეხვდა, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხანს გაიტანა თავი და იმავე წლის თებერვალში საცენზურო წესდების დარღვევის გამო ხელისუფლებამ იგი დახურა.

ლიტერატურა:

აბაშიძე გ. ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და ღვაწლი), თბ.: 2005, გვ. 57-135.

ალანია ნ. პოეზია გაზეთ „კვალში“. კრბ. „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“ (I. 1969, გვ. 179-193).

ბალახაშვილი ი. ლიტერატურული შეკრება სოფელ ბრილში გაზ. „კვალის“ დასაარსებლად. წიგნში: **ი. ბალახაშვილი**. ლიტერატურული და რევოლუციური წრეები გორში (მეცხრამეტე საუკ. 70-80-90-იანი წლები). თბ.: 1940, გვ. 154-158.

გაგოშიძე შ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XX საუკუნის 20-იანი წლები), ნაკვ. I. თბ.: 2004, გვ. 13-76.

გოზალიშვილი შ. სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი „კვალი“ (1893-1904). კრბ. „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“ (IV, 1973, გვ. 99-130).

გორგილაძე ლ. მარქსიზმის წარმოშობა და დამკვიდრება საქართველოში. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რვა ტომად), ტ. V (საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში). თბ.: 1970, გვ. 727-743.

გურული ვ. ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953. თბ.: 1953.

ვართაგავა ი. მოგონებები, II. თბ.: 1962, გვ. 61-85.

ვაშაყმაძე შ. გიორგი წერეთელი და გაზეთი „კვალი“. კრბ. „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“ (VI, 1975, გვ. 112-132).

თაყაიშვილი ე. მოგონებები ქართველ მწერლებზე. გიორგი წერეთელი. წიგნში: **ე. თაყაიშვილი**. ემიგრანტული ნაშრომები. **გ. შარაძის** საერთო რედაქციით, თბ.: 1991, გვ. 461-462.

იოვიძე ა. გ. წერეთელი. „საისტორიო მოამბე“, №6, 1952.

კიკვიძე ა. გაზეთი „კვალი“. 1893-1904 წწ. თბ.: 1966.

მინაშვილი ს. ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა. კრბ. „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (**დ. გამეზარდაშვილის რედაქციით**. IV. 1975, გვ. 100-103).

ნიკოლეიშვილი ა. ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან. წიგნში: **ა. ნიკოლეიშვილი**. ლიტერატურული ნარკვევები. ქუთაისი: 2002, გვ. 175-203.

ჟორდანია ნ. ჩემი წარსული. **მიხ. წერეთლის** წინასიტყვით. თბ.: 1990, გვ. 32-38.

რატიანი პრ. დასების თეორიის გადასინჯვისათვის. წიგნში: **პრ. რატიანი**. რჩეული ნაწერები (სამ ტომად), ტ. III. თბ.: 1985, გვ. 250-274.

სურგულაძე ა. ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან. თბ.: 1980, გვ. 193-213.

ფირცხალავა ს. მოგონებათა ფურცლები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და პირთა საძიებელი დაურთო **ლ. ნანიტაშვილმა**. თბ.: 1988, გვ. 67-86.

შველიძე დ. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ნაკვ. I. ფედერალისტები. თბ.: 1993, გვ. 37-40,48-50.

წინამძღვრიშვილი ლ. გაზეთ „კვალის“ ისტორიისათვის. კრბ. „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“ (თბ.: 1968, გვ. 102-128).

ჯორჯაძე ა. „მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“. წიგნში: **ა. ჯორჯაძე**. წერილები. შემდგენელი **ა. ბაქრაძე**. თბ.: 1989, გვ. 316-322,368-382.

ბიბლიოგრაფია იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945). შედგენილი **გ. ბაქრაძის** მიერ, **ვ. ეგნატაშვილის** რედაქციით. თბ.: 1947, გვ. 13-14.

Абрамишвили А. Грузинская периодика (1819-1917). Тб.: 1968, с. 57-58.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია იხ. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. III (1893-1905). თბ.: 1944.

საძიებლები

პირთა

ა. ა. – გაუხსნელი ფსევდონიმი. ამ ფსევდონიმით გ. ერისთავის „ცისკარში“ (1852, №7) გამოქვეყნდა სახუმარო ამბავი „მედიატორთ ძიება“ –

აარონი – იხ. არონი

აბაშელი ალექსანდრე (ნამდვილი გვარი – **ჩოჩია**) (1884-1954) – მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო და
პოლიტიკური მოღვაწე, „აკადემიური მწერლობის კავშირის წევრი“, მისი რედაქციით გამოიცა ი. ჭავჭავაძისა (პ. ინგოროყვასთან ერთად) და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა კრებულები –

აბაშიძე გიორგი – ლიტერატურათმცოდნე, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი –

აბაშიძე ი. – ფილიპე გოგიჩაიშვილის თხზულებათა (წერილები. მოგონებები. თბ.: 1993) შემდგენელი –

აბაშიძე კიტა (1870-1917) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, XIX ს. ლიტერატურული პროცესების მკვლევარი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

აბაშიძე სამსონ (1835-1894) – მწერალი, პუბლიცისტი, „თერგდალეულთა“ სკოლის თვალსაჩინო წევრი. მონაწილეობდა „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლაში (იცავდა „შვილების“ შეხედულებებს). სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს აქვეყნებდა ქართულ პრესაში („ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „მწყემსი“; ფსევდონიმები: „თერგდალეული“, „ჯვარელი“, „ზემო იმერელი“). დაკრძალულია კაცხის მონასტერში –

აბაშიძეები – თავადური საგვარეულო იმერეთში, ქართლსა და კახეთში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ იმერეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში –

აბზიანიძე გიორგი (1907-1976) – ლიტერატურათმცოდნე, ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას. მისი რედაქციით გამოიცა „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (ნაკვ. I. 1940; ნაკვ. II. 1941) –

აბრამიშვილი (Абрамишвили) ანდრია (1910-1983) – ფილოლოგი, ბიბლიოგრაფი, პედაგოგი, ლენინგრადის (ამჟამად პეტერბურგის) მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბჭოთა ხალხების ენებზე არსებული ლიტერატურის განყოფილების გამგე, იკვლევდა როგორც ბიბლიოთეკაში თავმოყრილ ქართულ მასალას, ისე ლენინგრადში არსებულ სხვა ქართულ სიძველეებსაც. 1975 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოში –

აბხაზი ალექსანდრე (კოხტა) (1838-1913) – კახელი (კარდანახელი) მემამულე, ი. ჭავჭავაძის სიყრმის მეგობარი (თბილისის გიმნაზიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტში ერთად სწავლობდნენ), ილიაზე დიდად საინტერესო მოგონების ავტორი –

აბხაზი გიგო – ი. ჭავჭავაძის დის, ნინო ჭავჭავაძე-აბხაზის, შვილი; ილიამ უძღვნა ლექსი „გ. აბხ[აზს]“ –

აბხაზი ივანე (1784-1831) – გენერალ-მაიორი, ყარაბახის, ნუხისა და შირვანის მმართველი (1829-1830), ვლადიკავკაზის კომენდანტი (1831). 1831 წელს გრიგოლ ორბელიანთან საუბარში გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ მაჰმადიანური მტრებით გარშემორტყმული საქართველოს ყოფნა რუსეთის შემადგენლობაში აუცილებელია ფიზიკური გადარჩენისა და ძალთა მოკრებისათვის. მისი შეხედულებით, არსებული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში საქართველო უნდა გაერთიანდეს ტერიტორიულად, მოღონიერდეს და მხოლოდ შემდეგ სცადოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა. გენერალ-ფელდმარშალმა ივანე პასკევიჩმა გაიწვია აჯანყებული პოლონეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ 1831 წლის 31 აგვისტოს გზაში (ქ. ბრესტ-ლიტოვსკში) გარდაიცვალა ქოლერისაგან; რომ ეცოცხლა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები მისთვის სამხედრო მინისტრის პოსტის შეთავაზებას აპირებდნენ –

აბხაზი ნინო (1834-1883) – უფროსი და ილია ჭავჭავაძისა, კარდანახელი თავადის, ნიკოლოზ აბხაზის, მეუღლე. ნინო და ნიკოლოზ აბხაზების შვილი იყო ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის უკანასკნელი წინამძღოლი (1913-1918), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი

(1916-1917), დემოკრატიული საქართველოს პირველი პარლამენტის წევრი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი კონსტანტინე (კოტე) აბხაზი (დაბ. 1867), რომელიც 1923 წელს საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დახვრიტა –

აგლაძე (აღლაძე) ილია (1872-1948) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „დროებისა“ (1908-1910) და მისი სურათებიანი დამატების რედაქტორ-გამომცემელი, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „ლიტერატურული საქართველო“, „ლიტერატურა და ხელოვნება“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, თარგმანებს (ა. პუშკინი, ლ. ტოლსტოი, ა. ჩეხოვი, გ. ბრანდესი და სხვ; ფსევდ. **ი. ა-ძე**). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში [იქვეა დაკრძლულია მისი მეუღლეც – მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოლღა აგლაძე (1869-1952)] –

ადამი – ადამიანთა ბიბლიური მამამთავარი –

ავალიშვილი დავით (გარდ. 1897) – იურისტი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თანადირექტორი (1876-1897), ძმა ნიკო ავალიშვილისა, თვალსაჩინო მეცნიერის, დიპლომატისა და პოლიტიკური მოღვაწის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ზურაბ ავალიშვილის (1874/1876-1944), მამა –

ავალიშვილი ელისაბედ (1794-1863) – ასული პოეტ დიმიტრი ბაგრატიონისა და მისი ლექსების ადრესატი, მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის, გიორგი ავალიშვილის (1769-1850), მეუღლე –

ავალიშვილი იაკობ (გარდ. 1849) – სასულიერო პირი და მწიგნობარ-კალიგრაფი (გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“, „დიდმოურავიანი“, „ყარამანიანი“ და სხვ.), ნიკოლოზ (ნიკო) ავალიშვილის მამა –

ავალიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1844-1929) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. 1867-1868 წლებში იყო ერთ-ერთი წარმმართველი ივ. კერესელიძის „ცისკრის“ სარედაქციო-საორგანიზაციო საქმეებისა, ჟურნალ „მნათობის“ (1869-1872) რედაქტორი, „ქართული კალენდრის“ (1867) შემდგენელ-გამომცემელი, თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. ქართული თეატრის ისტორიაში. თარგმნა ევროპული ლიტერატურის არაერთი შედევრი, მათ შორის: სერვანტესის „დონ კიხოტი“, ფ. შილერის „ვილჰელმ ტელი“ და „ყაჩაღები“, ჰ. სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ?“ და სხვ. –

ავთანდილაშვილი (ავთანდილოვი) ზაალ (ზაქარია) (1813-დაახლ. 1868) – სახელმწიფო მოხელე, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი („**Действительный статский советник**“), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ქ. პერმში), „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ გაერთიანებული რედაქციის რედაქტორის, პლატონ იოსელიანის, მოადგილე (1845-1846), თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი კომიტეტის წევრი (1867) –

აზატ-ხანი (გარდ. დაახლ. 1762) – ავღანური წარმოშობის ირანელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე (ნადირ-შაჰის სარდალი). 1751 წელს დაარბია ერეკლე II-ის მოხარკე ერევნის სახანო, რის გამოც იმავე წელს ერეკლე II-მ სასტიკად დაამარცხა ერევნის მახლობლად (ყირხბულახში); 1760 წელს ერეკლე II-მ შეიპყრო ირანის ტახტზე პრეტენზიის მქონე აზატ-ხანი და გადასცა იგი ქერიმ-ხანს (გაგზავნა შირაზში, სადაც აზატ-ხანს თვალები დასთხარეს) –

ალანია ნოდარ (1924-1976) – ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს –

ალექსანდრა თეოდორეს ასული (1798-1860) – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეუღლე, პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ III-ის ქალიშვილი –

ალექსანდრე I (1777-1825) – რუსეთის იმპერატორი (1801-1825). 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით დაარღვია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები და ქართლ-კახეთში დაამყარა რუსეთის უშუალო მმართველობა –

ალექსანდრე II (1818-1881) – რუსეთის იმპერატორი (1855-1881). მნიშვნელოვანი რეფორმების (საგლეხო, სასამართლო, სამხედრო და სხვ.) ინიციატორი. 1881 წლის 1 მარტს შეეწირა რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაციის, „ნაროდნაია ვოლიას“, აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაგეგმილ ტერორისტულ თავდასხმას –

ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844) – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ძე. მრავალი წლის განმავლობაში დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოში რუსეთის ბატონობის აღმოფხვრისა და ბაგრატიონთა ტახტის აღდგენისათვის. ამ მიზნით ეძებდა მოკავშირეებს ევროპის ქვეყნებში, არ

ერიდებოდა ირანის, თურქეთის, ჩრდილოკავკასიელი ხალხების სამხედრო დახმარებას, თუმცა არ ყოფილა საქართველო-რუსეთის პოლიტიკური კავშირის წინააღმდეგი – მისთვის მისაღები იყო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, ოღონდ ვერ ეგუებოდა საქართველოში სახელმწიფოებრიობის მოსპობას და იბრძოდა იმისათვის, რომ ტრაქტატის პირობებისათვის რეალური ხასიათი და შინაარსი მიეცა. დამარცხებულმა სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა სპარსეთში, გარდაიცვალა თეირანში, უკიდურეს სიღარიბეში, დაკრძალეს თეირანშივე, სომხური ეკლესიის გალავანში –

ალექსი-მესხიშვილი დავით **– იხ. დავით რექტორი (**დავით ალექსი-მესხიშვილი**)**

ალექსი-მესხიშვილი ეფრემ (1793-1861) – სასულიერო პირი, პოეტი, მწიგნობარი, პედაგოგი (1816-1830 წლებში ქართულ ენასა და საღვთო სჯულს ასწავლიდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, ითვლებოდა კარგ მოქართულედ და, ამ მხრივ, დიდი ღვაწლი დასდო თავისი მოწაფეების, – მათ შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, – აღზრდას), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს), ჯერ გ. ერისთავის „ცისკრის“, ხოლო შემდეგ ივ. კერესელიძის „ცისკრის“ ცენზორი –

ალექსი-მესხიშვილი (ალექსიევ-მესხიევი, მესხიშვილი) ნიკოლოზ (ნიკო) (1840-1908) – პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო მოხელე (1870-იანი წლებიდან მაზრის უფროსი იყო ახალციხეში, თიანეთში, დუშეთში), ი. ჭავჭავაძის სტუდენტობისდროინდელი მეგობარი (რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ილიას „ქვათა ღაღადი“), გაზეთ „კვალის“ ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი (1903-1904; ფაქტობრივი რედაქტორი – ნოე ჟორდანია). თანამშრომლობდა ქართულ და კავკასიის რუსულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, თეატრალურ რეცენზიებს და სხვ.; გარდაიცვალა სოფ. ჭალაში (კასპთან). დაკრძალულია სამთავისის ტაძრის გალავანში –

ალექსი-მესხიშვილი (ალექსიევ-მესხიევი) სარდიონ (1814-1863) – კრიტიკოსი, მთარგმნელი, „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის მონაწილე (იცავდა „მამების“ პოზიციას), მის მიერ თარგმნილი ჟ. ფ. მარმონტელის „მეუდაბნოენი“ იქცა ნ. ბერძნიშვილის მკაცრი კრიტიკის საგნად. დაკრძალულია ახალი შუამთის (კახეთი) ეკლესიაში –

ამილახვარი ანასტასია – ივანე კერესელიძის ცოლი, სოფ. ჭალელი მემამულის, გიორგი ამილახვრის, ასული –

ამილახვარი გივი ანდუყაფარის ძე (1689-1754/1757) – პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, საამილახვროს გამგებელი და ზემო ქართლის სადროშოს სარდალი. იბრძოდა ხან თურქთა და ირანელთა მხარდამხარ, ხანაც – მათ წინააღმდეგ. მონაწილეობდა ნადირ-შაჰის ლაშქრობაში ავღანეთის დასამორჩილებლად. არაერთხელ იყო ტყვეობაში, თუმცა სიცოცხლის ბოლო წლები საქართველოში გაატარა და თავი გამოიჩინა ციხესიმაგრეებისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენით –

ამილახვარი გივი ბარძიმის ძე (დაბ. 1811) – ქართველი თავადი, გენერალ-ადიუტანტის, კავალერიის გენერლისა და ქველმოქმედის, ივანე ამილახვრის (1829-1905), მამა. 1844 წელს გივი ამილახვარი ხელს აწერს გაზეთ „სინათლის“ პროგრამას („გამოცხადებას“) –

ანასტასია – იხ. **ბაგრატიონი** ანასტასია

ანდრონიკაშვილი იასე (1814-1892) – სასამართლოს მოხელე. მონაწილეობდა თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა მიერ ხელნაწერი ჟურნალის **„Цветок Тифлисской гимназий“** („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“) გამოცემაში (აქვეა შესული მისი რამდენიმე მცირე ზომის პროზაული ტექსტი), „ქშწკ-გ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი –

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ივანე (იოანე) (1798-1868) – სოლომონ II-ის დისწული, კავალერიის გენერალი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს. თბილისის სამხედრო გუბერნატორი (1849-1856). მის სამხედრო კარიერაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოსმალთა წინააღმდეგ ჩატარებული ბრწყინვალე ოპერაცია ახალციხესთან 1853 წლის 14 ნოემბერს –

ანდრონიკაშვილი რევაზ (1818-1877) – გენერალ-ლეიტენანტი (სამხედრო განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული), ნ. ბარათაშვილის სიყრმის მეგობარი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1870-1877 წლებში. 1871 წ. თავადაზნაურობის

სახელით იმპერატორ ალექსანდრე II-ს წარუდგინა ადრესი თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნის თხოვნით, რასაც მოჰყვა ი. ჭავჭავაძის „გამოცანები“ და აქედან ერთი „გამოცანა“ თვითონ რ. ანდრონიკაშვილსაც „ერგო“ („ულვაშ-სრული, მელოტია, უთაური თავიანი...“). დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში –

ანტონ I (ერისკაცობაში – **თეიმურაზ ბაგრატიონი**) (1720-1788) – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1744-1755 და 1764-1788 წლებში, საეკლესიო ცხოვრების რეფორმატორი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი (ევროპული ორიენტაციის მიმდევარი), მწერალი, მეცნიერი, თვალსაჩინო ფიგურა ქართული კულტურის ისტორიაში. მის სახელს უკავშირდება ქართულ მწერლობაში ე. წ. „სამი სტილის თეორიის“ დამკვიდრება, რამაც შეაფერხა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის განვითარება და მისი დაძლევა მხოლოდ 1860-იან წლებში შეძლეს „თერგდალეულებმა“ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში –

ანტონ II (ერისკაცობაში – **თეიმურაზ ბაგრატიონი)** (1764-1827) – ერკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ძე, საქართველოს უკანასკნელი კათოლიკოს-პატრიარქი (1788-1811), რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური კავშირის მომხრე. 1810 წ. გაიწვიეს რუსეთში, სადაც იყო წმ. სინოდის წევრი. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ნიჟნი-ნოვგოროდში, იქვე გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული –

ანტონოვი ზურაბ (1820-1854) – დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე, ქართული თეატრის მსახიობთა დასის დირექტორი, გიორგი ერისთავის ლიტერატურული და თეატრალური პრინციპების მიმდევარი, მნიშვნელოვანი ფიგურა XIX საუკუნის ქართული დრამატურგიის ისტორიაში (პირველმა აქცია ქალაქის ქუჩები მხატვრული ასახვის ობიექტად). განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მისი კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“ –

არდაზიანი ლავრენტი (1815-1870) – მწერალი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი (დიდი ამაგი დასდო ივ. კერესელიძის „ცისკარს“), ავტორი რომანისა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ (პირველად გამოქვეყნდა „ცისკარში“ – 1861, №№1, 2). მხარს უჭერდა ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციას (ფსევდონიმები: „ალექსი ელბაკიძე“, „ბიძია თონიკე“) –

არაგვისპირელი შიო (ნამდვილი გვარი – **დედაბრიშვილი**; 1867-1926) – მწერალი, ახალგაზრდობაში აქტიური წევრი იყო „საქართველოს განთავისუფლების ლიგისა“, რის გამოც დაპატიმრებული იყო. ქართულ მწერლობაში ფსიქოლოგიური ნოველის დამამკვიდრებელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

არზანოვი დავით – დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, 1850-იან წწ. მსახურობდა კავკასიის სასწავლო ოლქის საცენზურო კომიტეტში ცენზორად, თავის ძმასთან, ი. არზანოვთან, ერთად 1830-იან წწ. თბილისში სურდა ქართულ ენაზე გამოეცა ჟურნალი „აღმოსავლეთის ფუტკარი“, მაგრამ ხელისუფლების ნებართვა ვერ მოიპოვა –

არზანოვი იაკობ – დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი, თავის ძმასთან, დ. არზანოვთან, ერთად 1837 წელს თბილისში დააარსა კერძო სტამბა, სადაც უნდა დაბეჭდილიყო მათ მიერვე გამოსაცემად განზრახული ქართული ჟურნალი „აღმოსავლეთის ფუტკარი“, თუმცა ხელისუფლებამ ჩაშალა არზანოვების ეს ინიციატივა –

არონი – ბიბლიური უზენაესი ქურუმი, მოსეს (ებრაელთა სჯულმდებლისა და წინასწარმეტყველის) უფროსი ძმა –

არღუთაშვილ-მხარგრძელი ნიკოლოზ – ლიტერატორი. ივ. კერესელიძის „ცისკარში“ (1865, №1) გამოქვეყნდა მისი წერილი „ვილიამ შექსპირი“ –

არღუთინსკი-დოლგორუკოვი ლუარსაბ – სოლომონ დოდაშვილის მოწაფე თბილისის გიმნაზიაში. გაზეთში „ტფილისის უწყებანი“ (1829, №3) დაიბეჭდა მისი თხზულება „რაიმე რუსთაველისათვის“ (ფსევდონიმით **„ლ. ა.-დ“**) – ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პირველი წერილი რუსთველის შესახებ –

ასათიანი ლადო (1917-1943) –პოეტი. ამჟამად მისი სახელობისაა ქუჩა, რომელზეც ერთხანს ი. ჭავჭავაძის „ივერიის“ რედაქცია მდებარეობდა (სადოვაიას ქუჩა, შადინოვის სახლი) –

ასათიანი ლევან (1900-1955) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. სალიტერატურო პროცესებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

აღა-მაჰმად-ხანი (1742-1797) – ირანის გამგებელი (1794-1796), შაჰი (1796-1797), დამაარსებელი ყაჯართა დინასტიისა. 1795 წ. ილაშქრა საქართველოზე, აიღო თბილისი, დაარბია და მიწასთან გაასწორა იგი –

ახვერდოვი ალექსანდრე – შესაძლებელია, ეს იყოს პოლკოვნიკი **ალექსანდრე ისაიას ძე ახვერდოვი** (დაბ. 1762), 1794 წელს პეტერბურგს გამგზავრებული გარსევან ჭავჭავაძის თანმხლები პირი, ყიზლარის კომენდანტი (1801). გ. ერისთავმა გამოაქვეყნა ალ. ახვერდოვის კლასიცისტური ხასიათის ლექსი „პეტრე ბაგრატიონისათვის სიტყვა“ („ცისკარი“, 1852, №3), რომელშიც მოცემულია გენერალ პეტრე ბაგრატიონის აპოლოგია და გლოვა მისი სიკვდილის გამო –

ახნაზაროვი არტემ (1866-1942) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ი. ჭავჭავაძის თანამოაზრე და ახლო თანამშრომელი „ივერიაში“. ქართულ პრესაში („ივერია“, „ნობათი“, „თეატრი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.) აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს (პოეზია, პროზა, დრამატურგია), თარგმანებს (მოპასანი, ზუდერმანი, პუშკინი, ლერმონტოვი, ჯერომ ჯერომი და სხვ.; ძირითადი ფსევდონიმი „ჩიორა“, აგრეთვე: „ალფა“, „დუშიკო“, „მანოელიძე“, „ორ-ანი“ და სხვ.). დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე –

ბ. ვ. – ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი –

ბაბეფი გრაკხ (1760-1797) – ფრანგი რევოლუციონერი, ჟურნალისტი, უტოპიური კომუნიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი (მხარს უჭერდა კომუნისტური იდეების განხორციელებას აჯანყებების გზით). სიცოცხლე გილიოტინაზე დაასრულა –

ბაგრატ IV (1018/1020-1072) – გიორგი I-ის ძე, საქართველოს მეფე 1027-1072 წლებში. მიუხედავად ბიზანტიასთან დაპირისპირებისა, მოახერხა ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ფეოდალური შინააშლილობების დათრგუნვა, ამასთანავე, მოამზადა ნიადაგი ერთიან სამეფოში თბილისისა და კახეთ-ჰერეთის დასაბრუნებლად. საგანგებო ყურადღებას აქცევდა განათლების გავრცელებასა და ეროვნული კულტურის განვითარებას. მისივე ანდერძის თანახმად, დაკრძალეს ჭყონდიდში –

ბაგრატ V *დიდი* (გარდ. 1393) – საქართველოს გამოჩენილი მეფე (1360-1393) და სარდალი (საისტორიო წყაროებში „დიდის“ სახელით იხსენიება). 1386 წელს დაატყვევა საქართველოში შემოჭრილმა თემურლენგმა. ბაგრატ V-მ დიდი ხნის წინააღმდეგობის შემდეგ მიიღო მაჰმადიანობა, რათა ამ გზით თავი დაეღწია ტყვეობისათვის და მტრის წინააღმდეგ ბრძოლას ჩასდგომოდა სათავეში, მაგრამ სიკვდილმა არ აცალა ამ განზრახვის პრაქტიკული ხორცშესხმა –

ბაგრატ ბატონიშვილი (1776-1841) – გიორგი XII-ის ძე. 1803 წელს გადაასახლეს პეტერბურგში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა (დაკრძალულია პეტერბურგშივე, ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში), ავტორი საისტორიო თხზულებისა „ახალი მოთხრობა“, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია XVIII ს. შუა წლებიდან XIX ს. 40-იან წლებამდე (თხზულებაში დაუფარავადაა გამოვლენილი ნეგატიური დამოკიდებულება რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მიმართ). დიმიტრი ბაგრატიონის ლექსის „ბაგრატ ბატონის შვილის ქალის დაბადებაზედ თქმული“ („ცისკარი“, 1853, №1) ადრესატია ბარბარე ბაგრატის ას. გრუზინსკაია-ორბელიანი (გარდ. 1870) –

ბაგრატიონი ალექსანდრე – იხ. **ალექსანდრე ბატონიშვილი**

ბაგრატიონი ანასტასია (გარდ. 1857) – პოეტ დიმიტრი ბაგრატიონის ასული და მისი ლექსების ადრესატი –

ბაგრატიონი ბაგრატ – იხ. **ბაგრატ ბატონიშვილი**

ბაგრატიონი დავით – იხ. **დავით ბატონიშვილი**

ბაგრატიონი დიმიტრი (1746-1826) – ქართლის მეფე იესეს (ალიყული-ხანი; დაახლ. 1680-1727) შვილიშვილი, მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი), ფოლკლორისტი, ბიბლიოფილი. მონაწილეობდა შეთქმულებაში ერეკლე II-ის წინააღმდეგ, რის გამოც საქართველოდან გააძევეს. დამკვიდრდა მოსკოვში, სადაც სამხედრო სამსახურში შევიდა (დაკრძალეს მოსკოვშივე, ვსესვიატსკოეს სასაფლაოზე). შემოქმედებითი პრინციპებით დაკავშირებულია ე. წ.

„აღორძინების ხანის“ ქართულ მწერლობასთან. მისი თხზულებები შესულია ავტორის მიერვე შედგენილ კრებულში „დიმიტრიანი“ –

ბაგრატიონი ვახუშტი – იხ. **ვახუშტი ბატონიშვილი**

ბაგრატიონი თეიმურაზ – იხ. **თეიმურაზ ბატონიშვილი**

ბაგრატიონი თეკლე (თეკლა) – იხ. **თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი**

ბაგრატიონი იოანე – იხ. **იოანე ბატონიშვილი**

ბაგრატიონი ოქროპირ – იხ. **ოქროპირ ბატონიშვილი**

ბაგრატიონი პეტრე (1765-1812) – ინფანტერიის გენერალი, რუსეთის ისტორიაში ცნობილი ბოროდინოს ბრძოლის (1812) გმირი (ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და მალევე გარდაიცვალა. დაკრძალეს ვლადიმირის გუბერნიის სოფ. სიმში, საიდანაც 1839 წელს მისი ყოფილი ადიუტანტის, მწერლისა და უმამაცესი მეომრის, გენერალ დენის დავიდოვის, მონდომებით ბოროდინოს ველზე გადაასვენეს) –

ბაგრატიონი რომან (რევაზ) (1778-1834) – გენერალ-მაიორი. იბრძოდა რუსეთის სამამულო ომში ნაპოლეონის წინააღმდეგ. რუსეთის ისტორიაში ცნობილი გენერლისა და ბოროდინოს გმირის, პეტრე ბაგრატიონის, ძმა. 1820-იან წლებში დასახლდა თბილისში, სადაც ჰქონდა სალონი (აქ ეწყობოდა ლიტერატურული და თეატრალური ღონისძიებები). დაკრძალულია თბილისშივე, მთაწმინდაზე (საფლავი ამჟამად დაკარგულია) –

ბაგრატიონი ფარნავაზ – იხ. **ფარნაოზ (ფარნავაზ) ბატონიშვილი**

ბაგრატოვანი პეტრე – იხ. **ბაგრატიონი პეტრე**

ბაირონი ჯორჯ გორდონ (1788-1824) – ინგლისელი პოეტი. ღირებულებითი კონფრონტაცია ჰქონდა ლონდონის არისტოკრატიასთან, რის გამოც დატოვა სამშობლო. მონაწილეობდა ჯერ იტალიელი ხალხის ბრძოლაში ავსტრიელთა ბატონობის წინააღმდეგ, შემდეგ – ბერძენთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში თურქების უღლის მოსაშორებლად, თუმცა საბერძნეთში ჩასვლიდან მოკლე ხანში ციებისაგან გარდაიცვალა (მისოლუნგში). ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ბაირონის პირველი ნაწარმოებია „ებრაული მელოდია“ [„სტიროდეთ“] („ცისკარი“, 1859, №9; მთარგმნელი ი. ჭავჭავაძე) –

ბალახაშვილი იაკობ (1910-1982) – ფილოლოგი. ძირითადად იკვლევდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

ბარათაშვილი (ბარათოვი) ბარამ – ფარნავაზ და ალექსანდრე ბატონიშვილების თანამებრძოლი, პოეტი. გ. ერისთავის „ცისკარში“ (1852, №9) გამოქვეყნდა მისი ლექსი „შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული...“ (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია მისი სხვა თხზულებებიც) –

ბარათაშვილი (ბარათოვი) გიორგი – მწერალი (მთარგმნელი, კრიტიკოსი), „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის მონაწილე (იცავდა „მამების“ პოზიციებს). რუსულ ენაზე გამოქვეყნებული აქვს წერილი „ქართული მწერლობის ძეგლები“ (Памятники письменности Грузии, „Кавказ“, 1849, №26), რომელშიც ზოგადად და ფრაგმენტულად მიმოხილულია ქართული ლიტერატურის ისტორია –

ბარათაშვილი ეკატერინე – იხ. **ორბელიანი** ეკატერინე

ბარათაშვილი ნიკოლოზ (1817-1845) – პოეტი-რომანტიკოსი, წევრი თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა იმ ჯგუფისა, რომელიც 1835-1836 წლებში უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს „Цветок Тифлисской гимназий“ („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი. მისი ნაწარმოებები პრესაში პირველად გამოაქვეყნა გიორგი ერისთავმა („ცისკარი“, 1852, №4). გარდაიცვალა განჯაში, საიდანაც 1893 წელს ჩამოასვენეს სამშობლოში და დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის გალავანში. 1938 წელს გადაასვენეს მთაწმინდის პანთეონში –

ბარათაშვილი სულხან (1821-1866) – ისტორიკოსი, სამხედრო პირი (დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის კადეტთა კორპუსი). დაახლოებული იყო მარი ბროსესთან. 1865-1871 წწ. პეტერბურგში რუსულ ენაზე ხუთ წიგნად გამოსცა „საქართველოს ისტორია“. გარდაიცვალა სოხუმში. იქვეა დაკრძალული –

ბარამიძე (Барамидзе) არჩილ (1925-1996) – ისტორიკოსი. ძირითადად იკვლევდა XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიასა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

ბარიატინსკი ალექსანდრე (1815-1879) – კავკასიის მეფისნაცვალი და მთავარსარდალი (1856-1862), იმპერატორ ალექსანდრე მეორესთან დაახლოებული პირი. 1859 წლის 25 აგვისტოს დაატყვევა შამილი, რისთვისაც მიიღო გენერალ-ფელდმარშლობა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდო – ანდრია პირველწოდებულის ორდენი. 1862 წელს მძიმე ავადმყოფობის გამო გადადგა კავკასიის მეფისნაცვლობიდან. გარდაიცვალა ჟენევაში, საიდანაც ჩამოასვენეს სამშობლოში და დაკრძალეს საგვარეულო სამარხში, კურსკის გუბერნიის სოფელ ივანოვსკოეში. იქვეა დაკრძალული მისი მეუღლეც – ელისაბედ (ლიზიკო) დიმიტრის ას. ორბელიანი-ბარიატინსკაია (1836-1899; ელისაბედი იყო ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების ძმისწული) –

ბარნოვი (ნამდვილი გვარი – **ბარნაველი**) ვასილ (1856-1934) – მწერალი, ჟურნალისტი, ფოლკლორისტი, პედაგოგი. მიღებული ჰქონდა სასულიერო განათლება (თბილისის სასულიერო სემინარია, მოსკოვის სასულიერო აკადემია). თანამშრომლობდა XIX-XX სს. ქართულ პრესაში („დროება“, „მწყემსი“, „კვალი“, „ჯეჯილი“ და სხვ.). მის შემოქმედებაში საგანგებო ადგილი უჭირავს ისტორიულ თემატიკას. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

ბარტდინსკი იპოლიტ – პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ მონაკვეთის მთარგმნელი რუსულ ენაზე. 1842 წელს სურდა ქართულენოვანი ჟურნალის დაარსება სახელწოდებით „ივერიის ტელეგრაფი“, თუმცა ეს განზრახვა პრაქტიკულად ვერ განახორციელა –

ბარტენევი (?) –

ბასტია ფრედერიკ (1801-1850) – ფრანგი ეკონომისტი-ლიბერალი, კანონმდებელი და ჟურნალისტი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. საზოგადოებრივი ჰარმონიის საფუძვლად თავისუფალ მეწარმეობას მიიჩნევდა –

ბაქარ ქართლელი – დიმიტრი ყიფიანის ფსევდონიმი –

ბაქრაძე აკაკი (1928-1999) – ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურული, თეატრალური და კინო კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ბაქრაძე გიორგი (1887-1960) – ბიბლიოთეკათმცოდნე, ბიბლიოგრაფი. დიდი ღვაწლი დასდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახელობისა) სამეცნიერო ბიბლიოთეკის ჩამოყალიბებასა და ფონდების შევსებას. შეადგინა და გამოსცა „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945) –

ბაქრაძე დიმიტრი (1826-1890) – ისტორიკოსი, თბილისის საეკლესიო მუზეუმის დაარსების ინიციატორი (1889), პეტერბურგის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. თანამშრომლობდა როგორც ქართულ („ცისკარი“, „დროება“, „ივერია“...), ისე რუსულ („Кавказ“) პრესაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ბაქრაძე იოსებ (1850-1904) – მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური მოღვაწე. თარგმნა ჯ. ბაირონის, ფ. შილერის, უ. სკოტის, კ. გუცკოვისა და სხვ. ნაწარმოებები, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „მნათობი“, „კვალი“ და სხვ.), აქვეყნებდა ორიგინალურ ლექსებს, თარგმანებს, პუბლიცისტურ წერილებს (ფსევდ.: „ი. ელაქიძე“, „ი. ოქრიაშვილი“, „გ. თენაძე“, „გ. ციმაკურიძე“...). დაკრძალულია თბილისში, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე –

ბაჩანა (ნამდვილი სახელი და გვარი – **ნიკოლოზ რაზიკაშვილი**) (1866-1928) – პოეტი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, ვაჟა-ფშაველას ძმა. თანამედროვეთა შორის პოპულარული იყო მისი პატრიოტული ხასიათის ლექსები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ბახტაძე ილია (1859-1900) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა როგორც ქართულ („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „მოამბე“ და სხვ.), ისე რუსულ („სტრანა“, „კავკაზ“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ.). პრესაში. თარგმნა მ. სალტიკოვ-შჩედრინის, ა. დოდეს, ე. ზოლას და სხვ. მხატვრული ნაწარმოებები. წერდა „ხონელის“ ფსევდონიმით. დაკრძალულია ხონის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში –

ბებუთოვი – სამხედრო პირი (1820-იანი წწ. ბოლოს პოდპოლკოვნიკია), „ტიფლისსკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტის“ წევრი –

ბებუთოვი (ბებუთაშვილი) მიხეილ – თეატრალური მოღვაწე, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ პირველი გამგეობის წევრი, ქართული პროფესიული თეატრის რეჟისორი 1881 წლიდან, თეატრალურ რეცენზიებს აქვეყნებდა „დროებაში“ (ფსევდ. „ემბე“) –

ბეგთაბეგოვი დარია – გორელი სულხან ბეგთაბეგოვის ასული. თანამედროვეთა შორის განთქმული იყო ცეკვისა და სიმღერის ნიჭით. ადრესატი გ. ერისთავის ლექსისა „კნიაჟნა დარია ბეგთაბეგოვისას ლეკურის თამაშობაში“ („ცისკარი“, 1852, №2; ავტოგრაფის მიხედვით, ლექსი დაწერილია 1849 წლის 17 სექტემბერს, გორში) –

ბელლინი ვინჩენცო (1801-1835) – იტალიელი კომპოზიტორი, ავტორი ოპერისა „ნორმა“ –

ბელინსკი ბესარიონ (1811-1848) – რუსი კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი... თვალსაჩინო ფიგურა რუსული კულტურის ისტორიაში –

ბენდიანიშვილი ალექსანდრე (1926-2010) – ისტორიკოსი. ძირითადად იკვლევდა XIX-XX სს. საქართველოს ისტორიის საკითხებს –

ბერანჟე პიერ (1780-1857) – ფრანგი პოეტი, პოლიტიკური სატირის ოსტატი. XIX საუკუნის ქართულ პრესაში ბერანჟეს არაერთი ლექსის თარგმანი დაიბეჭდა (მთარგმნელები: გ. ერისთავი, რაფ. ერისთავი, ა. ფურცელაძე, ა. წერეთელი და სხვ.), 1898 წელს კი გამოიცა მისი ლექსების კრებული (მთარგმნელი გიორგი გვაზავა) –

ბერიევი (ბერიშვილი) დიმიტრი – პოეტი, სახელმწიფო მოხელე. ლექსებს ძირითადად ივ. კერესელიძის „ცისკარში“ აქვეყნებდა. ა. წერეთელმა უძღვნა ლექსი „ნინო“ –

ბერიძე ივანე (1833-1890) – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი), სხვადასხვა წლებში – სასამართლოს მოხელე, მომრიგებელი შუამავალი. ქართულ პრესაში (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“) გამოქვეყნებული აქვს ლექსები და ორი მოთხრობა („ხანიზდექ“, „უცნაური ნიშნობა ტფილისის საიდუმლოებისაგან“) –

ბერნარი – ფრანგი ავტორი, რომლის თხზულების „სიძე ამისთანა უნდა“ ქართული თარგმანი დაიბეჭდა გ. ერისთავის „ცისკარში“ (1852, №9) –

ბერჟე ადოლფ (1828-1886) – ფრანგული წარმოშობის რუსი კავკასიოლოგი. 1864 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თავმჯდომარეობა „კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიას“. მისი რედაქტორობით გამოიცა „არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ (Акты, собранные Кавказской археографической комиссиею, т. 1-12. Тфл.: 1866-1904) პირველი 10 ტომი –

ბერძენიშვილი ლეილა – ისტორიკოსი, XIX საუკუნის სოციალური პროცესებისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი –

ბერძენიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1894-1965) – ისტორიკოსი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1951-1957), ძირითადად იკვლევდა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიას. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

ბერძნიშვილი გიორგი – სასულიერო პირი (ჯერ დეკანოზი იყო დუშეთში, მოგვიანებით – გრიგოლ ხირსის არქიმანდრიტი), ნიკოლოზ ბერძნიშვილის მამა –

ბერძნიშვილი მაქსიმე (1889-1967) – ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი). მისი თაოსნობით დაარსდა პერიოდული ბიბლიოგრაფიული გამოცემები: „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, „წიგნის მატიანე“, „გაზეთის მატიანე“. იკვლევდა საქართველოს როგორც ძველ, ისე ახალ ისტორიას. დიდი ამაგი დასდო XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის კვლევას. ავტორი მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“ (I. 1980; II. 1983) –

ბერძნიშვილი (Берзенов) ნიკოლოზ (1829-1874) – ჟურნალისტი, ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, არქეოგრაფი (კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მუდმივი წევრი და ამ კომისიის მიერ გამოცემული „აქტების“ რედაქტორის, ადოლფ ბერჟეს, ფაქტობრივი მოადგილე), კრიტიკოსი, რომელმაც ივ. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალის განხილვა-ანალიზით ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული სალიტერატურო კრიტიკის ჩამოყალიბებას. მანვე პირველად ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში იმსჯელა ჟურნალისტიკის რაობასა და დანიშნულებაზე. გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი (1856-1857) –

ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) (1750-1791) – პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე, ქართულ პოეზიაში ახალი საზომის, ბესიკურის, დამამკვიდრებელი. ერეკლე მეორესთან დაპირისპირების გამო გაძევებულ იქნა ქართლიდან. იმერეთის მეფე სოლომონ II-ის დავალებით დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა რუმინეთის ქალაქ იასში, სადაც გარდაიცვალა, იქვეა დაკრძალული.

ქართულ პრესაში ბესიკის ლექსი პირველად გამოაქვეყნა ივ. კერესელიძემ (თეჯლისი „ხმა სირინოზს“, „ცისკარი“, 1857, №11) –

ბესტუჟევ-მარლინსკი (მარლინსკი) ალექსანდრე (1797-1837) – რუსი მწერალი (**მარლინსკი** ფსევდონიმია). დეკაბრისტთა გამოსვლაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც 1829 წელს კავკასიაში გადმოიყვანეს რიგით ჯარისკაცად (ხანგამოშვებით მსახურობდა საქართველოშიც: თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში...), მონაწილეობდა „კავკასიის ომებში“. დაიღუპა 1837 წლის 7 ივნისს, ადლერის კონცხის აღებისას (ლეგენდის მიხედვით, მწერალი ამ ბრძოლაში კი არ დაიღუპა, არამედ მთიელების მხარეს გადავიდა და შემდეგ იბრძოდა კიდევაც რუსების წინააღმდეგ). მის შემოქმედებაში ასახულია როგორც ზოგადად კავკასიური, ისე ქართული თემატიკაც („ამალათ-ბეგი“, „მოლა-ნური“, „გზა ქალაქ ყუბამდე“ და სხვ.; აგრეთვე, დაუმთავრებელი რომანი „ვლადიმოვი“) –

ბლანი ლუი – (1811-1882) – ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტი), ისტორიკოსი, ჟურნალისტი, ავტორი თორმეტტომიანი შრომისა – „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“. აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციაში (იყო დროებითი მთავრობის წევრი). 1872 წელს პარიზში მას შეხვდა ნიკო ნიკოლაძე და მათ შორის პოლიტიკურ საკითხებზე გაიმართა ხანგრძლივი პოლემიკა, რომლის შინაარსიც შემდეგ ნ. ნიკოლაძემ ჟურნალ „კრებულში“ (1873, №4) გამოაქვეყნა –

ბობილიოვი ფედოტ (ფადეი) (1819-1866 წ. შემდეგ) – რუსი პოეტი, ჟურნალისტი, ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკოსი, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი (1857-1863; დაითხოვეს ფინანსური დარღვევებისათვის), ლიტერატურულ ალმანახ „ფეშქეშის“ გამომცემელი (თბ.: 1857; რუსულ ენაზე), ავტორი ლექსების ციკლისა „იმერული მელოდიები“ („Имеретинские мелодии“) –

ბოგომოლოვი (Богомолов) იგორ (1932-2003) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს –

ბოკაჩო ჯოვანი (1313-1375) – ადრერენესანსული ეპოქის იტალიელი მწერალი (პროზაიკოსი, პოეტი) და მეცნიერი. ავტორი „დეკამერონისა“, რომლის ანტიკლერიკალური ხასიათის გამო ავტორი იდევნებოდა კათოლიკური ეკლესიის მიერ. ქართულ პრესაში ბოკაჩოს ნაწარმოებებიდან პირველად გამოქვეყნდა „დეკამერონის“ ერთ-ერთი მონაკვეთი – „გრიზელდა“ („დროება“, 1881, №157; მთარგმნელი ნ. დევდარიანი) –

ბოლქვაძე თინათინ – მკვლევარი. ავტორი წიგნისა „ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“ (თბ.: 2010) –

ბოსტაშვილი (Босташвили) ნელი – ისტორიკოსი. ძირითადად იკვლევს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის (მათ შორის, ჟურნალისტიკის ისტორიის) საკითხებს –

ბოცვაძე იოსებ (1914-1981) – ფილოლოგი, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი. შეადგინა, წინასიტყვითა და შენიშვნებით გამოსცა ს. მესხის „თხზულებანი“ (I-III, თბ.: 1962-1964) –

ბოცვაძე ნუნუ (1939-1999) – პედაგოგი, XIX ს. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი –

ბრანიცკაია ელისაბედ – იხ. **ვორონცოვა** ელისაბედ

ბროსე (Броссе) მარი ფელისიტე (1802-1880) – ფრანგი ორიენტალისტი, ქართველოლოგი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1837 წლიდან), საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში. არსებობს სერიოზული საფუძველი, რომ მ. ბროსე 1832 წლის შეთქმულების კურსში იყო –

ბუაჩიძე (Буачидзе) გასტონ – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ცხოვრობს და სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საფრანგეთში –

ბუკრინსკი თედორე – პედაგოგი. მოსკოვში მიღებული ჰქონდა საუნივერსიტეტო ფილოლოგიური და იურიდიული განათლება. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებელი (1804 წლიდან) და დირექტორი (1810 წლიდან) –

ბურჯანაძე ქეთევან (1919-2005) – ლიტერატურათმცოდნე. იკვლევდა მხატვრული თარგმანის თეორიასა და XIX ს. ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ისტორიას –

გ. ჩ. – ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი –

გ. გორისელი – გიორგი წერეთლის ფსევდონიმი –

გ. ქართველი – დიმიტრი ჯანაშვილის ფსევდონიმი –

გ. წყალტუბელი – გიორგი იოსელიანის ფსევდონიმი –

გაბაშვილი ბესარიონ – იხ. **ბესიკი**

გაბაშვილი გიგო (1862-1936) – მხატვარი (განათლება მიღებული ჰქონდა პეტერბურგისა და მიუნხენის სამხატვრო აკადემიებში), თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი პროფესორი, საქართველოს სახალხო მხატვარი –

გაბაშვილი ეკატერინე (1851-1938) – მწერალი, პედაგოგი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, წევრი „ქართველ ქალთა ამხანაგობისა“, რომელმაც 1872 წელს გამოსცა „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“, ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ საპატიო წევრი (1914 წლიდან) –

გაბაშვილი ტიმოთე (გარდ. 1764) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, დიპლომატი, მხატვარი, ავტორი სამოგზაურო-მემუარული ხასიათის თხზულებისა „მიმოსვლა“ („მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“). გარდაიცვალა ასტრახანში. დაკრძალულია იქვე (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში) –

გაბედავა ვენერა – მკვლევარი. ავტორი ნაშრომისა „ა. ბესტუჟევის თარგმანები „ცისკრის“ ფურცლებზე“ –

გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი (1825-1896; ერისკაცობაში – გერასიმე **ქიქოძე**) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მქადაგებელი, მეცნიერი-ფსიქოლოგი, პედაგოგი, ქველმოქმედი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, იმერეთის ეპისკოპოსი 1860-1896 წწ. დაკრძალულია გელათში –

გაგოიძე ვახტანგ (1920-2003) – ფილოსოფოსი, ძირითადად მუშაობდა XIX ს. ქართული ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზრის ისტორიისა და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ფილოსოფიის საკითხებზე –

გაგოშიძე შოთა (1924-2003) – ჟურნალისტიკის ისტორიკოსი, ლიტერატორი, გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტისა“ (1948-1953) და „სტალინელის“ (ქუთაისი. 1953), აგრეთვე, ჟურნალების „აგიტატორისა“ (1956-1957) და „საქართველოს კომუნისტის“ (1966-1973) რედაქტორი. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ა. ახნაზაროვის ჟურნალისტურ, შ. დადიანის თეატრალურ და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, XIX ს. ქართული ხელნაწერი პრესისა და XX ს. 10-იანი წწ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაზე –

გავაცი ალესანდრო (ალექსანდრე) (1809-1889) – რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწე, იტალიაში ევანგელისტური ეკლესიის (1865 წლიდან – „თავისუფალი ქრისტიანული ეკლესია“) დამაარსებელი, იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის („რისორჯიმენტო“) ერთ-ერთი მეთაური, ჯ. გარიბალდის ერთგული და განუშორებელი თანამებრძოლი, სახელგანთქმული ორატორი –

გალავინი – იხ. **გოლოვინი** ევგენი

გამეზარდაშვილი დავით (1920-1985) – ლიტერატურათმცოდნე, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი. შეადგინა და გამოსცა ნ. ნიკოლაძის, კ. აბაშიძის, ვ. კოტეტიშვილისა და სხვ. თხზულებათა კრებულები. დამაარსებელი და რედაქტორი სამეცნიერო პერიოდული გამოცემისა „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (I–VIII, 1968-1981) –

გამრეკელი-თორელი გიორგი – პუბლიცისტი, კრიტიკოსი. თანამშრომლობდა ქარულ პრესაში („მნათობი“, „დროება“), სადაც ძირითადად აქვეყნებდა მიმდინარე საზოგადოებრივი და სალიტერატურო ცხოვრების მიმოხილვებს –

განძაკეცი კირაკოს (კირაკოზ) – იხ. **კირაკოს (კირაკოზ) განძაკეცი**

გარიბალდი ჯუზეპე (1807-1882) – ავსტრიის ბატონობისაგან იტალიის გათავისუფლებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მეთაური, იტალიის ეროვნული გმირი, მისი სახელი და ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა მთელს მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც. ცხოვრების ბოლო ათი წელი გაატარა ოჯახურ გარემოში, კუნძულ კაპრერაზე, სადაც საკუთარი მამული ჰქონდა. იქვე გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული –

გარსევანიშვილი ალექსანდრე (1831-1913) – მწერალი, ჟურნალისტი; თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („გუთნის-დედა“, ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „საქართველოს სასულიერო მახარებელი“ და სხვ.; აქვეყნებდა საისტორიო და სამეურნეო ხასიათის წერილებს). ქართულ სცენაზე იდგმებოდა მისი კომედია „ცოლები დავკარგეთ“. დაკრძალულია გორში –

გაჩეჩილაძე ამბერკი (1906-1985) – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ფოლკლორისტი. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

გაწერელია აკაკი (1910-1994) – ლიტერატურათმცოდნე, მწერალი. გამოირჩეოდა მეცნიერული ინტერესების მრავალმხრივობით. დიდი ამაგი დასდო XIX ს. ქართველ მწერალთა (ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი...) თხზულებების (მათ შორის, ეპისტოლური მემკვიდრეობის) შესწავლისა და გამოცემის საქმეს –

გერსამია სერგო (1892-1969) – თეატრმცოდნე, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთების „მაშხალა“ (1912), „ნემსი“ (1912), „ჩვენი ერი“ (1914) რედაქტორ-გამომცემელი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელი წევრი და პასუხისმგებელი მდივანი. გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი ქართული თეატრის ისტორიის საკითხებზე, აგრეთვე, პუბლიცისტური წერილები (ფსევდონიმები: „ახუთელი“, „გ-ა“, „ვინმე“, „კეთილი სანდალა“, „სერგო“, „ფენიქსი“...). შეადგინა (თუმცა გამოუცემელი დარჩა) წიგნი „ქართული თეატრის მოღვაწენი“ –

გერცენი ალექსანდრე (1812-1870) – რუსი მწერალი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი (ფსევდ. – „ისკანდერი“). მხარს უჭერდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებებს რევოლუციური გზით, რის გამოც ხანგრძლივად მოუწია ემიგრაციაში ცხოვრება (მონაწილეობდა საფრანგეთის 1848 წ. რევოლუციაში. გარდაიცვალა პარიზში). 1835-1836 წწ. გადასახალებული იყო ვიატკაში, სადაც ურთიერთობა ჰქონდა 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დასჯილ ს. დოდაშვილსა და ი. მამაცაშვილთან –

გვაზავა გიორგი (1869-1941) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, მეცნიერი, იურისტი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და პარლამენტარი. საქართველოს ბოლშევიზაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა პარიზში, სადაც ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ-მთარგმნელობით, სამეცნიერო და ჟურნალისტურ მოღვაწეობას (1926-1939 წწ. ფრანგულ ენაზე სცემდა ჟურნალ „პრომეთეს“). გარდაიცვალა პარიზში, იქვეა დაკრძალული –

გვარამაძე ივანე (1831-1912) – ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, მწერალი, პედაგოგი, ლექსიკოლოგი, მისიონერ-განმანათლებელი, საზოგადო და სასულიერო მოღვაწე (კათოლიკე მღვდელი; განათლება მიღებული ჰქონდა სტამბოლის, რომის, პარიზის სასულიერო-კათოლიკურ ცენტრებში), მესხეთში ეროვნული ინტერესების თავგამოდებული დამცველი, ქართული სიძველეების მკვლევარი, ეროვნული კულტურის ქომაგი და პოპულარიზატორი. ათეული წლების განმავლობაში თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „აკაკის კრებული“, „მწყემსი“, „სახალხო ფურცელი“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, მხატვრულ ნაწარმოებებს (პოეზია, პროზა), საისტორიო, საეთნოგრაფიო, არქეოლოგიურ, ფოლკლორულ და სხვ. წერილებსა თუ მასალებს (ფსევდ. „ვინმე მესხი“). ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ახალციხეში, იქვე გარდაიცვალა და იქვეა (რაბათში) დაკრძალული –

გიგინეიშვილი ივანე (1909-1982) – ენათმეცნიერი, „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის მკვლევარი. მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენაში, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ტ. I-VIII. თბ.: 1950-1964) მომზადებასა და სხვ.; „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ შემდგენელი (ვ. თოფურიასთან ერთად) –

გიორგი (წმ.) – გიორგი კაპადოკიელი, ქრისტიანი ხალხების წმინდანი. გადმოცემით, საქართველოში წმ. გიორგის სახელზე აგებული იყო 363 ტაძარი. ვეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგი გამოსახული იყო პირველი ქართული გაზეთის პირველ გვერდზე –

გიორგი XII (1746-1800) – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე. 1800 წელს რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს მიმართა „სათხოვართა პუნქტებით“, რომლითაც თმობდა გეორგიევსკის ტრაქტატით განსაზღვრულ დამოუკიდებლობას საშინაო ცხოვრებაში და ქვეყანას ფაქტობრივად რუსეთის

უშუალო გამგებლობაში გადასცემდა, ოღონდ იმ პირობით, რომ რუსეთი არ გააუქმებდა ქართლ-კახეთის არსებითად ფიქციად ქცეულ ტახტს და არ მოსპობდა მასზე გიორგი XII-ის პირდაპირ შთამომავალთა უფლებას (პავლე I-ის გარდაცვალების გამო „სათხოვართა პუნქტები“ ვერ გაფორმდა). დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში –

გიოტე იხ. – **გოეთე (გიოტე)** იოჰან ვოლფგანგ

გოგებაშვილი იაკობ (1840-1912) – მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი (მატერიალურად ეხმარებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მოსწავლე ახალგაზრდობას, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს და სხვ.) „ქშწ-კგ საზოგადოების“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (თავისი ქონება და საავტორო უფლებები „ქშწ-კგ საზოგადოებას“ უანდერძა), ავტორი „დედა ენისა“ და „ბუნების კარისა“, რომლებითაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართველთა არაერთი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

გოგიჩაიშვილი ფილიპე (1872-1950) – ეკონომისტი (განათლება ლაიფციგის უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე (ერთხანს იყო „ქშწ-კგ საზოგადოების“ გამგეობის წევრი), გაზეთ „ივერიის“ უკანასკნელი რედაქტორი (1905-1906), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და საქართველოში საუნივერსიტეტო ეკონომიკური განათლების ფუძემდებელი. დაკრძალულია უნივერსიტეტის ეზოში (პანთეონში) –

გოგოლი ნიკოლოზ (1809-1852) – უკრაინული წარმოშობის რუსი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი, პოეტი), პუბლიცისტი, კრიტიკოსი. 1836-1848 წწ. ძირითადად ცხოვრობდა საზღვარგარეთ (გერმანია, შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, იერუსალიმი...), საიდანაც ფიზიკურად დაუძლურებული და სულიერად შერყეული დაბრუნდა (სიკვდილის გარდაუვალობის შეგრძნებითა და მისგან გამოწვეული სასოწარკვეთით შეპყრობილმა დაწვა თავისი ცნობილი ნაწარმოების, „მკვდარი სულების“, მეორე ტომი). ნ. გოგოლის ნაწარმოებებიდან ქართულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა მოთხრობა „რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკოფორიჩთან“ („კრებული“, 1871, №№2-5; მთარგმნელი გ. ჩიქოვანი) –

გოეთე (გიოტე) იოჰან ვოლფგანგ (1749-1832) – გერმანელი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი), ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე –

გოზალიშვილი გიორგი (1900-1988) – ისტორიკოსი (ძირითადად იკვლევდა საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებს), ავტორი წიგნისა „1832 წლის შეთქმულება“ (ტ. I-III. თბ.: 1935-1976) –

გოზალიშვილი შალვა (1909-1993) – ფილოლოგი, ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

გოლოვინი ევგენი (1782-1858) – ინფანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალი (1837-1842). 1840-იან წწ. მისი სახელი ეწოდა თბილისის მთავარ ქუჩას, რომელიც 1918 წლიდან რუსთაველის სახელობისაა –

გომართელი ივანე (1875-1938) – მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, სახელგანთქმული ექიმი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „მესამე დასის“ წევრი (შემდგომში – მენშევიკი), საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და პარლამენტის წევრი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ჯეჯილი“, „მოამბე“, „კვალი“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მოგზაური“, „თეატრი და ცხოვრება“, „ახალი გზა“, „ცისარტყელა“, „მიწის მუშა“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს, სამეცნიერო-პოპულარული და მემუარული ხასიათის ტექსტებს და სხ.; 1920 წ. რედაქტორობდა ყოველკვირეულ გაზეთ „სოფლის მუშას“ (სულ გამოვიდა 15 ნომერი). დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე –

გორგ-ასლანი – იხ. ვახტანგ I გორგასალი

გორგილაძე ლეონიდე (1914-1989) – ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ძირითადად იკვლევდა საქართველოში მარქსიზმის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას –

გორდეევი გრიგოლ (1791-1838) – რუსი ისტორიკოსი, ჟურნალისტი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ თანამშრომელი –

გორისელი – იხ. **გ. გორისელი** –

გოცაძე მიხეილ (1919-1984) – ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა XIX ს. საქართველოს ისტორიას. ავტორი წიგნისა „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ (I. თბ.: 1954) –

გრიბოედოვა ნინო – იხ. **ჭავჭავაძე-გრიბოედოვა** ნინო

გრიბოედოვი ალექსანდრე (1795-1829) – რუსი მწერალი და დიპლომატი. 1822 წლიდან მსახურობდა თბილისში. 1828 წელს დანიშნეს ირანში რუსეთის ელჩად (მინისტრ-რეზიდენტად). 1829 წ. 30 იანვარს რუსეთის პოლიტიკით აღშფოთებულმა ბრბომ თეირანში რუსეთის საელჩოს თანამშრომლები ამოხოცა და გრიბოედოვიც ამას შეეწირა (თეირანში წასვლის წინ ამბობდა: „სპარსეთიდან ცოცხალი ვეღარ დავბრუნდები, მაგრამ ჩემს ძვლებს იქ ნუ დატოვებთ, საქართველოში დამმარხეთო“). ავტორი პიესისა „ვაი ჭკუისაგან“ (გ. ერისთავის თარგმანში – „უბედური ჭკუისაგან“), რომელიც თბილისში დაასრულა და პირველად თბილისშივე დაიდგა 1832 წლის 21 იანვარს –

გრიგოროვიჩი დიმიტრი (1822-1899) – რუსი მწერალი (პროზაიკოსი, მთარგმნელი), რომლის შემოქმედებაში წამყვანია სოციალური თემატიკა (რუსი გლეხობის ცხოვრება). ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პირველი მისი ნაწარმოებია მოთხრობა „დამტვრეული დედოფალა“ („ჯეჯილი“, 1898, №10; მთარგმნელი შ. ფრონელი) –

გრიშაშვილი იოსებ (1889-1965) – პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, ლექსიკოგრაფი, ბიბლიოფილი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

გუგუშვილი ლ. – ფილიპე გოგიჩაიშვილის თხზულებათა (წერილები. მოგონებები. თბ.: 1993) შემდგენელი –

გუგუშვილი პაატა (1905-1987) – მეცნიერი (ეკონომისტი, სოციოლოგი, ქართული წიგნისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი), აკადემიკოსი, ავტორი წიგნისა **„**ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის)“ (ტ I. თბ.: 1941) –

გუნია ვალერიან (1862-1938) – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, გაზეთ „თეატრის“ რედაქტორი (1886.VI-IX), „საქართველოს კალენდრის“ დამაარსებელი, შემდგენელი და გამომცემელი (1888-1898, 1903-1905), გაზეთ „ცნობის ფურცლის“ დამაარსებელი და მისი რედაქტორ-გამომცემელი (1896-1899), გაზეთ „ისრის“ რედაქტორი (1908), რედაქტორ-გამოცემელი ჟურნალებისა: „ნიშადური“ (1907-1908) და „საქართველო“ (1908), ლიტერატურულ ალმანახ „ერთობის“ გამომცემელი (1909), რედაქტორ-გამომცემელი ალმანახისა „აკაკის დღე საქართველოში“ (1908). 1917 წელს სოფრომ მგალობლიშვილის რედაქტორობით გამოიცა „მადლობის დღე. 1882-1917“ – „საიუბილეო დასურათებული ალმანახი ვ. გუნიას პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად“ –

გურამიშვილი დავით (1705-1792) – პოეტი (ავტორი „დავითიანისა“), ქართული ლექსის რეფორმატორი. მისი თხზულებებიდან ქართულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა **„**საწუთრო სოფლის მდურვა“ და „რუსთ ხემწიფეთაგან ქართველ მეფის ვახტანგისა მიპატიჟება თავისთან“ („ცისკარი“, 1852, №10). დაკრძალულია უკრაინაში (მირგოროდში) –

გურამიშვილი ვახტანგ – გაზეთ „კავკასიისა მხარეთა უწყებანის“ მთარგმნელი –

გურამიშვილი (გურამოვი) თადეოზ (გარდ. 1875) – საგურამოელი მემამულე, ი. ჭავჭავაძის სიმამრი, ავტორი ლექსისა „საყვარელო მამულო“ („სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832, №5) –

გურამიშვილი ოლღა – იხ. **ჭავჭავაძე** ოლღა

გურამიშვილი-სავარსამიძე სიდონია – გენერალ-მაიორ ლეონტი სავარსამიძის (1778-1838) მეუღლე (1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორები ლ. სავარსამიძეს სამხედრო მინისტრის თანამდებობის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილავდნენ), ოლღა თადეოზის ას. გურამიშვილის მამიდა (დედით დაობლებული ოლღა აღზარდა სიდონიამ, რომელმაც ანდერძით მთელი თავისი ავლა-დიდება მემკვიდრის უფლებით სწორედ ოლღა გურამიშვილს დაუტოვა). ერთხანს „საქართველოს მოამბის“ რედაქცია ს. გურამიშვილ-სავარსამიძის სახლში მდებარეობდა –

გურიელები – გურიის საერისთავოს (მოგვიანებით სამთავროს) გამგებლები –

გურიელი მამია (1836-1891) – გურიის მთავართა შთამომავალი, პოეტი, დეკლამატორი, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „დროება“, „მნათობი“, „კრებული“, „ივერია“...), სადაც აქვეყნებდა ორიგინალურ პოეტურ თხზულებებსა და თარგმანებს (ჯ. ბაირონი, ალ. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ტ. შევჩენკო...). მისდევდა ცხოვრების ბოჰემურ წესს,

რამაც გადაიყოლა კიდევაც. გარდაიცვალა ჭლექისაგან, უკიდურეს სიღარიბეში. დაკრძალულია ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში –

გურული ვახტანგ – ისტორიკოსი, პუბლიცისტი, პედაგოგი. ძირითადად იკვლევს XIX–XX სს. საქართველოს ისტორიის საკითხებს

დ. ავ-ი – დავით ყიფიანის ფსევდონიმი

დადიანები – სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს გამგებლები –

დადიანი (კოლხიდელი) გრიგოლ (1814-1901) – პოეტი, სამხედრო მოღვაწე (გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი. ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლებს სამეგრელოში შემოჭრილი ომერ-ფაშას წინააღმდეგ), ქველმოქმედი. ქართულ პრესაში („ცისკარი“, „დროება“, „შრომა“...) აქვეყნებდა ლექსებსა და გალექსილ იგავ-არაკებს (ძირითადი ფსევდონიმი – „კოლხიდელი“. აგრეთვე: „მეგრელი“, „კ.“, „გ. დ.“...). დაკრძალულია მარტვილის ტაძარში –

დადიანი დავით – იხ. **დავით დადიანი**

დადიანი ეკატერინე – იხ. **ეკატერინე დადიანი**

დადიანი ლევან – იხ. **ლევან დადიანი**

დადიანი ნიკოლოზ (ნიკო) (დაახლ. 1780-1834) – ისტორიკოსი, მწერალი, დიპლომატი, მსაჯული (უწოდებდნენ „დიდ ნიკოს“), სამეგრელოს უმაღლესი საგამგებლო საბჭოს წევრი (1804 წლიდან) და სამეგრელოს სამთავროს მსაჯულთუხუცესი (მდივანბეგთუხუცესი), არაერთი ომის მონაწილე, რისთვისაც გენერალ-მაიორობა ებოძა, ავტორი საისტორიო თხზულებისა „ქართველთ ცხოვრება“, რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XIX ს. 20-იან წლებამდე. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში –

დავით IV *აღმაშენებელი* (1073-1125) – საქართველოს მეფე 1089-1125 წლებში. აღადგინა და გააერთიანა თურქ-სელჩუკთაგან დაქცეული და დამცრობილი ქვეყანა. გელათის აკადემიის დამაარსებელი. დაკრძალულია გელათში –

დავით ბატონიშვილი (1867-1819) – გიორგი XII-ის ძე, სამეფო ტახტის მემკვიდრე, ქართლ-კახეთის გამგებელი 1801-1803 წლებში. 1803 წელს გადაასახლეს პეტერბურგში, სადაც სიცოცლის ბოლომდე დარჩა. მწერალი, მეცნიერი (ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი, სამართალმცოდნე, ფიზიკოსი), გენერალ-ლეიტენანტი და რუსეთის სენატის წევრი. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში –

დავით დადიანი (1813-1853) – სამეგრელოს მთავარი 1846-1853 წლებში. გენერალ-მაიორი, ბიბლიოფილი. ჰქონდა ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნთა უძვირფასესი ბიბლიოთეკა, რომელიც მისმა შვილმა, ნიკო დადიან-მინგრელსკიმ (1847-1903), „ქშწ-კგ საზოგადოებას“ შესწირა –

დავით რექტორი (დავით **ალექსი-მესხიშვილი**) (1745-1824) – პოეტი, პედაგოგი, კალიგრაფი, ბიბლიოგრაფი, ლექსიკოგრაფი, ერეკლე II-ის მდივან-მწიგნობარი, თელავის სასულიერო სემინარიის რექტორი (1790-1801), თავის დროზე პოპულარული იამბიკოების ავტორი –

დავითიშვილი – ნიკოლოზ ქანანოვის ფსევდონიმი –

დე ბოვუარი როჟე – XIX ს. ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი. გ. ერისთავის „ცისკარში“ (1853, №№7-9) გამოქვეყნდა მისი ბელეტრისტული თხზულება „საფია“ (მთარგმნელი ს. ალექსი-მესხიშვილი) –

დავითაშვილი იოსებ (1850-1887) – პოეტი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „თეატრი“, „იმედი“, „ივერია“ და სხვ.), აქვეყნებდა კორესპონდენციებს, წერილებს ქართულ სიძველეებზე, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს (ფსევდ.: „გლეხი“, „გლეხი ი. დ.“, „ი. დ.“, „ი. ს. დ.“). გარდაიცვალა თელავში, უკიდურეს სიღარიბეში. იქვეა (ერეკლე II-ის სასახლის გალავანში) დაკრძალული –

დავითიშვილი – ნიკოლოზ ქანანოვის (ქანანაშვილის) ფსევდონიმი –

დემეტრე (დიმიტრი) II (*თავდადებული*) (1259-1289) – საქართველოს მეფე 1271-1289 წლებში; პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა, მონაწილეობა მიეღო მონღოლთა დინასტიურ დაპირის-პირებაში. შიდაბრძოლაში გამარჯვებულმა არღუნ აბაღას ძემ დემეტრე ურდოში დაიბარა. დარბაზმა მეფეს ურჩია, არ წასულიყო ურდოში და თავის გადარჩენის მიზნით მთებში გახიზნულიყო, მაგრამ დემეტრე ქვეყნის აოხრების შიშით გამოცხადდა საილხანოში, სადაც თავი მოჰკვეთეს. შთამომავლობამ „თავდადებული“ უწოდა –

დვანაძე გიორგი (1829-1886) – მწერალი (პოეტი, დრამატურგი), თეატრალური მოღვაწე (გიორგი ერისთავის დასის წევრი). 1875 წ. მკვლელობის ცრუბრალდებით გაასამართლეს და გააციმბირეს. პატიმრობიდან გათავისუფლებული და კურსკის გუბერნიიდან სამშობლოსკენ მომავალი გზაში, ხარკოვში, გარდაიცვალა (იქვე დაკრძალეს) –

დიასამიძე ნიკოლოზ (ნიკო) (1845-1897) – თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, გაზეთ „კვალის“ დამაარსებელი ჯგუფის წევრი; თბილისში, აგრეთვე, გორის მაზრის სოფლებში საქაშეთსა და ბრილში ჰქონდა ლიტერატურული სალონები, სადაც იკრიბებოდა ლიტერატურული საზოგადოება (ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ივ. მაჩაბელი...) და მსჯელობდა ქართული კულტურის აწმყოსა და მომავალზე. მოკლეს რევოლუციურად განწყობილმა გლეხებმა. დაკრძალულია სოფელ ბრილში –

დიდებულიძე გიორგი – მწერალი (პროზაიკოსი, მთარგმნელი), პედაგოგი (მოღვაწეობდა ქუთაისის გიმნაზიაში), მეცნიერული ცოდნის პოპულარიზატორი. ივ. კერესელიძის „ცისკარში“ აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურულ ტექსტებს (ძირითადად, თარგმანებს). „ცისკარშივე“ (1862, №№2, 3) გამოქვეყნდა მისი „სიყრმე შექსპირისა“ (თარგმანი) –

დიდრო დენი (1713-1784) – ფრანგი ენციკლოპედისტი, მწერალი, ფილოსოფოსი, განმანათლებელი –

დიკენსი ჩარლზ (1812-1870) – ინგლისელი მწერალი, ჟურნალისტი. მისი შემოქმედებიდან ქართულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა მოთხრობა „შიმშილი გემზედ“ („ცისკარი“, 1860, №6; მთარგმნელი ზაქარია ერისთავი) –

დიმიტრი ბატონიშვილი (1803-1845) – იულონ ბატონიშვილის ძე. 1805 წელს ოჯახთან ერთად გადაასახლეს რუსეთში (ტულაში), საბოლოოდ კი პეტერბურგში დამკვიდრდა და იქვე გარდაიცვალა (დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში). 1825 წელს პეტერბურგში საფუძველი ჩაუყარა 1832 წლის შეთქმულებას, რის გამოც აჰყარეს „ბატონიშვილის“ პატივი და რამდენიმე წლით სმოლენსკში გადაასახლეს –

დიმიტრი თავდადებული – იხ. **დემეტრე (დიმიტრი) II (*თავდადებული*)**

დისტერვეგი ადოლფ (1808-1866) – გერმანელი პედაგოგი, ჟურნალისტი და პოლიტიკოსი, „სრულიად გერმანიის მასწავლებელთა კავშირის“ თავმჯდომარე. იბრძოდა განათლების სფეროში რელიგიური, წოდებრივი და ეთნიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ასაბუთებდა სკოლის სეკულარიზაციის აუცილებლობას –

დიუბუა დე მონპერე ფრედერიკ (1798-1850) – შვეიცარიელი ისტორიკოსი, მოგზაური, გეოლოგი. 1831-1834 წწ. სამეცნიერო მიზნებით იმოგზაურა ყირიმსა და ამიერკავკასიაში (ითვლება საქართველოში გეოლოგიური კვლევების ფუძემდებლად). გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები საქართველოს ისტორიის საკითხებზე –

დიუმა ალექსანდრე (მამა) (1802-1870) – ფრანგი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი, მემუარისტი), 1850-იანი წწ. ბოლოს იმოგზაურა კავკასიაში და თავისი შთაბეჭდილებები ასახა წიგნში „კავკასია“ –

დობროლიუბოვი ნიკოლოზ (1836-1861) – რუსი მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, განმანათლებელი, რევოლუციონერი-ანტიმონარქისტი. სრულაიდ ახალგაზრდა გარდაიცვალა ჭლექისაგან. ქართულ პრესაში ნ. დობროლიუბოვის ნაწარმოებებიდან პირველად გამოქვეყნდა „მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება“ („საქართველოს მოამბე“, 1863, №1; თარგმნა ი. ჭავჭავაძემ) –

დოდაშვილი ანა – სოლომონ დოდაშვილის ქალიშვილი, რომელიც ვიატკაში დაიბადა და ორი წლისა იქვე გარდაიცვალა 1836 წ. ოქტომბერში –

დოდაშვილი ივანე (1829-1864) – ს. დოდაშვილის შვილი, პოეტი, მთარგმნელი, თბილისის კომერციული სასამართლოს მდივანი –

დოდაშვილი კონსტანტინე – ს. დოდაშვილის შვილი. გარდაიცვალა 4 წლისა –

დოდაშვილი (დოდაევი) სოლომონ (1805-1836) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი, გრამატიკოსი), ჟურნალისტი, პედაგოგი, ბიბლიოფილი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი და იდეოლოგი (გადაასახლეს ვიატკაში), უთვალსაჩინოესი ფიგურა XIX ს. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ფაქტობრივი რედაქტორი. ჟურნალით

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ სათავე დაუდო ეროვნული მიზანდასახულობის ქართულ ჟურნალისტიკას. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

დოდაშვილი სოფიო – დეკანოზ გრიგოლ ჭრელაშვილის (1800-1876) ასული, ივანე დოდაშვილის მეუღლე. 1887 წელს „ქშწ-კგ საზოგადებას“ შესწირა „საქართველოს გაზეთის“ პირველი ნომერი –

დოდაშვილი სტეფანე (1808-1845) – ს. დოდაშვილის ძმა. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს, თუმცა საიდუმლო მეთვალყურება დაუწესეს). 1828-1836 წწ. დაბალი რანგის მოხელედ მსახურობდა პეტერბურგის სენატში. ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832, №2) გამოქვეყნდა მისი თხზულება „მოწერილი ს. პეტერბურღიდამ ტფილისს ძმასთან“ –

დოდე ალფონს (1840-1897) – ფრანგი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი), ჟურნალისტი, კრიტიკოსი, ავტორი ცნობილი რომანისა „ტარტარენ ტარასკონელი“. ქართულ პრესაში ა. დოდეს თხზულებებიდან პირველად გამოქვეყნდა მოთხრობა „ბერლინის აღება“ („დროება“, 1875, №№26-27) –

დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე (1820-1893) – გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი, ე. წ. „კავკასიური“ (1917-1865), „ყირიმისა“ (1853-1856) და რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომების მონაწილე, ბულგარეთის უმაღლესი კომისარი (1878-1879), კავკასიის მთავარმართებელი (1882-1890), უკიდურესი რეაქციონერი და რუსიფიკატორი, დიმ. ყიფიანის მკვლელობის სავარაუდო ორგანიზატორი –

დონიცეტი გაეტანო (1797-1848) – იტალიელი კომპოზიტორი, რომლის შემოქმედებიდან გამოირჩევა ოპერა „ლუჩია დე ლამერმური“ –

დუბელირი – თბილისში (ავლაბარში) ჰქონდა საკუთარი სტამბა –

დუტუ მეგრელი (ნამდვილი სახელი და გვარი – **დიმიტრი ხოშტარია**) (1867-1938) – მწერალი, პუბლიცისტი, სახელმწიფო მოხელე. დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1893). ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში, აქვეყნებდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, დრამატულ ნაწარმოებებს, კრიტიკულ-ლიტერატურულ და პუბლიცისტურ წერილებს, თარგმანებს (ბაირონი, გოეთე, ჰიუგო, პუშკინი, ლერმონტოვი, ბალმონტი და სხვ. – ყველა თარგმანი შესრულებულია რუსული ენიდან)... დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე. იქვე განისვენებს მისი მეუღლეც, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანასტასია ერისთავ-ხოშტარია (1868-1951) –

ეგნატაშვილი ვასილ (დ. 1888) – რევოლუციური და პარტიული მოღვაწე (საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 1930-1940 წწ.), ჟურნალისტი, გამომცემელი, ლიტერატორი (ფსევდ. „ვ. ეგ....შვილი), პედაგოგი. შეეწირა პოლიტიკურ რეპრესიებს –

ევგენიძე იუზა – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიას –

ევდოშვილი (ნამდვილი გვარი – **ხოსიტაშვილი**) იროდიონ (1873-1916) – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი), პუბლიცისტი, თეატრალური მოღვაწე, მარქსისტი („მესამე დასის“ წევრი). თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „კვალი“, „ჩვენი ცხოვრება“, „ახალი დროება“ და სხვ.), აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, პუბლიცისტურ წერილებს, თარგმანებს (ედგარ პო, ვ. ჰიუგო, ა. ფრანსი, ჰ. სენკევიჩი, ჰ. ჰაინე და სხვ)... 1905-1907 წწ. რევოლუციური მოვლენების მონაწილე. 1909 წ. გადაასახლეს რუსეთში: ჯერ ვოლოგდის, შემდეგ კი ასტრახანის გუბერნიებში (სამშობლოში ჭლექით დაავადებული დაბრუნდა 1912 წელს). ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ განუდგა ქართველ მარქსისტებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ეკატერინე II (1729-1796) – რუსეთის იმპერატორი (1762-1796) – 21

ეკატერინე დადიანი (1816-1882) – ალ. ჭავჭავაძის ასული, სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი, ნ. ბარათაშვილის ტრფობის საგანი (პოეტმა უძღვნა რამდენიმე ლექსი, აგრეთვე, თავისი ლირიკული შედევრებისა და „ბედი ქართლისას“ ორი ავტოგრაფული კრებული, რომელთაგან ერთი დაკარგულად ითვლება). სამეგრელოს სამთავროს გაუქმებით დაინტერესებულმა რუსეთის ხელისუფლებამ 1857 წელს „მიიწვია“ პეტერბურგში, საიდანაც ეკატერინე დადიანმა მხოლოდ 1868 წელს, სამთავროს გაუქმების შემდეგ, მოახერხა დაბრუნება. „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში –

ელიოზიშვილი ივანე – ჟურნალ „მნათობის“ (1869-1872) გამომცემელი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, თეატრალური მოღვაწე –

ელისაბედ – იხ. **ავალიშვილი** ელისაბედ

ენგელსი ფრიდრიხ (1820-1895) – გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ისტორიკოსი, მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი (კ. მარქსის მეგობარი, თანამოაზრე და მისი არაერთი ნაშრომის თანაავტორი). გარდაიცვალა ემიგრაციაში (ლონდონში) –

ენფიაჯიანცები ავეტიქ და ამბარცუმ – თბილისში 1860-იან წწ. დააარსეს სტამბა, რომელშიც, გარდა წიგნებისა, პერიოდული გამოცემებიც იბეჭდებოდა. უფრო ადრე, 1840 წელს, თბილისშივე მათ გახსენეს პირველი წიგნის მაღაზია, რომელშიც ძირითადად იყიდებოდა რუსული, ქართული და სომხური წიგნები, აგრეთვე, ქართული და სომხური ხელნაწერები (1850-იანი წლებიდან ამბარცუმი თამბაქოს მწარმოებელიც იყო) –

ერეკლე II (1720-1798) – კახეთისა (1744-1762) და ქართლ-კახეთის (1762-1798) მეფე. საქართველოს ისტორიული მტრებისაგან უკიდურესად შევიწროებულმა, მას მერე, რაც ევროპაში ვერ იპოვა მოკავშირე, სამეფოს ბედი დაუკავშირა რუსეთს – 1783 წელს გააფორმა „გეორგიევსკის მფარველობითი ტრაქტატი“. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში –

ერისთავები – სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების (საერისთაოების) გამგებლები. გვიანი შუასაუკუნეებიდან თავადურ გვარად იქცა – ; იხ. აგრეთვე: **ქსნის ერისთავები**

ერისთავი ალექსანდრე (სანდრო) ესტატეს ძე – სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, სალიტერატურო და ჟურნალისტურ წრეებთან დაახლოებული პირი. ქართული ენის შეურაცხყოფისათვის სილა გააწნა პოლკის უფროსს. ამის შემდეგ გადაიხვეწა ამერიკაში, სადაც მონაწილეობდა 1860-იანი წწ. ამერიკის სამოქალაქო ომში [იბრძოდა რუსული წარმოშობის ამერიკელი გენერლის, ივანე ტურჩანინოვის (ჯონ ბეიზელ ტურჩინის), ქვედანაყოფში]. საქართველოში დაბრუნებულს სიკვდილამდე შერჩა მეტსახელი – „ამერიკანეც“. 1867 წელს პირველმა გამოსცა (ორ ნაწილად) გიორგი ერისთავის თხზულებათა კრებული –

ერისთავი ალექსანდრე შანშეს ძე (1812-1883) – გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი, ელიზბარ ერისთავის ძმა. ხელს აწერს ჟურნალ „სინათლის“ საპროგრამო ტექსტს („გამოცხადებას“) –

ერისთავი გიორგი დავითის ძე (1813-1864) – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, პროფესიული ქართული თეატრის (დაარსდა 1850 წელს) პირველი ხელმძღვანელი, ჟურნალ „ცისკრის“ (1852-1853) რედაქტორ-გამომცემელი, 1832 წლის შეთქმულების წევრი. დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 3, 66

ერისთავი გიორგი იასეს ძე (1759/1760-1863) – მწერალი, გენერალ-ლეიტენანტი (ბრძოლის ველზე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმამაცით), სენატორი, 1832 წლის შეთქმულების წევრი (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს). დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში –

ერისთავი დავით (1847-1890) - მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გიორგი ერისთავის (1813-1864) შვილი; თანამშრომლობდა როგორც ქართულ („დროება“, „კრებული“, „ივერია“...), ისე რუსულ პრესაში („ტიფლისსკი ვესტნიკ“, „ფალანგა“ და სხვ., აგრეთვე, „კავკაზ“, რომელსაც 1882-1884 წწ. რედაქტორობდა კიდეც), აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, თარგმანებს (ფსევდ.: „დ.ე.“, „ბარძიმი“, „გლუხარიჩი II“, „Наследственный поэт“), მონაწილეობდა „ქშწ-კგ საზოგადოებისა“ და „ქართული დრამატიული საზოგადოების“ დაფუძნებაში, გადმოაკეთა ფრანგი დრამატურგის, ვ. სარდუს, პიესა „სამშობლო“ („ატრიე“), რომლის დადგმას ტრიუმფული წარმატება ჰქონდა. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

ერისთავი დარია – პოეტი. მისი ერთადერთი, ღრმა პესიმიზმითა და ასკეტური სულისკვეთებით გამსჭვალული, ლექსი „წინათგრძნობა“ გამოქვეყნდა გ. ერისთავის „ცისკარში“ (1853, №1) –

ერისთავი დიმიტრი (1805-1850/1860-იანი წწ. მიჯნა) – საზოგადო მოღვაწე, ელიზბარ ერისთავის ძმა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (იდგა შეთქმულების სათავეებთან). ხელს აწერს ჟურნალ „სინათლის“ საპროგრამო ტექსტს („გამოცხადებას“) –

ერისთავი ელენე – 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილის, ლუარსაბ ორბელიანის (1794-1835), ასული, პოლკოვნიკ ზაქარია ერისთავის (1814-1850) მეუღლე, „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების“ წევრი –

ერისთავი ელიზბარ (1810-1871) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური (თავიდან მიუსაჯეს სიკვდილი –„ოთხად განკვეთა“, თუმცა შემდეგ სასჯელი შეუცვალეს და ფინეთში განაწესეს რიგით ჯარისკაცად), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი. 1844 წელს ხელს აწერს ჟურნალ „სინათლეს“ საპროგრამო ტექსტს – „გამოცხადებას“. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო გორის მაზრის უფროსი. დაკრძალულია გორში (ამჟამად მისი საფლავი დაკარგულია) –

ერისთავი ვარლამ – იხ. **ვარლამ ერისთავი**

ერისთავი ივანე (ოქრო) (1818-1858) – ლიტერატორი, გიორგი დავითის ძე ერისთავის ძმა. რუსული და ფრანგული ენებიდან თარგმნიდა და გ. ერისთავის „ცისკარში“ აქვეყნებდა უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებს. ქართველთაგან პირველმა თარგმნა მოლიერი, კერძოდ, „ძალად ექიმი“ (ივ. ერისთავის თარგმანში – „უნებურად ექიმი“), რომელიც თბილისში დაიდგა 1853 წელს –

ერისთავი რაფიელ (1824-1901) – მწერალი, ჟურნალისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქართული მუზეუმის დამაარსებელ-თაგანი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ პირველი გამგეობის წევრი, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ თავმჯდომარე (1884-1886), „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნის ინიციატორთაგანი (1882) და სხვ.; ანდერძის თანახმად, დაკრძალეს მშობლიურ სოფ. ქისტაურში, საიდანაც 1938 წელს თელავში, ერეკლე II-ის სასახლის გალავანში, გადაასვენეს –

ერისთავი რევაზ (1828-1899) – ანასტასია ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილის (1763-1838) შვილიშვილი, მწერალი (პოეტი, მთარგმნელი), სამხედრო პირი (პოლკოვნიკი), გორის მაზრის უფროსი. დაასაფლავეს გორის „სობოროს“ გალავანში (საქართველოს ბოლშევიზაციის შემდეგ „სობორო“ დაანგრიეს და მის ეზოში დაკრძალული არა ერთი და ორი საინტერესო მოღვაწის საფლავი დაიკარგა) –

ერისთავი სოფიო (1833-1887) – რევაზ შალვას ძე ერისთავის ქალიშვილი, გენერალ ივანე ორბელიანის (1825-1893; მანანა ორბელიანის ვაჟიშვილი) მეუღლე, გიორგი ერისთავის ლექსის ადრესატი (კნეინა სოფ[იო] ერ[ისთავისადმი], „ცისკარი“, 1852, №2). დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიის გალავანში –

ერისთავი ქეთევან (1819-1907) – 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის, ელიზბარ ერისთავის, მეუღლე. ცხოვრობდა გორში, სადაც მონაწილეობდა საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. ადრესატი ნ. ბარათაშვილის ლექსისა „ქეთევან“ –

ერმოლოვი ალექსი (1777-1861) – ინფანტერიისა და არტილერიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი (1816-1827) და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1816-1826). საქართველოს მართვისას გამოირჩეოდა სისასტიკითა და რუსიფიკაციის უკიდურესი ძალადობრივი მეთოდებით –

ვაგნერი რიხარდ (1813-1883) – გერმანელი კომპოზიტორი, დრამატურგი, დირიჟორი, მუსიკის თეორეტიკოსი, მისტიკოსი, იდეოლოგიური ანტისემიტი. მისი მუსიკალური შემოქმედება (სიმფონიური უვერტიურა „ფაუსტი“, ოპერები: „ტანჰოიზერი“, „ლოენგრინი“, „ნიბელუნგის ბეჭედი“, „პარსიფალი“ და სხვ.) გამოირჩევა დრამატიზმით, ღრმა ფსიქოლოგიზმით, რევოლუციური სულისკვეთებით –

ვათეიშვილი (Ватейшвили) ჯუანშერ – ისტორიკოსი, XIX ს. კავკასიის რუსულენოვანი პრესის მკვლევარი –

ვაჟა-ფშაველა (1861-1915) – მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „თეატრი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „კვალი“, „სახალხო გაზეთი“, „განათლება“ და სხვ.), აქვეყნებდა ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, თარგმანებს (ფ. შილერი, ე. პო, ჰ. ჰაინე, მ. ლერმონტოვი...), პუბლიცისტურ თხზულებებს, წერილებს ლიტერატურულ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ და სხვ. საკითხებზე. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს დიდუბის პანთეონში, საიდანაც 1935 წელს მთაწმინდაზე გადაასვენეს –

ვართაგავა იპოლიტე (1872-1967) – კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მემუარისტი, პედაგოგი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „ვარ“, „ვა“, „შვალუეთელი“, „ურთა“ და სხვ.). დამთავრებული ჰქონდა ყაზანის სასულიერო აკადემია. ასწავლიდა როგორც სასულიერო, ისე საერო სასწავლებლებში. თანაშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „კვალი“, „მწყემსი“, „განათლება“, „სახალხო გაზეთი“ და სხვ.), აქვეყნებდა ლიტერატურულ, პუბლიცისტურ, მემუარულ და სხვ. ხასიათის თხზულებებს. მისი „მოგონებები“ (I-II. თბ.: 1956-1962) შეიცავს ძვირფას მასალას XIX ს. დასასრულისა და XX ს. (გასაბჭოებამდე) ქართული საზოგადოებრივი, კულტურულ-სალიტერატურო და საგანმანათლებლო ცხოვრების წარმოსადგენად და შესასწავლად –

ვართანოვი ალექსანდრე (გარდ. 1874) – აგრონომი, ჟურნალისტი, „გუთნის-დედის“ თანარედაქტორი (ა. ფურცელაძესთან ერთად) 1873-1874 წწ. –

ვარლამ ერისთავი (1763-1830) – საქართველოს პირველი და ქართველთაგან ერთადერთი ეგზარქოსი (1811-1817; ეგზარქოსად დანიშვნამდე ცხოვრობდა რუსეთში და იყო რუსეთის წმ. სინოდის წევრი), შესანიშნავი ორატორი, მწიგნობარი, პოეტი. 1825 წლიდან – მოსკოვის წმ. დანიელის მონასტრის წინამძღვარი (იმავე მონასტერშია დაკრძალული) –

ვაშაყმაძე შოთა (გარდ. 2004) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას –

ვახანია ვახტანგ (1924-1996) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

ვახტანგ I *გორგასალი* – ქართლის მეფე (დაახლ. V ს. 40-იანი წწ.-502), საქართველოში ირანელთა ბატონობის აღმოფხვრისა და ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის დაუცხრომელი მებრძოლი –

ვახტანგ VI (1675-1737) – ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) (1703-1714), ქართლს მეფე (1714-1724), პოეტი, მეცნიერი. იბრძოდა ირანის გავლენის შესუსტებისა და ქვეყნის მმართველობითი ცენტრალიზაციისათვის. 1708-1709 წწ. თბილისში დააარსა პირველი ქართული სტამბა. მისი თაოსნობით შეიქმნა სამართლის წიგნთა კრებული, რისთვისაც „სჯულმდებელი“ ეწოდა. 1724 წელს დახმარების იმედით გაემგზავრა რუსეთში, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. გარდაიცვალა ასტრახანში. დაკრძალულია იქვე, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში –

ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) – ისტორიკოსი, გეოგრაფი, კარტოგრაფი, ვახტანგ VI-ის შვილი, ავტორი ნაშრომისა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც წარმოადგენს საქართველოს გაბმულ ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის I ნახევრამდე და გამსჭვალულია ქართველთა ეთნიკური და პოლიტიკური ერთიანობის იდეით. 1724 წელს მამას გაჰყვა რუსეთში, იქვე დამკვიდრდა და იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში –

ვეიდენბაუმი (**Вейденбаум**) ევგენი (1845-1918) – რუსი კავკასიოლოგი (ისტორიკოსი, არქეოგრაფი, ბიბლიოგრაფი, ფოლკლორისტი). საქართველოში მოღვაწეობდა 1870-იანი წლებიდან. ხელმძღვანელობდა „კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიას“ (1897-1916). სიცოცხლის ბოლო წლებში განაგებდა კავკასიის მუზეუმის ბიბლიოთეკას –

ველიჩკო ვასილ (1860-1903) – უკრაინული წარმოშობის (პოლტავიდან) რუსი მწერალი, პუბლიცისტი, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი (1896-1899); 1894 წ. პეტერბურგში გამოაქვეყნა ორიგინალური და ნათარგმნი ლექსების კრებული („Восточные мотивы“), რომელშიც ქართველ პოეტთა (ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე) თარგმანებიც შეიტანა (ქართული თემატიკით მდიდარია მის მიერ პეტერბურგშივე 1904 წ. გამოცემული პოეტური კრებულიც – „Арабески“; რუსულ ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებიც, მათ შორის, ა. წერეთლის „თამარ ცბიერი“). აკაკი წერეთელმა უძღვნა ლექსი „ყიზილბაშური“, რომელშიც ავტორი ვ. ველიჩკოს დიდმპყრობელურ-შოვინისტურ ზრახვებს წარმოაჩენს. დაკრძალულია მშობლიურ პოლტავის ოლქში (ვერნიგოროვშჩინაში) –

ვერდი ჯუზეპე (1813-1901) – იტალიელი კომპოზიტორი და მუსიკალური მოღვაწე, საოპერო ხელოვნების რეფორმატორი; აღიარებდა ვოკალური საწყისის პრიორიტეტს საოპერო ხელოვნებაში; ავტორი მსოფლიოში აღიარებული ოპერებისა: „ნაბუკო“, „რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „ოტელო“, „აიდა“ და სხვ. –

ვოლსკი გრიგოლ (1860-1909) – პოლონური წარმოშობის ქართველი პოეტი, პუბლიცისტი, ექიმი (სამედიცინო განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული), საზოგადო და თეატრალური მოღვაწე. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში („დროება“, „ივერია“,

„შრომა“, „კვალი“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ.; ფსევდ. „უმწიფარიძე“), აქვეყნებდა ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, თარგმანებს (ა. ჩეხოვი, ჰ. კ. ანდერსენი და სხვ.), პუბლიცისტურ წერილებს, რეცენზიებს... ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ახალშემოერთებულ ბათუმში პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ეროვნულ-პატრიოტული მიმართულებით წარმართვაში. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია ბათუმში –

ვოლტერი (1694-1778) – ფრანგი მწერალი, ისტორიკოსი. ქართულ პრესაში ვოლტერის თხზულებებიდან პირველად გამოქვეყნდა ლექსი „აღსარება“ („ცისკარი“, 1857, №1; მთარგმნელი ალ. ჭავჭავაძე. ეს არის ეპილოგი ვოლტერის თხზულებისა „პოემა ბუნებითი კანონისათვის“) –

ვორონცოვა ელისაბედ (1792-1880) – პოლონური წარმოშობის რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის, გენერალ ქსავერი ბრანიცკის (1731-1819), ქალიშვილი, კავკასიის მეფისნაცვლის, მ. ვორონცოვის, მეუღლე, ქველმოქმედი, ალ. პუშკინის ტრფობის საგანი. საქართველოში ყოფნისას (1845-1854) ხელმძღვანელობდა თბილისის „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას“ –

ვორონცოვი მიხეილ (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი („ნამესტნიკი“) და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი 1844-1854 წლებში (კავკასიის მართვას პრაქტიკულად 1845 წლის გაზაფხულიდან შეუდგა). ზრუნავდა რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასიმილირებაზე და, იმავდროულად, ხელს უწყობდა ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას. გარდაიცვალა ოდესაში. დაკრძალულია იქვე, ფერისცვალების საკათედრო ტაძარში –

ვორონცოვ-დაშკოვი ილარიონ (1837-1916) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გრაფი, გენერალ-ადიუტანტი და კავალერიის გენერალი, საიმპერატორო კარის მინისტრი (1881-1897), სახელმწიფო საბჭოს წევრი, კავკასიის მეფისნაცვალი 1905-1915 წლებში –

ზავილეისკი პეტრე (1800-1843) – სახელმწიფო მოღვაწე (ეროვნებით პოლონელი). საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი 1829-1832 წლებში, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს, თუმცა პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობა დაუწესეს) –

ზალცმანი კრისტიან გოტხილფ (1744-1811) – გერმანელი პედაგოგი, მწერალი, სასულიერო მოღვაწე (ერთხანს პასტორი იყო ერფურტში), საკუთარი ხარჯით დააარსა ვაჟთა სასწავლებელი, რომელიც სანიმუშოდ ითვლებოდა ევროპის მასშტაბით. მხარს უჭერდა უნივერსალურ სასკოლო განათლებასა და სკოლის დემოკრატიზაციას. ქართულ პრესაში ზალცმანის თხზულებებიდან პირველად გამოქვეყნდა „კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის“ („საქართველოს მოამბე“, 1863, №№3,4,8,9; მთარგმნელი ლ. ჯანდიერიშვილი [ჯანდიერი]) –

ზამანა (დაბ. 1808) – ბორჩალოელი მოლა, 1832 წლის შეთქმულების წევრი [ალექსანდრე ორბელიანს მისი მეშვეობით ჰქონდა კავშირი სპარსეთში (სალმასტში) გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან]. მოლა ზამანა გამოირჩეოდა შეთქმულთა იდეებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით. გადაასახლეს არხანგელსკში, სადაც დაიღუპა (მდ. დვინაში დაიხრჩო) –

ზდანოვიჩი გიორგი (1855-1917) – პოლონური წარმოშობის ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი (ფსევდ. „მაიაშვილი“), ეკონომისტი, პარტიული (სოციალისტ-ფედერალისტი) და საზოგადო მოღვაწე. მიეკუთვნებოდა რუსი ხალხოსნების („ნაროდნიკების“) უკიდურეს რევოლუციურ ფრთას, რისთვისაც 1877 წ. გაასამართლეს და ციმბირის კატორღაში გაგზავნეს (სამშობლოში დაბრუნდა 1889 წელს). ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქუთაისში, იქვე, ბაგრატის ტაძრის ეზოში, დაკრძალეს, მოგვიანებით კი მწვანეყვავილაზე გადაასვენეს –

ზირაქი (ისუ ზირაქი) (დაახლ. ძვ. წ. II-III სს.) – არაკანონიკური ბიბლიური თზულების, „სიბრძნე ზირაქისა“, ავტორი –

ზოტოვი რაფაილ (1795-1871) – რუსი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, მემუარისტი), ჟურნალისტი და თეატრალური მოღვაწე. გ. ერისთავის „ცისკარში“ (1853, №№9,10) გამოქვეყნდა ფრაგმენტები მისი რომანისა „კალიოსტრო ღერცოღ რიშელიოსთან“ (მთარგმნელი გ. ერისთავი) –

ზურაბიშვილი ივანე (1872-1940)– მწერალი, პუბლიცისტი, მემუარისტი, პოლიტიკური (ეროვნულ-დემოკრატი) და საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში („ივერია“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „ისარი“, „ერი“, „ვოზროჟდენიე“ და სხვ.), აქვეყნებდა ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, თარგმანებს (შ. ბოდლერი, ჰ. ზუდერმანი, ჰ. სენკევიჩი და სხვ.), პუბლიცისტურ წერილებს, ევროპაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს... (ფსევდ.: „ვინზენი“, „უანზეტ“, „დარბაისელი“ და სხვ). 1921 წ. საქართველოს ბოლშევიზაციის გამო დატოვა სამშობლო და ოჯახთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა პარიზში. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე –

თ. ჯ. – ; იხ. აგრეთვე: **ჯოლოგუა** თამაზ

თაბუკაშვილი რევაზ (რეზო) (1927-1990) – მწერალი (პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი), კინორეჟისორი, საზოგადო მოღვაწე. დიდი ამაგი დასდო საზღვარგარეთ მიმოფანტული ქართული სიძველეების (ხელნაწერები, ფოტომასალა...) მოპოვებასა და საქართველოში დაბრუნებას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

თავზიშვილი გიორგი (1902-1963) – მეცნიერი. ძირითადად იკვლევდა საქართველოში სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზრის ისტორიას. ი. გოგებაშვილის, ეკ. გაბაშვილის, ს. მგალობლიშვილისა და სხვ. თხზულებათა გამომცემელი –

თამარ მეფე (დაახლ. 1160-1213) – საქართველოს მეფე 1184 წლიდან (გიორგი III-ის თანამოსაყდრე 1178 წლიდან), საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი –

თარხან-მოურავი გრიგოლ (1847-1898) – ჟურნალ „მნათობის“ პუბლიცისტი, სახელმწიფო მოხელე (სხვადასხვა წლებში იყო თიანეთის, ახალციხის, ახალქალაქის მაზრების უფროსი). დიდი ამაგი დასდო ახალქალაქის მაზრას, სადაც აარსებდა პირველდაწყებით სასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს და სხვ.; გარდაიცვალა სოფ. ბარალეთში (ახალქალაქთან). დაკრძალულია ქართლის სოფ. ერთაწმინდაში –

თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) ივანე (1846-1908) – მეცნიერი-ფიზიოლოგი, პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიისა (1877-1895) და პეტერბურგის უნივერსიტეტის (1895-1901) პროფესორი, პარიზის ბიოლოგიური საზოგადოებისა და ჰალეს აკადემიის წევრი, საფრანგეთის „საპატიო ლეგიონის“ ორდენის კავალერი. 1871 წელს თბილისში კითხულობდა საჯარო ლექციებს ფიზიოლოგიის საკითხებზე. იმავე წელს იყო წევრი იმ ჯგუფისა, რომელსაც ალექსანდრე მეორისათვის უნდა წარედგინა ადრესი თბილისში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ –

თაყაიშვილი ექვთიმე (1863-1953) – მეცნიერი (ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ნუმიზმატი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, ლინგვისტი...), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პარიზის ნუმიზმატთა და სააზიო საზოგადოებების წევრი, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამაარსებელი (1907) და მისი პირველი თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი; 1921-1945 წწ. იყო ემიგრაციაში (საფრანგეთში), სადაც მეთვალყურეობდა და პატრონობდა საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის მიერ უცხოეთში გატანილ ეროვნულ განძს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

თბილელი იოსებ – იხ. **იოსებ თბილელი**

თედორაძე ნინო – ისტორიკოსი, არქივთმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

თეიმურაზ I (1589-1663) – კახეთისა (1606-1648) და ქართლ-კახეთის (1625-1632) მეფე, პოეტი (განიცდიდა სპარსული პოეზიის ძლიერ გავლენას). იბრძოდა საქართველოში ირანის ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც შეეწირა კიდეც. გარდაიცვალა ტყვეობაში – ასტრაბადის (ირანი) საპყრობილეში. დაკრძალულია ალავერდის ტაძარში –

თეიმურაზ II (1700-1762) – კახეთის მეფე (1709-1715), გამგებელი (1733-1744), ქართლის მეფე (1744-1762), პოეტი, მთარგმნელი (მისდევდა არჩილ II-ის მიერ დამკვიდრებულ „მართლის თქმის პრინციპს“), ატარებდა ანტიირანულ პოლიტიკას. 1760 წელს დახმარების სათხოვნელად გაემგზავრა რუსეთში, თუმცა მისი ეს მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. გარდაიცვალა პეტერბურგში. დაკრძალულია ასტრახანში (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში) –

თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846) – გიორგი XII-ის ძე, მწერალი, მეცნიერი, ბიბლიოფილი, პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, პარიზის სააზიო და კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვართა საზოგადოებების წევრი, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ფუძემდებელი. 1803 წელს სპარსეთში გაიქცა ალექსანდრე ბატონიშვილთან, თუმცა საბოლოოდ იძულებული გახდა, ჩაბარებოდა რუსებს. 1810 წელს გადაასახლეს პეტერბურგში, იქვე გარდაიცვალა, იქვეა დაკრძალული (ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში) –

თეიმურაზ ვაკელი – დიმიტრი ყიფიანის ფსევდონიმი –

თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი (1776-1846) – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ასული, პოეტი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რისთვისაც გადაასახლეს კალუგაში (სამშობლოში დაბრუნდა 1835 წელს). დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში –

თერგდალეული – აქ: კირილე ლორთქიფანიძის ფსევდონიმი –

თოდუა გრიგოლ – ეკონომიკურ მოძღვრებათა და ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის მკვლევარი –

თოიძე მოსე (1871-1953) – მხატვარი, პედაგოგი, თბილისში სამხატვრო სტუდიის დაარსების ინიციატორი (1922). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

თულაშვილი (თულაევა) – მიხეილ კატკოვის დედა –

თულაშვილი ვახტანგ (1834-1910) – პუბლიცისტი, პედაგოგი, ქველმოქმედი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამაარსებელთაგანი და საპატიო წევრი (1904 წლიდან), თვალსაჩინო ფიგურა იმ მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში პატრიოტული მიზანდასახულობის კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების აღორძინებასა და განვითარებას (ჟურნალისტიკა, თეატრი, სასტამბო-საგამომცემლო საქმე და სხვ.) –

თუმანიშვილი (თუმანოვი) გიორგი (1854-1920) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, იურისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ თანარედაქტორი (ვ. და კ. თუმანიშვილებთან ერთად) (1891-1904), მიხ. თუმანიშვილის (1818-1875) შვილი. დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1875), ქართულ ენაზე სცემდა არაპერიოდულ გამოცემას „ალმანახის“ სახელწოდებით (1878-1879), აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს როგორც ქართულ („დროება“, „ივერია“ და სხვ.), ისე რუსულ („კავკაზ“, „ტიფლისსკი ვესტნიკ“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ვესტნიკ ევროპი“, „ფალანგა“, „ბაკუ“ და სხვ.) პრესაში. დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე –

თუმანიშვილი ვასილ (1857-1912) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და გამგეობის წევრი, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ თანარედაქტორი (გ. და კ. თუმანიშვილებთან ერთად) (1891-1904). დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე –

თუმანიშვილი კონსტანტინე (1859-1920) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ გამომცემელი და თანარედაქტორი (გ. და ვ. თუმანიშვილებთან ერთად) (1891-1904). დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე –

თუმანიშვილი მიხეილ ბირთველის ძე (1818-1875) – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი („Тайный советник“), მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი, ეთნოგრაფი, 1830-იან წწ. თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა ლიტერატურული ჯგუფის ხელმძღვანელი, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, „სალაყბოს ფურცლების“ ერთ-ერთი ავტორი. დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე –

თუმანიშვილი მიხეილ გიორგის ძე – იხ. **ხელთუბნელი** მიხეილ

თუმანიშვილი (თუმანოვი) პავლე – პოეტი. ქართულ პრესაში („ცისკარი“, „მნათობი“) გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ლექსი და თარგმანი –

თუმანიშვილი პავლე იოსების ძე (გარდ. 1935) – საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1900-1910), იყო გამომცემელი გაზეთ „ივერიისა“(1905-1906) და ჟურნალ „ნაკადულისა“ (1906-1920). გარდაიცვალა ემიგრაციაში (პოლონეთში) –

თუმანიშვილი-წერეთელი ანასტასია (1849-1932) – მწერალი (პროზაიკოსი, მთარგმნელი), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე („ქშწ-კგ საზოგადოების“ აქტიური წევრი),

ქველმოქმედი (1884 წ. სოფ. ხელთუბანში დააფუძნა სკოლა და ობოლთა თავშესაფარი, მისი ინიციატივით დაარსდა „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება“, ქალთა საზოგადოება „განათლება“ და სხვ.), საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ (1890-1923) რედაქტორ-გამომცემელი, გაზეთ „კვალის“ ოფიციალური (ფორმალური) რედაქტორ-გამომცემელი (1893-1903). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

თურქისტანიშვილი (თურქისტანოვი) ერასტი (გარდ. 1735) – მწიგნობარი, რუსეთში მყოფი ვახტანგ VI-ის ამალის წევრი. რუსული ენიდან თარგმნიდა დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის თხზულებებს –

ი. ე. – გაუხსნელი ფსევდონიმი. ამ ფსევდონიმით „ცისკარში“ (1853, №3) გამოქვეყნდა თარგმანი „ქორწილი ლისტისა“ [კომპოზიტორ ფერენც ლისტის ქორწინების ამბავი]. შესაძლებელია, ეს იყოს ივანე (ოქრო) ერისთავის ფსევდონიმი –

ი. ს. (ი. ს-ვი) – ივანე სერებრიაკოვის (ოქრომჭედლიშვილის) ფსევდონიმები –

იანოვსკი კირილე (1822-1902) – უკრაინული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე (რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი), ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი („Действительный тайный советник“), „მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების“ წევრი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (1878-1899), უკიდურესი რეაქციონერი, კავკასიაში ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკის ერთ-ერთი ბურჯი. გარდაიცვალა სოხუმში, იქვეა დაკრძალული –

იბერი ელდარ – მედიის მკვლევარი, ჟურნალისტი, ავტორი წიგნისა „რადიოჟურნალისტიკა“ (თბ.: 2003) –

იესო ქრისტე – ძე ღვთისა, ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებელი –

იმედაშვილი იოსებ (1876-1952) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ (1910, 1914-1920, 1923-1926) რედაქტორ-გამომცემელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ინაშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (გარდ. 1870) – პუბლიცისტი, მთარგმნელი, ჟურნალ „მნათობის“ საპროგრამო წერილის ავტორი. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ჯერ კიევის, შემდეგ – პეტერბურგის უნივერსიტეტებში; ნიჭიერი და იმედისმომცემი მოღვაწე, რომლის სიცოცხლეც ჭაბუკობაშივე ჭლექმა შეწყვიტა –

ინგილო ჯანაშვილი – დიმიტრი ჯანაშვილის ფსევდონიმი

ინგოროყვა პავლე (1893-1983) – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე [საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (შემდგომ – პარლამენტის) წევრი], ჟურნალ „პრომეთეს“ (1918) თანარედაქტორი (ი. ყიფშიძესა და კ. გამსახურდიასთან ერთად), ჟურნალ „კავკასიონის“ (1924) დამფუძნებელი და რედაქტორი, ჟურნალ „ახალი კავკასიონის“ (1925) რედაქტორ-გამომცემელი, გამომცემლობა „ქართული წიგნის“ დაარსების (1928) ინიციატორი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში

იოანე ბატონიშვილი (1768-1830) – გიორგი XII-ის ძე, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი, განმანათლებელი, ავტორი ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებისა „კალმასობა“ („ხუმარსწავლა“). 1801 წელს გადაასახლეს პეტერბურგში. დაკრძალულია იქვე, წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრის ხარების ეკლესიაში –

იოანე შავთელი (XII-XIII სს.) – თამარ მეფის თანამედროვე სასულიერო მოღვაწე და პოეტი, რომელსაც მიეწერება სახოტბო თხზულება „აბდულმესიანი“ –

იოვიძე აბესალომ (1896-1968) – ისტორიკოსი, არქივთმცოდნე, პედაგოგი, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი (1936 წლიდან) –

იოსებ თბილელი (სააკაძე) (1620-1688) – სასულიერო მოღვაწე (თბილისის მიტროპოლიტი), პოეტი, გიორგი სააკაძის ძმისწული, ავტორი პოემისა „დიდმოურავიანი“, რომელშიც მოცემულია გიორგი სააკაძის აპოლოგია –

იოსელიანი ალექსანდრე – თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. 1873 წლის 16 აპრილს სამეგრელოს სოფ. ბანძაში მისი ინიციატივით დაიდგა „ვენეციელი ვაჭარი“ (რეჟისორი ნიკო დადიანი, მწერლისა და თეატრალური მოღვაწის, შალვა დადიანის, მამა). ეს იყო შექსპირის პირველი სცენური წარმოდგენა საქართველოში –

იოსელიანი გიორგი (1847-1919) – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი), პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის სასულიერო აკადემია. უშუალოდ ხელმძღვანელობდა (ი. ჭყონიასთან ერთად) განჯიდან სამშობლოში ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებას (1893). თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („მნათობი“, „დროება“, „ივერია“, „ჯეჯილი“, „კვალი“, „მოამბე“, „განათლება“ და სხვ.), აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ წერილებს, საისტორიო ნარკვევებს, პედაგოგიური და სხვ. ხასიათის თხზულებებს (ფსევდ. „წყალტუბელი“) –

იოსელიანი პლატონ (1809-1875) – მეცნიერი (ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფოლკლორისტი), ჟურნალისტი, გამომცემელი, ათენის არქეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი. გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკისა“ და მისი ქართული დუბლიკატის „კავკასიისა მხარეთა უწყებანის“ რედაქტორი. ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი პრინციპებით ეკუთვნოდა „მამების“ თაობას –

ირაკლი II – იხ. **ერეკლე II**

ისარლიშვილი (ისარლოვი) ლუკა (1814-1893) – მწერალი (პოეტი, მთარგმნელი, მემუარისტი), ფოლკლორისტი, ნ. ბარათაშვილის გიმნაზიისდროინდელი მეგობარი (პოეტზე დატოვა საინტერესო მოგონება). 1881-1889 წწ. ცენზორად მსახურობდა „კავკასიის საცენზურო კომიტეტში“ და ამ თანამდებობაზე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიმკაცრით. თანამედროვეები მიიჩნევდნენ გაზეთ „დროების“ დახურვის (1885) ინიციატორად –

ისარლიშვილი (ისარლოვი) რაფიელ (1843-1918) – საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ქველმოქმედი, ქართული კულტურის პოპულარიზატორი –

ისიდორე (ერისკაცობაში – იაკობ **ნიკოლსკი**) (1799-1892) – საქართველოს ეგზარქოსი 1844-1858 წლებში –

კაზლოვი – იხ. **კოზლოვი** ივანე

კაიკაციშვილი გულაი – გაზეთ „დროების“ მკითხველი –

კაკაბაძე ვანო (ივანე) (1905-1992) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

კაკაბაძე სარგის (1886-1967) – ისტორიკოსი, ფილოლოგი, ტექსტოლოგი, პედაგოგი, სიძველეთა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი (1924-1934). განათლება მიღებული ჰქონდა ვენისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში. იყო სამეცნიერო პერიოდული გამოცემების „საისტორიო მოამბისა“ (1924-1925) და „საისტორიო კრებულის“ (1928-1929) რედაქტორი –

კალანდაძე ალექსანდრე (1916-1996) – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა პოლონელებისა და ფრანგების წინააღმდეგობის მოძრაობაში. ავტორი კაპიტალური ნაშრომისა „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ (I-V. თბ.: 1977-1987) –

კალიოსტრო (ნამდვილი სახელი და გვარი – ჯუზეპე **ბალზამო**) (1743-1795) – იტალიელი მისტიკოსი, ალქიმიკოსი, მასონი, მოგზაური და ავანტიურისტი. გაასამართლეს ერესისთვის და სიცოცხლე საპყრობილეში დაასრულა –

კარბელაშვილი ანდრე – ინჟინერი, მეცნიერი, იკვლევს ტექნიკური პროგრესის (ძირითადად, კავშირგაბმულობის) ისტორიას XIX ს. საქართველოში –

კარიჭაშვილი დავით (1862-1927) – მეცნიერი (ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი), მწერალი, კრიტიკოსი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ მდივანი (1885-1892). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

კასრაძე ანასტასია (ტასო) – ისტორიკოსი. „პირველი ქართული გაზეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ (თბ.: 1942) შემდგენელი –

კასრაძე ოთარ (1926-1988) – მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი), იკვლევდა ქართული სტამბების, ნაბეჭდი წიგნის, ლიტერატურის, XIX ს. ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის, ქართული თეატრის ისტორიის საკითხებს –

კატკოვი მიხეილ (1818-1887) – რუსი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, მთარგმნელი (ჰ. ჰაინე, ე. ჰოფმანი, უ. შექსპირი და სხვ.), „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი (1851-1856; 1863-1887), უაღრესად გავლენიანი ფიგურა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში, მათ შორის – საიმპერატორო კარზეც. უკიდურესი შოვინისტი – რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ასიმილაციის

იდეოლოგი. თავის გაზეთში კარი გაუღო ქართველთა ეროვნული ღირსების შემლახველ პუბლიკაციებს, რასაც ქართველ მოღვაწეთა (დიმ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე და სხვ.) მწვავე რეაქცია მოჰყვა –

კაციტაძე კახა (1959-2012) – ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, პოლიტოლოგი. საკითხთა ფართო წრის, მათ შორის, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას მკვლევარი –

კეზელი დავით (1854-1907) – მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის თვალსაჩინო წევრი, რუსულ ენაზე ვაჟა-ფშაველას თხზულებათა მთარგმნელი. თანამშრომლობდა ქართულ („დროება“, „ივერია“, „თეატრი“ და სხვ.), უმეტესად კი კავკასიის რუსულ („ნოვოე ობოზრენიე“, „ტიფლისსკი ლისტოკ“ და სხვ.) პრესაში (ფსევდ.: „ზოილი“, „დავით სოსლანი“, „არაგველი“). დაკრძალულია დუშეთში –

კეკელიძე კორნელი (1879-1962) – ლიტერატურათმცოდნე, აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი. ფასდაუდებელი ამაგი დასდო ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულ კვლევას. საქართველოს გასაბჭოებამდე იყო სასულიერო მოღვაწე (დეკანოზი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი). დაკრძალულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში –

კენჭოშვილი აკაკი (1910-1977) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიას –

კენჭოშვილი ირაკლი – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევს XIX-XX სს. ქართული ლიტერატურის ისტორიას –

კერესელიძე ივანე (იოანე) იოსების ძე (გარდ. 1830) – ივ. ივ. კერესელიძის მამა, თეკლა ბატონიშვილისა და ვახტანგ ორბელიანის (1769-1812) ჯერ შინამოსამსახურე, შემდეგ – მამულის გამგე, ვ. ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ – თბილისის დიამბეგი. 1830 წელს ყაჩაღებმა მოკლეს –

კერესელიძე ივანე ივანეს (იოანეს) ძე (1829-1892) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრისა“ (1857-1875) და გაზეთ „ცისკრის“ (1887) რედაქტორ-გამომცემელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

კვინტუს კურციუს რუფი (დაახლ. I ს.) – ძველი რომაელი ისტორიკოსი და ორატორი, ავტორი წიგნისა „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია“ –

კიკვიძე აბელ (1905-1980) – ისტორიკოსი. ძირითადად იკვლევდა საქართველოს შუა საუკუნეებისა და ახალ ისტორიას. ავტორი წიგნისა – „გაზეთი „კვალი“ (თბ.: 1966) –

კიკნაძე გრიგოლ (1909-1974) – ლიტერატურათმცოდნე, XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ვაჟას კაბინეტის“ დამაარსებელი (1962) და პირველი ხელმძღვანელი (1962-1974) –

კიკნაძე ფილადელფოს (ერისკაცობაში – **ნიკიფორე კიკნაძე**) (1793-1833) – სასულიერო მოღვაწე (ბერი), მწერალი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (შეთქმულთა წესდების, „აკტი გონიურის“, ავტორი და სპეციალური საიდუმლო ანბანის შემქმნელი). საგამომძიებლო კომისიამ ცნო დამნაშავედ, თუმცა გასამართლებამდე (საპატიმროშივე) გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, დარიის მონასტრის გალავანში –

კილანავა ნიკოლოზ (1915–1982) – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიას –

კირაკოს (კირაკოზ) განძაკეცი (დაახლ. 200-1271) – სომეხი მემატიანე, ავტორი „სომხეთის ისტორიისა“, რომელიც მოიცავს პერიოდს IV ს. დასაწყისიდან 1265 წლამდე. თხზულება პირველხარისხოვან წყაროდ ითვლება ზოგადად სომხეთისა და, კერძოდ, სომხეთსა და მომიჯნავე რეგიონში (მათ შორის, საქართველოში) მონღოლთა ბატონობის ისტორიის შესახებ (ავტორი ერთხანს თვითონ იმყოფებოდა მონღოლთა ტყვეობაში). ი. ჭავჭავაძემ თარგმნა და „საქართველოს მოამბეში“ (1863, №9) გამოაქვეყნა კირაკოს განძაკეცის „სომხეთის ისტორიის“ მონაკვეთი („მონღოლთა ბატონობა“) –

კირვალიძე ვასილ (1864-1933) – მწერალი, პუბლიცისტი, მემუარისტი, მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში როგორც სოციალ-დემოკრატთა თანამდგომი, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („კვალი“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.), აქვეყნებდა ლექსებს, პუბლიცისტურ თხზულებებს

მემუარებს. გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში დაუპირისპირდა „ივერიას“ (შემდგომში – ი. ჭავჭავაძესაც), რასაც მწვავე პოლემიკა მოჰყვა. დატოვა მოგონებები ქართველ მოღვაწეებზე (დიმ. ყიფიანი, ა. წერეთელი, ივ. მაჩაბელი, ალ. ყაზბეგი). პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყული ვ. კირვალიძე გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს 1933 წლის 6 მარტს –

კნიაზ მამიკონი – მიხეილ თუმანიშვილის ფსევდონიმი –

კობიაშვილი ელენე (1814-1838) – სოლომონ დოდაშვილის მეუღლე. შვილებითურთ გადასახლებაში გაჰყვა ქმარს, რომლის სიკვდილის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, გაათხოვეს პრისტავ (ბოქაულ) ალ. ლვოვზე და ორიოდე წელიწადში გარდაიცვალა კიდევაც –

კოზლოვი ივანე (1779-1840) – რუსი პოეტი, მთარგმნელი (ბაირონი, ბერნსი, შატობრიანი, მიცკევიჩი და სხვ.), პოლიგლოტი, ტრაგიკული ბიოგრაფიის ადამიანი (ცხოვრების ბოლო ოცწლეული დამბლადაცემული და დაბრმავებული იყო). მისი პოემა „შეშლილი“ თარგმნა და ივ. კერესელიძის „ცისკარში“ (1860, №10) გამოაქვეყნა რევაზ ერისთავმა, რასაც ილია ჭავჭავაძის გამანადგურებელი კრიტიკა და „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის დაწყება მოჰყვა –

კოლიუბაკინი მიხეილ (1806-1872) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. 1861 წელს, კავკასიის მთავარმმართველობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას, დიდი ამაგი დასდო ჟურნალ „გუთნის-დედის“ გამოცემას – 194, 197

კოლხიდელი – იხ. **დადიანი (კოლხიდელი)** გრიგოლ

კორნელი პიერ (1606-1684) – ფრანგი მწერალი, ფრანგულ დრამატურგიაში ტრაგედიის ჟანრის დამამკვიდრებელი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. პ. კორნელის ნაწარმოებებიდან ქართულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა ტრაგედია „ცინნა“ („ცისკარი“, 1853, №№5,6; მთარგმნელი ალ. ჭავჭავაძე. დედნის ენაზე პიესის სათაურია „სინა“) –

კოტეტიშვილი ვახტანგ (1893-1937) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგი, მოქანდაკე. იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას. შეეწირა ბოლშევიკურ რეპრესიებს –

კოტოვა ეკატერინე – თბილისის გიმნაზიის ბიბლიოთეკარ კოტოვის მეუღლე. 1830 წელს თბილისში დააარსა კერძო (კომერციული) ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც 1831 წელს დაიხურა –

კოტოვი – თბილისის გიმნაზიის ბიბლიოთეკარი 1820-1830 წლებში –

კრილოვი ივანე (1769-1844) – რუსი მწერალი (მეიგავარაკე, დრამატურგი), ჟურნალისტი. ქართულ პრესაში პირველად გ. ერისთავის „ცისკარში“ (1852, №5) გამოქვეყნდა მისი იგავ-არაკების ლ. ისარლიშვილისეული თარგმანები –

კრუპოვი –

კუტაისოვი პავლე (1780-1840) – ქართული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე (ბაბუამისი ქუთაისელი იყო, გვარად – **კიკიანი**), გრაფი, სენატორი (1809 წლიდან), სახელმწიფო საბჭოს წევრი (1837 წლიდან), მალტის ორდენის საპატიო კომანდორი, 1830 წელს სენატორ ე. მეჩნიკოვთან ერთად შეადგინა ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციულ რეფორმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის იმპერიაში საქართველოსა და ქართველი ხალხის სრულ ასიმილაციას –

ლ. ა.-დ – ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვის ფსევდონიმი –

ლაზარევი იოაკიმ (ეკიმ) (1744-1826) – სომეხი მრეწველი და ქველმოქმედი. 1815 წელს მოსკოვში საკუთარი ხარჯით დააარსა აღმოსავლურ ენათა სასწავლებელი (1827 წლიდან – ინსტიტუტი), სადაც ისწავლებოდა სომხური, ქართული, არაბული, სპარსული, თურქული და აზერბაიჯანული ენები –

ლაიბნიცი გოტფრიდ ვილჰელმ ფონ (1646-1716) – გერმანელი ფილოსოფოსი, თეოლოგი, ისტორიკოსი, დიპლომატი, მათემატიკოსი და მათემატიკური ცოდნის პოპულარიზატორი –

ლაისტი არტურ (1852-1927) – გერმანელი მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ლიტერატურის (მათ შორის, „ვეფხისტყაოსნის“) მთარგმნელი გერმანულ ენაზე, საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის პოპულარიზატორი ევროპაში. დამთავრებული ჰქონდა ბრესლაუს (გერმანია) უნივერსიტეტი. 1881 წლიდან დაინტერესდა საქართველოთი, შეისწავლა ქართული ენა, ხოლო 1892 წლიდან სამუდამოდ დამკვიდრდა თბილისში. უახლოესი მეგობრობა აკავშირებდა ქართველ მოღვაწეებთან (ი. ჭავჭავაძე, ა. წრეთელი, ი. მეუნარგია და სხვ.). 1906

წელს თბილისში დაარსდა გერმანულენოვანი გაზეთი „ აუკასისცჰე ოსტ“, რომლის ფაქტობრივი რედაქტორ-გამომცემელი ა. ლაისტი იყო (1908 წლამდე), 1918 წლიდან გერმანულ ენას ასწავლიდა ახალდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში. გარდაიცვალა თბილისში და აქვეა (დიდუბის პანთეონში) დაკრძალული –

ლარაძე პეტრე (1770-1837) – პოეტი, კალიგრაფი, თბილისის სამეფო წიგნთსაცავის გამგებელი, თავისი დროის პოპულარული პოეტი, ავტორი პოემისა „დილარიანი“ –

ლასხიშვილი გიორგი (1865-1931) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მემუარისტი, საზოგადო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი), საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი (განათლების მინისტრი). მოწაფეობისას (სავარაუდოდ 1882 წ.) ქუთაისში რედაქტორობდა არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალს „სტვირის“ სახელწოდებით, 1895-1896 წწ. – წამყვანი ფიგურა „ივერიის“ რედაქციაში, 1900-იანი წწ. – „ცნობის ფურცლის“ ფაქტობრივი რედაქტორი, 1905 წ. – პარიზში გამომავალ გაზეთ „საქართველოს“ თანარედაქტორი (ა. ჯორჯაძესა და თ. სახოკიასთან ერთად), ქართულ და რუსულ პრესაში („ივერია“, „მოამბე“, „კვალი“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ.) აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის (ძირითადად პუბლიცისტურ) წერილებს (ფსევდ. „ლალი“). პოლიტიკური საქმიანობისათვის რამდენჯერმე ციმბირში იყო გადასახლებული. მისი „მემუარები“ უძვირფასესი წყაროა XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესასწავლად. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ლევან V დადიანი (1791-1846) – სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი 1805-1840 წლებში. მისი მთავრობის დროს სამეგრელოში დაარსდა პირველი სასწავლებელი (მარტვილის სასულიერო სასწავლებელი). 1840 წელს სამთავრო ტახტი ნებაყოფლობით გადასცა თავის მემკვიდრე დავით დადიანს, თუმცა მთავრის ტიტული სიკვდილამდე შეინარჩუნა –

ლეონიძე გიორგი (1899-1966) – მწერალი, მეცნიერი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი, ჟურნალ „საფირონისა“ (1916; გამოვიდა ერთი ნომერი) და გაზეთ „ბახტრიონის“ (1922-1923) რედაქტორ-გამომცემელი. მისი ინიციატივით დაარსდა ქართული ლიტერატურის მუზეუმი (ამჟამად გიორგი ლეონიძის სახელობისა), ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი, პერიოდული გამოცემა „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ და სხვ. –

ლეოპარდი ჯაკომო (1798-1837) – იტალიელი პოეტი, ფილოსოფოსი და მორალისტი. ტრაგიკული ბედის ადამიანი, რომლის შემოქმედება უკიდურესი პესიმიზმითა და განწირულობის განცდითაა აღბეჭდილი (უწოდებენ „მსოფლიო ჭმუნვის მომღერალს“, „ჭმუნვისა და ტანჯვის თეორეტიკოსს“ და სხვ.). მის შემოქმედებაში შერწყმულია კლასიციზმისა და რომანტიზმის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები. ქართულ პრესაში ჯ. ლეოპარდის შემოქმედებიდან პირველად გამოქვეყნდა ლექსი „ვენგრული სიმღერა“ („დროება“, 1867, №28; მთარგმნელი ა. ფურცელაძე) –

ლერმონტოვი მიხეილ (1814-1841) – რუსი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი). 1837 წ. პუშკინის მკვლელობასთან დაკავშირებით ხელნაწერის სახით გავრცელდა მისი ანტირეჟიმული სულისკვეთების ლექსი „პოეტის სიკვდილი“, რის გამოც საქართველოში გადმოასხლეს. მონაწილეობდა „კავკასიურ ომებში“. მის შემოქმედებაში უხვადაა კავკასიური თემატიკა. დაიღუპა დუელში. მ. ლერმონტოვის ნაწარმოებებიდან ქართულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა ლექსი „ყაზიბეგის მთას“ („ცისკარი“, 1858, №7; მთარგმნელი რევაზ ერისთავი) –

ლიონიძე სოლომონ (1754-1811) – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მწიგნობარი, ბრწყინვალე ორატორი, ერეკლე II-ის მდივანბეგ-მსაჯული, იღვწოდა საქართველოს დაშლილი პოლიტიკური სხეულის გამთლიანებისა და ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის. საქართველოს მეფე-მთავართა 1790 წლის სამოკავშირეო ტრაქტატის ინიციატორი. ნ. ბარათაშვილის ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟისაგან („ბედი ქართლისა“) განსხვავებით, აქტიური მხარდამჭერი იყო რუსეთთან პოლიტიკური კავშირისა. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთი შემოქმედი და ამ ტრაქტატით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მეფე-ბაგრატიონთა უფლებების მტკიცე დამცველი. 1803 წელს სოლომონ II-ის საგანგებო დავალებით პეტერბურგში ჩავიდა, რათა რუსეთ-იმერეთის სამოკავშირეო ტრაქტატის დადებისთვის მიეღწია, მაგრამ მიზანი ვერ განახორციელა. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ გადაიხვეწა ახალციხეში, იქ გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. ივ. კერესელიძის „ცისკარში“ (1857, №1)

გამოქვეყნდა ს. ლიონიძის „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფისა ღერკულეს ნეტარებისა ღირსისა“, რომელიც წარმოადგენს ერეკლე II-ის აპოლოგიასა და ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს –

ლისტი ფერენც (1811-1886) – უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მუსიკალური რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი –

ლიუბავსკი – სახელმწიფო მოხელე, რომელსაც 1835 წელს სურდა გამოეცა „საქართველოს გუბერნიის უწყებანი“ –

ლომოური (ლომაური) ნიკო (1852-1915) – მწერალი-ხალხოსანი, პედაგოგი, პუბლიცისტი, ცნობილი ორატორი, საზოგადო მოღვაწე. დამთავრებული ჰქონდა კიევის სასულიერო აკადემია. 1881 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მასწავლებლობდა გორში – სამასწავლებლო სემინარიასა და ქალთა პროგიმნაზიაში. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („მნათობი“, „დროება“, „ივერია“, „იმედი“, „მწყემსი“, „მოამბე“, „განათლება“ და სხვ.), აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, თარგმანებს, პუბლიცისტურ ტექსტებს, რეცენზიებს... (ფსევდ.: „ნ. ლ.“, „ლ-რი“, „თქვენებური“, „არბოელი“, „გორელი“, „პროვინციელი“, „ლევან ცაველი“ და სხვ.). გარდაიცვალა გორში, იქვე, გორის წმ. სამების ეკლესიის გალავანში, დაკრძალეს, მოგვიანებით კი საქალაქო პარკში გადაასვენეს –

ლორთქიფანიძე იასონ (1866-1949) – იურისტი (დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი), ფინანსისტი, ისტორიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის ძმა, ნიკ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების ერთ-ერთი ორგანიზატორი, თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი კომისიის წევრი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს (1918-1919) წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მმართველი (1920-1921). დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე –

ლორთქიფანიძე კირილე (1839-1919) – „თერგდალეულთა“ თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1873-1874), ალმანახ „ჩონგურის“ (1864) შემდგენელ-გამომცემელი. დაკრძალულია ქუთაისში, მწვანეყვავილაზე –

ლუდოვიკო XV (1710-1774) – ბურბონთა დინასტიის წარმომადგენელი, საფრანგეთის მეფე 1815 წლიდან. მისი მმართველობის პერიოდი ხასიათდება ფრანგული აბსოლუტიზმის პერმანენტული კრიზისით –

მ. პეტრიძე – პეტრე უმიკაშვილის ფსევდონიმი –

მ. ჯიმშერიძე – ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი –

მამაცაშვილი იოსებ (1810-1874) – ჟურნალისტი, მწერალი (პოეტი, მთარგმნელი), საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ვიატკაში, სადაც ს. დოდაშვილთან ერთად იხდიდა სასჯელს). თანამშრომლობდა ივ. კერესელიძის „ცისკარსა“ და „გუთნის-დედაში“ –

მამაცაშვილი კონსტანტინე (1818-1900) – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, „კავკასიის ომების“ მონაწილე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მემუარისტი (გამოქვეყნებული აქვს მოგონებები სიყრმის მეგობარზე – ნ. ბარათაშვილზე). თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან („დროება“, „ივერია“ და სხვ.). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

მანველიშვილი ალექსანდრე (1902-1993) – მეცნიერი (ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე), ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე. ქართველ ემიგრანტთა მიერ 1924 წელს პარიზში დაარსებული ორგანიზაცია „ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ თვალსაჩინო წევრი. დაიბადა ახალციხის მაზრის სოფ. უდეში, განათლება მიიღო ვალეში, ახალციხესა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1929 წელს გაექცა ბოლშევიკურ რეჟიმს. ცხოვრობდა თურქეთში, იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, საბოლოოდ ამერიკაში დამკვიდრდა და იქვე გარდაიცვალა –

მანია ქეთევან – ისტორიკოსი. ძირითადად იკვლევს წყაროთმცოდნეობით პრობლემატიკას –

მანსვეტაშვილი იაკობ (1855-1939) – მწერალი, მემუარისტი, პუბლიცისტი, ნავთობის მსხვილი მრეწველი (ბაქოში), ქველმოქმედი, ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული საზოგადო მოღვაწე. დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „ჯეჯილი“, „მოამბე“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ და მხატვრულ თხზულებებს (ფსევდ.: „დონ-იაგო“, „ბარელი“, „ალექსანდრიძე“, „შერმადინი“ და სხვ.). იყო „ქშწ-კგ საზოგადოების“ მდივანი, ბიბლიოთეკის გამგე, 1912 წლიდან – „საზოგადოების“ საპატიო წევრი. მისი მემუარები უაღრესად საინტერესო მასალას შეიცავს XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის. გარდაიცვალა თბილისში და იქვე (ვაკის სასაფლაოზე) დაკრძალეს –

მარიამ თეოდორეს ასული (1759-1828) – პავლე I-ის მეუღლე, ნიკოლოზ I-ის დედა –

მარკოზი – მახარებელი, სამოცდაათ მოციქულთაგანი, წმ. სახარების ერთ-ერთი ავტორი. მოწამებრივად აღესრულა 68 წელს –

მარლინსკი – იხ. **ბესტუჟევ-მარლინსკი (მარლინსკი)** ალექსანდრე

მარმონტელი ჟან ფრანსუა (1723-1799) – ფრანგი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი), ისტორიკოსი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. ქართულ პრესაში მისი ნაწარმოებებიდან პირველად გამოქვეყნდა მოთხრობა „მეუდაბნოენი“ („ცისკარი“, 1857, №1; მთარგმნელი სარდიონ ალექსი-მესხიშვილი) –

მარქსი კარლ (1818-1883) – გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ეკონომისტი, ჟურნალისტი, თანამედროვე კომუნისტური მსოფლმხედველობის ფუძემდებელი; მიიჩნევდა, რომ საზოგადოებათა ისტორია სინამდვილეში კლასთა ბრძოლის ისტორიაა, კაპიტალიზმს რევოლუციური გზით ჩაანაცვლებდა სოციალიზმი, რომელიც წარმოშობდა „პროლეტარიატის დიქტატურას“ როგორც გარდამავალ პერიოდს და საბოლოოდ ეს პროცესი უკლასო და უსახელმწიფო საზოგადოების (კომუნიზმის) დამკვიდრებით დასრულდებოდა. გარდაიცვალა ემიგრაციაში – ლონდონში, იქვეა დაკრძალული –

მასე ჟან (1815-1894) – ფრანგი მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე (სენატის წევრი 1883 წლიდან), მეცნიერული ცოდნის პოპულარიზატორი, „სახალხო განათლების ლიგის“ დამაარსებელი (1866) –

მაქსიმე ღაღანიძე (მაქსიმე ღოღანიძე) – სადავო (ი. ჭავჭავაძე, მიხ. ზ. ყიფიანი) ფსევდონიმი –

მაქსიმოვიჩი – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე 1850-იან წწ. – 145, 146

მაქსიმოვიჩი პავლე (1796-1888) – მწერალი, პედაგოგი, ავტორი სახელმძღვანელოსი „ყრმათა მეგობარი“ („Друг детей“; I გამოცემა – 1839 წ.), რომელიც გამოიყენებოდა რუსეთის იმპერიის (მათ შორის, საქართველოს) სასწავლებლებში –

მაღალაშვილი დიმიტრი (გარდ. 1849) – პოეტი, მთარგმნელი, კალიგრაფი. 1844 წელს ხელს აწერს გაზეთ „სინათლის“ პროგრამას („გამოცხადებას“) –

მაღალაშვილი ესტატე (დ. 1840) – იურისტი, „თერგდალეული“, ი. ჭავჭავაძის სიყრმისა და ახალგაზრდობის მეგობარი (ერთად სწავლობდნენ თბილისის გიმნაზიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტში), თანამშრომლობდა ილიას „საქართველოს მოამბეში“, რომლის დახურვის შემდეგ გაერიდა საზოგადოებრივ-სალიტერატურო ასპარეზს და სიცოცხლის ბოლომდე პროფესიულ საქმიანობას ეწეოდა (სასამართლო უწყების მოხელე, მომრიგებელი მოსამართლე...) როგორც საქართველოში (გორი), ისე მის ფარგლებს გარეთ (ელიზავეტპოლი, ნუხა, ყუბანის ოლქი...) –

მაღალაშვილი ლუარსაბ (შაქრო) (1839-1907) – საზოგადო მოღვაწე, „თერგდალეული“, ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი და თანამოაზრე (ილიასთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში), „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თბილისის გუბერნიის თვადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1891-1894 წლებში, რუსეთის იმპერატორის კამერჰერი (1893 წლიდან) –

მაყაშვილი (მაყაევი) სალომე (გარდ. 1856) – პოეტი. ივ. კერესელიძის „ცისკარში“ (1857, №1) გამოქვეყნდა მისი ლექსი „ოცნება“ –

მაჩაბელი დავით (1814-1873) – მწერალი (პოეტი, მთარგმნელი), ბიბლიოფილი. თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან (ძირითადად, ივ. კერესელიძის „ცისკართან“) –

მაჩაბელი ივანე (1854-1898) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ივერიის“ თანარედაქტორი (1882-1883; ი. ჭავჭავაძესთან ერთად), „დროების“

რედაქტორი (1883-1885), „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ე. წ. „ქართველიშვილისეული“ გამოცემის ფაქტობრივი რედაქტორი, ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი თბილისის სათავადაზნაურო-საადილმამულო ბანკისა, „ქშწ-კგ საზოგადოებისა“, „ქართული დრამატიული საზოგადოებისა“. უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა პეტერბურგის, ჰოპენჰაიმის, სორბონის უნივერსიტეტებში. კონგენიალურად თარგმნა უ. შექპირის პიესები („ჰამლეტი“, „ოტელო“, „იულიუს კეისარი“ და სხვ.). 1890-იან წლებში ი. ჭავჭავაძესთან ჰქონდა საბედისწერო პოლემიკა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკასთან დაკავშირებით (ე. წ. „ბანკობიადა“), რომელშიც დამარცხდა და ამ დამარცხებამ გამოიწვია მისი გარიყვა საზოგადოებრივ-კულტურული ასპარეზიდან. 1898 წლის 26 ივნისს გავიდა სახლიდან და გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა –

მაჩაბელი მიხეილ – ცხოვრობდა გორის მაზრაში. 1844 წელს ხელს აწერს გაზეთ „სინათლის“ პროგრამას („გამოცხადებას“) –

მაჩაბელი მიხეილ (მიშო) (1858-1927) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი), გაზეთ „კვალის“ დაარსების საინიციატივო ჯგუფის წევრი, გაზ. „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი, თანამშრომლობდა ქართულ და კავკასიის რუსულ პრესაში (ძირითადად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს. ფსევდ.: „ტფილისელი“). 1890-იან წწ. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გარშემო ატეხილ პოლემიკაში, მხარს უჭერდა ივ. მაჩაბელს, რის გამოც არაერთხელ გამხდარა ი. ჭავჭავაძის კრიტიკის საგანი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

მაჩაბელი სვიმონ (1794-1858 წ. შემდეგ) – პოეტი, მწიგნობარი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს, თუმცა დაუწესეს გაძლიერებული მეთვალყურეობა). ახლო მეგობრობა აკავშირებდა გიორგი ერისთავთან, რომელმაც სვიმონს რამდენიმე ლექსი უძღვნა –

მაძინი ჯუზეპე (იოსებ) (1805-1872) – იტალიელი მწერალი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე, იტალიის გაერთიანებისა და ავსტრიელთა ბატონობისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი იდეოლოგი და მეთაური –

მაჭავარიანი თამარ (1895-1979) – ბიბლიოგრაფი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში კავკასიოლოგიის (ამჟამად – ქართველოლოგიის) განყოფილების დამაარსებელი. ფასდაუდებელი ამაგი დასდო XIX ს. II ნახევრისა და XX ს. დასაწყისის ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენა-გამოცემას –

მაჭავარიანი მაია – ისტორიკოსი. გამოქვეყნებული აქვს წიგნი „ჟურნალისტიკის ისტორია“ (თბ.: 2009) –

მაჭარაშვილი ნესტორ – სასულიერო მოღვაწე (მთაწმინდის ეკლესიის მღვდელი), ავტორი წიგნისა „აღწერა მთა-წმიდის ეკკლესიისა და წმ. მამა დავითის ცხოვრებისა“ (ტფ.: 1895) –

მახარაძე (Махарадзе) ნინო (1932-2007) – ფილოლოგი. ძირითადად იკვლევდა XIX საუკუნის კავკასიის რუსულენოვან პრესას –

მახარაძე ფილიპე (1868-1941) – ქართველი ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი. ჟურნალ „მოგზაურის“ (1905), გაზეთების „ელვასა“ (1906) და „საქართველოს კომუნისტის“ (1920) ფაქტობრივი რედაქტორი, გაზეთ „ბრძოლისა“ (1917-1918) და ჟურნალ „სინათლისაკენ“ (1926) თანარედაქტორი. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარია და ვარშავის ვეტერინარული ინსტიტუტი. რევოლუციური მუშაობისათვის არაერთხელ იყო დაპატიმრებული. პოლიტიკური კარიერა დაამთავრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე (1938 წლიდან გარდაცვალებამდე). სხვადასხვა ცნობით, იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა ჯერჯერობით არ მოიპოვება –

მახია – დიმიტრი ბაგრატიონის ლექსების ადრესატი –

მაჰმათხან – იხ. **აღა-მაჰმად-ხანი**

მგალობლიშვილი (მგალობელოვი) დიმიტრი (1815-1878) – პოეტი. ივ. კერესელიძის „ცისკარში“ აქვეყნებდა ორიგინალურ ლექსებსა და თარგმანებს (ალ. პუშკინი, ნ. ნეკრასოვი, ი. კრილოვი...) – 151

მგალობლიშვილი (მგალობელი) სვიმონ – მწერალი, თეატრალური მოღვაწე (სცენისმოყვარეთა წრის წევრი). თანამშრომლობდა ჟურნალ „მნათობთან“, რომელშიც რამდენიმე ნაწარმოები გამოაქვეყნა –

მგალობლიშვილი სოფრომ (1851-1925) – მწერალი (პროზაიკოსი, მემუარისტი), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთების „ჩვენი დროება“ (1912-1913; 1915 წ. გამოვიდა ერთადერთი ნომერი) და „თემის“ (1912) რედაქტორი, პრესაში („დროება“, „ივერია“, „იმედი“, „მოამბე“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.) აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, მოთხრობებს, დრამატულ სცენებს, მემუარებს და სხვ. (ფსევდ.: „ზაქარიძე“, „ია ერაძე“, „ერაძე“, „წაკოლა“, „წაკოლა ერაძე“, „კიკია“, „გუმცაძე“...). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

მგელაძე ვლასა (1871-1943) – მწერალი, პუბლიცისტი, მემუარისტი, პოლიტიკური მოღვაწე (სოციალ-დემოკრატი), თვალსაჩინო რევოლუციონერი. 1921 წლიდან ცხოვრობდა ემიგრაციაში, იქვე (საფრანგეთში) გარდაიცვალა და იქვეა (ლევილის ქართველთა სასაფლაოზე) დაკრძალული –

მეიერბერი ჯაკომო (1791-1864) – გერმანელ-ფრანგი კომპოზიტორი (წარმოშობით ებრაელი), რომლის შემოქმედებიდან განსაკუთრებით პოპულარულია ოპერა „ჰუგენოტები“ –

მელიქიშვილი ეკატერინე (კეკე) – იხ. **მესხი** ეკატერინე (კეკე)

მელიქიშვილი ლევან (1817-1892) – გენერალ-ლეიტენანტი და კავალერიის გენერალი, რუსეთის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი, თვალსაჩინო ფიგურა ე. წ. „კავკასიის ომებში“ (1859 წლის 25 აგვისტოს მონაწილეობდა შამილის უკანასკნელი თავშესაფრის, აულ ღუნიბის, აღებასა და იმამის დატყვევებაში), დაღესტნის ოლქის მმართველი (1877-1880; თემირ-ხან-შურაში დააარსა სკოლა პანსიონითურთ), კავკასიის მეფისნაცვლისა და მთავარსარდლის მოადგილე (1880 წლიდან), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1882 წლიდან); ნ. ბარათაშვილის გიმნაზიელი მეგობარი, თბილისის გიმნაზიელთა იმ ჯგუფის წევრი, რომელიც 1835-1836 წლებში უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს „Цветок Тифлисской гимназий“ („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842) და „ქშწ-კგ საზოგადოების“ (1879) დამფუძნებელი წევრი –

მელიქიშვილი პეტრე (1850-1927) – თვალსაჩინო ქართველი ქიმიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი (1918-1919). დაკრძალულია იმავე უნივერსიტეტის პანთეონში –

მელიქიშვილი (მელიქოვი) სტეფანე (1841-1887) – გაზეთ „დროების“ გამომცემელი (1866-1883), პუბლიცისტი, მესტამბე. მთელი თავისი ავლადიდება შესწირა „დროების“ გამოცემას და, მატერიალურად უკიდურესად შევიწროებული, კომერციული მიზნით წავიდა შუა აზიაში, სადაც თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე (აშხაბადში) –

მერკვილაძე ნოშრევან – მარქსიზმით გატაცებული ხელოსანი („მესამე დასის“ წევრი), გამომცემლის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ (სოსიკო) მერკვილაძის (1854-1934) ძმა, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „კვალი“, „ნიშადური“ და სხვ.; ძირითადად აქვეყნებდა ლექსებს. ფსევდ.: **„ნოშრევანიძე“**). გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე წარმოთქმულ ლექსში ხალხის ინტერესების უგულებელყოფა დასწამა ი. ჭავჭავაძეს, თუმცა კრიტიკის ობიექტი არ დაუსახელებია –

მესხი დავით (1860-1943) – მწერალი (დრამატურგი, მთარგმნელი), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, სერგეი მესხის ძმა, გაზეთ „შრომის“ (1908) რედაქტორ-გამომცემელი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „კოლხიდა“, „იმერეთი“, „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, თარგმანებს (ეზოპე, ალ. დიუმა, ფ. კოპე, ჰ. მელვილი და სხვ.), მემუარებს (ფსევდ.: „დ. მ.“, „ცივი“, „სამშაბათელა“, „კვირიკე“ და სხვ.). გარდაიცვალა სოფელ რიონში, იქვეა დაკრძალული –

მესხი (ქალიშვილობის გვარი – **მელიქიშვილი**) ეკატერინე (1854-1928) – მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, სერგეი მესხის მეუღლე და თანამდგომი საზოგადო საქმეებში. 1870-იან წწ. სწავლობდა შვეიცარიაში (ციურიხში). იყო საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტთა

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „უღელის“ (1873-1876) აქტიური წევრი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „კვალი“, „ჯეჯილი“, „ნობათი“, „მოამბე“ და სხვ.), ძირითადად აქვეყნებდა თარგმანებს ფრანგული და რუსული ენებიდან [ჰ.-კ. ანდერსენი, მ. იოკაი, ა. კონან დოილი, ო. ფეიე (ფელიე), ა. შკლარევსკი და სხვ.; ფსევდ.: „ეკ. მ.“, „ეკ. მ-სა“]. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია იქვე, კუკიის სასაფლაოზე –

მესხი სერგეი (1845-1883) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, კულტურისა და განათლების პოპულარიზატორი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1869-1883; 1880-1881 წწ. ილია ჭავჭავაძესთან ერთად იყო „დროებისა“ და „ივერიის“ გაერთიანებული რედაქციის თანარედაქტორი). გარდაიცვალა აბასთუმანში. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ რიონში –

მესხიშვილი ნიკო – იხ. **ალექსი-მესხიშვილი** ნიკოლოზ

მეუნარგია იონა (1852-1919) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართულ მწერლობაში ე. წ. ბიოგრაფიული ჟანრის დამამკვიდრებელი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ მდივანი, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის (ე. წ. ქართველიშვილისეული) გამოცემის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „Кавказ“, „Новое обозрение“ და სხვ.). ფრანგულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (თარგმანი დაკარგულად ითვლება). დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ცაიშში –

მეფარიშვილი ლუბა (გარდ. 1992) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

მეღვინეთუხუცესიშვილი დიმიტრი (1815-1878) – მწერალი (პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი), ისტორიკოსი, რეჟისორი, არქეოლოგი, მარი ბროსეს მეგობარი და თანამშრომელი. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ხიდისთავში (გორთან) –

მეჩნიკოვი ევგრაფი (1770-1836) – რუსეთის სენატის წევრი, 1830 წელს სენატორ პ. კუტაისოვთან ერთად შეადგინა ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციულ რეფორმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის იმპერიაში საქართველოსა და ქართველი ხალხის სრულ ასიმილაციას –

მეძველია კონსტანტინე (1907-1974) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიას –

მითრიდატე (მიტრიდატ) VI ევპატორი (*დიდი*) (ძვ.წ. 132-ძვ.წ. 63) – პონტოს მეფე. გააძლიერა და გააფართოვა წინამორბედთა ხელში დასუსტებული სამეფო. სურდა შავიზღვისპირეთის გადაქცევა ერთიან და ძლევამოსილ სახელმწიფოდ, თუმცა რომაელებთან ხანგრძლივ ომებში დამარცხდა, შემდეგ შვილიც (ფარნაკე) აუმხედრდა და ამას შეეწირა კიდეც –

მიკლაშევიჩი ი. – რუსი ლიტერატორი, მთარგმნელი ა. ჟარი დე მანსის წიგნისა „ძველი და ახალი ლიტერატურის, მეცნიერებათა და ნატიფი ხელოვნების ისტორია“ –

მილი ჯონ სტიუარტ (1806-1873) – ინგლისელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ეკონომისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. გამოქვეყნებული აქვს ფუნდამენტური ნაშრომები თავისუფლების, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების, პოლიტიკური ეკონომიისა და სხვ. საკითხებზე –

მინაშვილი ლადო – ლიტერატურათმცოდნე, XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ილიას კაბინეტის“ ხელმძღვანელი –

მინაშვილი სერგი – XIX-XX სს. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი, ავტორი ნაშრომისა „საქართველოს რესპუბლიკა. 1918-1921 წწ.“ (თბ.: 2004) –

მირიან III – ქართლის მეფე (IV ს.). „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ქართლის მეფე ლევის ძე. მის სახელს უკავშირდება ქართლში ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად –

მირიმანოვი სოლომონ – ეწეოდა საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მოღვაწეობას. 1873 წელს მის სახლში მდებარეობდა ჟურნალ „კრებულის“ რედაქცია –

მიტჩელი ორმსბი-მაქნაით (1810-1862) – ამერიკელი ასტრონომი და ასტრონომიული ცოდნის პოპულარიზატორი, მათემატიკოსი, ინჟინერი, სამხედრო პირი (გენერალ-მაიორის ხარისხით მონაწილეობდა ამერიკის 1860-იანი წწ. სამოქალაქო ომში) –

მიქაძე გივი (1924-2008) – ფილოლოგი, ბიბლიოგრაფი, ბიბლიოთეკათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა ძველი და XIX ს. ქართული მწერლობის ისტორიას –

მიქელაძე დავით (დათა) (1843-1918) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის მონაწილე (სამოციანელთა თანამოაზრე და თანამებრძოლი), გაზეთ „დროშის“ (1873, პარიზი) გამომცემელი (ნ. ნიკოლაძესა და პ. იზმაილოვთან ერთად). თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „დროება“, „აკაკის კრებული“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, საერთაშორისო მიმოხილვებს, საისტორიო თხზულებებს, რეცენზიებს და სხვ.; ძირითადი ფსევდონიმი „მეველე“; აგრეთვე: „დ. ზურაბისშვილი“, „კულაშელი“ და სხვ.). 1895 წლიდან ცხოვრობდა ქუთაისში, იქვე გარდაიცვალა და იქვეა (მწვანეყვავილაზე) დაკრძალული –

მიცკევიჩი ადამ (1798-1855) – პოლონელი პოეტი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი (რევოლუციური) მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში, დაკრძალეს პარიზში, საიდანაც 1890 წელს გადაასვენეს სამშობლოში (კრაკოვში) –

მიხეილ ნიკოლოზის ძე (რომანოვი) (1832-1909) – რომანოვთა სამეფო ოჯახის წევრი (დიდი მთავარი), გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი და ჯარების სარდალი (1862-1881), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1881-1905; კავკასიის მეფისნაცვლობიდან ოფიციალურად გათავისუფლდა 1881 წ. 23 ივლისს, ხოლო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ მანამდე, 14 ივლისს, დაინიშნა. 1905 წ. გადადგა პოსტიდან, თუმცა სიკვდილამდე დარჩა სახელმწიფო საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ). მისი მმართველობის დროს დამთავრდა რუსეთის იმპერიის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სისხლისმღვრელი ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად (1817-1864 წლების ე. წ. „კავკასიის ომები“). შედარებით ლოიალურად იყო განწყობილი ქართველთა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების განვითარების მიმართ, თუმცა დაბეჯითებით ცდილობდა სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის მაქსიმალურ რუსიფიკაციას –

მოლაყბე – ივ. კერესელიძისა და მიხ. თუმანიშვილის ფსევდონიმი –

მოლიერი (1622-1673) – ფრანგი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე, ე. წ. მაღალი კომედიის ჟანრის ფუძემდებელი. ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მისი პირველი ნაწარმოებია კომედია „ცოლის შერთვევინება“ („ცისკარი“, 1862, №3; მთარგმნელი დიმ. ყიფიანი) –

მოპასანი გი დე (1850-1893) – ფრანგი მწერალი, ესეისტი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი. მისი შემოქმედება გამოირჩევა ღრმა ფსიქოლოგიზმით. სიცოცხლის მიწურულს დაეუფლა სიკვდილის შიში და ლტოლვა საზოგადოებისაგან თვითიზოლაციისაკენ. გარდაიცვალა სულით ავადმყოფთა სახლში. ქართულ პრესაში მოპასანის ნაწარმოებებიდან პირველად გამოქვეყნდა მოთხრობა „დუელი“ („დროება“, 1884, №15; მთარგმნელი ანასტასია თუმანიშვილი) –

მორთულაძე გრიგოლ – სახელმწიფო მოხელე, გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორის მოადგილე (1844-1845) –

მოსე – ებრაელთა განმათავისუფლებელი და სჯულმდებელი. წინასწარმეტყველად თვლიან არა მარტო იუდეველები, არამედ ქრისტიანებიც და მუსლიმებიც –

მრევლიშვილი ალექსანდრე (1866-1933) – მხატვარი (ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი), პედაგოგი. სამხატვრო განათლება მიიღო თბილისში, მოსკოვსა და პარიზში. ითვლება ქართული რეალისტური სამხატვრო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლად. დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე –

მურავიოვი ნიკოლოზ (1794-1866) – გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, კავკასიის მეფისნაცვალი და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1854-1856) –

მუსხელიშვილი დიმიტრი – არტილერიის გენერალი, კულტურტრეგერი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი –

მუხრანბატონი გიორგი (1821-1877) – ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის შთამომავალი (ერეკლე II-ის შვილთაშვილი), რუსეთის სახელმწიფოს სამსახურში დაწინაურებული დიდმოხელე (სენატორი და საიდუმლო მრჩეველი), 1872 წელს გამოქვეყნებულ თხზულებაში „О существе национальной индивидуальности и об образовательном значений крупных народных единиц“ („ნაციონალური

ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი სახალხო ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“) ამტკიცებდა გაბატონებულ ერებში მცირერიცხოვან ერთა ასიმილაციის ისტორიულ კანონზომიერებასა და პროგრესულობას, რასაც ქართველ მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი და სხვ.) მწვავე რეაქცია მოჰყვა. გარდაიცვალა პარიზში. დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში –

მუხრანბატონი (მუხრანსკი) ივანე (1812-1895) – სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის პირდაპირი შთამომავალი (ქეთევან ბატონიშვილის შვილიშვილი), გავლენიანი მემამულე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) (1885-1891), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი და რიგით მეორე თავმჯდომარე (1882-1885). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში –

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანელი) კონსტანტინე (1779-1842) – გენერალ-მაიორი, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1812-1839 წლებში –

მღვიმელი (ნამდვილი გვარი – **ქუჩუკაშვილი**) შიო (1866-1933) – პოეტი (ითვლება ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთ ფუძემდებლად). ქართული მწერლობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების გამო 1916 წ. საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა მისი პოეტური მოღვაწეობის 30 წლისთავი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ნ. სკანდელი – ნიკო ნიკოლაძის ფსევდონიმი –

ნადირ-შაჰ *აფშარი* (1688-1747) – ირანის შაჰი (1736-1747; წარმოშობით იყო აფშართა ტომიდან). 1735-1747 წლებში ქართლი იყო ნადირ-შაჰის მოხარკე. შეთქმულთა ხელით დაიღუპა ხორასანში –

ნაზაროვი (ნაზარიშვილი) – 1810-1820 წწ. თარჯიმნად მსახურობდა კავკასიის სამხედრო შტაბში –

ნათიძე ნიკოლოზ (1853-1921) – მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი, სასულიერო (დეკანოზი) და საზოგადო მოღვაწე, ი. ჭავჭავაძეზე მოგონების ავტორი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „აკაკის კრებული“, „ცნობის ფურცელი“, „ცხოვრება“, „საქართველო“, „კლდე“ და სხვ.), აქვეყნებდა მოთხრობებს, პუბლიცისტურ წერილებს, კრიტიკულ-ლიტერატურულ თხზულებებს, მოგონებებს (ძირითადი ფსევდონიმი „მელანია“; აგრეთვე: „მტერ-მოყვარე“, „სასოფლო სკოლის მასწავლებელი“, „ვეჯინის სკოლის მასწავლებელი“ და სხვ.). გარდაიცვალა კახეთში, სოფ. მელაანში, დაკრძალული იქვე (წმ. სამების ეკლესიის ეზოში) –

ნაკაშიძე ილია (1866-1923) – მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ლიბერალურ-დემორატიული მსოფლმხედველობის საზოგადო მოღვაწე, ქართული ენის ინტერესების ენერგიული დამცველი, პეტრე ნაკაშიძის შვილი. დაახლოებული იყო ლევ ტოლსტოისთან. იცავდა დუხობორების უფლებებს, რის გამოც რამდენიმე წლის განმავლობაში (1897-1903) აკრძალული ჰქონდა კავკასიაში ცხოვრება. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში, სადაც შემდეგ კითხულობდა კიდეც ლექციებს. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „შრომა“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მეგობარი“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ და პედაგოგიური ხასიათის წერილებს, კრიტიკულ-ლიტერატურულ თხზულებებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ნაკაშიძე პეტრე (1838-1895) – პუბლიცისტი, პედაგოგი (ერთხანს ქართულ ენას ასწავლიდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტსა და მოსკოვის უნივერსიტეტში), „თერგდალეული“, საზოგადო მოღვაწე („ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი), ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი (ერთად სწავლობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში), მისი თანამდგომი და თანამოაზრე (ილიამ პ. ნაკაშიძეს უძღვნა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და „ქართველის დედა“). 1870-იანი წლებიდან ცხოვრობდა ქუთაისში. გარდაიცვალა ბორჯომში, იქვეა დაკრძალული –

ნალივაიკო სევერინ (გარდ. 1597) – უკრაინელ კაზაკთა მეთაური, რომელმაც მოაწყო ფართომასშტაბიანი (უკრაინა, ბელორუსია) აჯანყება ფეოდალთა წინააღმდეგ და მართლმადიდებლობის დასაცავად. მთავარი პერსონაჟი კ. რილეევის პოემისა „ნალივაიკო“ –

ნანეიშვილი ალექსანდრე (1857-1904) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. მონაწილეობდა ხალხოსნურ მოძრაობაში, რის გამოც 1884-1887 წწ. სემიპალატინსკში იყო გადასახლებული. თანამშრომლობდა ქართულ და კავკასიის რუსულ პრესაში („დროება“,

„იმედი“, „ივერია“, „მოამბე“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, საერთაშორისო მიმოხილვებს, კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს, ლიტერატურულ და თეატრალურ რეცენზიებს, თარგმანებს (ძმები გრიმები, ო. მირბო; ძირითადი ფსევდონიმი „ნა-ლი“). სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა ქუთაისში. გარდაიცვალა სურამში. დაკრძალულია ქუთაისში –

ნანეიშვილი მიხეილ – ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ავტორი ნაშრომისა „ილია ჭავჭავაძის სააზროვნო საგნის რაობისათვის“ [„მაცნე“ (ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია), 1987, №4; 1989, №2] –

ნანიტაშვილი ლეილა – მკვლევარი, ლიტერატორი, გამომცემელი. ძირითადად იკვლევს XIX-XX სს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

ნაპოლეონ III (*შარლ ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი*) (1808-1873) – საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი (1848-1852), იმპერატორი (1852-1870), საფრანგეთის უკანასკნელი მონარქი. საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წწ. ომში ტყვედ ჩაბარდა, რამაც გამოიწვია 1870 წლის სექტემბრის საფრანგეთის რევოლუცია და ტახტიდან ნაპოლეონ III-ის ჩამოგდება. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ ნაპოლეონ III აღარ დაბრუნებულა სამშობლოში, ცხოვრობდა ინგლისში, იქვე გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული –

ნასარიძე ინესა (გარდ. 2005) – ენათმეცნიერი, თეატრმცოდნე, ავტორი ნაშრომისა „გაზეთ „დროების“ ენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ“ –

ნაცვლიშვილი ვასილ (1870-1940-იანი წწ.) – პუბლიცისტი (ფსევდ. „ვ. ნ.“), სოციალ-დემოკრატი. უკიდურესად არაკეთილსინდისიერი ხერხებით ებრძოდა ი. ჭავჭავაძეს. ეკუთვნის „მოგზაურში“ (1905, №13) გამოქვეყნებული წერილი „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, რომელსაც მოჰყვა ი. ჭავჭავაძის „ნუთუ?“ –

ნეიდგარტი ალექსანდრე (1784-1845) – გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კორპუსის მეთაური (1842-1844). დამარცხებები იწვნია შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის გამოც ნებაყოფლობით გადადგა თანამდებობიდან და დატოვა კავკასია –

ნეკრასოვი ნიკოლოზ (1821-1877) – რუსი პოეტი, ჟურნალისტი, ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ გამომცემელი (ნ. სალტიკოვ-შჩედრინთან ერთად). მის შემოქმედებაში წამყვანია სოციალურ-რევოლუციური თემატიკა. ნ. ნეკრასოვის შემოქმედებიდან ქართულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა ლექსი „როდეს შემესმის კვალად ბრძოლის ხმა...“ („ცისკარი“, 1861, №11; მთარგმნელი ა. ფურცელაძე) –

ნერსეს V *(აშტარაკეცი)* (1770-1857) – რუსული პოლიტიკური ორიენტაციის სომეხი სასულიერო მოღვაწე, სრულიად სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქი (1843-1857) –

ნიკოლაი ალექსანდრე (1821-1899) – შვედური წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ბარონი, სენატორი და სტატს-სეკრეტარი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს უფროსი. ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილის, სოფიოს (1833-1862), მეუღლე. ალ. ნიკოლაი გარდაიცვალა საქართველოში (ბეთანიაში). დაკრძალულია რუსეთში, მშობლიურ ვიბორგში (იქვეა დაკრძალული სოფიო ჭავჭავაძეც) –

ნიკოლაძე ნიკო (1843-1928) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „კრებულის“ ფაქტობრივი რედაქტორი, გაზეთ „დროშის“ (პარიზი, 1873) დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი, რუსულენოვანი გაზეთების „Обзор“ (1878-1880) და „Новое обозрение“ (1887-1891) რედაქტორი. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

ნიკოლაძე რუსუდან (1884-1981) – მეცნიერი-ქიმიკოსი, პედაგოგი, მემუარისტი, ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი. შეადგინა (დ. გვარამაძესთან ერთად) და გამოსცა ქიმიის ტერმინოლოგია (1970) –

ნიკოლეიშვილი ავთანდილ – ფილოლოგი, მწერალი. ძირითადად იკვლევს XX ს. ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას –

ნიკოლი რობერტ (1814-1837) – შოტლანდიელი პოეტი (მისი საუკეთესო ლექსები შოტლანდიურ დიალექტზეა დაწერილი). თანამედროვენი უწოდებდნენ „მეორე ბერნსს“. კირილე ლორთქიფანიძის მიერ შედგენილ და 1864 წელს გამოცემულ ალმანახ „ჩონგურში“ შესულია ნ. ბერნსის ლექსი: „ყველანი ძმანები ვართ“ (მთარგმნელი კ. ლორთქიფანიძე) –

ნიკოლოზ I (1796-1855) – რუეთის იმპერატორი (1825-1855). სახელმწიფოს მართვაში აბსოლუტური მონარქიზმის მიმდევარი. თანამიმდევრული რუსიფიკატორი. სასტიკად ჩაახშო პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყება და უნგრეთის 1848-1849 წწ. რევოლუცია. რუსეთის სამარცხვინო და გამანადგურებელმა მარცხმა „ყირიმის ომში“ (1853-1856) გამოიწვია მისი პოლიტიკური და სამხედრო კრახი, რასაც გადაჰყვა კიდეც –

ნიკოლოზ II (1868-1918) – რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი (1896-1917). გადადგა რუსეთის 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ოჯახთან ერთად დახვრიტა 1918 წ. 17 ივლისს, პერმის გუბერნიის ქ. ეკატერინბურგში. 2000 წელს რუსეთის წმ. სინოდმა ნიკოლოზ II ოჯახის წევრებთან ერთად წმინდანად შერაცხა –

ნიკოლოზი (წმ.) – ქრისტეს მოციქული (პირველდიაკვანი, „ერთი შვიდ დიაკონთაგანი“) –

ნინო (წმ.) – ქრისტიანობის გამავრცელებელი საქართველოში. აღესრულა სოფელ ბოდბინში (ამჟამად ბოდბე). იქვეა დაკრძალული –

ნინოშვილი ეგნატე (ნამდვილი გვარი – **ინგოროყვა**) (1859-1894) – მწერალი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე (მარქსისტი). თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „კვალი“, „მოამბე“ და სხვ.), აქვეყნებდა პროზაულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ წერილებს. მის დაკრძალვაზე (1894 წ. მაისი) ქართველმა მარქსისტებმა ოფიციალურად გამოაცხადეს ე. წ. „მესამე დასის“ დაფუძნება –

ნიცშე ფრიდრიხ (1844-1900) – გერმანელი ფილოსოფოსი, ფილოლოგი და კომპოზიტორი –

ომარ-ხანი (გარდ. 1801) – ავარიის სახანოს გამგებელი. ხშირად ესხმოდა თავს საქართველოს. 1800 წლის 7 ნოემბერს მდ. იორის ნაპირას (სოფელ კაკაბეთთან) გამანადგურებელი მარცხი იწვნია ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქრისაგან –

ორბელიანი ალექსანდრე (1802-1869) – მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟი), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი (გადაასახლეს ორენბურგის გუბერნიაში). გამოირჩეოდა მკაფიოდ გამოკვეთილი ანტირუსული სულისკვეთებით. საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე მისი სახელი დაკავშირებულია ი. კერესელიძის „ცისკართან“, რომლის დაარსებასა და გამოცემაში არსებითი ხასიათის მონაწილეობა მიიღო. აქვე აქვეყნებდა ლექსებს, დრამატულ ნაწარმოებებს, საისტორიო თხზულებებს, რეცენზიებს, ნაშრომებს ქართული სასაუბრო თუ სალიტერატურო ენის შესახებ, მემუარებს. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში –

ორბელიანი გიორგი (დაბ. 1818) – მწერალი (პოეტი, მთარგმნელი), საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში (გ. ერისთავის „ცისკარი“, ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“, „ივერია“), ძირითადად აქვეყნებდა ორიგინალურ პოეტურ ნაწარმოებებს, თარგმანებს (ბაირონი, ბერანჟე, კრილოვი და სხვ.) –

ორბელიანი გრიგოლ (1804-1883) – პოეტი-რომანტიკოსი, სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომებში“, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე (ხანგამოშვებით ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას), თბილისის გენერალ-გუბერნატორი, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ და „ქშწ-კ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ე. წ. „მამებისა“ და შვილების“ ბრძოლის მონაწილე (იცავდა „მამების“ პოზიციას), 1832 წლის შეთქმულების წევრი [მიესაჯა გადაყვანა „პირველი ლინიის“ (მოიცავდა ტერიტორიას ყუბანიდან თერგის შესართავამდე) ფეხოსანთა კორპუსში რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით]. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში –

ორბელიანი დიმიტრი (1808-1882) – ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების ძმა. სამხედრო სასწავლებელი ჰქონდა პეტერბურგში დამთავრებული. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. დაკავშირებული იყო შეთქმულთა როგორც თბილისის, ისე პეტერბურგისა და მოსკოვის წრეებთან (გადაასახლეს კალუგაში). დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში –

ორბელიანი ეკატერინე (1807-1873) – დავით ბარათაშვილის (გარდ. 1839) ასული და ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. მეუღლესთან ერთად დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში –

ორბელიანი ვახტანგ დიმიტრის ძე (1769-1812) – თეკლე ბატონიშვილის ქმარი. რუსების მხარდამხარ იბრძოდა აჯანყებული კახელების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში დაიღუპა კიდეც 1812 წლის 1 მარტს (სოფ. ჩუმლაყთან) –

ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე (1812-1890) – პოეტი-რომანტიკოსი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ალექსანდრე და დიმიტრი ორბელიანების ძმა. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (თავიდან მიუსაჯეს სიკვდილი – „ოთხად განკვეთა“, შემდეგ სასჯელი შეუცვალეს და კალუგაში გადაასახლეს). იყო „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 1850-იან წლებში დიდი ამაგი დასდო თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში –

ორბელიანი მაიკო (1818-1849) – თანამედროვეთა შორის სილამაზით განთქმული და ლიტერატურული გემოვნებით გამორჩეული არისტოკრატი, ნ. ბარათაშვილის ნათესავი, უახლოესი მეგობარი და არაჩვეულებრივი სითბოთი გამსჭვალული წერილების ადრესატი. გარდაიცვალა ჭლექისაგან –

ორბელიანი მანანა (1808-1870) – საზოგადო მოღვაწე. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს, თუმცა დაუწესეს საგანგებო მეთვალყურეობა). 1840-იან წლებში თბილისში ჰქონდა ლიტერატურული სალონი, რომელშიც დაიბადა და ჩამოყალიბდა ქართული პროფესიული თეატრისა და გიორგი ერისთავის „ცისკრის“ დაარსების იდეა. ქართველმა მწერლებმა მიუძღვნეს ხელნაწერი ლიტერატურული ალმანახი, რომელიც დაკარგულად ითვლება. დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში –

ორბელიანი ნინო (ქალიშვილობის გვარი – **აბაშიძე)** (1838-1919) – პოეტი, მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, თანამედროვეთა შორის ცნობილი ორატორი. თანამშრომლობდა პრესაში (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „მნათობი“, „დროება“, „ივერია“, „თეატრი“, „კვალი“ და სხვ.), ძირითადად აქვეყნებდა ლექსებს (იშვიათად: პუბლიცისტურ და მემუარულ ტექსტებს, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს...). სიცოცხლის ბოლოს, ყველასგან მივიწყებული, ცხოვრობდა უკიდურეს სიღარიბეში. გარდაიცვალა დავრდომილთა თავშესაფარში. დიდი პატივით დაკრძალეს დიდუბის პანთეონში –

ორბელიანი სულხან-საბა (1658-1725) – მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, განმანათლებელი, სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწე. გარდაიცვალა მოსკოვში და იქვეა დაკრძალული (ვსესვიატსკოეში). სულხან-საბას ნაწარმოებებიდან ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა „მოგზაურობა ევროპაში“ („ცისკარი“, 1852, №№1-4) –

ოუენი რობერტ (1771-1858) – ინგლისელი ფილოსოფოსი-სოციალისტი, ჟურნალისტი, პედაგოგი, ფაბრიკანტი. უარყოფდა თავისუფალი ნების პრინციპს. იდგა ინგლისის მუშათა პროფკავშირული მოძრაობის სათავეებთან –

ოქრომჭედლიშვილი ივანე – იხ. **სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი)** ივანე

ოქრომჭედლიშვილი ილია – იხ. **სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი)** ილია

ოქრომჭედლიშვილი ლაზარე – იხ. **სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი)** ლაზარე

ოქროპირ ბატონიშვილი (1794-1857) – გიორგი XII-ის ძე. 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ინიციატორი (დიმიტრი ბატონიშვილთან ერთად). 1803 წელს დედასთან, – მარიამ დედოფალთან, – და და-ძმებთან ერთად გადაასახლეს ბელგოროდში, საიდანაც რამდენიმე წლის შემდეგ პეტერბურგში გადაიყვანეს, საბოლოოდ კი მოსკოვში დამკვიდრდა. შეთქმულების გამომჟღავნებისთანავე მოსკოვიდან წაიყვანეს პეტერბურგში, იქ დაკითხეს და შემდეგ ჩამოიყვანეს თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ ოქროპირმა არ აღიარა „დანაშაული“, საგამომძიებლო კომისიამ იგი მიიჩნია „ბოროტგანზრახულების დასაბამის მიმცემად“ და კოსტრომაში გადასახლება მიუსაჯა, თუმცა რამდენიმე წელიწადში ხელისუფლებამ შეიწყალა და მოსკოვში დააბრუნა. დაკრძალულია მოსკოვშივე, პოკროვის სამონასტრო კომპლექსის წმ. იონა მიტროპოლიტის ეკლესიაში – 56

ოჩკინი (?) –

პავლე I (1754-1801) – რუსეთის იმპერატორი 1796-1801 წწ. (მოკლეს შეთქმულმა ოფიცრებმა) –

პანკრატიევი ნიკიტა (1788-1836) – გენერალ-ადიუტანტი, ე. წ. „კავკასიის ომების“, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. და სხვა ომების მონაწილე, 1831 წელს ოთხი თვის განმავლობაში (აპრილიდან აგვისტომდე) ასრულებდა კავკასიის მთავარმართებლისა და ჯარების სარდლის მოვალეობას –

პაპუაშვილი ნუგზარ – ფილოლოგი, რელიგიათმცოდნე, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომისა „კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ „დროების“ მასალების მიხედვით (გამოკვლევა და კატალოგი)“ (თბ.: 2008) –

პასკევიჩი ივანე (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი (1829 წლიდან). კავკასიის მთავარმართებელი (1827-1831) და ჯარების სარდალი (1826-1831). გარდაიცვალა ვარშავაში. ანდერძის თანახმად დაკრძალეს სოფელ ივანოვსკოეში (ყოფილი დემბლინი) –

პატოცკა – იხ. პოტოცკაია მარია

პაული ნ. – სამეურნეო ხასიათის ტექსტებს აქვეყნებდა „გუთნის-დედაში“ – 200

პაღოლებრუნი (?) –

პესტალოცი იოჰან ჰენრიხ (1746-1827) – შვეიცარიელი პედაგოგი და პედაგოგიკის თეორეტიკოსი. მისი პედაგოგიური მეთოდები ძირითადად მიმართული იყო მოზარდის ჰარმონიულ გონებრივ განვითარებაზე. მიიჩნევდა, რომ ცოდნა მაშინ არის სასარგებლო, როცა იგი პრაქტიკულად გამოიყენება. პედაგოგიურ აღზრდაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თვალსაჩინოებას. მიიჩნევენ პირველ სახალხო მასწავლებლად –

პეტრარკა ფრანჩესკო (1304-1374) – იტალიელი პოეტი, დიპლომატი, ერთიანი და განუყოფელი იტალიის იდეოლოგი. ქართულ პრესაში პეტრარკას ნაწარმოებებიდან პირველად გამოქვეყნდა ლექსი „კურთხევა“ („ცისკარი“, 1852, №1; მთარგმნელი გ. ერისთავი) –

პეტრე I (1672-1725) – რუსეთის მეფე 1682 წლიდან (1721 წლიდან – რუსეთის იმპერატორი). განახორციელა უმნიშვნელოვანესი რეფორმები რუსეთის პოლიტიკური, სოციალური, სამხედრო და კულტურული ცხოვრების ევროპეიზაციის მიზნით –

პეტრიძე – იხ. **მ. პეტრიძე**

პოლიევქტოვი (პოლიევკტოვი) მიხეილ (1872-1942) – ისტორიკოსი. 1919 წ. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად პეტროგრადიდან მოიწვია ივ. ჯავახიშვილმა. ძირითადად იკვლევდა რუსულ-ქართულ ურთიერთობათა ისტორიას. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე –

პოლონსკი იაკობ (1819-1898) – რუსი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი), ჟურნალისტი (1859-1860 წწ. რედაქტორობდა ჟურნალ „Русское слово“-ს). 1846-1851 წლებში ცხოვრობდა თბილისში და იყო გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორის მოადგილე. ი. პოლონსკის შემოქმედებაში ასახულია ქართული თემატიკა –

პოლტორაცკი (პოლტარაცკი) ივანე (1836-1892) – უკრაინული წარმოშობის ქართველი იურისტი და საზოგადო მოღვაწე (დედით ქართველი – ზედგინიძე), მთარგმნელი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ი. ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი და ერთგული თანამოაზრე (ილიამ მას და ი. წინამძღვრიშვილს უძღვნა „აჩრდილი“), რუსულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (თარგმანის მხოლოდ 150 სტრიქონია გადარჩენილი), აგრეთვე, ალ. ყაზბეგისა და ეკ. გაბაშვილის მოთხრობები. გარდაიცვალა ოქროყანაში, იქვეა დაკრძალული –

პოტო ვასილი (1836-1911) – სამხედრო ისტორიკოსი და გენერალ-ლეიტენანტი, ავტორი ფუნდამენტური ნაშრომებისა კავკასიაში რუსეთის შემოსვლისა და დამკვიდრების შესახებ –

პოტოცკაია მარია – პერსონაჟი ადამ მიცკევიჩის ლექსისა „გრაფინია პოტოცკაიას აკლდამა“ (გ. ერისთავის თარგმანში „პოტოცკას საფლავი“ – „ცისკარი“, 1852, №3)

პრიუდომი სიული (1839-1907) – ფრანგი მწერალი (პოეტი, ესეისტი), ჯგუფ „პარნასისა“ და საფრანგეთის აკადემიის წევრი, ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ლიტერატურის დარგში (მიენიჭა 1901 წელს). XIX ს. ქართულ პრესაში („ივერია“, „კვალი“) გამოქვეყნდა მისი რამდენიმე ლექსის თარგმანი (მთარგმნელი გრ. აბაშიძე) –

პრუდონი პიერ ჟოზეფ (1809-1865) – ფრანგი ეკონომისტი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი და ჟურნალისტი, სოციალისტი (კატეგორიულად უარყოფდა კომუნიზმს), ანტიკლერიკალი, ანარქიზმის თეორეტიკოსი, რომლის იდეებს [მის სიცოცხლეშივე და, განსაკუთრებით, მისი სიკვდილის შემდეგ) მრავალრიცხოვანი მიმდევარი გამოუჩნდა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, გერმანია, იტალია და სხვ.)] –

პუშკინი ალექსანდრე (1799-1837) – რუსი მწერალი. ითვლება ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებლად. ქართულ პრესაში ა. პუშკინის ნაწარმოებებიდან პირველად გამოქვეყნდა ლექსი „Пробуждение“ („ლექსად თქმული პუშკინის ძილი“, „ტფილისის უწყებანი“, 1830, №2; მთარგმნელი ალ. ჭავჭავაძე) –

ჟარი დე მანსი ა. – ფრანგი მეცნიერი, ავტორი წიგნისა „ძველი და ახალი ლიტერატურის, მეცნიერებათა და ნატიფი ხელოვნების ისტორია“, რომლის რუსულ თარგმანსაც („**История древних и новых литератур, наук и изящных искусств**“) დართული აქვს ს. დოდაშვილის თხზულება „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ –

ჟორდანია ნოე (1868-1953) – პოლიტიკური მოღვაწე („მესამე დასის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქართველ სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრთის ლიდერი), ჟურნალისტი („კვალის“ ფაქტობრივი რედაქტორი 1898 წლის იანვრიდან), პუბლიცისტი (ფსევდ.: „კოსტროვი“, „ანი“, „ნარიძე“ და სხვ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918-1921), საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის (1921) გამო დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე –

ჟურული გიორგი (1865-1951) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური (ეროვნულ-დემოკრატი) და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი (ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი). გარდაიცვალა ემიგრაციაში (საფრანგეთში). დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე –

რადიანი შალვა (ნამდვილი გვარი – **შეწირული**) (1905-1977) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ჟურნალისტი (1937-1942 წწ. რედაქტორობდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“), იკვლევდა ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს –

რაზმაძე სოლომონ (1897-1860) – პოეტი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. გადაასახლეს პენზაში და, მიუხედავად იმისა, რომ 1841 წელს ნება დართეს რუსეთის ნებისმიერ ქალაქში ცხოვრებისა, ხოლო 1850 წელს საერთოდ გაათავისუფლეს ყოველგვარი შეზღუდვისაგან, პენზაშივე დარჩა სამუდამოდ და იქვე გარდაიცვალა. ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832, №5) გამოქვეყნდა ალ. პუშკინის ორი ლექსის რაზმაძისეული თარგმანი (თარგმნილი აქვს აგრეთვე დ. ფონვიზინის, ჟ. ფ. მარმონტელის, ა. მიცკევიჩის ლექსები) –

რამიშვილი ისიდორე (1859-1937) – პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პედაგოგი, მემუარისტი, საქართველოში სოციალ-დემოკრატიულიული იდეოლოგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; ეწეოდა არალეგალურ მარქსისტულ-რევოლუციურ საქმიანობას, რის გამოც განუწყვეტელ რეპრესიებს განიცდიდა, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919-1921). საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არ უღალატა თავის პოლიტიკურ მრწამსს, რის გამოც ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დახვრეტის განაჩენი გამოუტანა –

რატიანი პროკოფი (1914-1988) – ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ჟურნალისტი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი (1857-1858). იკვლევდა შუა საუკუნეებისა და XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრისა და კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრების ისტორიას –

რატიანი შალვა (1933-1982) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას

რატიშვილი გაბრიელ (1771-დაახლ. 1820-იანი წწ.) – პოეტი, მემუარისტი, სახელმწიფო მოღვაწე. თავი გამოიჩინა 1800 წლის ე. წ. ნიახურის ომში ომარ-ხან ავარიელის წინააღმდეგ. 1801-1802 წწ. ადიუტანტად ახლდა რუსეთში გამგზავრებულ იოანე ბატონიშვილს და სამოგზაურო ხასიათის ლექსჩართულ ტექსტში („მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“) აღწერა კიდეც ეს მოგზაურობა –

რაჭველიშვილი ქრისტეფორე (1894-1937) – ისტორიკოსი, ფილოლოგი, ჟურნალისტი (ფსევდ. „რაჭველი“). დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (1917-1919). შეეწირა ბოლშევიკურ რეპრესიებს –

რეადი ნიკოლოზ (1792-1855) – კავალერიის გენერალი, მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებსა და პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობაში, აგრეთვე, რუსეთ-ოსმალეთის

1853-1856 წწ. ომში (დაიღუპა 1855 წლის 4 აგვისტოს). 1854 წელს დროებით ასრულებდა კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას –

რეგო ედუარდ (დაბ. 1816) – რუსი მკვლევარი-ბოტანიკოსი, სამეურნეო ხასიათის სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციების ავტორი –

რილლევი კონდრატი (1795-1826) – რუსი პოეტი, ჟურნალისტი (რ. ბესტუჟევთან ერთად 1823-1825 წწ. გამოსცემდა ჟურნალ „პოლიარნაია ზვეზდას“), დეკაბრისტთა ერთ-ერთი იდეოლოგი და მეთაური, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს (პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ციხის ეზოში, ჩამოახრჩვეს) –

რიშელიე (რიშელიო) – ფრანგი ჰერცოგი, პერსონაჟი რაფაილ ზოტოვის თხზულებისა „კალიოსტრო ღერცოღ რიშელიოსთან“ –

რობაქიძე გრიგოლ (1880-1962) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე (1942 წელს გერმანიაში დაარსებული „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი). თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის XX ს. ქართული ლიტერატურული აზროვნების მოდერნიზაციაში. 1931 წლიდან ცხოვრობდა ემიგრაციაში (გერმანია, შვეიცარია). გარდაიცვალა ჟენევაში და ერთხანს იქვე იყო დაკრძალული. 1976 წლიდან განისვენებს საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე –

რობოროვსკი პეტრე – კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ჩინოვნიკი, ალ. დიუმას „კავკასიის“ მთარგმნელი რუსულ ენაზე –

როზენი გრიგოლ (1782-1841) – ინფანტერიის გენერალი და გენერალ-ადიუტანტი, ბარონი, მონაწილეობდა პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობაში, კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კორპუსის მეთაური 1831-1837 წწ. (უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს ჩრდილოკავკასიელთა წინააღმდეგ). კავკასიიდან წასვლის შემდეგ იყო რუსეთის სენატის წევრი. დაკრძალულია მოსკოვში, წმ. დანიელის მონასტერში –

რომანოვი მიხეილ – იხ. **მიხეილ ნიკოლოზის ძე (რომანოვი)**

როსინი ჯოაკინო (1792-1868) – იტალიელი კომპოზიტორი, რომელსაც მსოფლიო აღიარება მოუტანა ე. წ. კომიკურმა ოპერამ „სევილიელი დალაქი“ –

როსტომაშვილი ივანე (1852-1924) – მწერალი, ჟურნალისტი, პედაგოგი (მასწავლებლობდა საინგილოში, ჯავახეთში, კახეთში, თბილისში), საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „მოგზაურისა“ (1901-1905) და გაზეთ „სინათლის“ (1910-1911) რედაქტორ-გამომცემელი; 1917 წელს გამოსცემდა „სახელმძღვანელო“ (საგანმანათლებლო) ჟურნალს „შინა-გიმნაზია და უნივერსიტეტი“ (სულ გამოვიდა ოთხი ნომერი), ხოლო 1920 წელს – სახალხო გაზეთს „შეისწავლეთ სოციალიზმი“. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „ჯეჯილი“ და სხვ.; ფსევდ.: „კახთ-კახოსი“, „დიზრაელი“, „ვანო“, „ი. რ.“ და სხვ.), აქვეყნებდა საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ წერილებს, პედაგოგიურ, საისტორიო და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის თხზულებებს... დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

როშფორი ანრი (1831-1913) – ფრანგი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი, ნაპოლეონ III-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დაუნდობელი კრიტიკოსი. საფრანგეთის სხვადასხვა მთავრობასთან დაპირისპირების გამო არაერთხელ იყო რეპრესირებული –

რუსთაველი (რუსთველი) შოთა – პოეტი, ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“. ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პირველი მასალა რუსთველზე ეკუთვნის ლუარსაბ არღუთინსკი-დოგორუკოვს (რაიმე რუსთაველისათვის, „ტფილისის უწყებანი“, 1829, №3) –

რჩეულიშვილი გრიგოლ (1820-1877) – მწერალი (პროზაიკოსი, პოეტი, მთარგმნელი), ჟურნალისტი (ძირითადად თანამშრომლობდა ივ. კერესელიძის „ცისკარში“) –

სააკაძე გიორგი (დაახლ. 1570-1629) – პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, წინააღმდეგობრივი ისტორიული ფიგურა, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში დღემდე დიამეტრალურადაა განსხვავებული (ეროვნული გმირიდან სამშობლოს მოღალატემდე) –

სააკაძე შალვა – XIX ს. ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი –

სავანელი ალექსანდრე – კრიტიკოსი, ისტორიკოსი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, თანამშრომლობდა ქართულ (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „დროება“...) და რუსულ („კავკაზ“) პრესაში. მსახურობდა დუშეთის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლედ. 1882 წ. ხელისუფლებამ ტამანის ნახევარკუნძულზე გადაასახლა –

სალტიკოვ-შჩედრინი მიხეილ (1826-1889) – რუსი მწერალი, ჟურნალისტი (1868-1884 წწ. იყო ნ. ნეკრასოვის თანარედაქტორი ჟურნალში „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“), პუბლიცისტი. ქართულ პრესაში მისი ნაწარმოებებიდან პირველად გამოქვეყნდა მოთხრობა „გეგემონიევი“ („ცისკარი“, 1866, №9; მთარგმნელი არ არის მითითებული) –

სანკოვსკი პავლე (1798-1832) – უკრაინული წარმოშობის (პოლტავიდან) სახელმწიფო მოხელე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ გაერთიანებული რედაქციის რედაქტორი, 1823-1832 წწ. ცხოვრობდა თბილისში და აქვე გარდაიცვალა ქოლერისგან –

სარაჯიშვილი ალექსანდრე (1851-1914) – მწერალი, მეცნიერი, პუბლიცისტი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგის, ყაზანის, კიევის უნივერსიტეტებში, საბოლოოდ კი ჟენევის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი დაასრულა (1876). იყო „ქშწ-კგ საზოგადოებისა“ და „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი (1902-1903) და გამომცემელი (1902-1905), „ვისრამიანის“ გამომცემელი (1884; ი. ჭავჭავაძესა და პ. უმიკაშვილთან ერთად), მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის განვითარებაში –

სარდუ ვიქტორიენ (1831-1908) – ფრანგი დრამატურგი, ფრანგული აკადემიის წევრი და საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი. მისი პიესის („ტოსკა“) მიხედვით ჯ. პუჩინიმ შექმნა ცნობილი ოპერა. ვ. სარდუს ტრაგედია „სამშობლო“ („ატრიე“) ქართულ ენაზე გადმოაკეთა დ. ერისთავმა, დადგა მიხ. ბებუთოვმა და ამ დადგმას მოჰყვა ტრიუმფული წარმატება მთელი საქართველოს მასშტაბით (პრემიერა თბილისში შედგა 1882 წლის იანვარში) –

სახოკია თედო (1868-1956) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. 1903-1905 წწ. რედაქტორობდა (ა. ჯორჯაძესა და გ. ლასხიშილთან ერთად) პარიზში გამომავალ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთ „საქართველოს“, აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ („ივერია“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“ და სხვ.) და კავკასიის რუსულ („კავკაზ“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ.) პრესაში. ქართულ ენას, ლიტერატურას, ზოგადად ეროვნულ კულტურას დიდი ამაგი დასდო თავისი ეთნოგრაფიული და სამოგზაურო ხასიათის თხზულებებით, მემუარებით, ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა შეკრებითა და გამოცემით, შესანიშნავი თარგმანებით (ბოკაჩო, ვოლტერი, ზოლა, მოპასანი და სხვ.) –

სენკევიჩი ჰენრიკ (1846-1916) – პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი (მიენიჭა 1905 წელს რომანისთვის „ვიდრე ჰხვალ?“). XIX ს. ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „ქართული ბიბლიოთეკა“, „კვალი“...) დაიბეჭდა მისი არაერთი პროზაული ნაწარმოები („ცეცხლითა და მახვილით“, „შეცდომათა კომედია“, „წეროები“ და სხვ.; მთარგმნელები: ივ. მაჭავარიანი, გრ. ყიფშიძე, ივ. ზურაბიშვილი, ილ. ჭყონია და სხვ.) –

სენ-სიმონი ანრი (1760-1825) – ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, უტოპიური სოციალიზმის სკოლის ფუძემდებელი. ჩამოაყალიბა (ო. ტიერისთან ერთად) „ევროპული საზოგადოების რეორგანიზაციის“ იდეა, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო საფრანგეთ-ინგლისის კავშირი და ამ კავშირს უნდა დაემყარებინა ევროპის კონტინენტური კონსტიტუციური წესრიგი, რაც საბოლოოდ საერთო-ევროპული პარლამენტის შექმნით დასრულდებოდა –

სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი) ივანე (1833-1868) – აგრონომი, ჟურნალისტი. დამთავრებული ჰქონდა გორიგორეცკის სამიწათმოქმედო ინსტიტუტი. მნიშვნელოვანი ფიგურა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში“ (1850-1918). ჟურნალ „გუთნის-დედის“ დაარსების სავარაუდო ინიციატორი და გარდაცვალებამდე – მისი ფაქტობრივი რედაქტორი. იქვე აქვეყნებდა აგრონომიული ხასიათის ორიგინალურ თუ ნათარგმნ წერილებს (ფსევდ. „ი. ს.“) –

სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი) ილია (1838-1898) – მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მრეწველი, ქველმოქმედი. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო-საისტორიო ნაშრომები, მნიშვნელოვან ფულად შემწეობას აძლევდა „ქშწ-კგ საზოგადოებას“, ქართულ თეატრს, სასწავლებლებს, ჰყავდა

სტიპენდიანტები რუსეთსა და საზღვარგარეთ, სცემდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს და სხვ.; დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი) ლაზარე – სიღნაღელი სახაზინო გლეხი. ივანე და ილია სერებრიაკოვების (ოქრომჭედლიშვილების) მამა –

სერვანტესი მიგელ დე (1547-1616) – ესპანელი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი, პოეტი), ავტორი რომანისა „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი“. ახალგაზრდობაში მსახურობდა ესპანეთის არმიაში და ბრძოლის ველზე სიმამაცითაც გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლეშივე აღიარებული მწერალი იყო, ცხოვრობდა განუწყვეტელ სიღარიბეში, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე კი ბერად აღიკვეცა. ქართულ პრესაში მისი ნაწარმოებებიდან პირველად გამოქვეყნდა „ლამანჩელი აზნაური დონ-კიხოტი“ – ცალკეული თავები („მნათობი“, 1869, №№1-10; 1870, №2; 1871, №№1-3; მთარგმნელი ნ. ავალიშვილი) –

სვიფტი ჯონათან (1667-1745) – ინგლისურენოვანი მწერალი (პროზაიკოსი, პოეტი) და პუბლიცისტი, რომელიც დაიბადა ირლანდიაში (დუბლინში) და ძირითადად იქვე ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მსოფლიო აღიარება მოუტანა სატირულმა ტეტრალოგიამ „გულივერის მოგზაურობა“. მისი შემოქმედებიდან ქართულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა „გულივერის მოგზაურობის“ ცალკეულ მონაკვეთთა თარგმანი („კრებული“, 1871, №№1-3; 1872, №6; მთარგმნელი ნიკო ნიკოლაძე) –

სიგიზმუნდ III (1566-1632) – პოლონეთისა (1587-1632) და შვედეთის (1592-1599) მეფე (შვედეთის სამეფო დინასტიის წევრი) –

სიმბორსკი ნიკოლოზ (1849-1881) – რუსი პოეტი და ჟურნალისტი. 1877 წ., როგორც გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ სამხედრო კორესპონდენტი, თბილისში ჩამოვიდა და აქვე დარჩა. თანამშრომლობდა კავკასიის რუსულ პრესასთან („ობზორი“, „ფალანგა“ და სხვ.), აქვეყნებდა ლექსებს, პუბლიცისტურ წერილებს. გაურკვეველი მიზეზით სიცოცხლე თბილისშივე დაამთავრა თვითმკვლელობით –

სიმონიჩი ივანე (გარდ. 1850) – გენერალ-ლეიტენანტი, მემუარისტი, რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი ირანში (1832-1838) –

სიმონოვიჩი – საქართველოში (გორში) მცხოვრები რუსი პედაგოგი. ქართველ მოღვაწეებთან დაახლოებული პირი –

სიპიაგინი ნიკოლოზ (1785-1828) – გენერალ-მაიორი, ჟურნალისტი, ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის მონაწილე, თბილისის გუბერნატორი 1820-იან წლებში. დაკრძალულია თბილისში, ქაშვეთის ტაძარში –

სირაძე რევაზ (1936-2012) – ლიტერატურათმცოდნე. იკვლევდა ქართული ქრისტიანული მწერლობის (ზოგადად, ქართული ქრისტიანული კულტურის) ისტორიას, სახისმეტყველებითი სისტემების, ენობრივი მსოფლმხედველობისა და სხვ. საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას –

სიტოვსკი (Ситовский) ნიკოლოზ (1829-1890) – კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მდივანი (მოგვიანებით – საპატიო წევრი), ჟურნალისტი (რედაქტორობდა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ პერიოდულ გამოცემას – „Записки Кавказского общества сельского хозяйства“). კავკასიაში მსახურობდა 1854-1876 წწ.; სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იყო მოსკოვის საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების საქმეთა მმართველი –

სიფრაშვილი ვ. – XIX–XX სს. ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის ისტორიის მკვლევარი –

სკანდელი – ნიკო ნიკოლაძის ფსევდონიმი –

სლივიცკი ივანე (1819-1874) – სამხედრო პირი, ჟურნალისტი, ლიტერატორი, ფოლკლორისტი, საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის პოპულარიზატორი, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი (1850-1854, 1868-1872). გარდაიცვალა თბილისში –

სოკრატე (სოგრატი) (ძვ. წ. 470/469-399) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი –

სოლომონ II (1772-1815) – იმერეთის მეფე (1789-1810). თავდადებით იბრძოდა ტახტის გადასარჩენად, თუმცა მისი ეს ბრძოლა წარუმატებლად დამთავრდა – რუსეთმა შეიერთა იმერეთი, ხოლო სოლომონ II დევნილობაში (ტრაპიზონში) გარდაიცვალა –

სოლომონ მსაჯული – იხ. **ლიონიძე** სოლომონ

სტრეკალოვი სტეფანე (1782-1856) – გენერალ-ლეიტენანტი, თბილისისა(1828-1831) და ყაზანის (1831-1840) სამხედრო გუბერნატორი –

სუვოროვი ალექსანდრე (1730-1800) – რუსი მხედართმთავარი, უთვალსაჩინოესი ფიგურა რუსეთის სამხედრო ისტორიაში, გენერალსიმუსი. მის სამხედრო კარიერაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ე. წ. „შვეიცარიის ლაშქრობა“ (ალპების გადალახვა 1799 წელს) –

სულხანიშვილი ალექსანდრე (1809-1874) – მწიგნობარი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, კალიგრაფი, პედაგოგი, პოლიგლოტი, მსოფლმხედველობით კონსერვატორ-სქოლასტიკოსი. დაკრძალულია მანგლისის სიონის გალავანში –

სულხანიშვილი გაბრიელ (1835-1879) – ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი. დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტი. მიიჩნეოდა „სალაყბოს ფურცლების“ ერთ-ერთ ავტორად, რაც კვლევებით არ დადასტურდა –

სულხანიშვილი ვასილ (1862-1909) – ჟურნალისტი, თეატრალური მოღვაწე („ქართული დრამატიული საზოგადოების“ მდივანი და თეატრალური დასის მმართველი 1880-1890 წწ.), გაზეთ „მეურნეს“ რედაქტორ-გამომცემელი (1888-1894), ქართულ პრესაში („ივერია“, „მეურნე“) ძირითადად აქვეყნებდა სამეურნეო ხასიათის წერილებს. დაკრძალულია თბილისში, კუკიის სასაფლაოზე –

სულხანიშვილი ივანე (1836-1904) – საზოგადო მოღვაწე, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“), ქველმოქმედი (საკუთარი ხარჯით აარსებდა სასწავლებლებს, ზრუნავდა ქართული სიძველეების აღდგენა-რესტავრაციაზე და სხვ.), აგრონომიული ხასიათის წერილებს ბეჭდავდა ქართულ პრესაში („გუთნის-დედა“, „დროება“ და სხვ.). დაკრალულია ტირძნისის (გორთან) ეკლესიის გალავანში –

სუმბათაშვილი – თბილისის სამხედრო გუბერნატორის ადიუტანტი 1820-იან წწ., „ტიფლისსკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტის“ წევრი –

სურგულაძე აკაკი (1913-1991) – ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ძირითადად იკვლევდა XIX-XX სს. ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

სუხორუკოვი ვასილ (1795-1841) – სამხედრო პირი (მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომში, მათ შორის, ახალციხის აღებაში), ისტორიკოსი, პოეტი, ჟურნალისტი, „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ გაერთიანებული რედაქციის რედაქტორის, პ. სანკოვსკის, მოადგილე, დეკაბრისტებთან საეჭვო ურთიერთობის გამო 1830 წელს განაწესეს ფინეთში მდგარ ერთ-ერთ პოლკში (1834-1839 წწ. კვლავ კავკასიაში მსახურობდა). გარდაიცვალა მშობლიურ ნოვოჩერკასკში –

სფირიდონ ჩიტორელიძე – სადავო (ი. ჭავჭავაძე, მიხ. ზ. ყიფიანი) ფსევდონიმი –

ტაბიძე ნოდარ – მეცნიერი, ლიტერატორი, ძირითადად იკვლევს XIX ს. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის, აგრეთვე, ჟურნალისტიკის თეორიის საკითხებს, მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორი გალაკტიონოლოგიაში –

ტაბიძე ტიციან (1895-1937) – მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის ერთ-ერთი მეთაური, თვალსაჩინო ფიგურა ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის ისტორიაში, ბათუმში გამომავალ გაზეთ „მთლიანი საქართველოს“ რედაქტორი (1920; გამოვიდა სამი ნომერი), ფაქტობრივი რედაქტორი გაზეთებისა: „ბარრიკადი“ (ხანგამოშვებით გამოდიოდა 1920-1924 წწ.) და „რუბიკონი“ (1923). 1930-იანი წწ. ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი (მისი დაღუპვის ადგილი და გარემოებები დღემდე არ არის გამორკვეული) –

ტატიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (გარდ. 1943) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და მთარგმნელობითი ხელოვნების ისტორიას. დაიღუპა II მსოფლიო ომში –

ტიუფიაევი კირილე (1777-1845) – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი („Действительный статский советник“), სხვადასხვა წლებში: პერმის, მინსკის, ტვერის, ვიატკის (1834-1837) სამოქალაქო გუბერნატორი –

ტოლსტოი ლევ (1828-1910) – რუსი მწერალი, ფილოსოფიური, რელიგიური, ლიტერატურულ-ესთეტიკური, პუბლიცისტური თხზულებების ავტორი. ქართულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა

მისი მოთხრობა „ოჯახობის ბედნიერება“ („ცისკარი“, 1872, №№1-2; მთარგმნელი მითითებული არ არის) –

ტურგენევი ივან (1818-1883) – რუსი მწერალი (პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი), ავტორი რომანებისა: „რუდინი“, „აზნაურთა ბუდე“, „მამები და შვილები“ „კვამლი“ და სხვ.; ცხოვრების დიდი ნაწილი სამშობლოს გარეთ გაატარა (გერმანია, საფრანგეთი...), გარდაიცვალა ბუჟივილში (პარიზთან), დაკრძალულია პეტერბურგში –

ტუსიშვილი ანა-ხანუმ (1805-1870) – ივანე კერესელიძის დედა. ანა-ხანუმის მამის, თბილისელი მოსე ტუსიშვილის, ოჯახი აღა-მაჰმად-ხანის მიერ წასხმულ ტყვეთა შორის მოხვდა და სპარსეთში 1813 წლამდე დარჩა (თვითონ ანა-ხანუმი სპარსეთში დაიბადა; წარმოშობით ტუსიშვილები ახმეტიდან იყვნენ) –

უზნაძე ნინო (1842-1878) – მსახიობი, ივანე კერესელიძის პირველი ცოლი, დამთავრებული ჰქონდა თბილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი, მონაწილეობდა „ცისკრის“ სარედაქციო და სასტამბო საქმეებში, დაკრძალულია სოფ. ბოგვში (თეთრი წყაროსთან)

უკრაინკა ლესია (ნამდვილი სახელი და გვარი – **ლარისა კოსაჩი**) (1871-1913) – უკრაინელი მწერალი (პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი, მთარგმნელი). ჭლექით დაავადებული, 1900-იან წწ. უმეტესად ცხოვრობდა საქართველოში (თბილისი, თელავი, ხონი, ქუთაისი, სურამი). გარდაიცვალა სურამში. დაკრძალულია კიევში. თბილისში მის სახელს ატარებს ქუჩა, რომელსაც XIX საუკუნეში გიმნაზიის შესახვევი ერქვა –

უმიკაშვილი პეტრე (1838-1904) – მწერალი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, გამომცემელი, პედაგოგი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. ქართულ პრესაში აქვეყნებდა ორიგინალურ თუ ნათარგმნ თხზულებებს, პუბლიცისტურ ნაწარმოებებს... (ფსევდ.: „ანჩისხატელი“, „ანჩისხატისუბნელი“, „მ. პეტრიძე“ და სხვ.); ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართველ მწერალთა თხზულებების გამოცემის საქმეს (დ. გურამიშვილი, ს.-ს. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. და ვახტ. ორბელიანები, ნ. ბარათაშვილი და სხვ.). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ურატაძე გრიგოლ (1878-1959) – პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, მწერალი-მემუარისტი, საქართველოს პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი (1918-1921). გარდაიცვალა ემიგრაციაში (პარიზში), დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე –

უშინსკი კონსტანტინე (1824-1870) – რუსი პედაგოგი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი რუსეთში. აღიარებდა აღზრდის განმსაზღვრელ მნიშვნელობას ადამიანის ფორმირებაში, განათლების დემოკრატიზაციისა და სასკოლო ცოდნის საყოველთაო ხელმისაწვდომობის აუცილებლობას. მიიჩნევდა, რომ განათლების ძირითადი ფუნქცია ადამიანის ზნეობრივი სრულქმნა და მასში გაცნობიერებული პატრიოტიზმის გაღვივებაა –

ფალავანდიშვილი ზაქარია (1818-1845) – მეცნიერი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „კავკასიისა მხარეთა უწყებანის“ ფაქტობრივი რედაქტორი –

ფალავანდიშვილი იასე (1803-1857 წ. შემდეგ) – 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1832 წლის 9 დეკემბერს გასცა შეთქმულება, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც მკაცრად დასაჯეს – რიგით ჯარისკაცად გაგზავნეს ჰელსინგფორსის (ამჟამად ჰელსინკი) დისციპლინურ ბატალიონში. გარდაიცვალა არხანგელსკის გუბერნიაში და იქვე (პეჩორის მხარეში, დასახლება უსტ-ცილმაში) არის დაკრძალული –

ფალავანდიშვილი მიხეილ (გარდ. 1821) – სახელმწიფო მოხელე (სასულიერო უწყების თარჯიმანი), მთარგმნელი, პირველი ქართული გაზეთის სავარაუდო თანამშრომელი, ზაქარია ფალავანდიშვილის მამა –

ფალავანდიშვილი ნიკოლოზ (1790-1855) – თვალსაჩინო ფიგურა კავკასიის მმართველობაში, იასე ფალავანდიშვილის ძმა, „კავკასიის ომების“ მონაწილე, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი (1832-1838), კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (1853 წლიდან). გამოირჩეოდა წიგნიერებით, დიპლომატიური და ორატორული ნიჭით. დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა მოპოვებული არა მარტო კავკასიის მმართველ წრეებში, არამედ ქართველ არისტოკრატიასა და ამიერკავკასიის მუსლიმთა მაღალ ფენებშიც. 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, გამარჯვების შემთხვევაში მისთვის ფინანსთა მინისტრის თანამდებობა

შეეთავაზებინათ. 1828-1832 წწ. იყო გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ საგამომცემლო კომიტეტის“ წევრი –

ფანცხავა რომანოზ (1861-1928) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მემუარისტი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალების „განთიადის“ (1915. ქუთაისი), „ცხოვრებისა“ (1915-1917. ქუთაისი) და „თავისუფლების“ (1917. ქუთაისი) რედაქტორ-გამომცემელი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („შრომა“, „თეატრი“, „ივერია“, „კვალი“, „აკაკის კრებული“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, სამეცნიერო და კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს, რეცენზიებს, თარგმანებს (ძირითადი ფსევდონიმი **„ხომლელი“**, აგრეთვე: „რომანოზ“, „გულკეთილი“, „ალესილი“ და სხვ.). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ფარნავაზ I (ძვ.წ. IV-III სს.) – ქართლის (იბერიის) პირველი მეფე, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი. ტრადიცია მიაწერს ქართული დამწერლობის შემოღებას (ლეონტი მროველის მიხედვით, „ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“) –

ფარნაოზ (ფარნავაზ) ბაგრატიონი (1775-1852) –ერეკლე II-ის ძე. იულონ ბატონიშვილთან ერთად იარაღით იბრძოდა საქართველოში რუსეთის ბატონობის აღმოსაფხვრელად (მხარს უჭერდა იულონის გამეფებას). 1805 წ. გადაასახლეს ვორონეჟში, შემდეგ ცხოვრობდა მოსკოვში, საბოლოოდ კი დამკვიდრდა პეტერბურგში, იქვე გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული – ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში. ფარნაოზ ბატონიშვილი 1832 წლის შეთქმულების საქმის კურსში იყო –

ფირცხალავა სამსონ (1872-1952) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „სიტყვა“, „კალამი“, „სამსონი“ და სხვ.), გამომცემელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917-1919) და დამფუძნებელი კრების (1919-1921) წევრი, გაზეთების „გლეხის“ (1906), „მიწის“ (1906-1907), „ფასკუნჯის“ (1908-1909) ფაქტობრივი რედაქტორი, ჟურნალ „ფასკუნჯისა“ (1910) და გაზეთ „სახალხო საქმის“ (1917-1921) რედაქტორ-გამომცემელი; 1922-1946 წწ. იმყოფებოდა ემიგრაციაში (საფრანგეთში), საიდანაც 1946 წელს სამშობლოში დაბრუნდა. 1951 წელს პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობის ბრალდებით საბჭოთა ხელისუფლებამ შუა აზიაში გადაასახლა, სადაც მომდევნო წელს გარდაიცვალა –

ფრანსი ანატოლ (1844-1924) – ფრანგი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ესეისტი, კრიტიკოსი), საფრანგეთის აკადემიის წევრი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (მიენიჭა 1921 წელს), ავტორი რომანებისა „ღმერთებს სწყურიათ“, „ანგელოზთა აჯანყება“ და სხვ.; 1900-იანი წწ. დასაწყისში ქართულ პრესაში („კვალი“, „მოამბე“) გამოქვეყნდა ა. ფრანსის რამდენიმე მოთხრობა („ჯესი“, „საშობაო ზღაპარი“, „შავი პურები“; მთარგმნელები: ი. იმედაშვილი, ივ. ახალშენიშვილი) –

ფრონელი – ალექსანდრე ყიფშიძის ფსევდონიმი –

ფურიე ფრანსუა მარი შარლ (1772-1837) – ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, უტოპიური სოციალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კაპიტალიზმის თანამიმდევრული კრიტიკოსი. მისი მოძღვრების საფუძველზე დასავლურ სოციოლოგიურ და ესთეტიკურ აზროვნებაში ჩამოყალიბდა მიმდინარეობა ფურიერიზმის სახელწოდებით –

ფურცელაძე ანტონ (1839-1913) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო და თეატრალური მოღვაწე, თანამშრომლობდა როგორც ქართულ (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“ და სხვ.), ისე რუსულ პრესაში (ფსევდონიმები: „ქერელი ბექა“, „ზურაბ მოენიძე“, „თავხედი“ და სხვ.). დაკრძალულია მშობლიურ სოფელ მერეთში (გორთან) –

ქანანოვი (ქანანაშვილი) ნიკოლოზ – ჟურნალისტი, თეატრალური მოღვაწე („ქართული დრამატიული საზოგადოების“ პირველი გამგეობის წევრი), ბანკირი (1910-იან წწ. ბაქოში სახელმწიფო ბანკს ხელმძღვანელობდა), გაზეთ „მოამბის“ (1884; გამოვიდა ერთადერთი ნომერი) რედაქტორ-გამომცემელი. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობის გამო საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი –

ქართველიშვილი გიორგი (1836-1901) – კომერსანტი (I გილდიის ვაჭარი), ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „დროების“ გამომცემელი (1883-1885), „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი

წევრი (შემდგომში: გამგეობის წევრი, ხაზინადარი, საპატიო წევრი). მისი ხარჯით 1885 წ. გამოიცა ვახუშტი ბატონიშვილის (ბაგრატიონის) „საქართველოს ისტორიის“ I ნაწილი (დიმ. ბაქრაძის გამოცემა), „ვეფხისტყაოსანი“ მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით (1888 წლის ე. წ. ქართველიშვილისეული გამოცემა), მატერიალურად ეხმარებოდა „ქშწ-კგ საზოგადოებას“, ქართულ თეატრს, ინახავდა რუსეთში მყოფ ხელმოკლე ქართველ სტუდენტებს, იღვწოდა ეკლესია-მონასტრებისა თუ სხვა სიძველეების განახლება-აღდგენისათვის და ა.შ.; დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ქეთევან – იხ. **ერისთავი ქეთევან**

ქეთევან ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1764-1840) – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ასული, პოეტი. მონაწილეობდა 1804 წ. მთიანეთის აჯანყებაში, რის გამოც დააპატიმრეს, შემდეგ კი ერთხანს შვილებითურთ რუსეთში იყო გადასახლებული. მოღწეულია მისი ერთადერთი ლექსი „ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი“, რომელშიც ალეგორიულ ფორმით გამოხატულია უკიდურესი ჭმუნვა სამშობლოს დამხობის გამო. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში –

ქეთევან დედოფალი (გარდ. 1624) – კახეთის მეფე დავით I-ის მეუღლე, დედა თეიმურაზ I-ისა, საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი. 1614 წლიდან მძევლად იმყოფებოდა შაჰ-აბას I-ის კარზე. გამაჰმადიანებაზე მტკიცე უარი თქვა და მოწამებრივად აღესრულა შირაზში 1624 წლის 12 სექტემბერს –

ქერელი ბექა – ანტონ ფურცელაძის ფსევდონიმი –

ქვარიანი თამაზ (1932-1995) – XIX ს. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი –

ქვარიანი სიმონ (1868-1946) – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი), ისტორიკოსი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ავტორი რომანისა „დიდი მოურავი“. აგრონომიული განათლება ჰქონდა მიღებული ოდესის, ლიონის, მონპელიეს, პარიზის უნივერსიტეტებში. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე –

ქინქლაძე ოთარ (1922-2006) – პედაგოგიკისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი, ჟურნალისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი (1973-1976) –

ქიქოძე გერონტი (1885-1960) – მთარგმნელი, პუბლიცისტი, ესეისტი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, უთვალსაჩინოესი ფიგურა XX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში. ქართულ პრესაში თანამშრომლობდა 1910-იანი წლებიდან. იყო ჟურნალ „არიფიონის“ (1928) თანარედაქტორი (ვ. გორგაძესთან ერთად). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ქიქოძე მოსე (გარდ. 1914) – პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე (ფედერალისტი), ცნობილი ორატორი, ინგლისელი ეკონომისტისა და ფილოსოფოსის, ჯონ სტიუარტ მილის (1806-1873), ეკონომიკურ შეხედულებათა მიმდევარი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქუთაისში. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში (ძირითადად – „მნათობი“, აგრეთვე: „მოამბე“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“...), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს. დაკრძალულია ქუთაისში –

ქობულაშვილი (ქობულოვი) თამაზ – პოეტი, გ. ერისთავის „ცისკარში“ (1852, №9) გამოქვეყნდა მისი ლექსი „ხელმწიფა წიგნს იწერება...“ –

ქობულაშვილი (ქობულოვი) ოთარ (გარდ. 1830) – პოეტი, მწიგნობარი, კოლეგიის მრჩეველი („Колежский советник“). გ. ერისთავის „ცისკარში“ (1852, №9) გამოქვეყნდა მისი ორი ლექსი –

ქრისტე – იხ. **იესო ქრისტე**

ქსნის ერისთავები – ქსნის საერისთავო-სათავადოს გამგებლები. XV საუკუნიდან ჩამოყალიბდა ფეოდალურ საგვარეულოდ (რეზიდენცია ჰქონდათ ახალგორში, საგვარეულო სამარხი – იკორთაში) – ; იხ. აგრეთვე: **ერისთავები** –

ღარდიაევი – იხ. **გორდეევი გრიგოლ**

ღერკულეს – იხ. **ჰერკულესი**

ღვინიაშვილი ანა (1904-1981) – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ბიბლიოგრაფი, ძირითადად იკვლევდა საბავშვო ლიტერატურისა და პრესის ისტორიის საკითხებს –

ღვინიაშვილი (ქალიშვილობის გვარი – **ფურცელაძე**) ეკატერინე – საზოგადო მოღვაწე, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („მნათობი“, „დროება“, „ივერია“), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, თარგმანებს (ფ. ლევალდი, ა. დოდე და სხვ.) –

ღომერი – იხ. **ჰომეროსი**

ღოღობერიძე ბესარიონ (1832-1879) – საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი. პეტერბურგში ყოფნისას ბ. ღოღობერიძე იქ მყოფ ქართველ სტუდენტთა მეთაურად და იდეურ ხელმძღვანელად ითვლებოდა. ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას. დიდი წვლილი შეიტანა კახეთში (საგარეჯო, გურჯაანი, ენისელი და სხვ.) სკოლების გახსნაში. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ქუთაისში, სადაც ხელმძღვანელობდა მისივე პროექტით ჩამოყალიბებულ სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკს („დროებაში“ გამოქვეყნებული აქვს პოლემიკური წერილები ბანკის შესახებ). დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ჯიხაიშში –

ღოღობერიძე დავით – ნიკ. ღოღობერიძის ძმა. მონაწილეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა 1860-იანი წწ. რევოლუციურ გამოსვლებში, რისთვისაც ერთხანს დაპატიმრებული იყო –

ღოღობერიძე ნიკოლოზ (1839-1911) – საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, გაზეთ „დროების“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, თბილისში ქართული სტამბის დამაარსებელი (დიმ. ბაქრაძესთან, სტ. მელიქიშვილთან და ვ. თულაშვილთან ერთად), „ქშწ-კგ საზოგადოების დამფუძნებელი წევრი. ჭიათურის შავი ქვის წარმოებით მოპოვებული ქონების დიდი ნაწილი ანდერძით დაუტოვა ქართულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებს. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („საქართველოს მოამბე“, „დროება“, „შრომა“, „ცნობის ფურცელი“), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს (ფსევდ. „რგანელი“). გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ყაზბეგი ალექსანდრე (1848-1893) – მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში („დროება“, „ივერია“, „თეატრი“, „ნობათი“, „საქართველოს კალენდარი“), აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებს (პროზა, პოეზია, დრამატურგია), პუბლიცისტურ და კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს, ეთნოგრაფიული ხასიათის თხზულებებს, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, რეცენზიებს (ფსევდ.: „მოჩხუბარიძე“, „მოხევე“). გარდაიცვალა თბილისში, სულით ავადმყოფთა სახლში. დაკრძალულია სტეფანწმინდაში –

ყაზბეგი დიმიტრი (1838-1880) – მწერალი, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ი. ჭავჭავაძის მეგობარი და თანამოაზრე. თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ განათლება მიიღო მოსკოვის, პეტერბურგის, ხარკოვის, პარიზის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ დამკვიდრდა მშობლიურ სტეფანწმინდაში. გამოაქვეყნა ერთადერთი ნაწარმოები – „მავნე სულები“ („კრებული“, 1872, №10-12; ფსევდ. „დ. ყ.“). დაკრძალულია სტეფანწმინდაში –

ყაზბეგი ელისაბედ (ლიზა) (1844-1915) – საზოგადო და თეატრალური მოღვაწე, მემუარისტი, ალ. ყაზბეგის ბიძაშვილი. 1870-იან წწ. სწავლობდა პეტერბურგში – სამეანო კურსებზე. აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ-ხალხოსნურ მოძრაობაში, რის გამოც დააპატიმრეს და თითქმის ორი წელი დაყო საპყრობილეში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მონაწილეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო და თეატრალურ ცხოვრებაში. მას ეკუთვნის ვერსია, რომლის მიხედვითაც ალექსანდრე ყაზბეგის სახელით ცნობილ თხზულებათა ნამდვილი ავტორი თითქოს სინამდვილეში ელისაბედის ძმა დიმიტრი ყაზბეგი იყო, თუმცა ეს ვერსია დასაბუთებულადაა უარყოფილი –

ყაითმაზოვი (ყაითმაზაშვილი) ივანე – ქართული და რუსული ენების ცენზორი 1860-1870-იან წწ., სამოქალაქო მრჩეველი („Статский советник“) –

ყვირილელი – ირაკლი წერეთლის ფსევდონიმი –

ყიფიანი დავით (1835-1892) – იურისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, მწერალი, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, დიმ. ყიფიანის ძმისწული, ი. ჭავჭავაძის მეგობარი (ერთად სწავლობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში), თანამოაზრე და თანამშრომელი (განსაკუთრებული ამაგი დასდო ილიას

„საქართველოს მოამბეს“), თბილისში ვაჟთა კერძო პანსიონის დამაარსებელი (1862), აქტიურად მონაწილეობდა „ქშწ-კგ საზოგადოების“ დაფუძნებაში, ქართული პრესის გავრცელების ორგანიზებაში და სხვ.; 80-იან წწ. იყო თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“), აქვეყნებდა პუბლიცისტურ და სამეცნიერო თხზულებებს (ფსევდ. „ქართლელი“). თარგმნილი აქვს უ. შექსპირის, ჟ. სანდის ნაწარმოებები. გარდაიცვალა ქვიშხეთში, იქვეა დაკრძალული –

ყიფიანი დიმიტრი (1811-1887) – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი, თეატრალი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ვოლოგდაში), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამაარსებელი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების ინიციატორი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე (1879-1882) და სხვ.; მოკლეს გადასახლებაში (სტავროპოლში). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

ყიფიანი ელენე (1855-1890) – მწერალი, ჟურნალისტი, ქველმოქმედი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, დიმ. ყიფიანის ქალიშვილი. მოღვაწეობდა ქუთაისში, სადაც გათხოვილი იყო საზოგადო მოღვაწესა და ბიბლიოფილ ანტონ ლორთქიფანიძეზე. დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიმღერებისა და სასულიერო საგალობლების შეკრებასა და ნოტებზე გადატანას. მისი ინიციატივით გამოიცა „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (1872), აგრეთვე, თარგმანთა კიდევ ორი კრებული – „მოთხრობანი“ (1880, 1882), ალმანახ „ქართული ბიბლიოთეკის“ (გამოდიოდა ქუთაისში 1883 წ.) ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქციის წევრი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „მნათობი“, ნობათი“ და სხვ.), აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს (ძირითადად, თარგმანებს: მოლიერი, მოპასანი, დოდე და სხვ.). გარდაიცვალა ქუთაისში, დაკრძალულია იქვე, წმ. გიორგის ეკლესიაში –

ყიფიანი მიხეილ (მიხაკო) ზაალის ძე (1833-1891) – პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო და თეატრალური მოღვაწე, ქველმოქმედი, 1871-1891 წწ. მსახურობდა ვლადიკავკაზში, სადაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებასა და ოს ხალხში განათლების გავრცელებას. გარდაიცვალა ვლადიკავკაზშივე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ყიფიანი მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე (1846-1916) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ჟურნალისტი, მწერალი, საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური (არალეგალური რევოლუციური საქმიანობისათვის ორჯერ იყო ციმბირში გადასახლებული), ეწეოდა ინტენსიურ პედაგოგიურ, თეატრალურ, ჟურნალისტურ, ლიტერატურულ მოღვაწეობას, აქვეყნებდა პუბლიცისტურ, საისტორიო, საენათმეცნიერო თხზულებებს, თარგმანებს, ორიგინალურ ლექსებს (ფსევდ.: „ზემოქართლელი“, „იორდანე“, „ტუსაღი“, „იორდანე ტუსაღი“, „ტ“ და სხვ.) დაკრძალულია ქვიშხეთში –

ყიფიანი ნიკოლოზ (1846-1905) – კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მეცნიერი, გამომცემელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დიმ. ყიფიანის შვილი. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, საიდანაც სტუდენტურ მღელვარებებში მონაწილეობის გამო გარიცხეს. 1890 წლიდან ცხოვრობდა უცხოეთში (საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია...), საბოლოოდ ბელგიაში (ბრიუსელში) დამკვიდრდა და იქვე გარდაიცვალა. ბრიუსელშივეა (იქსელის სასაფლაოზე) დაკრძალული –

ყიფიანი ნინო (ქალიშვილობის გვარი – **ჭილაშვილი**) (1827-1902) – დიმიტრი ყიფიანის მეუღლე. გაიზარდა პეტერბურგში და იქვე დაამთავრა სმოლნის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. კარგად ერკვეოდა მუსიკასა და ლიტერატურაში. მისი მოგონება ნ. ბარათაშვილზე ძვირფასი წყაროა პოეტის ცხოვრების შესასწავლად. გარდაიცვალა ქვიშხეთში. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში, მეუღლის გვერდით –

ყიფიანი რუბენ (1882-1965) – მწერალი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „რუბენა ლეჩხუმელი“, „ასკრიონელი“, „რალფი“), პოლიტიკური მოღვაწე (სოციალ-დემოკრატი), რის გამოც არაერთხელ იყო გაციმბირებული, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919-1921), საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში გადაიხვეწა (თურქეთი, გერმანია; საბოლოოდ საფრანგეთში

დამკვიდრდა), გარდაიცვალა ემიგრაციაშივე, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე –

ყიფშიძე ალექსანდრე (1862-1916) – ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ გამგეობის წევრი, თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში („დროება“, „საქართველოს კალენდარი“, „მოამბე“, „ივერია“, „სახალხო ფურცელი“, „საქართველო“, „კლდე“ და სხვ.), აქვეყნებდა საისტორიო ნაშრომებს, პუბლიცისტურ წერილებს, ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, თარგმანებს (ვ. გარშინი, ა. დოდე, ე. ვეიდენბაუმი და სხვ.), ქართველ მოღვაწეთა მოკლე ბიოგრაფიებს (ძირითადი ფსევდონიმი „ა. ფრონელი“, აგრეთვე: „ა. ფ-ლი“, „ა. ყ-ძე“ და სხვ.). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ყიფშიძე გრიგოლ (გიგა) (1858-1921) – მწერალი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, ბიბლიოგრაფი, პედაგოგი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ მდივანი, „ივერიის“ რედაქტორი (1903-1905), ალ. ყიფშიძის ძმა, ი. ჭავჭავაძის უახლოესი თანამშრომელი და მისი ბიოგრაფი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „იმედი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ, კრიტიკულ-ლიტერატურულ, სამეცნიერო წერილებს, თარგმანებს (მ. სალტიკოვ-შჩედრინი, ა. დოდე, მოპასანი, ჰ. სენკევიჩი და სხვ.; ფსევდ.: „გ. ყ.“, „გრ. ყ-ძე“, „უხუცესი“ და სხვ.). მეუღლესთან, მსახიობ ბარბარე კორინთელთან, ერთად დაკრძალულია ქარელთან, სოფ. საღოლაშენის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში –

ყორანაშვილი გურამ – ისტორიკოსი, იკვლევს საქართველოს ისტორიის საკითხებს უძველესი დროიდან უახლეს პერიოდამდე, მათ შორის, XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას –

ყორღანაშვილი (ყორღანოვი) თომა – სახელმწიფო მოხელე. 1820-იან წწ. მთარგმნელად მსახურობდა თბილისის სასამართლო პალატაში. პირველი ქართული გაზეთის სავარაუდო თანამშრომელი –

შათირიშვილი ზაზა – ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, იკვლევს ფილოსოფიური, ლიტერატურათმცოდნეობითი, კულტუროლოგიური პრობლემატიკის ფართო სპექტრს –

შამილიშვილი მანანა – მკვლევარი, ჟურნალისტი, ძირითადად იკვლევს მედიალოგიასა და ქართული ჟურნალისტიკის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას –

შანშიაშვილი (შანშიევი) ალექსანდრე (1837-1869) – აგრონომი. დამთავრებული ჰქონდა გორიგორეცკის სამიწათმოქმედო ინსტიტუტი. თანამშრომლობდა ქართულ („გუთნის-დედა“) და კავკასიის რუსულ პრესაში –

შანშიაშვილი დოდო – XIX ს. ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი –

შარაძე გურამ (1940-2007) – ფილოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ქართული ემიგრაციის მუზეუმის დამაარსებელი, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის“ მრავალტომეულის ავტორი, ნაყოფიერად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

შარვაშიძე გიორგი (1846-1918) – პოეტი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძის (1811-1865), მემკვიდრე. 1866 წ. რუსეთის მიერ გაუქმებული სამთავრო ტახტის აღდგენისათვის მებრძოლმა აჯანყებულმა აფხაზებმა მთავრად გამოაცხადეს, თუმცა აჯანყება დამარცხდა, ხოლო გ. შარვაშიძე შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს. ერთხანს ცხოვრობდა პეტერბურგში და დიდად მიღებული პირი იყო იმპერატორის კარზეც და ოჯახშიც, თუმცა საქართველოში დაბრუნება არჩია. აფხაზეთში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა და ამიტომ დაფუძნდა ქუთაისში (მხოლოდ 1905 წ. მიიღო მშობლიურ აფხაზეთში ცხოვრების უფლება); თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „თეატრი და ცხოვრება“, „სამშობლო“), აქვეყნებდა ლექსებს, საისტორიო თხზულებებს, რეცენზიებს (ფსევდ.: „პონტოქსელი“, „გარდახვეწილი“, „გარდანახვეწი“). მისი შემოქმედების უმეტესი ნაწილი დაკარგულად ითვლება. გარდაიცვალა სოხუმში, დაკრძალულია მოქვის ტაძარში –

შელი პერსი ბიში (1792-1822) – ინგლისელი პოეტი. სწავლობდა ოქსფორდში, საიდანაც გარიცხეს რადიკალურ-ათეისტური მსოფლმხედველობის გამო. მონაწილეობდა ირლანდიის

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ბაირონთან. სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა იტალიაში. დაიღუპა ზღვაში (სპეციის ყურეში). მისი ცხედარი დაწვეს, ხოლო ფერფლი რომში დაკრძალეს. გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნდა შელის ორი ლექსი: „მოგონება“ (მთარგმნელი ნ. კურდღელაშვილი) და „სიყვარულის ფილოსოფია“ (მთარგმნელი დუტუ მეგრელი) –

შენიე ანდრე (1762-1794) – ფრანგი პოეტი, ჟურნალისტი, მოგზაური, პოლიტიკური მოღვაწე, მონაწილეობდა საფრანგეთის 1789 წ. რევოლუციაში, რამაც ეშაფოტამდე მიიყვანა. ქართულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა მისი ლექსი „ზღვათა მფლობელის ვენეტიკის ზღუდეთა თანა...“ („საქართველოს მოამბე“, 1863, №9; მთარგმნელი ი. ჭავჭავაძე) –

შექსპირი უილიამ (1564-1616) – ინგლისელი მწერალი და თეატრალური მოღვაწე. ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მისი პირველი ნაწარმოებია „ჰამლეტი“ (ჰამლეტი პრინცი დანიისა, „ცისკარი“, 1858, №№5-8; მთარგმნელი ლ. არდაზიანი) –

შველიძე დიმიტრი – ისტორიკოსი, იკვლევს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის, ძირითადად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის, პოლიტიკური პარტიების წარმოშობისა და მათი მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური მიმართულებების საკითხებს –

შილერი ფრიდრიხ (1759-1805) – გერმანელი მწერალი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი, გერმანული განმანათლებლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი პიესები („ყაჩაღები“, „დონ კარლოსი“) წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ფ. შილერის ნაწარმოებებიდან ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა ლექსი „განყოფა სოფლისა“ („ცისკარი“, 1852, №3; მთარგმნელი გ. ერისთავი) –

ჩაიკოვსკი პეტრე (1840-1893) – რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი. მის სახელს ატარებს ქუჩა თბილისში, რომელსაც ადრე კონსულის ქუჩა ერქვა და სადაც ერთხანს „ივერიის“ რედაქცია მდებარეობდა –

ჩარკვიანი გრიგოლ (1852-1922) – მესტამბე, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე. 1878 წელს ი. ჭავჭავაძისა და ი. გოგებაშვილის დახმარებით ქაშვეთის ეკლესიასთან გახსნა წიგნის მაღაზია (აქ იკრიბებოდნენ და ქართული კულტურის საკითხებზე მსჯელობდნენ: ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, დიმ. ბაქრაძე და სხვ.). 1880 წელს დააარსა სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა როგორც ჟურნალ-გაზეთები (მათ შორის, „ივერია“), ისე წიგნებიც. 1890-იან წწ. მისი ინიციატივით ნაძალადევში დაფუძნდა პირველდაწყებითი სამრევლო სკოლა, სახალხო თეატრი და სხვ. –

ჩახრუხაძე (XII-XIII სს.) – თამარის ეპოქის პოეტი, მიეწერება სახოტბო პოემა „თამარიანის“ ავტორობა –

ჩერნიშოვი ალექსანდრე (1785-1857) – გრაფი, გენერალ-ადიუტანტი და კავალერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი, რუსეთის სამხედრო მინისტრი (1827-1852) –

ჩიკვაიძე (ჩიკოიძე) მიხეილ (1837-1908) – მთარგმნელი, ი. ჭავჭავაძის გიმნაზიისდროინდელი მეგობარი და მისი ლიტერატურული წრის წევრი (1860-იანი წწ.). სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, თუმცა სწავლა არ დაუმთავრებია. „საქართველოს მოამბეში“ (1863, №3) ერთადერთი თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ იგი არ ჩანს საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე, თუმცა ი. ჭავჭავაძესთან ახლო ურთიერთობას ინარჩუნებს –

ჩიკვილაძე დალი – XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი, შეადგინა და გამოსცა „ქართული პუბლიცისტიკა“ (ქრესტომათია. XIX ს.) –

ჩიქობავა არნოლდ (1898-1985) – ენათმეცნიერი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ქართული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი. მისი საერთო რედაქციით გამოიცა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (I-VIII. თბ.: 1950-1964) –

ჩიქოვანი გიორგი – სახელმწიფო მოხელე (1820-იან წწ. მსახურობდა აღმასრულებელ ექსპედიციაში), პირველი ქართული გაზეთის სავარაუდო თანამშრომელი –

ჩიქოვანი (ჩიქოანი) გიორგი (1841-1887) – მთარგმნელი, ჟურნალისტი, „თერგდალეულთა“ თანამდგომი, ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბის“ აქტიური თანამშრომელი, გაზ. „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქტორი (1880-1882), ქართულ პრესაში („საქართველოს მოამბე“, „კრებული“) გამოქვეყნებული აქვს თარგმანები (ჰიუგო, გოგოლი) –

ჩოლოყაშვილი ალექსანდრე (1803-1833) – გიორგი XII-ის შვილიშვილი (რიფსიმე ბატონიშვილის ძე), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს, თუმცა საიდუმლო მეთვალყურეობა დაუწესეს). გარდაიცვალა პეტერბურგში და იქვეა (სმოლენსკის სასაფლაოზე) დაკრძალული –

ჩოლოყაშვილი ზაქარია (1799-1851 წ. შემდეგ) – ალ. ჩოლოყაშვილის ძმა, პოლკოვნიკი, „კავკასიის ომების“ მონაწილე, 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი (თავიდან სიკვდილი მიუსაჯეს, თუმცა შემდეგ ეს სასჯელი ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს) –

ჩუბინაშვილი დავით (1738-1810) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ქართლ-კახეთის სამეფო კარის ეკლესიის მღვდელი, მესტამბე, ნიკოლოზ (ნიკო) ჩუბინაშვილის მამა –

ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი) დავით იესეს ძე (1814-1891) – მეცნიერი (ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი), გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, ქართული კულტურის პოპულარიზატორი რუსეთსა და ევროპაში, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგე (1855-1871). გარდაიცვალა პეტერბურგში, იქვეა დაკრძალული –

ჩუბინაშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1788-1845) – ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ქართული სიძველეების მკვლევარი. 1825-1837 წწ. მსახურობდა პეტერბურგში. 1845 წელს იმოგზაურა პალესტინაში (აღწერა ჯვრის მონასტრის სიძველეები, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ხელნაწერი, გადმოიღო რუსთველის პორტრეტი და სხვ.). გარდაიცვალა პეტერბურგში, იქვეა (სმოლენსკის სასაფლაოზე) დაკრძალული –

ჩქოტუა დავით (1849-1929) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მეცნიერი (მისი არქივი დაკარგულად ითვლება), „თერგდალეულთა“ თანამოაზრე და თანამებრძოლი, ეროვნებით აფხაზი. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ საუნივერსიტეტო (საბუნებისმეტყველო) განათლება მიიღო ოდესასა და პეტერბურგში. 1875 წ. დაბრუნდა საქართველოში (თბილისში) და აქტიურად ჩაება ლიტერატურულ-ჟურნალისტურ მუშაობაში. თანამშრომლობდა პრესაში („დროება“, „კრებული“, „სასოფლო გაზეთი“), აქვეყნებდა პუბლიცისტურ და საგანმანათლებლო ხასიათის წერილებს. ი. ჭავჭავაძეს სურდა, ძირითად თანამშრომლად და ერთ-ერთ რედაქტორად მიეწვია „ივერიაში“, თუმცა დ. ჩქოტუას ცხოვრება ტრაგიკულად განვითარდა – 1876 წელს დაბრალდა მკვლელობა, რის გამოც 1878-1906 წწ. ციმბირის კატორღებში იხდიდა სასჯელს. დაკრძალულია აფხაზეთში, გალის რაიონის სოფ. საბერიოში –

ჩხარტიშვილი მარიამ – ისტორიკოსი. ძირითადად იკვლევს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფულ პრობლემატიკას, ქართული იდენტობის ისტორიას –

ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) (1864-1926) – პოლიტიკური მოღვაწე (სოციალ-დემოკრატი), „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, პუბლიცისტი, ბრწყინვალე ორატორი; რუსეთის სახელმწიფო დუმის IV სათათბიროს მენშევიკური ფრაქციის (1912), მუშათა და ჯარისკაცთა პეტროგრადის საბჭოს (1917), ამიერკავკასიის სეიმისა (1918) და საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921) თავმჯდომარე. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („კვალი“, „სხივი“ და სხვ.), ძირითადად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს. 1921 წ. წავიდა ემიგრაციაში (პარიზში), სადაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. დაკრძალულია პარიზში, პერ ლაშეზის სასაფლაოზე –

ჩხეიძე როსტომ – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი [ჟურნალების „ომეგასა“ (1999-2004) და „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორი], პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე („ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების“ დამფუძნებელი), იკვლევს საკითხთა ფართო წრეს, მათ შორის, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

ცაგარელი ალექსანდრე (1844-1929) – მეცნიერი (ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი), კრიტიკოსი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ჟურნალისტი (თანამშრომლობდა ივ. კერესელიძის „ცისკართან“, „დროებასთან“ და სხვ.), პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი (1886-1917) და ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგე (1871-1917), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1920-1929). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

ცაიშვილი სოლომონ (1900-1957) – ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი. იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ცერცვაძე სვ. – „დროების“ მკითხველი –

ცხაკაია მიხეილ (მიხა) (1865-1950) – „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, რევოლუციონერი-მარქსისტი (ფსევდ. „ბარსოვი“), რის გამოც არაერთხელ იყო რეპრესირებული [1907-1917 წწ. ემიგრაციაში ცხოვრობდა (ჟენევაში). 1917 წ. ლენინთან ერთად დაბრუნდა რუსეთში], ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლის“ (1917-1918) თანარედაქტორი (ფ. მახარაძესთან ერთად). 1923-1924 და 1929-1930 წწ. საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი (1922-1937). 1922 წელს, როგორც ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის შექმნას. გარდაიცვალა მოსკოვში. 1980-იან წლებამდე ემარხა მთაწმინდის პანთეონში, საიდანაც კუკიის სასაფლაოზე გადაასვენეს –

ცხვედაძე ნიკოლოზ (ნიკო) (1845-1911) – პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, წესდების თანაავტორი, გამგეობის მუდმივი წევრი, ხოლო 1885-1907 წწ. – თავმჯდომარის (ი. ჭავჭავაძის) „ამხანაგი“ (მოადგილე). მისი ინიციატივითა თუ უშუალო მონაწილეობით დაარსდა სკოლები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ძველ სენაკში, ხელთუბანში, კავკავში და სხვ.; არსებითად მის მხრებზე გადაიარა თბილისის გიმნაზიისათვის განკუთვნილი შენობის (ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორუსი) აგების მთელმა სიმძიმემ. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („მნათობი“, „კრებული“, „ივერია“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, საისტორიო ნარკვევებს. დაკრძალულია იყო დიდუბის პანთეონში, ამჟამად უნივერსიტეტის პანთეონში განისვენებს –

ძაძამია მზია – ლიტერატორი, XIX ს. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი –

წერეთელი აკაკი (1840-1915) – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, კრიტიკოსი, მთარგმნელი), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „აკაკის თვიური კრებულისა“ (1897-1900) და გაზეთ „ხუმარას“ (1907) რედაქტორ-გამომცემელი, ალმანახ „ზურნას“ (1908) რედაქტორი, ჟურნალ „ცეცხლის“ (1907-1908) ფაქტობრივი რედაქტორი. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

წერეთელი გიორგი (1842-1900) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „თერგდალეულთა“ თაობის თვალსაჩინო წევრი, „დროების“ პირველი რედაქტორი (1866-1869), „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემელი (1868; 1870-1873), ჟურნალ „კრებულის“ (1871-1873) ოფიციალური რედაქტორი, გაზეთ „კვალის“ ფაქტობრივი ხელმძღვანელი (1893-1897). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

წერეთელი ელისაბედ – პოეტი. გ. ერისთვის „ცისკარში“ (1852, №4) გამოქვეყნდა მისი კლასიცისტური ხასიათის ლექსი „უსტარი თ[ავად] გ[იორგი] ერ[ისთავს]“ –

წერეთელი ექვთიმე – ლიტერატორი, სახელმწიფო მოხელე („ტიტულარული სოვეტნიკი“; იყო ქუთაისის მაზრის სასამართლოს მდივანი და ერთხანს იმავე მაზრის პროკურორის მოვალეობასაც ასრულებდა), გიორგი წერეთლის მამა; „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის მონაწილე [1862 წ. „ცისკარში“ (№2) გამოაქვეყნა წერილი „უფალო რედაკტორო!“, რომელშიც დაუპირისპირდა ი. ჭავჭავაძეს და ამას „თერგდალეულთა“ მწვავე კრიტიკული გამოხმაურებები მოჰყვა]. დაკრძალულია იმერეთის სოფ. გორისაში –

წერეთელი ვასილ (1862-1937) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი (ფსევდ. „ურო“), კრიტიკოსი, მემუარისტი, ექიმი, თვალსაჩინო ფიგურა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919-1921), გაზეთ „იმერეთის“ (1912-1915) ფაქტობრივი რედაქტორი (1912-1914) ალ. ჯაფარიძესთან ერთად, გაზეთ „სამშობლოს“ (1915-1917) რედაქტორი (1917), გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ (1917-1918) თანარედაქტორი, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „აკაკის კრებული“, „ცნობის ფურცელი“, „სამშობლო“, „საქართველო“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ სტატიებს, კრიტიკულ-ლიტერატურულ და ფილოსოფიურ თხზულებებს, სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წერილებს

ხელოვნების, პედაგოგიკის, მედიცინის, ეთნოგრაფიისა და სხვ. საკითხებზე. დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე –

წერეთელი ირაკლი (1882-1959) – პოლიტიკური მოღვაწე (სოციალ-დემოკრატი), პუბლიცისტი (ფსევდ. „ყვირილელი“), მემუარისტი, თვალსაჩინო ფიგურა „მესამედასელთა“ პოლიტიკურ ჯგუფში, ქართველ და რუს მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წ. წავიდა ემიგრაციაში (საფრანგეთში). საბოლოოდ დამკვიდრდა ამერიკაში. სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა ანტისაბჭოურ საქმიანობას. გარდაიცვალა ნიუ-იორკში. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე –

წერეთელი მარი – XIX ს. ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი –

წერეთელი მიხეილ (მიხაკო) (1878-1965) – ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, თბილისის, ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საზღვარგარეთ მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა“ (1914-1918) და პატრიოტულ-პოლიტიკური ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ (1926-1940-იანი წწ.) ერთ-ერთი ხელმძღვანელი. თანამშრომლობდა როგორც საქართველოს („ცნობის ფურცელი“, „ნობათი“, „მოამბე“ და სხვ.), ისე ემიგრანტულ ქართულ პრესაში („საქართველო“, „ბედი ქართლისა“ და სხვ.), აქვეყნებდა საისტორიო და ლიტერატურულ წერილებს, პუბლიცისტურ თხზულებებს და სხვ. (ფსევდ.: „ ატონ“, „მ. სანგალა“). საქართველოს ბოლშევიზაციის შემდეგ იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. გარდაიცვალა მიუნხენში. იქვეა დაკრძალული –

წინამძღვრიშვილი ილია (1834-1920) – პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი, თანამოაზრე და თანამებრძოლი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 1883 წ. თავის მამულში საკუთარი ხარჯით დააარსა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, სამეურნეო და პედაგოგიური ხასიათის თხზულებებს (ფსევდ.: „ი. წ.“, „ლ“, „მ“, „ხორეშან გვერდწითელისა“, „ხორეშან ლოყაწითელი“). გარდაიცვალა მშობლიურ წინამძღვრიანთკარში, იქვეა დაკრძალულია –

წინამძღვრიშვილი ლია – XIX-XX სს. ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი, ავტორი წიგნისა „საქართველოს დემოკრატიული პრესა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში (გაზეთ „ნოვოე ობოზრენის“ 1884-1906 წწ. მასალების მიხედვით)“ –

წულუკიძე ალექსანდრე (საშა) (1876-1905) – მარქსისტი-რევოლუციონერი, „მესამე დასის“ წევრი, პუბლიცისტი, ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოში (საერთოდ ამიერკავკასიაში), გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ (1903-1905) ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქტორი (ი. ჯუღაშვილ-სტალინთან და სტ. შაუმიანთან ერთად). თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („კვალი“, „მოგზაური“, „ბრძოლა“ და სხვ.), ძირითადად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს. დაკრძალულია მშობლიურ ხონში –

წყალტუბელი – იხ. **გ. წყალტუბელი**

ჭავჭავაძე ალექსანდრე (1786-1846) – პოეტი-რომანტიკოსი, მთარგმნელი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ტამბოვში). დაკრძალულია კახეთის შუამთის მონასტერში –

ჭავჭავაძე ეკატერინე – იხ. **ეკატერინე დადიანი**

ჭავჭავაძე ილია (1838-1907) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოში ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ფუძემდებელი, ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, „საქართველოს მოამბისა“ და „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი –

ჭავჭავაძე ნიკოლოზ – მონაწილეობდა ივ. კერესელიძის „ცისკრის“ რედაქციაში ალ. დიუმას პატივსაცემად გამართულ პურობაზე. შესაძლებელია, ეს იყოს **ნიკოლოზ (ნიკო) ზურაბის ძე ჭავჭავაძე** (1830-1897), კავალერიის გენერალი და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი,

ბიბლიოფილი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, „თერგდალეულებთან“ დაახლოებული პირი –

ჭავჭავაძე ნინო გრიგოლის ას. – იხ. **აბხაზი** ნინო

ჭავჭავაძე ოლღა (1842-1927) – საგურამოელი მემამულის, თადეოზ გურამიშვილის, ასული, ილია ჭავჭავაძის მეუღლე (ჯვარი დაიწერეს 1863 წლის 10 აპრილს). ხელისუფლების წინაშე იშუამდგომლა, რათა სიკვდილით არ დაესაჯათ ილიას მკვლელები. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით –

ჭავჭავაძე-გრიბოედოვა ნინო (1812-1857) – ალ. ჭავჭავაძის ასული, ალ. გრიბოედოვის მეუღლე (ჯვარი თბილისის სიონის ტაძარში დაიწერეს 1828 წელს). თეირანში დიპლომატიური მისიით მიმავალმა ქმარმა უთხრა – „თუ სპარსეთში მოვკვდე, ნუ დატოვებენ იქ ჩემს ძვლებს; თბილისში, მამადავითის მონასტერში, დამკრძალეთო“. ნინომ ქმრის ეს სურვილი შეასრულა, გრიბოედოვი მამადავითის ეკლესიის გალავანში დამარხა და საფლავზე ძეგლიც დაუდგა. ნინო ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1857 წელს, თბილისში, ქოლერით. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით –

ჭალადიდელი გიორგი (ნამდვილი გვარი – **ქოჩაქიძე**) (1847-1898) – „თერგდალეულთა“ სკოლის პოეტი, პუბლიცისტი, სამხედრო პირი (პოლკოვნიკი). მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო სამსახურის გამო სამშობლოში იშვიათად იმყოფებოდა, მაინც ახერხებდა ქართულ პრესასთან თანამშრომლობას („დროება“, „მნათობი“, „კრებული“, „ივერია“ და სხვ.), აქვეყნებდა ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს (ძირითადად, ლექსებს), პუბლიცისტურ თხზულებებს (ფსევდ.: „ქიშვარდიანი“, „სირიაჩქონელი ქიშვარდიანი“). სიცოცხლის ბოლო წლებში გადაწყვეტილი ჰქონდა სამხედრო სამსახურისათვის თავის დანებება და სამშობლოში სამუდამოდ ჩამოსვლა, მაგრამ მის ამ განზრახვას სიკვდილმა დაუსვა წერტილი. გარდაიცვალა მინსკში, ასთმისაგან, ჩამოასვენეს საქართველოში და ჭალადიდის ეკლესიის გალავანში დაკრძალეს, ხოლო 1940 წელს სენაკში გადაასვენეს –

ჭელიძე ვახტანგ (1917-2005) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალების „ნიანგისა“ (1955-1957) და „ცისკრის“ (1957-1962), გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ (1973-1985) მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „ხომლის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი (1968-1973). ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა უ. შექსპირის, ჩ. დიკენსის, ე. ჰემინგუეის, ჯ. სტაინბეკის, ჯ. სელინჯერისა და სხვ. ნაწარმოებები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ჭილაია ანდრო (1903-1873) – ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი 1945-1950 წწ.; იკვლევდა ლიტერატურის თეორიისა და XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს –

ჭილაშვილი – პორუჩიკი, „ტიფლისსკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტის“ წევრი – 42

ჭილაშვილი ნინო – იხ. **ყიფიანი** ნინო

ჭიჭინაძე ალექსი (1851-1917) – პედაგოგი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. მიღებული ჰქონდა საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება (მოსკოვში). ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ ქუთაისში, შემდეგ – თბილისში; იყო თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი (1886-1894), თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორი (1894-1900), ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლების (1900-1905), ხონის საოსტატო სემინარიისა (1905-1914) და თბილისის ქართული გიმნაზიის (1914-1917) დირექტორი; თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „შრომა“, „ივერია“, „კვალი“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, თარგმანებს (გოეთე, გოგოლი, ა. ოსტროვსკი და სხვ.; ფსევდ. „ა. ჭ-ძე“). დაკრძალულია იმერეთის სოფ. ჭოლევში –

ჭიჭინაძე ზაქარია (1854-1931) – მკვლევარი (ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფოლკლორისტი), ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ძველი ქართული ტექსტების შემკრები და გამომცემელი. გამოქვეყნებული აქვს არაერთი საყურადღებო ნაშრომი XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხებზე. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში –

ჭიჭინაძე ქეთევან – ისტორიკოსი, არქივთმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

ჭონქაძე დანიელ (1830-1860) – მწერალი, ფოლკლორისტი, ოსური ენის მასწავლებელი ჯერ სტავროპოლის (1851-1855), შემდეგ კი თბილისის სასულიერო სასწავლებლებში (1855-1860). დარჩა ერთადერთი ნაწარმოები – მოთხრობა „სურამის ციხე“ (დ. ჭონქაძის გარდაცვალების შემდეგ ტუბერკულოზით დაავადებული მწერლის ნაწარმოებები ახლობლებმა დაწვეს). დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე (ამჟამად ვერის ბაღი) –

ჭრელაშვილი ლევან (1926-2001) – XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი. ნაყოფიერად მუშაობდა ქართველ მწერალთა და პუბლიცისტთა (ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ს. მესხი...) ტექსტების ატრიბუციის საკითხებზე –

ჭუმბურიძე ლუიზა (1934-2006) – ლიტერატურათმცოდნე, იკვლევდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს, მათ შორის, ძველი ქართული ტექსტების პუბლიკაციებს XIX ს. ქართულ პრესაში –

ჭუმბურიძე ჯუმბერ (1921-2012 – ლიტერატურათმცოდნე, ძირითადად იკვლევს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და სალიტერატურო კრიტიკის ისტორიას –

ჭყონია ალექსანდრე (1855-1907) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, იურისტი (სასამართლოს მოხელე, ნაფიცი ვექილი), საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „მოამბის“ რედაქტორი (1894-1905), გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემელი (1899-1900). სხვადასხვა წლებში იყო „ქშწ-კგ საზოგადოების“ გამგეობის წევრი და თავმჯდომარის „ამხანაგი“ (მოადგილე), მონაწილეობდა ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისს გადმოსვენებაში (1893), თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, საისტორიო ნაშრომებს, რეცენზიებს, თარგმანებს (ო. ტიერი, პიეტრო დელა ვალე, არქანჯელო ლამბერტი და სხვ.), ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს... (ფსევდ.: „ჭ-ა“, „ა. ჭ“, „ა.–ა.“, „მაჭახელაძე“ და სხვ.). დაკრძალულია თბილისში, კუკიის სასაფლაოზე –

ჭყონია ილია (1860-1927) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, 1895-1898 წწ. იყო გაზეთ „მეურნეს“ რედაქტორ-გამომცემელი, ხოლო 1917 წელს – გაზეთ „სიმართლის გზის“ რედაქტორ-გამომცემელი (ი. სონღულაშვილთან ერთად). თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „მწყემსი“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.), აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებს (პოეზია, პროზა), პუბლიცისტურ წერილებს, თარგმანებს (ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ჰ. ჰაინე, ჰ. სენკევიჩი და სხვ.), რეცენზიებს, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს და სხვ. (ფსევდ.: „თ. მაგმაძე“, „ელანიძე“, „მ-ძე“, „ი-ა ი-ძე“ და სხვ.). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ჭყონია მირიან (1819-1897) – სახელმწიფო მოხელე (ერთხანს ქუთაისის პოლიცმაისტერი იყო), პოლკოვნიკი, საზოგადო მოღვაწე, ცნობილი პუბლიცისტების ალექსანდრე (1855-1907) და ილია (1860-1927) ჭყონიების მამა, ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი და წევრი იმ ლიტერატურული ჯგუფისა, რომელიც უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს „Цветок Тифлисской гимназий“. დაკრძალულია ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში –

ხახანაშვილი ალექსანდრე (1864-1912) – მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი, ფოლკლორისტი), საზოგადო მოღვაწე (1911 წ. მოსკოვში ჩამოაყალიბა „ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“), მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტსა და მოსკოვის უნივერსიტეტში, ავტორი ფუნდამენტური ნაშრომისა „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (რუსულ ენაზე, ტ. 1-4. 1895-1907); მისი ნაშრომები ქვეყნდებოდა ევროპულ (ფრანგულ, გერმანულ) გამოცემებში, რაც ხელს უწობდა ევროპულ სამეცნიერო წრეებში საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას; თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „კვალი“, „მოამბე“, „მწყემსი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.), აქვეყნებდა მეცნიერული ხასიათის წერილებს. ჭლექით დაავადებული, გარდაიცვალა რუსეთის ქ. სამარაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ხეთაგუროვი კოსტა (კონსტანტინე) (1859-1906) – ოსი მწერალი, ჟურნალისტი (თანამშრომლობდა ჩრდილოეთ კავკასიის რუსულენოვან პრესასთან, ძირითადად, „სევერნი კავკაზთან“), განმანათლებელი, მოქანდაკე, მხატვარი, საზოგადო მოღვაწე, ითვლება ოსური ეროვნული

ლიტერატურის ფუძემდებლად. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში (1881-1885), რომელიც ვერ დაასრულა უსახსრობის გამო. რუსეთის ასიმილაციური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის გამო ორჯერ იყო გადასახლებული. დაკრძალულია ვლადიკავკაზში –

ხელაშვილი იონა (1772-1837) – თეოლოგი, ფილოსოფოსი, მქადაგებელი, ავტორი ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებისა „რონინი“, მთავარი პერსონაჟი იოანე ბატონიშვილის თხზულებისა „კალმასობა“. 1803 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსეთში და იქვე (პეტერბურგში) გარდაიცვალა. დაკრძალულია წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. ლაზარეს სახელობის სასაფლაოზე

ხელაძე ექვთიმე (1846-1905) – მესტამბე, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. მის სტამბაში იბეჭდებოდა როგორც ქართული ჟურნალ-გაზეთები (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ჯეჯილი“ და სხვ.), ისე წიგნებიც (მათ შორის, ი. გოგებაშვილის „დედა ენა“). საკუთარ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების ნაწილს უფასოდ უგზავნდა სკოლებსა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს. 1902 წელს ქართველმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა ე. ხელაძის სტამბის 30 წლისთავი –

ხელთუბნელი (ნამდვილი გვარი – **თუმანიშვილი)** მიხეილ – შვილი გიორგი თუმანიშვილისა, შვილიშვილი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილისა, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი. წერდა „ხელთუბნელის“ ფსევდონიმით –

ხერხეულიძე ომან – ისტორიკოსი, ერეკლე II-ის მდივანბეგი და ლაშქარნივისი. 1800-იანი წწ. დასაწყისში ახალი (რუსული) ხელისუფლების მოხელედ მსახურობდა; ავტორი თხზულებისა „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა“. პლატონ იოსელიანის მიხედვით, გარდაიცვალა 1805 წელს –

ხიზანიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1851-1906) – მეცნიერი (ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, იურისტი, ფოლკლორისტი), პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ი. ჭავჭავაძის მეგობარი და თანამოაზრე. დამთავრებული ჰქონდა ნოვოროსიისის (ოდესის) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (სხვადასხვა დროს გამომძიებლად და მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა ზანგეზურში, ცხინვალში, სურამში, თიანეთში, თბილისში). თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „იმედი“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“...), აქვეყნებდა საისტორიო ნაშრომებს, პუბლიცისტურ წერილებს, კრიტიკულ-ლიტერატურულ თხზულებებს და სხვ. (ძირითადი ფსევდ.: „ურბნელი“; აგრეთვე „ ლებს“, „ხ-ზ-ი“, „ხ-ი“ და სხვ.). 1906 წ. 15 დეკემბერს ქუჩაში მოკლეს ბოროტმოქმედებმა. მკვლელობის მიზეზი დღემდე არ არის დამაჯერებლად დასაბუთებული (სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებული შურისძიება, პოლიტიკური მოტივი...). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ხოვენი რომანი (1775-1861) – გენერალ-მაიორი, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი 1818-1829 წლებში –

ხომლელი – იხ. **ფანცხავა** რომანოზ

ხონელი – იხ. **ბახტაძე** ილია

ხუნდაძე სილოვან (1860-1928) – მწერალი, პედაგოგი, მეცნიერი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი (1884), ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამფუძნებელთაგანი, პრესაში („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „კოლხიდა“ და სხვ.) აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს, დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენაში. ქართველი ხალხის ეროვნული და პოლიტიკური ინტერესების დაცვისას გამოირჩეოდა უჩვეულო სიმამაცით. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქუთაისში, იქვე გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული –

ხუნდაძე სიმონ (1897-1933) – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი). ძირითადად იკვლევდა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიას, რედაქტორობდა გაზეთ „ტრიბუნას“ (1921-1923), ჟურნალ „ქართულ მწერლობას“ (1926-1930) –

ხუნდაძე ტროფიმე (1889-1977) – ისტორიკოსი, პედაგოგი, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, საიდანაც სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის გარიცხეს (1912; საბოლოოდ ხარკოვის უნივერსიტეტი დაამთავრა).

ძირითადად იკვლევდა XIX საუკუნისა და XX ს. დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი აზრისა და განათლების ისტორიას –

ხურცილავა სოკრატ (1918-2003) – ისტორიკოსი, პედაგოგი, ავტორი წიგნისა „ქართული საზოგადოებრივი აზრი და მეფის ცენზურა“ (თბ.: 1980).

ხუციშვილი სოლომონ (1908-1995) – ლიტერატურათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე, ძირითადად იკვლევდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრის ისტორიას –

ჯაბადარი ალექსანდრე (1851-1933) – მწერალი, ჟურნალისტი, ბიბლიოფილი (უმდიდრესი ბიბლიოთეკა შესწირა თბილისის უნივერსიტეტს), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის“ დაარსების ინიციატორი და თავმჯდომარე („ამხანაგობამ“ გამოსცა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ალ. ყაზბეგისა და სხვ. თხზულებათა კრებულები), ჟურნალ „მოამბის“ გამომცემელი, გაზეთ „ცნობის ფურცლისა“ და მისი სურათებიანი დამატების რედაქტორ-გამომცემელი, რედაქტორი ჟურნალისა „საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა“ (1920). დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე –

ჯავახიშვილი ელისაბედ – 1844 წელს ხელს აწერს გაზეთ „სინათლის“ პროგრამას („გამოცხადებას“) –

ჯავახიშვილი (ნამდვილი გვარი – **ადამაშვილი**) მიხეილ (1880-1937) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „ალი“, „ადლი“, „ახალი ფხა“, „დამოუკიდებელი მონა“...), პოლიტიკური (ეროვნულ-დემოკრატი) და საზოგადო მოღვაწე; 1904 წ. ფაქტობრივად რედაქტორობდა გაზ. „ივერიას“; ყოველკვირეულ გაზეთ „გლეხის“ (1906) ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი (ფაქტობრივ რედაქტორთან, სამსონ ფირცხალავასთან, ერთად). კონტრრევოლუციური ტერორიზმის ცრუბრალდებით შეეწირა ბოლშევიკურ რეპრესიებს –

ჯამბაკურ-ორბელიანი – იხ. **ორბელიანი**

ჯანაშვილი დიმიტრი (1840-1905) – ისტორიკოსი, მწერალი (პროზაიკოსი, კრიტიკოსი), პუბლიცისტი, პედაგოგი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, თვალსაჩინო ფიგურა „ქშწ-კგ საზოგადოებაში“ (გამგეობის წევრი). ინტენსიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „დროება“, „მნათობი“, „ივერია“, „მოამბე“ და სხვ.; ფსევდ.: „ინგილო ჯანაშვილი“, „გ. ქართველი“...). დაიბადა და აღიზარდა საინგილოში, სოფ. კახში. გარდაიცვალა ბოდბისხევში, სადაც იქაურ ეკლესიაში მღვდლად მსახურობდა. დაკრძალულია კახის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში –

ჯანაშვილი მოსე (1855-1934) – ისტორიკოსი, ქართული ენოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ლექსიკოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე. დაიბადა და აღიზარდა საინგილოში, სოფ. კახში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ჯანდიერი (ჯანდიერიშვილი) ლევან (1848-1921) – ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო მოხელე (სხვადასხვა დროს: თიანეთისა და თბილისის მაზრების უფროსი, ერევნის ვიცე-გუბერნატორი, სოხუმის ოლქის უფროსი), „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დირექტორი (1909), ი. ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, „ივერია“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, საისტორიო ნარკვევებს, თარგმანებს (ფსევდ. „ჭიჩოელი“). დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ვაჩნაძიანში (გურჯაანთან) –

ჯანოვი იოსებ – 1875 წ. გაზეთ „დროებას“ შესწირა პირველი ქართული გაზეთის ერთ-ერთი ნომერი –

ჯაფარიძე ბესარიონ (1848-1877) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, მნიშვნელოვანი ფიგურა „დროება“-„კრებულის“ ჯგუფში. საუნივერსიტეტო საბუნებისმეტყველო განათლება ჰქონდა მიღებული პეტერბურგის, ოდესის, ჟენევის უნივერსიტეტებში. მონაწილეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ პოლიტიკურ ნიადაგზე 1869 წელს მოწყობილ არეულობაში, რის გამოც დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში გამოამწყვდიეს, შემდეგ კი გარიცხეს უნივერსიტეტიდან და ადმინისტრაციული წესით

დააბრუნეს სამშობლოში, საიდანაც ჟენევაში მოახერხა წასვლა. ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „უდელის“ (1873-1876) ჟენევის განყოფილებას. ერთხანს ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა პარიზის კომუნის ზოგიერთ ხელმძღვანელსა თუ მონაწილესთან. 1875 წლიდან სათავეში ედგა „ქართული წიგნის გამომცემელთა საზოგადოებას“. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „კრებული“, „ივერია“), „დროებაში“ აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, რეცენზიებს, ჟენევიდან და პარიზიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებს (ფსევდ. „ბ. ჯ.“) –

ჯაჯანაშვილი არჩილ (1885-1937) – მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი), კრიტიკოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური (სოციალისტ-ფედერალისტი) და თეატრალური მოღვაწე, გაზეთ „სახალხო გაზეთის“ ფაქტობრივი ხელმძღვანელი (1912-1914), თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო ფურცელი, „საქართველო“, „ტრიბუნა“, „ლიტერატურული საქართველო“ და სხვ.), აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ, თეატრალურ და კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს, რეცენზიებს და სხვ. (ფსევდ.: „ა. ჯ.“, „არ. ჯ-შვილი“, „თომა ეული“, „გარდელი“, „ ომუ“ და სხვ.). შეუწირა 1930-იანი წწ. რეპრესიებს –

ჯერომი ჯერომ კლაპკა (1859-1927) – ინგლისელი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი, ესეისტი), ჟურნალისტი. საყოველთაო პოპულარობა მოუპოვა მოთხრობამ „სამნი ერთ ნავში, თუ ძაღლს არ ჩავთვლით“. ქართულ პრესაში მისი ნაწარმოებების თარგმანები იბეჭდება 1890-იანი წლებიდან (მთარგმნელები: იოსებ ცისკარიშვილი, ილია ნაკაშიძე, არტემ ახნაზაროვი, შალვა დადიანი და სხვ.) –

ჯიბლაძე სილიბისტრო (1859-1922) – პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციონერი, პუბლიცისტი, „მესამე დასის“ დამფუძნებელთაგანი, მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („კვალი“, „სხივი“, „განთიადი“ და სხვ.; ფსევდ.: „სილვა“, „ს“). პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი (ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დახვრიტა) –

ჯიმშერიძე – იხ. **მ. ჯიმშერიძე**

ჯოლოგუა თამაზ – XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – ; იხ. აგრეთვე: **თ. ჯ.**

ჯორბენაძე სერგო (1926-1998) – სამართლისმცოდნე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი (1966-1986), ავტორი წიგნისა „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“ (1981) –

ჯორჯაძე არჩილ (18721913) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოციოლოგი, პუბლიცისტი (ფსევდ. „საბუელი“), „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ფაქტობრივი მეთაური, პარიზში გამომავალი ქართული გაზეთის „საქართველოს“ (1903-1905) თანარედაქტორი (გიორგი ლასხიშვილსა და თედო სახოკიასთან ერთად), თვალსაჩინო ფიგურა ქართული კულტურის ისტორიაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში –

ჯორჯაძე ბარბარე (1833-1895) – მწერალი, პუბლიცისტი, რაფ. ერისთავის და. თვალსაჩინო ფიგურა 1860-იანი წლების ე. წ. „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლაში, რომელშიც იცავდა „მამების“ პოზიციას. ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ი. ჭავჭავაძის ცნობილ წერილს („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის...“) და დაიცვა ძველი თაობის ლიტერატურული და ენობრივი პრინციპები. თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან („ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ჯეჯილი“...), აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, კრიტიკულ-ლიტერატურულ და პუბლიცისტურ წერილებს. მისი რამდენიმე პიესა (განსაკუთრებით, „რას ვეძებდი და რა ვპოვე“) წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე. დაკრძალულია თელავში –

ჯორჯაძე დავით (1811-1866 წ. შემდეგ) – სამხედრო პირი (ჰქონდა ლიტერატურული ინტერესებიც – გამოქვეყნებული აქვს ორიოდე მოთხრობა და თარგმანი), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, რის გამოც სამხედრო სასამართლომ „მე-5 ფეხოსანთა კორპუსში“ გადაყვანა მიუსაჯა –

ჰაინე ჰაინრიხ (1797-1856) – მწერალი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური ლირიკის დიდი ოსტატი. ლექციებს ისმენდა ბონის, გეტინგენის, ბერლინის უნივერსიტეტებში. ებრაული წარმოშობის გამო განიცდიდა დისკრიმინაციას, რამაც უბიძგა მიეღო ლუთერანული სარწმუნოება, როგორც, მისივე სიტყვებით, „ბილეთი ევროპული კულტურისაკენ“. ცენზურისაგან შევიწროებული, იძულებული გახდა 1831 წ. ემიგრაციაში წასულიყო (საფრანგეთში). გარდაიცვალა პარიზში, იქვეა დაკრძალული (მონმარტრის სასაფლაოზე). ქართულ პრესაში მისი ნაწარმოებებიდან პირველად გამოქვეყნდა ლექსი „ცხენი და ვირი“ („ცისკარი“, 1867, №3; მთარგმნელი ა. ფურცელაძე) –

ჰერკულესი – ძველი ბერძნული მითოლოგიის გმირის, ჰერაკლეს, ლათინური სახელი –

ჰეროდოტე (დაახლ. ძვ. წ. 485-დაახლ. ძვ. წ. 424) – ძველი ბერძენი ისტორიკოსი (უწოდებენ „ისტორიის მამას“). მის ცხრა წიგნად დაყოფილ „ისტორიაში“ მოიპოვება ცნობები ქართველური ტომების შესახებ –

ჰიუგო ვიქტორ (1802-1885) – ფრანგი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი). საფრანგეთის აკადემიის წევრი. ქართულ პრესაში ვ. ჰიუგოს ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა გ. ერისთავის „ცისკარში“ (ლექსი „ერთის მინუტის სიჭაბუკე“, „ცისკარი“ 1851, №1; მთარგმნელი გ. ერისთავი) –

ჰომეროსი (სავარაუდოდ, ძვ. წ. VIII ს.) – ძველი ბერძენი პოეტი, მოღწეულია მისი „ილიადა“, „ოდისეა“ და რამდენიმე ჰიმნი –

ჰუმბოლდტი ვილჰელმ ფონ (1767-1835) – გერმანელი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი, დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე, ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენის ფილოსოფიის ფუძემდებელი, ბერლინის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, საგიმნაზიო განათლებისა და პრუსიის მცნიერებათა აკადემიის რეფორმატორი, თვალსაჩინო ფიგურა ლიბერალიზმის ისტორიაში, პრუსიის რეზიდენტი ვატიკანში, რომის პაპის კარზე (1801-1810) –

პერიოდულ გამოცემათა

„არე“ (გამოუცემელი) – გიორგი ერისთავის ცნობით, 1850-იანი წწ. დასაწყისში პეტერბურგში ამ სახელწოდებით ჟურნალის გამოცემის სურვილი ჰქონიათ (ინიციატორთა ვინაობა და საკითხთან დაკავშირებული სხვა გარემოებები ცნობილი არ არის) –

„არეველიან ცანუცმუნკ“ (**„აღმოსავლეთის ცნობები“**) (1816) – ყოველკვირეული გაზეთი. პირველი სომხური პერიოდული გამოცემა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე. გამოიცემოდა ასტრახანში იქაური სომხური დიასპორის ინიციატივითა და ხარჯით. იყო ორენოვანი (რუსულ-სომხური) და გამოდიოდა 1816 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით (სულ გამოიცა 27 ნომერი) –

„აღმოსავლეთის ფუტკარი“ (გამოუცემელი) – კერძო ქართულენოვანი ჟურნალი, რომლის გამოცემაც 1830-იან წლებში სურდათ თბილისში მცხოვრებ სომეხ მოღვაწეებს დავით და იაკობ არზანოვებს, თუმცა ხელისუფლებისგან ნებართვა ვერ მოიპოვეს –

„ბრძოლა“ (1901-1902) – სოციალ-დემოკრატთა არალეგალური გაზეთი, რომელიც ლადო კეცხოველის ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა ქართველ მარქსისტთა ბაქოს იატაკქვეშა სტამბაში (სულ გამოიცა 4 ნომერი). გამოირჩეოდა რევოლუციური რადიკალიზმით; 1903 წელს შეერწყა გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლას“ (1903-1905) –

„გუთნის-დედა“ (1861-1876) – პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო (აგრონომიული) პერიოდული გამოცემა, რომლის ძირითადი მიზანი იყო საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. პირველი ოფიციალური რედაქტორი ივ. კერესელიძე (ფაქტობრივი რედაქტორი ივ. სერებრიაკოვი). 1873 წლიდან ჟურნალს რედაქტორობდნენ ალ.

ვართანოვი და ა. ფურცელაძე, 1874 წლიდან – ა. ფურცელაძე. გამომცემელი „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“ –

„დროება“ (1866-1885) – ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო ყოველდღიური (1877 წლიდან) გაზეთი. რედაქტორები: გიორგი წერეთელი (1866-1869), სერგეი მესხი (1869-X.1873; X.1874-1882), კირილე ლორთქიფანიძე (X.1873-X.1874), ილია ჭავჭავაძე და სერგეი მესხი (1880-1881), ივანე მაჩაბელი (1883-1885), გამომცემლები: სტეფანე მელიქიშვილი (1866-1882), გიორგი ქართველიშვილი (1883-1885). პირველი ქართული პერიოდული გამოცემა, რომელიც „მავნე მიმართულების“ გამო ხელისუფლებამ „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ მეშვეობით დახურა (1885 წლის სექტემბერში) –

„ვარსკვლავი“ – 1850-იან წწ. ივ. კერესელიძის „ცისკრის“ დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფი ჟურნალის სახელწოდების ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავდა „ვარსკვლავს“ –

„ზაკავკაზსკი ვესტნიკ“ – იხ. **„Закавказский вестник“**

„თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ – იხ. **„Цветок Тифлисской гимназии“**

„თბილისის ჟურნალი“ – ივ. კერესელიძის „ცისკრის“ დაარსების მოსამზადებელ პერიოდში დიმ. ყიფიანის მიერ განიხილებოდა ჟურნალის სახელწოდების ერთ-ერთ ვარიანტად –

„თან-მესაუბრე მოყუარულთა როსსიელთა ლექსისათა“ – რუსული ჟურნალის „Собеседник любителей российского слова“ (1784, №15) ქართული თარგმანი (ხელნაწერი), რომელიც უცნობ ავტორს შეუსრულებია 1814 წელს – ; იხ. აგრეთვე: **„Собеседник любителей российского слова“**

„თეატრი“ (1885-1891) – ყოველკვირეული ილუსტრირებული „სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი“. დამაარსებელი და პირველი რედაქტორ-გამომცემელი ვასო აბაშიძე (1885-1886). 1887-1891 წწ. გაზეთს ალექსანდრე ნებიერიძე რედაქტორობდა (ერთხანს – 1886.VI-1886.IX – რედაქტორის მოვალეობას ვალერიან გუნია ასრულებდა). ძირითადად ასახავდა თეატრალურ ცხოვრებას, თუმცა იბეჭდებოდა პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებებიც (ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი და სხვ.) –

„ივერია“ (1877-1906) **–** ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გამოცემა (1877-1878 – ყოველკვირეული გაზეთი, 1879 – ყოველთვიური ჟურნალი, 1880 – სამთვიური ალმანახი, 1881-1885 – ყოველთვიური ჟურნალი, 1886-1905 – ყოველდღიური გაზეთი, 1906 – ყოველკვირეული გაზეთი). დამაარსებელი, რედაქტორი (1877-1901; 1880-1881 – სერგეი მესხთან ერთად) და გამომცემელი (1877-1902) ილია ჭავჭავაძე. ბოლო წლებში „ივერიის“ რედაქტორები იყვნენ: ალექსანდრე სარაჯიშვილი (1902-1903), გრიგოლ ყიფშიძე (1903-1905) და ფილიპე გოგიჩაიშვილი (1905-1906). გამომცემლები: ალექსანდრე სარაჯიშვილი (1902-1905) და პავლე თუმანიშვილი (1905-1906) –

„ივერიის ტელეგრაფი“ (გამოუცემელი) – ფართო პროფილის ქართული ჟურნალი, რომლის გამოცემაც 1842 წელს სურდა რუს მწერალს იპოლიტ ბარტდინსკის, მაგრამ საამისო ოფიციალური უფლება ვერ მოიპოვა –

„ილუსტრაცია“ – იხ. **„Иллюстрация“**

„იმედი“ (1881-1883) – საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში. რედაქტორ-გამომცემელი მიხეილ გურგენიძე – 188

„კავკაზ“ – იხ. „Кавказ“

„კავკასიისა მხარეთა უწყებანი“ (1845-1846) – გაზეთ „Закавказский вестник“-ის ოფიციალური ნაწილის ქართულენოვანი დუბლიკატი, რომელშიც მხოლოდ ოფიციალური ინფორმაცია იბეჭდებოდა. ფორმალური რედაქტორი პლატონ იოსელიანი, ფაქტობრივი ხელმძღვანელი ზაქარია ფალავანდიშვილი. მოღწეულია მხოლოდ ორი ნომერი –

„კავკასიის ოლქის უწყებანი“ (გამოუცემელი) – სამენოვანი (რუსულ-ქართულ-თათრული) გაზეთი, რომელიც 1831 წელს პავლე სანკოვსკის საერთო ხელმძღვანელობით უნდა გამოცემულიყო,

თუმცა ეს განზრახვა ვერ განხორციელდა (გაზეთის რუსული სახელწოდება უნდა ყოფილიყო **„Кавказские областные ведомости“**) –

„კვალი“ (1893-1904) – ყოველკვირეული „სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი“. ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელი (1893-1903.III) და ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი (1903.III-1904). ფაქტობრივი ხელმძღვანელი გიორგი წერეთელი (1893-1897) და ნოე ჟორდანია (1897-1904). თავიდან იყო ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების გამოცემა, თუმცა მერე თანდათანობით გადავიდა ქართველ მარქსისტთა (სოციალ-დემოკრატთა, „მესამედასელთა“) ხელში, შეიძინა მკაფიოდ გამოხატული პარტიულ-იდეოლოგიური ხასიათი, დაუპირისპირდა ილია ჭავჭავაძესა და „ივერიას“ და იქცა საქართველოში მარქსიზმის პროპაგანდისტად. პირველი სოციალისტურ-მარქსისტული ლეგალური გამოცემა რუსეთის იმპერიაში –

„კოვკას“ (1846-1847) – ყოველკვირეული გაზეთი, გაზ. „კავკაზის“ სომხურენოვანი ვარიანტი. გამოდიოდა თბილისში –

„კრებული“ (1871-1873) – ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში. ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი გიორგი წერეთელი, ფაქტობრივი ხელმძღვანელი ნიკო ნიკოლაძე –

„მზე“ – 1850-იან წწ. ივ. კერესელიძის „ცისკრის“ დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფი ჟურნალის სახელწოდების ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავდა „მზეს“ –

„მნათობი“ – 1850-იან წწ. ივ. კერესელიძის „ცისკრის“ დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფი ჟურნალის სახელწოდების ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავდა „მნათობს“ –

„მნათობი“ (1869-1872) – ყოველთვიური სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში. დამფუძნებელი და რედაქტორი ნიკო ავალიშვილი, გამომცემელი ივანე ელიოზიშვილი. საზოგადოებრივ და ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივ საკითხებზე ჟურნალის მესვეურებს პრინციპული ხასიათის პოლემიკა ჰქონდათ გაზეთ „დროებასთან“ და ჟურნალ „კრებულთან“ –

„მოამბე“ (1863) – ; იხ. **„საქართველოს მოამბე“**

„მოამბე“ (1894-1905) – ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალი. რედაქტორი ალ. ჭყონია, გამომცემელი „ქართველთა წიგნების გამომცემელი საზოგადოება“ [რწმუნებულები: ნიკ. ღოღობერიძე (1894) და ალ. ჯაბადარი (1894-1905)]. 1890-იან წწ. ჟურნალის პუბლიცისტურ მიმართულებას ძირითადად განსაზღვრავდა ნ. ნიკოლაძე. იბეჭდებოდა მხატვრული (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.), სამეცნიერო (ნ. ხიზანიშვილი, ა. ხახანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვ.), პუბლიცისტური (ი. გოგებაშვილი, ა. ჯორჯაძე, ფ. გოგიჩაიშვილი და სხვ.) წერილები, უცხოელ ავტორთა (ევრიპიდე, შექსპირი, მოლიერი, იბსენი, სენკევიჩი და სხვ.) თარგმანები –

„მოგზაური“ (1905) – სოციალ-დემოკრატიული (ძირითადად – ბოლშევიკური) მიმართულების ყოველკვირეული ჟურნალი. ოფიციალური რედაქტორი ივანე როსტომაშვილი, ფაქტობრივი რედაქტორი ფილიპე მახარაძე. სულ გამოვიდა 41 ნომერი. შეიქმნა 1901-1904 წწ. ანალოგიური სახელწოდების ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული სურათებიანი ჟურნალის (რედაქტორ-გამომცემელი ივ. როსტომაშვილი) ბაზაზე –

„მოსკოვსკი ტელეგრაფ“ – იხ. **„Московский телеграф“**

„მოსკოვსკიე ვედომოსტი“ – იხ. **„Московские ведомости“**

„პროლეტარიატის ბრძოლა“ (1903-1905) – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტის არალეგალური გაზეთი (გამოსცემდა სარედაქციო კოლეგია ი. სტალინის, ა. წულუკიძის, მ. ცხაკაიას, ს. შაუმიანის, ფ. მახარაძისა და სხვ. შემადგენლობით), იბეჭდებოდა ავლაბრის იატაკქვეშა სტამბაში

„რუსსკი ინვალიდ“ – იხ. „Русский Инвалид“

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832) – პირველი ქართული ჟურნალი (ფორმალურად გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურული დამატება, რეალურად –

დამოუკიდებელი ჟურნალი). პირველი ქართული პერიოდული გამოცემა, რომელიც დაარსდა არა ხელისუფლების, არამედ ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით მათივე პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ინტერესების სასარგებლოდ. ფაქტობრივად 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა პერიოდული ორგანო. რედაქტორი სოლ. დოდაშვილი. გამოდიოდა თვეში ორჯერ. სულ გამოიცა 5 ნომერი (1832 წ. იანვარი-მარტი) –

„სანქტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ – იხ. **„Санкт-Петербургские ведомости“**

„სასოფლო გაზეთი“ (1868-1880) – ყოველკვირეული (1871 წლიდან – ორკვირეული) სასოფლო-სამეურნეო ხასიათის გაზეთი. რედაქტორ-გამომცემლები: გიორგი წერეთელი (1868; 1870-1873), სერგეი მესხი (1869), პეტრე უმიკაშვილი (1874-1880) –

„საქართველო“ (1903-1905) – საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორკვირეული გაზეთი. გამოდიოდა პარიზში (საქართველოში ჩამოჰქონდათ და ავრცელებდნენ არალეგალურად). რედაქტორები: ა. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი, თ. სახოკია; გამომცემელი გ. დეკანოზიშვილი. პარალელურად გამოდიოდა გაზეთის ფრანგული დამატება – „ ა ეორგიე“ (პასუხისმგებელი რედაქტორი ქ-ნი რენო). გაზეთში, გარდა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისა (ა. ჯორჯაძე, თ. სახოკია, გ. დეკანოზიშვილი, ზ. ავალიშვილი, ალ. დიასამიძე და სხვ.), უცხოელ ავტორთა წერილებიც იბეჭდებოდა (გ. ბრანდესი, ე. რეკლიუ და სხვ.). გაზეთის მესვეურთა თქმით: „ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანოების ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვნეთ სრულიად დამოუკიდებელნი... ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“ –

„საქართველოს გაზეთი“ (1820 წლიდან – **„ქართული გაზეთი“**) (1819-1821) – პირველი ქართული პერიოდული გამოცემა – ყოველკვირეული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში. დაარსდა ხელისუფლების ინიციატივით და მიზნად ისახავდა პოლიტიკური რეჟიმის ინფორმაციულ და იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. დაიხურა ხელის მომწერთა ნაკლებობის გამო. რედაქტორისა და თანამშრომელთა ვინაობა უცნობია –

„საქართველოს გუბერნიის უწყებანი“ (გამოუცემელი) – 1835 წელს სახელმწიფო მოხელეს ლიუბავსკის სურდა ამ სახელწოდებით გაზეთის დაარსება. იგი უნდა ყოფილიყო ქართული დუბლიკატი რუსული გაზეთისა „Грузинские губернские ведомости“, მაგრამ ვერც რუსული დედნის გამოცემა მოხერხდა და ვერც – მისი ქართული დუბლიკატისა –

„საქართველოს მოამბე“ (1863) – ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი, ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების პირველი პერიოდული გამოცემა საქართველოში. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე. სულ გამოვიდა 12 ნომერი –

„საქართველოს ჟურნალი“ (გამოუცემელი) – 1850-იან წწ. ამ სახელწოდებით მიხ. თუმანიშვილს სურდა ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალის დაარსება, რაც ხელისუფლების (სავარაუდოდ) წინააღმდეგობის გამო ვერ მოხერხდა –

„სახალხო ფურცელი“ (1914-1917) – სოციალისტურ-ფედერალისტური მიმართულების „საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი“, რომელიც შეიქმნა იმავე მიმართულების გაზეთ „სახალხო გაზეთის“ (1909-1914) ბაზაზე. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე. ჰქონდა ყოველკვირეული „სურათებიანი დამატება“ (1917-1921 წწ. გამოდიოდა სხვა სახელწოდებით – „სახალხო საქმე“) –

„სევერნაია პოჩტა“ – იხ. **„Северная почта“**

„სევერნაია პჩიოლა“ – იხ. **„Северная пчёла“**

„სინათლე“ – 1840-იან წწ. გორის მაზრაში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეებს სურდათ ამ სახელწოდებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სალიტერატურო-სამეცნიერო, სახელოვნებო და საგანმანათლებლო ყოველთვიური ჟურნალის დაარსება, რაც ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო ვერ შეძლეს –

„ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“ – იხ. **„Цветок Тифлисской гимназии“**

„ტიფლისსკიე ვედომოსტი“ – იხ. **„Тифлисские ведомости“**

„ტფილისის ვედომოსტები“ (1828) – გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ პირველი სამი ნომრის სახელწოდება –

„ტფილისის უწყებანი“ (1828-1832) – ყოველკვირეული გაზეთი (ოფიციოზი), გაზეთ „Тифлисские ведомости“-ს ფაქტობრივი დუბლიკატი. დაარსდა ხელისუფლების მონდომებითა და ინიციატივით. გაერთიანებული რედაქციის რედაქტორი პ. სანკოვსკი, ქართული ნაწილის რედაქტორი ს. დოდაშვილი, გამომცემელი „ტიფლისსკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტი“. დაიხურა ხელის მომწერთა ნაკლებობის გამო –

„ქართული ალმანახი“ („Грузинский альманах“) (გამოუცემელი) – მისი დაარსების ინიციატივასთან და გამოცემის პროფილთან დაკავშირებული გარემოებები არ არის ცნობილი (ერთადერთ ცნობაში ფიგურირებენ ბარტენიევი, ოჩკინი, ვ. სუხორუკოვი) –

„ქართული გაზეთი“ – იხ. **„საქართველოს გაზეთი“**

„ქართული ჟურნალი“ – ივ. კერესელიძის „ცისკრის“ დაარსების მოსამზადებელ პერიოდში დიმ. ყიფიანის მიერ განიხილებოდა ჟურნალის სახელწოდების ერთ-ერთ ვარიანტად –

„შრომა“ (1881-1883) – ქუთაისში გამოცემული პირველი გაზეთი, ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო პერიოდული გამოცემა. რედაქტორი დიმ. დადიანი, გამომცემელი დიმ. ნაზაროვი (ნაზარიშვილი) (1883 წელს გამომცემლები არიან დიმ. დადიანი და დიმ. ნაზაროვი). იდეური მიმართულებით გაზეთი ძირითადად უნისონში იყო „დროება“-„ივერიის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო პრინციპებთან –

„ჩონგური“ (**„ჩანგური“**) (1864) – კ. ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი და პეტერბურგში, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, გამოცემული ლიტერატურული (პოეტური) ალმანახი –

„ჩრდილოეთის ფუტკარი“ – იხ. **„Северная пчёла“**

„ჩრდილოეთის ფუტკარი“ – იხ. **„Северная пчёла“**

„ცისკარი“ (გიორგი ერისთავისა; 1852-1853) – ყოველთვიური სალიტერატურო („სიტყვიერებითი“) ჟურნალი, რომელიც დაარსდა ქართველ მოღვაწეთა ინიციატივითა და მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის ხელშეწყობით. რედაქტორ-გამომცემელი გიორგი ერისთავი. სულ გამოიცა 24 ნომერი –

„ცისკარი“ (ივანე კერესელიძისა; 1857-1875) – ყოველთვიური სალიტერატურო („სიტყვიერებითი“) ჟურნალი. არსებითად, აქ ჩაეყარა საფუძველი ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და პუბლიცისტიკას; აქვე დაიწყო „მამებისა“ და „შვილების“ ცნობილი ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება. ჟურნალში პირველად გამოქვეყნდა როგორც თანადროულ, ისე წინარე ხანის ქართველ მწერალთა არა ერთი და ორი ლიტერატურული შედევრი; ახასიათებდა ენობრივი, ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი ეკლექტიზმი – ; იხ. აგრეთვე: **„Заря“**

„ცისკარი“ (1887) – სასოფლო-სამეურნეო პროფილის გაზეთი. რედაქტორ-გამომცემელი ივ. კერესელიძე. სულ გამოიცა 23 ნომერი –

„ცნობის ფურცელი“ (1896-1906) – ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. რედაქტორ-გამომცემლები: ვალერიან გუნია (1896-1899), ალექსანდრე ჭყონია (1900), ალექსანდრე ჯაბადარი (1901-1906), ფაქტობრივი რედაქტორი (1900-იანი წწ.) გიორგი ლასხიშვილი. ჰქონდა ყოველკვირეული სურათებიანი დამატება („ცნობის ფურცელი. სურათებიანი დამატება“ – 1901-1906). ქართველ ავტონომისტთა პერიოდული ორგანო, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდა საქართველოს სოციალისტურ-ფედერალისტური პარტია. „მავნე“ პოლიტიკური მიმართულების გამო 1906 წ. მარტში თბილისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით გაზეთი დაიხურა, ხოლო რედაქტორ ალ. ჯაბადარს აეკრძალა თბილისსა და თბილისის მაზრაში ცხოვრება –

„ხომლი“ – 1850-იან წწ. ივ. კერესელიძის „ცისკრის“ დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფი ჟურნალის სახელწოდების ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავდა „ხომლს“ –

„ჯეჯილი“ (1890-1923) – საყმაწვილო ილუსტრირებული ორთვიური (1896 წლიდან – ყოველთვიური) ჟურნალი. რედაქტორ-გამომცემელი ა. თუმანიშვილ-წერეთელი (1922 წლიდან გამომცემელი – განათლების კომისარიატი). ჰქონდა დამატებები: ალმანახი „ცხოველთა სამეფოდან“ (1898), კრებულები „მოლაღური“ და „მერცხალი“ (1904), კრებული „კუნწულა“ (1917 წელს). თანამშრომლობდნენ: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, რაფ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, ეკ. გაბაშვილი და სხვ.; ჟურნალმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო მოზარდთა არაერთი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას –

„Грузинские губернские ведомости“ – იხ. **„საქართველოს გუბერნიის უწყებანი“**
„Грузинский альманах“ – იხ. „ქართული ალმანახი“

„Закавказский вестник“ (1838-1855) – ყოველკვირეული გაზეთი. რედაქტორი პლატონ იოსელიანი (1844 წლიდან). ჰქონდა როგორც ოფიციალური (მთავრობის განკარგულებები და სხვ.), ისე არაოფიციალური ნაწილი, რომელშიც იბეჭდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო-სამეცნიერო ხასიათის მასალა. 1845-1846 წწ. გამოდიოდა გაზეთის ოფიციალური ნაწილის ქართული დუბლიკატი „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“ –

„Записки Кавказского общества сельского хозяйства“ (1855-1876) – „კავკასიის სოფლის მეურნეობის საიმპერატორო საზოგადოების“ (1850-1918) პერიოდული გამოცემა –

„Заря“ – 153, 156, 157; იხ. აგრეთვე: **„ცისკარი“** (ივანე კერესელიძისა)

„Иллюстрация“ (1845-1848) – ყოველკვირეული ილუსტრირებული ჟურნალი. გამოდიოდა სანქტ-პეტერბურგში. თავიდან რედაქტორობდა ნესტორ კუკოლნიკი, შემდეგ – ალექსანდრე ბაშუცკი. დაიხურა ფინანსური პრობლემების გამო. ჟურნალში თანამშრომლობდნენ ისეთი ლიტერატორებიც, რომლებმაც შემდეგ თავიანთი ბედი საქართველოს დაუკავშირეს (ევგენი ვერდერევსკი, ვლადიმერ სოლოგუბი) –

„Кавказ“ (1846-1918) – ყოველდღიური (1877 წლიდან) საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა თბილისში და იყო ყველაზე გავლენიანი და პოპულარული რუსულენოვანი გამოცემა კავკასიაში. გაზეთთან თანამშრომლობდა XIX საუკუნის II ნახევრის მრავალი მეტ-ნაკლებად ცნობილი ქართველი მოღვაწე. შეიცავს უმნიშვნელოვანეს მასალას ქართული კულტურის (ისტორია, ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, ფოლკლორი, თეატრი და სხვ.) შესასწავლად. სხვადასხვა წლებში ჰყავდა ქართველი რედაქტორებიც: ნიკოლოზ ბერძნიშვილი (1856-1857), დავით ერისთავი (1882-1884) –

„Кавказские областные ведомости“ – იხ. **„კავკასიის ოლქის უწყებანი“**

„Московские ведомости“ (1756-1917) – ყოველდღიური (1859 წლიდან) საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და პოპულარული გამოცემა რუსეთის იმპერიაში. 1860-იანი წლებიდან რედაქციას სათავეში ჩაუდგა მიხ. კატკოვი და გაზეთი აქცია რუსული შოვინისტური იდეოლოგიის საყრდენად და პოპულარიზატორად. 1905 წლიდან რუსეთის მონარქისტული პარტიის ორგანო –

„Московский телеграф“ (1825-1834) – ორკვირეული სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი, რომელსაც გამოსცემდა ნიკ. პოლევოი. ჟურნალში თანამშრომლობდნენ რუსული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ალ. პუშკინი, ვ. ჟუკოვსკი, ე. ბარატინსკი და სხვ.; დაიხურა ნიკოლოზ I-ის უშუალო განკარგულებით –

„Русский инвалид“ – რუსული სამხედრო გაზეთი, რომელიც სანქტ-პეტერბურგში გამოდიოდა 1813-1917 წლებში. დააარსა რუსეთის ისტორიაში ცნობილმა მასონმა და ფილანტროპმა პავლე პეზაროვიუსმა (1776-1847; თვითონვე იყო პირველი რედაქტორი), იმ განზრახვით, რომ გაზეთის შემოსავალი ომებში დაინვალიდებულებს, აგრეთვე, დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახებს გადასცემოდა. გაზეთში ქვეყნდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ხასიათის მასალაც, თუმცა

იგი ძირითადად სამხედრო საკითხებზე იყო ორიენტირებული. პოპულარული იყო მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით –

„Санкт-Петербургские ведомости“ (1728-1917; 1914 წლიდან – **„Петроградские ведомости“**) – ლიბერალური მიმართულების ყოველდღიური (1800 წლიდან) გაზეთი, რომელიც დაარსდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით და რომელსაც თავიდან სახელგანთქმული (აკადემიის წევრი) მეცნიერები რედაქტორობდნენ. 1756 წლამდე („მოსკოვსკიე ვედომოსტის“ გამოსვლამდე) ითვლებოდა იმპერიის მთავარ გაზეთად. 1875 წლიდან გადაეცა რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს და ამის შემდეგ დაკარგა სარედაქციო დამოუკიდებლობა და, შესაბამისად, პოპულარობაც –

„Сборник Кавказского Общества Сельского Хозяйства“ – პერიოდული გამოცემა (კრებული), რომელიც თბილისში გამოდიოდა 1878-1883 წწ. (ფაქტობრივად იგი იყო გაგრძელება 1855-1876 წწ. თბილისშივე გამომავალი პერიოდული გამოცემისა „Записки Кавказского Общества Сельского Хозяйства“) –

„Сборник сведений о кавказских горцах“ (1868-1881) – პერიოდული გამოცემა (კრებული), რომელშიც იბეჭდებოდა სამეცნიერო კვლევები და საისტორიო მასალები კავკასიის ხალხთა (ძირითადად – ჩრდილოელ კავკასიელთა) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესახებ. გამოდიოდა თბილისში (სულ გამოვიდა 10 კრებული). რედაქტორი ნიკ. ვორონოვი (1832-1888) –

„Северная почта“ (1809-1819) – გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში (კვირაში ორჯერ). გამოსცემდა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საფოსტო დეპარტამენტი. გაზეთში ძირითადად იბეჭდებოდა მასალები რუსეთის ეკონომიკის საკითხებზე და ცნობები საერთაშორისო ვითარების შესახებ –

„Северная пчёла“ (1825-1864) – საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო ყოველდღიური (1832 წლიდან) გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში. დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი ფადეი ბულგარინი (1831-1859 წწ. – ნიკოლოზ გრეჩთან ერთად; 1860 წლიდან გაზეთს გამოსცემდა პავლე უსოვი) –

„Собеседник любителей русского слова“ (1783-1784) – ლიტერატურული ჟურნალი (სულ გამოიცა 16 ნომერი). დამააარსებელი და გამომცემელი იყო იმპერატორ ეკატერინე მეორესთან დაახლოებული პირი, რუსეთის აკადემიის პრეზიდენტი, მწერალი ეკატერინა დაშკოვა (1743-1810) – ; იხ. აგრეთვე: **„თან-მესაუბრე მოყუარულთა როსსიელთა ლექსისათა“**

„Тифлисские ведомости“ (1828-1833) – პირველი რუსული გაზეთი კავკასიაში. ოფიციოზი. რედაქტორი პავლე სანკოვსკი. მის ქართულ თარგმანს წარმოადგენდა „ტფილისის უწყებანი“ –

„Цветок Тифлисской гимназий“ (1835-1836) – თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა (მიხ. თუმანიშვილი, ნ. ბარათაშვილი, დ. მაჩაბელი და სხვ.) მიერ რუსულ ენაზე შედგენილი ხელნაწერი ჟურნალი (სულ გამოვიდა 5 ნომერი) –

თხზულებათა•

„აბდულმესიანი“ (იოანე შავთელი) –
„ა. ბესტუჟევის მოთხრობების თარგმანები „ცისკრის“ ფურცლებზე“ (ვ. გაბედავა) –
„აბრეშუმი და იმის მოვლა“ (?) –
„აბრეშუმის ჭიის ისტორია“ (ალექსანდრე შანშიაშვილი) –
„1871 წ. 23 მაისი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„აი ისტორია“ (ილია ჭავჭავაძე) –
„აკაკის ფელეტონი „ივერიაში“ (ლევან ასათიანი) –

• Setanilia avtorTa wignebic (monografiebi, krebulebi, memuarebi...).

„ალბომზედ სახსოვრად მინაწერი ანასტასიას“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„ალბომზედ სახსოვრად მინაწერი ელისაბედს“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„ალერსი“ (დავით მაჩაბელი) –
„ალუდა ქეთელაური“ (ვაჟა-ფშაველა) –
„ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის საქართველოში“ (დიმიტრი ყიფიანი) –
„ამად მემდური კინამო...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ამალათ-ბეგ“ (ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკი) –
„ამაო-ამაოთა“ (კირილე ლორთქიფანიძე) –
„ამბავი უფლისა დელამოტისა“ (პაღოლებრუნი) –
„ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა“ (სერგი მინაშვილი) –
„ანბანთ ქება“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„ანბანი. ახალ-მოჰსწავლეთა ყრმათათვის“ (ივანე კერესელიძე) –
„ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვევულება“ (?) –
„ანრი როშფორი“ (ნიკო ნიკოლაძე) –
„ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა“ (ვახტანგ ვახანია) –
„აპელაციის მცოდნე“ (აკაკი წერეთელი) –
„არ უკიჟინო, სატრფოო...“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) –
„არაბი-ფაშა“ (აკაკი წერეთელი) –
„არეს ეწოდა აწღა ცისკარი...“ (გრიგოლ დადიანი-კოლხიდელი) –
„ასის წლის ისტორია“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ასპინძის ომი, 1770-სა“ (ალექსანდრე ორბელიანი) –
„აღთქმის სარკე. ყრმებრივი უმანკოება“ (?) –
„აღმოჰხდა მნათი აღმოსავალს...“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) –
„აღსარება“ (ვოლტერი) –
„აღსარება“ (გრიგოლ ორბელიანი) –
„აღსარებანი“ (ალექსანდრე ორბელიანი) –
„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – იხ. „საქართველოს გეოგრაფია“ (ვახუშტი ბაგრატიონი) –
„აჩრდილი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ახალ ამბავად უსასიამოვნოესი...“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„ახალგაზრდობის აღზრდა“ (ნიკო ნიკოლაძე) – იხ. „საზოგადო საქმეები. ახალგაზრდობის აღზრდა“ (ნიკო ნიკოლაძე)
„ახალი საფრანგეთი. ისტორიული სურათები. I. საფრანგეთის მდგომარეობა წარსულ საუკუნეში“ (ნ. ნიკოლაძე) –
„ახირებული ფურცელი“ (აკაკი წერეთელი) –
„ახლად შეძენილი საქართველო“ (სერგეი მესხი) –

„ბაგრატ ბატონის შვილის ქალზედ თქმული“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„ბაგრატ დიდი (1360-1395 ქრ. აქეთ)“ (გიორგი წერეთელი) –
„ბაგრატ მეოთხე ანუ საქართველო მეთერთმეტე საუკუნეში“ (დიმიტრი ბაქრაძე) –
„ბაზალეთის ტბა“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ბაიათი ალექსანდრესი: „ვიწყო წერა მაჯამით...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ბატი ძმრით“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„ბაღჩი-სარაია“ (ადამ მიცკევიჩი) –
„ბაში-აჩუკი“ (აკაკი წერეთელი) –
„ბახტრიონი“ (ვაჟა-ფშაველა) –
„ბედნიერი ერი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ბიძია თონიკეს სტატიის გამო“ (კირილე ლორთქიფანიძე) –
„ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ბრწყინავს მნათი მზებრ ნათობ...“ (ოთარ ქობულაშვილი) –
„ბულბული“ (ვახტანგ ორბელიანი) –

„ბულბული ვარდზედ“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) –

„გ. აბხ[აზს]“ (ილია ჭავჭავაძე) –
„გ. წერეთელი“ (აბესალომ იოვიძე) –
„გიორგი წერეთელი და გაზეთი „კვალი“ (შოთა ვაშაყმაძე) –
„გაზაფხული“ (?) –
„გაზეთ „დროების“ ენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ“ (ი. ნასარიძე) –
„გაზეთ „დროების“ ისტორიისათვის“ (ნუნუ ბოცვაძე) –
„გაზეთ „დროების“ 50 წლისთავი“ (?) –
„გაზეთი „დროება“ (1866-1875 წწ.)“ (ნიკო ნიკოლაძე) –
„გაზეთი „თეატრი“ (თამაზ ქვარიანი) –
„გაზეთი „კავკაზი“ და ქართველი ხალხი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„გაზეთი „კვალი“. 1893-1904 წწ.“ (აბელ კიკვიძე) –
„გაზეთ „კვალის“ ისტორიისათვის“ (ლ **წინამძღვრიშვილი**
„გაზეთი „ტფილისის უწყებანი“ (შალვა რატიანი) –
„გაკეთება ღვინისა ევროპიულ გვარად“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„გამოსალმება“ (გრიგოლ ორბელიანი) –
„გამოცანები“ (ილია ჭავჭავაძე) -
„გამოცდა“ (ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკი) –
„გამოცხადება“ (პირველი ქართული გაზეთისა) –
„გამოცხადება“ (ჟურნალ „სინათლისა“) –
„განდეგილი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„განთიადი“ (აკაკი წერეთელი) –
„განსაცდელი“ (ლუკა ისარლიშვილი) –
„განსაჯოს კაცმან პირუთვნელმან“ (დავით გამეზარდაშვილი) –
„განყოფა სოფლისა“ (ფრიდრიხ შილერი) –
„განღვიძება“ (ალექსანდრ პუშკინი) –
განცხადება („ბრძანებითა მთავრობისათა...“) (სოლომონ დოდაშვილი) –
განცხადება („გამომცემელი ვალად ჰრაცხს...“) (სოლომონ დოდაშვილი) –
„განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა“ (მარი ბროსე) –
„გარემისა საფლავნი“ (ადამ მიცკევიჩი) –
„გაფი: „აჯას ვამრავლებ მე შენდა...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„გაქსუებული“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„გაყრა“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„გეყედრებ ღმერთო!“ (პავლე თუმანიშვილი) –
„გვაქვს საგანძური...“ (ალექსანდრე კალანდაძე) –
„გველების კარი გაზაფხულისა...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„გივი ამილახვრის აღსარება“ – იხ. „აღსარება“ (გრიგოლ ორბელიანი)
„გიორგი დავითის ძე ერისთავი“ (იონა მეუნარგია) –
„გიორგი ერისთავი“ (დავით გამეზარდაშვილი) –
„გიორგი წერეთელი“ (ანდრო ჭილაია) –
„გიორგი წერეთელი (მოღვაწეობა, აზროვნება, შემოქმედება)“ (სიმონ ხუნდაძე) –
„გლახის ნაამბობი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„გლახის ნაამბობი, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა“ (ნიკო ნიკოლაძე) –
„გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“ (ილია ჭავჭავაძე) –
„გოგოთურ და აფშინა“ (ვაჟა-ფშაველა) –
„გოგჩის ტბა“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„გოდება ადამისა ძაგნაკორულად დიმიტრის მიერ“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„გორდის მთაზე“ (გიორგი ჭალადიდელი) –
„გრიგოლ ორბელიანი“ (ნიკო ნიკოლაძე) –
„გრიგოლ ყიფშიძე – ჟურნალისტი და ჟურნალისტიკის ისტორიკოსი“ (დოდო შანშიაშვილი) –

„გუთნისდედა“ (ილია ჭავჭავაძე) –
„გულივერის მოგზაურობა“ (ჯონათან სვიფტი) –
„გულს“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„გურიის ცხოვრებიდამ“ (ილია ჭყონია) –

„დავა“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„დავით აღმაშენებელი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„დავით გურამის შვილის ლეკთაგან დატყუება“ (დავით გურამიშვილი) –
„დავითიანი“ (დავით გურამიშვილი) –
„დამარილება ხორცთა“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„დამატებითი შენიშვნა ფსევდონიმის „სფირიდონ ჩიტორელიძის“ შესახებ“ (პავლე ინგოროყვა) –
„დამქროლა ქარმან სასტიკმან...“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) –
„დარიგება“ (რაფიელ ერისთავი) –
„დასების თეორიის გადასინჯვისათვის“ (პროკოფი რატიანი) –
„დასტურლამალი“ (ვახტანგ VI) –
დედოფლისაგან მიწერილი ვეზირთან [ისტორიული დოკუმენტი] –
„დიდი მოურავი“ (ანტონ ფურცელაძე) –
„დიდისა მოურავისა გიორგი სააკაძის სიკვდილი“ (თეიმურაზ ბაგრატიონი) –
„დიდმოურავიანი“ (იოსებ თბილელი) –
„დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წლები)“ (თამაზ ჯოლოგუა) –
„დონ-კიხოტი“ (სერვანტესი) – იხ. „ლამანჩელი აზნაური დონ-კიხოტი“ (სერვანტესი) –
„დოქტორი კრუპოვის თხზულებიდგან...“ (ალექსანდრე გერცენი) – იხ. „ექიმი კრუპოვი“ (ალექსანდრე გერცენი) –
„დროება“ და აღზრდის საკითხები“ (ოთარ ქინქლაძე) –
„დროება“ (მოკლე ისტორიულ-ქრონოლოგიური ქარგა)“ (ოთარ კასრაძე) –
„დროებიდან“ – „ივერიამდე“ (სოლომონ ცაიშვილი) –
„დროების ათი წლის იუბილე“ (გრიგოლ ორბელიანი) –
„დროების“ დღესასწაული ათის წლისა“ (?) –
„დროების“ ნომრები გრ. ორბელიანის შენიშვნებით“ (იოსებ ბოცვაძე) –
„დროებისა“ და „ივერიის“ შეერთებაზედ“ (სერგეი მესხი) –
„დღისა და ღამის სამართლის ამბავი ქართველთ ზნეობაზე“ (თეიმურაზ II) –

„ე. წ.“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„ელგუჯა“ (ალექსანდრე ყაზბეგი) –
„ელეგია“ (ლუკა ისარლიშვილი) –
„ელენა“ (სოლომონ დოდაშვილი) –
„ელისაბედიანი, შეთხზვით ვარდნი, იანი...“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„ემიგრანტული ნაშრომები“ (ექვთიმე თაყაიშვილი) –
„ერთგზის ხელმან შემბრალემან...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ენების გასამართლება“ (აკაკი წერეთელი) –
„ერემ-სერემ-სურემიანი“ (ვაჟა-ფშაველა) –
„ერთი მოთხრობის დასაწყისი“ (ილია ჭავჭავაძე) – იხ. „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ერთი ყმაწვილი ქალს თაიგულის მირთმევაში ეუბნება („აჰა ესე ვარდ ზამბახნი...“)“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ერთის მინუტის სიჭაბუკე“ (ვიქტორ ჰიუგო) –
„ერი და ისტორია“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801-1921“ (ალექსანდრე ბენდიანიშვილი) –
„ეტიუდები“ (ნოდარ ტაბიძე) –
„ექიმი კრუპოვი“ (ალექსანდრე გერცენი) –
„ეშმაკები“ (აკაკი წერეთელი) –
„ეჰა სიცოცხლე მკლებია...“ (ოთარ ქობულაშვილი) –

„**ვ**აი ჭკუისაგან“ (ალექსანდრე გრიბოედოვი) –
„ვარდი“ (დავით მაჩაბელი) –
„ვედრება“ (აკაკი წერეთელი) –
„ვენეციელი ვაჭარი“ (უილიამ შექსპირი) –
„ვეფხისტყაოსანი“ (შოთა რუსთველი) –
„ვიდრემდის გქონან ღვთისაგან...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ვით აღგიწერო, არ ძალ მიძს...“ –
„ვილჰელმ ტელი“ (ფრიდრიხ შილერი) –
„ვის ეკუთვნის „დროების“ პირველი მეთაური წერილი?“ (ნიკოლოზ კილანავა) –
„ვის ნათესსა ვმკით? (მიმოხილვა 1879 წლისა)“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ვუძღვნი დიდ კაცებს (ბოლო მოუდებელის კომედიითგან)“ (ივანე კერესელიძე) –
„ვუძღვნი ნ. სკანდელს“ (გიორგი ჭალადიდელი) –

„**ზ**არე და ყანიმათ“ (გიორგი დ. ერისთავი) –; იხ. აგრეთვე: „ოსური მოთხრობა“ (გიორგი დ. ერისთავი)
„ზეციერი მნათობები“ (ორმსბი-მაქნაით მიტჩელი) –
„ზოგიერთების ლოცვა“ (აკაკი წერეთელი) –
„ზოგიერთების მამაო ჩვენო“ (აკაკი წერეთელი) –
„ზოგიერთი რამ“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი“ (დავით გურამიშვილი) –

„**თ**. ალექსანდრე ჭავჭავაძე“ (ილია ჭავჭავაძე) –
„თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის გარდაცვალებაზედ“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“ („როს წარვიკითხე...“) (ილია ჭავჭავაძე) –
„თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“ („აღარა გვყევხარ!..“) (ილია ჭავჭავაძე) –
„თ. ს. მაჩაბელს („ბედმან მე კუალად...)“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„თავ. სვ. მაჩაბელს („გახსოვს, როს, ძმაო...“)“ (გიორგი ერისთავი) –
„თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
თამარ დედოფლისაგან მიწერილი მეფე ალექსანდრესთან [ისტორიული დოკუმენტი] –
„თამარიანი“ (ჩახრუხაძე) –
„თამბაქოს მოყვანის შესახებ“ (ივანე სერებრიაკოვი) –
„თანამეგზაური“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„თბილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“ (დიმიტრი ბაქრაძე, ნიკოლოზ ბერძნიშვილი) –
„თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, ტ. I“ (კონსტანტინე მეძველია) –
„თერგდალეულთა მებრძოლი ორგანო“ (პროკოფი რატიანი) –
„თეჯნისი („არ ვის ჰმართებს...“)“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„თოვლი“ (დავით მაჩაბელი) –
„თოუული“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„თქმული კნიაზ პეტრე ბაგრატოვანზედ“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„თხზულებები“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –

„**ი**. ლ. სერებრიაკოვი“ (?) –
„ი. ჭავჭავაძე ჟურნალ „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ (ვანო კაკაბაძე) –
„ივ. ივ. კერესელიძე“ (ზაქარია ჭიჭინაძე) –
„იანიჩარი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„იგივე ელისაბედიანი ჩახრუხაულად“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„ივანე კერესელიძე (დოკუმენტური მასალა)“ (ქეთევან ჭიჭინაძე, ნინო თედორაძე) –
„ივანე მაჩაბელი და მეფის ცენზურა“ (აბესალომ იოვიძე) –

„ივანე ოქრომჭედლიშვილი“ (გრიგოლ თოდუა) –
„ივერიის“ დაარსების ისტორიიდან (1877-1885)“ (შალვა გოზალიშვილი) –
„ივერიის“ ერთი აკრძალული სტატიის გამო (1893, №2)“ (ლუბა მეფარიშვილი) –
„ივერიის“ პირველი ნომერი“ (ნიკო ნიკოლაძე) –
„ივერიის“ უკანასკნელი რედაქტორის გულისტკივილი“ (სერგო ჯორბენაძე) –
„ივანე კოტორაშვილის ამბავი“ (ვაჟა-ფშაველა) –
„ივანეს საუბარი გლეხის ბიჭებთან“ (ედუარდ რეგო) –
„ილია და „მოლაყბე“ (ერთი დაუდგენელი ფსევდონიმის შესახებ)“ (გივი მიქაძე) –
„ილია ოქრომჭედლიშვილი“ (შალვა გოზალიშვილი) –
„ილია ჭავჭავაძე“ (გრიგოლ ყიფშიძე) –
„ილია ჭავჭავაძე“ (მიხეილ ჯავახიშვილი) –
„ილია ჭავჭავაძე“ (პავლე ინგოროყვა) –
„ილია ჭავჭავაძე“ (ქრისტეფორე რაჭველიშვილი) –
„ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა“ (ივანე გიგინეიშვილი) –
„ილია ჭავჭავაძე, „ივერია“ და ცენზურა“ (შალვა გოზალიშვილი) –
„ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და ღვაწლი)“ (გიორგი აბაშიძე) –
„ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების დახასიათება)“ (ლადო მინაშვილი) –
„ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება (ფოტომატიანე), წგნ. I-II“ (გურამ შარაძე) –
„ილია ჭავჭავაძის „ივერია“ (ნოდარ ტაბიძე) –
„ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა“ (ნოდარ ტაბიძე) –
„ილია ჭავჭავაძის რედაქტორული მოღვაწეობა“ (ნოდარ ტაბიძე) –
„ილია ჭავჭავაძის სააზროვნო საგნის რაობისათვის“ (მიხეილ ნანეიშვილი) –
„ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან“ (ავთანდილ ნიკოლეიშვილი) –
„ილია ჭავჭავაძის ხელმოუწერელი მოწინავეები გაზეთ „დროებაში“ (ლევან ჭრელაშვილი) –
„ილიადან ილიამდე“ (ვახტანგ გურული) –
„ილიას ფენომენი“ (გურამ ყორანაშვილი) –
„ილიადა“ (ჰომეროსი) –
„ილიას მოკვლის გამო“ (აკაკი წერეთელი) –
„ილიას პირველი რეცენზენტი (ბიბლიოგრაფიული ეტიუდი)“ (მაქსიმე ბერძნიშვილი) –
„იმერული ნანინა“ (აკაკი წერეთელი) –
„იოსებ მაძინი“ (პეტრე უმიკაშვილი) –
„იულიუს ცეზარი“ (უილიამ შექსპირი) –
„იშვიათი ცოლი“ (?) –

„კავკასია“ (ალექსანდრე დიუმა-მამა) –
„კავკასია“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„კავკასიის აქეთა მხრის კარტა, გამოცემული 1868 წ. და სინოპტიკური კალენდარი 1869, შედგენილი რაფიელ ისარლოვისაგან“ (?) –
„კავკასიის მთასა“ (გიორგი იასეს ძე ერისთავი)
„კაკო ყაჩაღი“ (ილია ჭავჭავაძე) – იხ. „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ (ილია ჭავჭავაძე)
„კალიოსტრო ღერცოღ რიშელიოსთან“ (რაფაილ ზოტოვი) –
„კალმასობა“ (იოანე ბატონიშვილი) –
„კაცია-ადამიანი?!“ (ილია ჭავჭავაძე) –
„კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაქიზიანებისა და სიმდიდრის მოპოვებისა“ (დიმიტრი ჯანაშვილ) –
„კბილის ჰაქიმი“ (ივანე კერესელიძე) –
„კვლავ „სალაყბო ფურცლების“ ავტორთა ვინაობის საკითხისათვის“ (დავით გამეზარდაშვილი) –
„კვლავ ქართული ლიტერატურის შესახებ (უფ. ბერძენოვის წერილის გამო)“ (ფადეი ბობილიოვი) –
„კიდევ სხუა („ვაქო პირად ბადრია...“)“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„კითხვა“ (მამია გურიელი) –

„კირაკოზი განძაკეცი. მწერალი XIII საუკუნისა“ (ილია ჭავჭავაძე) –
„კნეინა მახიასთან მიწერილი“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„კნეიჟნა სოფიო ერისთავისადმი“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„კნიაჟნა დარია ბეგთაბეგოვისას ლეკურის თამაშობაში“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„კნიაჟნა ეკატერინა ჭავჭავაძისადმი“ (გრიგოლ ორბელიანი) –
„კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ „დროების“ მასალების მიხედვით (გამოკვლევა და კატალოგი)“ (ნუგზარ პაპუაშვილი) –
„კოლხიდა (მეგრელია)“ (თეიმურაზ ბატონიშვილი) –
„კოლხიდა რომაელების მფლობელობაში შემოსვლამდინ...“ (დიუბუა დე მონპერე) –
„კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის (კ. გ. ზალცმანი) –
„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (ვაჟა-ფშაველა) –
„კრებულის“ დანიშნულებაზე“ (ნიკო ნიკოლაძე) –
„კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“ (ნიკო ნიკოლაძე) –
„კურთხევა“ (ფრანჩესკო პეტრარკა) –

„ლათინურ-რუსულ-ქართული-ბოტანიკური ლექსიკონი თ. რაფიელ ერისთავისაგან შემდგარი“ (?) – 201
„ლამანჩელი აზნაური დონ-კიხოტი“ (სერვანტესი) –
„ლაჯარამ“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ლიტერატურული და რევოლუციური წრეები გორში (მეცხრამეტე საუკ. 70-80-90-იანი წლები)“ (იაკობ ბალახაშვილი) –
„ლიტერატურული ნარკვევები“ (ავთანდილ ნიკოლეიშვილი) –
„ლიტერატურული ნარკვევები და წერილები“ (ლევან ასათიანი) –
„ლიტერატურული შეკრება სოფელ ბრილში გაზ. „კვალის“ დასაარსებლად“ (იაკობ ბალახაშვილი) –
„ლიტერატურული წერილები“ (ანდრო აბრამიშვილი) –
„ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი)“ (იაკობ ბალახაშვილი) –
„ლოდინი“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ლოთური მუხამბაზი“ (გრიგოლ ორბელიანი) – იხ. „მუხამბაზი“ (გრიგოლ ორბელიანი)
„ლორის გაკეთება“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„ლოტო“ (სამსონ აბაშიძე) –
„ლოტოთი ლოთობა ქუთაისში“ (აკაკი წერეთელი) –
„ლოცვა“ („მამაო ჩვენო...“) (ილია ჭავჭავაძე) –
„ლოცვა აჩრდილისა“ (ილია ჭავჭავაძე) – იხ. „აჩრდილი“ (ილია ჭავჭავაძე)
„ლოცუა ტრფიალისა“ (დავით მაჩაბელი) –
„ლუკმა-პურის ამბავი. აღწერა კაცისა და ცხოველების სიცოცხლისა“ (ჟან მასე) –
„ლხინი“ (ალექსანდრე პუშკინი) –

„მადლი შენს გამჩენს, ლამაზო...“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) –
„მავნე სულები (ამბავი მოხევის ცხოვრებიდგან)“ (დიმიტრი ყაზბეგი) –
„მათხოვარი და ძაღლი“ (ივანე კრილოვი) –
„მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება“ (ნიკოლოზ დობროლიუბოვი) –
„მამის მკვლელი“ (ალექსანდრე ყაზბეგი) –
„მამისაგან შვილის დარიგება“ (გიორგი იასეს ძე ერისთავი) –
„მამულისადმი სიყვარული“ (იოსებ მამაცაშვილი) –
„მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური“ (ირაკლი წერეთელი) –
„მართა“ (ანტონ ფურცელაძე) –
„მარქსიზმის წარმოშობა და დამკვიდრება საქართველოში“ (ლეონიდე გორგილაძე) –
„მას აქეთ, რაკი...“ (ილია ჭავჭავაძე) –
„მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, [ტ.] I-II“ (მაქსიმე ბერძნიშვილი) –

„მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის“ (არჩილ ჯორჯაძე) –
„მასალები „ცისკრის“ წარმოების გასარჩევად“ (ილია ჭავჭავაძე) –
„მასკარადის შეცთომილება“ (?) –
„მაცი ხვიტია“ (ანტონ ფურცელაძე) –
„მაჯამა ბატონის თეიმურაზისაგან თქმული“ (თეიმურაზ I) –
„მაჯამა თქმული დიდის მეფის თეიმურაზისა“ (თეიმურაზ I) –
„მგელი და ბატკანი“ (ივანე კრილოვი) –
„მგზავრის წერილები“ (ილია ჭავჭავაძე) –
„მგზავრის წიგნები“ (გიორგი წერეთელი) –
„მდურვა სოფლისა ძაგნაკლულად ქართლით წამოსულს...“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„მე მინდა კნეინა გავხდე“ (ზურაბ ანტონოვი) –
„მე უმცირესმან ძმათაგან...“ (ვახტანგ VI) –
„მედიატორთ ძიება“ (ა. ა.) –
„მეკვლე“ (სოფრომ მგალობლიშვილი) –
„მელოდია (ღიშპანური სიმღერა)“ (ალექსანდრე პუშკინი) –
„მემთვრალისადმი“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„მემუარები“ (გიორგი ლასხიშვილი) –
„მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“ (არჩილ ჯორჯაძე) –
„მესმის, მესმის, სანატრელი...“ (ილია ჭავჭავაძე) –
„მეუდაბნოენი“ (უან ფრანსუა მარმონტელი) –
„მეფე დიმიტრი თავდადებული“ (ილია ჭავჭავაძე) -
მეფე ვახტანგთან კახ ბატონისაგან [ისტორიული დოკუმენტი] –
„მეფე ლირი“ (უილიამ შექსპირი) –
მეფისაგან მიწერილი ეპისკოპოსთან [ისტორიული დოკუმენტი] –
მეფისაგან მიწერილი კათალიკოზთან [ისტორიული დოკუმენტი] –
„მეფობა ირაკლის მეორისა“ (სოლომონ დოდაშვილი) –
„მეცნიერება და ტექნიკა ილიასეულ „ივერიაში“ (ანდრე კარბელაშვილი) –
„მეცხრამეტე საუკუნე (ლიტერატურული ნარკვევები)“ (ჯუმბერ ჭუმბურიძე) –
„XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკის ისტორიიდან“ (შალვა რატიანი) –
„XIX საუკუნის ქართული დემოკრატიული პრესა (გლეხობის საკითხი გაზეთ „დროების“ მიხედვით. 1866-1885 წწ.)“ (ლეილა ბერძენიშვილი) –
„XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები“ (იპოლიტე ვართაგავა) –
„მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები“ (ქეთევან ბურჯანაძე) –
„მთიული“ (დავით მაჩაბელი) –
„მთოვარე“ (ალექსანდრე ორბელიანი) –
„მივიწყებული ქართველი საზოგადო მოღვაწე“ (გივი მიქაძე) –
„მიკვირს რად ჰსძრახუენ...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„მილოცვა იესოს ქრისტეს შობის დღესასწაულისა მეფის ირაკლისადმი...“ (ვარლამ ერისთავი) –
„მიმკვლევა“ (აკაკი წერეთელი) –
„მიმოხილვა“ (გიორგი წერეთელი) –
„მიხედე კეკლუცს როს თვის სახესა...“ (ლუკა ისარლიშვილი) –
„მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ“ (თამაზ ჯოლოგუა) –
„მნათობზედ“ (ნიკო ავალიშვილი) –
„მოგზაურობა ევროპაში“ (სულხან-საბა ორბელიანი) –
„მოგზაურობითგან კავკასიაში“ (დიუბუა დე მონპერე) –
„მოგონება“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„მოგონებათა ფურცლები“ (სამსონ ფირცხალავა) –
„მოგონებანი“ (დავით მესხი) –
„მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე“ (არტურ ლაისტი) –
„მოგონებანი. ნახული და გაგონილი“ (იაკობ მანსვეტაშვილი) –
„მოგონებები“ (გერონტი ქიქოძე) –

„მოგონებები, [ტ.] II“ (იპოლიტე ვართაგავა) –
„მოგონებები ქართველ მწერლებზე. გიორგი წერეთელი“ (ექვთიმე თაყაიშვილი) –
„მოთქმით ტირილი საქართველოს მეფისა ღერკულეს ნეტარებისა ღირსისა“ (სოლომონ ლიონიძე) –
„მოთხრობა ქალის მარიამისა“ (?) –
„მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს“ (ილია ოქრომჭედლიშვილი) –
„მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ (სოლომონ დოდაშვილი) –
„მოკლე სიტყვის გება სოგრატისაი. ჰსწავლა პირველი“ (სოკრატე) –
„მოლა ნურ“ (ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკი) –
„მონღოლთა ისტორია“ (კირაკოს განძაკეცი) –
მორიგის ლაშქრობის განჩინება მეორე ერეკლე მეფისა –
„მოსვლა საქართუელოსა ზედა ავარი[ი]სა ომარხ[ა]ნისა და ომი იორზედ, ნოემბრის ზ[7]-სა ჩყ[1800] წელსა“ (?) –
„მოსწრებული სიტყვა“ (?) –
„მოწერილი ს. პეტერბურღიდამ ტფილისს ძმასთან“ (სტეფანე დოდაშვილი) –
„მოწმობა წმინდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა“ (თეიმურაზ ბატონიშვილი) –
„მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს სამძღუართა შინა“ (გიორგი იასეს ძე ერისთავი) –
„მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“ (ტიმოთე გაბაშვილი) –
„მოხუცის ნათქვამი“ (ვაჟა-ფშაველა) –
„მტკვრის პირას“ (ილია ჭავჭავაძე) –
„მტკურისადმი“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„მურაბის და ჟელეს გაკეთება“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„მუშა“ (ილია ჭავჭავაძე) –
„მუცელა“ (ვაჟა-ფშაველა) –
„მუხამბაზი („მოვედ ამ არედ შესამკობელად...“)“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს...“) (გრიგოლ ორბელიანი) –
„მუხანბაზი“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„მღვიმე სასაფლაოს იქით“ (?) –
„მცარცველობის ფიზიოლოგია“ (ფრედერიკ ბასტია) –
„მცირედი რამ მოთხრობა როსიისა“ (გაბრიელ რატიშვილი) –
„მძინარე ქალი“ (ილია ჭავჭავაძე) –

(„ჰე, საყუარელო, ვის მიერ...“)“ (გრიგოლ ორბელიანი) –
(„მითხარ, ტურფავ...“)“ (გიორგი დ. ერისთავი) –
ნადირ-შაჰისაგან მოწერილი წიგნი შვილთან [ისტორიული დოკუმენტი] –
„ნალივაიკო“ (კონდრატი რილეევი) –
„ნამწყემსარის მოგონება“ (ალექსანდრე ყაზბეგი) –
„ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“ (იონა მეუნარგია) –
„ნანინა“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“ (ნიკო ნიკოლაძე) –
„ნარკვევები“ (სიმონ ხუნდაძე) –
„ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] I“ (ამბერკი გაჩეჩილაძე) –
„ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან“ (აკაკი სურგულაძე) –
„ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] II“ (იუზა ევგენიძე) –
„ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან“ (დავით გამეზარდაშვილი) –
„ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი სახალხო ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“ (გიორგი მუხრანბატონი) –
„ნეიტრალი“ (აკაკი წერეთელი) –
„ნეტარ არს იგი, ვისა თუალებსა...“ (ლუკა ისარლიშვილი) –
„ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (აკაკი გაწერელია) –
„ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953“ (ვახტანგ გურული) –

„ნუთუ?“ (ილია ჭავჭავაძე) –

„**ო**, ღარმავალნო გზასა ქალნო...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ობლის ბედი“ (გიორგი იოსელიანი) –
„ოთარაანთ ქვრივი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ოთხი შეხვედრა“ (?) –
„ორი ვერონელი აზნაური“ (უილიამ შექსპირი) –
„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ორი შეხვედრა“ (აკაკი წერეთელი) –
„40-50-იანი წლების ლიტერატურა და ჟ. „ცისკარი“ ილია ჭავჭავაძის დახასიათებით“ (იუზა ევგენიძე) –
„ორნაირი სწავლა“ (ფრედერიკ ბასტია) –
„ოსმალოს საქართველო“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ოსური მოთხრობა“ (გიორგი დ. ერისთავი) –; იხ. აგრეთვე: „ზარე და ყანიმათ“ (გიორგი დ. ერისთავი)
„ოცნება“ (სალომე მაყაშვილი) –
„ოცნება“ (ალექსანდრე პუშკინი) –
„ოცნებას“ (ლუკა ისარლიშვილი) –

„პარიჟი“ (ილია ჭავჭავაძე) – იხ. „1871 წ. 23 მაისი“ (ილია ჭავჭავაძე)
„**პ**ასუხი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„პასუხი გიორგი მუხრან-ბატონის წერილზე“ (გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი) –
„პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“ (რევაზ ერისთავი) –
„პასუხი ტბილისიდამ“ (სოლომონ დოდაშვილი) –
„პასუხი შვილთა“ (გრიგოლ ორბელიანი) –
„პასუხი ჭალადიდელისადმი“ (აკაკი წერეთელი) –
„პასუხის პასუხი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„პასუხისგება უ[ფალ] არდაზიანის კრიტიკაზედა“ (ნიკოლოზ ბერძნიშვილი) –
„პატოცკას საფლავი“ (ადამ მიცკევიჩი) –
„პეტრე ბაგრატიონისათვის სიტყვა“ (ალექსანდრე ახვერდოვი) –
„პილიგრიმი“ (ადამ მიცკევიჩი) –
„პირველი და უკანასკნელი სიტყვა „დროებისადმი“ (აკაკი წერეთელი) –
„პირველი ქართული გაზეთი“ (სოფრომ მგალობლიშვილი) –
„პირველი ქართული გაზეთი“ (ნოდარ ტაბიძე) –
„პირველი ქართული გაზეთი“ (მოსე ჯანაშვილი) –
„პირველი ქართული გაზეთის 120 წლისთავი“ (გიორგი ლეონიძე) –
„პირველი ქართული ჟურნალი“ (მიხეილ გოცაძე) –
„პირველი ქართული ჟურნალი“ (ნოდარ ტაბიძე) –
„პოეზია გაზეთ „კვალში“ (ნოდარ ალანია) –
„პოეტი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები, ნაკვ. I“ (დიმიტრი შველიძე) –
„პრესა“ (ნოე ჟორდანია) – იხ. „ქართული პრესა (გუშინ და დღეს)“ (ნოე ჟორდანია)
„პრესა და მწერლობა“ (იოსებ ბოცვაძე) –
„პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე“ (არჩილ ჯორჯაძე) –

„**ჟ**ამნი რბიან, შენცა მელტვი...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ჟინევრა“ (?) –
„ჟოკო“ (?) –
„ჟურნალ „სინათლის“ განცხადება“ (მაქსიმე ბერძნიშვილი) –

„ჟურნალ „ცისკრის“ 1858 წლის 12 წიგნაკის გაკვრით მიმოხილვა 1858 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით“ (ნიკოლოზ ბერძნიშვილი) –
„ჟურნალ „ცისკრის“ თებერვლის წიგნაკი“ (ნიკოლოზ ბერძნიშვილი) –
„ჟურნალ „ცისკრის“ პოეტები“ (ლეილა ნანიტაშვილი) –
„ჟურნალ „ცისკრის“ რვა წიგნაკი (მარტიდან ოქტომბრის ჩათვლით)“ (ნიკოლოზ ბერძნიშვილი) –
ჩიკვილაძე „ჟურნალი „გუთნის-დედა“ (1861-1876 წწ.)“ (დალი ჩიკვილაძე) –
„ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (შალვა რატიანი) –
„ჟურნალი „ცისკარი“ (ამბერკი გაჩეჩილაძე) –
„ჟურნალისტიკის ისტორია“ (მაია მაჭავარიანი) –

„**რ**ა გვეჭირვება?“ (გიორგი წერეთელი) -
„რად გიკვირთ, მიკვირს...“ (გიორგი ჭალადიდელი) – იხ. „ვუძღვნი ნ. სკანდელს“ (გიორგი ჭალადიდელი) –
„რათ მკითხავ, რომე რად მიყუარს...“ (ლუკა ისარლიშვილი) –
„რაიმე რუსთაველისათვის“ (ლუარსაბ არღუთინსკი-დოლოგორუკოვი) –
„რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ (ქართული ლიტერატურული ჟურნალის „ცისკრის“ პირველი წიგნაკის გამოცემის გამო)“ (ნიკოლოზ ბერძნიშვილი) –
„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ (ილია ჭავჭავაძე) –
„რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ (აკაკი წერეთელი) –
„რატომ დაიხურა გაზეთი „დროება“? – ივანე მაჩაბელი და მეფის ცენზურა“ (ნელი ბოსტაშვილი) –
„რაშიდ ვარდიძე“ (მამია გურიელი) –
„რედაქტორისაგან უფალს თეიმურაზ ვაკელს“ (ივანე კერესელიძე) –
რედაქციისაგან (ილია ჭავჭავაძე) –
„რიგიანი ქართული გრამმატიკის შესამუშავებელ მასალებად“ (დავით ყიფიანი) –
„რომანსი“ (ალექსანდრე პუშკინი) –
„რომანსი: ზვირთები მოდუდუნებენ“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) – იხ. „ქეთევან“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი)
„რომეო და ჯულიეტა“ (უილიამ შექსპირი) –
„როს ბულბული საამოვნოდ...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„როს ვჭვრეტ შენსა სიკეკლუცეს...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„რტო პალესტინისა“ (მიხეილ ლერმონტოვი) –
„რუსთ ხელმწიფეთაგან ქართველ მეფის ვახტანგისა მიპატიჟება თავისთან“ (დავით გურამიშვილი) –
„რუსთაველი“ (ალექსანდრე ორბელიანი) –
„რუსული პერიოდული პრესის სათავეებთან საქართველოში“ (ნინო მახარაძე) –
„რჩევა“ (ილია ჭავჭავაძე) –

„**ს**... („სხვანიც იცი ყოფილან...) (ლუკა ისარლიშვილი) –
„ს... ჩ...სას“ („სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი...“) (ილია ჭავჭავაძე) –
„საამხანაგო ბანკები (იმათი მნიშვნელობა და დაწყობილება)“ (გიორგი წერეთელი) –
„საახალწლო (საუბარი მკითხველთან)“ (ნიკო ნიკოლაძე) –
„საბრალო არს გულ-მოკლული...“ (ლუკა ისარლიშვილი) –
„საბრალონი“ (ვიქტორ ჰიუგო) –
„საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“ (ვასილ ნაცვლიშვილი) –
„სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოეს“ (გრიგოლ ორბელიანი) –
„საიდუმლო ბარათი“ (აკაკი წერეთელი) –
„საზოგადო საქმეები. ახალგაზრდობის აღზრდა“ (ნიკო ნიკოლაძე) –
„საკითხავი წიგნი ახალ-მოსწავლეთა ყრმათათ ს“ (პ. მაქსიმოვიჩი) –
„სალამური“ (აკაკი წერეთელი) –
„სალაყბოს ფურცელი“ (ივანე კერესელიძე, მიხეილ თუმანიშვილი) –
„სალიტერატურო კრიტიკა გაზ. „დროებაში“ (1866-1875 წწ.)“ (ჯუმბერ ჭუმბურიძე) –
„სალიტერატურო კრიტიკა ჟურნალ „ცისკარში“ (1865-1875)“ (ჯუმბერ ჭუმბურიძე) –

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (ლიტერატურულ-ანოტირებული ბიბლიოგრაფია...) (სოლომონ ხუციშვილი, ნიკო ტატიშვილი) –
„სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა)“ (მიხეილ ხელთუბნელი) –
„სამგზავრო წერილები“ (პეტრე ნაკაშიძე) –
„სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი „კვალი“ (1893-1904)“ (შალვა გოზალიშვილი) –
„სამი ინდის ხურმა“ (?) –
„სამნი ძმანი – სამნივ თერგდალეულთაგანი“ (გაზ. „დროება“ და გ. წერეთელი)“ (სიმონ ხუნდაძე) –
„სამსახეობა რაინდისა“ (თეიმურაზ ბატონიშვილი) –
„სამშობლო“ (დავით ერისთავი) –
„სამშობლო“ („ ატრიე“) (ვიქტორიენ სარდუ) –
„საპყრობილესა შინა უეცრად ფრინველის შეფრენა და პყრობილისაგან ლაპარაკი“ (სვიმონ მაჩაბელი) –
„სარჩობელაზედ“ (ილია ჭავჭავაძე) –
„სასიამოვნო ამხანაგი“ (?) – 136
„სასიქადულოდ ქართულისა ენისა...“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„სატირა: დედა და ქალი“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი...“ (ილია ჭავჭავაძე) – იხ. „ს... ჩ...სას“ (ილია ჭავჭავაძე)
„სატრფოსადმი“ (მამია გურიელი) –
„საფია“ (როჟე დე ბოვუარი) –
„საქართველო მირიან მეფის დროს“ (დიმიტრი ბაქრაძე) –
„საქართველოს გაზეთის“ („ქართული გაზეთის“) პროფილისა და პოზიციის საკითხი“ (აკაკი კენჭოშვილი) –
„საქართველოს გეოგრაფია“ (ვახუშტი ბატონიშვილი) –
„საქართველოს გული“ (არტურ ლაისტი) –
„საქართველოს ისტორიის სურათები (მეოთხე საუკუნე)“ (გიორგი წერეთელი) –
„საქართველოს ისტორიის სურათები (მეხუთე საუკუნე)“ (გიორგი წერეთელი) –
„საქართველოს მოამბე“ (ნოდარ ტაბიძე) –
„საქართველოს მოამბე“. 1863 (ლიტერატურულ-ანოტირებული ბიბლიოგრაფია...“ (სოლომონ ხუციშვილი, ნიკო ტატიშვილი) –
„საქართველოს მოამბე“. 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნები“ (ანტონ ფურცელაძე) –
„საქართველოს მოამბე“ და გიორგი წერეთელი“ (შოთა ვაშაყმაძე) –
„საქართველოს მოამბე“ (ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური იდეალები)“ (ვახტანგ გაგოიძე) –
„საქართველოს მოამბეზედ“ (ილია ჭავჭავაძე) –
„საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი. შემდეგი დრო მიტრიდატ დიდის სიკვდილამდე“ (დიმიტრი ბაქრაძე) –
„საქართველოს უკანასკნელ მეფეთა დამარხვის წესები“ (გრიგოლ გორდეევი) –
„საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. (ქართული სტამბის წიგნი. 1629-1979), ტ. VII“ (პაატა გუგუშვილი) –
„საყვარელო მამულო“ (თადეოზ გურამიშვილი) –
„საწუთრო სოფლის მდურვა“ (დავით გურამიშვილი) –
„საჭიროა თუ არა რიგიანი ქართული ჟურნალი?“ (ნიკო ინაშვილი) –
„სახალხო განათლება და პედაგოგიური იდეები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში“ (გიორგი თავზიშვილი) –
„სევდით ბაღს შეველის ხმა...“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„სერგეი მესხი“ (პეტრე უმიკაშვილი) –
„სერგეი მესხი და მეფის ცენზურა“ (აბესალომ იოვიძე) –
„სერგეი მესხი და „დროება“ (არჩილ ჯავჯანაშვილი) –
„სერგეი მესხი და 70-80-იანი წლების ქართული პრესა“ (იოსებ ბოცვაძე) –
„სიზმარი“ (ლუკა ისარლიშვილი) –

„სიზმარი“ (მიხეილ ლერმონტოვი) –
„სიზმარი ამირანისა“ (ვაჟა-ფშაველა) –
„სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე...“ (ვიქტორ ჰიუგო) –
„სიმღერა“ (ილია ჭავჭავაძე) – იხ. „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ (ილია ჭავჭავაძე) –
„სიმღერა მაზურკის ხმაზე“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„სირაძე, ძველთა იმერთა მეჩანგურე, უგალობს დავით აღმაშენებელს“ (გრიგოლ დადიანი-კოლხიდელი) –
„სისხლის ძიება“ (ვაჟა-ფშაველა) –
„სიღარიბე როგორც ეკონომიური პრინციპი“ (პ. ჟ. პრუდონი) –
„სიყვარულო, ძალსა შენსა...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„სიძე ამისთანა უნდა“ (ბერნარი) –
„სიხარული“ (ილია ჭავჭავაძე) –
„სოლომონ დოდაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა)“ (მიხეილ გოცაძე) –
„სოლომონ დოდაშვილის ჟურნალისტურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (სოლომონ ხუციშვილი) –
„სოფლისა მდურვა სიბერისათვის“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„სოფლური სიმღერა“ (ხალხური) –
„სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I“ (სიმონ ხუნდაძე) –
„სტუმარ-მასპინძელი“ (ვაჟა-ფშაველა) –
„სტუმრები“ (აკაკი წერეთელი) –
„სულიკო“ (აკაკი წერეთელი) –
„სულო ბოროტო...“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) –
„სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში“ (ნიკოლოზ ბერძნიშვილი) –
„სურათები ჩვენი ცხოვრებიდან“ (რაფიელ ერისთავი) –
„სურათი მთიულების ცხოვრებიდგან“ (სვიმონ მგალობლიშვილი) –
„სურამის ციხე“ (დანიელ ჭონქაძე) –
„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ (სადავო: ილია ჭავჭავაძე, მიხეილ ზ. ყიფიანი) –
„სცენა საპატიმროში“ (აკაკი წერეთელი) –
„სხარტულა“ (ილია ჭავჭავაძე) –
„სხვა და სხვა ამბავი“ (ესტატე მაღალაშვილი. დავით ყიფიანი) –
„სხვა და სხვა ამბავი“ (დავით ყიფიანი) –
„სხვა და სხვა ამბავი. შინაური მიმოხილვა“ (ვახტანგ თულაშვილი) –
„სხვათა შორის (ნაგრძნობი და განაგონი)“ (ნიკო ნიკოლაძე) –
„სხუა გვარი („ჩემო მთუარეო...“)“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„სჯულდება“ (იოანე ბატონიშვილი) –

„**ტ**ეატრი“ (მიხეილ თუმანიშვილი) –
„ტფილისი. 4 მარტს“ (სტეფანე მელიქიშვილი) –
„ტფილისის ვედომოსტები“ („ტფილისის უწყებანი“) (ანდრო აბრამიშვილი) –

„**უ**ბედურნი“ (გიორგი ჭალადიდელი) –
„უბედური ჭკუისაგან“ (ალექსანდრე გრიბოედოვი) –
„უკვდავი ბოროტება“ (ფილიპე გოგიჩაიშვილი) –
„უკუღმართი ნაბიჯი“ (იაკობ გოგებაშვილი) –
„უმანკოება“ (?) –
„უმანკოება“ (დავით მაჩაბელი) –
„უსტარი თავად გიორგი ერისთავს“ (ელისაბედ წერეთელი) –
„უსულდგმულო ცხოვრება“ (ილია ჭავჭავაძე) –
„უ[ფალ] „ცისკრის“ რედაკტორს“ (ნიკოლოზ ბერძნიშვილი) –
„უფალო რედაქტორო!“ (დიმიტრი ყიფიანი) –
„უცნაური ნიშნობა ტფილისის საიდუმლოებისაგან“ (ივანე ბერიძე) –
„უწესობანი ჩრდილოეთ კავკასიაში“ (კოსტა ხეთაგუროვი) -
„უწინდელს დროს ბატონ-ყმობა ჩვენში“ (ალექსანდრე ორბელიანი) –

„უწყალოვ სიყუარულო, რათ მკოდე ესდენ ძნელად...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –

„ფარისი“ (ადამ მიცკევიჩი) –
„ფარნავაზ ბატონის შვილის ქალზედ თქმული“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„ფარშავანგი“ (აკაკი წერეთელი) –
„ფელეტონი („როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანა...“)“ (სერგეი მესხი) –
„ფელეტონი გაზეთ „დროებაში“ (ლევან ასათიანი) –
„ფელეტონი გაზეთ „ივერიაში“ (ლევან ასათიანი) –
„ფელეტონი „საქართველოს მოამბეში“ (ლევან ასათიანი) –
„ფიესკოს შეთქმულება“ (ფრიდრიხ შილერი) –
„ფრანცუზი ხანის არამ ხანაში“ (?) –

„ქალების განთავისუფლება“ (ჯონ სტიუარტ მილი) –
„ქალი („რად ჰყვედრი კაცსა...“)“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) –
„ქართველების ძველი დრო გადმოსული ახლად“ (ალექსანდრე ორბელიანი) –
ქართველთ მეფეთა მოკითხვის წიგნის ფორმა (ისტორიული დოკუმენტები) –
„ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი, [ტ.] I“ (მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან მანია) –
„ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ქართველი ინტელიგენცია: რას წარმოადგენს იგი დღეს?“ (მიხეილ ნანეიშვილი) –
„ქართველი მწერლები“ (იონა მეუნარგია) –
„ქართვლის დედა (სცენა მომავალ ცხოვრებიდან)“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ქართვლის დედას“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ქართლის სალამი“ (აკაკი წერეთელი) –
„ქართლის ცხოვრება“ –
„ქართულ გაზეთის ასი წლის ისტორია“ (ზაქარია ჭიჭინაძე) –
„ქართულ პერიოდულ გამოცემათა მიმოხილვა დღიდან მათი დაარსებისა“ (ნიკოლოზ ბერძნიშვილი) –
„ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი“ (დავით ჩუბინაშვილი) –
„ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში“ (გივი მიქაძე) –
„ქართული ზნეობანი. I. გალობა“ (დავით მაჩაბელი) –
„ქართული კრიტიკის ისტორია, [ტ.] I“ (ჯუმბერ ჭუმბურიძე) –
„ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს)“ (ვახტანგ კოტეტიშვილი) –
„ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, ტ. II“ (დავით გამეზარდაშვილი) –
„ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“ (თინა ბოლქვაძე) –
„ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა“ (დავით კარიჭაშვილი) –
„ქართული პრესა (გუშინ და დღეს)“ (ნოე ჟორდანია) –
„ქართული პრესის აღმოცენების საფუძვლები“ (ნოდარ ტაბიძე) –
„ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის), ტ. I“ (პაატა გუგუშვილი) –
„ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, [ტ.] I-V“ (ალექსანდრე კალანდაძე) –
„ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, [ტ.] I“ (მიხეილ გოცაძე) –
„ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XX საუკუნის 20-იანი წლები), ნაკვ. I“ (შოთა გაგოშიძე) –
„ქართული ჟურნალისტიკის საწყისებთან („ქართული გაზეთის“ მთარგმნელ-შემდგენელი)“ (შალვა რატიანი) –
„ქართული საზოგადოებრივი აზრი და მეფის ცენზურა“ (სოკრატ ხურცილავა) –
„ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ (აკაკი სურგულაძე) –
„ქართული ქრესტომათია“ (ივანე კერესელიძე) –
„ქართული წარმოდგენა თბილისში და საზოგადო მდგომარეობა აწინდელი ქართული წარმოდგენაებისა“ (?) –
„ქეთევან“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) –
„ქვათა ღაღადი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ქიტესა“ (ანტონ ფურცელაძე) –

„ქორწილი ლისტისა“ (ი. ე.) –
„ქორწილი სახრჩობელაზედ“ (?) –
„ქურდის ენა-მეტყველება“ (ივანე კერესელიძე) –

„ღამე“ (გრიგოლ ორბელიანი) –
„ღამე ხომალდში“ (ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკი) –
„ღამის ალერსი“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„ღიმილმა ლალთ კარ განღებით“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –

ყვენისაგან მიწერილი თავის სპასალართან ოდეს ყანდაარი დაიჭირა [ისტორიული დოკუმენტი] –
„ყვენობა“ (აკაკი წერეთელი“) –
„ყვარყვარე ათაბაგი“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„ყმაწვილი ქალის საფლავზედ წარწერილება“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ყორანი და მელია“ (ივანე კრილოვი) –
„ყრმათა მეგობარი“ (პავლე მაქსიმოვიჩი) –
„ყუავილს“ (რაფიელ ერისთავი) –

„შავი ღრუბელი“ (ვაჟა-ფშაველა) –
„შაირი („ღმერთო, რომელმან...“)“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის“ (პეტრე უმიკაშვილი) –
„შემოკლებული ლათინური, რუსული და ქართული მცენარეთა ლექსიკონი“ (რაფიელ ერისთავი) –
„შემომღუღუნე ჩონგურო“ (ვაჟა-ფშაველა) –
„შემოღამება მთაწმინდაზე“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) –
„შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული...“ (ბარამ ბარათაშვილი) –
„შენთან არს გული მნათობო...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„შენის გონების სხივნი...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა“ (სოლომონ დოდაშვილი) –
„შენიშვნა („მოლაყბის“ წერილის გამო)“ (გაბრიელ სულხანიშვილი) –
„შესაქმეთა გალექსული დიმიტრი ბაგრატიონის მიერ“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„შეშლილი“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„შეშლილი“ (ივანე კოზლოვი) –
„შვილების აღზრდაზედ“ (ბესარიონ ბელინსკი) –
„შინაური მიმოხილვა“ (1881 წ. მარტი)“ (ილია ჭავჭავაძე) –
„შინაური მიმოხილვა“ (1881 წ. მაისი)“ (ილია ჭავჭავაძე) –
„შინაური მიმოხილვა“ (1882 წ. მარტი)“ (ილია ჭავჭავაძე) –
„შინაური მიმოხილვა“ (1895 წ. იანვარი)“ (ილია ჭავჭავაძე) –
„შინაური მიმოხილვები“ (ნიკო ავალიშვილი) –

„ჩამჩა საუკუნეთის წყაროისა“ (პავლე სანკოვსკი) –
„ჩემი დღე და სოფელი“ (ილია ჭყონია) –
„ჩემი ეპიტაფია“ (გიორგი ორბელიანი) –
„ჩემი თავგადასავალი“ (აკაკი წერეთელი) –
„ჩემი ლოცუა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) –
„ჩემი მეორის ქალის შობაზედ...“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„ჩემი წარსული“ (ნოე ჟორდანია) –
„ჩემო გულითად საყუარელო თეიმურაზ!“ (დიმიტრი ყიფიანი) –
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო...“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ჩემს ვენერას“ (აკაკი წერეთელი) –
„ჩვენი გულის-პასუხი“ (გიორგი წერეთელი) –
„ჩვენი დროების გმირი“ (მიხეილ ლერმონტოვი) –
„ჩვენი მამები და შვილები“ (სერგეი მესხი) –

„ჩვენი ნაცარქექიები“ (დიმიტრი ყიფიანი) –
„ჩვენი საზოგადოების ქრონიკა“ (გიორგი წერეთელი) –
„ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“ (ალექსანდრე ცაგარელი) –
„ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება“ (სერგეი მესხი) –
„ჩვენი ხალხი და განათლება“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ჩიტი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ (კირილე ლორთქიფანიძე) –

„ცინნა“ (პიერ კორნელი) –
„ცისკარი“ (ივანე კერესელიძე) –
„ცისკარს რა აკაკანებდა?“ (გიორგი წერეთელი) –
„ციურნი ხმები“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ციცკა“ (ალექსანდრე ყაზბეგი) –
„ცოდვილის სინანული“ (აკაკი წერეთელი) –
„ცოლის შერთვევინება“ (მოლიერი) –
„ცოლისაგან ქმრის ღალატი“ (ივანე კერესელიძე) –
„ცხელ-ცხელი ამბები“ (აკაკი წერეთელი) –
„ცხოვრება და კანონი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ (ვახტანგ ჭელიძე) –
„ცხოვრება სეგეი მესხისა“ (ოთარ კასრაძე) –
„ცხოვრება ქეთევან დედოფლისა“ (ალექსანდრე სავანელი) –

„ძველ სამეფოს“ (აკაკი წერეთელი) –
„ძველი ამხანაგები“ (აკაკი წერეთელი) –
„ძველი და ახალი ლიტერატურის, მეცნიერებათა და ნატიფი ხელოვნების ისტორია“ (ა. ჟარი დე მანსი) –
„ძველი დმანისი“ (ვახტანგ ორბელიანი) –
„ძველი თბილისი“ (იაკობ ბალახაშვილი) –
„ძველი ისტორია საქართველოსი“ (სულხან ბარათაშვილი) –
„ძველი მაგრისი“ (ვახტანგ ორბელიანი) – იხ. „ძველი დმანისი“ (ვახტანგ ორბელიანი)
„ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა პუბლიკაცია ჟურნალ „ცისკარში“ (ლუიზა ჭუმბურიძე) –
„ძველი ქართული პრესის ისტორიიდან (გაზეთი „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“)“ (ანდრო აბრამიშვილი) –
„ძველი ქართული პრესის ისტორიიდან (დავიწყებული წერილი შოთა რუსთაველის შესახებ)“ (ანდრო აბრამიშვილი) –
„ძველსა და ახალს შუა“ (აკაკი წერეთელი) –
„ძილი“ (ალექსანდრე პუშკინი) –
„ძუელთა და ახალთ საქართუელოს მელექსეთ...“ (თეიმურაზ I) –
„ძუნწი“ (გიორგი დ. ერისთავი) –

„წალკოტს მეწადა მოვლა მორება...“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„წამება ქეთევან დედოფლისა“ (დიმიტრი ბაგრატიონი) –
„წამხდარა ყველა: ის ღონე და ის ძლიერება. აჩრდილიდგან“ (ილია ჭავჭავაძე) – იხ. „აჩრდილი“ (ილია ჭავჭავაძე) –
„წამხდარი ღვინის გაკეთება“ (გიორგი დ. ერისთავი) –
„წერილები“ (არჩილ ჯორჯაძე)
„წერილები“ (ნოდარ ტაბიძე) –
„წერილები. მოგონებები“ (ფილიპე გოგიჩაიშვილი) –
„წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ (ილია ჭავჭავაძე) –
„წერილი გადაღმითგან“ (მიხეილ ზ. ყიფიანი) –
„წერილი „რა მე რუსთაველისათვის“ და მისი ავტორი ლ. ა-დ.“ (მაქსიმე ბერძნიშვილი) –
„წიგნი მიწერილი რუსეთუმესთან“ (დიმიტრი ჯანაშვილი) –

„წინათ გრძნობა“ (დარია ერისთავი) –
„წოდებათა თანასწორობა“ (ილია ჭავჭავაძე) –
„წყობილსიტყვაობა“ (ანტონ I) –

„ჭაღარა“ (აკაკი წერეთელი) –
„ჭმუნვა“ (ნინო ორბელიანი) –
„ჭმუნვის მახვილი გულსა მსომია...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –

„ხანჯალს“ (აკაკი წერეთელი) –
„ხარაბუზა ღენერალს“ (აკაკი წერეთელი) –
„ხევისბერი გოჩა“ (ალექსანდრე ყაზბეგი) –
ხევსურების ჩვენება იმათ მიწა-წყლის შესახებ კავკასიის ქედს იქით [საისტორიო მასალა] –
„ხელმწიფა წიგნს იწერება...“ (თამაზ ქობულაშვილი) -
ხვანთქრისაგან მიწერილი ყეენთან [ისტორიული დოკუმენტი] –
„ხმა სამარიდამ“ (ილია ჭავჭავაძე) –
„ხმელი წიფელი“ (ვაჟა-ფშაველა) –
„ხსენება საკვირველისა განთავისუფლებისა განსაცდელისაგან ხელმწიფე იმპერატორისა 1865 წელსა 4 აპრილსა“ (დიმიტრი ბერიევი) –

„ჰამლეტი“ (უილიამ შექსპირი) –
„ჰე, მთოვარეო, შემწყნარეო...“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე) –
„ჰსწავლა მოსწავლეთა ათთა სახმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის“ (დავით გურამიშვილი) –

„**Б**арсова кожа“ (Шота Руставели) –
„Беглый обзор 12 книжек журнала „Заря“, с января по декабрь 1858 г.“ (Николай Берзенов) –
„**В**осемь книжек (с марта по октябрь) журнала „Заря“ (Николай Берзенов) –
„Грузинская периодика (1819-1917)“ (**А**ндрей Абрамишвили) –
„К вопросу о русских газетах на Кавказе в первой половине XIX века“ (Нино Махарадзе) –
„Кавказские этюды, т. I“ (Евгений Вейденбаум) –
„Краткая грузинская грамматика“ (Давид Чубинов) –
„Мари Броссе“ (Гастон Буачидзе) –
„**Н**есколько слов о грузинской литературе (По поводу выхода в свет I-ой книжки грузинского литературного журнала „Заря“ (Николай Берзенов) –
„**О** возделывания табака“ (Иван Серебряков) –
„О существе национальной индивидуальности и об образовательном значений крупных народных единиц“ (Георгий Мухранский) –
„Обзор грузинских периодических изданий с начала их основания“ (Николай Берзенов) –
„Обзор двадцатипятилетней деятельности Кавказского Общества Сельского Хозяйства“ (Николай Ситовский) –
„П.И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности“ (Арчил Барамидзе, Джуаншер Ватейшвили) –
„Первая грузинская газета“ (Евгений Вейденбаум) –
„Платон Иоселиани в „Закавказском Вестнике“ (Нино Махарадзе) –
„Почему была закрыта газета „Дроеба“?“ (Нелли Босташвили) –
„Роль и значение русской периодики, издававшейся в Грузии, в развитии русско-грузинских литературных взаимоотношений (Первая половина XIX века)“ (Игорь Богомолов) –
„Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века“ (Джуаншер Ватейшвили) –
„**Т**ариел. Барсова кожа“ (Шота Руставели) – ; იხ. აგრეთვე: „Барсова кожа“(Шота Руставели) –
„**Ф**евральская книжка журнала „Заря“ (Николай Берзенов) –

„ ატრიე“ – იხ. „სამშობლო“ (ვიქტორიენ სარდუ)

გეოგრაფიულ სახელთა

აბასთუმანი –
ადლერი –
ავლაბარი –
ავარია –
აზია –
ათენი (ათინა) –
ამერიკა –
ამიერკავკასია – ; იხ. აგრეთვე: კავკასია, ჩრდილოეთი კავკასია, Кавказ
ანჩისხატის უბანი –
არაგვი –
არდონი –
არმაზი –
არტაანი –
ასპინძა –
ასტრახანი –
აფხაზეთი –
აშხაბადი –
აწყური –
აჭარა –
ახალქალაქი (ჯავახეთის) –
ახალქალაქი (ქართლის) –
ახალციხე –

ბაზალეთი –
ბაიაზეთი –
ბათუმი –
ბანძა –
ბაქო –
ბახტრიონი –
ბიჭვინთა –
ბოგვი –
ბრილი –

გეორგიევსკი –
გოგჩა (გოქჩა) –
გორდი –
გორი –
გორიგორეცკი –
გურია –

დარიალი –
დიდი ჯიხაიში –
დიდუბე –
დმანისი –
დუშეთი –

ევროპა –
ენგური (ინგური) –
ენისელი –
ერევანი –

ვარშავა –
ვენა –
ვენეცია (ვენეტიკი) –
ვერე –
ვიატკა –
ვილნო –
ვლადიკავკაზი –
ვოლოგდა –

ზედაზენი –
ზუბოვკა –
ზუგდიდი –

თავრიზი –
თამარაშენი –
თბილისი – ;იხ. აგრეთვე: თფილისი, ტფილისი, Тифлис
თეთრი წყარო –
თელავი –
თერგი –
თიანეთი –
თურქეთი – იხ. ოსმალეთი
თფილისი –; იხ. აგრეთვე: თბილისი, ტფილისი, Тифлис

ივერია – ; იხ. აგრეთვე: საქართველო, Грузия
იკორთა –
იმერეთი –
იმერხევი –
ინგლისი –
ინგური – იხ. ენგური
იორი –
ირანი –; იხ. აგრეთვე: სპარსეთი
იტალია –

კავკასია – იხ. აგრეთვე: ამიერკავკასია, ჩრდილოეთი კავკასია, Кавказ
კალკუტა –
კარდანახი –
კასპიის ზღვა –
კახეთი –
კიევი –
კლარჯეთი –
კოლა –
კოლხიდა –; იხ. აგრეთვე: მეგრელია, სამეგრელო
კონდოლი –
კონსტანტინოპოლი –
კუკია –
კულაში –

ლაიპციგი (ლეიპციგი) –
ლეჩხუმი –
ლოჭინი –

მაგრისი – იხ. დმანისი
მადრასი –
მამადავითი –
მაღარო –
მეგრელია –; იხ. აგრეთვე: კოლხიდა, სამეგრელო
მთაწმინდა –
მილანი (მილანა) –
მიხაილოვო (მიხაილოვი) – იხ. ხაშური
მოგილიოვი –
მოზდოკი –
მოსკოვი –
მტკვარი (მტკუარი) –
მუხრანი –

ნაძალადევი –
ნიგოითი –

ოდესა –
ოზურგეთი –
ოლთისი –
ორბელი –
ორენბურგი –
ოსეთი –
ოსმალეთი –

პავლოვსკი –
პალესტინა –
პარიზი (პარიჟი) –
პენზა –
პეტერბურგი (პეტერბურღი) – ; იხ. აგრეთვე: სანქტ-პეტერბურგი
პოლონეთი –
პოლტავა –

ჟენევა –

რიონი (სოფ) –
რომი –
რუსეთი (როსია) –

საბერძნეთი –
საგურამო –
სამეგრელო –; იხ. აგრეთვე: კოლხიდა, მეგრელია
სამცხე (სამცხე-საათაბაგო) –
სანქტ-პეტერბურგი (სანკტ-პეტერბურღი) –; იხ. აგრეთვე: პეტერბურგი
საფრანგეთი (ფრანცია) –
საქართველო –; იხ. აგრეთვე: ივერია, Грузия
საჩხერე –

სენაკი –
სიღნაღი –
სომხეთი –
სოხუმი –
სპარსეთი – ; იხ. აგრეთვე: ირანი
სტავროპოლი –
სურამი –
სუჯუნა –

ტოპრაკ-კალე –
ტფილისი –; იხ. აგრეთვე: თბილისი, თფილისი, Тифлис

უფლისციხე –

ფინეთი –
ფოთი –
ფრანცია – იხ. საფრანგეთი

ქართლი –
ქვათახევი –
ქვემო ჭალა – იხ. ჭალა
ქვეშეთი –
ქვიშხეთი –
ქობულეთი –
ქსანი –
ქუთაისი –

ყაზანი –
ყანდაარი –
ყარსი –
ყვარელი –
ყირიმი –
ყუბანი –

შავი ზღვა –
შავშეთი –
შუამთა –

ჩარგალი –
ჩობახური –
ჩრდილოეთი კავკასია – ; იხ. აგრეთვე: ამიერკავკასია, კავკასია, Кавказ
ჩრდილოეთი ოსეთი – იხ. ოსეთი

ცარსკოე სელო –
ციურიხი –
ცხინვალი –

წევა –

ჭალა –

ხარკოვი –
ხაშური –

ხიდისთავი (ქართლის) –
ხონი –

ჯავა –

ჰაიდელბერგი –

Грузия – ; იხ. აგრეთვე: ივერია, საქართველო
Кавказ – ; იხ. აგრეთვე: ამიერკავკასია, კავკასია, ჩრდილოეთი კავკასია

დიმიტრი ყიფიანი

ბატონ გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს

„კავკაზის“ №328-ში ნათქვამია, რომ ამას წინათ გამოქვეყნებული ცნობა ქართული გრამატიკის გამოცემის შესახებ არ მოსწონებია „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“, რომელსაც გაკვირვება გამოუხატავს – როგორ თუ „კავკაზი“ ქართული მწიგნობრობის წარმატებას თანაუგრძნობსო.

ეს გარემოება ჩემგან მოითხოვს ზოგიერთ განმარტებას, რომელიც, გთხოვთ, გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში.

„იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ გამოხმაურებაში ისმის ძველი სიმღერა, რომელსაც მოსკოვის ერთი გაზეთი წამდაუწუმ მღერის ნებისმიერ ვითარებაში მომხდარი ნებისმიერი შემთხვევის გამო. უმიზეზოდ არაფერი ხდებაო – დააცემინებს სურდოიანი ჩუვაში, ამოიღებს ხმას საკუთარ სამოსახლოზე ბაშკირი თუ საუბარში მისებურად მოუქცევს ბელორუსი – ეს ყველაფერი სეპარატიზმია. ასეთია ამ გაზეთის ბუნება. მაგრამ როცა ამ, არც ისე იურიდიულ, ჰანგებს იმეორებს ჩვენი „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“, რომლისგანაც, სხვათა შორის, გვაქვს უფლება მოველოდეთ საქმისადმი უფრო წყნარ და უშფოთველ დამოკიდებულებას, საკითხი იძენს დელიკატურ ხასიათს.

მაშ, ვილაპარაკოთ დელიკატურობის ფარგლებში.

თუ რომელიმე საზოგადოებას ჰქონია ცხოვრებისა და განვითარების საკუთარი გზა და, თანაც, მოუმოქმედებია ისტორიულად მნიშვნელოვანი საქმეები, შეუძლებელია, არ ჩამოყალიბებოდა შეგნება – თვითმყოფადი ხალხი ვარ სხვა ხალხთა შორისო. აქედანვე წარმოსდგება მისი, სხვათაგან განსხვავებული, სახელწოდებაცა და მეტყველებაც. ამგვარ საზოგადოებას დღეს არ შეიძლება სადავო გავუხადოთ ხალხად წოდების უფლება. იქ, სადაც ზედა განყოფილებები ნორმალურ მდგომარეობაშია, ასეთი დავა გადაიქცევა სრულ აბსურდად. მით უმეტეს, თუ ამ ხალხს ჰქონდა და დღესაც აქვს თავისი კულტურა, საკუთარი, და რაც არ უნდა იყოს, საკმაოდ ძველი დამწერლობა.

ამ საუკუნის დამდეგისათვის საქართველო უკვე მოითვლიდა ისტორიული არსებობის ორი ათას წელიწადზე მეტს და ამ ხნის განმავლობაში ცხოვრობდა მტრული სახელმწიფოებისა და ხალხების გარემოცვაში. იგი მარტოდმარტო ებრძოდა მტერს, მათ შორის, მსოფლიოს დასამორჩილებლად აღძრულ მრისხანე დამპყრობლებსაც. საქართველომ არაერთხელ მიიღო მათი დარტყმა საკუთარ თავზე, არაერთხელ შეაკავა მათი მოზღვავება, რომელიც, ვინ იცის, მთელი ქრისტიანული სამყაროს წინააღმდეგ იყო მიმართული. ამდენად, ამ ქვეყანას თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის როგორც საკაცობრიო ისტორიის, ისე მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე; იმ ეკლესიისა, რომლის სიწმინდესაც იცავდა და უძღვნიდა საკუთარი წიაღიდან წმინდა მაკურთხეველთა და დიდმოწამეთ.

ყოველივე ამას ქართველებს, როგორც ხალხს, ვერ წაართმევთ. მაშასადამე, ვერც იმის უფლებას წაართმევთ, რომ ერთმანეთში ილაპარაკონ და უზენაესისადმი ლოცვა-ვედრება აღავლინონ თავიანთ მშობლიურ, ასე თუ ისე ძველ, ენაზე.

მშობლიური ენა ყოველი ხალხის წმინდათაწმინდაა და მის ხელყოფას, გარდა შეურაცხადობისა, შეუძლებელია, რაიმე გამართლება მოეძებნოს. ეს ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტება დღეს ყველგან ესმით, მით უმეტეს, სახელმწიფოთა შორის უვრცეს რუსეთის სახელმწიფოში.

პიროვნების სიცოცხლის ხელყოფა სისხლის სამართლის კანონებით ისჯება, ხოლო ხალხის სიცოცხლის ხელყოფა (რაც გინდათ თქვით და, ენის

მოსპობა ხალხის ამოგდებას ნიშნავს) არ შეიძლება გამართლებულ იქნეს სასჯელთა დებულებებში არსებული ხარვეზებით.

ამგვარ მტრობას კიდევ შეიძლება მოეძებნოს რაღაც პოლიტიკური გამართლება, როცა დამორჩილებულსა და გაბატონებულს შორის არსებობდეს ანტაგონიზმი, როცა მათი მისწრაფებები და ინტერესები დიამეტრულადაა ერთმანეთისაგან განსხვავებული, ან კიდევ რელიგიური განდგომილებისა და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში. მაგრამ ასეთ რამეებს ქართველებზე ვერავინ იტყვის. იქ, სადაც ერთი ხალხი ნებაყოფლობით, საკუთარივე სურვილით დაექვემდებარა მეორეს, პირველთა მხრიდან რაიმე ანტაგონიზმზე ლაპარაკი თავისდათავად უაზრობაა. ხოლო თუ ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობას ჯიუტად ცდილობენ გაბატონებულთა სულმდაბალი მოხელეები, მაშინ კეთილგონიერების ვალი მოითხოვს ჭკუაზე მათს მოყვანას. თორემ, ერთხელაც იქნება, შეიტყობს იმათ საქციელს უმაღლესი ხელისუფლება და მაშინ ბრალი ვიღასი?

რელიგიურ განდგომილებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, როცა არავითარი განსხვავება არაა არც სარწმუნოებრივ დოგმატებში და არც საღვთისმსახურო წეს-ჩვეულებებში. ქართველები იარაღით ხელში თხუთმეტი საუკუნე იცავდნენ თავიანთ მართლმადიდებლობას, მაგრამ რა დაინახეს, ასეთ დაწოლას ფიზიკურად ვერ გავუძლებთო, ძმური გრძნობითა და ქრისტიანული მინდობით შეაფარეს თავი რუსეთის ეკლესიას. არავითარ განდგომილებას აქ ადილი არა აქვს.

ლაპარაკი მისწრაფებათა და ინტერესთა დაპირისპირებაზე ქართველთა მხრიდან შესაძლებელია მხოლოდ ერთ შემთხვევაში – თუ ვინმე იტყვის, ქართველები როდისმე მტრობდნენ რუსეთსო, ან კიდევ, ისინი ნაკლებად თავდადებულნი იყვნენ თავიანთი მეფის, რუსეთის გვირგვინოსნისათვის, სხვა მისი უერთგულესი ქვეშევრდომები. მაგრამ არც ამგვარი ლაპარაკისათვის არსებობს რაიმე საფუძველი.

ასე რომ, სადაც უზენაესი სიმართლე და სახელმწიფოებრივი კეთილგონიერება სუფევს, არ არსებობს არავითარი საბაბი, ვინმე აბუჩად იგდებდეს მშობლიურ ენას ისეთი მრავალტანჯული ხალხისას, როგორიცაა დღეს რუსული სამყაროს წინაშე მდგარი ძველთაგანვე მართლმადიდებელი ქართველობა.

ერთ გარემოებასაც აღვნიშნავ. არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ სახელმწიფოში ან საზოგადოებაში, ოჯახშიც კი – ყველამ აკეთოს ერთი და იგივე საქმე, თანაც ერთი და იმავე წესით. არ შეიძლება იმ დღესავით ნათელი მიზეზის გამო, რომ საბოლოოდ არავინ არაფერს გააკეთებს. ამით აი, რისი თქმა მსურს: მსოფლიოში არ არსებულა და არც დღეს არსებობს დიდი სახელმწიფო, სადაც არ იქნება მოსახლეობის ეთნიკური ნაირგვარობა. არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ ისინი ყველანი ცხოვრობდნენ, მოქმედებდნენ და ვითარდებოდნენ ერთ თარგზე გამოჭრილივით: იკვებებოდნენ ერთი და იმავე საკვებით, იმოსებოდნენ ერთი და იმავე სამოსით, ლოცულობდნენ ერთსა და იმავე ენაზე, მიწას ერთი და იმავე იარაღით ამუშავებდნენ. ნუთუ ცხადი არ უნდა იყოს, რომ ამით ქვეყანაში ძალისძალად ითესება ისეთი განხეთქილება, რომელსაც ესღა შეუძლია – ზღვარი დაუდოს საზოგადოებრივ პროგრესს.

ზუსტად იგივე ითქმის ენებზეც.

სახელმწიფო ენის ცოდნა, როგორც აუცილებელი ცხოვრებისეული ელემენტი, <u>საჭიროა</u> ყველასთვის, ვინც ოფიციალურ სფეროებში ტრიალებს ან კიდევ სახელმწიფო სამსახურისთვის გადაუდია თავი. ამათ სჭირდებათ ხელის შეწყობა, რათა ეს ენა საფუძვლიანად შეისწავლონ. ხელისუფლება ამისთვის ფულს არა ზოგავს, მაგრამ, გარდა ფულისა, ამ საქმე სხვა რამეც სჭირდება.

და აი, აქ სცენაზე გამოდის პედაგოგიკა, რომელიც, მეცნიერების სხვა დარგებისა არ იყოს, ზოგჯერ არამკითხე „მოღვაწეთა“ პროფანაციის მსხვერპლი ხდება. ნამდვილი პედაგოგიკა მოითხოვს, რომ გონების გასახსნელად პირველდაწყებითი განათლება ბავშვს უსათუოდ მშობლიურ ენაზე უნდა მიეცეს. რატომ? იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში არ მოხდება ბავშვის ცნობიერების დაჩლუნგება – რაც უფრო უკეთ იცის მოზარდმა მშობლიური ენა, მით უფრო ადვილად აითვისებს იგი მისთვის <u>საჭირო</u> მეორე ენის საფუძვლებს, ფორმებსა და წესებს. გონებადამჯდარი ხალხი ამაზე უკვე აღარ კამათობს; მაგრამ ზოგიერთი იურისტი, და პედაგოგიც, ამტკიცებს – ერთიანი სახელმწიფო ენის დამკვიდრებისათვის აუცილებელიაო, უბრალოდ, ამ სახელმწიფოში არსებული ყველა სხვა ენის მოსპობა. თითქოს ეს საჭირო ან სამართლიანი, ან მოსახერხებელი, ან ადვილად მისაღწევი იყოს. ასე მსჯელობა შეუძლია მხოლოდ გონებაშეზღუდულს ან იმას, ვისი კეთილსაიმედოობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

თვითონ სახელმწიფოსთვის ძირითადი ენის საფუძვლიანი ცოდნის გავრცელება აუცილებელია იმდენად, და მხოლოდ და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას სჭირდება მოხელეები და მოსამსახურეები ოფიციალურ დაწესებულებათა შეუფერხებელი საქმიანობისათვის. ჩვენ ახლახან აღვნიშნეთ პედაგოგიკური ჭეშმარიტება – უცხო ენის შესწავლა მით უფრო ადვილია, რაც უფრო კარგადაა ათვისებული მშობლიური ენა. ამდენად, მშობლიურ ენაზე სწავლება დიდად შეუწყობს ხელს ოფიციალური სახელმწიფო ენის გავრცელებას. ამასთანავე, თუ მოსწავლეს ჯერ დედაენას შევასწავლით და მხოლოდ მერე უცხო ენას, ხელისუფლებას დაეხარჯება გაცილებით ნაკლები სახსრები და გაცილებით ნაკლებად მოხდება ბავშვის გონებრივი შეზღუდვა. როგორღაც უცნაურია იმისი გაფიქრებაც კი, რომ ჩვენს დროში არსებობენ გარეგნულად ზრდადასრულებული ადამიანები, ყოვლად გაუგებარი გაავებით რომ ხვდებიან ქართული გრამატიკის გამოსვლას. თითქოს ამ წიგნის მიზანი იყოს არა საერთო სიკეთის მოტანა, არამედ მათი პირადი კეთილდღეობის შერყევა.

ახლა ორიოდე სიტყვა საკუთრივ „გრამატიკაზე“, რომლის გამოცემასაც ასე ამრეზით შეხვდა „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“. იგი მიზნად ისახავს თანამედროვე ცოცხალი, სასაუბრო ენის წეს-კანონთა გამორკვევას და სახელდახელოდაა დაწერილი ჩემი შვილებისათვის (თუმცა ესეც უნდა ითქვას – ჩემი ხნის კაცი ყოველ წევრს ახალგაზრდა თაობისას ისე უყურებს, როგორც საკუთარ შვილებს).

ყოველივე ზემოთქმულს უნდა დავსძინო შემდეგი: ქართული ენის ანტაგონისტებს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდებათ ალბათ, როცა შეიტყობენ, რომ ამ ენას აქვს ისეთი გასაოცარი სახიერება და სიმდიდრე ფორმებისა, ევროპის არც ერთ ძველსა თუ ახალ ენას არ მოეპოვება და რომ ქართული ანბანი ყველაზე მარტივია და სრულყოფილი დღესდღეობით ცნობილ ანბანთა შორის. დიდი ხანია, აღარც ამაზე კამათობს ვინმე.

16 დეკემბერი. 1882.
სოფ. ქვიშხეთი

ილია ჭავჭავაძე

საქართველოს მოამბეზედ

ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მოუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვიკვირს, ადრინდელ კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის – თეთრი. ეს ასე მოხდება ხოლმე განა იმისაგან, რომ ჩვენ ადრინდელებზედ ჭკვიანები ვართ, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, ამბობს რუსთაველი. ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ ადრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავსცინით. დიდი გენიოსი უნდოდა და იმისი მახვილის ჭკვის თამამი გამჭვრეტელობა, რომ მსჯელობით დროებაზედ მაღლა ავმართულიყავით, საზოგადო ცხოვრების წრის გარეთ გამდგარვიყავით და გარემოების თვალთ-დამაბნელებელ ხაოსშია შეუმცდარად, წმინდა აზრით დაგვენახა საგანი ისე, როგორც არის და უნდა იყოს.

რუსთაველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმის მონები არიან. იმ დროების გარემოების მოწყობილობა, აზრი, გამსჯელობა, – ერთობ ცხოვრების მდინარეობა ჩვენისთანა ჩვეულებრივ კაცსა ჩააყენებდა საზოგადო რუსხმულში და წაიღებდა თან, რაც უნდა ძლიერ ცდილიყო თავის შემაგრებასა. ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ამითი ჩვენ ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილშია მოუგდია ზედაპირზედა, – ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს.

ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება – იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაცა აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა. მაცხოვნებელია პირველი ქროლა გაზაფხულის პირველის დილისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთი-ერთამენთს შეჰხარიან; უფრო მაცხოვნებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა – ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუმძლეველი დედა შეჰხარის ახალ-გაღვიძებულს ბავშვსა. გული სხვა-რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა-რიგადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა... მით

უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჭკნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდე სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინადმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუკი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრისო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და ამოვა სინათლეზედ უფრო დამშვენებული და ძლიერი. ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, – აზრისა კი თავის-დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ, რომ, გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია: ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი, – ამასთანაც დაუქცეველი, მარად მყოფი სალაროცა აქვს – მეცნიერება და ხელოვნება, სადაც ისინი ინახებიან. მაგ ცხოველს იმედს, რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა – შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა!.. ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა – ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ.

რა აახლებს, რა სცვლის და – თუ ცხოვრება ჯანმრთელია – რას მიჰყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან. „ხე ცხოვრებისა – ამბობს ერთი ჩვენის დროის ფილოსოფოსი – და ხე ცნობადისა ერთს ძირზედ ამოდიან; მხოლოდ იმათი აღყვავება სხვა-და-სხვა დროს მოდის. როცა ცხოვრების ხეზედ ყვავილი ჭკნება, მაშინ ცნობადის ხეზედ მწიფდება ნაყოფი, და ამ ნაყოფის თესლი აღმოშობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა“.

ამ მოსწრობილს და, ჩვენის ფიქრით, ძლიერ მართალ შედარებაში მშვენივრად არის გამოთქმული დამოკიდებულება ცხოვრებისა ცნობიერებაზედ და მეცნიერებაზედ. ჩვენ ვეცდებით უფრო გავაადვილოთ ამ დამოკიდებულების გაგება...

მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღე-მუდამ ზედ დასტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან იგინი და რანი არიან, – მეცნიერება და ხელოვნება სხვა-და-სხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა. ამათი უკეთესი მიმდევარი, ხალხის დაწინაურებული თაობა, მაშინვე მიხვდება, – რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ეცა სული ახალის გაზაფხულისა, განახლებისა, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდამ უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიეგებოს და გზა გაუხსნას ახალსა... საძირკველის ამოყვანაა ძნელი, თორემ სხვას ისინიც გააკეთებენ. საძირკველის ამომყვანელიც არ დაიგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი.

ჩვენ არ გვინდა ამითი ვსთქვათ, ვითომც სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენიოსი. ის იქნება აქამდინაც იყო, და უთუოდაც უნდა ყოფილიყო, რომ ცხოვრებას თავისი ძუძუთი გამოეზარდა, თავისთან გამოეცადა, მოემზადებინა თავის ვითარებისვე აღსასანელად. თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორ მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათლებლად. ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭრიახ თვალით თავიდან ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერის პასუხს, ყოველს ფაქტსა– ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას– კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, – ერთი სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ ის გამოანგრევს ძველის

საძირკველსა და ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა.

მეცნიერება და ხელოვნება – ეგ საკვირველნი სალარონი კაცის გონიერებისა – არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიოსისა. იგინი თავის უკეთეს წარმომადგენლების ხელით გენიოსისგან ნაჩვენებ საძირკველზედ განაგძელებენ ხოლმე მუშაობასა, გენიოსის ახალს აზრზედა, ახსნაზედა დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გამოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევასა. მაგ წარმომადგენელთაგან ცხოვრებისგან დაბადებულნი ფაქტები, გენიოსის ჭკვისაგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელმძღვანელები მომავლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა. რამოდენადაც ეგ ახალი ცნობაები, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭირონ და იწარმოვონ შემდგომში. ეგრე, ცხოვრებისავე მოღებულსა, ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე; ეგრე, ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის. რასაკვირველია მინამ ეს ასე არ მოხდება და ხალხი, თუ არ სრულიად, უფრო მომეტებული მაინც მიიღებს განახლებასა, დიდი დრო გადის. ცხოვრება ამ ახალ აზრებით განახლებული, ისევ იზრდება, ჰყვავის, მოამწიფებს სხვა ახალ სათესლე ნაყოფსა და მერე ისევ ჭკნება, როგორც ზემოთა ვსთქვით. ის არ მოუცდის ხოლმე ხალხსა – „აცა ჯერ რაც მოვამზადეო ამას წინათ და რაც მეცნიერებამ და ხელოვნებამ გენიოსის შემწეობით ცნობაში მოიყვანა და კანონად დასდვა, ჯერ ისინი ხალხმა მიიღოსო და დაისაკუთროსო“. არა, ცხოვრება ამას არ მოუცდის ხოლმე, ეგ დაუყონებლივ გასწევს თავის წარმატების და განვითარების გზაზედ, ასე, რომ მინამ ხალხი მიიღებს დიდიდამ პატარამდე მის უწინდელ ჭირნახულსა, იგი ხელ-ახლად მოასწრობს ხოლმე ახალ მოსავლის მოყვანასა, სხვა ახალ ფაქტების და საჭიროების შემუშავებას და შემოჯგუფებას. კიდევ მოვა დრო განახლებისა, კიდევ ამრიგად მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა“ და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებასა.

აი, როგორც შევიძელით, ვაჩვენეთ, რომ ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები – მეცნიერება და ხელოვნება – ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა... როგორცა ვსთქვით, მეცნიერება და ხელოვნება – ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურობენ: აზრის მოძრაობას; ერთს და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედებენ და გამოსთქვამენ. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მეცნიერება და ხელოვნება, ეგ უდიდესნი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონიერების საუნჯესა – არ არიან ყველასათვის მისაწვდომნი. მაგ სალაროში შედიან ხოლმე მხოლოდ აღმორჩეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან...

მართალია, ყოველ ცოტაოდენ განათლებულ ხალხში არის ღონისძიება, საშუალობა, რომ მეცნიერების ნაყოფი გადიტანოს ხალხშია; მართალია, არიან სკოლები, სხვა-და-სხვა სასწავლებლები, რომელნიცა ავრცელებენ ხალხში, მის გამო ცხოვრებაშიაც, სასარგებლო და გამოსაყენ სწავლასა და ცოდნასა, და მით შველიან ხალხსა. მაგრამ იმათამდინ ისე ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენ ხალხის რიცხვთან რომ შევადაროთ ის ცოტა – წვეთი იქნება ზღვაში. ბევრნი რჩებიან სასწავლებლების გარეთ, ბევრს მათგანს უნდა, სურვილი აქვს გაიგონ რამე, შეიცნონ სწავლა, გაიხსნან გონება, მაგრამ ზოგი შეუძლებლობისა გამო, ზოგი კიდევ სხვა-და-სხვა დაბრკოლებისაგან მაგ მიუცილებელ ღონისძიებასაც მოკლებულნი არიან. საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალობაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა. ის საშუალობა, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქმნას შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორის მხრით. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა.

ბოლო დროს, თითქმის ჩვენ საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულში, შეატყეს, რომ თვით ეს ლიტერატურაც ისე სწრაფად არ ავრცელებს მეცნიერებასა ხალხშია, შეამჩნივეს, რომ ლიტერატურა თუმცა დღე-და-დღე მდიდრდება, ივსება ახალის ნაყოფითა, ახალის იდეებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგინი, როგორ საჭიროა. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა – და ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს. რა წამსაც მიხვდნენ, რომ ლიტერატურა თუმცა უფრო ვრცლად მოქმედობს ბეჭდვის შემწეობითა, მაგრამ მაინც კიდევ ხალხს იმის გაგება ეძნელება, მაშინვე გამოჩნდა საჭიროება იმ-გვარ ლიტერატურისა, რომელიც, როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით, უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულ შუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრებას შორის. მაგგვარ ლიტერატურას ჰქვიან „პოპულიარული ლიტერატურა“, ხან კიდევ ადვილი ლიტერატურა, იმიტომ რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო, რამოდენადაც შეიძლება გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფვა ყველასათვის; მათგან დამუშავებული ძნელი მისახვედრი ცნობეაები საყოველთავო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხშია. ამგვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადო ჟურნალი“. აი, რა-რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენს „საქართველოს მოამბესაცა“.

რომ ჟურნალი საჭიროა, ამას თქმა აღარ უნდა. ჟურნალი, როგორც სხვა, ისე ჩვენიცა, არ არის ერთის კაცის სურვილის ნაყოფი: მოუვიდა ჟინი წერისა და გამოსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდხანს არ დაიჭერს. ჩვენა ვსთქვით, რომ ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს. მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედამიწოდ. როცა ცხოვრებას უმოქმედნია და იმ მოქმედებით მოუყვანია როგორიმე მოსავალი, რომლის გაგება და გარჩევა უძნელდება ხალხს და რჩება ის მოსავალი მოუხმარებლად; როცა ხალხში ისმის სურვილი, ძლიერი ნდომა იმ ნაჭირნახულევის გაგებისა, ცნობაში მოყვანისა; როცა ხალხს უნდა და ვერ მისწვდომია მეცნიერების ნაყოფსა, მაშინ ხალხის საშველად სხვათა შორის გამოვა ჟუნალიცა. რასაკვირველია, რამოდენადაც ცხოვრება – ეგ დედა ყოველ საქმისა – ძლიერია და ღონიერი, იმოდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი.

რამოდენადაც მოსავალი მრავალია, ასე რომ ერთი ჟურნალის თვალი ვერ გადასწვდება, ერთი ჟურნალის ღონე ვერ შესძლებს იმის ზიდვასა, იმოდენაც მომეტებული ჟურნალები გამოდიან ხალხში. ეს ჟურნალები სხვადასხვა მხრით მოექცევიან იმ ცხოვრების მოსავალსა, სხვადასხვა მხრით სინჯავენ, სხვადასხვა მხრით ცნობაში მოჰყავთ, და ამ სხვადასხვაობითაც ურთიერთ შორის განირჩევიან. ამის გამო ჟურნალების სიმრავლე არამთუ უნდა იყოს საწყენი, არამედ სასიხარულო იმისათვის, ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება. ჟურნალების სიმრავლე ცხადად აჩვენებს, რომ ხალხს არ სძინავს, ფიქრობს, სჯის; რომ ხალხში ტრიალებს, მოძრაობს სხვადასხვა-ნაირი აზრი, რომლის გამომეტყველადაც არიან სხვადასხვა-ნაირი ჟურნალები.

ჯერ ჩვენი საწყალი „მოამბე“ არც კი დაბადებულიყო, რომ ზოგიერთ პირმა მტრობაც შესწამა. ჩვენ რა გვეთქმის ამაზე და ამის მეტი, რომ ვინც ლაფში თავიდამ ფეხებამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოსცხოს. „მოამბის“ უფროსი ძმა „ცისკარიც“, რომელსაც ყველაზე უფრო უნდა გახარებოდა, რომ მოძმე ებადება, მშველელი უჩნდება, „ცისკარიც“ კი წინადვე აშინებდა ჩვენ „მოამბეს“, რომ მკითხველებს ვერ იშოვისო. ჩვენ, რასაკვირველია, ამ წინდაუხედავ და უგემურ წინასწარმეტყველობას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ მხდალ „ცისკარსა“ რამდენჯერმე არ გამოეთქვა საქვეყნოდ თავის დაფარული შიში და სამარცხვინო აზრი.

დაე, რაც უნდა თქვას შიშისაგან ზარდაცემულ და გონებაგამოცლილ „ცისკარმა“, ჩვენ კი ამას ვეტყვით, რომ ამ შემთხვევაში იგი ჰგავს იმ ანგარების მოყვარე ძმასა, რომელსაცა ძმის დაბადება იმიტომ სწყინს და გულს უხეთქს, რომ შიშობს, ვაი თუ საცხოვრებელი შუაზედ გამიყოსო. ტყუილად შიშობს „ცისკარი“. ჩვენ ფიქრადაც არა

გვაქვს არავის საცხოვრებელის შუა-გაყოფა და არც არავის მტრობა. ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამამობისაგან, რომელიცა ფიქრობს გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ასე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, – მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა. რამოდენაც შეიძლებს ჩვენი ჟურნალი ამის აღსრულებას – მაგას დრო და ჩვენი შეძლება გამოაჩენს: საქმეა ყოველისფრის გამომცდელი. ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისთვის გზის გახსნა. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელს ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავით გაჩერებული, – არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავლისკენა. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, ამბობს ერთი ფილოსოფოსი. აი, აწინდელ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ექნება ჩვენის ჟურნალისთვის. აწინდელ ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისთვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში ერივა აწმყოსთვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისთვისა. რაც შორსა სცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია, ჩვენის ფიქრით ჟურნალი და დღეგრძელი.

ამ სახით, თუ ჟურნალს უნდა კეთილ-სინდისით აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს; ყოველ აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მისცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს, ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი. ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ ამ ორ ძლიერ მომქმედთა ღონისძიებათა მოჰყავთ ყოველიფერი ცნობაში და რაც ცნობაშია მოყვანილი, მხოლოდ ისა სცვლის ცხოვრებასა და აკეთებს. მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე, ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელითა გაიწყალოს თვალი და გონება იმის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდზედ ეს იეროგლიფი ისე არ უნდა იყოსო, ან წარტოლვილ ჭეშმარიტების ძებნაში ავარჯიშოს თავისი გონიერება; ან ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. ისინი მარცხნივ მიდიან გატკეპნილ გზაზედ და ჩვენ კი მარჯვნივ გავწევთ. ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა. რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის – ის იქნება უფრო საჭირო ჩვენის ჟურნალისათვის. სხვა რაღაც წარტოლვილ ცნობაებაში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში. ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „გაფაღარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემსა „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის, იქ ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა

აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა. როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობელად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა ან სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი, უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ვეღარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო მის წარმწყმენდელ ოხშივარის ზედ-მოქმედებისაგან. ჩვენ საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი. რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი – ეგ აშკარაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ეს ლექსი:

ჩემზედ ამბობენ : „ის ქართველისას სიცუდეს ამბობს,
ჩვენ ჭუჭყს არ მალავს – ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ; კარგი გული კი მაშინვე ჰგრძნობს
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია.

ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება – ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა ვუყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ.

მოგვიტევოს მკითხველმა, რომ მეცნიერება და ხელოვნება – ეგ უდიდესნი საგანნი – ისე, გაკვრით მოვიხსენიეთ ამ სტატიაში. ჩვენი სურვილი ის იყო, რომ გვეჩვენებინა არა მათი სრული არსებითი ვითარება, რომელზედაც ჩვენს „მოამბეს“ კიდევაც ბევრჯერ შეხვდება შემდგომშიაც ლაპრაკი, არამედ მარტო მათი დანიშნულება, ე. ი. რომ იგინი, ჩვენის ფიქრით, არიან მხოლოდ ღონისძიებანი, რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდამ სინათლეში გამოყვანასა. ცხოვრება, მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც ყოველ ჟურნალსა შიგ-მდებარედ არიან, იმოდენად მოვიხსენიეთ, რამოდენადაც საჭირონი იყვნენ იმისათვის, რომ მკითხველთათვის გვეჩვენებინა მხოლოდ ის გზა, რომელზედაც გაივლის ჩვენი „მოამბე“. კიდევ ვიხდით ბოდიშსა, თუ ეს სტატია მეტაფორებით სავსე ეჩვენოს მკითხველსა. ჩვენი ცდა მარტო ის იყო, რომ ჩვენი აზრი გაგვეგონებინა მკითხველისათვის, ამიტომაც ყოველი ღონისძიება მოვიხმარეთ, რომ ეგ აგვესრულებინა. თუ ამ სტატიამ მაგოდენი შესძლოს, ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებით.

მეტი არ იქნება მოკლედ განვიმეოროთ ის, რაცა ვსთქვით ამ სტატიაში. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რომ ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ; რომ თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავის-თავად ახლდება და ჰყვავის; რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითონვე წინ მიჰყავთ ცხოვრება; რომ რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა; მაგ დამტკიცებულ აზრების და ცნობაების გადასვლის გაადვილება ჩვენის „მოამბის“ საქმეა. რამოდენადაც ცნობიერად და ვრცლად მოეკიდება „მოამბე“ თავის ძნელ საქმეს, რამოდენადაც მიაგნობს და შეატყობს ცხოვრების მაჯის

ცემასა და შენიშნავს იმ მაჯის მცირედსა ცვლილებასა, რამოდენადაც ნათლად განარჩევს ცხოვრებისაგან მოგუბებულ მასალასა და თვითეულ მის შემადგენელს ნივთსა საყოველთაოდ განაბრწყინებს მეცნიერების შუქით და ხელოვნების წარმოდგენითა, იმოდენად იგი პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის. გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მისცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მისცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველამ უნდა ვუშველოთ...

თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის, მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი:

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

[1862წ.]

პირველნაბეჭდი – „საქართველოს მოამბე“, 1863, №1.

ილია ჭავჭავაძე

ზოგიერთი რამ

„თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდების“.
გრ. ორბელიანი.

I

რაკი ჩვენს ღარიბს ლიტერატურაზედ და ეხლანდელს მწერლობაზედ დაიწყებ სადმე ლაპარაკსა, მაშინვე რაღაც მოდუნებულის პირის მთქნარებითა და, თითქო რაღაც სიმზაკვრით სავსეს სიხარულითა, მოგახლიან ხოლმე: ეხლანდელს მწერლებს ენა არ უვარგათო.

მეც, ცოტად თუ ბევრად, ამაზედ თანახმა ვარ, მაგრამ ერთი ეს მინდა ვიკითხო: გვაქვს კი ენა, რომ ვიწუნებთ კიდეც?..

ვიცი, ამ ჩემს, პირველ შეხედვით უსაფუძვლო, კითხვაზედ მე ბევრი თქვენგანი, მკითხველო, მასხარად ამიგდებს; მაგრამ აბა, მკითხველო, შენ მე ყური მომიგდე: მე გეტყვი და შენ დალაგებით და აუჩქარებლივ მისმინე. მე წინათვე ვიცი, რომ მასზედ, რასაც მე ვიტყვი, გული დაგეთანაღრება, აიტკიცები და შესწუხდები, მაგრამ შენ კი, მკითხველო, იქნება ის არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებს, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს. რაზედ გაიჭირე საქმეო, მეტყვი შენ. იმისთვის, ჩემო ძმა, თუ დაო, რომ „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“-ო, ჩვენის პოეტის არ იყოს.

II

აიღებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავსა ჰკითხავს: ვის უნდა ველაპარაკო, და სისხლი ძარღვში გაუშრება ხოლმე. მართლა-და, ვის უნდა ელაპარაკოს? მეტყვიან: ყველასაო. დიაღ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო რა გვაქვს, რომ მწერალმა ფრთა გაშალოს და იმაზედ განაღვლოს საყოველთაო ნაღვლითა, ანუ გალხინოს საყოველთაო ლხინითა? ქართველობა ხომ არა გგონია საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი? დიაღაც ეგ უნდა იყოს, მაგრამ სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-ღა სადმე? როგორ თუ ვართ-ღაო, შემომიტევ წყრომით. თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცური-კაცობა ხელში მჩვრად არ გადაგიქცევია, ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს; მაგრამ ესეც უნდა იცოდე. რომ ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა. რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბედურნი ვართ!.. ყური მომიგდე.

III

პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხავსმოკიდებულს გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხარაოდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების“, – ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: „ვართ-ღაო!“

აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც უნდა შავი ფიქრები თავიდან მალე მოიშოროს, ადვილად გვიპასუხებს ჩვენ და გვეტყვის: ბრმანი ყოფილხართო. ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილი – სოფლები, ქართველები არ არიანო, მაშ ვინ არიანო. ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს.

IV

ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა – თავადი, გლეხსა – ორივე, ნუთუ ესენი

ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი – სათავადოა, აზნაურის – სააზნაურო, გლეხის – საგლეხო, ვაჭრის – სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა – თავადსა, ორივესი – გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის, საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი? ეს ასომთავრული რომ ასომხედრულს გზას უღობავს, ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური – თავადსა, ორივენი – გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს, ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო. ეგ თითო-თითოდ, ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!

თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“, და ორივენი ერთად კი არაო.

აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია, და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით – თუ არაფერს აკეთებს – თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა.

V

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი – ეს ცალ-ცალკედ მითვისებული, კერძოობითად მიღებული, განმაყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია. მაგრამ მეტყვიან: ეგ ყველა ხალხში არისო. მართალია, მაგრამ არა ეგრე გულსაკლავად, როგორც ჩვენშია. იქ, სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქყვენოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში - ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა – ჩემი ხალხის ძალააო, ჩემი სიკეთე – ჩემი ხალხის სიკეთეაო, რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად დღესო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდაო, ყოველის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსაგან – ჩემი ხალხის წყენააო, და ჩემი ხალხის წყენა – ჩემი საკუთარი წყენააო.

ჩვენში? ეჰ, რაღა გითხრა მკითხველო! შენც კარგად იცი, რომ ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც

მახლობლისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი – იმერელია, გურული – გურულია, მეგრელი – მეგრელია, ქართლელი – ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ – იშვიათი!

VI

განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარ შეგვრჩა. რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუჭა, სულით და ხორცით დავკუწმაწდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველივე საგანი, რომელიც დაიფუჭება, შეგვივიწროვდა, დაგვისუსტდა და, რასაკვირველია, ვეღარაფერს ფართოსა და დიდს აზრს ვეღარ დაიტევდა, და ვერ ზიდავდა ამ მიზეზით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებითად, ზნეობითად დავპატარავდით. მას აქეთ, რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ვეღარ მოვერიევნით, რასაც კი გონების თვალით დავაკვირდით, გონებაში ვერ დავიტიეთ; ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითეულის ჩვენგანის ღონე შესძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისათვის საერთო მხარი აღარა გვქონდა. ზემოთ ვსთქვი, რომ ერთიანი სახელი მთელის ჩვენის ხალხობისა ხუთ, თუ ექვს ნაჭრად დავყავით-მეთქი! გონებამ ჩვენმა ერთიანი, მთლიანი აზრი იმ სახელისა ვეღარ დაიტივა, ვერ ზიდა, აიღო და ის სახელი და მისი აზრი ხალხის მცირე ნაწილს დაარქვა. ამ-რიგად სიტყვას: ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა. სიტყვას: მამულსაც - ეგ საქმე დაემართა.

VII

მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება – ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა - მთელის ხალხისა და მთელს ხალხს – თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა - დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის.

ჩვენში? ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა.

ახლაო, მკითხავ, მკითხველო? ნუთუ მაგას კითხვა-ღა უნდა? განა შენ თვითონ არ იცი, რომ ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, – ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს: განვთვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუჭებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა – მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვანად შემოწმებული; მამულის სიმაგრე – ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი – ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა – მხვნელისა და მთესველის სახელიღაა.

VIII

ზღვა კოვზით არ დაილევაო, ნათქვამია, აი თუ არ დაილევა, სად არის მამულის ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთაგასაშლელი მნიშვნელობა?

განვიმეორებ, განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვეღარ იტვირთა. რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის დონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი "მამული" დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; დიდი "მამული" დავშალეთ, პატარები გავიკეთე, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო.

თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა. ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა.

IX

ეხლა, ჩემო მკითხველო, შენ შენს კერძო მამულზედ სწუხარ და სტირი, მე ჩემს კერძო მამულზედა, ყველას გაცალკევებული, საკუთარი და კერძო ნაღველი გვაქვს, როგორღა მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა? რადგანაც ვიცით, რომ ვეღარ მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა, ამიტომაც სალაპარაკოდაც აღარ შევყრილვართ. ან სალაპარაკოდ რიღასთვის უნდა შევყრილიყავით? ლაპარაკი აზრის აღებ-მიცემობაა. მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, საერთო აზრის აღებ-მიცემობა გაგვეწივა.. რაკი შენ იმერლობა დაირქვი და მე კახელობა, მე შენთან სალაპარაკო აღარა მაქვს-რა და შენ - ჩემთან; რაკი შენ შენს სახნავს მიწას და ერთობ შენს უძრავს ქონებას შენი მამული დაარქვი და მე ჩემსას - ჩემი, მე შენთან საერთო მოსაფიქრებელი აღარა მაქვს-რა, და შენ - ჩემთანა. ამიტომაც დავშორდით ჩვენ ერთმანეთსა, შენ იქით წახველ და მე აქეთ წამოვედი, და მას აქეთ მე და შენ ერთად აღარ გვილაპარაკნია. დიდი ხნის ულაპარაკობამ, როგორც აზრით, ისე სიტყვითაც, ერთმანეთს დაგვაშორა. ერთიერთმანეთის სიტყვას ყური გადავაჩვიეთ: შენ ჩემი სიტყვა ან სულ არ გესმის, და თუ გესმის, შენებურად გესმის, მე კიდევ შენი სიტყვა ჩემებურად მესმის. ამიტომაც ქართველი ვეღარავის გვიცვნია, თუმცა კი ყველანი ქართულად ვლაპარაკობთ. რათ მოხდა ესე? იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ყოველსფერში გავთავ-თავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავ-თავდა. ამიტომაც ჩვენი ენა კილოიანი გახდა, იგავიანი, ორპირი შეიქმნა ასე, რომ ერთ და იგივე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა. აბა რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოაბა? მიირთვიც რომ გითხრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთა კაცის გულის გარყვნილებაში შენც წილი ჩაგიდგია. შემობრძანდი რომ მითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზედ ჰკიდია, საწყენად მივიღო, თუ სალხენად. აი აქ „ჰკიდია“ ვიხმარე და შენც ათასჯერ ხმარობ, მაგრამ ვშიშობ, რომ მაგ სიტყვას ერთმა ბრიყვმა ვინმე თავისის წამხდარისა და გარყვნილის გონების აზრი არ მიაწეროს.

X

სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს

ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქ ა რ თ ვ ე ლ ი კერძოობითად გავხადეთ, მ ა მ უ ლ ი დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პ ა ტ ი ვ ი – ნეხვად, თ ა ვ ი – გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კ ა ც უ რ ი არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?

XI

ჩვენ რომ ერთი-ერთმანეთს გადუდექით, თავი შევიკეტეთ ჩვენს პატარა ხუხულაებში და ერთი-ერთმანეთს აღარ გაველაპარაკენით, რასაკვირველია ენაც დაგვიმუნჯდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა. მეტყველების ნიჭს ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას. მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა. ჩვენ განკერძოვების შემდეგ გონებითად აღარ გვიცხოვრია და რადგანაც ენას მაინც პირში ტოკვა უნდოდა ჩვეულებისამებრ, ავიღეთ და უაზრო ხმები, რომელიც ჩვენი ხუხულაების გარეშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ, და მადლობა ღმერთსა, დღევანდლამდე ამ-გვარის სიტყვებით იოლად მივდივართ. ამიტომაც პირუტყვ-ბუნების ხმის მსგავსის სიტყვებით აივსო ჩვენი ენა. და დახე, თუ ერთი გონებითი აზრის მცველი სიტყვა ემატნა. მაგალითები ათასია: ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი, გრიალი, ქრიალი, ღრიალი, ჭრიალი, ხრუტუნი, ღრუტუნი, სრუტუნი, წრუტუნი, ჟრუტუნი, ფრუტუნი, და ათასი ამისთანით აივსო აზრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავ-თავდა, მამული – აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის? კიდევ იმას ვიტყვი, რაც ზემოთა ვსთქვი: მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, რომ ერთმანეთის აზრის აღებ-მიცემობისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნა? შენ შენთვისო, მე ჩემთვისო, ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანეთს თავი დავუკარით, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით, უკანასკნელი საერთო სიტყვა „მშვიდობით“ უკანასკნელადღა ვახსენეთ, შენ იქით წახველ და მე აქეთ, თვითეულად, თავ-თავად, და ვინ იცის, როდისღა შევხვდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება“ მითხრა შენ – მე, და მე – შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო, თუ დაო!..

[1866-1876 წ.]

პირველნაბეჭდი – **„დროება“, 1876, №27.**

ილია ჭავჭავაძე

„ივერიის“ წინასიტყვაობა (I)

ჟურნალ-გაზეთობაში შემოღებულია ერთი ახირებული ჩვევა. გამოვა ახალი გაზეთი თუ არა, მისი რედაქცია უცილო ვალად ჰრაცხს, პირველ ნომერშივე საზოგადოებას აუხსნას თავისი დედა-აზრი, თავისი მიმართულება, აღნუსხოს ყოველი ის, რითაც უპირებს გაზეთს სულის ჩადგმას და ხორცის შესხმასა. ამ ჩვეულების ძალმომრეობით გაზრდილი საზოგადოებაც, დაინახავს ახალ გაზეთს თუ არა, გულდაჯერებულია, რომ პირველს ნომერშივე იპოვის რედაქციის აღსარებას მასზედ, თუ რა აზრი და დანიშნულება აქვს ამ ახალს გაზეთსა; რის შემოტანა ჰსურს მწიგნობრობაში, თუ ცხოვრებაში; რა გზას, რა კვალს დაადგება საზოგადო ცხოვრებისაგან მოვლინებულთ საგანთა გამოძიებაში; რა თვალით განიხილავს ყოველს მას, რასაც ჩვენი თუ სხვისი ცხოვრება თავისს დაუდგრომელს მიმდინარეობაში აღმოაჩენს; რას და როგორ ემსახურება და ბოლოს რას გვპირდება და რას გვიქადისო.

ამ ჩვეულებას თვისი მართებული და პატივსადები საბუთი აქვს. საზოგადოებამ, რასაკვირველია, უნდა იცოდეს, რა აზრის კაცთან იჭერს საქმეს, რისა და ვისს მიმდევარს უნდა ათხოვის თავისი ყურადღება. მაგრამ ყოველს მასზედ, რაც წინ მოვიხსენიეთ, პასუხის მიცემა თითქმის შეუძლებელია. თუნდ ეგ არ იყოს, ცოტა უხერხოდაც მოგვაჩნია. ამ შემთხვევაში პასუხად ხომ ცარიელი ლიტონი სიტყვა უნდა იყოს, – და ცარიელი სიტყვა რა თამასუქია, ნამეტნავად ამისთანა ეჭვით სავსე დროში. ვინა ვარ, რა აზრისა ვარ, რა საქმის დადგენა მინდა, რისთვის გამოვდივარ მოედანზედ, – ესე ყველა იმისთანა საგანია, რომელზედაც საუბარი ვერ ეხერხება კაცსა. ორში ერთი: კარგს იტყვის კაცი – ტრაბახობაში ჩამოართმევენ, ცუდს იტყვის კიდევ – სულელობა გამოვა, ჰეინესი არ იყოს.

არც ერთი ეს თვისება ისე მიმზიდველი არ არის, რომ კაცმა თავი იტკინოს და იმ ზემოხსენებულს ჩვეულებას თავიდამ ბოლომდე მიეცეს. გაზეთის საქმე დროთა მიმდინარეობისაა. დროს დავაცალოთ მის თქმა, რის მოლოდინიცა აქვს მკითხველს რედაქციისაგან.

ჩვენ დღეს მარტო ზოგიერთს ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ მასზედ, თუ გაზეთ-ჟურნალობა რა ღონეა, რა ძალა, რა ფარ-ხმალია ადამიანისათვის ცალკე და საზოგადოებისათვის საერთოდ, რის უფლებას აძლევს მას, ვინც მაგის ასპარეზზედ გამოვა და რა მოვალეობასა სდებს კისრად.

ჟურნალ-გაზეთობა არის ერთ-გვარი ნაწილი მწიგნობრობისა. როგორც მრთელს მწიგნობრობას, როგორც ყოველს გონებითსა ძალას ადამიანისას და მის ნამოქმედარს, ისე ჟურნალ-გაზეთობას საგნად ადამიანის ცხოვრება აქვს. ცხოვრება დაუდგრომელს დუღილშია, ფეხ-შეუფერხებელს მოძრაობაშია. იგი თვის დუღილში, თვის მიმდინარეობაში ბევრს რთულს საქმეს და საგანს წამოგვიყენებს ხოლმე თვალ-წინ. ამ საქმესა და საგანს გარჩევა უნდა, ახსნა და თავისი ადგილის მიზომვა. ადამიანის გონებითი ძალა, რომელიც დღე მუდამ უნდა დასტრიალებდეს ცხოვრებას, ორ-გვარად შეეხება ამ ცხოვრებისაგან აღმოჩენილს საქმესა და საგანსა. პირველი, – როგორც მასალას, რომლიდამაც მეცნიერებითსა ძალას ადამიანისას გამოჰყავს დედა-აზრი (პრინციპი) და ამ დედა-აზრზედ ამყარებს მეცნიერების შენობასა, საიდამაც ეს დედა-აზრნი ისევ ცხოვრებაში უნდა გამოვიდნენ. უამისოდ მეცნიერება უხმარი განძია, უქმის ჭკუის უქმი ვარჯიშობაა. მეორე, როგორც წილადებს, რომელთაგან შემდგარია დღევანდელი დღე, მის შინაგან-გარეგანი, ერთის სიტყვით – ის ჰაერი, რომლითაც დღეს ვსუნთქავთ, ვცხოვრობთ და ვაი-ვაგლახობთ, ჩვენ და თქვენ, მკითხველო. რა ღონისძიებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამის ცხოვრებისაგან მოგროვილი მასალა მეცნიერებას უხიდოს და მეცნიერებიდამ დედა-აზრნი გადმოიტანოს ცხოვრებაში? მეორეს მხრით, რა საშუალებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამის ცხოვრების ავ-კარგიანობა, ვითარება გადიხატოს, გადისახოს? მწიგნობრობა ერთობ და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ.

ამ-სახით, ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა.

როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს,

აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება.

როგორც ცხოვრების სარკე, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს მას, რაშიაც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების სხვადასხვა საგანთა თაობაზედ. რამოდენადაც იგი ამის ამსრულებელია, იმოდენად იგი საწყაოა საზოგადოების გონებითის, ზნეობითის ძალისა და ნიჭისა, იმოდენად იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, იმოდენად იგი საშუალებაა, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თვისის ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვითრჯულს დენას საკუთარს თაოსნობას უმორჩილებს.

ამ ორ-გვარს დანიშნულებას ჟურნალ-გაზეთობისას ერთი და იგივე ფერი არ ადევს სხვადასხვა საზოგადოებაში, და ერთსავე და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა ისტორიულს დროს. არის დრო და საზოგადოება, საცა ჟურნალ-გაზეთობა, განსაკუთრებით თუ არა, უმთავრესად მაინც მარტო მას მისდევს, რომ აღზარდოს საზოგადოების ჭკუა და გონება, გაუწმინდოს აზრი და გრძნობა, ააღორძინოს საზოგადოების თვითმოქმედებითი ძალი და ხალისი თვითცნობისა. არის დრო და საზოგადოება, სადაც ჟურნალ-გაზეთობა საზოგადოების გამჭრიახობის, ზნეობითის მხნეობის და თაოსნობის გამომეტყველია, ასპარეზია სხვადასხვა ცხოვრების კავშირთა და ძალთა ბრძოლისა. არის დრო და საზოგადოება, საცა ჟურნალ-გაზეთობა და ცხოვრება და-ძმასავით ხელი-ხელს გაყრილნი მიდიან, ჟურნალ-გაზეთობა წინ მიუძღვის ცხოვრებასა და გზას უნათებს, და ცხოვრება კიდევ მწიგნობრობის მოედანსა თავისის უკეთესის ყვავილითა ჰფენს. არის კიდევ დრო და საზოგადოებაო, მეტყვი მკითხველო, საცა ჟურნალ-გაზეთობა ერთმანეთის ლანძღვა და თრევაა. ეგეც არის, ჩვენდა საუბედუროდ, მაგრამ რა ვუყოთ, საცა წვრილია, იქა წყდება ხოლმე. ეს ვეება ტანი ადამიანის ცხოვრებისა ისე როგორ გადარჩება, რომ დროთა ბრუნვამ სადმე მუწუკი და იარა არ აუჩინოს.

ეს სხვადასხვა-ფერობა ჟურნალ-გაზეთობისა დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზედ. იმ ქვეყანაში, საცა საზოგადოების თვითმოქმედების ძალა მილეულია, საცა გონებითი და ზნეობითი ნიჭი დაძინებულია, იქ, რასაკვირველია, მწიგნობრობა ერთობ, და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ, ძნელად თუ იქნება საზოგადოების აზრისა და გუნების გამომთქმელი. აქ უპირველესი მოვალეობა ჟურნალ-გაზეთობისა სწავლისა და ცოდნის გავრცელება უნდა იყოს, მან ფეხი უნდა აუდგას თვითმოქმედების ძალსა, მან უნდა აღადგინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი. იმ ქვეყანაში-კი, საცა თვითმოქმედების ძალი საზოგადოებისა აღორძინებულია, საცა გონებითი და ზნეობითი ნიჭი აწარმოებს ცხოვრებასა და მის გამო ცხოვრება დუღს და სჩქეფს, – იქ ჟურნალ-გაზეთობა აზრის აღებ-მიცემობაა, იქ იმის ამომძახელია, რასაც ჩასძახებს საზოგადო აზრთა დენა, შეტაკება და ბრძოლა.

ხოლო ამას კი დავუმატებთ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, განვიმეორებთ, რომ ცხოვრება, რაც უნდა უძლური, მიმკვდარი და უღონო იყოს, იმოდენად ღირს-შესანიშნავი რამ არის, რომ ჟურნალ-გაზეთობას არ შეუძლიან თვის ერთგვარს დანიშნულებას აჰყვეს და ცხოვრებას თვალი და ყური არ ათხოვოს. როგორიც უნდა იყვეს ცხოვრება, ძლიერი თუ უძლური, მაღალი თუ მდაბალი, ჟურნალ-გაზეთმა უსათუოდ უნდა თვალი დააკვირვოს, უნდა შეისწავლოს, უნდა განმარტოს. იმიტომ, რომ ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მოქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თვითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული. რასაკვირველია, მოჭირნახულემ უნდა იცოდეს თვისი ნამოქმედარის ავკარგიანობა, თვისება. ამისათვის ყოველ საგანს, ყოველს მოვლენას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს, ჟურნალ-გაზეთობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისამებრ უნდა მისცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრისა და ცოდნის დაკვალად. ამ შემთხვევაში მძიმე საქმეზედ ექნება ლაპარაკი, თუ უმცირეს საგანზედ – ყოველგან და ყოველსფერში ჟურნალ-გაზეთმა უაღრესი და უპირველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედა-აზრს, რომლითაც თითონ სულდგმულობს, იმ გონებითს მხედველობას, რომლითაც თვით უყურებს საგანსა.

ზემოხსენებული აზრები რომ ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს მწიგნობრობას მივმართოთ, ადვილად გამოსაცნობია, რა გზა უნდა ამოირჩიოს ჩვენში ჟურნალმა თუ გაზეთმა.

სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება, – აი რაში მდგომარეობს ჩვენის გაზეთის პროგრამა.

დრომ გამოაჩინოს, რამოდენად შევძლებთ იმ საქმეს, რომლის კისრად აღება ჩვენ დღეს გავბედეთ.

რადგანაც ჟურნალ-გაზეთი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში უნდა მოქმედობდეს და იმ ყოფა-ცხოვრების საკეთილოდ იღვწოდეს, ამის გამო ადამიანი, ცალკე – როგორც კერძო პირი და ერთად – როგორც საზოგადოება, ხელშეუხებლად ვერ გადურჩება გაზეთსა. იმ გაზეთს თუ ჟურნალს, რომელსაც აქვს თვისის ღირსების ცნობა, თვისი პატივისცემა და თვისი კეთილშობილური თავმოწონება, იგი იმავე ღირსებით, იმავე პატივისცემით უნდა მოექცეს ყოველს კერძო პირს და ყოველს საზოგადოებას. ეგ პატივისცემა კერძო პირისა და საზოგადოებისა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველს რიგიანს და მართებულს ჟურნალს თუ გაზეთსა. ხოლო პატივისცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს პირმოთნეობით უნდა ექცეოდეს. ეგ ადამიანის პატივისცემა კი არა, ეგ შეურაცხყოფა იქნება. ცუდია, თავის მეცნიერების შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სნეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეაო. არა, ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში, გულახდილად, ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას. ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხჰყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცადა ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავის-თავს კაცად ჰსცნობს და აღიარებს.

სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს? სხვა რის მეოხედ უნდა იყოს მწიგნობრობა საერთოდ, თუ არ ადამიანის უფლების შემნატრედ, მწედ და მოსარჩელედ? სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველზედ წინ წამომდგარი, თუ არ ზნეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გვმართებსო?

ძნელია ესე ყოველისფერი, ჩვენო მკითხველო, მაგრამ მაგ სიძნელეშია ის საწყაოც, რომლითაც უნდა აიწყოს გაზეთის ღირსება და რომლითაც შენ უნდა მიუწყო მისთა მოღვაწეთა შენი გულითადი თანაგრძნობა, შენი პირუთვნელი პატივისცემა და შენი უანგარო სიყვარული.

3 მარტი. 1877 წელი.
თბილისი

პირველნაბეჭდი – **„ივერია“, 1877, №1**

ილია ჭავჭავაძე

ოსმალოს საქართველო

ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულოვნობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, – მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენებულს ნაწილებს ოსმალოს საქართველოსას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვჭონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისათვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა.

საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალოს ზემოქმედების ქვეშ, ზემო ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს, და თვისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპ-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადერკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპ-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისთვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით, უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ატყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის“ თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზზედ შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსი დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოზი იყოლიონ, „რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქვნდეს უადრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელ-მთავართა ზედა“. ეს მოხდა 586 წ. ქრისტეს შობიდან. ამგვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გუარამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისაცა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს

აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰფენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილსსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერთო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხის-ტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენის ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალოს საქართველომ იმ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანასა, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ე. ი. მას ჟამს, როდესაც ჩვენის ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალოს საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოდებული იყო სამცხე-საათაბაგოდ. ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავ-გაწირულობით, თავ-დადებით ებრძოდნენ ოსმალოთა, ასე რომ ოსმალებმა ვერა დააკლეს-რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ-თუღიანი ფაშობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადაიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს და ყოველი საღმთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმალად თურმე.

ეგრეთ, — მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლ-დათხეულსა საქართველოსა. სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყნებში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი აქ, ჩვენში, ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელ სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს და დიდი ხნის განშორებულ ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავს ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა.

[1877 წ.]

პირველნაბეჭდი – „ივერია“, 1877, №9.

ილია ჭავჭავაძე

შინაური მიმოხილვა. 1882 წელი, ივნისი

ყოველივე წყობილება, რომლის ძალითაც მოქმედობს მთელი კაცობრიობა, იმიტომ არის შემოღებული, რომ ადამიანი, რამოდენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოს. ადამიანი ცალკედ ერთი სუსტი და უღონო დანაბადია; მისი სულიერი და ხორციელი ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით, მარტო ყოფნით, ვერას-გზით ვერ მიაღწევს ბედნიერებასა. ამიტომაც იძულებულ იქმნა თავის მსგავს დანაბადთან ერთად ემოქმედნა. ამ მიზეზმა იმოქმედა, რომ ბოლოს ადამიანთაგან შესდგა საზოგადოება და საზოგადოებისაგან – სახელმწიფო. დროთა მიმავლობაში ზოგან საქმე ისე წარიმართა, რომ სახელმწიფომ იმძლავრა და სრულიად დაიმორჩილა საზოგადოება საერთოდ და ადამიანი ცალკედ, ყველაფერი თითონ მოითალა და საზოგადოება და ადამიანი ცარიელზედ დასვა. ზოგან საზოგადოებამ თვისი კუთვნილი უფლება შეირჩინა და არ დაუთმო სახელმწიფოს, და ადამიანი კი ცალკედ თვის ყურმოჭრილ ყმად გაიხადა. ზოგან კიდევ, როგორც სახელმწიფოში საზოგადოებას, ისე საზოგადოებაშიც ცალკე ადამიანს, ანუ უკეთ ვსთქვათ – ადამიანის პიროვნებას, თავისი საკუთარი უფლება შერჩა. უკეთესი განწყობილება ის არის, საცა თვითოეულს ამათგანს თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, საცა თვითოეული მათგანი ისეა მოთავსებული, რომ თავის სრული უფლება მიწყული აქვს. **ერთი უწმინდესი და უდიდესი მოვალეობა და საგანი ყოველ საზოგადოდ მოქმედ ძალისა საერთოდ და ლიტერატურისა ცალკედ – ის არის, რომ ამ ყოფამდე მიაღწევინოს სახელმწიფოს, საზოგადოებას და ადამიანს და ერთმანეთში თვითოეული მათგანი სრულის კუთვნილის უფლებით და მოვალეობით მოათავსოს.** ამისთვის იღვწის და იბრძვის ყოველგან უკეთესი წარმომადგენელი ადამიანისა. იქ, ამისთანა სახელმწიფოში, გარდა სახელმწიფოსი – თითონ საზოგადოებაც თვის მფარველობის ქვეშ აყენებს ადამიანის პიროვნების უფლებასა და ყოველს შემთხვევაში ესარჩლება და ექომაგება, თუ იგი ვისგანმე უსაბუთოდ გაუპატიურებულია და ხელშეხებული.

ჩვენ ამ შემთხვევაში არ გამოვუდგებით პირველს ორს საგანს. ჩვენ მარტო იმაზედ გვინდა ჩამოვაგდოთ სიტყვა, რასაც ადამიანის პიროვნების უფლებას ეძახიან და ამასაც იმ მხარეს გავუსინჯავთ, რომელსაც ზნეობითი კუთვნილება ადამიანისა შეადგენს.

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ამ საგანზედ ჩვენში დალაგებულად ცნობილი არა არის-რა და ჩვენს ლიტერატურასაც ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ამ მხრით ვერაფერი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანასა. რასაც კი წასწვდა ჩვენი ლიტერატურა, ყოველსფერს საზოგადოების უფლების მიხედვით მიაყენა შუქი და ადამიანის პიროვნების უფლების სარჩლად არა თუ ხელი გასძრა, არამედ მის შესახებ ერთი უმსგავსო და მეტად ცუდი ჩვეულება დაიჩემა.

დღეს-აქამომდე ადამიანი, გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ადამიანის პატიოსნება, სინიდისი და ერთობ ყოველივე – რაც კი შეადგენს უძვირფასესს ზნეობითს კუთვნილებას ადამიანისას, რაც უკეთეს ნაწილს კაცობრიობისას იმოდენად დიდ საგნად მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა თითქმის კანონად აქვს აღიარებული, ჩვენ სწორედ მჩვრად გაგვიხდია და ისე ვექცევით, როგორც ფეხის მტვერსა. აბა აიღეთ რომელიმე ნაწერი რომელსამე კაცზედ ჩვენში, თუ იმ ნაწერში ყოველივე ეს შეგინებული არ იყოს დაუსჯელად, ყოველივე ღირსება ადამიანისა უარყოფილი არ იყოს. ამ საზიზღარმა ჩვეულებამ ამ უკანასკნელ ათის-თხუთმეტის წლის განმავლობაში მოიკიდა ფეხი ჩვენში და დღეს-აქამომდე განუკითხველად მოქმედობს. მით უფრო სავალალოა ეს, რომ მისნი ამყოლნი დღეს-აქამომდე ქადულობენ, რომ ახალ-თაობის კაცნი ვართო და წმინდას სახელს ახალ-თაობისას და ლიბერალობისას ზედ აფარებენ ამ უკადრისს საქციელსა.

როცა კაცზედ ვისმეზედ სჯა და ლაპარაკი მოგვინდება ხოლმე, მოქმედებას კი არ ვუსინჯავთ; არა, ამას თავს ვანებებთ, სინიდისში, გულში ვცდილობთ ჩახედვასა და იქაურობას ვუქოთებთ. არ არის არსად ქვეყანა, რომ ამისთანა საქციელს ასეთი სარბიელი ჰქონდეს, როგორც ჩვენში აქვს, ჩვენდა სამწუხაროდ. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ საქციელის მომქმედსა კარი ღია აქვს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში და აქაოდა კარი ღია არისო, ვისაც რა მოხვდება, არახუნებს მოშლილ წისქვილივით.

უსაბუთოდ გამოლაშქრება კაცზედ, მისი გაუპატიურება, მისის ღირსების აქეთ-იქით თრევა, მისის პატიოსნების წაბილწება და თელვა, მისის განზრახვის, სინიდისის და გულის-ნადების თავისებურად ჩხრეკა და აქოთება – ისე გვეადვილება არამც თუ

შინაურს ლაპარაკში, არამედ საჯაროდ ჟურნალ-გაზეთობაში, რომ თითქოს ბაკლა და ისპანახი იყოს. ყოველს ჩვენგანს სხვისი გული, სხვისი სინიდისი დაუწერელ ქაღალდად მიაჩნია და რაც ქეიფში მოუვა, ზედ იმასა სწერს.

ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინიდისი მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილებაა და ყოველივე ესე სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითოეულ ადამიანისაგან პატივცემული უნდა იყოს, სრულიად ხელშეუხებელი, ვიდრე ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი არ გვექნება ხელში, რომ იგი მაგ კუთვნილებას სხვის სავნებლად ხმარობს. ჭეშმარიტს ლიბერალობას ეს ძვირფასი კუთვნილება ადამიანის პიროვნებისა დიდის ასოებით აქვს დაწერილი თავის დროშაზედ. მაშასადამე, ჩვენმა ახალმა თაობამ, თუ თვისდა სასახელოდ ჭეშმარიტის ლიბერალობის მიმდევარია, ეგევე უნდა დაიწეროს თავის დროშაზედ და ყოველივე ამის წინააღმდეგ მომქცევი ზიზღით უნდა სდევნოს. გვერწმუნეთ, ამით თითონ ლიტერატურას თავის სიმაღლეზედ დავაყენებთ და ჩვენს მოქმედებას უფრო ადვილად ძლევით შევმოსავთ.

ბევრია ჩვენში ამისთანა უწვრთნელი, რომელსაც ადამიანის წარამარად ხსენება, გაუპატიურება, ადამიანის პიროვნების შეგინება, არამც თუ სამარცხვინოდ მიაჩნია, არამედ სასახელოდაც, რაღაც ვაჟკაცობად და გულადობად ჰგონიათ, რომ მე ესა და ეს კაცი გაზეთში გამოვლანძღეო. ამასთანაც ქადულობენ კიდეც, ჩვენ ახალ-თაობის კაცები ვართო. ბევრი ბალღია ჩვენში, ამ ქადილითა სტყუვდება და ბარაქალას უთვლის ადამიანის ღირსების ფეხქვეშ მთელელსა. ბალღი იმიტომ არის ბალღი, რომ მალე სტყუვდება, და ის ახალ-თაობა კი, რომელზედაც მიქცეულია მთელი ჩვენი სასოება და რომელსაც ეკუთვნის ჩვენი მერმისი, ესე იგი ჩვენი მომავალი, არასოდეს ამით არ უნდა მოტყუვდეს. მან უნდა ზურგი შეუქციოს ურცხვს მოქადულეს და მისი ქადილი ზიზღით უარჰყოს. თუ უნდა ახალ-თაობას თვისი ღირსება დაიცვას, ესე უნდა მოიქცეს...

ილია ჭავჭავაძე

დავით აღმაშენებელი

არ ვიცით, სხვა როგორა ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისთვის და გაძლიერებისთვის.

უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი – საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავის მშობელი და სიცოცხლის მომნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ-წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვნება ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლეობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ-ბუნებოვნების შარავანდედითა, და თაყვანს-სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო, – ამბობს ბრძენი სენეკა, – იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“.

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისთვის. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია (ახალი სტილით 8 თებერვალი). ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, – ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!..

ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდ-ბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლად-შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების კაცისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

მეტი-ღა დიდ-ბუნებოვანება მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნობას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსა სცემდა! ჩვენს მატიანეებს თავი დავანებოთ და ვიმოწმოთ სხვა ერის მემატიანენი. ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას.

სომეხი მათე ედესელი ამბობს: „დავით იყო წმინდა, კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული. დავითის გარშემო იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი გორი, სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავს ყოველგვარი ნუგეშის ცემა და შვება“.

ვარდან დიდი წერს: „დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა: იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.

ეგ კიდევ არაფერი, რომ დავით აღმაშენებელი ასე ექცეოდა სომხებს, რომელნიც, რაც უნდა იყოს, ქრისტიანები იყვნენ და არიან. დიდ-ბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა მაჰმადიანებსაც მიეფინათ, და მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მისის ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად. – მაჰმადიანთა მწერალი ალ-აინი აი რასა წერს:

„დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკრძალნა გიაურებისათვის მათი ავად ხსენება. დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. დავითი თავის შვილის დიმიტრითურთ ყოველდღე დადიოდა უმთავრესს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყურანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მუეძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატოვებას, გულ-სავსებით ხელს უპყრობდა და მგზავრობის ღონისძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტს პატივსა-სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“.

ყოველივე ეს დიდსულოვნება და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო იმის დიდ-ბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას. იმას აღარ ვამბობთ, რომ სნეულთა, უღონოთა და საპყართათვის დავითმა ააშენა სამკურნალო, თითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.

აი ეს დიდებული მეფე – რა დიდებულ კაცურ-კაცის სახესაც მოგვივლენს თვალ-წინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი ამისთანა

კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველთათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, – ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

პირველნაბეჭდი – გაზ. „ივერია“, 1888, №17.

ილია ჭავჭავაძე

დიმიტრი ყიფიანი

კაცი მოჰკვდა ან მოჰკლეს!.. რა იშვიათი ამბავი ეს არის, რომ დიდი და პატარა შეიძრას? რამდენი ათასი კაცი ჰკვდება ყოველდღე, ყოველს საათს, მაგრამ მრავლისმრავალს ყურსაც არ ვათხოვებთ ხოლმე. ვინ არა ჰკვდება? ვინ შეჰრჩენია ამ წუთისოფელს საუკუნოდ? ადამიანი სიკვდილის შვილია, და თუ ვინმე კვდება, თუნდა სხვისის ხელითაც, აქ რა არის უცნაური და საკვირველი?

თუმცა ესეა, მაგრამ ძნელად იქნება იმისთანა უბედური, რომ მკვდარს არავინ მისტიროდეს. ხოლო მრავლისმრავალს მისტირის მხოლოდ მახლობელი და ნათესავი, სხვა კი ცხედარის დანახვაზედ მარტო სიბრალულით შენდობას თუ ეტყვის და ამით ათავებს თავის საქმეს...

ადვილად მისახვედრია, აგვილად გამოსაცნობია – რათა სტირის გული, როცა მახლობელი, ან ნათესავი გვეკარგება. აქ მწუხარებას და გლოვას ადვილად გამოსარკვევი მიზეზი აქვს, როგორც ყოველს იმას, რაც კერძოობითია, რაც ცალკე ადამიანს განსაკუთრებით შეეხება. სულ სხვაა, როცა გული გვტეხს და გვიკვნესის იმისთანა კაცის გამო, რომელიც სისხლით და ხორცით შორეულია, რომელიც არც ჩვენი საკუთარი მახლობელია, არც ჩვენი საკუთარი ნათესავი.

დიმიტრი ყიფიანიც სიკვდილის შვილი იყო, როგორც ყველანი ჩვენ. აქ ის გულგრილი ფილოსოფია, რომ სააქაოს საუკუნოდ არავინ შერჩენიაო, არა გვყოფნის, არა გვკმარის. გული არ ემორჩილება ამ ფილოსოფიასა, თავისას ჰთხოულობს, თავისას ამბობს. აქ მეცა ვსტირი, თქვენცა, სხვაც, მახლობელიც და ნათესავიც. რათა? რამ შეგვყარა ერთად გლოვისა და მწუხარებისათვის შორეულნი და მახლობელნი, უცხონი და ნათესავნი? დიმიტრი ყიფიანის სახელი რათა სცვლის მრავლისმრავლის ხვედრს მარტო მახლობელთაგან დატირებისას. ამას გამორკვევა უნდა.

კაცთა საზოგადოება თავისის სიმკვიდრისა, შეურყეველობისა და არსებობისათვის ყოველ ცალკე ადამიანისაგან ითხოვს იმოდენა სათნოებას, რომ ნაკლები შეუძლებელიღაა კაცთა კრებულად ცხოვრებისათვის. იგი გვეუბნება, თუ ერთმანეთობა გინდა, თუ კრებულად ყოფნა გსურს, ამა და ამაზედ ნაკლები სიმართლე არ იქონიო, ამა და ამაზედ ნაკლებ გულმოდგინედ და ერთგულად არ მოეკიდო შენს მოვალეობას, ამაზედ ნაკლები თანაგრძნობა, თანაზიარობა ერთმანეთობაში არ დაიზარო, ამა და ამაზედ ნაკლები საყოველთაო ტვირთი არა ჰზიდო, და მებრვე სხვა. ამ სახით კაცთა საზოგადოება, მოქალაქური ერთმანეთობა და ყოფა-ცხოვრება ჰკმარობს მარტო minimum-ს სათნოებისას.

ამ minimum-ზედ, ამ ხაზზედ დგომა ყველასათვის სავალდებულოა, ხოლო შესაძლოა ადამიანი ამ ხაზს ძირსაც დასცილდეს და ზე ასცილდეს კიდეც. დამცილებელი სცოდავს საზოგადოებას და ისჯება საზოგადოებისაგანვე, რადგანაც ამ შემთხვევაში დაცილება დანაშაულობაა. ამიტომაც არდაცილებას ითხოვს კაცისაგან საზოგადოება, ვითარცა მოვალეობას, და ზეაცილებას კი თვითეულის ნებაზედ სტოვებს. იმიტომ, რომ ყოველს კაცს სრული ნება აქვს, და შეუბღალველი ნებაც, ეს minimum-ი სათნოებისა იქონიოს და არა მეტი. ამ ხაზზედ ზეაცილება, ესე იგი, ამ ნაკლების სათნოების წარმატება, განდიდება, გაძლიერება მოვალეობა აღარ არის კაცისა: იგი ღვაწლია, გადამეტებული სამსახურია, მსხვერპლია, გმირობაა.

ამ ღვაწლისათვის, ამ მსხვერპლისა და სამსახურისათვის მრავლისმრავალი კაცი უღონოა. ამისთანა კაცების ცხოვრებას რომ ანგარიში გავუკეთოთ, გავთვალ-გამოვთვალოთ, ან ჯამად არაფერი არა დადგება-რა, ან იშვიათის შემთხვევაში ამათის ცხოვრების ჯამი ის იქნება, რომ არა ვცოდეო, ესე იგი, ხსენებულს ხაზზედ დაბლა არ დავიწიეო. ეხლანდელს დროში ესეც კარგია, მაგრამ თვით ეხლანდელს ცოდვილს დროშიაც ამისთანა კაცის სიკვდილი ყველას გულს არ შესძრავს და ძაძით არ მორთავს. ბოროტის უქმნელობა კი არ იზიდავს, კი არ გამსჭვალავს ადამიანის გულს, არამედ ქმნა მადლისა. მარტო

მადლისმყოფელის წინაშე ადამიანი უნებლიეთ იხრის თავს, იყრის მუხლსა და განცვიფრებული მეტყველებს სიტყვით თუ უსიტყვოდ ქებასა და დიდებასა. ეგ იმიტომ, რომ ჭეშმარიტი კაცობა არქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა. კაცურის კაცობის ნიშანი minimum-ი სათნოება კი არ არის, რომელიც არცოდვის სამზღვარია, არამედ maxsimum-ი, რომელიც მადლის სამფლობელოა და საუფლისწულო.

დიდბუნებოვანება კაცისა იმოდენად მარალხარისხოვანია, რამოდენადაც „არცოდვის“ სამზღვარი უკან შორს დაუგდია და „მადლის“ სამზღვარს მიახლოებია. ამ გზით წაჭარბებული მანძილი ერთადერთი საზომია დიდბუნებოვანის კაცისა, ესე იგი, იმისთანა კაცისა, რომელსაც ყველა, დიდი და პატარა, თავისიანად ჰხადის, თავისიანსავით შეჰხარის, თავისიანსავით ჰგლოვობს.

„რომ მე მართლადა ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერნი იყვნენო“, – ამბობს ერთი მეცნიერი. მადლის მოედანი და სარბიელი ეს არის. ყოველი კაცი ბედნიერებისათვის იღვწის, მაგრამ ყოველს კაცს მიჩნეული არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვისი ბედნიერება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედნიერებასთან განუყოფელად ყოველს კაცს ვერ გაუერთებია.

ამ გაერთებისათვის დიდის ხიდის გადებაა საჭირო და ამას დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა, და ყველა კაცს არ მოეკითხება. ვისაც კი ეგ ღონე და შეძლება აქვს, იგი მით ნაწილია ყველასი, – ჩემიც, თქვენიც და სხვისაც, იმიტომ, რომ იგი ჩემს, თქვენს და სხვის ბედნიერებაში ეძებს მხოლოდ და ჰპოულობს თავს საკუთარ ბედნიერებას და, მაშასადამე, იმისი ბედნიერება და უბედურება – ჩემი, თქვენი და სხვისი ბედნიერება და უბედურება უნდა იყოს.

ეს ისეთი ძნელად გასადები ხიდია, ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ თვითეული ბიჯი ღვაწლია და მსხვერპლი, და რადგანაც ღვაწლია, რადგანაც მსხვერპლია, ამიტომ მადლია, და რადგანაც მადლია, ამიტომ გულთა მიმზიდველია, გამმსჭვალავია გაოცებამდე, გაკვირვებამდე. ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს.

როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიდის, თითქო ჩემი და თქვენი წილადხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თვითეული ჩვენგანი გრძნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო, თითქო ვგრძნობთ, რომ ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარ ბედნიერებასაც ვკარგავთ, და ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ მივტირით ამ დაკარგულს ბედნიერებასა...

...დიმიტრი ყიფიანი გარდაიცვალა. ხუთი ათას კაცამდე, ნაცნობი და უცნობი, მოდის იმის პანაშვიდზედ, რათა სხვასთან ერთად, ერთკრებულად უთხრას: განისვენე მართალთა თანაო. დიდი, პატარა ჰგლოვობს და მწუხარებს. ამის მნახველს, ყოველს ამის მსმენელს, უნებლიეთ გაუელვებს ფიქრი: სჩანს ეს კაცი... ყოფილა რამ; სჩანს, რისთვისმე უცხოვრია; სჩანს, რამ გაუკეთებია, თორემ დღეში რამდენი კაცი კვდება, რატომ სხვაზედ არ არის ეს ამბავიო.

აქედამ დიდი სახტომი არ არის იქამდე, რომ კაცმა თვალი შიგნით ჩაიბრუნოს და თავს გულში დაიწყოს იმის პასუხის ძებნა, თუ რისთვისა ვარ? რა გამიკეთებია? რით მომიგონოს ჩემმა შემდეგმა? დიახ, ამისთანა მაგალითი მოგვივლენს ხოლმე თავის თავის განკითხვის დღესა, გვწურთნის, გვასწავლის და გვზრდის.

პირველნაბეჭდი – „ივერია“, 1887, №230.

ილია ჭავჭავაძე

ნინო ბაგრატიონი

ჩვენმა სასიქადულო მღვდელ-მთავარმა გაბრიელ ეპისკოპოსმა ერთხელ თავის სახელოვან ქადაგებაში ბრძანა:

„მე თითონ არ მინახავს, ხოლო გამიგონია სარწმუნოთა კაცთაგან, რომელ ერთს ძველს ეკკლესიასა შინა კედელზედ არის დახატული ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალით მენახა ეს ხატი! მაშინ მე გავიცნობდი მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემი! რა კარგი იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლად-წმიდისა, რომ ერთკერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით მას ხელში ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა მისსა ღვთაებრივსა კარგითა ხელოვნებითა იყოს გამოყვანილი ის ღვთაებრივი სიწმიდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსა. ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა“.

„რა კარგი იქნებოდაო, – ბრძანებს ყოვლად-სამღვდელო – რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლად-წმიდისაო“, – ესე იგი იმისთანა ხატი, რომელიც ერთის მხრით წარმოადგენდეს დედას მოსიყვარულეს და მეორეს მხრით – დედაკაცს მშრომელსა და მხნეს. კარგი იქნებოდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სად არის ეგეთი ქალი! დღევანდელს ქალს წარმოდგენილი აქვს იგი სასიქადულო ხატი კი არა, არამედ სამოდო სურათი ქალისა, რომელსაც თავზედ ადგია უშველებელი კოშკი-შლიაპა და ნაოჭ ქვეშ დატანებული აქვს არა ნაკლებ უშველებელი კურტან-ტიურნირი! აი დღევანდელის ქალის სასურველი და სანატრელი სურათი!.. სიმაღლე შლიაპისა და სიდიდე ტიურნირისა, – აი იგი ნიშანი დღევანდელის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა!..

თუ ჩვენში სადმე არის ქალი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად თვალ-წინ უდგა მღვდელმთავრისაგან ასე მშვენივრად სიტყვით გამოსახული ხატი, თუ სადმე არის, – ისევ ჩვენს ძველს დედაკაცთა შორის. მართალია, იმ ძველ დედაკაცთა იქნება არ იციან, რომ პარიზი საფრანგეთის დედაქალაქია და პეტერბურგი ახლოა თუ შორს, მაგრამ იციან კი „იგი მოვალეობა, ღირსება და მნიშვნელობა“, რომელსაც ჩვენის ქალებისათვის ასე სამართლიანად ჰნატრულობს ჩვენი ბრწყინვალე ეპისკოპოსი. ყოველივე ეს იმოდენად სწავლის შედეგი არ არის, რამოდენად ხასიათის, თვისების გაწვრთნილებისა და გამტკიცებისა. ამ ხასიათის, თვისების გაწვრთნაში ჩვენს ძველს ოჯახს ეხლანდელი სკოლა ვერ შეედრება. უწინდელს ჩვენს გაწვრთნას ცოდნა აკლდა და ეხლანდელს ცოდნას ხასიათის და თვისების გაწვრთნა აკლია. თქმა არ უნდა, რომ უკეთესი არ იქნებოდა-რა, რომ ხასიათის გაწვრთნას ცოდნა ჰქონდეს და ცოდნას ხასიათის გაწვრთნა. იდეალი ადამიანის აღზრდისა ამ ორის საუნჯის ერთად შექსოვაა. მაგრამ როცა არ არის ერთად შექსოვილი, მაშინ თვით მკითხველი მიგვიხვდეს, ამ ორში რომელი უნდა უფრო ამჯობინოს კაცმა.

რომ მართლა ისევ ჩვენ ძველთა დედაკაცთა შორის მოიპოვებიან ისეთნი გვამნი, როგორსაც ჩვენდა საბედნიეროდ გვირჩევს ბრწყინვალედ განათლებული გაბრიელ ეპისკოპოსი, ამის მაგალითი იყო კნეინა ნინო, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის მეუღლე, დადიანის ასული. ასული სამეგრელოს მთავრისა და მეუღლედ დიდს ოჯახში შესული, იგი მარტო ამით არ უნდა იხსენიებოდეს. დიდკაცობა შთამომავლობითი, თუ მეუღლეობითი, შემთხვევის საქმეა. ამაში თითონ ადამიანს არა საკუთარი ღვაწლი არა მიუძღვის-რა, ეგ განგების საქმეა, და ამიტომაც ადამიანს, როგორც კაცს, ეგ საკუთარ ღირსებად არ ჩაეთვლება. დიდი ხანია თქმული:

„თუ კაცი თითონ არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა“.

მიცვალებული კნეინა ნინო იყო ერთი იმისთანა იშვიათი დედაკაცი, რომელმაც იგი ჰქმნა, რაც ჩვენის ფიქრით, ყველაზედ ძნელია ადამიანისათვის: მან იპოვა და აიჩინა საგანი თავისის ცხოვრებისა. ძველნი ფილოსოფოსნი ამტკიცებდნენ და ახალნიც ემოწმებიან, რომ ყველაზედ ძნელი ადამიანისათვის თავისის-თავის ცნობა, თავისის-თავის ცოდნა არის, ესე იგი, იცოდეს რის ძალ-ღონის პატრონია და იმის კვალობაზედ ამ წუთის-სოფლის სუფრაზედ თავისი ჭეშმარიტი ადგილი დაიჭიროს და ცხოვრებას ადამიანისას აქედამ მისცეს თავისი შემძლებელი მხარი. ჩვენ ამაზედ შორსაც წავალთ

და ვიტყვით, რომ ყველაზედ ძნელი ადამიანისათვის თავისის ცხოვრების საგნის პოვნა და აჩენაა. მაღალის ზნეობის თვალთა წინაშე აქ საწყაოდ კაცურის-კაცობისა იმოდენად თითონ საგნის სიღრმე და სიდიდე არ არის, რამდენადაც საგნის სიცხადე და გამორკვეულობა. მარტო გონება-მაღალს კაცს აქვს წყურვილი ცხოვრების საგნის აჩენისა და მარტო გონება-მაღალს კაცს შეუძლიან აღნიშნოს იგი საგანი მთელის თავის სიგრძე-სიგანით ისე, რომ ყოველს ჟამს წარმოდგენილი ჰქონდეს, როგორც თავისი ხელისგული, არც გადაჭარბებით, არც დაკლებულად. აქ სიდიდე თითონ საგნისა არაფერ შუაშია. ქრისტე-ღმერთმა გროში ღარიბის დედაკაცისა სხვაზე მეტად შეიწირა, იმიტომ რომ დედაკაცმა გაიწირა ყოველი, რაცა ჰქონდა. საქმე მაღალ ზნეობისა იმაშია, რომ ადამიანმა ის მოიტანოს წუთის-სოფლის სუფრაზედ, რაცა აქვს. ვინც მართლად აღნიშნავს თავისს მოსატანს და უკლებლად მოიტანს, მასზედ ითქმის, რომ იპოვა საგანი ცხოვრებისა და განახორციელა კიდეც. ამისთანანი იშვიათნი არიან და ამ იშვიათთაგანი იყო აწ გარდაცვალებული კნეინა ნინო ბაგრატიონ-მუხრანსკისა.

იგი საქმე, იგი საგანი, რომელსაც დიდის გამარჯვებით და მხნეობით მოახმარა მან მთელი თავისი დაუღალავი სიცოცხლე, შრომაა. გრაფი ტოლსტოი, რომლის ფილოსოფიამაც დღეს ააყაყანა მთელი რუსეთი, თითქმის ამავე შრომაში ჰპოულობს საგანს ცხოვრებისას. მაგრამ კნეინა ნინოსა და ტოლსტოის შორის დიდი განსხვავებაა. პირველი მართლა გამრჯელი, საქმიანი, მუშა დედაკაცია, შეხორცთვისებული აქვს იგი საგანი ცხოვრებისა ასე, რომ მეორე ბუნებადა აქვს შექმნილი. მეორე-კი ეკეკლუცება მხოლოდ ამ საგანს ცხოვრებისას, იწებებს გარედამ და არ შეიხორცთვისებს. ტოლსტოისათვის ეგ საგანი ცხოვრებისა გამაძღარის, გულასუყებულის კაცის უხიაკობა, დაჟინება და ნებივრობაა, კნეინა ნინოსთვის-კი – მის ბუნების წყურვილი, ბუნების მოთხოვნილება იყო. ტოლსტოის რომ იგი მის-მიერ ახლად ნაპოვნი საგანი ჩამოაცილოთ, არა დააკლდება რა, ისევ ის იქნება, რაც არის; კნეინა ნინოსათვის-კი რომ ჩამოგეცალათ, ჩამოაცლიდით თითონ სიცოცხლესაც, იმიტომ რომ სიცოცხლე და საგანი სიცოცხლისა ერთი განუყოფელი არსი იყო ერთისა და იმავე გვამისა, როგორც სული და ხორცი.

ამის მოწამე იგია, რომ კნეინა ნინომ , რომელსაც დაბადებითვე ბედმა მიანიჭა დიდი გვარიშვილობა, დიდ ოჯახის მეუღლეობა, შეძლება, დიდკაცობა, და რომელსაც ამის-გამო ყველაფერი ჰქონდა, რომ უქმს განცხრომაში გაეტარებინა თვისი სიცოცხლე, ყოველივე კეთილი ამა ქვეყნისა ეგემნა და დამტკბარიყო, როგორც ათასნი სტკბებიან, კნეინა ნინომ, – ვამბობთ ჩვენ, – დასთმო ყოველივე ეს დ აიმ „მოვალეობას, ღირსებას და მნიშვნელობას“ ჭეშმარიტის დედაკაცისას შესწირა, შეალია თავისი სიცოცხლე, რომელსაც იხსენიებს თავის ქადაგებაში გაბრიელ ეპისკოპოსი. დასთმო ყოველივე ესე, წავიდა სოფელში და დღე და ღამე ათენა, გაასწორა შრომითა და მხნეობითა.

რამდენი ერიდება სოფელს, უფრო ხელმოკლე შეძლებითა, უფრო ღარიბი, და თავის გასამართლებლად ის მოჰყავს, რომ სოფელი უფერულია, კაცი ვერ გასძლებს, გასართობი არა არის რაო. მან-კი, თითქმის ყოვლისფერის მქონემ, რომ ქალაქის სიამოვნება ყოველივე ხელთ ეგდო, არ იკადრა, იუცხოვა უქმად ყოფნა, წავიდა სოფლად და შრომას, მხნეობასა და გარჯაში იპოვა საგანი ცხოვრებისა და ამ საგანში ადამიანის საკადრისი ჭეშმარიტი სიტკბოება და ადამიანის ასამაღლებელი გართობაცა. ამისთანა დედაკაცს მოწყენისათვის მოცლა არა აქვს, იგი ყოველთვის გართულია და გართულია ისე, როგორც ჰშვენის ღვთის მსგავსებით და სახით დაბადებულს ადამიანს.

აი, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. გარდაცვალებულისა! აი, მაგალითი ჭეშმარიტის დედაკაცობისა და – თუ გნებავთ – მამაკაცობისაც. ტყუილად კი არ მიუტირეს დიღომში სოფლის დედაკაცებმა და გამოთხოვების დროს უთხრეს: „სად მიგვიხვალ, ქვეყნის სასარგებლო დედაკაცოო! საცა შენი ხელი მისწვდა, კლდეც კი აჰყვავდაო!“ მართალიცა სთქვეს, მაგისთანა ადამიანთაგან შენდება ქვეყანა.

დასასრულ, ჩვენ იმასვე ვიტყვით გარდაცვალებულს კნეინა ნინოზედ, რაცა სთქვა სოლომონ ბრძენმა თავის დედაზედ, მისი მხნეობით გაკვირვებულმა:

„იგი აღსდგის ღამითგან და მისცის საზრდელი სახლეულთა და საქმე მხევალთა;

„მან მოირტყა ძლიერებით წელი თვისი და დაამტკიცნა მკლავნი თვისნი საქმესა ზედა;

„იხილა გემო, რამეთუ კეთილ არს საქმედ და არა დაშრიტეს სანთელი მისი ღამე ყოველ;

„წყრთა თვისი განმარტა სასარგებლოსა ზედა, ხოლო ნებსა თვისსა განამტკიცებს ტარსა ზედა სთვად;

„ხელნი თვისნი განუხვნა გლეხკაცს, ხოლო ნაყოფი მიუპყრნა დავრდომილსა“.

ამისთანა დედაკაცზე სთქვა ბოლოს სოლომონ ბრძენმა, რომ „დედაკაცი მხნე ვინ ჰპოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისა“.

ნეტა იმ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს მხნე დედაკაცნი!.

1886წ.

პირველნაბეჭდი – **„ივერია“, 1886, №238.**

ილია ჭავჭავაძე

რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვედინ, დღეო სიხარულისაო!“

რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევე ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ. ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე. დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ?

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს – ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბერტყაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლეობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიათ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება...

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება. ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულის-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი?

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით. მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭამოს. დრო-ჟამი ამას გვიქადის...

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი. და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს; ცოდვა არ არის, ეს ლომი კოღომ საბუდრად გაიხადოს, ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას, როგორც მძოვარი, როგორც ლეში. რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა – რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხეველნი მამულისათვის რამდა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით – იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე. მისი ფარ-ხმალი, ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ – ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ – ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა, ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე?

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა – შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?..

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ შხაპუნა ნიაღვარს კი არ ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, – იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი, თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა.

მაშ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან – და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და ულონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის.

ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვს:

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

1897 წ. 31 დეკემბერი

პირველნაბეჭდი – **„ივერია“, 1898, №1.**

ილია ჭავჭავაძე

მაჰმადიანთ გაქრისტიანება

შემოგვიერთდნენ თუ არა ბათომის მაზრის მაჰმადიანი ქართველები, ზოგიერთებმა იმთავითვე ქადაგება და დამტკიცება დაიწყეს, რომ ყველაზე პირველად ჩვენ ის მაჰმადიანი ქართველები უნდა მოვნათლოთ, გავაქრისტიანოთო; მხოლოთ როცა მოინათლებიან, მაშინ შეიქნებიან ისინი ნამდვილ ჩვენ მოძმეებად, მხოლოთ მაშინ ქრისტიანობას შეუძლიან ამათი დამშვიდება და ჩვენთან მოთავსებაო.

ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ ახლად ქართულს ენაზე გამოცემული წიგნი მღვდლის სიმეონ ბეგიევისა, სახელად „პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოთ ეფენდისთან“. მთელი ამ წიგნის აზრი არის, დაამტკიცოს, რომ ქრისტიანობას უპირატესობა აქვს მაჰმადიანობაზედაო, ჩვენი სახარება სჯობიან თქვენს ყურანსაო, ერთის სიტყვით, ვისაც სააქაოს კეთილი ცხოვრება ჰსურს და საიქაოს ცხონება, უნდა ქრისტიანი იყოსო და ამიტომ ჩვენებურ მაჰმადიანებს ურჩევს, გაქრისტიანდითო. ავტორი პირდაპირ ასახელებს ინგილოებსა და ბათომის მხარის მაჰმადიან ქართველებს, – ამათთვის დავწერე ეს წიგნიო.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი უმაღლესი მთავრობა ამ აზრის არ არის. იმას კარგათ ესმის, ქადაგება, ლაპარაკი და ცდა, რომ მაჰმადიანი ქართველები გააქრისტიანონ, ვნების მეტს, არაფერ სიკეთეს არ მოიტანს.

ახლადდაპყრობილ საქართველოს ნაწილში უიმისოთაც გავრცელებულია ცრუ ხმა, რომ რუსები ძალათ გაქრისტიანებას გვიპირებენო, და ახლა რომ მართლა ჩვენ იქ ქრისტიანობის ქადაგება დავიწყოთ, ხელში სახარება მივაჩეჩოთ და ამ „პოლემიკურ საუბრის“ მსგავსი წიგნები, ისინი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ რასაც ამბობდნენ, მართალი ყოფილაო, მართლა გაქრისტიანება ნდომებიათ ჩვენიო. და რა მოქმედება ექმნება ამგვარ ხმის გავარდნას მაჰმადიან ქართველებში, ამის გამოცნობას ბევრი ჭკუა და მახვილგონიერება არ ეჭირება; ჩვენ დარწმუნებული ვართ, პირველი შედეგი ამისი ის იქნება, რომ ვინც დარჩენილან ჯერ კიდევ თავის ქვეყანაში, ისინიც ოსმალეთისაკენ გარდაიხვეწებიან.

ვერ გაგვიგია, რად ზრუნავენ ეს ზოგიერთი პირები ასე ერთგულად, ასე წინდაუხედავათ, რომ ყველაზე პირველად სარწმუნოებას შეეხონ, რჯული გამოუცვალონ მაჰმადიანებს? იქნება ქრისტიანობა უფრო წინწამწევია კაცობრიობის ცხოვრებისა, უფრო ეთვისება ეხლანდელ განათლებულ დროის მოთხოვნილებასა და სწავლას. მაგრამ განა მარტო სარწმუნოებაზედ, რჯულზედ არის ახლანდელი კაცობრიობის ცხოვრება დამყარებული? განა არ შეიძლება კაცი ანუ ხალხი არც ქრისტიანი იყოს, არც მაჰმადიანი, არც კერპთთაყვანისმცემელი, მაგრამ კარგი კაცი ანუ კარგი ხალხი იყოს, კარგს განათლების გზაზედ დამდგარი და ცხოვრებაში ყოველმხრივ წარმატებული?

ჩვენი აზრი ეს არის, რომ ქადაგებას და ცდას ამგვარ შემთხვევაში არავითარი სიკეთის მოტანა არ შეუძლიან. გაქრისტიანებას კი არ უნდა ვცდილობდეთ ჩვენ ახლა ბათომის და სხვა მაზრების ქართველ მაჰმადიანებისა, არამედ, თუ გვინდა, რომ იმათი გული მოვიგოთ, თუ გვინდა, რომ იმათის მხრით თანაგრძნობა და სიყვარული დავიმსახუროთ, რომ კარგ, სასარგებლო რუსეთის ქვეშევრდომებად გავხადოთ, ყველაზე პირველად იმათ გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა უნდა გავაუმჯობესოთ, სიღარიბე შევამციროთ, უმეცრება მოვსპოთ, სკოლები გავმართოთ, ძმური სიყვარული და შემწეობა აღმოვუჩინოთ ყოველ საქმეში, სწორ, ნამდვილ გზაზე დავაყენოთ ცხოვრებაში, კარგი მოსამართლე და ადმინისტრატორები დავუყენოთ და სხვ. და სხვ.

სარწმუნოების საქმე სინიდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა – ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც ჰსურს, იმ რჯულზე იყოს; მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და

თავისთვის და ქვეყნისათვისაც სასარგებლო. თვითონ ჩვენი მაღალის და უზენაესის მოძღვრის იესო ქრისტეს სიტყვაა, რომ რჯული არ შეიქმს კაცს, არამედ საქმეო.

ურიგო არ იქნება, რომ ამ ქრისტეს სიტყვებითა და ზემოხსენებულ მოსაზრებით იხელმძღვანელონ ყველა იმათ, ვისაც ბათომის მაზრის ქართველ მაჰმადიანებთან ექნებათ საქმე.

1880

აკაკი წერეთელი

ჩვენი გულის-პასუხი

ერთგვარი ხრიალა-საათია, რომლის დანიშნულებაც, დროს ჩვენების გარდა, ის არის, რომ დანიშნულ დროზედ მძინარი გამოაღვიძოს. დაწოლის დროს თავით იდგამენ იმ საათს და როცა საჭიროა, ისეთს ხრიალს მოჰყვება ხოლმე, რომ მძინარს გულის ძილს უფრთხობს და ძალა-უნებურად აღვიძებს. ოჰ, რა უსიამოდ ჩაუდის ის ხმა ყურში მძინარს და რა საშინლად მოსდის გული ახალ-გამოღვიძებულს იმ საათზედ!..

რასაკვირველია, იმ დროს ხრიალის ნაცვლად მძინარს რომ ესმოდეს რამე სხვა სამუსიკო ტკბილი ხმა, უფრო იამება, გაეგრძობა ტკბილი ძილი და ნახავს ფერად-ფერად სიზმრებს. მაგრამ, საბოლოოდ კი იზარალებს: ძილში გამოეპარება სამუშაოდ დანიშნული დრო და დარჩება ხელცარიელი. იმ საზარელ და უსიამო ხრიალს კი სარგებელი მოაქვს.

მოაქვს, მაგრამ კაცს მაინც არ შეუძლიან, რომ მოიწონოს ის ხრიალის ხმა და შეუყვარდეს!.. თუმცა თავი კი დაეთანხმება, მაგრამ გული ნებას არ მისცემს, რადგანაც ძნელია, რომ ამგვარ შემთხვევებში კაცი წაუვიდეს გულის ნებას.

გაზეთის მნიშვნელობაც სწორედ ამგვარია! – ის უნდა აღვიძებდეს მძინარ ხალხს, აფხიზლებდეს ახლა გამოღვიძებულს, უსიამოდ უნდა ჩასძახოდეს ყურში და მით სარგებლობა მოჰქონდეს.

ეს ვინ არ იცის, მაგრამ რა ვქნათ, რომ ბევრი რამ ვიცით და არ გვაგონდება კი.

განა არ ვიცით, თუ რა არის მოძღვრის ან მკურნალის დანიშნულება? პირველი ვალდებულია, რომ ავიცა და კარგიც ამხილოს თავის მოწაფეს, არ მოერიდოს მის წამით წყენას – უსიამობას და იქონიოს სახეში მხოლოდ მისი მომავალი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ იქნება ღირსი იწოდებოდეს მოძღვრად. ის იქნება მხოლოდ გამრყვნელი ფარისეველი!! აგრევე ექიმი ავიღოთ. ავათმყოფს არ ესიამოვნება წამლის მიღება, რადგანაც არაფერი საგემრიელოა და ხშირად ექიმზედაც ჯავრობს. მაგრამ მკურნალმა რომ ეს მიიღოს მხედველობაში, ხათრი გაუწიოს სნეულს და უმნიშვნელო ტკბილი სასმელები და შარბათები აძლიოს, ნუთუ ეპატიება? არა!.. მკურნალი თავდადებით უნდა უვლიდეს სნეულს, ჰფიქრობდეს მხოლოდ მის განკურნვაზედ და, თუ საჭიროდა ჰხედავს, ძირმწარასა და ნაღველს ასხამდეს ძალდატანებით პირში მაზედ გაანჩხლებულსა და მის მგმობელ ავათმყოფს!

ეს ორივე ძალა და ღირსება, როგორც მკურნალისა, ისე მოძღვრისაც, ერთად უნდა ჰქონდეს შეთვისებული მწერალს. ერთსა და იმავე დროს უნდა უმოძღვრებდეს და სამკურნალო წამალსაც აძლევდეს ხალხს. უნდა დაუფარავად ამხილებდეს მის ავსა და კარგს საზოგადოებას, როგორც მოზარდულ ყრმას და თანაც საკუთარ ოფლში ულესავდეს მის ნაღველს და ძალდატანებით ასმევდეს, რომ სნეულებას არ დააჩაგვრინოს.

ვისაც ეს არ შეუძლიან, ის ნურც გამოდის საზოგადო ასპარეზზედ!..

ისიც კი უნდა იცოდეს მწერალმა საზოგადოთ და განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში, თუ რა მოელის ამ შრომას სასყიდლად? დევნა! დიახ, მტრობა, შურისძიება და დევნა! ადრევე უნდა გამოეთხოვოს პირად ბედნიერებას, ანუ, უკეთა ვსთქვათ, დაჯერდეს და მიითვალოს ყოველიფრის სამაგიეროთ მხოლოთ წმინდა სინდისი; მას სჯერდებოდეს ყოველდღე და სახვალიოთაც ამას ინატვრიდეს: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსაო!“

აი, ამგვარი მშრომელები და ამგვარი მწერლები ეჭირვება დღეს ჩვენს სამშობლოს! იმათ მივმართავთ. ამათი თანამშრომლობითა და ამხანაგობით ვიხარებთ და ქართულად ვიტყვით: ჭირში და ლხინში ამათ ვეძმობით, გვერდში ამოვიყენებთ ან თვით ამოვუდგებით და თუ ღმერთი იმ დღესაც მოგვასწრებს, რომ ისინი მეთაურად ივარგებენ, ვეყმობით და მივჰყვებით, თუნდ მოხუცის ჩანჩალითაც.

ვინც ამაებს თანაუგრძნობს საქმით თუ სიტყვით, თუ მარტო გულის თქმითაც, ისიც ჩვენიანია.

წერა არ შემიძლიან და სიტყვით რა გამოვაო, ეს რომ ვინმემ სთქვას, ტყუილი თავის მართლება იქნება. სიტყვა თესლია, ხალხია ნიადაგი. თამამად და პატიოსნურად ხალხში გატყორცნილი მართალი სიტყვა უნაყოფოდ არ რჩება... რომ არ გვგონია, იმ დროს და მისთანა ალაგას ამოდის, არ იკარგება!..

დღეს ჩვენი ქვეყანა იმისთანა მდგომარეობაშია, სიტყვა თუ არა მეტს, ნაკლებ სარგებლობას მაინც არ მოუტანს და, მაშასადამე, ყველას გვმართებს ხმის ამოღება... ქორს „ჰაუს“ შეუძახებენ და წიწილას გააგდებინებენ. ერთის დაყეფით პატარა, სუსტი

ფინია ძლიერს მტაცებელსა და ქურდს შეაჩერებს ხოლმე... მაშ ნურავინ იტყვის: „რა გამოვა ჩემი ხმის ამოღებითო?!“ ახლა გვეჭირვება ერთობა და შეერთებული შრომა საქმით თუ სიტყვით... კერძოობა, პირადობა და ჩვენიან-სხვისიანობა ისეთი წვრილმანი და საუკადრისო რამ არის საზოგადო, საქვეყნო საქმეში, რომ განზედ უნდა ვუდგებოდეთ... ჩვენიანი ის იქნება, ვინც ჩვენს გზაზედ გამოდის და ვინც კი გვეწინააღმდეგება და ხელს გვიშლის, ის ჩვენი მტერია, ჩვენ საერთო იმასთან არა უნდა გვქონდეს-რა... ჩვენ უნდა ვსდევნიდეთ და იერიშით მივდიოდეთ იმაზედ, რომ მას ძალა მოვაკლოთ, ის ძალა, რომელსაც ის მხოლოდ ჩვენის სამშობლოს მტრათ ხმარობს...

მართალია, ბევრი ვერ არჩევს, თუ რა არის პირადი საქმე და ან საზოგადო? მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით. და ვეცადოთ, რომ იმათაც ავუხსნათ! – მაგალითად: ის რომ ვთქვათ, რომ რომელიმე მსაჯული რას ჭამს, რას სვმას, რას იცვამს ან რას იხურავს, – ეს, რასაკვირველია, კერძო საქმე იქნება. მაგრამ თუკი ისინი სხვას სტაცებენ ლუკმას და ისე ჭამენ, ხალხს ატყავებენ და მით ტანს იმოსვენ, ამაზედ რომ ხმა ამოვიღოთ, ეს საზოგადო საქმე იქნება და არა საპირადო, და არც გვმართებს მორიდება.

წმინდათ განმძრახველსა და წმინდის მიზნისაკენ მიმავალ კაცს უნებურათ რომ გზაც დაებნეს, ცოდვად არ ჩაეთვლება. ნათქვამია: უმჯობესია იერუსალიმს გზააბნევით მიდიოდეს კაციო, ვიდრე ქაბას პირდაპირ, გზა დაუბნეველადო. და მართალიც არის. მხოლოდ ის არ წამოჰკრავს ფეხსა და არ გადაუხვევს, ვინც მკვდარსავით გაშხვართულია და ნებიერ ძილს ეძლევა. უმჯობესია კეთილ გზაზედ უნებურათ რამდენჯერმე დაეცეს კაცი და ბოლოს მაინც მიაღწიოს იმ წმინდა მიზნამდი, ვიდრე უწმინდურ გზაზედ ფეხ-მარჯვედ იყოს და ან სულ არ ინძრეოდეს, იწვეს ნებიერად.

მაგრამ ის კი ყველას ემჯობინება, რომ თვითო-თვითო, მარტო, ცალ-ცალკე არ მივდიოდეთ იმ ჩვენგან არჩეულ გზაზედ!.. მარტოობამ იცის გზის დაბნევა.

ტფილისი. 26 იანვარს. [1881წ.]

პირველნაბეჭდი – **„დროება“, 1881, №19.**

აკაკი წერეთელი

სიტყვა, თქმული აკაკისაგან ხელთუბნის სკოლის კურთხევის დროს ოქტომბრის 1-ლს 1884 წ.

ამ წმინდა მამის დამოძღვრისა და ბ. მასწავლებლის საგულისხმო სიტყვის შემდეგ, თუმცა ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის, მაგრამ მაინც, ჩემო ძმებო, თუ ყურს დამიგდებთ, მინდა ცოტა ხანს მაინც გესაუბროთ.

აქედან შორს, ბევრ ცხრა-მთას იქით, ზღვისპირად, ესპანეთის ქვეყანაში არის ერთი პატარა მაზრა, რომლის უმშვენიერესი თითქმის არსად მოიპოვება; ყოველ გვარად შემკულია, მაგრამ ერთი უბედურება სჭირს. საოცარი ციებ-ცხელება იცის.

ამ მშვენიერ მხარეზედ არის ამბად ნათქვამი: ვითომც ერთხელ მამა ღმერთს ებრძანებიოს წმინდა გიორგისთვის: „ვიცი, რომ გაჭირვებულ ხალხს ეწევი და მფარველობო. ამისთვის მადლობელი ვარ მე შენიო!... მთხოვე, რაც გინდა და აგისრულებო!“ ისიც შეჰვედრებია ღმერთს: „მე მეტი არა მინდა რა მხოლოდ იმ ქვეყანაში ციებ-ცხელება მოსპეო!“ ეგ კი არ შეიძლებაო, უბრძანებია ღმერთს, ეგ განგებით არისო: „იქ რომ სნეულება მოვსპო, მაშინ ის კუთხე ამ სასუფეველს ემჯობინება და აქ ვინღა ისურვებს დადგომასაო“.

ამ მხარისა არ იყოს, ეს ჩვენი პატარა ქვეყანაც, ყოვლისფრით სრულია, რომ ამასაც ერთი ჭირი არ ადგეს ხოლმე: მას არც ერთხელ მოსვენება არ ჰქონია; მიტომ, რომ მშვენიერი არის, ყველას მაგისი ხელში ჩაგდება ჰსურდა...

მაგრამ, ნათელი მათ საფლავს, რომ ჩვენ მამა-პაპებს თავი გამოუდვიათ და არავისთვის დაუნებებიათ!.. მართლაც, ცალ ხელში რომ სამუშაო იარაღი ეჭირათ, მეორეში მტრის მოსაგერიებელი, გული არ გასტეხიათ, თავი არ დაუზოგავთ. დღეს იმისთანა ადგილს ვერსად გამოვსძებნით ჩვენს ქვეყანაში, რომ მათი ძვლები არ ეყაროს! თვით აი ეს ადგილიც, რომელზედაც ახლა ჩვენ ვდგევართ, შეიძლება მათი სისხლით იყოს მორწყული!.. დიაღ, ტანჯვით შესწირეს თავი ჩვენს ქვეყანას, მაგრამ დაიცვეს თავისი ეროვნება...

დღეს სულ სხვა დრო გვიდგას: გარეშე მტერი აღარა გვყავს, მაგრამ...

იმ ძველ მტრებზე ეს ახალი მტერი უფრო საშიშია და საფრთხილო. ცხად მტერს, პირდაპირ მომავალს, შეუპოვრად მიეგებები, მაგრამ რა უნდა უყო უჩინარ მტერს, რომელზედაც თვალი ახვეული გაქვს. ეს უჩინარი მტერი არის უმეცრება და უსწავლელობა. სანამ ამას არ მოვიშორებთ, თვალი არ აგვეხილება. თვალის ასახელად კი სულ სხვა სახის იარაღებია საჭირო და ის იარაღები აი ამისთანა სახლებიდან უნდა გამოიტანონ თქვენმა შვილებმა, რომ თქვენი ხვედრი აიცილონ, თორემ ხომ ხედავთ, რა გემართებათ დღეს: გიყვართ თქვენი მიწა-წყალი და ვერ უვლით! შრომობთ და ბარაქა არ არის! გინდათ, რომ თქვენს თავს მოუაროთ, პატივი სცეთ და არ შეგიძლიათ! უსამართლოდ რომ ვინმე გადაგეკიდოთ და მოინდომოს თქვენი დაჩაგვა, თქვენ ხომ თქვენდა თავად პასუხს ვერ აგებთ? უნდა წახვიდეთ და გამოძებნოთ მისთანა კაცი, რომელიც თვალ-ტანად, ძალ-ღონით და ჭკუა-გონებით თქვენზე ნაკლებია, მაგრამ, ცოდნა რომ მეტი აქვს თქვენზე, ის დიდ-გულად, ბატონივით გეპყრობათ და თქვენ კი მის წინ ქუდ-მოხდილები დგახართ. ისიც, ორ სიტყვას რომ იტყვის თქვენ მაგივრად, ტყავს გაძრობთ და თუ ორი კალამიც მოუსვა, სულს გხდით! თუ გინდათ, რომ თქვენს შვილებსაც თქვენისთანა დღე არ ადგეს, ამ მასწავლებელს მოსჭიდეთ ხელი, ეს არის ერთადერთი თქვენი გამომხსნელი, აქ გამოზარდეთ შვილები და ისინიც სიყვარულით მოგიხსენებენ.

კიდევ ერთი სიტყვა!.. არაკით დავიწყეთ თქვენთან საუბარი და უნდა ნამდვილ ამბით დავაბოლოვო: სამი ძმა იყო ძველად ჩვენში, კარგი ოჯახის შვილები და კარგადაც სცხოვრობდნენ. ბოლოს, რაღაც შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ...

შეჩვენებულებმა ისე გადაამტერეს, ისე გადაჰკიდეს ეს ძმები ერთმანეთს, რომ კინაღამ სამივეს ოჯახი დაუქციეს. მაშინ მიიხმო ის ძმები დედამ მათმა და უთხრა: შვილებო! თქვენ ხომ სამივე ამ ერთი მუცლით მიტარებიხართო?... დიაღ! პასუხეს. ხომ ამ ერთი ძუძუთი გამიზრდიხართო? მართალიაო! მიუგეს. ღმერთიც ხომ ერთი გყავთო. რასაკვირველიაო! სთქვეს. ჰო და მაშ ერთმანეთს რაღას გადაჰკიდებიხართ ერთ სისხლი და ერთ ხორცი ძმებიო!... პირჯვარი, როგორც გინდათ ისე დაიწერეთო!... დაფიქრდნენ მაშინ მოჩხუბრები, შერიგდნენ და ისევ გაძლიერდნენ...

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ დღესაც არიან ჩვენში მისთანები, რომ სხვადასხვა რჯულზედა დგანან და ერთმანეთის ძმები აღარ ჰგონიათ თავი. საჭირო არის, იმათაც გამოუჩნდეთ დამრიგებელი დედა და უთხრას: თქვენ ხომ ერთი ქვეყნის შვილები ხართ? ერთი მიწა-წყლით ნაკვები!... ერთი ენა გაქვთ, ერთი ზნე და ერთი ჩვეულება. თქვენს მამებსაც ჭირი და ლხინი ერთად უნახავთ და თქვენცა ერთნი უნდა

იყოთო... ამ გვარად თქვენი დამრიგებელი და შემრიგებელი უნდა იქნენ ამნაირი მასწავლებლები. და თქვენც, ჩემო ძმებო, ვალდებული ხართ, რომ ყური დაუგდოთ და გულწრფელად მოუსმინოთ!.. გაუმარჯოს ამ ახალნაკურთხს – თქვენ სასწავლებელს, გაუმარჯოს იმ მოსწავლეთ, მათზე მზრუნველებს და თქვენც ერთობით ყველას გაგიმარჯოთ!

პირველნაბეჭდი – **„დროება“, 1884, №213.**

ნიკო ნიკოლაძე

„კრებულის“ დანიშნულებაზე

„კრებულს“ ის მიზანი აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს თავის სიცოცხლეში ყოველ პატიოსან და ხეირიან კაცს, ესე იგი, **თავისი საზოგადოების ბედნიერება**. როგორც ყოველ გონიერ კაცს, ამნაირ ბედნიერებათ მთელი საზოგადოებისათვის „კრებულს“ ის მიაჩნია, რომ ყოველ კერძო პირს, საზოგადოების წევრს, მისი სხეულისა და გონების ძალა რაც შეიძლება უფრო სრულათ გაეხსნას და ცხოვრებაში ამ ძალას, რაც შეიძლება, უფრო სრული დაკმაყოფილება მიეცეს.

ამნაირი ბედნიერება ის მიზანია, რომელსაც მისდევს მთელი კაცობრიობა. მაგრამ იმის მიღწევას ქვეყანაზე ბევრი რამ უშლიდა და ეხლაც უშლის. ყველაზე უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც ნიადაგ ხვდებოდა და ხვდება კიდევ ამ მიზანს, ის საზოგადო აზრია, ვითომც ამ ბედნიერების მიღწევა თვითონ კაცს და კაცობრიობას კი არ შეუძლია, ამ სიკეთეს ის ზეგარდმო უნდა მოელოდეს; ვითომ კაცის უბედობა საბრალო დედამიწაზე თვითონ კაცის აგებულების ანდა გარშემო ბუნების საქმეა, ვითომ კერძო პირს, ან კერძო პირების კრებას არა შეუძლიათ რა ამ უბედურების დასათრგუნველად და ბედნიერების მისაღწეველათ. „ასე უნებებია ბედს, – ფიქრობენ საზოგადოთ ამ საგანზე, – მაშ დავემორჩილოთ მის წმინდა განგებას“.

უეჭველია, რომ კაცის უბედობაში ბრალი კაცის სხეულსაც ადევს და გარშემო ბუნებასაც. მაგრამ ამაზე უეჭველი ისიც არის, რომ ეს სენები ნიადაგ და შეუცვლელ ბუნების კანონებს მონებენ, და ამ კანონების გამოკვლევით, მათი გონიერებით ხმარებით კაცს, როგორც თავისი საკუთარი სხეულის, აგრეთვე გარშემო ბუნების გაუმჯობესობა და თავისთვის სასარგებლოთ ხმარება შეუძლია. ამაზე კიდევ უფრო უეჭველი ისიც არის, რომ კაცის უბედობის ბრალი ადევს, – კაცის სხეულს და ბუნების გარდა, – კაცის უმეცრებას და იმ გარემოებას, რომ კაცს ვერ მოუხერხებია ისეთნაირათ გაემართა თავისი სიცოცხლე და საქმეები, რომ მისი საკუთარი და გარშემო მყოფი ბუნების მოთხოვნილებებს ბუნებითი დაკმაყოფილება მიეღოთ.

მოვიყვანოთ მაგალითი. ცხოვრობს, ვთქვათ, ხალხი ნოტიო, ჭენჭყო ადგილში, დაბალ საქართველოში, ვთქვათ, რიონის პირათ. ის უძლური, სნეული და ღარიბია შეძლებით და გონებით. რასაკვირველია, ამ გარემოებაში ბრალი კაცის აგებულებას და სამეგრელოს ბუნებას ადევთ, რადგანაც კაცის აგებულება მშრალ, ნოყიერ ჰავას, კარგ მიწა-წყალს და საზრდოს თხოულობს, ურომლოთაც იმას ხეირიანათ გაძლება არ შეუძლია; სამეგრელოს ბუნება კი არ აძლევს კაცს ამნაირ ჰავას, მიწა-წყალს და საზრდოს და ამის გამო, რაკი კაცის ბუნების მოთხოვნილება იქ ხეირიანათ არ კმაყოფილდება, კაცი უბედურ, უძლურ მდგომარეობაშია. ქვეყანაზე ასი და ათასი მაგალითი რომ არ ყოფილიყო სწორეთ მაგნაირივე მდგომარეობაში მყოფ ხალხებისა, ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას და იმ პირების წინააღმდეგობას, რომელნიც ხმამაღლა დარწმუნებით ამტკიცებენ, რომ „ეს ღვთის ნებააო, ღმერთს ასე გაუჩენიაო და ჩვენ აბა რა ხელი გვაქვს მის ნებას ვეწინააღმდეგოთი“. ან ვინ გაბედავდა სხვა პირების წინააღმდეგობას, იმ პირებისას, რომელნიც ძველი სწავლით და ცოდნით დაიარაღებული გამოდიან და ამბობენ: „ეს ბუნების კანონია. კაცის აგებულება და ბუნება დამნაშავეა სამეგრელოს მცხოვრებლების სისუსტეში. ჩვენ, უძლურ ჭიებს, აბა რანაირათ შეგვეძლება ბუნების საუკუნო კანონების შეცვლა და გასწორება?“

მაგრამ ასი და ათასი მაგალითი მოხდა ქვეყანაზე იმის, რომ ხალხი, რომელიც ნოტიო, ჭენჭყოიან ადგილებში იდგა და მრავალი საუკუნეების განმავლობაში უძლური, ავათმყოფი და ღარიბი იყო, თავისი საკუთარი მოხერხებით და შრომით გამოვიდა ამ უბედურ მდგომარეობიდან და ეხლა მშვენიერათ სცხოვრობს. ამ სასწაულმოქმედებაში არც ზეგარდმო მოვლინება გარეულა, არც ბუნების კანონების შეცვლა. მოხდა ეს ცვლილება მარტო იმის გამო, რომ კაცმა გაიგო, რა იყო უბედობის ნამდვილი მიზეზი, გაიგო, რა ბუნების კანონის ძალით ხდება ეს უბედობა და რა კანონების ძალას შეუძლია მისი მოსპობა. და როცა გაიგეს, რომ გონიერათ გავლებულ თხრილებს ნოტიო ადგილებში წყლის დაწრეტა შეუძლიათ, რაკი გაიგეს დაწრეტილ ჭანჭყობზე მშვენიერი მოსავალი მოიყვანება, რომ ტყეების გონიერათ გამოკაფვა ჰაერს მოძრაობას და, მაშასადამე, სიწმინდეს მისცემს, უძლური ხალხი გადარჩა თავის უბედობას, ძალუმ, მდიდარ ხალხად გადაიქცა. წვრილმან მაგალითებს თავი დავანებოთ, მოვიხსენიოთ მარტო ღოლლანდია, რომელიც სწორეთ ამ გზით ელირსა თავის ახლანდელ მდგომარეობას...

ასეთი მაგალითები საკმაოდ გვიმტკიცებენ, რომ **კაცის ბედზე ძლიერ დიდი გავლენა აქვს თვითონ კაცს**; ისეთი გავლენა აქვს, რომ იმას შეუძლია მთელი მხარის

შეცვლა, მისი ბუნებითი მდგომარეობის გადასხვაფერება და თავის სასარგებლოთ მოწყობა...

გაჭირვება, რომელიც ბუნებისგან უძლური კაცის დაჩაგვრაში მდგომარეობს და, რომელიც, ყველას აზრით უმთავრეს დაბრკოლებას შეადგენს კაცობრიობის ბედნიერებისათვის, ეს გაჭირვება, ვამბობთ, ჰქრება თვითონ კაცის შრომის და მოხერხების წინ, ემორჩილება კაცის ტვინს და ხასიათს, რადგანაც მისი უმთავრესი საფუძველი – კაცის ცხოვრების უხეიროობა, საზრდოს და სადგომის უვარგისობა და ნაკლულევანება არის. რაღა თქმა უნდა, რომ ამ მიზეზს კაცი ყოველთვის მოერევა...

რანაირი ცოდნა და რანაირი შრომაა საჭირო ამ გარემოებაში?

უეჭველია, ვგონებთ, რომ ზემოხსენებულ დაბრკოლებებს ერთი უმთავრესი და საერთო წყარო აქვთ – კაცის ბრძოლა ბუნებასთან, ბუნების დამჩაგვრელი ძალისგან გათავისუფლების სურვილი, ბუნების სასარგებლო ძალით სარგებლოს ნდომა. მაგრამ, როგორ ებრძვის კაცი ისეთ საგანს ან ძალას, რომელსაც არ იცნობს, რომლის მნიშვნელობა და ხასიათი გამოკვლეული არა აქვს? ბუნებას კი არა, ბავშვს რომ შეებას ბრძოლაში თვალახვეული კაცი, ის მაინც დამარცხებული, და იქნება დამახინჯებულიც, გამოვა. ბრძოლაში პირველი საჭიროება – მოწინააღმდეგის ხასიათის, ძალის, მდგომარეობის და ჩვეულებების გაცნობაა. მაშასადამე, კაცისათვის, რომელიც ამ ქვეყანაში ბედნიერებას და ხეირიან ცხოვრებას ეძებს, ყველაზე უსაჭიროესი ცოდნა – ბუნების გამოკვლევაა.

არც ერთი ცოდნა არ აძლიერებს კაცის გონებას ისე, როგორც ბუნების ცოდნა... ჩვენ გვაკლია ეს ცოდნა, – ეს ნამეტნათ რბილათ არის ნათქვამი, უნდა გვეთქვა: „ჩვენ არაფერი გაგვეგება ამ ცოდნისა“.

ჩვენი ქვეყნის უწინდელი ცხოვრება ისეთ რიგათ იყო გაწყობილი და ისეთ გარემოებებში მდგომარეობდა, რომ ჩვენს ხალხს არც დრო და არც შეძლება ჰქონდა თავის საკუთარ ცხოვრებას დაკვირვებოდა და იმნაირათ გაეწყო თავისი მდგომარეობა, როგორაც მის სარგებლობასა და სიკეთეს შეეფერებოდა. ყოველ მხრით ჩვენ გვაწუხებდა გარეგანი მტერი: ოსმალო, სპარსი, ლეკი თითქმის ყოველდღე გვესეოდა თავზე, და ჩვენს ხალხს ნიადაგ მარტო ერთი საზოგადო აზრი და საქმე ჰქონდა – თუ როგორ დაეფარა თავი ამ შესევნიდგან, რა გზით დაეცვა თავის ქვეყნის და ოჯახის სიმტკიცე და თავისუფლება. ოღონდ უწყალო და ამკლებელ გარეგან მტერს გადარჩენოდა ჩვენი ხალხი და შინ რა ბედი დაემართებოდა, რა განწყობილებაში იქნებოდა, ამას ის აღარ ეძებდა... ყოველი ხალხისთვის ცოტაოდნათ მაინც სასარგებლოა ხანდისხან მეზობელთან და გარეგან მტერთან მისვლა-მოსვლა და შეტაკებაც; მაგრამ ეს სარგებლობა მარტო მაშინ წარმოდგება, როცა რომელიმე შემოძველებული წესით დახავსებული ხალხი უკეთ გაწყობილ და ხეირიანად აღზრდილ ხალხს ეყრება. მაშინ ის თავის მეზობლიდგან ახალ წესს და სიკეთეს იღებს, თავის ცხოვრებას აძლიერებს, თვითონ უკეთესდება და ცოტა ხანს შემდეგ გაახლებულ ხალხათ გამოდის. ამნაირი როდი ყოფილა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა: იმას გარშემო მტერი ერტყა, რომელიც მის შვილებს გარეთ არ უშვებდა განათლების და გამოცდილების მისაღებლათ; მართალი რომ ვსთქვათ, არც ჩვენები ეძებდნენ ნამეტნათ ამ განათლებას, ამიტომ რომ არსაით მისი სიკეთის მაგალითს არ ხედავდნენ. მართლაც, ჩვენი მტრები ყველანი იმნაირივე ველურ და ადამის წლის მდგომარეობაში იყვნენ, როგორც ჩვენ თვითონ. იმათაც ცხოვრების მეცნიერებათ, ხელმძღვანელათ მარტო მამაპაპური ჩვეულება და აზრები ჰქონდათ; იმათაც ჩვენსავით თავიანთი მახინჯი საზოგადო გაწყობილება ღვთის განგებისგან დაწესებულად მიაჩნდათ. ასე რომ, მისი გაუმჯობესების, შეცვლის ან გადასხვაფერების აზრი იმათ თავის დღეშიაც თავში არ მოსვლიათ. ამ მიზეზების გამო ცხოვრება კუს სიარულით მიმდინარეობდა, სწორეთ ისე, როგორც ასი და იქნება ათასი წლის წინათაც. ველური ხალხი, როგორც შეეძლო, საზრდოს შოულობდა, როგორც მოახერხებდა – ამ საზრდოს სჭამდა და ბრძოლაში გადიოდა. არავის არასდროს აზრშიაც არ მოსვლია ანგარიში, იქნება უფრო ადვილათ შეიძლებოდეს საზრდოს შეძენა, უფრო ანგარიშიანათ და სარგებლობით მისი დახარჯვა, იქნება ამ გარემოებებს ბრძოლაც გაეადვილებინათ და გასაჭირიც...

ბოლოს ჩვენზე უკეთ გაწყობილმა და უმჯობესმა ცხოვრებამ თავი შემოჰყო ჩვენში. რასაკვირველია, ჩვენ იმის მისაღებლად დამზადებული არ ვიყავით და ამის გამო დავრჩით გაშტერებულნი, თითქო საქმე ჩვენ სრულიადაც არ შეგვეხებოდა. მაგრამ

ნელ-ნელა, ცოტ-ცოტა ჩვენ ვრწმუნდებოდით, რომ ახალ ნანახ წესს და გაწყობილებას ბევრი ისეთი მხარეები ჰქონია, რომელნიც ჩვენებურს ათი ათასჯერ სჯობდენ. ჩვენ სრულიადაც დავრწმუნდით, რომ ევროპული წესი და ცხოვრება, ევროპული მეცნიერება ჩვენ სამაგალითოთ უნდა მიგვაჩნდეს.

როცა ჩვენ ყური ვადევნეთ ამ წესს, ცხოვრებას და მეცნიერებას, გავიგეთ ცოტ-ცოტა, რომ არც ევროპას ღირსებია იაფათ ეს სიკეთეები. ჩვენ შევიტყვეთ, მაგალითად, რომ ევროპის ცხოვრებას ბევრი კალაპოტი გამოუცვლია, ბევრი ჭახრაკი და ვაივაგლახი უნახავს, სანამ იმნაირ გაწყობილებამდე მისულა, რომელსაც ჩვენ ეხლა უნდა შევნატროდეთ და კიდეც შევნატრით. ჩვენ შევიტყვეთ, რომ იქაურ ხალხებს პირდაღებული და გულხელდაკრეფილი კი არ მოუცდიათ ამ ბედისთვის და არც ეს სიკეთეები ზეციდან ჩამოცვენიათ. არა, იმათ ძლიერ ბევრი უშრომიათ, ბევრი უმეცადინებიათ, ბევრნაირი საცადი უსინჯავთ, სანამ ეხლანდელ თავიანთ მდგომარეობას და მღიმარე ბედს მოიპოვებდნენ...

მაშასადამე, რაკი ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენთვის მეტისმეტათ შესახარბებელია სხვა ქვეყნებში გავრცელებული განათლება და კეთილდღეობა, რაკი ჩვენ ვიცით, რომ ეს განათლება და კეთილდღეობა იმათ თავიანთ აკვანში როდი უპოვნიათ, ჩვენ უნდა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, თუ რანაირათ და რა გზით მიაღწიეს განათლებულმა ხალხებმა თავიანთ კეთილდღეობამდი, რა და რა წესი და გაწყობილება მოუგონიათ იმათ ამ კეთილდღეობის დასაფუძნებლათ და გასაძლიერებლათ. ჩვენ არც ამ გზას ვიცნობთ ჯერ, არც ამ წესს. ჩვენი უმეცრება ამ საგნებში ისეთი უსაზღვროა, რომ ზოგიერთი იშვიათი განათლებული პირებიც რომ გვირევია ჩვენში, იმათაც არ იციან ხეირიანათ ეს გზა და წესი, საზოგადოება ხომ, რასაკვირველია, სრულიად უმეცარია ამ საქმეში...

ქვეყანაში ჯერ არც ერთი სიკეთე, არც ერთი სასარგებლო საქმე არ გარიგებულა უხეირო და სუსტი კაცის ხელით, არც ერთი ამამაღლებელი აზრი არ დაბადებულა მის თავში. რაც კაცობრიობას სახეირო და სასახელო რამ ღირსებია თავის სიცოცხლეში, ეს ყველაფერი გაუკეთებია მისთვის მადალი და პატიოსანი ხასიათის პირებს, რომელნიც თავიანთი აზრით, მოქმედებით და ხასიათით ამშვენიერებენ, აუკეთესებენ და ასახელებენ კაცობრიობას. უწმინდური ხელით წმინდა რამ თავის დღეში არ გაკეთებულა, ეს ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტებაა. ყოველ საქმეს, ყოველ მიზანს კაცის შრომა და ძალა სჭირია, ისეთი შრომა და ძალა, რომელსაც ათასგვარი დაბრკოლების დაძლევა შეეძლოს. რაგინდ უბრალო საქმე ავიღოთ, თვით კერძო პირის ცხოვრებიდანაც, მაშინვე დავინახავთ, რომ ამ საქმის აღსრულებას ბევრი დაბრკოლება უძევს წინ, ზოგი ბუნების მხრით, ზოგი კაცის უმეცრების, ზოგი მტრისა და მეგობრის წინააღმდეგობის ან საშუალების უქონლობის გამო. სანამ კაცი ამ დაბრკოლებას არ მოიცილებს, მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება. თუ ასეა კერძო პირის ცხოვრებაში, ათასჯერ და ათი ათასჯერ უმეტესი შრომა და ჯაფა სჭირია იმას, ვისაც მხედველობაში საზოგადო საქმე და ხალხის სარგებლობა უნდა ჰქონდეს. უეჭველია, რომ მთელი ხალხი, მთელი საზოგადოება თითონ ყველა თავის საქმეებს ვერ გამართავს, რადგანაც უმეტეს ნაწილს თავთავის კერძო საქმე და კერძო სარგებლობა აქვს, და ათასი კაცი ერთ საქმეს რომ დაეხვიოს, ეს საქმე ამ დახვევით ვერ იხეირებს. ამის გამო საზოგადო ცხოვრება ისეთ რიგათ იმართება ყოველგან, რომ საერო, საქვეყნო საქმეებს სანდო პირები მართავენ. იმათ უკისრიათ მთელი საზოგადოების წინამძღოლობა, მისი სარგებლობის და კეთილდღეობის დაცვა და ყურისგდება, მისი ბედის გაუკეთესება. ამ მიზანს აუარებელი დაბრკოლებები აძნელებენ და ამ დაბრკოლების მოსაცილებლათ, ამ მიზნის მისაღწევათ, ესე იგი, საზოგადო ბედის გასაუკეთესებლათ, საჭიროა საზოგადოებისთვის მხნე, გონიერი, შეურყევლათ პატიოსანი და ნიჭიერი პირები, რომელთაც თავის საკუთარი სარგებლობა და მიზანი სრულიადაც არ უნდა ჰქონდეთ, რომელნიც საზოგადო საქმისთვის უნდა ცხოვრობდნენ და საზოგადო მიზნისთვის უნდა კვდებოდნენ...

განა ბევრია მისთანა საუცხოო პირი, მისთანა დედამიწის მარილი, ურომლისოთ ხავსიანდება და ლპება საზოგადო ცხოვრება და ხასიათი? – ჩვენ ვცხოვრობთ რბილ, ჩვილ დროში. ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე მეტისმეტად მომტყდარი, უგულო და უსულო შეიქნა. დაბრკოლებასთან ბრძოლა კი არა, ჩვენ დაბრკოლების აზრიც გვაშინებს. ჩვენ გვსურს, რომ საზოგადო სიკეთე შემწვარი, გამომცხვარი, მარილწაყრილი ჩაგვიცვივდეს

პირში. ჩვენ კბილის მოქნევაც გვეზარება ამ სიკეთით სარგებლობისთვის; დაბრკოლების მოშორებას, ბრძოლას და მიზნის მიღწევას ვინღა დაეძებს, ჩვენ იმისიც კი გვერიდება, რომ ნაცნობს, მეგობარს პირში ისეთი აზრი არ ვუთხრათ, რომელიც მისას არ ედრება, რომელიც მისი საწყენი და წინააღმდეგია. ამნაირ შემთხვევაში ჩვენ ათასფრათ ვარბილებთ ჩვენს აზრს, მისს ბამბით და ვარაყით შეხვევას ვცდილობთ, იქნება მსმენელმა არ იწყინოს, ვინიცობაა და ჩვენი სამდურავი გულში არ ჩაისახოსო...

საზოგადო საქმე, საზოგადო მიზანი, სარგებლობა? ვინ არ ხარხარებს ჩვენში, როცა ამ სიტყვებს ყურს მოჰკრავს. ვის არ მიაჩნია ისინი ბავშვურ ოცნებათ, სიტუტუცეთ. „ჩემი რაა, რას დავეძებ“, – ეს სიტყვები ვის არ ადგია ენაზე ყოველთვის, როცა „საზოგადო სარგებლობა“ ჩაეწვეთება ყურში? ვის არ მიაჩნია ეს სიტყვები იმ უცნაურ და თვალთმაქცურ მაკრატლად, რომლითაც ადვილად შესაძლებელია „საზოგადო ცხვრის“ გაკრეჭვა და „საზოგადო მატყლით“ თავისი საკუთარი ტყავის და სხეულის გათბობა?..

განა ბევრია იმისთანა საუცხოვო პირი, იმისთანა ქვეყნის კეთილისმყოფელი, რომელმაც დაანახოს დაბნეულ საზოგადოებას, რომ საზოგადო სიკეთე ჩვენი, ესე იგი, შენი და ჩემი სიკეთეა, რომ რაც უფრო მკვიდრი და ვრცელია საზოგადო სარგებლობა, მით უფრო მკვიდრ და შეურყეველ საფუძველზე დამყარებულია ყოველი კერძო პირის სიკეთე და კეთილდღეობა? ბევრია იმისთანა პირი, რომელიც ჩაგვიდგამს ჩვენ ამ „საზოგადო სულს“, გვიჩვენებს ამ საზოგადო მიზანს, გაგვიმაგრებს ხასიათს, აგვიმაღლებს გრძნობას, მოერიდება დაბრკოლებას და მიგვაწვდინებს საზოგადოების მაღალ მიზანს – **<u>ყველას და თითოეულის ბედნიერებას?..</u>**

უდარდელათ, უზრუნველათ ვუცქერით ჩვენ ყოველგვარ უხეირობას, სიცუდეს და ავკაცობას, თითქო ეს საქმე ჩვენ არ შეგვეხებოდეს, თითქო ჩვენი მახლობელი ჩვენი სისხლის არ იყოს და მის ბედს და უბედობას ჩვენზე არავითარი გავლენა არ ჰქონდეს. ჩვენ შეურყევლათ ვსტკბებით ჩვენს საკუთარ კერძო ცხოვრებაში, სანამ ჩვენს საკუთარ ტყავს არ შეეხება ის სენი და ის ვნება, რომელიც წინეთ ჩვენს მახლობელს მიადგა. მაშინ კი ჩვენ ხმამაღლა ღრიალს და გოდებას ვიწყებთ. მაგრამ ჩვენს უბედობას მახლობელი იმნაირივე გულგრილობით გულხელდაკრეფილი დაცქერის, როგორითაც ჩვენ მის უბედურებას დავყურებდით, თითო თითოს, ცალ-ცალკე, ნელნელა, შეუნიშნავად გვჭამს ჩვენი ზნეობითი სენი და ჩვენ კი, უხასიათობისა და უზრუნველობის გამო, არ ვსცდილობთ, რომ ერთათ, ძმურათ თავიდან მოვიცილოთ ზემოხსენებული სენი, რომელიც ყველას ცალ-ცალკე, მაგრამ მაინც ყველას ერთნაირათ გვაწუხებს და გვამდაბლებს...

მკითხველს, ალბათ, ჰგონია, რომ ჩვენ მეტისმეტათ გადავუხვიეთ ამ ნაწერის საგანს – „კრებულის“ დანიშნულებას – და ისეთ საგნებს შევეხევით, რომელთაც არაფერი დამოკიდებულება არა აქვთ ჟურნალის ხასიათზე. ამ შემთხვევაში ის სცდება, რადგანაც ყოველი ხეირიანი ჟურნალის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადო მდგომარეობა გამოხატოს და საზოგადო მიზანს მიუახლოვოს თავისი საზოგადოება. „კრებულსაც“ (რომელსაც ხეირიან ჟურნალათ ყოფნა ჰსურს) უნდა თავდაპირველათვე გაესინჯა თავისი მომავალი გზა, ესე იგი, გამოეკვლია საზოგადო საჭიროება და გამოეძებნა ის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია თანადროული ცხოვრების გაუმჯობესება. წინა ფურცლებს მეტი მიზანი არა ჰქონიათ.

ეხლა ჩვენ ადვილათ შეგვიძლია გამოვიყენოთ ზემონათქვამიდან ჩვენი შემდეგი მოქმედების რიგი და წესი.

რაკი კაცის ბედნიერება ქვეყანაზე შესაძლებელია, რაკი კაცს ბუნებაზე იმოდენა ძალა და გავლენა აქვს, რომ შეუძლია ამ ბედნიერების გზის შემხუთველი დაბრკოლებები მოიცილოს, რაკი ამ საქმისთვის აუცილებლათ საჭიროა ხეირიანი ცოდნა, შრომა და პატიოსანი ხასიათი, – უეჭველია, რომ ყოველ პატიოსან კაცს ჩვენი ქვეყნისთვის ეს სიკეთეები უნდა სურდეს და ყოველი პატიოსანი ჟურნალი მთელ თავის ცდას და გონებას იმას უნდა ალევდეს, თუ რა გზით და რანაირად შეუძლია საზოგადოებას ამ ხეირიანი ცოდნის, შრომის და პატიოსანი ხასიათის შეძენა და სასარგებლოთ მოხმარება. უეჭველია, რომ ყოველი პატიოსანი ჟურნალი ნიადაგ იმ მიზანს უნდა მისდევდეს, რომ გააცნოს მკითხველი საზოგადოება დაწვრილებით ხეირიან გზას, შეაყვაროს იმას შრომა და ცოდნა, ჩაუდგას და აღზარდოს მასში პატიოსანი ხასიათი და შეაძულოს, შეაზაროს ის განხეთქილება, ერთმანეთის გლეჯა,

ერთი მეორის შეუბრალებლობა, შეაზიზღოს ის შესაზიზღებელი მოქმედებები, რომელნიც ბოლოს უღებენ საზოგადო ბედნიერებას და აბრკოლებენ მის წარმატებას.

„კრებულს“ ნიადაგ თვალწინ ეს მიზანი ექნება, რადგან იმას მხურვალეთ უნდა დაიმსახუროს პატიოსანი და სასარგებლო ჟურნალის სახელი. რამდენათ მიაწევს ის ამ მიზნამდი, ეს ღმერთმა იცის: ლიტერატურული ასპარეზი ვარდებით მოფენილი როდია, ზედ სიარული და მოქმედება მეტათ ძნელია. მაგრამ ამ სიძნელეშიაც „კრებული“ ყოველთვის იმ აზრით ჩაიდგამს სულს და სიმხნევეს მოიმატებს, რომ მის შრომას მიზნათ საზოგადო სარგებლობა და სიკეთე აქვს.

[1871 წ.]

პირველნაბეჭდი – **„კრებული“, 1871, №3.**

ნიკო ნიკოლაძე

ფრანგული პრესის დეკადანსი
(ნაწყვეტები)

პერიოდულმა პრესამ, განსაკუთრებით კი ყოველდღიურმა, საფრანგეთში მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გაიდგა ფესვი. ძველი რეჟიმი მას ვერ აიტანდა. პოლიცია, ცენზურა, წოდებრივი პრივილეგია, ბასტილია და ყოველივე ის, რაც აქედან გამომდინარეობდა, ისეთი ხასიათის იყო, რომ მის თავისუფალ განვითარებას ხელს არ შეუწყობდა. ეს წინააღმდეგობანი გაცამტვერდა იმ დღეს, როცა ძველი რეჟიმის საძირკველი დაინგრა. აი, მაშინ დაიბადა პრესა. მაგრამ საფრანგეთი უკვე გადაქცეულიყო მძაფრ პოლიტიკურ შეჯახებათა მსხვერპლად. მთელ ერს თვალი მიპყრობილი ჰქონდა იმ ასპარეზისაკენ, სადაც ყველა წმინდა პრინციპი და ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებანი გააფთრებით იბრძოდნენ. ნებსით თუ უნებლიეთ, ახლადდაბადებული პრესა ამ შეხლა-შემოხლას უნდა გაჰყოლოდა და მონაწილეობა მიეღო ბრძოლებში. შექმნილი ვითარების გამო მისი არსებობის ერთადერთი წყარო იყო ის, რომ იგი წაკითხული ყოფილიყო.

ისინი, ვინც ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ და ვინც, ასე თუ ისე, ჩარეული იყო ამ ბრძოლებში, ჩქარა მიხვდნენ, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო მათთვის პრესას, რაკი მას თავიანთი მიზნებისა და მისწრაფებების სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. ამ ეპოქაში კი, როცა ყოველგვარი ხიდან მშვილდისრებს ამზადებდნენ, შეუძლებელია ასეთი მძლავრი იარაღი უგულებელეყოთ. ყოველი მხრიდან დაესიენ პრესას, რათა ბრძოლის იარაღად ექციათ იგი. ამგვარად, პრესა, რომელმაც დაბადება ვერც კი მოასწრო, და რომელსაც საზოგადოება ძლივს იცნობდა, პარტიებს ჩაუვარდა ხელში; პარტიებმა იგი მაშინვე გადააქციეს ომის მანქანად, რომელიც განკუთვნილი იყო მათ შეხედულებათა პროპაგანდისათვის და მოწინააღმდეგეთა დასათრგუნავად.

ამის შემდეგ პრესის მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა, არსებითად მაინც. მთავრობები ერთმანეთს ცვლიდნენ და იცვლიდნენ ფორმებს, შეხედულებებს, მიზნებს, პრესის მიმართ კი ერთნაირ დამოკიდებულებას იჩენდნენ. ყველა ისინი თავიანთი გეგმების განხორციელებისათვის იყენებდნენ პრესას და ამავე დროს ყოველ ძალღონეს, რათა იგი საკუთარი თავისადმი უვნებელი გაეხადათ. მათ არასოდეს თავი არ შეუწუხებიათ გაეგოთ, ვალდებულია თუ არა სახალხო საქმეთა ხელმძღვანელობა დაინტერესდეს იმით, რომ ერს გააჩნდეს პატიოსანი და გონიერი პრესა, რომელსაც შესწევს უნარი უდიდესი სამსახური გაუწიოს ხალხს თავისი ცნობების სიზუსტით და მოსაზრებათა მიუკერძოებლობით. მათ ასევე არაფრად მიაჩნიათ ცოდნა იმისა, თუ რა დიდი დახმარების გაწევა შეეძლო პრესას სახალხო განათლების განვითარებისათვის და ხალხის პოლიტიკური აღზრდისათვის. მაგრამ, სამაგიეროდ, არასოდეს არაფერი, რაც ადამიანის ძალასა და ღონეს აღემატებოდა, არ დაუზოგავთ, რათა გაეხრწნათ პრესა და მისთვის პირი აეკრათ. ამასთან, არცთუ კარგად ახსოვდათ, რა სამსახური გაუწია მათ პრესამ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ძალაუფლებას იპყრობდნენ. ამიტომ თვითეული სახელმწიფო ცდილობდა იგი გადმოებირებინა და, ცბიერებითა და ძალადობით, თავისი მოწინააღმდეგებისათვის ეს საშიში ძალა წაერთმია. იგი აარსებდა ოფიციალურ გაზეთებს, ყიდულობდა ან ქირაობდა ყოველივეს, რაც იყიდებოდა და ქირავდებოდა. იზიდავდა თავისკენ სხვასაც – მოუსყიდველთ ისეთი საპატიო ჯილდოების მეშვეობით, როგორიცაა სენატის სავარძელი, პრეფექტურა, საელჩო, ხარკების მთავარი ამკრეფობა და სხვა. და თუ კიდევ გადარჩებოდა ორი ან სამი მოუთვინიერებელი გაზეთი, მათ წინააღმდეგ კანონს კანონზე გამოსცემდა და ჯარიმების, გაფრთხილებების, საპატიმროების, დახურვისა და ლიკვიდაციის მთელი არსენალით აღიჭურვებოდა. პოლიტიკური სტატიის დაწერა ჟურნალისტებს ზოგჯერ გადასახლებად და მთელ სიცოცხლედაც უჯდებოდათ.

ამგვარი ვითარების გამო, პრესას ყოველთვის ორი მიმდინარეობა მიაქანებდა ორი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო, მიმართულებით, რომლის თავიდან აცდენა დღესდღეობით თითქმის შეუძლებელი გამხდარა. იმ დროს, როდესაც ჟურნალისტთა ერთი ნაწილი, ადმინისტრაციულ მფარველობას დახარბებული, სულითა და ხორცით იცავდა არსებულ ხელისუფლებას და მისი მესაიდუმლე და რუპორი ხდებოდა, მეორე ნაწილი ემხრობოდა ყველაფერს იმას, რაც მთავრობას ეწინააღმდეგებოდა და ცდილობდა გაზეთი გადაექცია დასაყრდენად და ძალად, რომლის დახმარებით სახელმწიფო ძალაუფლებას შეებრძოლებოდა. ვინაიდან ამქვეყნად ყველაფერი ჯილდოვდება, ჟურნალისტთა პირველი ნაწილი ცხოვრობდა მთავრობის მიერ მინიჭებული პრივილეგიებით, ხოლო მეორე ნაწილი, ადმინისტრაციულ მოწყალებას მოკლებული, თავს ინუგეშებდა მკითხველთა და ხელმომწერთა ცოტად თუ ბევრად

გაზრდილი რიცხვით, რომელიც საფრანგეთში ხელისუფლებით უკმაყოფილო პრესას არასოდეს არ მოაკლდება...

ჟურნალისტთა შორის პირველი ადგილი დაიჭირა და თანდათან მრავალრიცხოვანი ხდება ლანძღვა-გინების მოყვარული კალმოსნები. მათი მეთოდია უწმაწური სიტყვების ხმარება. ისინი პროვოკატორულად და სრულიად თავზეხელაღებულად აფრქვევენ გაბედულ ფრაზებს, გადმოსცემენ შემოკლებულ ჭორებს; ხალხს თავს ისე აჩვენებენ, ვითომც დარწმუნებულნი იყვნენ არა მხოლოდ საკუთარ თავში, არამედ თავიანთი სიტყვების სიმართლეშიც. მყვირალა პატრიოტიზმის შესახებ წარმოთქმული ცარიელი სიტყვებით ისინი ქვეყანას ატყუებენ და იმედს ამყარებენ ზოგის უვიცობაზე, ზოგის ცუდ მეხსიერებაზე, განსაკუთრებით კი მასების გულუბრყვილობაზე... ამ ჯურის ჟურნალისტები წერენ უპირატესად ბენტერა, დაუფიქრებელი მკითხველებისათვის, რომელთათვის გაზეთის უკანასკნელი სტატია არის უფლებისა და რწმენის ერთადერთი კოდექსი. ამგვარი ჟურნალისტის მთელი ლოგიკა, მთელი მჭევრმეტყველება, მთელი ცოდნა იხატება არაკეთილსინდისიერებითა და უსირცხვილო ყალთაბანდობით შეთითხნილი ნაწერების მხოლოდ ქედმაღლურ და თავხედურ ტონში. მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ ეს ტონია მისი შემოქმედების მთელი ძალა.

მრავალ გაზეთში წარმატება მოიპოვა ჟურნალისტთა ერთმა წყებამ, ჯიშმა, რომელსაც დარვინი სიამოვნებით უწოდებდა „ბუშს“: ეს ჟურნალისტი-რეკლამაა, ჟურნალისტი-მოდის შემომტანი. იგი მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს, რაც დავალებული აქვს შეაქოს და სახელი გაუთქვას. ერთ დღეს, დამიჯერეთ, იგი მოგიყვებათ პატარა ამბებს, მეტად უმნიშვნელოს, გულუბრყვილოს. მეორე დღეს დაუბრუნდება ისევ ამ ამბავს, დაუმატებს წვრილმანს და მარჯვედ, შეუმჩნევლად შემოაპარებს იმ ფირმის მისამართსა და ნომერს, რომელზედაც, ვითომდა არაფერიაო, ოსტატურად ჩაურთავს ყოველგვარ სიკეთეს და საქმეც გაკეთებულია. ამ მეთოდს იყენებენ არა მარტო იმისათვის, რომ „საქმეებს“ გაუთქვან სახელი, არამედ კახპებსაც და, რა თქმა უნდა, მათს პატრონებსაც. ადვილი სავარაუდოა, რამდენ ფულს იგებენ ამ ხელობით და ასევე ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენ ფიქრსა და შთაგონებას ხარჯავენ მასზე.

სამარცხვინოა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პარიზში ოთხი თუ ხუთი დიდი გაზეთი მხოლოდ ამ ხელობით არსებობს. მათ ღია ცის ქვეშ გამოუფენიათ კალამი და პრესა, გამზადებული ყველაზე მეტი ფულის მიმცემისა და ფასის მომმატებელის სამსახურისათვის. ესენი გახლავთ ორგანიზებული შანტაჟისა და მოდის შემთითხნი სახელოსნოები...

ჟურნალისტთა ჩამოთვლილ სახეობათა გარდა შეიმჩნევა ნიჭიერი ადამიანები, უაღრესად პატიოსანი და გულწრფელი, რომლებიც მთელ სიცოცხლეს სწირავენ იმ საქმეს, რომელიც მართალი ჰგონიათ, ან იმ აზრს, რომელიც მართლაც მათი საკუთრებაა. მაგრამ ესენი იმდენად იშვიათნი არიან, რომ იკარგებიან უვიცსა და გულგრილ, უბადრუკი მჯღაბნელების ბრბოში, რომელიც ჭიაღუასავით ახვევია ყველა გაზეთს. ეს უკანასკნელნი, სინდისის ქენჯნის გარეშე, იმპერიალისტური გაზეთიდან რესპუბლიკურში გადადიან, რესპუბლიკურიდან ლეგიტიმისტურში, რათა შემდეგ თავშესაფარი იპოვონ ორლეანისტურ ან მრავალფეროვან უწყებაში. აი, აქ არის ჟურნალისტიკის ნამდვილი ბედუკუღმართობა და ასეთნი გაცილებით მეტია, ვიდრე გვგონია. ისინი ათახსირებენ თავიანთ ნიჭს და ყიდიან თავიანთ ინტელექტს, ემსახურებიან საკუთარი მისწრაფებების უაღრესად საწინააღმდეგო მიზნებს. მიჩვეულნი საზოგადოებრივი აზრის ფალსიფიკაციას, მგზნებარების და სიყვარულის სიმულაციას, როცა სრულებით არაფერს განიცდიან, მიჩვეულნი ყველა საქმის რიგრიგობით მომსახურეობასა და ღალატს, ბოლოს მართლა სკეპტიკოსები და გულგრილნი ხდებიან, კარგავენ ილუზიებსა და რწმენას. როგორც უბადრუკი მსახიობი ადგილს პოულობს მოხეტიალე დასში, ეს ჟურნალისტებიც ისე ემსახურებიან განსაზღვრული „დანიშნულების“ გაზეთს, თამაშობენ როლს ყოველ საღამოს; ფარდა ჩამოეშვება თუ არა, ანდა ნომერი გაიშვება თუ არა დაზგის ქვეშ, იწყება რედაქტორის დაცინვა ან პირველი როლების შემსრულებელთა გაკილვა. წამოწყების წარმატების ბედი მათთვის სრულიად სულერთია, მათ ხომ თავის დროზე უხდიან ჰონორარს. მეტწილად მათ არაფრად მიაჩნიათ, თუ რა გავლენას მოახდენს საზოგადოებაზე ამ გაზეთის მიმართულება. და თუ რედაქტორი ბნელ საქმეებში გაეხვევა და გაზეთი განადგურდება, მერე რა? განა ხსენებული მსახიობები მეორე დღესვე ვერ გაეშურებიან ყოფილი

პატრონის კონკურენტთან, შეიძლება მტერთანაც და ვერა სთხოვენ სამსახურს? განა ის ვერ მიატოვებს ოპერეტაში კომიკური როლების შესრულებას? მანამდე ხომ იგი კეთილშობილი მშობლების როლს ანსახიერებდა იმ დასში, რომელიც დაიშალა?

აი, ზუსტად ჟურნალისტის ნამდვილი ტიპი. იგი მუშაობას იწყებს გაზეთში და მის პოლიტიკურ ელფერს უსისხლხორცდება. ითვისებს თავისი კომპანიის და ამხანაგების აზრებს, სიძულვილს, მოშურნეობასა და პირმოთნეობას. იძულებულია საკუთარი აზრები გაზეთის მიმართულებას დაუქვემდებაროს, გაზეთის მისწრაფებების მიხედვით გააშუქოს მოვლენები. იგი მალე ცოტად თუ ბევრად მოხერხებული დიალექტიკოსი ხდება, ცოტად თუ ბევრად მარჯვე სოფისტი, და იმის მაგივრად, რომ მკითხველებისათვის სიმართლის ძიებას გაჰყვეს, – სრული სიმართლისა და მხოლოდ სიმართლისა, – იგი თავის თავს ვალდებულად თვლის შეალამაზოს სინამდვილე, დაფაროს, შენიღბოს, ყალბი ცხვირი მიაკეროს. „ყველა სიმართლე არ უნდა ითქვას“ – აი, მისი დევიზი. სულ ცოტა ხანიც რომ იმუშაოს ამ მშვენიერ ხელობაზე, მას მაინც მთლიანად ეკარგება ილუზია ყოველივე იმის მიმართ, რის სიყვარულიც შთანერგილი ჰქონდა; მოხერხებულობის მეტი აღარაფრისა სჯერა და იღებს რწმენას (საკითხავია, რწმენაა ეს?) იმ ადამიანებისას, რომლებსაც ემსახურება. როცა მსგავსი მწერლის თვალწინ რაიმე იდეა ააღელვებს მთელს საფრანგეთს ან რომელიმე ორატორი შთამაგონებელი გულწრფელობითა და რწმენით გამსჭვალულ სიტყვას წარმოსთქვამს, მისი გული ამის გამო აღარ ძგერს და ვერც მისი გონება სწვდება იმ აზრის ძალასა და სიდიადეს, რომელიც ცივილიზებულ სამყაროს აზანზარებს. იგი მხოლოდ უმნიშვნელო მხარეებს ხედავს, მხოლოდ გარეგან საფარს და კმაყოფილდება მოკლე თქმით – „ეს კარგად არის ნაპოვნი, ძალიან მარჯვედ“, ან „ეს მოუქნელია“, და გადადის სხვა საკითხზე. და თუ შემთხვევით მას დაეუფლება ენთუზიაზმი ან ლირიკული განწყობილება, მაშინვე ადვილად შეამჩნევთ, რომ ამ გრძნობას არ წარმოშობს არც უბიწო გონება და არც მძლავრი გული. ეს, უბრალოდ, დახურდავებული აზრების, მრავალჯერ ნახმარი და გაცვეთილი სიტყვების ცივი პერიფრაზაა, კალმით ნაძალადევად გადმოცემული, როცა გული სულაც არ ფიქრობს მასზე.

ყურადღებით გადაიკითხეთ ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ან რომელიმე ლიტერატურულ კაბინეტშიც გსურთ, ყველა პარიზული გაზეთის კოლექციები და განცვიფრდებით: – თქვენ დაინახავთ, რომ ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც სავსე იყო უაღრესად ტრაგიკული და უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით, პრესამ ვერ წარმოშვა ერთი მძლავრი, უანგარო მწერალიც კი, რომელიც შესძლებდა თავისი შემოქმედება განემსჭვალა მწარე გულგატეხილობის გადამდები ძალით, სისხლით გაჟღენთილი საყვედურებით და უკეთესი მომავლისაკენ მიმართული წარმტაცი სურვილებით. ამაოდ გადაიკითხავთ უამრავ ნომრებს, რომელთაც შეძლეს ესულდგმულათ იმდენხანს, რამდენ ხანსაც ცხოვრობს ქინქლი, – ერთი დღის განმავლობაში, – მათში ვერ იპოვით გულიდან ამოხეთქილ ერთ აკორდსაც, ვერც ისეთ სურათს, რომელიც ადამიანის გონებას ააღელვებდა და შიგ სამუდამოდ შთაიბეჭდებოდა, ვერც ერთ იმ დიად აზრს, რომლითაც ესოდენ ზღაპრულად მდიდარი და გულუხვად მფანტველი იყო ოდესღაც საფრანგეთი. ყოველივე დაწვრილმანდა, რაქიტული გახდა; აღარც მძლავრი ამოსუნთქვა, აღარც რწმენა, ყველაფერი აღბეჭდილია პოლიტიკური დაჯგუფების საქმიანობით, ყველაფერს დუქნის სუნი ასდის. ასი ნაბიჯიდანვე მოსჩანს ხელოვნური კბილები და ზიზილ-პიპილოები კალმის ყველა რაინდისა, რომლებიც ცხრაპირ ტყავს იძრობენ, რომ თავიანთ გიგანტ წინამორბედებს დაემსგავსონ. და ამ მუყაოს მებრძოლებს ჰგონიათ, რომ საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების მართვას შესძლებენ; და ამ ძალით ფიქრობენ მასზე გავლენის მოხდენას!

იმისათვის, რომ უკეთესად დავაზუსტოთ ჩვენი აზრი ფრანგული პრესის შესახებ, ზედმეტი არ იქნებოდა ფართო შტრიხებით დაგვეხატა უცხოეთის პრესის ფიზიონომია. თავისთავად ცხადია, რომ გამონაკლისზე არ შევჩერდებით და მხოლოდ ძირითად შემთხვევებს მივაპყრობთ ყურადღებას.

<u>ინგლისურ პრესას</u> უმთავრესად ახასიათებს ცივი და სახელმოხვეჭილი მსაჯულის მკაცრი და მიუკერძოებელი გარეგნობა. მას ყველაზე მეტად აინტერესებს თავი მოუყაროს ცნობებისა და ინფორმაციების რაც შეიძლება მეტ რიცხვს, არაფერი დაუმალოს საზოგადოებას, მიუდგომლად და გულცივად აწონ-დაწონოს ყველაფერი და ამ გზით მტკიცე მოსაზრება შექმნას. ინგლისში საკამათოდ ხდება ჟიურის ვერდიქტი,

პარლამენტის გადაწყვეტილება, სამინისტროს აქტები, პარტიების ბელადთა აზრები, თვით სამეფო ოჯახის საქციელიც კი, მაგრამ სანამ სერიოზული გაზეთების წინააღმდეგ გაილაშქრებდეს ვინმე, ჯერ კარგად უნდა აწონ-დაწონოს თავისი სიტყვა. უამრავი მოწინავე მწერლები და სახელმწიფო მოღვაწენი იძულებული გამხდარან მდუმარედ მოეხარათ ქედი იმ სტატიების წინაშე, რომლებიც, მართალია, „უმანდატონი“ იყვნენ, მაგრამ ვერდიქტის უფლებით იყვნენ მოსილნი...

ინგლისური პრესა დიდი ხანია გამსჭვალულია იმ აზრით, რომ პრესის ძალა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს არა ექსცენტრიულობისა და ფანტაზიის არამყარ საფუძველს იმ მოთხოვნილებისა, რომელსაც საზოგადოება უყენებს პრესას: ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროს კეთილსინდისიერი ინფორმაცია და ფართოდ გაშუქება... გაკვრით უნდა აღინიშნოს, რომ ლამანშის გადაღმელი ყველაზე გავლენიანი გაზეთები, ერთგულნი პროგრესული იდეების პროპაგანდისა და სტატუს-ქვოს შენარჩუნებისა, არასოდეს არ ემონებიან არც პოლიტიკურ პარტიებსა და არც მათ ხელმძღვანელებს; ყოველთვის ინარჩუნებენ აზრის თავისუფლებას, ხშირად პარტიების ბელადებს, რომელთა თვალსაზრისს იზიარებენ კიდეც, უაღრესად სასტიკსა და სრულიად შეულამაზებელ სიმართლეს პირში ახლიან; მათი ამგვარი მოქმედებით აიხსნება თანამემამულეთა შორის ის უსაზღვრო ავტორიტეტი, რომლის მოპოვებაც მათ შეძლეს.

<u>გერმანული პრესა</u> ცდილობს მხოლოდ ასწავლოს, გაანათლოს თავისი მკითხველი და მას მოსწავლესავით ექცევა... სრულიად მამობრივი მზრუნველობით შეუდგება ხოლმე გერმანული პრესა ინფორმაციების ძებნასა და პოლიტიკურ მიმოხილვას და მათ შესახებ გრძლად მოუთხრობს თავის ხალხს; ცდილობს გადაუღეჭოს ყველაფერი, რათა კარგად გასაგები გახადოს. ისწრაფვის, მის შემოქმედებას სარწმუნოებრივი ხასიათი ჰქონდეს და საერთო „აღსარებისაკენ“ უფრო მიიღტვის, ვიდრე ბრძოლისაკენ. პრესის ამ ხასიათის მეოხებით გერმანელი მკითხველი პატარა გაზეთების წაკითხვით თანდათან ვითარდება და, შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას – პოლიტიკური აღზრდა გერმანიაში მეტწილად ამ ქვეყნის პრესას ექვემდებარება.

<u>ამერიკული პრესა</u>, საერთოდ, წარმოადგენს ანარეკლს თავისი ხალხისა, რომელიც, აჩქარებული და საქმიანი, მთლიანად მოქმედებაზეა გადასული და ხანგრძლივი მსჯელობისათვის ვერ იცლის. შეერთებულ შტატებში პრესას მიკუთვნებული აქვს უბრალო როლი რეპორტიორისა და მთავარი გაზეთების თითქმის ყველა სვეტი სავსეა დეპეშებით. გაზეთების სტილიც ასევე შექმნილია ელექტრო-ტელეგრაფის მოკლე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ენის მიხედვით, მსგავსად ალფრედ ჯინგლის მეტყველებისა, ნეტარხსენებული „პიკვიკის კლუბიდან“. ამერიკულ პრესას მთავარ მიზნად დაუსახავს მიაწოდოს ხალხს, რაც კი შეიძლება მეტი ყოველგვარი ცნობა და იგი ცხელ-ცხელი ამბებისა და აზროვნების ნედლეულის საწყობად გადაქცეულა. ხალხი ყიდულობს ამ საქონელს და ისე იყენებს, როგორც სურს...

თავისი ერის ერთგვარი ნდობა რომ დაიმსახუროს, პრესა მკითხველის მეგობარი უნდა გახდეს, ღრმად უნდა შთააგონოს ის აზრი, რომ მას არ ატყუებს, არაფერს უმალავს და, ბოლოს და ბოლოს, არც არის დაინტერესებული, ასე მოიქცეს. ფრანგი მკითხველი ცუდად გათვითცნობიერებულია, ნაკლებად განათლებული, ნაკლებად დაფიქრებული, მაგრამ ყველა აღიარებს ამ სიმართლეს – იგი დიდი ხანია გამოვიდა ბავშვობის იმ მდგომარეობიდან, როცა თვალახვეულივით ხელის წავლება სჭირდებოდა. თუკი იგი უნდობლობას გამოხატავს, თუკი აღარა სწამს იმისა, რასაც უქადაგებენ, ეს იმიტომ, რომ მან შეამჩნია, კაცად არ მაგდებენო, ბევრ რამე მიმალავენო, ჩემი ჭკუისა და კეთილი სურვილებისა ბევრი არაფერი სჯერათო. მკითხველი დარწმუნებულია, რომ შეუძლია თავის თავს უხელმძღვანელოს და რამდენს მეტს დაუმალავენ მას, იმდენად მეტად ჩამოიშორებენ ჩამოყალიბებულ ადამიანებს; ერთგვარი გამოცდილების მქონე საზოგადოებას არასოდეს სიმართლე არ უნდა შეულამაზო, მხოლოდ სუსტებს უმალავენ არასასიამოვნო ამბებს, მხოლოდ სულმოკლეებს არ ეუბნებიან საფრთხეზე. ამიტომაც ფრანგ ხალხს, რომელიც, მადლობა ღმერთს, არც სუსტია და არც სულმოკლე, აღარ სურს ამგვარად მოექცნენ და იგი სრულიად მართალია, ზურგს რომ აქცევს მათ, რომლებიც თავს ირთობენ და ხალხს მხოლოდ ცოტაოდენ სიმართლეს ეუბნებიან, ხოლო დანარჩენს უმალავენ. გონიერი და ჭეშმარიტად პატიოსანი პრესა ამგვარ კუკუმალულობას თავს უნდა არიდებდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს; და იქნებ ეს თვითონ მას უფრო მეტად გამოადგეს, ვიდრე მის ქვეყანას...

პრესას უნდა განესაზღვრა, და ამგვარად უფრო ხელშესახები უნდა გაეხადა ქვეყნის მოთხოვნილებანი, რათა მათი კანონიერი დაკმაყოფილებისათვის პირობები მოემზადებინა... დღეს მას იყენებენ თითქმის ცარიელი ნიადაგის მოსაკოხტავებლად, აზრთა უბადრუკობის დასაფარავად და ბრწყინვალე ფოიერვერკით ხალხის მისაზიდად. ყველა ეს პაწაწინა საშუალებანი დროულია, როცა იგი ცოტა დამძიმებული და არცთუ შინაარსიანი ინტელექტუალური საკვების შესაკმაზავად მოიხმარება. მაშინ ის საყრდენი წერტილია, რომელზედაც ისვენებს მკითხველის გონება და იღებს სტიმულს, განაგრძოს მუშაობა იმ იმედით, რომ ამგვარ მომხიბვლელობას სხვაგანაც იპოვის. ხსენებული საშუალებანი შეიძლება ჩაქუჩადაც გამოდგეს, რათა მისი დარტყმით, რამდენადაც შესაძლებელია, ღრმად შეიყვანონ მკითხველის გონებაში საკმაოდ გაშუქებული და განხილული იდეა. მაგრამ იდეების, მთელი ინტელექტუალური ცხოვრების შეცვლა უმიზნო და უსაგნო ფოიერვერკთა მთელი რიგით – ეს არის შეჰქმნა ხელოვნება ხელოვნებისათვის, გახრწნა საზოგადოების გონება და მასში გამოაღვიძო გასართობებისა და სპექტაკლების მოთხოვნილება, რაც უცხადესი ნიშანია ერის მორალური დეკადანსისა და მისი, როგორც გვამის, გახრწნისა...

პრესის თავისუფლების საკითხი არც ისე უმნიშვნელოა, როგორც საერთოდ წარმოუდგენიათ. საფრანგეთმა ამ ბოლო დროს ჩაატარა ექსპერიმენტი ისეთი რეჟიმისა, რომ პრესა აღმოჩნდა დაყვანილი ყველაზე საცოდავ დაქვემდებარებამდე. ბოროტად განწყობილმა და უვიცმა მთავრობამ ერი ბრმად მოამწყვდია სიბნელეში. პრესა ვერავითარ ხმას დროზე ვერ აღიმაღლებს შექმნილი სიტუაციისათვის შუქის მოსაფენად და მისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ყველამ იცის, სად მიიყვანა საფრანგეთი ამ მდგომარეობამ...

დროა ეს მდგომარეობა საბოლოოდ შეწყდეს და ფრანგული პრესა გათავისუფლდეს ნებაყოფლობითი მონობისგან, რადგან სერიოზულ ზიანს აყენებს თვით საფრანგეთის ინტერესებსა და მომავალს. დროა, მოიცილოს უღელი ზოგიერთი პოლიტიკური თუ ფინანსური ინტრიგანისა და პატივმოყვარისა, რომლებიც მას მოხერხებულად იყენებენ საზოგადოების აზრთა ფალსიფიკაციისათვის... დღეს, როდესაც საზოგადოება მნიშვნელოვნად გაიზარდა, პრესა ამაოდ ამოძრავებს თავის ძველ წითელ ან თეთრ მოჩვენებებს, ამაოდ მიმართავს ცილისწამებებს და შეურაცხყოფას: ეს მთელი მისი წვრილმანი ლანძღვა-გინება, მთელი მისი არაკეთილსინდისიერება დღეს მის წინააღმდეგ შემოტრიალდა და ნელ ცეცხლზე სწვავს მას; საზოგადოებრივი აზრის მართვა, პოლიტიკური ცხოვრების განსაზღვრა ხელიდან უსხლტება მთლიანად. თუკი მაინც ჯიუტად გაჰყვება გზას, რომელმაც ამ საცოდავ მდგომარეობამდე მიიყვანა, მისი საქმე ამის შემდეგ ხელიდან წასულია. იგი ზუსტად ისე დაასრულებს თავის სიცოცხლეს, როგორც ანტიკურ საბერძნეთში დაასრულეს სიცოცხლე ორაკულებმა და სოფისტებმა: ხალხის სრულ გულგრილობას ზიზღი მოჰყვება და ეს იქნება სიკვდილის წინ უკანასკნელი დარტყმა.

ამ აუცილებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად პრესას მხოლოდ ერთი გზა დარჩენია – უარი თქვას ყოველგვარ პატარ-პატარა პოლიტიკურ ხრიკებზე, დაივიწყოს მთელი თავისი ინტრიგები და ცილისწამებანი, თავიდან მოიშოროს არაკეთილსინდისიერება და პრეტენზიები, ერთი სიტყვით, აღარ იფიქროს, რომ მისი მიზანია საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის მართვა. ეს ამოცანა აშკარად აღემატება მის ძალებს და მის დანიშნულებას. ერთადერთი ამოცანა, რომელიც დიდი, ცივილიზებული ქვეყნის პრესას აკისრია, ეს არის ხალხის გაცნობიერება, პატიოსნად და მთელი შესაძლებლობით გაშუქება რეალური ცხოვრებისა და თანამედროვე სამყაროს ინტელექტუალური პროგრესისა. ფრანგული პრესის თითქმის მზეჩასვენებული გავლენის აღდგენის ერთადერთ საშუალებას აღნიშნული ამოცანის კეთილსინდისიერად შესრულება წარმოადგენს.

პარიზი. 1875 წ.

სერგეი მესხი

ჩვენი მამები და შვილები

თქვენ უსწავლელნო,
ცრუ რუსთაველნო!
რათ წაგვიბილწეთ ენა მდიდარი?
მტრობა ენისა
არს მტრობა ქვეყნის...
ჩირქი რათ მოსცხეთ ტაძარსა წმინდას?

პასუხი

გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება;
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდეთ დარჩება!

ვერც ერთ ისეთ ხალხსა და საზოგადოებას ვერ მოსძებნით დედამიწაზე, რომ ყველა იმის შემადგენელი წევრი ერთნაირათ სჯიდეს და ერთნაირი აზრის იყვეს. თუ რომელიმე საზოგადოება პირუტყულათ არ ცხოვრობს და შეჩვეულია გონებით სჯასა და მოფიქრებას, დარწმუნებული იყავით, რომ ამ საზოგადოების ერთი ნაწილი სხვანაირათ სჯის ყოველ საგანზე და მეორე ნაწილი კიდევ სხვანაირათ. ეს სჯისა და აზრების განსხვავება და შეტაკება რომ არ იყოს, როგორც ამბობენ, არც წარმატება იქნებოდაო. მართლაც, ხშირად ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება, როდესაც ორი ან მეტი, ერთმანეთის მოპირდაპირე აზრი შეებმიან და დაეტაკებიან ერთმანეთს.

ეს განსხვავება აზრისა და შეხედულებისა ყველაზე უფრო ცხადათ იხატება და მოჩანს ორ თაობას შუა: მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შუა. რომელი ქვეყანაც გნებავთ, აიღეთ და დააკვირდით ამის შინაგან ცხოვრებას, უთუოთ შეამჩნევთ, რომ თითქმის ყოველ საგანზე მოხუცებული სხვაგვარათ სჯის და ახალგაზრდა კი სულ სხვანაირათ. თითქმის ყოველ საზოგადო და შინაურულ საქმეებზე მამას ერთი შეხედულობა აქვს და შვილს მეორე. ავიღოთ მაგალითათ საფრანგეთი: წარსული ცხოვრების მაგალითმა ძალიან ნაკლებათ ასწავლა ჭკუა იქაურ მოხუცებულებს: თუმცა ნაპოლეონის იმპერიამ და საზოგადოთ მონარხიამ უანგარიშო ზიანი მოუტანა საფრანგეთს, მაგრამ უმეტესი ნაწილი მოხუცებულებისა ამჟამად მაინც ძველი წესის დაბრუნებას ნატრულობენ. ახალგაზრდები კი რესპუბლიკის მომხრენი არიან საზოგადოთ. აქაურ მოხუცებულებს ჰსურთ დაიცვან მამა-პაპური წესი და ჩვეულება, ახალგაზრდები კი ახალ გზაზე დადგომას ცდილობენ. მოიგონეს, ვსთქვათ, სადმე რომელიმე ახალი მაშინ, ან რომელიმე სწავლულმა ახალი თეორია წარმოსთქვა, იმ წამსვე მოხუცებულები დაიწყებენ ყვირილს, რომ ეს მაშინა არ ვარგა, ძველი სჯობიაო, ახალი თეორია შემცდარი და სარწმუნოების უარის მყოფელი თეორია არისო და სხვ. ეს განსხვავება მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შუა ხშირად სულ უბრალო და წვრილმან საგნებშიაც მოჩანს:

ვინ არ დასწრებია, მაგალითად, ამგვარ მამისა და ვაჟის და დედისა და ქალის ჩხუბს: ვაჟს უყიდნია ახალი მოდის პალტო; მამას ის არ მოსწონებია, ან ცუდი ფერისააო, ამბობს, ან ცუდათ არის შეკერილიო. ქალს ახალი თავსაკრავი ან მოსასხამი უნდა იყიდოს; დედას არცერთი არ მოსწონს და არის ამის თაობაზე ოჯახში ერთი გაუწყნარებელი ჩხუბი და აყალ-მაყალი.

ეს გარემოება, რომ მამებსა და შვილებსა და საზოგადოთ მოხუცებულებს და ახალგაზრდებს განსხვავებული შეხედულება აქვთ თითქმის ყოველ საგანზე, გასაკვირველი არ არის და ადვილადაც აიხსნება იმ ჭკვიანური ანდაზით, რომელიც ამბობს: „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო“. გამოცდილებით და დაკვირვებით ვიცით, რომ ყოველი კაცი თუ რასმეს იძენს გონების გასამდიდრებელს, იძენს მხოლოდ ახალგაზრდობაში. ახალგაზრდის ცოცხალი და მღვიძარე ჭკუა-გონება ძალიან ადვილად ითვისებს ყოველ ახალ აზრს და სწავლას. მოხუცებულობაში კი კაცი ამ ახალგაზრდობის როლს შეთვისებული რწმუნებებით და სწავლით ცხოვრობს. იმას ხორცათ და სისხლათ გადაქცევია დიდი ხნიდან შეთვისებული აზრები და რწმუნებანი და ძნელად გამოეთხოვება მათ. ერთი სიტყვით, მოხუცებული გაჩერებულია ერთ

წერტილზე და თავის რწმენა და აზრი იმას სჯულათ მიაჩნია. სრულიად ამის წინააღმდეგი უნდა ითქვას ახალგაზრდობაზე. ახალგაზრდა კაცის ჭკუას ჯერ არაფერი არ შეუთვისებია, იმას ჯერ არაფერი არ გაუხდია თავის სჯულათ. მიტომ მას არ უძნელდება რომელიმე ახალი სწავლის ან რწმენის მიღება. იმის ჯერ ცხოვრებისაგან გაუფუჭებელი და დაღდაუსმელი გული და გონება ყოველთვის ისეთ ახალ სწავლას მიელტვის, რომელიც საზოგადოების წარმატებას და ცხოვრების გაუმჯობესებას გვპირდება...

დრო წინ მიდის, იმას თან მოაქვს ახალი სწავლა, ახალი ჩვეულებანი. ახალგაზრდები ითვისებენ ამ ახალ სწავლას და ჩვეულებას და მოხუცებულები კი ძველს, მამა-პაპურ ადათს არ შორდებიან... აი აქედან წარმოსდგება ის განსხვავება და ხშირად უთანხმოება და სიძულვილი, რომელიც მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შორის არსებობს.

ყველა ეს მოსაზრება მართლდება ჩვენს პატარა საზოგადოებაშიაც. როგორც სხვაგან, ჩვენშიაც ისმის ხშირად ჩივილი და უკმაყოფილება მოოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შუა. ამ უკმაყოფილებამ უკანასკნელ დროს იქამდი მიაღწია, რომ ეს ორი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ხშირათ ერთმანეთს სხვადასხვა ლამაზი სიტყვებით ამკობს...

ჩვენი მამები ბრალად სდებენ შვილებს, რომ თქვენ ურწმუნონი, უსაქმონი და ლიბერალები ხართო, ენა წაგვიბილწეთო და სხვა საზოგადო სიკეთეზე დაუდევრობასა და მხოლოთ თავის საკუთარ თავზე ზრუნვას აბრალებენ მოხუცებულებს. ამას გარდა, ორივე მხრივ ბევრი გასამტყუნარი პუნქტია წარმოდგენილი; მაგრამ ყველა რომ ჩამოვთვალოთ, რაშიაც ეს ორი მხარე ერთმანეთს ამტყუნებს, ერთობ შორს წავა. დღეს ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ ჩვენი საზოგადოების ორს ნაწილს შორის, მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შორის, უკმაყოფილება და დაუნდობლობა სუფევს და რომ ამ გარემოებას ხეირის დაყრა არ შეუძლია ჩვენთვის.

მართლა, დავანებოთ თავი იმის განხილვას, თუ რომელმა მხარემ უფრო მეტი სარგებლობა მოუტანა ჩვენს ქვეყანას? მოხუცებულებმა თუ ახალგაზრდებმა უფრო ბევრი დაეხმარნენ ჩვენს მხარეს საზოგადო საქმეებში და ხალხის კეთილდღეობის მისაღწევად? კარგად რომ დავფიქრდეთ და გულზე ხელი დავიდვათ, უნდა გავტყდეთ, რომ ჯერჯერობით სიკეთე არც ერთ მხარეს არ მოუტანია თავის საზოგადოებისათვის.

ჩვენი ქვეყანა ეხლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ იმისთვის აუცილებლათ საჭიროა ყველა ქართველი უწყობდეს ხელს საზოგადო საქმეებს და ეხმარებოდეს ამ საზოგადო საქმეების სწორ გზაზე დადგომას. ყოველი საზოგადოების წევრი თავის შეძლების დაგვარად უნდა სცდილობდეს რაიმე სარგებლობა და დახმარება უძღვნას თავის საზოგადოებას. ვინ არ იცის, რომ ეს დახმარება და სიკეთე მხოლოდ მაშინ იქნება შესამჩნეველი და საგრძნობელი, როდესაც ყველანი ერთათ იმოქმედებენ? მაშასადამე, ამ ურთიერთობის განხეთქილებისაგან, ამ მამებისა და შვილების, მოხუცებულებისა და ახალგაზრდობის უკმაყოფილებისა და დაუნდობლობისაგან რა სიკეთეს უნდა მოელოდეს ჩვენი საზოგადოება?! ჩვენი მტრები არის: უმეცრება, სიღარიბე და სხვა ათასი და თუ ერთმანეთში შური და დაუნდობლობა არ მოვსპეთ, უეჭველია, ეს მტრები სრულიად დაგვიმორჩილებენ და დაგვჩაგრავენ ჩვენა.

უკანასკნელ ორ ჭეშმარიტებას გამოვთქვამ, რომელიც გთხოვთ, ყველამ კარგათ ჩაინერგოთ გულში:

1. საზოგადო გაჭირვებას საზოგადო დახმარება უნდა,
2. მომავალი ყოველთვის ახალგაზრდობას ეკუთვნის.

[1872]

პირველნაბეჭდი – **„დროება“, 1872, №7.**

სერგეი მესხი

ახალი მიმართულება ჩვენი ახალ-თაობისა

რა მიმართულება ჰქონდათ ამ ათი წლის წინათ ჩვენს ახალგაზრდებს? რას სწავლობდნენ ისინი რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში? რითი შველოდნენ შემდეგ თავიანთ გამზრდელ სამშობლოს? რა სარგებლობა მოჰქონდათ „განათლებულ ახალგაზრდებს“ ჩვენი ქვეყნისათვის? ეს და ამგვარი კითხვები იმდენჯერ აღძრულა ჩვენს საზოგადოებაში და ლიტერატურაში და იმათი პასუხი იმდენჯერ გარკვევით თქმულა, რომ ეხლა ხელახლა დაწვრილებით ამაზე ლაპარაკი, უეჭველია, მკითხველს თავს მოაბეზრებს. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩვენი ათი და ოცი წლის წინათ გამოზრდილი ყმაწვილი კაცები მხოლოთ ჩინოვნიკობისათვის იყვნენ მომზადებულნი. თავიდანვე იმათ ისეთი მიმართულება ჰქონდათ მიცემული და შემდეგ სწავლასაც ისეთს იღებდნენ, რომ ან ჩინოვნიკათ უნდა წასულიყვნენ და ან სულ ტყუილ-უბრალოთ, უსაქმოთ და უმიზნოდ მოეკლათ დრო. ერთს ხეირიან მეოჯახეს, მეურნეობის მცოდნესა, ერთს რაიმე საგნის მწარმოებელს ვერ ნახავთ ჩვენს შორის. იშვიათად ნახავთ ისეთ ახალგაზრდა ნასწავლს, რომელსაც თავისი სწავლა რომლისამე კერძო საქმის დაწყებაში გამოეყენებინოს. მაგრამ როგორც ზევით ვსთქვით, ეს აზრები ძველი და გაცვეთილი აზრებია და ამის გამო ჩვენს ძველი ახალ თაობის მიმართულებაზე ბევრს ნუ ვილაპარაკებთ.

დღეს გვინდა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა ერთს მოვლინებაზე, რომელიც, უეჭველია, ყველასათვის ძლიერ სასიამოვნო ამბავს უნდა შეადგენდეს: ჩვენ გვინდა ვსთქვათ იმ ლტოლვილებაზე, რომელიც უკანასკნელ თაობის ახალგაზრდებმა გამოიჩინეს.

ჩვენი უკანასკნელი თაობა ათასის მაგალითით დარწმუნდა, რომ ჩინოვნიკობა არც საკუთრივ იმათ და არც საზოგადოთ იმათ სამშობლო ქვეყანას მაგდენ სარგებლობას არ აძლევს და კეთილს არას მატებს. ეს მოსაზრება დიდი ხანია ცხადია და ადვილად შესამჩნევი უნდა ყოფილიყო იმათთვის, რომელნიც მოგონებით დაბრმავებულნი არ იყვნენ და ჩვენი ნასწავლ ჩინოვნიკების ცხოვრებასა და ყოფაქცევას ხედავდნენ. მაგრამ ნათქვამია: ჭეშმარიტება სწორი გზით არასოდეს არ მოინახებაო. რაკი ჩვენი ახალთაობა ნამდვილათ დარწმუნდა, რომ ეს ძველი გზა ყოველს შემთხვევაში გამოუსადეგარი და ხანდახან მავნებელი გზა იყო, შეუდგა ახალი გზის მონახვას და, ამ ახალი თაობის საქებრათ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს. ეს გზა დასავლეთი ევროპის გზა არის.

სიკვდილის შემდეგ სინანულს რომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ჩვენ ვიტირებდით იმ დაკარგულ დროსა და ახალგაზრდებს, რომელნიც ტყუილ-უბრალოთ ჩაიღუპნენ, სანამ ეს სწორი გზა მოინახებოდა, მაგრამ რადგან სიკვდილის შემდეგ სინანული არაფერში გამოგვადგება, ამიტომ უბრალო ცრემლებს თავი დავანებოთ და გვიხაროდეს, რომ ჩვენი უკანასკნელი თაობა სწორ გზას დაადგა.

ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატების წყარო ჯერჯერობით დასავლეთი ევროპა არის. ყველა ხალხი, და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწაფებიან და აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის თავის და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოთ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგათ და ჭეშმარიტათ გაუცვნია. გაუნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებას მხოლოთ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპულ სწავლა-მეცნიერებაში განვითარებულია და თავის თვალით უნახავს და შეუსწავლია სიღარიბის მომსპობელი და კეთილდღეობის მომნიჭებელი სახსრები. სხვა არა იყოს-რა, უბრალო დანახვაც განათლებულ ერთა ცხოვრებისა და მეცნიერების ნაყოფისა არა მცირედ სარგებლობას მოუტანს ისეთის ქვეყნის შვილს, როგორიც ჩვენია. ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენში, როდესაც რომელიმე კაცის ღირსებაზედ იტყვიან: „ამ კაცს ქვეყანა უნახავს, განათლებული კაციაო!“ ამ აზრს თავისი საფუძველი აქვს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ახალი თაობა მარტო „ქვეყნის სანახავათ“ არ მიდის ევროპაში. ამ შემთხვევაში ისინი უფრო გონიერი აზრით ხელმძღვანელობენ: ისინი მიდიან ევროპული სწავლა-მეცნიერებისა და ცხოვრების გასაცნობათ და შემდეგ ამაების თავის ქვეყანაში დასამკვიდრებლათ. ვინ გაამტყუნებს იმათ ამგვარი განზრახვისათვის? ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ დასავლეთი ევროპის ცხოვრების წაბაძვა და იქიდან პირდაპირ მეცნიერების გადმოტანა ათას წილად უკეთესი არ იქნება ჩვენთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდან? განა ყოველთვის იმ წყაროს წყალი არ სჯობია, რომელიც პირდაპირ მიწიდან ამოჩუხჩუხებს და განა არ იცით, რომ წყაროდან

მოშორებული წყალი ხანდახან ისეთ რამეებს შეითვისებს გზაში, რომ შემდეგ ამის გამოყენება თითქმის შეუძლებელია?

მაშ მივესალმოთ ამ ახალ მოვლინებას და გზა დავულოცოთ იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მიილტვიან ევროპისაკენ წმინდა წყაროს დასაწაფებლათ. ჩვენ იმედი გვაქვს, ერთი დასავლეთ ევროპაში გაზრდილი ქართველი თავის სწავლითა და სამაგალითო ცხოვრებით უფრო მომეტებულ სარგებლობას შესძენს ჩვენს ღონისძიებით საწყალს, მაგრამ ბუნებით მდიდარ საქართველოს, ვიდრე ხუთი და ათი სხვა ქვეყანაში გამოზრდილი.

[1872]

პირველნაბეჭდი – **„დროება“, 1872, №41.**

ვაჟა-ფშაველა

ფიქრები

უნდა ვიფიქრო, ვინაიდგან ფიქრი აღკრძალული არ არის: ფიქრი სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი. ღმერთმა დაიფაროს ფიქრისთვისაც რომ სასჯელი იყოს დაწესებული, ათასში ერთი თუ გაჰბედავდა ფიქრს, თორემ ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი დაემსგავსებოდა იმ ლოდებს, ჩემ პირდაპირ ბექიდგან რომ გამოიყურებიან გამტკნარებულნი, გალულუჩებულნი, საწყლად, ბეჩავად. შესრულდა ორმოცი წელი, რაც მე იმათ შევჩერებივარ, ან კი საით ავცდები? რა წამსაც სახლის კარებში თავს გამოვყოფ, თვალებში ისინი მეცემიან. დიაღ, შევჩერებივარ მე იმათ, ისინი – მე და აბა, არ იქნა, ერთხელ ხმა-კრინტი არ დაუძრავთ... საშინელებაა!.. მაგრამ ვითმენ იმიტომ, რომ, რაც უნდა ვეცადო, ლოდებს ხმას ვერ ამოვაღებინებ, ენას ვერ ჩავუდგამ. ბრაზი კი მომდის ღვთისა წინაშე და ამიტომ იმათ მაგივრად მე მოვყვები ყბედობას, ვითომ ისინი ლაპარაკობენ, რა არის, მინდა რომ იუბნონ და ამითი ჩემს თავს მევე ვატყუებ. მეც სწორედ ისე მემართება, როგორც ოდესმე ერთს ხევსურს დაჰმართნია: ძმობილმა სიზმარში ფრანგული (ხმალი) აჩუქა და ეს უარზედ დადგა: „არ მი ეგ, რად მი (მინდა)?! მაგას დავითფერულ (ხმალი) მირჩევ მე!“ ისე ხმამაღლა განაცხადა უარი, რომ თავის ყვირილზე გამოეღვიძა და, რა ნახა თავისი თავი უნუგეშოდ დარჩენილი, შემოიკრა თავში და პირში, რა მინდოდა, ხმალი ჩამომერთვაო. ადგა და ხელმეორედ დაიძინა, იმედი ჰქონდა, იმავე სიზმარსა ვნახავ და ხმალსაც ვიშოვიო. მაგრამ ამაოდ, სიზმარი აღარ განმეორდა. რატომ, თავის მოტყუებაც კარგია, როცა იგი სიამოვნებასა ჰგვრის ადამიანს, მაგრამ საკეთილოდ თუ სავალალოდ, ეს თქვენ თითონ განსაჯეთ, ჭკვათამყოფელი ადამიანი თავს ტყუილით არ დაუწყებს კვებას, სინამდვილეს პასუხს მისცემს.

სინამდვილე რაღა ხილია?

– სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ის, რასაც თვალით ნამდვილად ყველა ვხედავთ და რაც ყურით გვესმის; ისიც კი უნდა ჩაითვალოს სინამდვილედ, რასაც ნახულისა და გაგონილის გამო ვგრძნობთ. მაშასადამე, სინამდვილეა – ცხოვრება ჩვენი და მისი პირობანი, აგრეთვე ისინი, ვისაც ჩვენ ვხედავთ, ვისთანაც ჩვენ ასე თუ ისე დამოკიდებულება გვაქვს, და თვით ბუნება გარემო ჩვენსა. რა თქმა უნდა, ნამდვილია, რომ ჩვენ, ქართველები, ერი ვართ და როგორი მერე? ამის პასუხად ისეთს ვერას ვიტყვით, რომ ან ჩვენ თვითონ არ გვეთქვას და არ ვამბობდეთ თავის თავზედ, ან სხვას, უცხოელს, გარეშე ადამიანს არ ეთქვას ჩვენზედ. სიმართლე და სინამდვილე კი ის იქნება, ვთქვათ, – ქართველებს ისეთი ავი ზნე არაფერი გვჭირს, სხვა ერსაც არა სჭირებოდეს, ან არა სჭირდეს, მაგრამ იმათ არსებობას, სიცოცხლეს და ბედნიერს მომავალს არც ერთი ჭკვიანი ადამიანი არ უარჰყოფს. ჩვენ კი, აწმყოსაგან გამწარებულნი, ეჭვის თვალით, უსასოოდ შევყურებთ მომავალს, ქართველი ერი დაბერდაო. ამისთანა აზრი განა ჭკუისა და ცოდნის ნაყოფია?

– სრულიადაც არა. მაშ რისა, ან ვისი ბრალია? ჯერ ერთი, იმისა, რომ ყველაფერს, რასაც წიგნიდან ამოიკითხავს კაცი, დაიჯერებს აუწონ-დაუწონავად და მეორეც იმისა, წაკითხულს სწორედ ვერ გაიგებს. მოგეხსენებათ, მეცნიერმა ოგუსტ კონტმა ერის სიცოცხლე შეუდარა ადამიანის სიცოცხლეს და სთქვა – ერი იმავე ხანებს გამოივლის სიცოცხლისას, რასაც ადამიანი თავის გაჩენის დღიდგანო, ე. ი. სიყმაწვილეს, სიჭაბუკეს, დავაჟკაცებას და სხვადასხვ. ხოლო კონტს არსად არ უთქვამს, რომ <u>აუცილებლად</u>, <u>უსათუოდ</u> ყველა ერს <u>სიბერე და სიკვდილი</u> მოელისო. კიდეც რომ ეთქვა, განა უნდა დავიჯეროთ? განა კონტებმა, კანტებმა და სპენსერებმა რომ სისულელე წამოროშონ, ვინაიდგან კაცნი ვართ, რის გამოც ბევრჯელ შევცდებით და მოვტყუვდებით, ჩვენ იმათ პირიდგან ამოსული ბაჯაღლო ოქროდ უნდა მივიღოთ?! განა სპენსერი არ მოტყუვდა ადამიანის სხეული საზოგადოებრივს სხეულს რომ შეუდარა და შეუბადლა, რათა გაემართლებინა, პირნათლად გამოეყვანა ქვეყნის თვალში მონარქიული ბურჟუაზიული წეს-წყობილება? („საფუძვლნი სოციოლოგიისა“), მაგრამ არც ერთმა ჭკუა-გონების პატრონმა ნასწავლმა არ მიიღო ეს შებადლება ბაჯაღლო ოქროდ. ბოლოს იპრიანა ღმერთმა და თითონ სპენსერმავე სხვა თავის თხზულებაში („განვითარება პოლიტიკურ დაწესებულებათა“) უარჰყო ეს აზრი.

ერის სიბერეს და სიკვდილს ისინი დაიჯერებენ მარტო, ვინც ცხოვრების პირობების გარეშე სხვა რაღაც უხილავს ძალას ჰხედავენ, რომელიც არც ცაში და არც დედამიწაზედ არ არსებობს და ჟამთა ბრუნვის სივრცეშია ვითომ გაბნეული, ან კიდევ სადმე წიგნში სწერია, რატომ ღრმად არ უნდა ვიყვნეთ დარწმუნებულნი, რომ ერი

მუდამ ცოცხალია და არც მოკვდება, ვიდრე მისი ყოფა-ცხოვრების პირობები მაცხოვრებელის თვისებისანი არიან? რომელ ერსაც ეს კარგად ესმის და სასიცოცხლო პირობებს იცავს, ინახავს, იგი მუდამ ცოცხალი, ბედნიერი, ჯან-ღონით სავსეა, იმას არც სიბერე მოეკიდება, არც სიკვდილი. რომის იმპერიაო, გაიძახიან, დაბერდა და დაეცაო. დაბერდა ოღონდაც, მაგრამ სხვამ ხომ არ დააბერა იგი, არამედ თავი თვისი თითონ დააბერა და დააუძლურა. ყველა ერსაც ესევე დაემართება, უკეთუ იგი სიცოცხლის წყაროს არ ეწაფება, თავისის ცხოვრებისათვის გამოსადეგს ვითარებას არ შეჰქმნის და, თუ აქვს, არ ინახავს, მაგრად არ უჭიდია ხელი. ეს დღესავით, მზესავით ნათელია, აშკარაა.

ინტელიგენციას ან კი რა უფლება გვაქვს – ჩვენს სიცოცხლით სავსე ერს ამისთანა შეუფერებელი განაჩენი დაუდგინოთ ასე თამამად, კადნიერებით?! ვისი დახასიათებაც გინდა, ჯერ უნდა იმას კარგად იცნობდე, მისი გარემოება, ავი და კარგი შეგნებული გქონდეს, რომ განაჩენიც სამართლიანი გამოდგეს, ჩვენთვის კი ეს ჭეშმარიტება საჭირო არა ყოფილა. ამ ლაყე, შხამიანს აზრს კარგად რომ ჩავუკვირდეთ, ღრმად მოვთხაროთ და ფესვები ამოვუჩინოთ, მხოლოდ იქ ვიპოვნით მიზეზს ამ უკეთურის განაჩენისას... მოვთხარეთ კიდეც და იცით, იქიდგან რა ხმა და სამდურავი მოისმის: ამოდენა ვიშრომეთ, ვიღვაწეთ და არ იქნა ქართველ ერს თვალები ვერ ავახილებინეთო. ყველა ჩვენგანსა ჰგონია, დიდი და ბევრი რამ გავაკეთე საქვეყნოდ და არსად მოიტანა ნაყოფი, – ღვაწლი და შრომა ჩემი დაიკარგა უქმადაო, თორემ ამდენი სხვა ქვეყანაში რომ მეშრომა, იმასაც დავაბედნიერებდი და ჩემს თავსაცაო. ამ უხამსის განაჩენის მიზეზი და სათავე, თუ გნებავთ, აქედგან იწყობა. ცოტა შევჩერდეთ და ჩვენსავ თავს დავეკითხოთ: მართლაც რა გავარიგეთ, რა გავაკეთეთ ქართველმა ინტელიგენციამ საქვეყნოდ, საერთოდ? თუ მე მკითხავთ, გულახდილად გეტყვით – არაფერი. ინტელიგენციამ ჯერ ის ვერ შევიძელით გვესწავლებინა ერისათვის (ხალხისათვის), რომ მთელი „რჯულ-საქრისტიანო“ არაა საქართველო, – ვერ ვასწავლეთ, რა არის, რასა ჰქვიან მამული, სამშობლო... დეპოები სადმე დაარსდა, თავის „რეჩებით“ ისინიც ინტელიგენციამვე დაღუპა. კეთილ ნიადაგზედ სადმე არსდება საზოგადოება და თუ ღვარძლი გამოერია იქ, იცოდეთ, რომ ეს ინტელიგენციისავე უნარი უნდა იყოს. ნამდვილ სახელად ინტელიგენციას ის ჩაეთვლება, რომ გაზეთები და წიგნები მის მეოხებით საკმაოდ იბეჭდება და არავინ კი არ კითხულობს, ან საიდგან და როგორ უნდა წაიკითხოს კაცმა წიგნი, თუ კითხვა არ ეცოდინება?! აი, როგორი ამშენებლები ვყევართ ჩვენს ქვეყანას! ჩვენი დიდი ღვაწლი განიზომება იმ გარემოებით, რომ ამდენი ლიტერატურული ჰაიჰუით, ბევრი-ბევრი რომ ვთქვათ, 1500 მკითხველი შევიძინეთ სამ მილიონ ქართველთაგან და ისიც უეჭველად, ცოტად თუ ბევრად, ინტელიგენტები... დანარჩენი ქართველობა, ერი, მდაბიო ხალხი, რომელიც არის ჭეშმარიტი ძალა ჩვენის ქვეყნისა, დაგვრჩა ღობეს გარეთ, არც ჩვენ გავეცანით, არც ისინი გავიცანით და ვერც ჩვენი ხმა მივაწვდინეთ იმათ. ეხლა კაბინეტში ვსხედვართ და გულ-მკერდს ვიმჯიღავთ: აფსუს, ჩვენო ამაგო!.. მახლას, მახლას! ჩვენ ინტელიგენციასაც სწორედ ის ემართება ამ შემთხვევაში, რაც მე დამემართებოდა, ამ თხოვნით რომ მომემართა: თქვენი ჭირიმე, ძმებო, რაც შეიძლება მალე, დაწვრილებით, მარეხის ამბები მაცნობეთო! რა გგონიათ, ჩვენმა ინტელიგენციამ მარეხისა მეტი იცის, ვიდრე თავისის ქვეყნისა და ხალხისა? განა ეს ღვაწლი კმარა ინტელიგენციისათვის? განა ამის მეტი არ მოეთხოვება ინტელიგენციას? ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება, იგი ბელადია, სარდალი და, ხომ მოგეხსნებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება. არა აქვს ჩვენს ინტელიგენციას გარკვეული საერთო პროგრამა და გეგმა მოქმედებისა, უამისოდ კი ყოვლად შეუძლებელია გაკეთდეს რამ თვალსაჩინო. ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც სწორედ ერთს პროგრამას და ერთს გეგმას მოქმედებისას ჰსაჭიროებს. ეს ვერ შევიგენით, ვერ გავიგეთ დღესაქამომდე. ასევე იქნება მომავალშიც, თუ ჩვენს ხალხს, მის ცხოვრებას არ შევიგნებთ, არ გავიცნობთ კარგად, – მანამდე ვერც საერთო მოქმედების პროგრამას შეიმუშავებს ინტელიგენცია, არც ჩვენის ერის სიბერისა და სასიკვდილოდ განმზადების ეჭვები გამოუვა თავიდან, – მანამდე არც მდურვას ქართველის ერის გულგრილობა-დაუდევრობის გამო ექნება დასასრული. მე რომ მკითხოთ, როგორც ბევრად თუ ცოტად მცოდნეს ჩვენის მდაბიო ხალხის და ჩვენის ცხოვრებისა, – რომელი უფრო სინდისიერად ასრულებს თავის მოწოდებას, თუ მოვალეობას, უკანასკნელი გლეხი, თუ თავმომწონე რომელიმე ინტელიგენტიო? გლეხი-

მეთქი, გიპასუხებთ. ამით ღმერთმა დამიფაროს სწავლა-განათლების მგმობელი ვიყო, არა, მაგრამ ასეა დღეს და მოდი რას იზამ.

რადაო? იკითხავთ. იმიტომ, მოგახსენებთ, რომ უბირი გლეხი თავის ცოდნას, თავის გამოცდილებას, თავის ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, დილიდგან მოყოლებული საღამომდე წელებზედ ფეხს იდგამს, რომ აცხოვროს თავი და ცოლ-შვილი, გაუძღვეს ამასთანავე ათასნაირს ხარჯს და სხვ. ეტყვის მკითხავი, სადმე ხატისას – კურატით უნდა მიხვიდე და ილოცოო, იმდენს იწოწიალებს, იმდენს თავში ქვას იხლის, ტანზე პერანგს აღარ შეირჩენს, საითაც იქნება, თუ თითონ არა ჰყავ, იყიდის, და ხატ-ღმერთთან კი პირშავად არ გამოვა, და არც თავის სინიდისთან არის პირშავი, რის გაკეთებაც შეუძლიან, აკეთებს; როგორც ეხერხება თავის ხშირად ყალბი გრძნობის დაკმაყოფილება, ისე აკმაყოფილებს; რაც აზრი და რწმენა აქვს, იმისდაგვარად შესაფერად იქცევა, და ეს მას სრულ ადამიანად ჰქმნის. რა ვუყოთ, მართალია, მისსავე სუფრაზე რომ ჩვენის ქვეყნის – საქართველოს სადღეგრძელო დაჰლიო, ვითარცა ინტელიგენტმა და თამადამ, იგი ასე განიმეორებს „გაუმარჯოს რჯულ-საქრისტიანოსაო!“ ჩვენებურ ტვინფრატუნა კოსმოპოლიტებს (ნუ გიკვირთ) არ გეგონოთ კი, რომ ეს კოსმოპოლიტობით მოსდიოდეთ, ვინაიდგან რჯულ-საქრისტიანო ქვეყნის ერობაზედ დიდია და თითქმის მთელ განათლებულ ქვეყნებს შეიცავს, არამედ იმის გამო ემართება, რომ არა აქვს არავითარი ცოდნა თავისის ქვეყნისა და საქართველოს გარეშე ვერ წარმოუდგენია „რჯულ-საქრისტიანო“, სულ სათათრეთი ჰგონია...

ჩვენი ინტელიგენტიღა?! ჰმ! რა ვქნათ და რა ვთქვათ?! რამდენსა სტყუის იგი თავის საკუთარ ღმერთთან, თავისის აზრისა და გრძნობის წინაშე, ამა თუ იმ მიზეზისა გამო, ჩემთვის სულ ერთია, და რომ სტყუის, ეს უეჭველად ასეა, თითონაც კარგად უწყის და არც იუარებს, ხშირად თავსაც დროსა და გარემოების მიზეზით ჰმართლულობს... ამას აზრი და გრძნობაც ვრცელი აქვს, იდეალებიც დიდი, მაგრამ იმის მეათასედსაც ვერ აკეთებს, რასაც ჰგრძნობს და ჰსაზრობს. ეს მოვლენა შეგნებულ ადამიანისათვის ყოვლად აუტანელია, მტანჯველი და იგი ჰქმნის ჩვენებურს ინტელიგენტს ნახევარ ადამიანად, უბედურს, ცხოვრებისაგან უკმაყოფილოს, პესიმისტს. მე ამას ვიკმარებ და დანარჩენის განსხვავების აღმოჩენა ინტელიგენტის და მდაბიო კაცის შესახებ, მკითხველო, თქვენთვის მომინდვია. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ეს უკანასკნელი ერის ნივთიერ სიმდიდრის შემოქმედია და ფეხიც არ მოუსხლტია, მაგრად უდგა სამშობლო მიწა-წყალსა და მამა-პაპის კერაზედ. იმას თუ ჩირაღდანი კარებზედ არ მიუტანე, იმისთვის სოფლიდგან ქალაქში არ გამოიქცევა, იმდენად თავს არ შეიწუხებს და მამა-პაპური სანთლით, კერაზე დანთებულის ცეცხლით იოლად გამოვა. სკოლაში რომ შვილი მიაბაროს, სრულიადაც არა ჰფიქრობს იმას, რა მეთოდით, წესით ასწავლიან იმის შვილს და რამდენის თვის უკან დააწყებინებენ უცხო ენაზე სწავლას... ენა, სამშობლო, მან ანდით იცის და არა გონებით, ამიტომ მას არ ძალუძს რიგიანად ან ერთს გაუწიოს პატრონობა, ან მეორეს... როგორმე რომ მოხდეს და ერთს პატიოსან დღეს მისი შვილი სკოლიდგან ისეთი განსწავლული დაბრუნდეს, ინჩიც აღარ ესმოდეს ქართულისა და უცხო ენაზედ კი გამაშირებით საუბრობდეს, შვილის ასეთი გარდაქმნა იმითი თუ დააღონებს, რომ ვეღარაფერს გააგონებს და ვეღარც რას შვილის ნათქვამიდგან გაიგებს, სხვაფრივ კიდეც გაუხარდება, დიახ, გაუხარდება, რადგან არ იცის, რა შედეგი მოსდევს ამისთანა შვილის ყოლას, იგი ძალიანაც კმაყოფილი დარჩება, რადგან მეზობლები იტყვიან: „ეჰე, ჩვენ დემეტრეს როგორი ნასწავლი შვილი გამოსვლია, ქართულ სულ ვეღარ ლაპარაკობსო“. ასე გახლავთ, თუმც შეიძლება ზოგიერთმა არც კი დაიჯეროს, ნება აქვს, მე კი მაინც იმას ვიტყვი, რაც ვიცი და რაც ჩემის ყურით გამიგონია. დიაღ, დემეტრე ისე ჰფიქრობს, რომ ქართულის სწავლება ქართველი ბავშვისათვის სრულიადაც საჭირო არ არისო, რადგან იცის, ვითომ და ნაცოდნზე დროს დაკარგვა მეტ, უქმ შრომად მიაჩნია, თორემ განა სძულს, ან ეჯავრება თავისი ღვიძლი ენა.

ყველა ეს უვიცობის, უმეცრების ბრალია, რაშიაც თვით ინტელიგენციასაც წილი უძევს. რა მიგიციათ, რასა სთხოვთ, ამაზე მეტი ხათაბალა იქნება?! რაც ცოდნა და გამოცდილება მამა-პაპამ უანდერძა გლეხკაცობას, ამან კარგად შეინახა: საცა ვენახი ხარობს, მშვენივრად შემუშავებული ვენახი აქვს; საცა საქონლის მოშენებას უწყობს ადგილი ხელს – საქონელი ჰყავს მოშენებული და, ხვნა-თესვას თუ ვიტყვით, რიყესა და კლდეზედაც სულადი, პური მოჰყავს. არც ერთს ახალს საშუალებას, თუ მანქანას არ უფრთხის იგი, როცა დაინახავს მის სარგებლობას – ვენახების შეწამლვა, ახალის

ჯ̌ურის გუთნების შეძენა, ყველგან გახშირებულია, როგორც კახეთში, ისე ქართლში და სხვ. საწყალმა არ იცის ბევრი რამ და ყველაზედ მეტად ის, რითაც ჩვენ უფრო თავს შეგვაყვარებდა ეს – ინტელიგენციის სულიერი მისწრაფება, მისი იდეალები...

მარტო თავადაზნაურობა არ არის ერის ძალა და ისინი თუნდა დიდიდგან დაწყებული პატარამდე საუკეთესო აზრებით, გრძნობით გაიმსჭვალნენ, საუკეთესოდ იმოქმედონ, მაინც ვერაფერს გავხდებით, უკეთუ მდაბიო ხალხიც ბანს არ მისცემს... რას აკეთებენ მღვდლები? სოფელი არ არის, მღვდელი არ იყოს და რა დასაჯ̌ერებელია, ნამდვილმა მოძღვარმა 5-6 მოწაფე ვერ შეიძინოს, ისე ვერ გამოაღვიძოს ისინი, რომ ჰქონდეთ წადილი წიგნის, გაზეთების კითხვისა, ქვეყნიერობისა რამ გაეგებოდეთ?! ჩვენ ამას ვერა ვხედავთ. ან კი საით დავინახავთ იმას, რაც არა სჩანს სადმე.

პირველნაბეჭდი – **„ივერია“, 1901, №108.**

ვაჟა-ფშაველა

კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემსულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? – არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზრდოდ, ნანა – მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, – ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი

პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპილიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

1905 წ.

პირველნაბეჭდი – **„ივერია“, 1905, №172.**

ვაჟა-ფშაველა

რა არის თავისუფლება?

ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიჟღინთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენი ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-5 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს, თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე. ი. რას ჰქვიან თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორის მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?.. თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რადღა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავითავს, შაერთდნენ, მოიფიქრონ, როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი... მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გაალმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს, ეგრეთვე თუ ცხვარი – ცხვარს.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, – ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა...

დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შაგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამოძმენი მოსისხლე მხეცებს... ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალმომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათანობით სრულიად მოვსპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნება დაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდუღს და გადმოდის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან და სხვ. და სხვ...

არ მინდა ვილოცო ის შვენივრად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! – სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ

ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნებ მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდის მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ!..

არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავგამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლეო“ (ე. ი. თავისუფლება)?! – იტყვის და ამბობს კიდევაც, ამას ჩვენის თვალით ვხედავთ, აშკარად ვგრძნობთ ყველანი... მაშასადამე, სჩანს მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ, ვიმეორებ, ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავისი არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად...

და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: <u>თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა</u>. ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედურობის მეტი? – არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მიკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტა ხანს, რადგან ცხოვრების ლოღიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას. აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა – წამრთმეველი დღეს ტირის, ხოლო გაცარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პოულობს, წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჟამი? – სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, – სძულს ისინი უსაზღვროდ; სწორედ მაშინ ცდილობს შემუსროს თავის დამმონებელნი...

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? – თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, – არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის, ყველა ჩვენგანის, ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნაღველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და, რა თქმა უნდა, ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეტაკა და რქები შემოიმტვრია.

მაშასადამე თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე. ი. ბედნიერი. თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას, განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსობისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.